

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავროგის საქვეუწყავო
დანახეგულეგა-საარქივო სამმართველო

SUB-DEPARTMENT OF AJARA AUTONOMOUS REPUBLIC
GOVERNMENT – ARCHIVES ADMINISTRATION

ISSN 2298-0776

სამხრეთ-დასავლეთი საქართველო
(ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია)
სართავუორისო სამეცნიერო
კონფერენციის მასალევი

South-West Georgia
(history, archaeology, ethnology)
International Scientific
Conference materials

VIII



თბილისი-2018-Tbilisi

სარედაქციო საბჭო:

მაია ივანიშვილი – აჭარის საარქივო სამმართველოს უფროსი, **სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე;**

თამაზ ფუტყარაძე – საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობისა და დოკუმენტების პუბლიკაციისა და გამოყენების სამსახურის უფროსი, **რედაქტორი.**

სარედაქციო საბჭო: რამაზ ბოლქვაძე – აჭარის საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე, **ანზორ თხილაიშვილი** – აჭარის საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე, **ბესიკ ბაუჩაძე** – აჭარის საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე, **ელგუჯა ჩაგანავა** – ანალიტიკურ-მეთოდური და ტერიტორიულ ორგანოებთან მუშაობის სამსახურის უფროსი, **ელგუჯა გოგიბერიძე** – ცენტრალური სახელმწიფო არქივის სამსახურის უფროსი; **მაია რურუა** – დაცვის, აღრიცხვის და სამეცნიერო – საცნობარო განყოფილების უფროსი, **ფრიდონ ქარდავა** – საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობისა და დოკუმენტების პუბლიკაციისა და გამოყენების სამსახურის უფროსი სპეციალისტი; **ნატო ქიქავა** – საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობისა და დოკუმენტების პუბლიკაციისა და გამოყენების სამსახურის უფროსი სპეციალისტი; **ინგა ელიავა** – ქუთაისის ცენტრალური არქივის ესფ დოკუმენტების დაცვის, უზრუნველყოფის, აღრიცხვისა და სამეცნიერო-საცნობარო განყოფილების მთავარი სპეციალისტი, **თინათინ ჯაბადარი** – საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის უფროსი სპეციალისტი, **თამილა ლომთათიძე** – ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, **ოთარ გოგოლიშვილი** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, **ჯემალ კარალიძე** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; **ციური ქათამაძე** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; **ლუბა სოლოვიოვა** – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიკლუხომაკლასის სახელობის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; **მაკა ალბაგაჩივა** – კუნსტკამერა, მეცნიერ-თანამშრომელი; **ალა სერდიუკი** –

ბერდიანსკის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი; **ნონა ქარციძე** – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; **ეკატერინე მაისურაძე** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი; **ქეთევან ხითარიშვილი** – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აკადემიური დოქტორი.

Editorial Board:

Maia Ivanishvili – head of Sub-department of Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration, chairman of editorial board;

Tamaz Putkaradze – head of foreign, public, media relations and documents publication and utilization department, **editor**;

Editorial Board: Ramaz Bolkvadze – Deputy chief of Ajara AR – Archives Administration; **Anzor Tkhilaishvili** – Deputy chief of Ajara AR – Archives Administration;

Besik Bauchadze – Deputy chief of Ajara AR – Archives Administration; **Elguja Chaganava** – Head of analytical-methodological and working with territorial bodies service; **Elguja Gogiberidze** – head of service of Central State Archives; **Maia Rurua** – Archives Administration, Head of preservation, registration and scientific-informational department; **Fridon Kardava** – Archives Administration, senior specialist of foreign, public, media relations and documents publication and utilization service; **Nato Kikava** – Archives Administration, senior specialist of foreign, public, media relations and documents publication and utilization service; **Inga Eliava** – senior specialist of preservation, registration and scientific-informational department of Central Archives of Kutaisi; **Tinatin Jabadari** – senior specialist of Contemporary History Archives of National Archives of Georgia; **Tamila Lomtadze** – research fellow of Niko Berdzenishvili scientific-research Institute; **Otar Gogolishvili** – professor of Shota Rustaveli State University; **Jemal Karalidze** – professor of Shota Rustaveli State University; **Tsiuri Katamadze** – professor of Shota Rustaveli State University; **Luba Soloviova** – scientist worker of Miklukho-

Maklai Institute of Ethnology and Anthropology; **Maka Albogachieva** – scientist worker of KunstKamera; **Alla Serdiuk** – professor of Berdiansk State Pedagogical Institute; **Nona Kartsidze** – professor of Akaki Tsereteli State University; **Ekaterine Maisuradze** – doctoral student of Institute of cultural studies of TSU; **Ketevan Khitarishvili** – doctor of history of Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts.

სარედაქციო საბჭო შეიძლება ყოველთვის არ ეთანხმებოდეს ავტორების მოსაზრებებს. ავტორთა სტილი დაცულია.

Editorial board may not always agree with authors opinions.
Authors style is retained.

© აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუცუბო დანესებულება – საარქივო სამმართველო, 2018

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2018

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბაოვსაიას 4 ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30

E-mail: gamomcemlobauniversal@gmail.com; universal505@ymail.com

**ქურთებისა და ჰემშილების ახალშენები
საქართველოში**

საქართველოში ქურთების და ჰემშილების ახალშენები ძირითადად XVII – XVIII საუკუნეებში იქმნება. ჰემშილები გამუსლიმანებული და გათურქებული სომხებია. ქურთების ისტორიული სამშობლოა ქურთისტანი, რომლის ტერიტორია 408 ათას კვ კმ-ს შეადგენს. აგრესორმა სახელმწიფოებმა ქურთისტანი დაიპყრეს და თავიანთ პროვინციად აქციეს. ქურთისტანი და ქურთები ირანის, ოსმალეთის, ერაყისა და სირიის შემადგენლობაში აღმოჩნდნენ. ქურთისტანის ტერიტორიის თითქმის ნახევარი – 194 ათასი კვ კმ ოსმალეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში მოექცა XVI საუკუნიდან. 124 ათასი კვ კმ ირანმა მიიტაცა, ერაყის შემადგენლობაშია 72.000, სირიის – 18.000 კვ კმ (მენტეშაშვილი, 1977:5). 1970 წლისათვის ქურთების რაოდენობა 14 მილიონს შეადგენდა. მათგან თურქეთში–6,5 მილიონი (ქვეყნის მოსახლეობის 18%), ირანში–4,5 მლნ (17%), ერაყში–2,1 მლნ (20%), ლიბანსა და სირიაში–0,5 მლნ (25%). ქურთები ცხოვრობენ აგრეთვე ყოფილ საბჭოთა კავშირში, ჩინეთსა და პაკისტანში (მენტეშაშვილი, 1988:7-8).

ქურთები იყოფიან ბინადარ, ნახევრადბინადარ და მომთაბარე ჯგუფებად. მათი მეურნეობის ძირითადი დარგია მესაქონლეობა და ხელოსნობა (დურგლობა, მჭედლობა. ფეიქრობა და სხვა). მათ აქვთ საკუთარი დედაენა, რომელიც ირანულ ენათა ჯგუფს ეკუთვნის. ამ ენაზე არსებობს მხატვრული ლიტერატურა და ზეპირსიტყვიერება. რელიგიის მიხედვით ქურთები არიან მუსლიმები (უმეტესობა – სუნიტები, მცირე ნაწილი – შიიტები). ქურთების ერთი ნაწილი წარმართებია და ცნობილი არიან იეზიდის სახელწოდებით. მაგრამ მათი რიცხოვნობა მცირეა (70-400 ათასამდე). ქურთების ნაწილი დღემდე ინარჩუნებს გვაროვნულ-ტომობრივ ყოფასა და მმართველობას. ქურთები საუკუნეების განმავლობაში იბრძოდნენ და დღესაც იბრძვიან დამოუკიდებლობისათვის.

ამ ბრძოლის პირველი შედეგი ის არის, რომ ერაყში 1970 წლის 11 მარტს შეიქმნა ქურთების ავტონომიური რესპუბლიკა და საკუთარი ენა სახელმწიფო ენად გამოცხადდა (მენტეშაშვილი, 1978:241). ერაყის ქურთების ავტონომიის ხელისუფლების კადრები დაკომპლექტებულია საკუთარი ეთნოსის ადამიანებით. გარდა ამისა, ერაყის რესპუბლიკის სამი მინისტრის ადგილი გამოყოფილია ქურთებისათვის.

საქართველოში ქურთები ცხოვრობდნენ სამცხე-ჯავახეთში, აჭარაში, არტაანისა და ოლთისის ოკრუგებში. მცირე ნაწილი კახეთში, საქართველოში მცხოვრები ქურთები სარწმუნოების მიხედვით იყვნენ მუსლიმანი სუნიტები, ენოდნენ მომთაბარე ცხოვრებას, ზაფხულობით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთებში მიდიოდნენ, შემოდგომა-ზამთარ-გაზაფხულს – დაბლობ ადგილებში ატარებდნენ. მათი ძირითადი საქმიანობა, როგორც ქურთისტანში, ისე საქართველოში მესაქონლეობა იყო. უპირატესად ჰყავდათ წვრილფეხა რქიანი საქონელი (ცხვარი). საქართველოში 1897 წლის აღწერით 20415 ქურთი ცხოვრობდა. მათგან სამცხე-ჯავახეთში–2206. ბათუმის ოლქში–1811, არტაანისა და ოლთისის ოკრუგებში – 16070, თბილისის გუბერნიაში – 328 ქურთი (КК на 1907 год: 95-97, 112, 114, 116,126, 128, 129-130).

პირველი მსოფლიო ომის წინ (1913 წლის ბოლოს) საქართველოში ქურთების რიცხოვნობა 65909-მდე (3,8-ჯერ) გაიზარდა. რაოდენობრივი ზრდა ძირითადად მოხდა არტაანისა და ოლთისის ოკრუგების ხარჯზე, სადაც მათი რიცხოვნობა 50881 სულს ითვლიდა (74%). ამ რეგიონში ქურთები გადმოსახლდნენ ყარსის ოლქის სხვა ოკრუგებიდან, ოსმალეთის სახელმწიფოდანაც. ასეთი მიგრაცია განპირობებული იყო მომთაბარე ცხოვრებით, პირუტყვის უკეთესი საძოვრების ძიებით. არტაანის ოკრუგი კი შედარებით მდიდარია მდელოებითა და საბალახოებით. ოლთისის ოკრუგში ქურთების რიცხოვნობა 3505-დან 26946 სულამდე (7,7-ჯერ) გაიზარდა, აღნიშნულ ოკრუგში ცხოვრობდნენ საქართველოში მცხოვრები ქურთების 40% (КК на 1915 год:224, 244, 248).

ბათუმის ოლქში ქურთები ძირითადად ცხოვრობდნენ კინტრიშისა და გონიოს საპოლიციო უბნებში, თანამედროვე

ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებში. 1913 წლისათვის ბათუმის ოლქში 2719 ქურთი აღირიცხა (2688 სული–ბათუმის ოკრუგში, ხოლო 31–ართვინის ოკრუგში). 1889 წლის ცნობით ქურთების ახალშენები იყო ჩაქვისთავში (34 კომლი, 145 სული), კახაბერში (110 კომლი, 687 სული), გონიოში (62 კომლი, 234 სული). სპონტანურად სხვა სოფლებშიც ცხოვრობდნენ. ჰემშილების ახალშენები არსებობდა გონიოში (25 კომლი, 108 სული), მაკრიალში (56 კომლი, 200 სული). მთლიანობაში ბათუმის ოლქში ითვლებოდა ჰემშილების 81 ოჯახი 308 სულადობით (KK на 1915 год:224; აცსა, ფ.ი. 81, ან. 1, ს. 25, ფურც. 98, 103).

პირველი მსოფლიო ომისა და გასაბჭოების შედეგად შეიქცვალა საქართველოს ტერიტორია, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ისევ თურქეთმა მიიტაცა. ცხადია, ქურთების და ჰემშილების უმეტესობა თურქეთის სახელმწიფოს ახალ საზღვრებში მოექცა (არტანუის და ოლთისის ოკრუგებში). საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში ქურთები ძირითადად ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში დარჩნენ. 1926 წლის აღწერით საქართველოში 10924 ქურთი ითვლებოდა (7955 მუსლიმანი და 2969 იეზიდი). ისინი განსახლებული იყვნენ თბილისის მაზრასა და ქ. თბილისში, სამცხე – ჯავახეთსა და აჭარაში. მაგალითად, სამცხე-ჯავახეთში 4071 ქურთი ითვლებოდა. ხოლო ახალქალაქის მაზრაში – 973 ხოლო ახალციხის მაზრაში – 3098. მათი ცხოვრების წესი და სამეურნეო საქმიანობა თითქმის უცვლელი დარჩა (აცსა, ფ.რ-178, ან. 1, ს. 56, ფურც. 11; ს. 58, ფურც. 1-12). მათგან ახალქალაქის 118 სოფლიდან ქურთების ახალშენი იყო 12 დასახლება. საზიარო სოფლებშიც კი ქურთებს, გამოცალკევებით საკუთარი დასახლება ჰქონდათ. ქურთების შედარებით მსხვილი ახალშენები იყო სოფლები: მირაშხანი, სადაც 226 მცხოვრებლიდან ქურთი იყო 203; ბეთაყანა (162 დან 151); ნაქალაქევი (438 დან 437).

ახალქალაქის მაზრასთან შედარებით ახალციხის მაზრაში ქურთების საერთო რიცხოვნობა და ახალშენები გაცილებით მეტი იყო. ახალციხის მაზრის 205 სოფლიდან ქურთები

ცხოვრობდნენ 47 სოფელში. მათგან ქურთების ახალშენი იყო 27 დასახლება. ახალციხის მაზრაში ქურთების ახალშენებიდან აღსანიშნავია: ასპინძის თემის სოფლები რუსთავი, ფეროციხე, წყალთვალა; აწყურის თემის სოფელი თისელი, ახალციხის თემის სოფელი წნისი, ზველის თემის სოფელი ახჩა, ტოლობის თემის სოფლები: ზედა ვარძია, თმოგვი, ჯოლდა, უდეს თემის სოფელი ლელოვანი, ურავლის თემის სოფლები: ახალდაბა, გიორგი წმინდა, ენთელი, ვაშლობი, ორხევი, საგულე, ტრიბონი, ტბეთი, ხრიანი, ხერთი; შალოშეთის თემის სოფელი დანიეთი (აცსა, ფ. რ-178, ან.1, ს.58, ფურც.3-12).

აჭარაში 1926 წლის ცნობით ქურთები ცხოვრობდნენ 25 სოფელში (ბათუმის რაიონის 15 და ქობულეთის რაიონის 10 სოფელი). მათი საერთო რიცხოვნობა 3185 სულს შეადგენდა (ბათუმის რაიონში – 2524 და ქობულეთის რაიონში–661 სული). თავისებურება იმაში გამოიხატა, რომ ქურთების რიცხოვნობა გაიზარდა გონიოს, კახაბრის ახალშენებში და, ამასთან შეიქმნა ქურთების ახალი დასახლებანი თხილნარში (56 სული), ჭარნალში (61), ახალსოფელში (47), ხელვაჩაურში (216), იჯადიეში (19), ორთაბათუმში (71) ყარადერეში (82), გელაურში (158), ნაინგლისევი (კინკიში)–94, აჭყვაში (37), ბობოყვათში (26), დიდჯამეში (32), დაგვაში (14), ბუკნარზე (84), ციხისძირში (80) და სხვა სოფლებში. ჰემშილები ცხოვრობდნენ სარფში, ჭარნალში, გონიოში, ხალაში და სხვა სოფლებში, სულ 595 ადამიანი. გონიოს დასახლებაში ჰემშილების რაოდენობა ერთნახევარჯერ 174 სულამდე გაიზარდა (აცსა, ფ.რ-178, ან. 1, ს. 58, ფურც. 150-155). რელიგიური რწმენის მიხედვით საქართველოში მცხოვრები ქურთები იყვნენ როგორც მუსლიმები, ისე იეზიდები. 1913 წელს იეზიდი იყო 25582 ქურთი, საერთო რაიოდენობის 40%. მათი დიდი ნაწილი ცხოვრობდა ოლთისის ოკრუგში (21767 ადამიანი) და შედარებით მცირე (3815) ქ. თბილისში, 49 იეზიდი ახალქალაქის მაზრაში ცხოვრობდა. თითო-ოროლა ქურთი ქრისტიანი რწმენისა იყო (КК на 1915 год; 224, 244, 248).

საქართველოში მცხოვრები ქურთების ყოფა-ცხოვრება და კულტურა დაბალ დონეზე იდგა. მათმა აბსოლუტურმა უმრავლესობამ წერა-კითხვა არ იცოდა. კვლავ ენეოდნენ მომთაბარე ცხოვრებას. მაგალითად, 1936 წელს აჭარაში მცხოვრები 2855 ქურთიდან წერა-კითხვა იცოდა 139 ადამიანი (5%). 1296 ჰემშილიდან—178 კაცი (9%). ქურთებსა და ჰემშილებს შორის საშუალო განათლება მხოლოდ 10 ადამიანი ჰქონდა (აცსა, ფ.პ-1, ან.4, ს. 223, ფურც. 31). მათ ჰყავდათ 50 ათასი სული ცხვრის ფარა, რომელიც ზაფხულობით აჭარისა და ყარსის ოლქის საზაფხულო საძოვრებზე გაჰყავდათ, ხოლო ზამთრობით—დასავლეთ საქართველოს (სამტრედიის, აბაშის, ქუთაისის, ბაღდადის, ცხაკაიას, სენაკის, ლანჩხუთის და სხვა რაიონების) საზამთრო საძოვრებზე. ასეთი მომთაბარე ცხოვრება დაკავშირებული იყო სიძნელებთან და უარყოფითად მოქმედებდა ქურთებისა და ჰემშილების კულტურულ-საგანმანათლებლო და სამედიცინო მომსახურებაზე (აცსა, ფ. პ-1, ან. 4, ს. 223, ფურც. 32).

ქურთების ყოფა-ცხოვრება და საზოგადოებრივი ორგანიზაცია საქართველოში, მათ შორის აჭარაშიც გვაროვნულ-ტომობრივი წყობის ნიშნებს ატარებდა, ცივილიზაციას დიდად ჩამორჩებოდა. XX საუკუნის 30-იან წლებში აჭარის საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობა შეეცადა ქურთებისა და ჰემშილების ბინადარ ცხოვრებაზე გადაყვანის, კულტურისა და განათლების დონის ამაღლებას. 1936 წელს სპეციალური კომისია შეიქმნა, რომელმაც ქურთებისა და ჰემშილების ბინადარ ცხოვრებაზე გადაყვანისა და საბინაოსაყოფა(ცხოვრებო ცხოვრების გაუმჯობესებისთვის პროგრამაც შეიმუშავეს. ამ დროისათვის აჭარაში ქურთებისა და ჰემშილების 752 ოჯახი ითვლიდა (ქურთების 512 და ჰემშილების – 240). პროგრამა ითვალისწინებდა ქურთებისა და ჰემშილებისათვის მიწების გამოყოფას, საცხოვრებელი სახლების მშენებლობას, სამინათმოქმედო იარაღებით უზრუნველყოფას. მათი დასახლების ადგილებში ინფრასტრუქტურის მოწყობას და სხვ. ქურთებისა და ჰემშილების ბინადარ ცხოვრებაზე გადაყვანას, სამეურნეო-კულტურული და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის 625 ჰექ-

ტარი სავარგული გამოიყო (350 ბათუმის რაიონში, ხოლო 275 ჰექტარი ქობულეთის რაიონში). პროგრამა ითვალისწინებდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებასაც (აცსა, ფ. პ-1, ან. 4, ს. 223, ფურც. 29-30, 33-39).

მნიშვნელოვანი მუშაობა მიმდინარეობდა ქურთებისა და ჰემშილების წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის. ამ მუშაობის შედეგად 1937 წლის სექტემბრის მდგომარეობით წერა-კითხვა შეისწავლა 350 ქურთმა და 102 ჰემშილმა. მაგრამ ეს პრობლემა მთლიანად დაძლეული არ იყო, რამდენადაც აღნიშნული მაჩვენებელი ამ კატეგორიის ადამიანების მხოლოდ მცირე ნაწილი იყო. 1937 წლის 22 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის ბათუმის რაიკომმა განიხილა რაიონში ამ მიმართულებით გაწეული მუშაობა. რაიკომის დადგენილებაში ნათქვამია: გარკვეული მიღწევების მიუხედავად ქურთებსა და ჰემშილებს შორის წერა-კითხვის უცოდინარობა 835 ადამიანი. შესაბამის სამსახურებს დაევაღათ მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება და პრობლემის მოკლე დროში გადაწყვეტა. სოფლებში, სადაც ქურთები და ჰემშილები ცხოვრობდნენ, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ახალი ჯგუფები შეიქმნა, დაწყებითი სკოლებიც გაიხსნა და მასწავლებლებიც შეარჩიეს (აცსა, ფ. პ-7, ან. 1, ს. 60, ფურც. 38-39). ანალოგიური ღონისძიებები განხორციელდა ქობულეთის რაიონშიც. მაგალითად ქობულეთის რაიონის სოფელ გელათაურში ქურთებისათვის დაწყებითი სკოლა გაიხსნა, სადაც სწავლა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა.

1937-1938 წლების რესპრესიების შემდეგ ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობაში ახალი კადრები მოვიდნენ. ამის შემდეგ გაუქმდა მანამდე შექმნილი კომისიები და მიღებული დადგენილებები ძალა-დაკარგულად ჩათვალეს. საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა და ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ 1939 წლის აგვისტოში ახალი დადგენილება მიიღეს „აჭარის ტერიტორიაზე მცხოვრები მომთაბარე ქურთ-ჰემშილების მდგომარეობის შესახებ“. დადგენილებით შეიქმნა ახალი კომისია, რომელშიც შევიდნენ მ. გოგოლიშვილი, მ. შარაშიძე და ვ. დვალა. კომისიის 1939 წლის 19 აგვისტოს მოხსენებით ბარათში

მოცემულია ახალი მასალები აჭარაში მცხოვრები ქურთ-ჰემშილების მდგომარეობის შესახებ და დასახულია ამოცანები მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

აღნიშნული კომისიის მასალების მიხედვით 1939 წელს აჭარაში ცხოვრობდნენ ქურთებისა და ჰემშილების 636 კომლი (ბათუმის რაიონში – 588, ქობულეთის რაიონში – 48 კომლი). მათგან 126 კომლს არ ჰქონდა საკარმიდამო მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი (ბათუმის რაიონში 89 კომლს, ქობულეთის რაიონში – 37 კომლს). ჰემშილებსა და ქურთებს 1939 წლის 1 იანვრისათვის ჰყავდათ 34460 სული პირუტყვი. მათგან თხა-ცხვარი 25580 სული. კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო ქურთებისა და ჰემშილების 348 კომლი. დანარჩენები ინდივიდუალურ მეურნეებად რჩებოდნენ. კომისიის დასკვნით მათ უნდა გამოყოფოდათ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები და სახელმწიფო კრედიტი საბინაო და სამეურნეო მშენებლობისათვის. ქურთებისა და ჰემშილებისათვის უნდა გამოეყოთ აგრეთვე საზაფხულო საძოვრები ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, რადგან აჭარის საზაფხულო საძოვრები მეტისმეტად გადატვირთულია პირუტყვით. კოლმეურნეობებს რჩევა მიეცათ შეისყიდონ იმ ქურთებისა და ჰემშილების ნორმაზე მეტი პირუტყვი, რომლებიც კოლმეურნეობებში გაერთიანდებოდნენ (აცსა, ფ. რ-84, ან.1, საქ.870, ფურც.5-7).

ამ ღონისძიებების მიუხედავად, 1944 წელს ქურთები და ჰემშილები საქართველოდან ყაზახეთში გაასახლეს. მოტივაცია ის იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლება ამ ადამიანების სახით საშიშროებას მოიაზრებდა. კერძოდ, მათ ჯაშუშობას აბრალებდნენ თურქეთის სასარგებლოდ. ძნელია იმის თქმა, რამდენად სამართლიანია ეს ბრალდება. მაგრამ 1944 წელს სწორედ ამ ბრალდებით საქართველოდან ყაზახეთსა და შუა აზიაში გაასახლეს ქურთების 1830 და ჰემშილების 304 ოჯახი (სულ 2134 ოჯახი). უმრავლესობა აჭარიდან იყო – 792 ოჯახი ქურთი და 304 ოჯახი ჰემშილი (სმსსა, ს. 80, ფურც. 247-248). საქართველოს მცირემინიანობითა და ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით ეს ღონისძიება დადებით შეფასებას იმსახურებს, რადგან ქურთებსა და ჰემშილებს მიუჩინეს მი-

ნის სავარგულებით მდიდარი და მოსახლეობითაც ერთმორ-
ნმუნე რეგიონები. მაგრამ ხელისუფლების დანაშაულია მათი
საკუთრების უსასყიდლოდ ჩამორთმევა და დეპორტირებისას
არაადამიანური პოლიციური მეთოდების გამოყენება, გასახ-
ლების ადგილებში არანორმალური ცხოვრების პირობები.

XX საუკუნის 50-იანი წლებში საქართველოში ქურთების
ნაწილი, ძირითადად იეზიდები, შემოდინ საბჭოთა კავშირის
სხვა რეგიონებიდან. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების მიერ
ამ დროს რელიგიური კონფესიების მიხედვით მოსახლეობის
აღწერა არ ხდებოდა. 2002 წლის მოსახლეობის პირველი სა-
ყოველთაო ეროვნული აღწერის მიხედვით საქართველოში
მცხოვრები ქურთები წარმოდგენილი არიან ორი ეროვნების
– საკუთრივ ქურთებისა და იეზიდების სახით. მათგან სა-
კუთრივ ქურთი (მუსლიმი) იყო 2514 ადამიანი, ხოლო იეზიდი
– 18329 (მთლიანად 20843 სული).

ამ დროისათვის საქართველოში ქურთების ახალშენები
ალარ არსებობდა. ისინი ძირითადად ქალაქად ცხოვრობ-
დნენ, თით – ოროლა სოფლადაც. მაგალითად, იეზიდების
90% მეტი (17119 ადამიანი) ქ. თბილისში ცხოვრობდა. გარდა
თბილისისა, ქურთები ცხოვრობენ შიდა და ქვემო ქართლში,
კახეთში, იმერეთში, გურიაში, აჭარაში და სხვა რეგიონებში.
კერძოდ, ქვემო ქართლში ცხოვრობდა 463 ქურთი, კახეთში –
495, იმერეთში – 56, გურიაში – 23, აჭარაში – 76. მათგან ქ.
ბათუმში – 69, ხოლო ქობულეთის რაიონში – 7 ქურთი
(სმპსუაშ, ტ. 1, 2003: 110-116). 2002 წლისათვის საქართვე-
ლოში მცხოვრები ქურთები თავისუფლად ფლობენ ქართულ
ენას, ათვისებული აქვთ ქართული კულტურა და ადათ-წესე-
ბი, მათი ნაწილი მუშაობს სამეცნიერო, კულტურულ-საგან-
მანათლებლო და სამეურნეო დაწესებულებებში. ეს ერთხელ
კიდევ ადასტურებს ქართველი ხალხის კეთილგანწყობილე-
ბასა და კეთილმოსურნეობას უცხოელების, ამ კონკრეტულ
შემთხვევაში, ქურთი ეთნოსის მიმართ.

თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებულ ყურადღებას იმ-
სახურებს სამცხე-ჯავახეთიდან ქართველების გასახლება,
რომლებიც მაშინ თურქი ეროვნების სახით იყვნენ წარმოდ-
გენილი. მოსახლეობის 1926 წლის აღწერის მიხედვით მეს-

ხეთ-ჯავახეთში 175910 მცხოვრებლიდან 31918 ქართველი იყო (რეგიონის მოსახლეობის 18,3%). ქართველები ძირითადად ახალციხის მაზრაში სახლობდნენ (24353 სული). თურქებად იყვნენ აღრიცხული 56110 სული. მათგან თარაქმა იყო 4628 ადამიანი. დანარჩენი გენეტიკურად ქართველი იყო, რომელთა დიდი ნაწილი ახალციხის მაზრაში ცხოვრობდა (აცსა, ფ.რ-178, ან. 1, ს. 58, ფურც. 1-5, 12). 1944 წელს მესხეთ-ჯავახეთში 208 116 ადამიანი ითვლებოდა. მათგან ქართველი – 19 734, გაცილებით ნაკლები, ვიდრე 1926 წელს, სომეხი – 88 047, თურქებად შერაცხული ქართველები – 87168 ადამიანი (შსსა, ფ. 14, ან. 18, ს. 266, ფურც. 17). სახელმწიფო უსაფრთხოების მოტივაციით 1944 წელს საქართველოდან ყაზახეთსა და შუა აზიაში გაასახლეს 19818 ოჯახი. თათრებთან, ქურთებთან და ჰემშილებთან ერთად გაასახლეს თურქებად შერაცხული ქართველების 14493 ოჯახი (სშსსა, ს. 80, ფურც. 244). რომლებიც მოგვიანებით ხელოვნურად თურქი მესხის სახელწოდებით შერაცხეს. ე. წ. „თურქი მესხები უზბეკეთის რესპუბლიკის ფარგანის ოლქში ჩაასახლეს. ტანჯვა-წვალების მიუხედავად, მათ ფერგანის ოლქში სანიმუშო საოჯახო მეურნეობა მოაწყვეს, მაგრამ 1991 წელს უზბეკეთიდან ე.წ. „თურქი-მესხები“ ძალით აყარეს და ქვეყნიდან გამოაძევეს. საქართველოს სახელმწიფომ ვერ შეძლო მათი მიღება და რესპუბლიკაში დაბინავება. რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ისინი თავის ტერიტორიაზე დაასახლა.

„თურქი-მესხების“, ქურთებისა და ჰემშილების დეპორტირება ანტიჰუმანური აქტია და ეწინააღმდეგება ადამიანის უფლების ევროპული სტანდარტებს. მეორეს მხრივ განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს ქურთებისა და ჰემშილების დეპორტირების საკითხი. მართალია, უარყოფითად უნდა შეფასდეს მათი დეპორტირებისას გადატანილი ტანჯვა – წვალება და საკუთარი უძრავი ქონების კონფისკაცია. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველო არ ყოფილა ქურთებისა და ჰემშილების ისტორიული სამშობლო. მათთვის სულერთი იყო სად იცხოვრებდნენ. ამასთან, ყაზახეთი და შუა-აზია მდიდარია მიწით და როგორც იქაური მოსახლეობა, ისე

ქურთები და ჰემშილები რელიგიითაც ერთმორწმუნე იყვნენ. „თურქი მესხები“ ისტორიული ბედუკულმართობის შედეგად მათი ცნობიერების შერყევის მიუხედავად, გენეტიკურად ქართველები არიან და საკუთარი საცხოვრებლიდან ამ ადამიანების დეპორტირება დანაშაულია და იგი შავ ლაქად დარჩება ქართველი ერის ისტორიაში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (სსსსა), ფონდი (ფ.) 31, ანაწერი (ან.) 1, საქმე (ს.) 80; ფ. 14, ან. 18, ს. 266.
2. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (აცსა), ფ. ი-81, ან. 1, ს. 25.
3. აცსა, ფ. რ-178, ან. 1, საქმეები (სს) 56, 58.
4. აცსა, ფ. რ-84, ან.1, ს.870;
5. აცსა, ფ. პ-1, ან. 4, ს. 223.
6. აცსა, ფ. პ-7, ან. 1, ს. 60.
7. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის არქივი (ასმა), სს. 172, 216;
8. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი საყოველთაო ეროვნული აღწერის ძირითადი შედეგები, ტ. 1, თბილისი, 2003 (სმპსეაძმ);
9. ა. მენთეშაშვილი, ქურთები და ქურთისტანი. გამომ. „მეცნიერება“. თბილისი, 1977: (მენთეშაშვილი, 1977:)
10. ა.მენთეშაშვილი, ახლო აღმოსავლეთის ქურთების ისტორიის საკითხები, გამომ. „მეცნიერება“. (თბილისი, 1978 (მენთეშაშვილი, 1978).
11. Кавказский календарь на 1907 год. Тифлис, 1906 (КК 1907 год)
12. Кавказский календарь на 1915 газ. Тифлис, 1913 (КК, на 1915 год).

Otar Turmanidze

Kurds and hemshiles settlements in Georgia
Summary

Kurds and Hemshiles settlements are found in Georgia in the XVII-XVIII centuries. It lasted in the nineteenth century and the 40s of the 20th century. Kurdish homeland is Kurdistan. From this they were settled in different countries of the world, including Georgia. The Kurds and Hemshiles lived in Georgia in Samtskhe-Javakheti, Ajara, Ardahan, Oltisi and Artvini. In article is discussed about cultural and educational situation.

თამაზ ფუტკარაძე

ეთნიკური ისტორიის, იდენტურობისა და კულტურული მემკვიდრეობის საკითხები ცენტრალური ლაზეთის პოლიეთნიკურ საზოგადოებაში

*ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის
„ისტორიული ქანეთის ცენტრალურ ნაწილში დაცული
ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები-ს“
ფარგლებში*

საგრანტო პროექტი N217910

ლაზები ერთ-ერთი ელვინიზებული ხალხია თანამედროვე თურქეთში, რომელთა საცხოვრისი ისტორიულად პონტოდ ნოდებული ლაზეთია (პონტო ბერძნულია და ნიშნავს ზღვას, პონტო-ზღვისპირა მხარე). იგი მოიცავდა დღევანდელ ქალაქებს: ტრაპიზონს, რიზეს, ორდუს, სამსუნს, სინოპს. ლაზებმა უდიდესი როლი შეიტანეს მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში. ისინი არაერთხელ მოვევლინენ ისტორიას, როგორც სახელმწიფოს ჩამომყალიბებელ-საფუძველჩამყრელი ეთნოსი.

ლაზეთისა და ლაზების ეტიმოლოგიური წიაღსვლები-სათვის საინტერესო ინფორმაციაა დაცული სტრაბონის გეოგრაფიაში. ტრაპეზუნდთან მცხოვრები ქალდეველების საცხოვრისის აღწერისას სტრაბონი ეტიმოლოგიურად ერთმანეთს უკავშირებს სიტყვებს: ქალდებს, ხალიბებს, ალიბეს, ალაზონებს და ამაზონებს. ის ქალდებს ალაზონების//ალიზონების სახელით მოიხსენიებს. მისი აზრით ქალდები იგივე ალიბებია, ალიბები კი ალიზონები//ალაზონები//ამაზონები. სტრაბონი მიიჩნევს, რომ ცნობილი ამაზონი ქალები ქალდების ტომს ეკუთვნოდნენ. ალაზონების ტომის საცხოვრისად იგი საზღვრავს შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს – სინოპსა და ტრაპეზუნტს შორის მდებარე ტერიტორიას.

რიას. სტრაბონი ალაზონებს ხალიბების (ხალდეების//ქალდევეების) ტომის წინაპრებად მიიჩნევდა, რომლებიც მოგვიანებით ქანებად იწოდნენ (სტრაბონი, XII:3-2). ძვ. წ. VI-IV საუკუნეებისათვის სინოპეს რეგიონი დასახლებული ყოფილა მეტალურგი ხალიბებით (გ. გოზალიშვილი, 1965:22), რომლებიც მოგვიანებით ლაზებად იწოდებიან. მათი საცხოვრისი მდ. გალისიდან (ჰალისიდან) ვრცელდებოდა ტრაპეზუნტისაკენ.

ლაზთა//ქანთა სამკვიდრო ტერიტორიაზე მითრიდატე პონტოელის ინიციატივით ლაზებმა ჩამოაყალიბეს სამეფო. პონტოს სამეფო ფაქტობრივად იყო ლაზების ქვეყანა, რომელიც ახლო აღმოსავლეთში ჰეგემონობისათვის ბრძოლაში წარმოადგენდა რომის ერთადერთ მოწინააღმდეგე სახელმწიფოს. ქსენოფონტეს ცნობით ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველური ტომები (ქარდუხები, ტაოხები, ქალდეები) არმენიელებისაგან განსხვავებით დაუმორჩილებლნი იყვნენ (ქსენოფონტი, 2010:137). ლაზები ბოლომდე იბრძოდნენ რომის ექსპანსიის წინააღმდეგ. ევროპულ (განსაკუთრებით ბერძნულ) სამეცნიერო ლიტერატურაში ლაზების მიერ პონტოს სახელმწიფოს ჩამოყალიბების ისტორიულ ფაქტს არც თუ ისე იშვიათად ყურადღების მიღმა ტოვებენ.

ანალოგიური მოსაზრებებია გამოთქმული ქართულ ისტორიოგრაფიაში. ნ. მარის თქმით “ქანები თავიანთ თავს უწოდებენ ლაზებს“. მეცნიერს თან ახლდა ლაზი ფევიზი-ბეი, რომელსაც მისთვის უთქვამს: “კონსტანტინოპოლში ლაზებს უწოდებენ შავიზვისპირეთის მცხოვრებთ, სამსუნელებსაც და სინოპელებსაც. სინოპელები ლაზებად მოიხსენიებენ სამსუნელებს, სამსუნელები კი ტრაპეზუნტელებსო“ (გ. გოზალიშვილი, 1965:194). ქალდიას “ყველა ქართველი ტომების სამშობლოდ“ მიიჩნევდა ივ. ჯავახიშვილიც (ი. ჯავახიშვილი, 1951: 424).

ქართული სახელმწიფოს ძღვევამოსილების ეპოქაში თამარ მეფის მხარდაჭერით ლაზებმა მე-13 ს. დასაწყისში ხელახლა შექმნეს ლაზთა სახელმწიფო – ტრაპიზონის იმპერია. წამყვანი როლი ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში ითამაში ქართულმა სამეფომ თამარის მეთაურობით, რომელმაც თავისი საგარეო-პოლიტიკური აქტიურობით,

სელჩუკების წინააღმდეგ წარმოებული წარმატებული ბრძოლებით და პირდაპირი სამხედრო დახმარებით ხელს უწყობდა ტრაპიზონის გარშემო პონტოს მოსახლეობის კონსოლიდაციას (КАРПОВ С. П. 1981:5). რადგან ქართველებს კონსტანტინოპოლის დაკავება დაასწრეს, თამარის გეგმა შეიცვალა და 1204 წელს საქართველოს სახელმწიფომ შექმნა ტრაპიზონის იმპერია, ანუ ქართველებმა შექმნეს საკუთარი ბერძნულ-ლაზური იმპერია (გიორგი მახობეშვილი, რატომ აღმოჩნდა ქართველების მიერ ტრაპიზონის იმპერიის დაარსება შეცდომა. <http://tbilisebi.ge/index.php?newsid=268447214>). ბერძნული არისტოკრატიისა და სამხედრო რესურსის დიდმა ნაწილმა კონსტანტინოპოლის სამხრეთ-აღმოსავლეთით გადაინაცვლა და დააარსა ნიკეას იმპერია.

ახალი სახელმწიფოს დაარსება (რომელიც ფაქტობრივად, მე-12-13 სს. მიჯნაზე წარმოადგენდა ნახევრად დამოუკიდებელ ფეოდალურ სამთავროს) იყო ბიზანტიის დეცენტრალიზაციის ხანგრძლივი პროცესის შედეგი. ახალ სახელმწიფოს პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „ლაზეთის იმპერია“, ვინაიდან ეს ტერიტორია ისტორიულად ქართული (ხალდურ-ხალიბურ-ჭანურ-ლაზური) იყო. ტრაპიზონის საკეისროში აბსოლუტური უმრავლესობა (ან, დიდი უმრავლესობა მაინც) – ეთნიკურად ქართველი – ლაზები და ჭანები ცხოვრობდნენ, თუმცა, ქალაქებში დიდი რაოდენობით სახლობდნენ ბერძნები ან ელინიზებული ქართველები, სომხები, ებრაელები (გიორგი მახობეშვილი, რატომ აღმოჩნდა ქართველების მიერ ტრაპიზონის იმპერიის დაარსება შეცდომა. <http://tbilisebi.ge/index.php?newsid=268447214>). ჯვაროსანთა ლაშქრობების პარალელურად იმპერიაში ძლიერდება სეპარატისტული ტენდენციები ლაზებით, ბერძნებითა და სომხებით დასახლებულ პონტოს (ხალდიის) ტერიტორიაზე (КАРПОВ С. П. 1981:5).

კონსტანტინეპოლი ჯვაროსნებმა საფრთხის წინაშე დააყენეს. სწორედ მაშინ შეიჭრა ქართული სახელმწიფო პონტოს ბიზანტიურ ტერიტორიებზე. ქართულ სამხედრო ძალას დაფუძნებული კომუნოსებისა და ქართველები მომხრე ძა-

ლების მოქმედებით შეიქმნა ტრაპიზონის იმპერია (ელდარ მამისთვალიშვილი, 2013 / 2014:88-89). ჯარის ძირითადი კონტინგენტი შედგებოდა ქართველებისაგან. აღნიშნულის შესახებ შთამბეჭდავ ინფორმაციას იძლევა თამარის ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოძღვარი: „მოინიეს ოდესმე ჩვეულებისა-ებრ ქველის-მოქმედებათათჳს ამისა მონაზონნი შავისა მთისა, ანტიოქიით და კუპრისა ჭალაკით, ეგრეთვე მთანმიდით და მრავალთა ადგილთათ. შეიწყნარა თამარ ჩვეულებისაებრ ვითარ ანგელოზნი, და მრავალ დღე არა გაუშვნა, მერმე მისცნა ყოველთა დიადდი, და აღავსნა ყოველთა საჭმრითა, უკანასკნელ მათგან უფრო შორიელთა მისცა დიდძალი ოქრო, თვთ მათთჳს და ყოველთა მონასტერთა განსაყოფელად. ნარვიდეს მონაზონნი იგი და მიიწივნეს რა კონსტანტინეპოლედ, ესმა მეფესა ბერძენთასა ალექსის, ანგარსა, რომელმან ძმასა თჳსსა ისაკს თუალნი დასწვუნა და მეფობა წარულო... იხილა სიდიდე იგი ოქროსა, რომელი მიეცა თამარს და წარულო მათ მონაზონთა. ცან რა ესე თამარ მეფემან, ნაცვლად სხუა უფროსი წარგზავნა მათ წმიდათა მიმართ, და ამით უმეტეს არცხვინა ეშმაკი. ხოლო განრისხნა მეფესა ზედა ბერძენთასა, წარგზავნა მცირედნი ვინმე ლიხთ-იქითნი,² და წარუდეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, სინოპი, კერასუნდი, კიტიორა, ამასტრია, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლალონისა და პონტოსანი, და მისცა ნათესავსა თჳსსა ალექსის კომნიანოსსა, ანდრონიკეს შვილსა, რომელი იყო მაშინ თვთ წინაშე თამარ მეფისა შემოხუენილ (ქართლის ცხოვრება, 1959:142-143).

ტრაპიზონის იმპერიის განვითარებაში საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღოდა ბერძნულ-ბიზანტიურ სამხედრო, სავაჭრო, საზღვაო რესურსს, რა თქმა უნდა, ქართველ მოსახლეობასთან ერთად. ქვეყანაში სახელმწიფო ენა ბერძნული იყო, რის გამოც, მკვიდრი ლაზები, კულტურითა და შეგნებით, თანდათან უფრო შორდებოდნენ დედასამშობლოს. მათი ელინიზება (გაბერძნება) გრძელდებოდა. ტრაპიზონი პირდაპირ რომ შემოეერთებინათ, სახელმწიფო ენა ქართული იქნებოდა, მეტად გავრცელდებოდა ქართული სალიტერატურო ენა და კულტურა და, რაც მთავარია – ქართული

თვითშეგნება. ქართველმა პოლიტიკოსებმა მაინც „საბერძნეთად“ ჩათვალეს ლაზეთი. მომდევნო საუკუნეებში ქართველი მოგზაურები და მწერლები ტრაპიზონს „ბერძენთა მეფის საჯდომად“ მიიჩნევდნენ (გიორგი მახლობეშვილი, რატომ აღმოჩნდა ქართველების მიერ ტრაპიზონის იმპერიის დაარსება შეცდომა.

[http://tbiliselebi.ge/index.php?newsid=268447214\)](http://tbiliselebi.ge/index.php?newsid=268447214)

ტრაპიზონის იმპერიის დაარსების ისტორია გამოწვევით შეისწავლა ზურაბ ავალიშვილმა და ისტორიული წყაროების მოშველიებით ამ საქმეში ობიექტურად წარმოაჩინა თამარ მეფისა და ქართველების წვლილი (ზ. ავალიშვილი, 1989:52-98).

რუსულ და თურქულ ინტერნეტსაიტებზე, ცალკეულ პუბლიკაციებში ჩნდება ყალბი ვერსია იმის შესახებ, რომ ტრაპიზონის იმპერია თითქოსდა თურქების აქტიური მონაწილეობითა და მხარდაჭერით შეიქმნა (Лазы – незаслуженно замалчиваемый историками «евроцентристами» выдающийся народ-государственный <https://kavkazplus.com/news.php?id=2476#.W3xXJiQzbiU>).

თურქ ისტორიკოსებს შორის შეიძლება დავასახელოთ ანკარის უნივერსიტეტის ან გარდაცვლილი პროფესორი ფაჰრეთინ კირზიოღლუ, რომელიც სტატიამში „შავი ზღვის რეგიონის თურქული ტომების შესახებ, ლაზთა და ჰემშინეების მოკლე ისტორია“ – ისტორიული წყაროების უხეში დამახინჯებითა და თურქული იდეოლოგიის დამკვიდრების მიზნით ცდილობს ლაზები თურქული მოდგმის ხალხად გამოაცხადოს, ისტორიული წყაროებით დამტკიცებული ჭეშმარიტება კი შეთხზულად (ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემებში, თბ. 2015, გვ.407). ტრაპიზონის იმპერიასაც ზემოთდასახელებული ავტორი თურქების დამსახურებად მიიჩნევს.

თანამედროვე თურქი მეცნიერები ტერმინ ლაზეთსა და ლაზისტანს გაკვრით ახსენებენ. ლაზისტანის მაცხოვრებლებს ისინი "ყარადენიზელებს" (შავიზღვისპირელებს), უწოდებენ, რითაც სურთ წაშალონ ლაზების იქ ცხოვრების კვალი. ზოგი ავტორი იქ მცხოვრებთა შორის მართალია ლაზებსაც ასახელებს ჰემშილების, პონტოს ბერძნების, თურქების გვერდით, მაგრამ მათ უმცირესობის სახით წარმოაჩენენ.

ჩვენ სარწმუნოდ მიგვაჩნია მეცნიერებაში არსებული შეხედულება იქ მცხოვრები გაბერძნებული და გასომხებული ლაზების არსებობის შესახებ, რომლებიც წარმოადგენენ ლაზისტანის, მათ შორის ცენტრალური ლაზეთის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას. ამდენად, ლაზეთისა და ლაზების ნაცვლად ყარადენიზისა და ყარადენიზელების გამოყენებით ვერ შეიფუთება რეალური ისტორია და საკვლევ რეგიონის ეთნიკური სურათი.

ტრაპიზონის იმპერიის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით ისტორიოგრაფიაში არის განსხვავებული შეხედულებები. მაგ. გერმანელი მეცნიერი ი. ფალმერაიერი მპერიის წარმოშობას შინაგან კანონზომიერებებს უკავშირებდა. მისი აზრით პონტოელები ადრიდანვე ფიქრობდნენ დამოუკიდებელი „სავაჭრო“ რესპუბლიკის ჩამოყალიბებას. იმპერიის ჩამოყალიბების მოტივად ავტორი თვლის კონსტანტინელელების მიერ პონტოელთა უფლებების ხელყოფას, თურქ-სელჩუკების მძარცველური თავდასხმებისა და „ქართველების პრეტენზიებისაგან“ თავდაცვის აუცილებლობას (Fallmerayer J., 1844:55-56).

ფალმერაიერის გავლენით მცდარ დასკვნებს აკეთებდა ზოგიერთი სხვა მეცნიერიც. მხედველობაში გვაქვს ჯ. ფინლეის გამოკვლევები, რომლებშიც უარყოფილია ქართველების წვლილს ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაში (Finleu G. 1851:317-318)

განსხვავებული მოსაზრება განავითარა აკად. ა კუნიმა. მისი აზრით თამარის ამოცანა იყო სელჩუკების წინააღმდეგ ჩამოეყალიბებინა ქრისტიანული სახელმწიფო ბოსფორსა და მცირე აზიაში. წრორედ მისი ინიციატივითა და აქტიურობით დაარსდა ტრაპიზონის იმპერია (Куник А., 1854:705-733). ბერძნებმა არ გაიზიარეს ეს შეხედულება და ცდილობდნენ დაემტკიცებინათ კონსტანტილეპონიდან გამოსულეების წამყვანი როლი. მათი აზრით ლაზები იყვნენ მხოლოდ დაქირავებული მეომრები (С. Карпов, 2007:25-38).

კომპრომისული მოსაზრება განავითარა ინგლისელმა მეცნიერმა უ. მილერმა. იგი იმპერიის დაარსებაში თანაბარ როლს ანიჭებდა როგორც ქართველებს, ისე ადგილობრივ მოსახლეობას (Miller W., 1926:15). უსპენსკის აზრით კი ბერ-

ძნები შეადგენდნენ ტრაპიზონის მოსახლეობის ნახევარზე ნაკლებს. აღმოსავლეთ ნაწილში უმრავლესობა ლაზები იყვნენ, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ელინიზმის ინტერესებს. იმპერიის დაარსებაც ელინიზმის ინტერესებთან მოდიოდა წინააღმდეგობაში. ამავე დროს, თამარ მეფის ინტერესებში შედიოდა შავიზღვისპირეთის ამ რეგიონებში გაბატონება, რაც წარმოადგენდა მისი მამის პოლიტიკის გაგრძელებას, რომლის ჯარებმაც თავის დროზე ერზრუმამდე და ტრაპიზონამდე მიაღწიესო (Ф. Успенский, 2007:479-480). ქართველების წამყვან როლს ამ პროცესებში აღიარებენ აგრეთვე ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიც არიან ა. ვასილიევი (Vasiliev A. A. 1936:18-20), კარპოვი (С. Карпов, 2007), მ. ლევჩენკო (Левченко М., 1940:234), ალენი (Allen W., 1932:108), მელიროვი (იხ. КАРПОВ С. П., 2007:89), კ. სალია (Salia K., 1971:181-183), ნ. ბერძენიშვილი, ვ. დუნდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი (ნ. ბერძენიშვილი...,1962:203-204), მ. ლორთქიფანიძე (მ. ლორთქიფანიძე, 1974:161) და ა. შ.

ამდენად, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ტრაპიზონის იმპერია თამარის დახმარებით შეიქმნა და მასში ჭარბობდა ლაზური (ქართული) ელემენტი. ცხადია, ახლადგამოჩენილ თურქებს აწყობდათ ბიზანტიის წინააღმდეგ ახალი პოლიტიკური ერთეულის ჩამოყალიბება, მაგრამ ტრაპიზონის იმპერიის ჩამოყალიბებაში მათ დამსახურებასა და ტრაპიზონის იმპერიის, როგორც „თურქულ-ქართული“ სახელმწიფოს შესახებ გამოთქმული ვერსიები (მათ შორის ცნობილი ისტორიკოსის უსპენსკის მოსაზრებანი, Ф. Успенский, 1948) ჩვენის აზრით ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. რაც შეეხება ლაზთა სახელმწიფოს განადგურებას, მე-15 ს. შუა ხანებში, ეს ნამდვილად იყო ოსმალთა „დამსახურება“.

ტრაპიზონის დაცემისას 1461 წლისათვის, რეგიონის მოსახლეობის თითქმის 100% ქრისტიანი (მართმადიდებელი) იყო (<http://tao-klarjeti.com/portal/en/2013-04-23-14-11-18/machuka>). უფრო მეტი, XIII-XV საუკუნეებშიც კი პონტოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთნიკურად ქარ-

თველები (ლაზები) იყვნენ. რეგიონის სანაპირო ზოლში მცხოვრებთ ლაზებს უწოდებდნენ, მთიან ზოლში მაცხოვრებლებს კი ჭანებს (Жордания, 2002:131-137). ეთნონიმების „ჭანეთი“-ს და „ჭანიკა“-ს გავრცელება შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ლაზებისა და ჭანების იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული, რაც თავის მხრივ საფუძვლად დაედო იმას, რომ როგორც შუა საუკუნეების, ისე თანამედროვე უცხოელ ავტორთა ნაწერებში ერთი და იგივე მნიშვნელობით გამოიყენებოდა ტერმინები: ლაზი, ჭანი, ლაზიკა, ჭანეთი, ლაზისტანი, ჭანიკა და ა. შ. (Жордания, 2002:131-137). თავად ლაზი ავტორები თავიანთ გამოკვლევებში ხაზს უსვამენ ლაზების კავკასიურ წარმომავლობას (Aksoylu K., 2010:23-25), ემიჯნებაიან საერთო ქართული წარმომავლობის იდეას, რაც ჩვენის აზრით მხოლოდ პოლიტიკური კონიუქტურითაა ნაკარნახევი და თურქეთის პოლიტიკური ელიტის იდეოლოგიის გავლენასა თუ შიშს უნდა მიენეროს.

ოსმალთა დაპყრობების შემდეგ იწყება ქრისტიანული მოსახლეობის ისლამიზაციის პროცესი. ოსმალები ატარებდნენ მეტად მზაკვრულ და ცბიერ პოლიტიკას, რომლის მიხედვით მუსლიმებს ქრისტიანულ ქალაქებში ასახლებდნენ და პირიქით, ქრისტიანებს ოტომანთა ისლამურ ნაწილში. ამის შედეგად, 1486 წლის აღწერით, ქალაქის მოსახლეობის უკვე 19% იყო მუსლიმი და 81% – ქრისტიანი (მართმადიდებელი) (<http://tao-klarjeti.com/portal/en/2013-04-23-14-11-18/machuka>). რიზეს რეგიონში 1486 წლისათვის იყო 5378 ქრისტიანული ოჯახი. მათი რიცხვი 1520 წლისათვის გაიზარდა 6706-მდე, მაგრამ 34 წლის შემდეგ, 1554 წლის მონაცემებით ქრისტიანი მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა 4860-მდე (გიორგი ანდრიაძე, 2012: 9). საკუთრივ ტრაპიზონში, 1486 წლისათვის ცხოვრობდა 2474 მუსულმანური და 59620 ქრისტიანული ოჯახი, ხოლო თორულში ხუთი მუსულმანური და 1087 ქრისტიანული ოჯახი (გიორგი ანდრიაძე, უცნობი ისტორიული საქართველო, თბ. 2012, გვ. 18). დაახლოებით ასეთივე სურათია 1523 წლისათვის. მე-16 ს. 20-იან

ნლებში ტრაპიზონის მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი ქრისტიანია (გიორგი ანდრიაძე, 2012:18). ეს განპირობებული იყო იმით, რომ ოსმალური პოლიტიკის ცბიერების მიუხედავად იწყება შიდა მიგრაციული პროცესები, რომლის მიხედვით ქრისტიანებმა ისევ დაიწყეს ტრაპიზონში დაბრუნება. შესაბამისად, იქ მუსლიმანთა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა (14 პროცენტამდე). მზაკვრულ პოლიტიკას მრავალეთნიკური თურქეთის პოლიტიკური ელიტა ატარებდა და ატარებს თანამედროვე პერიოდშიც. ეს არის ეთნიკური ნიშნების ნაშლისა და იძულებითი ასიმილაციის ცბიერი და შორსგამიზნული პოლიტიკა.

მსგავსი სურათია ცენტრალური ლაზეთის სხვა დასახლებულ პუნქტებში. მაგ. ჯანჯაში – (კარე – ი ნეფსი ჯანჯა//დღევანდელი გიუმისხანეს ცენტრი) 1554 წ. მოსახლეობის 78 პროცენტი ქრისტიანია და 22 პროცენტი მუსულმანი (გიორგი ანდრიაძე, 2012:45). ხელისუფლების წინაშე რეალურად დადგა საშიშროება, რომ თორული, ტრაპიზონი თუ სხვა დასახლებული პუნქტები ქრისტიანული აღმსარებლობის მოსახლეობის სამკვიდროდ იქცეოდა. ხელისუფლებამ გაატარა დეპორტაციის ხელშემწყობი ღონისძიებანი, რის შედეგადაც საგრძნობლად მოიმატა მუსულმანების რიცხვმა. 1553 წლისთვის მუსლიმიებისა დაქრისტიანის თანაფარდობამ შეადგინა 47/53%, ხოლო 1583 წლისათვის – 46/54% (გიორგი ანდრიაძე, 2012:45). აღწერის მასალებში ცალკე ჯგუფების სახითაა წარმოდგენილი მუსლიმანები, სომეხი ქრისტიანები და ქრისტიანები. ქრისტიანებში სავარაუდოდ უნდა იგულისხმებოდნენ ბერძნები და ლაზები.

სად წავიდა დანარჩენი ქრისტიანი მოსახლეობა? უნდა ვივარაუდოთ, რომ ნაწილი ამოწყდა, ნაწილმა განიცადა ასიმილაცია, ნაწილი კი გადმოსახლდა საქართველოში.

მოსახლეობის „ნებაყოფილებითი“ ისლამიზაციისათვის ოსმალეთის ხელისუფლება იყენებდა ეკონომიკური იძულების ბერკეტებს, ქრისტიანს გაცილებით მაღალ გადასახადს ახდევინებდა, ამავე დროს ცალკე გადასახადს უწესებდა ღორსა და ვენახზე, მიწას აძლევდა იმას, ვისი შვილიც ასკერში იმსახურებდა, ასკერში კი მხოლოდ მუსულმანს ეძე-


ლეოდა სამსახურის შესაძლებლობა. მუსულმან ყმებზე ქრისტიან თავადს ბატონობის უფლება ერთმეოდა. თავადაზნაურობა საკუთარი მამულებიდან აყრა-გადასახლების რისკის ქვეშ დადგა. ამიტომაც იყო, რომ ლაზების გარკვეული ნაწილი საქართველოს შიგა პროვინციებში გადმოსახლდა, დარჩენილები კი გამუსულმანდნენ და თანდათან გათურქდნენ. ა. ბრაიერის თქმით მკვიდრი მოსახლეობის გამუსულმანება დიდ სიძნელეებს წააწყდა (A. Bryer. 1988:24). გამუსულმანების მიუხედავად მოსახლეობა ინარჩუნებდა ენას. ნაწილი მოსახლეობისა ფარული ქრისტიანი იყო, ნაწილი კი ღრმად მორწმუნე მუსულმანი გახდა.

აღნიშნული პროცესების შესახებ საინტერესო ინფორმაციებს გვანვდის ჯ. პალგრევევი, რომელიც 1867 წლიდან ტრაპიზონში ბრიტანეთის კონსულის თანამდებობას იკავებს. მისი ინფორმაციით, „ორივე სქესის მცხოვრებთა საერთო როიცხვი 850 000-ს აღწევს; მათ შორის დაახლოებით 56 ათასი ქრისტიანია. ამ უკანასკნელთა 2/3 თავის თავს ბერძნებს უწოდებენ. დანარჩენები სომხებია“ (აზიის თურქეთისა და ბათუმის ოლქის აღწერის მასალები, ანგარიშები ჯიფორდ პალგრევევისა, 1882:4). პალგრევევის ინფორმაციით, მაჰმადიანი მოსახლეობა ძირითადად ლაზებისაგან შედგება. „ეს მშვენიერი რასაა, წერს პალგრევევი, ისინი კარგი მხვანელ-მთესველები და გამოცდილი მეზღვაურები არიან... შემდეგ თავისი მნიშვნელობით მოდის თურქმენტა ელემენტი. ეს რასა ლაზებთან შედარებით უხეშია როგორც ფიზიკურად, ისე ზნეობრივად... აღმოსავლეთ საზღვარზე ბევრია ქართველი ტომობრივად თავისი ყველა კარგი და ცუდი თვისებით. თურქული წარმოშობის მუსულმანთა ოჯახები კი გაფანტულია მთელ ოლქში. უკანასკნელ წლებში მათ მიემატათ კავკასიიდან გადმოსახლებული ჩერქეზებისა და აფხაზების დიდი ნაწილი (მუჰაჯირები, თ. ფ.), აგრეთვე ცოტა ლეკები, სულ 11 ათასი ოჯახი... ამ რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე ყირიმელი თათრები და რუსეთიდან გამოქცეული კაზაკების პატარა კოლონია“ (აზიის თურქეთისა და ბათუმის ოლქის აღწერის მასალები, ანგარიშები ჯიფორდ პალგრევევისა, 1882:4-5).

ბრიტანეთის საგარეო უწყებისათვის 1867 წლის 17 აპრილს მოზადებულ სპეციალური ანგარიშში ჯ. პალგრევი საუბრობს ტრაპიზონის ქურუმლების შესახებ. პალგრევის თქმით ქურუმები – სოფელ ქურუმლის მცხოვრებნი (მდებარეობს ტრაპიზონსა და ერზრუმს შორის), შეადგენს 2000 კომლს (10 000 სულს. (A. Bryer, 1988:65). მისივე ინფორმაციით, 1829 წელს, როდესაც რუსებმა აიღეს თავად ქურუმლიც, მათი დიდი ნაწილი გადასახლდა რუსეთის კავკასიაში, კერძოდ საქართველოში. ქრისტიანებად გამოცხადების შემდეგ მათ შეეძლოთ არა მარტო სამხედრო სამსახურისადმი თავის არიდება, არამედ რუსეთის პროტექტორატის ქვეშ განთავისუფლებულიყვნენ ოტომანთა წინაშე არსებული ნებისმიერი ვალდებულებისაგან. რუსეთის ასეთი გააქტიურება, რომელიც მოგვიანებით ბუმერანგივით ისევ ქურუმლებს შემოუბრუნდათ ტრადიციული რუსული თვითმყრობლური პოლიტიკის გამო, აღიზიანებდა არა მარტო თურქეთს, არამედ დასავლეთსაც. ცხადი იყო, რომ ქურუმლები გამოვიდნენ "პაიკების" როლში დასავლეთის, რუსეთისა და ოტომანთა იმპერიის დიდ პოლიტიკურ თამაშში (<http://tao-klarjeti.com/portal/en/2013-04-23-14-11-18/machuka>)

პალგრევი ქურუმლებს ქსენოფონტეს მოლაშქრეთა მემკვიდრეებად მიიჩნევს და კრიპტოქრისტიანებად მოიხსენიებს. ბრაიერის აზრით კი ისინი არ არიან რომელიმე ერთი კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები. იგი გულისხმობს ბერძნებს, ლაზებს (ქართველი, ლაზი), ჰემშინებს, რომლებიც ზამთრის ველებზე იყვნენ ფარული ქრისტიანები, ზაფხულის მაღალმთიან საძოვრებზე მცხოვრებნი კი ქრისტიანები (<http://tao-klarjeti.com/portal/en/2013-04-23-14-11-18/machuka>).

ცხადია, მთაში მოსახლეობა უფრო თავისუფალი იყო. მათ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ გადასახადები და ქრისტიანებიც მთებში აფარებდნენ თავს. ცენტრალური ლაზეთის ქრისტიანთა ცენტრი იყო სუმელას (ლაზურად "სამება") მონასტერი, სადაც 1900-იან წლებშიც კი კრიპტოქრისტიანები მიდიოდნენ აღმსარებლობისათვის.



სუმელას მონასტერი

რუსეთ-თურქეთის 1853-1856 წლების ომის შემდეგ, კრიპტოქრისტიანების ნაწილი რუსეთის იმპერიაში (საქართველოში) გადმოსახლდნენ. რუსეთის მხარდაჭერით მათი გადმოსახლება არაერთხელ განხორციელდა. რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წწ. ომის დროს პონტოელებმა თავის გადაარჩენის მიზნით დაიწყეს თავშესაფრის ძებნა. ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებით რუსეთს იმპერიაში (თბილისის გუბერნიაში, ქვემო ქართლში, თრიალეთში) უნდა გადაესახლებინა პონტოელი ბერძნები (Πονтийские греки: **думаем вернуться в Грузию**, www.pravda.ru/world/formerussr/georgia/12-07-2012/1121807-pontis_greeks-0/), თუმცა ბერძენთა გარკვეული ნაწილი მანამდეც (1813 წ.) ჩასახლდა ნალკაში. ერთ-ერთი ნაკადი 1916 წელს შემოვიდა. ზოგიერთი ავტორი მათ ქალდეველებად მოიხსენიებს (<http://tao-klarjeti.com/portal/en/2013-04-23-14-11-18/machuka>). ნიშანდობლივია, რომ ნალკიდან ნასულ ბერძნებს დღეს საბერძნეთსა და კვიპროსში "პონტიელი ქართველების" სახელით მოიხსენიებენ.

პალგრეევის ცნობით ფარული ქრისტიანები ცხოვრობდნენ შემდეგ დასახლებულ პუნქტებში: ქურუმლი, იაგილდერე, სტარვი ზიგანითურთ, სანტა, ქალდია (გუმშიხანე), თორული, მაჭკის ველი, ანუ ვაზელონის ეპარქია, სუმელას ეპარქია, გალიანას ხეობა, ანუ პერისტერეოტას ეპარქია, ლერის (ლორის) ველი, კელკიტი; ჭერიანა, ჭანჭრაკი, ბუ-

ლანჩაკი, ანუ დასავლეთ გირესუნი, საკუთრივ ტრაპიზონი (A. Bryer. A. 1988:32).

ცენტრალური ლაზეთის პროვინციებიდან ფარული ქრისტიანებით გამორჩეული იყო თანამედროვე მაჩკა, რომელიც მაჭუკის სახელით მოიხსენიება. ლაზთა ისტორიის ეს მონაკვეთი შეიძლება სწორედ მაჩკის მაგალითზე განვიხილოთ. მაჩკელების ცენტრი იყო ვაზელონის მონასტერი. ბრაიერის აზრით, ყველაზე მეტად სწორედ მათ შეინარჩუნეს ქრისტიანობა. 1857 წლისათვის აქ მოსახლეობის 89 პროცენტი ქრისტიანია (<http://tao-klarjeti.com/portal/en/2013-04-23-14-11-18/machuka>).

ა. ბრაიერის აზრით, მაჭკის სამხრეთ და აღმოსავლეთ საზღვრებზე, 1000 მ სიმაღლეზე ზემოთ, ბერძნული დასახლებების გამოჩენამდე – XVII საუკუნეში პონტოს სოფლის დასახლებები მოწყობილი იყო კავკასიურ ყაიდაზე (გვაროვნული კლანები, თემური მოწყობა და ხევისბერის ინსტიტუტი), რაც სრულიად უცხოა ბიზანტიური კულტურისათვის. მისი აზრით, ამ ადგილებისა (ტრიკომია, მაჭკა, გემორა თუ სურმანია) და ადამიანთა სახელები ძალიან ჰგავს ქართული დასახლებების სახელებს (<http://tao-klarjeti.com/portal/en/2013-04-23-14-11-18/machuka>).

ბრაიერი მოიხსენიებს ტოპონიმებს: **ჭანიჭა-ჭანიჭათი**-არგროპოლის-გიუმისხანე ანუ "ვერცხლის ქალაქი"; **ჭოითურა**, **ჭერიანი-ჭერიანა**-ულუშირან, **ჭითე**-ბუიუკჩით, **ჭითა**-დირლიკ; ე.წ. "პონტოს კარიბჭე" – "პარჭარია"; **ჭიმპიკა**-ზუმბიკა; **იმერა** თავისი ცნობილი საძოვრებით "**ვაჟას**" მთაზე; დორილა-თორული; მოგვიანებით ისლამური ფუნდამენტალიზმისადმი ერთგულებით გამორჩეული **ოფლისი**-ოფი, **ჩაიკარა**, **თორნიკე**, **დოუბერა**-ლივერა-იაზლიკ და მრავალი სხვა, თუმცა ამ ტოპონიმების კავკასიურ (ქართულ) წარმომავლობაზე ავტორი არაფერს ამბობს (<http://tao-klarjeti.com/portal/en/2013-04-23-14-11-18/machuka>).

თანამედროვე საქართველოში მრავლადაა ლაზურ-ჭანური ტოპონიმიკა: **ჭანიეთი**, **ჭანიეთური** – სოფლები გურიაში (ოზურგეთი); **ჭანისწყალი** – მდინარე სამეგრელოში (წალენ-

ჯიხის, ჩხორონწყუსა და ხობის რაიონებში) (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 1987:382); **ჭანიშვილი** – გვარი გურიისა და ა.შ. ქვემო მაჭკის ძირითადი საქმიანობა იყო მევენახეობა-მელვინეობა და ნაკლებად, ზეთის ხილის წარმოება. ღვინო განთქმული იყო მთელი შავი ზღვის სანაპიროზე XIII-XVII საუკუნეებში, რის შესახებაც დღემდე შემორჩა ზეპირი ისტორიები, რომლის შესახებაც მინიშნებით საუბრობდა ზოგიერთი რესპონდენტი. მაჭუტელების მმართველი იყო ჭანიჭიტას საგვარეულო, რომელსაც ი. ჯავახიშვილი ჭინჭაძეებთან აიგივებს (ივ. ჯავახიშვილი, 1982:147-148). თურქი ავტორის მ. გოლოღლუს მტკიცებით ეს საგვარეულო აშკარად პროქართული იყო (Gologlu M., 1973:186-188). შუა საუკუნეებში ქართული გვარების ერთი ნაწილი „თი“ სუფიქსით ბოლოვდებოდა, რის თვალსაჩინო დასტურია „ტბეთის სულთა მატინანე“-ში დაფიქსირებული ათეულობით გვარი ("ტბეთის სულთა მატინანე", 1977:162-63; 157).

ისმება კითხვა: ვინ არიან მაჩკელები? მართალც განეკუთვნებიან თუ არა ისინი ისეთ სუბეთნიკურ ჯგუფს, როგორებიც არიან გურულები, ოფელები და ჰემშინლები, რომელთა საზოგადოებები უკვე იშლებოდა XIV ს-ში? ამ შემთხვევაში რა გარე ფაქტორებმა ითამაშა როლი მათი საზოგადოების შეცვლაში? ბრაიერის აზრით მაჭკების საგვარეულოს კლანური მოდელი უთუოდ ახლოს არის კავკასიურ გვაროვნულ მოდელებთან. იმ დროის ყველა მოგზაური ადასტურებს ლაზური ენის ქართულ წარმოშობას. ავტორი ყურადღებას ამახვილებს პატრონყმობის ინსტიტუტზე, რომელიც ქართული სინამდვილისათვის იყო დამახასიათებელი (A. Bryer. 1988:79). მიუხედავად ამისა იგი დ. უინფილდთან ერთად, მის მიერვე გამოთქმული მოსაზრებების საწინააღმდეგოდ მაჭკელებს ალბანელების შთამომავლებად მიიჩნევს, რაც რა თქმა უნდა საეჭვოა და დამატებითი კვლევებს საჭიროებს.

ისლამიზაციის სასტიკი და ცბიერი პოლიტიკის გატარების მიუხედავად ცენტრალურ ლაზეთში მე-20 ს. 20-იან წლებამდე უმცირესობის სახით, მაგრამ მაინც შემორჩა ქრისტიანული მოსახლეობა, ზემო მაჩკაში კი ქრისტიანები იმ დრო-

ისათვის საკმაოდ მრავლად იყვნენ შემორჩენილნი. ასიმი-
ლატორულმა პოლიტიკამ განსაკუთრებული სისასტიკით
იჩინა თავი 1930-40-იან წლებში. 1938 წ. კანონით ეროვნულ
უმცირესობებს აეკრძალათ გაერთიანებების შექმნა. იგუ-
ლისხმებოდა რელიგიური გაერთიანებაც. ეროვნული უმცი-
რესობების მოაზრევნე ნაწილს ძალად აწერიებდნენ გან-
ცხადებას, რომ ისინი იყვნენ თურქები, სკოლებში იკრძალე-
ბოდა არათურქული სახელმძღვანელოების გამოყენება,
ვინც არ საუბრობდა თურქულად, მინისტრთა საბჭოს მიერ
მიღებული კანონის ძალით შესაძლებელი იყო მათი გადასახ-
ლება თურქულ დასახლებულ პუნქტებში, ფართოდ იყენებ-
დნენ რეპრესიულ მეთოდებს (დაპატიმრება, ყალბი ბრალდე-
ბები სახელმწიფო ლაღატისა თუ ხელისუფლების წარმო-
მადგენელთა მიმართ ტერორის განხორციელების მცდელო-
ბა) და ა. შ. (Новейшая история, 1955:243-245). არც თუ იშვია-
თი იყო ეროვნულ ნიადაგზე ეთნიკური უმცირესობების
წარმომადგენლებს შორის დაპირისპირებათა ინსპირირება.
ამის მიუხედავად თურქეთის ხელისუფლებამ ბოლომდე ვერ
მოახერხა ლაზების ასიმილაცია. მაჩკაში მცხოვრები ერთ-
ერთი რესპონდენტი, რომელიც თავს ლაზად მიიჩნევს, ხაზ-
გასმით აღნიშნავს, რომ ლაზები „ასიმილირდნენ“, მეორე
რესპონდენტი კი მართალია თავს თურქად მიიჩნევს, მაგრამ
აღიარებს, რომ „დედეს დედეს დედე იყო ლაზი“.

სოფ. ჰამსიქოიში (დელრი მენდერეს ხეობა) (ჰამსი ხუთს
ნიშნავს. იგი 5 სოფელს აერთიანებს: ზავერი//დიქქოი, ფარ-
კნალი//გიუზელ იაილა, მელანლი, ჩიჰარლი და ჰამსოქოი)
მცხოვრები 82 წლის რესპონდენტის ნური ერდოღანის ინ-
ფორმაციით, მისი წინაპრები ლაზები იყვნენ და ტრაპიზო-
ნის სოფელ ტონიიდან ავიდნენ. მთხრობელი ლაზისტანის
საზღვრებსაც აზუსტებს. „ლაზისტანი იწყებოდა სამსუნი-
დან ხოფამდე და ზღვისპირეთიდან თორულამდე. თორულ-
ში, მაჩკაში, ტონიაში, ალასარსა და ჩებილში სულ ლაზები
არიანო“, ამბობს იგი.

მსგავსი შეხედულებებია ქარაბანას ხეობის სოფლების:
დუზქოის, ქალკიას, ჰამენიას, ჰალქოის, ესკილარის, ჰორო-
ვის, მუჩურას მოსახლეობაშიც. დუზქოის მცხოვრები ჰამით
ალთინ დაში (79 წლის) ადასტურებს სოფელში ბერძნების

ცხოვრების კვალს, ხოლო ამჟამად იქ მაცხოვრებელ თურქებს შუა აზიიდან მისულად მიიჩნევენ. მთხრობელი არ გამოორიცხავს წარსულში ლაზების მკვიდრობას: „იტყვიან, ზღვისპირეთი ლაზებისააო. ყველა შავიზრვისპირელს ლაზს ეძახიან, მაგრამ დღეს არ არიან, შესაძლოა ასიმილირდნენო“. იგივე აზრისაა სუმელას ხეობის სოფ. კირატაში მცხოვრები რესპონდენტი. მისი თქმით იქ კი ცხოვრობდნენ ბერძნები, მაგრამ „ათათურქმა გარეკა და ეხლა ყაიბოლდო“ (აღარ არიანო, თ. ფ.)

თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური ელიტა დღესაც ცდილობს თურქული ცნობიერების ჩამოყალიბება-გამნტიკიცებას ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებში, ასახლებს მათ თურქებით დასახლებულ პროვინციებში, ცვლის ანთროპონიმას (გეოგრაფიული სახელები, ადამიანთა სახელები) და ა. შ. რასაც სამწუხაროდ მოაქვს გარკვეული შედეგები პანთურქიზმის იდეოლოგიის სასარგებლოდ.

б) прилагательными *multus, multiplex, par*; в этом случае актуализируется противопоставление *один – много*; многочисленный, разнообразный; равный, одинаковый: *Unus multorum* «Один из многих»; *Doctrina multiplex, veritas una* «Учений много, истина одна»; *Primus inter*

pares «Первый среди равных» (таковым считался монарх среди равных себе в феодальном государстве);

в) наречиями *saepe*, *semper* выражается оппозиция *один (раз) – часто; вечно, всегда*: *Deliberandum est saepe, statuendum est semel* «Рассуждать часто – решать один раз»; *Semel malus semper malus* «Однажды плохой – всегда плохой»;

г) числительными *decem*, *centum*; в этих случаях числительные обозначают большое количество, т.е. формальные противопоставления компонентов *один – десять; один – сто* по своему содержанию выражают оппозицию *один – много*: *Semel scriptum, decies lectum* «Раз написано –десять раз читаемо»; *Unum castigabis, centum emendabis* «Одного накажешь – сотню исправишь».

Кроме того, в паремиологическом корпусе латинского языка существуют пословицы, в которых компонент «один» может иметь и другие смысловые нагрузки. В данной группе компоненты *unus* (*primus*) могут иметь следующие значения:

а) инициатива; начало дела, отсчета времени; установленный срок и т.д.: *Alium silere quod voles, primus sile* «Если хочешь, чтобы молчали, молчи первым»; *Prima facie* «На первый взгляд»; *Primum vivere, deinde philosophari* «Сначала жить, потом философствовать»; *Primus in orbe deos fecit timor* «Первый, кто создал Богов на земле, был страх»; *Primus sapientiae gradus est falsa intellegere* «Первая ступенька к мудрости – понимание ложного»; *Unius verbi damna grandia ferre* «За одно слово нести большие наказания»; *Unus dies gradus est* «Один день – ступенька <жизни>»;

б) краткий интервал времени: *Fungus una nocte nascitur* «Гриб за одну ночь вырастает», т.е. зло растет быстро;

Quam primum «Как можно раньше»;

в) единство, единогодушие: *Una voce* «Одним голосом», т.е. единоголасно;

г) идентичность: *Unum et idem* «Одно и то же»;

д) значимость качества в противовес небольшому количеству: *Unum, sed leonem* «Одного, но льва».

Установлено также, что компонент *unus* может нести в себе смысловую нагрузку одиночества, репрезентируясь при этом прилагательным *solus*: *Homo solus aut Deus, aut daemon* «Человек один <без общества>) или Бог, или демон.

Кроме того, нами выявлены случаи употребления компонента *unus* в значении «никто», «ничто»: *Testis unus, testis nullus* «Один свидетель – не свидетель»; *Una hirundo non facit ver* «Одна ласточка не делает весну»; *Una virtus, nulla virtus* «Одна добродетель – не добродетель»; *Unus vir, nullus vir* «Один воин – не воин»; *Vox unius, vox nullius* «Голос одного – голос никого». Как видно из вышеприведенных примеров, компонент *unus* противопоставляется компоненту, выраженному прилагательным *nullus*.

Проведенное нами исследование позволяет сделать следующие выводы:

1. Концепт числа занимал важное место в латинской языковой картине мира.

2. Концепт числа *unus* в латинских поговорках вербализуется различными нумерологическими компонентами: числительными *unus, primus, semel*, наречием *primum*, прилагательным *solus* или аллюзивно.

3. В латинских поговорках ярко выраженная ядерная часть концепта числа *unus* символизирует собой, прежде всего, начало, находясь в противопоставлении к концепту

числа «два» (*duo, alter, bis*) и множеству предметов или явлений объективного мира.

4. Достаточно весомую долю составляют паремии с числительным *unus*, обозначающие собой незначительность или даже отсутствие лица или объекта. Считаем, что такое значение также можно отнести к ядру концепта.

5. Хотя в лексикографических источниках указано на то, что в ядерную часть концепта числа *unus* входит также значение одиночества, на материале латинских паремий такая репрезентация зафиксирована только одна.

Исходя из этого, мы считаем перспективными дальнейшие исследования этого концепта на материале латинских исторических и художественных источников, а также изучение других нумерологических компонентов в структуре латинских пословиц.

Литература:

1. Цеханская К.В. Почитание православных святых в России. М.: Паломник, 2013. С. 8.
2. Цеханская К.В. Иконопочитание в русской традиционной культуре. М., 2004. С.
3. Грузинская икона Пресвятой Богородицы // Православный церковный календарь. <http://azbyka.ru/days/ikona-gruzinskaja>; Сайт «Крестобогородский храм» // <http://krestobogorodsky.ru/gruzinskaya-ikona-bozhiej-materi/>
4. Гусева Э. К. Грузинская икона Божией Матери // Православная энциклопедия. М.: Православная энциклопедия, 2008. Т. 13. С. 188–190.
5. Гусева Э. К. Грузинская икона Божией Матери. С. 188–190.

6. Козаржевский А.Ч. Московские святцы: Православный месяцеслов. М., 2005
7. ¹Сайт «Крестобогородский храм» // <http://krestobogorodsky.ru/gruzinskaya-ikona-bozhiej-materi/>; Народный каталог православной архитектуры <http://sobory.ru/article/?object=05464>
8. Забавнов С. Грузинская-Раифская икона Божией Матери // <http://spbda.ru/news/a-3231.html>
9. В Раифском монастыре прошло чествование Чудотворной Грузинской иконы Божией Матери // <http://zpravda.ru/novosti/item/6661-v-raifskom-monastyire-proshlo-chestvovanie-chudotvornoj-gruzinskoj-ikony-bozhiej-materi.html>
10. Чубинашвили Г.Н. Грузинское чеканное искусство: Исследования по истории грузинского средневекового искусства. Тбилиси, 1959; Гусева Э.К. Из истории почитания на Руси иконы Богоматери Грузинской и ее грузинском прототипе // Древнерусское искусство. Искусство XVIII – 1-й половины XIX в.: Сообщения Гос. Третьяковской галереи. М., 1995. С. 6–14.
11. Справочно-информационный портал «Алчевск православный» // <http://alchevskpravoslavniy.ru/molitvy/molitvy-ko-presvyatoj-bogorodice-pred-ee-ikonoyu-gruzinskaya.html>

**პათუმი გალაკტიონ ტაბიძის პირად
ჩანაწერებში**

მწერლისა და საზოგადო მოღვაწის პირად ჩანაწერებს, როგორც შინაარსის, ისე ფორმის თვალსაზრისით, ყოველთვის წინასწარ დაუგეგმავი, სრულებით განსხვავებული სტრუქტურა აქვს. ის მოღვაწის ბუნებისა და ხასიოთის, მისი ინტერესთა სფეროს, ერთი სიტყვით, ფსიქოლოგიური პორტრეტის საშური წყაროა. ამ სახის საარქივო მასალა სრულებით განტვირთულია საზოგადოებრივი დაკვეთებისა და ხშირ შემთხვევაში, კონიუნქტურული წნეხისგან, თუ, რასაკვირველია, საქმე არ გვაქვს ე. წ. ანთროპოლოგიურ კატასტროფასთან. მაგალითად, საბჭოთა სინამდვილეში საკუთარ პირად ჩანაწერშიც ვერავინ ბედავდა, ბოლომდე ყოფილიყო თავისუფალი. საყოველთაო ტერორის პირობებში თითქმის გაქრა ან უკიდურესად შემცირდა პირადი, მათ შორის პირადი ჩანაწერების სივრცეები. მაგალითად, ყოფილა შემთხვევები, როდესაც იმ პერიოდის არაერთი მოღვაწის (ანა ახმატოვა, ოსიპ მანდელშტამი...) მთელი შემოქმედება დაუხეპირებიათ მათ ოჯახის წევრებს თუ მეგობრებს და თვით არტეფაქტები კი გაუნადგურებიათ.

ერთი მხრივ, ჩანაწერების, ფორმის თვალსაზრისით სტრუქტურულად რთული, თეზისური სისტემა ბევრი მოღვაწისთვის, ჩვენს შემთხვევაში გალაკტიონისთვის რომ იყო ნიშნული, და, მორე მხრივ, კომფორმისტული ტექსტები, რომელთაც სხვაგვარი წაკითხვა სჭირდება, შესაძლოა, სწორედ ზემოთ მოყვანილი ამ ფაქტორებისთვის მიგვეწერა.

გალაკტიონ ტაბიძის დღიურები მეტად მრავლფეროვანი ტექსტური და სტრუქტურული ქსოვილით გამოირჩევა, მათი კომენტირება და ინტერპრეტირება, სრტუქტურირება და ტენდენციების გამოყოფა ავტორის რთული ფსიქიკის კვალსაც ირეკლავს და დიდი საზოგადოებრივი წნეხის პირობებში სათქმელის კოდირება-შეფარვით თვითგამოხატვის მეთოდსაც. მეოცე საუკუნის, განსაკუთრებით კი 30-იანი წლების შემდეგ შესრულებული პირადი ჩანაწერები სრულიათ განსხვავებულ წაკითხვასა და აღქმას, სათქმე-

ლის შრეებად დაშლას საჭიროებს.

ზოგადად ჩვენამდე მოღწეულია გალაკტიონ ტაბიძის დღიურები 1910-იანი წლების მიწურულიდან მისი სიცოცხლის ბოლო წლამდე. დღიურის რეგულარული წარმოებაც პოეტის ფსიქოლოგიური ტიპის მიმანიშნებელია.

საგულისხმოა, რომ გალაკტიონის პირად ჩანანერებში ბათუმის ხსენება 30-იანი წლებიდან იწყება. სწორედ ეს არის ყველაზე რთული და საინტერესო ეპოქა პოეტის ცხოვრებაში. ამ პერიოდს მიანერენ მისი შემოქმედების სრულიად განსხვავებულ პერიოდს, როდესაც მისმა ლექსმა ერთგვარი კონიუნქტურული ხარკის სიმძიმე იტვირთა. დღეს გალაკტიონის შემოქმედების მეორე, ე. წ. საბჭოთა ეტაპზე რადიკალური მოსაზრებებიც არსებობს, ზოგიერთი მკვლევარი მისი პოეზიის მთავარ მომხიბვლელობას მხოლოდ ბგერწერილობის ტექნიკით შემოფარგლავს (მაგალითად, „რა სიმშაგით ღრიალებენ ღორები ...“).

1936 წელს, როდესაც ქვეყანაში მძაფრი ტერორი იკრეფდა დაღალას, გალაკტიონს, რომელსაც, ბუნებრივია, დიდი შინაგანი ბრძოლები ექნებოდა, თავის დღიურში ჩაუწერია:

„ბათუმში ვათვალიერებდი „ქართველ მწერალთა ანტოლოგიას“: იქ სამი ახალგაზრდა ჰკითხულობდენ გრიშაშვილის ლექსს:

- ო, ეს მამადალლი! რა ნიჭიერია, რომ ეხლაცა სწერდეს.. – სთქვა ერთმა.

- გალაკტიონ ტაბიძე და მაგი, აი, ძმაო, – დაუმატა მეორემ, – პირველები არიან.

- გალაკტიონ ტაბიძე მაგასთან სად მივა, – შეაწყვეტინა მესამემ.

- გალაკტიონ ტაბიძე ეხლა რომ სწერს, ისე კი არ სწერდა – სთქვა მეორემ...

მე არ შეუმჩნევივართ, მაგრამ საგულისხმო საუბარი კი იყო. დავიმახსოვნოთ!

მე მგონია, ეს გრიშაშვილის, შანშიაშვილის, ყანწელების და სხვების პოზიციის გამოძახილია.

ეხლანდელმა მათმა მდგომარეობამ ცოტათი აამაღლა ისინი, მაგრამ როდემდის?

ეხლა მე ვიცი, დაპყრობილი პოზიციების გამაგრება რო-

გორ უნდა.

რათაც არ უნდა დაჯდეს, უნდა ავალაპარაკო ყველა ჩემს პოეტურ მიღწევებზე, რომელთაც მარხავენ.

საღამოთი ვილაპარაკე მწერალთა შეხვედრაზე ბევრი, ძალიან ბევრი, შევეხე მრავალ საჭირობოროტო საკითხებს.

ბოლოს ვილაცაის ერთი შეკითხვა:

- რატომ იყო რევოლიუციამდე თქვენი ლექსები უფრო დახვეწილი, ვინემ რევოლიუციის შემდეგ?“

პოეტი, ბუნებრივია, ამ კითხვას პასუხს ვერ სცემს. საჭიროდ კი მიიჩნევს მის ჩანიშვნას უბის წიგნაკში, ეს აზრის, ერთგვარი ტენდენციის გამოხატვაა, ეს ერთგვარი მეთოდია, სხვას ათქმევინო შენი სათქმელი. 1937 წელს პოეტს თავის დღიურში ასეთი ფრაზა ჩაუწერია: „ეპოქა იშვა და გაიზარდა!“ ავტორი შესანიშნავად გრძნობდა, რომ 1937 წელს ამ ხელოვნურად ნაშობ ეპოქას დიდი გასაქანი და ზრდის წარმოუდგენელი ტემპები და პირობები მიეცა. ამიერიდან ის გარკვევით არაფერს ამბობს პირად ჩანანერებში, მაგრამ უკიდურესი ირონია და სკეპტიზიციზმი, ასეთი დიდი ენერგეტიკით რომ გამოსჭვივის მისი ტექსტებიდან, შესანიშნავად ამხელს მის განწყობებს.

„აგერ ორი ძველის ძველი კაკლის ხე, – ინერს გალაკტიონის უბის წიგნაკში – რამდენჯერ, ჩემს ახალგაზრდობაში, გაგვიშლია სუფრა სწორედ აქ, ამ ორი უზარმაზარი ძველი კაკლის ხის ქვეშ. ეხლა ერთი მათგანის ტანი შემოსილია წითელი მატერიით და ლოზუნგებით: 5 წლიანი გეგმა 4 წელიწადში“. ეს ჩანანერი 1930 წლით თარიღდება.

სარკაზმის კიდევ უფრო მძაფრი ფორმა გვხვდება ერთ უთარილო დღიურში ჩანერილ მცირე ლექსში აჭარის შესახებ:

„[და მშრომელები აჭარისტანის

ასე უთვლიან ამხანაგ სტალინს:

ჩვენ მჭადის ყუას მივაჭმევთ მწვანის,

შენ კი მოგართმევთ ოფლით მოყვანილს

ფორთოხალს, ლიმონს, ჩაის, მანდარინს,

[იქნებ იამოს] როგორც შეფერის შენნაირ [ბელადს] „ბარინს“.]“

ტერორის წლების შემდეგ ხშირად ვხვდებით მკვდარ

სიტყვა-ბლოკებს მის პირად ჩანანერებშიც კი. რადგან ტექსტი რაც უფრო ხმამაღალია, მგზნებარე და პათეტიკური, მით მეტია გადარჩენის ალბათობა.

გალაკტიონის არაერთი რემინისცენცია შექმნილა ბათუმში მოგზაურობისას. 1934 წლის დღიურში ვკითხულობთ:

„ბათომი.

კომისარიატის სახლები: ლენინის ქუჩაზე, სადაც შადრევანია.

Ц. К. Партии по ул. Коминтерна. დუმბაძესთან 2 საათზე.

დიდი თეატრი. კომინტერნის ქ. (ოპერეტა).

გან. სახ. კომ.

- რობაქიძე სად წავიდა?

- მე არ ვიცი, სად წავიდა!

- დაუძახეთ, სად წავიდა!

- დოუძახეთ, სად წავიდა.

- დედამინაში წავიდა,

ქვესკნელ მინაში წავიდა,

ბებიაშისთან წავიდა -

გიტლერის ბანაკს წავიდა.

წავიდა, აღარ მოვიდა!

ჰოოოი!

- იქ გრიგოლი რას აკეთებს?

- მე რა ვიცი, რას აკეთებს.

- დაუძახე, რას აკეთებს.

- დაუძახე, რას აკეთებს.

ჰიტლერის საქმეს აკეთებს,

ფაშისტის საქმეს აკეთებს,

ლალატობს ჩვენს საქართველოს,

პურმარილს ჩვენსას ლალატობს,

ლალატობს, კიდევ ჯალათობს.“

ამ რითმულ-პოეტურ წამღერებაში დიდი გულისტკივილი და, რაც ყველაზე სამწუხარო, მაგრამ მოსალოდნელია, უკვე ჩანს საბჭოთა პროპაგანდის ანაბეჭდები.

უძმძიესი ტერორის პირობებში, სწორედ 1936-1937 წლებში, გალაკტიონს რამდენჯერმე უნევს ბათუმში ყოფ-

ნა. ამ პერიოდის ჩანაწერები ძირითადად ეხება იუბილეებისა და შემოქმედებითი სალამოების მოწყობის საკითხებს. მოგვყავს რამდენიმე ჩანაწერი:

„აჭარისტანისკენ. ბათომი. 4/III. 33 წ.

ჩამოვედი აქ 2 თებერვალს. გავჩერდი სასტუმრო „აჭარისტან“-ში. ვნახე დათიკო დუმბაძე. მან სთქვა, რომ იუბილური მოენყობა 20-24 აპრილში. საიუბილეო კომპანია პრესაში 5 აპრილიდან დაიწყება. მპირდებიან ფულით დახმარებას (ცაკი, გორისპოლკომი და სხვ.). იქნება ჩემი სახელოების ქუჩა, სახლი ქობულეთში და სხვ. და სხვ. თბილისიდან უნდა ჩამოვიდეს სპეციალური პიროვნება ამ საქმისთვისაც. დღეს გემით „საქართველო“ მივდივარ

აფხაზეთში. აფხაზეთში. სოხუმი. 6/III. 33.

რიურიკ ივნივი, ტ. პეტრენკო, ლ. ხრამელი.
ლექსები, ზღვა, ღვინო.

ხვალ გემით „ლენინი“ ვბრუნდები ბათომში, ან ფოთში“.

„16 ენკენისთვე. ქობულეთი

სადგურზე: ა. სადგურის მორიგემ არ იცის, სად არის კურორტთა სამმართველო, კურზალი, სასტუმროები. იგი ცნობისთვის მიმართავს სადგურის ბარგის მზიდავეებს. ბ. ავტობუსები და მელინიეკები. 80 წლის მეეტლე ამბობდა: ერთი ამერიკელი მიმყავდა, რომელმაც მითხრა, რომ ავტობუსებმა იქაც თავი მომაბეზრეს: ლინეიკით მგზავრობა უფრო მიმზიდველიაო. გ. ამინდი კარგია, ცოტა მოღრუბლულობაა. დ. დავბინავდით რივიერაში: მშვენიერი ხედი ზღვაზე. ზღვა წყნარია, ჰაერი თბილი. ე. სადილი კურზალში: პატარა წინილი ღირს 14 მანეთი. ვ. პატარა აჭარელი მონაფე – დურსუნ ბარამიძე დასდევს მწყერებს: – ბევრია? – უუ. აუარება! ისეთი მსუქნები არიან, ისეთი მსუქნები, ერთი ნამცეცა ხორციც კი არა აქვთ. სულ ქონია. აი, ეხლაც ოთხი დავიჭირე – სულ ხელით. – ხელით როგორ? – მწყერები უმთავრესად ბუჩქებზე სხედან. სულ ყრუები არიან. შენ ამჩნევ ბუჩქებში, მიგაქს ხელი, და ისინი კი ვერა გრძნობენ. ზ. სალამო ხანს სასტუმროში: ერმილე ჩიგოგიძე: ამბავი ბენდელიანის, ვილაცა ქურდის, ისტორიკოსი მახათაძის. ბათუმის თეატრის და შჩუსევის ოპერეტისა და დრამის. ვინ

დადის ოპერეტაზე? რატომ არ დადის დრამაზე ხალხი? ამბავი ყოჩაშვილის სიკვდილის. მწყერების ამბავი: ქობულეთს უამრავი მწყერი მოაწყდა. ყანებში ცუდი ამიდი დადგა და მწყერები გასაფრენად ემზადებიან. გადაშლი ვორტენზიის ბუჩქს და იქ რამდენიმე მწყერი მიმალულა. მსუქნები არიან და შორს ველარ მიფრენენ. მეც დავიჭირე გუშინ ორი მწყერიო. ერთი ერთს მივეცი, მეორე მეორეს. იგი მსახურობს კურორტთა სამმართველოში. ქალები დიდ დარბაზში ლოტოს თამაშობენ. მათში ზის ეფთვიმე, სასტუმროს დირექტორი (ის ყოველთვის ლაზლანდარობაშია). იგი გოცებულთა ჩემი ეხლანდელი მატერიალური მდგომარეობით. გ. ბ.-ვმა განსახკომისგან 2.000 მანეთი აიღოო. საბჭოთა აჭარის რედაქტორია დ. დუმბაძე.“

საბჭოთა აჭარა. ბათუმი 25/IX-36.

12 საათზე – დ. დუმბაძემ მიშოვა ერთი დღით სასტუმრო. საღამოთი რვა საათზე შეხვედრა მწერლებთან (არაფერს არ ამბობს საქმეზე). ვნახოთ, რა გამოიკვევა ვახშამზე (მანიძე – მალაშხია).

1 საათზე – ვიყავი თეატრში. ღირს განათებით, მომსახურე პერსონალით 500 მანეთი. 700 ადგილია. ადგილები 12 მანეთიდან 3 მანეთამდე – იძლევა მთელ შემოსავალს – 5.000 მანეთს. ხვალ ჩამოვა თეატრის გამგე – ჭავჭავიძე და გამოიკვევა, მექნება თუ არა 5 ოკტომბრისთვის თეატრი. გალაკტიონი ხშირად მკაფიო აქცენტებს სვამს ბათუმის ინდუსტრიულ საკითხებზე, ის გარეგნული ფორმით დიდი აღფრთოვანებით საუბრობს აქაურ ახალ, მექანიზებულ და ტექნიკისტურ გარემოზე, ალოგიკური სტატისტიკური ელემენტებით არსებული სისტემის უტოპიურობას უსვამს ხაზს:

„ბათუმის [ნავთვადამზიდი] [ნავთვადამდენი] ნავთვამომხდელი ქარხნების მუშა, დომენტი სალუქვაძე ამეტებს ნავთის განმენდის ნორმას, უზრუნველყოფს რა 2.100 ტონა ბენზინის მიღებას წელიწადში, გეგმის ზევით, გარეშე“.

ან კიდევ:

„სალუქვაძემ – [დადგა ზვინი] საქმის ყინი მთელ [ქვეყანას] ქარხანას გააგონა,

უზრუნველყო რა ბენზინი,
ორიათას ასი ტონა..

და ბათუმი[ს] [ქარხნის ნორმა] გეგმა,
ნავთს რომ სწმენდს და ასპეტაკებს,
სალუქვაძეს იცნობს [კაცად] კარგად,
სალუქვაძეს საქმე აქებს.“ 1936

**არის შემთხვევები, როცა გალაკტიონი ჩანანერებში
ბათუმში დაგეგმილ პრაქტიკულ საქმეებსაც ეხება. მა-
გალითად:**

„ბუჰხალტერიას (გ. ტ-ძის დავალება).
გელაპარაკებით გალაკტიონ ტაბიძის სახელით: იგი გატ-
ყობინებს: ვიმყოფები ბათუმში – ფრიად საჭირო საქმეზე.
ვთხოვთ, სასწრაფოდ (დღესვე), ტელეგრაფით გადმომიგ-
ზავნოთ კუთვნილი ხელფასი [ივლისის უკანასკნელისა და
აგვისტოს პირველისა].

ჩვენი მისამართი: ბათუმი (მარქსის №45), სასტუმრო „პირ-
ველი მაისი“, [აკადემიკოსს] გალაკტიონ ტაბიძეს.

**ამუშავებს ტექსტს ბათუმში სიტყვით გამოსვლის-
თვის:**

„უპირველეს ყოვლისა, ნება მომეცით, ჩვენი მწერლო-
ბის სახელით მხურვალეთ მოგესალმოთ. ნება მომეცით,
მხურვალეთ მოგესალმოთ ჩვენი ძვირფასი აჭარისტანის
მშრომელებს, მის ინტელიგენციას, მის მასწავლებლებს“.

**ხშირად გვხვდება ალუზიები ბათუმთან და, ზოგა-
დად, აჭარასთან დაკავშირებული ისტორიული და კულ-
ტურული კომპონენტების შესახებ. მაგალითად:**

„ბათუმი. ჭოროხი. ტყეები.

აჭარელი. მაჭახელა. ჭირი.

Контрабандисты.

ფეშტემალი.

ალიფაშა. ვაშა. ალიფაშა. შადური.

ხასანბეგური და ალიფაშა.

აჭარისტანი.

სირცხვილი... შენ რა გგონია.

ქობი. ჭოროხი. ჭოროხა. ორ-ობი.

ხასანბეგურა და ალიფაშა.

თამადამა.

ჩადრი.

ციტროენი.“

ან კიდევ:

„ზღვაო, ოცნება პოეტის. მზის ამოსვლა ზღვაზე. შრომა მეცნიერებასთან. ოცნება აჭარისწყალთან. მზის ფერადები. სანატორია. ის ადგილები. კაშკაშა მზის მხურვალეობით. სიმფონია მცენარეების. სიმფონია ფესვების. შედუღება ოცნებისა და სინამდვილის. ბუნება მოქანდაკე. მხარე, გეთაყვა. ოქროს ნავს მიესაჭა-რა. ბოსტნიდან. ბობოქარ ტალღებს. დგება შემოდგომა. სამხრეთ დაბლობზე. ქალი ლიმონებში. სხვა ყვავილები. გასწიე ფარდები. ჩვენი ძველი დროშები. სიძველენი. თამარი ზღვის პირად. რუსთაველი ზღვის პირად. აკაკი წერეთელი შავ ზღვასთან. აჭარის სილაყვარდემი. ორმოცი წლის წინად. ძლეული სენი. მოკრძალებით მომაქვს ეს წიგნი“.

რემინისცენციები ჩაის თემაზე, როგორც აჭარა-გურიის არა მხოლოდ აგრარულ, არამედ კულტურულ მაიდენტიფიცირებელზე, ხშირია გალაკტიონის ჩანაწერებში:

„საქ. ჩაი“

1. – მართლაც და, რა უნდა ვქნა... რა ვქნა მაშინ? – ხმამაღლა წამოვიძახე.

- ჩაი უნდა მიირთოთო, – მითხრა მოსამსახურემ.

- ჩაი?!!

ილია ჭავჭავაძე „მე ზავრის წერილები“

ანალოგიური ამბავია. ამ ზაფხულს რაციონალურად გამოყენებულ გეგმებიდან (ვაპირებდი საზღვარგარედ წასვლას, ვფიქრობდი ჩრდილოეთ პოლიუსის რომელიმე ექსპედიციასთან „შალიგინით“ გამე ზავრებას, განზრახული მქონდა მუა აზიაში მოგ ზაურობა და როდესაც არც ერთის განხორციელების პერსპექტივამ არ გამილიმა, ვთქვი: რომელიმე კურორტზე წავალ დასასვენებლად მეთქი... როდესაც არც აქედან გამოვიდა რა [ტფილისიდან ფეხს ვერ ვიცვლიდი] არ იქნა, ტფილისიდან ვერ გავეტიე, მაშინ ხმამაღლა წამოვიძახე: „მართლაც, რა უნდა ვქნა ეხლა?“ „საქართველოს ჩაის პლანტაციების ასანერად უნდა ნახვიდეო“ – იყო პასუხი.

- „ჩაი?“ – დიად, ჩაი. აბა, ეს არის საქმე! ამ მარიამობისთვის სიცხე პაპანაქებაში გალაკტიონ ტაბიძე უნდა გაჰყვეს <...> მალიარიან ჭაობებს [უნდა გადალახოს] მოიაროს გურია, აჭარა, [ოდიში], სამეგრელო და ჩამოიტანოს "ამბავი... ქვეყნის გადარჩენისა". როგორცა სჩანს, არასდროს ბედი მე არ გამილიმებს; უნდა ნავიდე, მეტი რა ჩარაა? შიმშილით ხომ არ მოვკვდები.

2. „- თქვენ ჩაის დაშაქრულს მიირთმევთ თუ კრიპუსტით? – კრიპუსტით, ბატონო, კრიპუსტით“.

3. კალისტრატე ფირცხალაიშვილის წიგნი.

4. საქართველო ამნაირი არ გეგონის იდილია.

5. „ფინჯანი ჩაი“.

6. „ჩაი, ჩაი, სადაც გინდა – იქით წაი“.

7. ძველი კარაბადინი.

8. „ჩაი ლიმნით“, მურაბით.

9. ჩაი ჭიქა – 50 კ.

10. ჩაი-ხანა“.

საგულისხმოა, რომ **დღიურში ჩანერილ ერთ ლექსში ლირიკული მიმართვის ობიექტი ორი ისლამური სახელისა: ხასან და ისმაილ**. ბუნებრივია, რთულია ამ პიროვნებების იდენტიფიკაცია, შესაძლოა, ისინი რეალური პიროვნებები არიან, რომლებიც გალაკტიონს დაამახსოვრდა, შესაძლოა, ლირიკული პერსონაჟები არიან და ამ სახელების მოხმობით პოეტი აჭარულ ეთნო-კულტურულ და ისტორიულ ლანდშაფტში ასე ბუნებრივად ჩანერილ სხვა კულტურულ ელემენტს უსვამდეს ხაზს:

„[ხასან,] მხარევ, გეთაყვა, ცა გაქვს ისეთი –
თითქო ლაჟვარდებს მისტირის ზეთი,
ერთი ღრუბელი ცაზე არა სჩანს,
სახეზე კი გცემს წვიმების წვეთი.

[ისმაილ,] მხარეო, გმადლობთ... გასაკვირველი
ჩვენ შავი ზღვა გვაქვს პირველთ-პირველი.
აქ ყველა მღერის: არაგვის, თერგის,
ენგურის, მტკვრის და ფაზისპირელი“.

გალაკტიონის უბის ნიგნაკებში ერთდროულად ერთმანეთისგან მეტად განსხვავებული განწყობებისა და პოეტური ტექნიკის ნიმუშებს ვხვდებით. პოეტური ნომენკლატურის შემჩნევა პოეტის სტრიქონებზე დღეს თვალნათლივია შესაძლებელი. ჩნდება იმის შეგრძნება, რომ თითქოს პოეტს სურდა ეს პათეტიკური ხმამაღლობა ძალიან აცდენოდა მისთვის ნიშნულ, ბუნებრივ პოეტურ ქსივილს, რომ შემდეგ ამ კონფორმისტულ ნაწიბურებში მარტივი ყოფილიყო ხორბლის გარჩევა ბზისგან. უბის ნიგნაკებიდან ბათუმთან დაკავშირებულ, მაგრამ ერთმანეთისგან ასე განსხვავებულ თითო ნიმუშს მოვიყვანთ:

*„უნდა აჩქარდე – და შენ კი
რომელი ვ ზებით ნახველი?
როგორ რბის, საქართველოს
ახალი ხანა მახვილი -
იქ – სადაც რიონგესია,
ქვეყნის ახალის მნახველი,
ჩვენი ზრდისა და შენების
ურყევი გამომსახველი.
მაგრამ მე მინდა ვახსენო
ბათუმის მშრომელთ უბანი,
სად დღესაც მებრძოლ მუშათა
სისხლი სჩანს გადაუბანი.
მუნ აზნავთშენი შენდება,
განცვიფრდეს მისი მნახველი,
ჩვენი ზრდისა და შენების
ურყევი გამომსახველი“.*

ამ სტრიქონებიდან არაერთი სიტყვა-ბლოკის მონიშვნაა შესაძლებელი, მთელი ეპოქის დისკურსს რომ ასახავს და ამ ლოზუნგურ ხმამაღლობაში მართალი პოეტური ენერჯის მცირედი შეგრძნებაც კი არ ჩანს. სამაგიეროდ, გვხვდება ასეთი სტრიქონები, ბათუმის სულიერ და ფიზიკურ სახეს ასე მოხდენილად რომ აღწერს და დასწრების საოცარ ეფექტს რომ უქმნის მიყურადებულ მკითხველს. გალაკტიონის 1944 წლის ეს სტრიქონები ფარად მორგებულ პოეზიას ასე მარტივად ჩქმალავს:

„აჭარის მსუბუქი მთები. და შორს, ძლიერ შორს კავკასიონი.

უნაზესი ჰაერი.

ეს ციხის ძირია.

მშვენიერი პალმები.

ზღვის ქვების ორნამენტი.

ცისფერი გორტენზია.

ყველგან როდედენდრი.

უზარმაზარი ევკალიპტები.

მთების ხაზები – მიეშურებიან ჰაერში.

კურორტები.

ვილლები, დაკიდებულნი მწვანეში.

ლიანებში ჩაფლული.

ჩრდილში გაჭრილი გზები.

ეს მხიარული ბავშებია. კისკისებენ.

ფორთოხლები.

მანდარინები.

სახურავები, რომლებზედაც ადის ბოლი.

წითელ ქვიშიანი ბილიკები.

თითქო არვინაა, მაგრამ ყველგან ხალხია.

ფლორა: ფიჭვნარი, ცაცხვები და ალვის ხეები.

მაგნოლიები, დაფნა, კიპარისები.

კრიპტომერიები.

ათასნაირი წიწვი.

Ливанские кедры.

ზამბახები.

პალმასთან კაკტუსი (*Крик экзотики*).

ბანანები.

Как бурьян – Бамбуки.

Лиловый каскад соцветий.

Прибой – скрежет камней, დღითა და ღამით.

ყაბალახის თავისებური თავნაკვრა.

(*Мотив всех мотивов*).

აჭარული სიმღერები – სწრაფი, თითქო იმპროვიზაცია.

მღერის, რასაც გივებდის“.

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში საბჭოთა მოაზროვნეთა ბედი პოლარულად გაიყო – ერთი მხრივ, საბჭოთა

ტერორის და, მეორე მხრივ, კონფორმიზმის მსხვერპლებად. მსხვერპლი იყო ყველა, ვინც თუნდაც ჯვრის ტარების საბაზით მასობრივ რეპრესიებში მოჰყვა და ვინც ლოზუნგურ-მარშირებულ-პათეტიკურ პოეზიასა თუ ისტორიულ რომანს (რადგან შედარებით უწყინრად ჩანდა) შეაფარა თავი ან ნომენკლატურული სიტყვა-ბლოკები მეცნიერული არგუმენტების საპირწონედ გამოიყენა და ამაში ეძია თავის გადარჩენის საშუალება. მსხვერპლი იყო გალაკტიონი, მის ამ თეზისულ ჩანაწერებში თვალნათლივ ჩანს იდეოლოგიური ძალადობის მძიმე ნაკვალევი, გაორება, შინაგანი ბრძოლა და კონტრასტები პოეტური შემოქმედების ნიმუშებს შორის, რომ მარტივი ყოფილიყო ავტორის ბუნებრივი ხელწერისა და ნაფიქრის გამიჯვნა მოდელირებულისა და ნაძალადევისგან. ამ სიმძიმის მიუხედავად, აჭარას და ბათუმს თავისი კულტურით, ეთნოგრაფიით, ისტორიით, ლანდშაფტით თავისებური სიმსუბუქე და სიმყუდროვე მოჰქონდა პოეტისთვის, რასაც ნათლად ადასტურებს მისი პირადი ჩანაწერები ბათუმის შესახებ.

გამოყენებული წყაროები:

1. გიორგი ლეონიძის სახელობის საქართველოს ლიტერატურის მუზეუმის ვებგვერდ <http://www.galaktion.ge/> -ს მასალები

Esma Mania

Batumi in personal records of Galaktion Tabidze

Summary

In Soviet reality nobody dared to be free in the personal record. Under the general terror conditions, the privacy of the personal records, including the private record spaces, has virtually disappeared or drastically reduced. The article is presented Galaktion Tabidze's personal records.

ბსოვნაში გაცოცხლებული სახელები

140 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც რუსეთ-ოსმალეთის ომში დამარცხებულმა ოსმალეთის ჯარებმა ბათუმი დატოვეს, ბათუმში რუსეთის ჯარი შემოვიდა, ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით აჭარა დედა-სამშობლოს დაუბრუნდა.

ასრულდა ქართველი ხალხის სამსაუკუნოვანი ოცნება და ამ მოვლენით გახარებულმა ქართულმა საზოგადოებამ 1878 წლის 20 ნოემბერს (ძვ. სტ) თბილისში, მუხრან-ბატონის სასახლეში შეხვედრა მოუწყო აჭარის დეპუტაციას.

შეხვედრის ინიციატორი და ორგანიზატორები იყვნენ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მესვეური და ყველა კეთილი საქმის სულისჩამდგმელი დიმიტრი ყიფიანი და ამაგდარი მამულიშვილი, გენერალ-მაიორი შერიფ ხიმშიაშვილი.

ეს იყო დაუვინყარი, ისტორიული მნიშვნელობის შეხვედრა. დარბაზობა ერთმანეთს მონატრებულ -იქაური და აქაური ქართველების ზეიმად იქცა. სერგი მესხი აღნიშნავდა, რომ „ამ დღეს საქართველოს შვილნი განაწილებულ საქართველოსი შეერთებას ვდღესასწაულობდით“-ო. სადღესასწაულო კი მართლაც რომ ჰქონდათ, რადგან დიდი ხნის ნანატრი მზე შეერთებისა, სწორედ ამ დარბაზობის მონაწილეთა დიდი ნაწილის პირადი და უანგარო თავდადების შედეგად ამოსულიყო. ახლა ორივე მხარის მთავარი საზრუნავი იყო, როგორ მომხდარიყო ახალშემოერთებული აჭარის საქმეების ქართულ საფუძველზე წარმართვა. აჭარის დელეგაციის ხელმძღვანელმა ხუსეინ ბეჟანიძემ ასეთი თხოვნით მიმართა მასპინძლებს: „უფროსი ძმები ხართ, დაკარგული დაგიბრუნდით, მოგვხედეთ, გვეპატრონეთ, გვიძმეთ და სწავლა-განათლება ჩვენში გაავრცელებთ, ერთგულებას კი მომავალშიც დაგიმტკიცებთ“-ო.

ბევრი თბილი, ძარღვიანი და სამადლობელი სიტყვა უძღვნეს იმ დღეს ერთმანეთს სტუმარ-მასპინძლებმა. ისტორიამ შემოგვინახა დიმიტრი ყიფიანის, გრიგოლ ორბელიანის,

აკაკი წერეთლის, ჰუსეინ-ბეგ ბეჟანიძის, შერიფ ხიმშიაშვილის, კონსტანტინე ზუბალაშვილის და სხვათა გულშიჩამწვდომი სიტყვები.

„ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი თავისდაუნებურად თავის ისტორიას ივიწყებს“ - ბრძანებს წმინდანად შერაცხული ქართველი ერის სულიერი მამა წმ. ილია მართალი-ჭავჭავაძე. ისტორია კი სხვა არაფერია, თუ არა მთხრობელი მისი, თუ რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლებელია ვიყვნეთ კვლავადაცო.

საქართველო და მეტადრე ჩვენი კუთხე-აჭარა, ყოველთვის უფროთხილდებოდა და სათუთად იკრავდა გულში იმათ სახელებს, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქვეყნის ისტორიაში. მათი სახელები ლექსებში, ლეგენდებში, სიმღერებში ცოცხლდებოდა და თაობიდან თაობას გადაცემოდა.

მოგვიანებით, ამ ხსოვნისა და გმირთა სახელების უკვდავსაყოფად ერთ-ერთი გავრცელებულ სახედ იქცა ქალაქის ქუჩების, სკვერების, მოედნებისა და სკოლებისათვის მათი სახელების მინიჭება, მათ საცხოვრებელ სახლებზე მემორიალური დაფის და სახლ-მუზეუმების მოწყობა, ქალაქის ქუჩების ძეგლებით, ბიუსტებით, ქანდაკებებით შემკობა.

სამწუხაროდ, სხვადასხვა თუ გაურკვეველ მიზეზთა გამო, გასული საუკუნის 70-იან წლებამდე ბათუმში არ იყო ამ ეროვნული გმირების სახელობის არცერთი ქუჩა, როგორც ჩანს კომუნისტები დიდად არ სწყალობდნენ მათ, ალბად ბეგ-თავადური წარმოშობის გამო..

და როგორც იქნა ყინული დაიდრა

1977 წელს, ბათუმის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 25 ნოემბრის N823 გადაწყვეტილებით ბათუმში ე.წ. „სტეპანოვკის არხის“ გასწვრივ მდებარე უსახელო ქუჩას **სელიმ ხიმშიაშვილის სახელი მიენიჭა.**

(აჭარის ა.რ. საარქივო სამმართველოს ცენტრალური არქივი; ფონდი რ-10; აღწერა N1; საქმე 1342; ფურც. 97.)
...თუმცა 12 წლის შემდეგ სელიმის სახელი სხვა ქუჩას უწოდეს. კერძოდ,

1989 წელს, ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, გაითვალისწინა რა ბათუმის მოქალაქე-

თა უმრავლესობისა და სათანადო კომისიის მოსაზრებანი, 11 დეკემბრის N 885 გადაწყვეტილებით ქალაქში რამდენიმე ქუჩას შეუცვალა სახელი, მათ შორის სელიმ ხიმშიაშვილის ქუჩას. (**აჭარის ა.რ. საარქივო სამმართველოს ცენტრალური არქივი; ფონდი რ-10; აღწერა N1; საქმე 2244 ; ფურც.4.**) ამ გადაწყვეტილებით სამშობლოსათვის ზვარაკად შენიღული გმირის- **სელიმ ხიმშიაშვილის** სახელი ეწოდა საბჭოს ქუჩას-ქალაქის ერთ-ერთ გრძელ და ლამაზ ქუჩას, რომელიც მოსწავლეთა პარკიდან იწყება და სულხან -საბას ქუჩამდე გრძელდება. ყოფილ სელიმის ქუჩას კი ხახულის ქუჩა უწოდეს.

2003 წელს სოფელ ნიგაზეულში ხიმშიაშვილთა საგვარეულო ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე, მაშინდელი აჭარის ა.რ. კულტურის მინისტრის თეიმურაზ კომახიძის უშუალო თაოსნობით, საზეიმოდ გაიხსნა სელიმ ხიმშიაშვილის სახლ-მუზეუმი. 2005 წლიდან ზემო აჭარაში საზეიმოდ აღინიშნება სახალხო დღესასწაული „სელიმობა“.

2015 წლის 19 ივნისს, სელიმ ხიმშიაშვილის თავის მოკვეთიდან 200 წლის შემდეგ, სელიმ ხიმშიაშვილისა და ბაგრატიონის ქუჩების კუთხეში მდებარე სკვერში დაიდგა სელიმ ხიმშიაშვილის ბიუსტი.

სელიმ ხიმშიაშვილის სახელი საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლ წამებულ რაინდთან ასოცირდება. მამის აბდულ ბეგ ხიმშიაშვილის საეჭვო ვითარებაში გარდაცვალების შემდეგ, 16 წლის სელიმი ზემო აჭარის მმართველი ხდება . 1882 წელს მან დაასრულა მამის დაწყებული ციხე-სიმაგრისა და სახლ-რეზიდენციის მშენებლობა, მანვე შეძლო და გააერთიანა ზემო და ქვემო აჭარა. თავისი ცხოვრების მთავარ მიზნად სელიმმა ოსმალეთისაგან აჭარის განთავისუფლება დაისახა და ამ ბრძოლაში ხმალი ხელიდან არ გაუშვია. რაც არ გამოპარვია ოსმალთა სულთანს და სელიმის დასასჯელად დიდძალი ჯარით მაჰმუდ ფაშა გამოგზავნა. სელიმმა 400 მეომართან ერთად თავი ხიხანის ციხეს შეაფარა და რომ არა ლალატი და ორპირობა, მაჰმუდ-ფაშა სელიმის ხელში ჩაგდებას ვერც მოახერხებდა. სელიმი აწამეს, აშიშმილეს და ბოლოს გადმოცემის თანახმად, 1 ოქროს სა-

ნაცვლოდ, ე.წ. არტანუჯელი სომეხი სოვდაგრის ხელით სოფელ ბაკოს ზემოთ, სერი ყანას თავი მოკვეთეს... და იდგა 1815 წლის 3 ივნისი. ისტორიამ შემოგვინახა სიტყვები, რომელიც სელიმმა თავის მოკვეთის წინ წარმოთქვა და რომელიც ანდერძად გაისმა აჭარაში: „მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით გურჯისტანი ოსმალის სამუდამოდ არ შერჩება. მე ამის ხსოვნას ჩემს შვილებს დავუტოვებ“-ო.

სელიმის მოკვეთილი თავი სტამბულს ჩაიტანა მაჰმუდ ფაშამ. სულთანმა დიდი მოწინებით დაკრძალა სელიმის თავი სტამბულში და საფლავზე ქების წარწერაც გააკეთებინა. თუმცაღა მაჰმუდ ფაშა ვერ გადაურჩა სულთნის რისხვას-სულთნის ბრძანების – ცოცხალი მომგვარეთო სელიმ ხიმშიაშვილი- შეუსრულობისათვის მასაც თავი მოჰკვეთეს.

ე.წ. „პერესტროიკისა“ (1984 წ) და განსაკუთრებით საქართველოს დამოუკიდებლობის (1990 წ) აღდგენის შემდეგ, გახშირდა ქუჩების სახელწოდებების შეცვალა. საბჭოური დროის გმირების სახელები ეროვნული გმირების სახელებმა ჩაანაცვლა.

1992 წლის 7 ოქტომბერს, ბათუმში აჭარის ა.რ. მინისტრთა კაბინეტის სრულფლებიანი წარმომადგენლის კაბინეტის N 770 გადაწყვეტილებით, ლეონიძის დასახლებაში კარტახენა დე ინდიას ქუჩას შეეცვალა სახელი და ეწოდა **შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩა.**(აჭარის ა.რ. საარქივო სამმართველოს ცენტრალური არქივი; ფონდი რ-10; აღწ. N1; საქმე 2444 ; ფურც. 29)

შერიფ ხიმშიაშვილი, სრული სახელი მეხმედ შერიფი, დიდი სელიმ ხიმშიაშვილის შვილიშვილი იყო და წინაპრის მსგავსად ისიც აქტიურად ჩაერთო თურქების წინააღმდეგ 1877-1878 წლებში გაჩაღებულ ბრძოლებში. შერიფ ხიმშიაშვილი 1829 წელს დაიბადა. ის იყო ზემო აჭარის უკანასკნელი მმართველი, გენერალ-მაიორი, საზოგადო მოღვაწე. შერიფი მტკიცედ ადგა რუსეთის ორიენტაციას და აჭარის საქართველოსთან შეერთების გზას. მან ზურგი აქცია ოსმალეთს, ერთგულება გამოუცხადა რუსეთს და როგორც იმდროის გავლენიანმა პირმა რუსეთის ჯარს ძალიან გაუადვილა აჭარის შემოერთება. ეს დამსახურება დაუფასა რუსეთის მთავ-

რობამ და 1880 წელს პეტერბურგში მინვეულ შერიფ ხიმშიაშვილს, რუსეთის იმპერატორი შეეგება სიტყვებით: „არ დავივიწყებ ომის დროს შენს მიერ განეულ სამსახურსო.“ შერიფ ხიმშიაშვილი გარდაიცვალა პეტერბურგში 1892 წელს. ანდერძის თანახმად შვილებმა მისი ნეშტი საქართველოში გადმოასვენეს და აჭარაში, სოფ. ქოჩახში დაკრძალეს.

დიდი ოჯახი ჰყავდა შერიფ ხიმშიაშვილს 20 შვილი-11 ვაჟი და 9 ქალი. მისი ახალგაზრდა მეუღლე, რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე მესამის მეუღლის მარია ფეოდოროვნას ბიძაშვილი იყო, თავად მარია ფეოდოროვნა კი იყო იგლისის დედოფალ ვიქტორიას და. შერიფ გერმანელი მეუღლისაგან შეეძინა ქალიშვილი ვერა-ბატი, რომელიც 1890 წელს ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ იონა მეუნარგიამ მონათლა. გადმოცემის თანახმად თვით შერიფ ბეგი და მისი ორი ვაჟიც ქრისტიანულად მონათლულან პეტერბურგში და იმპერატორ ალექსანდრე მესამის საპატივცემულოდ შერიფს ნათლობის სახელად ალექსანდრე უწოდეს.

შერიფ ხიმშიაშვილის პიროვნებას ბევრი მოგზაური და მკვლევარი მოუხიბლავს. გიორგი ყაზბეგი, რომელიც 1874 წლის გაზაფხულზე სტუმრობდა შერიფ ბეგ ხიმშიაშვილს, ასე ახასითებს მასპინძელს: „შერიფ-ბეგი 45 წლისაა, საშუალოზე მაღალი, წარმოსადეგია. მას ტიპიური ქართული სახე აქვს, იგი ძალზე ჭკვიანია, კარგი მოსაუბრე და ენამოსწრებული, თავისებურად განათლებული.“ შერიფს ძალიან უყვარდა ქართული ენა, ლიტერატურა და კულტურა. ის ძალიან კარგად ხატავდა.

სოფელ სხალთაში, სახლში, რომელშიც მე-19 საუკუნეში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა შერიფ ხიმშიაშვილი, 2002 წლიდან გახსნილია და მოქმედებს მისი სახელობის სახლ-მუზეუმი, სადაც დაცულია ხიმშიაშვილთა საგვარეულო ყოფითი ნივთები. სამუზეუმო ექსპონატები დაინტერესებით და მოწონებით სარგებლობს დამთვალიერებლებში, რომლებიც დიდი რაოდენობით სტუმრობენ სახლ-მუზეუმს.

აჭარის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი და საქართველოს ერთიანობისათვის კიდევ ერთი მებრძოლი გმირის სახელს ატარებს ბათუმის ქუჩა. 1985 წლის 30 დეკემბერს, ბა-

თუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის N841 გადაწყვეტილებით ფერიის ქუჩას გადაერქვა სახელი და ეწოდა ცნობილი საზოგადო მოღვაწის **გულო კაიკაციშვილის** სახელი. (აჭარის ა.რ. საარქივო სამმართველოს ცენტრალური არქივი; ფონდი რ-10; აღწერა N1; საქმე 1905 ; ფურც.113.)

გულო-ალა კაიკაციშვილი -ნამდვილი გვარი ქათამაძე, დაიბადა 1840 წლი 6 ივნისს ქობულეთში, სოფელ სამებაში. სახელად გულახმედი უწოდეს, მაგრამ ბავშვობაში სიყვარულით შერქმეული „გულო“ შერჩა სიცოცხლის ბოლომდე. ქართული ენის სიყვარული დედამ და ბებიამ ჩაუნერგეს და მათვე შეასწავლეს ქართული წერა-კითხვა. იგი დაუღალავად იბრძოდა თურქეთის მფლობელობაში მოქცეული ქართული მიწების საქართველოსთან შეერთებისათვის. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, სერგი მესხთან და მოწინავე ქართული საზოგადოების წარმომადგენლებთან. სისტემატიურად აქვეყნებდა კორესპოდენციებს ქართულ პრესაში: „დროება“-ში, „ივერია“-სა და „ცნობის ფურცელ“-ში. სწორედ გულო კაიკაციშვილი იყო პირველი პატრიოტი აჭარიდან, რომელმაც მე-19 საუკუნის 70-იან წლებში აღიმალლა ხმა ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ 1875 წლის 17 დეკემბერს ილიასეულ „დროებაში“(N143) გულო-ალა წერდა:„ ძიავ, ქართველო მეგაზეთენ! მე მინდა ძიავ შეგატყობიო, ჩვენი ქობულეთის ამბავი, მარა ქართული პანიაი მეტი არ ვიცი და იგიცა ბებიამ მასწავლა, ქობულეთის საქმე გლახათ არის: ხალხი არეულია, დიდი და პატარა იარაღით დგანან, სამართალი არ გვაქვს, არც გვაძლევს ვინმე, არ ვიცით, რა ვქნათ, წერა არ ვიცით, არც კითხვა, სკოლა არ არის, გზა არ გვაქვს, ხელობა არ ვიცით, არც ვინმე გვასწავლის, მარტო სიმინდის და ღომის მუშაობა დაგვრჩა ხელში, ჩვენმა ახალგაზრდა ბიჭებმა ვერაფერი ქნეს. ასე შეწუხებული ვართ. გეხვეწები, ძიავ, აგიჩემი სიტყვა კარგად გააკეთე და შენს გაზეთში ჩასწერე“. ილია ჭავჭავაძემ მას „აჭარის გული“ უწოდა. გულო-ალა ეწეოდა ქართული ენის დაცვისა და განმანთავისუფლებელი იდეების პროპაგანდას ქობულეთის მხარეში, იბრძოდა მუჰა-

ჯირობის წინააღმდეგ რუსეთ-თურქეთის (1877-1878 წწ) ომის დროს. თურქეთის დამარცხების შემდეგ კი ქობულეთის მოსახლეობის სახელით მიესალმა რუსეთ-ქართული ჯარის შენაერთს და მის სარდლობას. (შენაერთს გენერალ-ადიუტანტი სვიატოპოლსკ-მირსკი, ხოლო ქართულ შენაერთს გენერალი გიორგი ყაზბეგი მეთაურობდა.) დღეს ეს სიტყვაც ისტორიის კუთვნილებაა „ ჩვენო ქართველებო, ჩვენო ძმებო, ნათესავებო და ბიძაშვილებო! თქვენი ჭირიმე, თქვენი, რომ ჩემმა თვალებმა დღეს თქვენ-ჩვენი ძმები-აქ, ქობულეთში დაგინახათ. ვმადლობ ღმერთს და პატივს ვცემ მის განგებას, რომ ჩვენი და თქვენი ნატვრა შესრულდა, ღმერთმა შეგვცაერთა ძმები“. გულმხურვალე მამულიშვილის ეს სიტყვები მეორე დღესვე დაიბეჭდა გაზეთ „ივერიამი“. გულო კაიკაციშვილი აჭარის აღმავლობას განათლებაში ხედავდა. სწამდა, რომ განათლება აუცილებლად ქართულ ენაზე უნდა ყოფილიყო და ამისთვის დაუღალავად იბრძოდა. მისი თაოსნობით და საკუთარი სახსრებით თავდგირიძეებისაგან 500 მანეთად შესყიდულ მიწის ნაკვეთში 1890 წლის აგვისტოში საფუძველი ჩაეყარა პირველ ქართულ სკოლას ქობულეთში, რომელმაც ფუნქციონირება 1895 წლიდან დაიწყო. გულო იყო პირველი ქართველი მაჰმადიანი, რომელმაც თავისი ვაჟიშვილი თბილისის ქართულ გიმნაზიაში მიაბარა, შემდეგ კი ოდესის უნივერსიტეტში გააგზავნა უმაღლესი განათლების მისაღებად. გულო ალა კაიკაციშვილი სიკვდილამდე უანგაროდ ემსახურა ქართველ მაჰმადიანთა შორის ქართული კულტურისა და განათლების აღორძინების საქმეს. მისი ბიოგრაფიის მშვენიერებაა სიტყვები: „მე ხმას ვაძლევ საქართველოს!“ ეს სიტყვები სიცოცხლის რისკის ფასად 1918 წელს წარმოთქვა 78 წლის გულო კაიკაციშვილმა თურქეთის მიერ მოწყობილ რეფერენდუმზე ქობულეთში, ხალხმაც მას მიბაძა და ვითომდა აჭარის ოსმალეთთან მიერთების მოთხოვნით გამართული რეფერენდუმში ჩაიშალა.

გულო-ალა კაიკაციშვილი გარდაიცვალა 1923 წლის 8 იანვარს, 82 წლის ასაკში.

2015 წელს, აჭარის ცენტრალურ არქივში გულო კაიკაციშვილის ოჯახის სახელით კოლექციის სახით, შესანახად შემოვიდა ჟურნალ-გაზეთებსა და პრესაში გამოქვეყნებული სტატიები და ნაშრომები, ასევე წიგნები და ბროშურები მიძღვნილი გულო- ალა კაიკაციშვილისადმი. **ფონდში და-ცული არ არის** თვით გულო კაიკაციშვილის მიერ შექმნილი დოკუმენტები: წერილები, დეპეშები, სტატიები, ფოტოები და სხვა, რომელთაც ოჯახი სათუთად ინახავდა თითქმის 20 წლის განმავლობაში. სამწუხაროდ, ისინი საბჭოურ რეპრესიებს ემსხვერპლა. მიუხედავად ამისა, დაინტერესებულ პირებს, შესაძლებლობა ეძლევა ფონდში მოიძიონ მათთვის საინტერესო მასალა.

ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1985 წლის 17 ივლისის N 450 გადაწყვეტილებით, მემედ აბაშიძის დასახლებაში მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭა ცნობილი საზოგადო მოღვაწის **აბდულ მიქელაძის სახელი**. (აჭარის ა.რ. საარქივო სამმართველოს ცენტრალური არქივი; ფონდი რ-10; აღწერა N1; საქმე 1898 ; ფურც.233)

აბდულ მიქელაძე 1853 წელს დაიბადა ქედის რაიონის სოფ. ძენწმანში. აბდულმა მამისაგან შეისწავლა ხალხური მედიცინა და ცნობილი მკურნალიც გახდა. განსაკუთრებით კარგად მკურნალობდა ყვავილს და უსასყიდლოდაც ეხმარებოდა თანამოძმეებს. მას სამუსლიმანო განათლება ტრაპიზონში ჰქონდა მიღებული. კარგად იცოდა არაბული და თურქული, სპარსული და რუსული ენები, საკმაოდ კარგად ფლობდა ქართულ წერა-კითხვას, რომელიც თომა კალანდარიშვილისაგან შეისწავლა და სოფლის ქათიბადაც (მწერლად) მუშაობდა. მან ქართულ ენაზე შეადგინა სამკურნალო-სამედიცინო წიგნი „აჭარული კარაბადინი“. აბდულ მიქელაძე გაზეთ „ივერიი“-ს ერთგული კორესპოდენტი იყო . იგი გულო-ალა კაიკაციშვილთან ერთად აქტიურად ჩაება თერგდალეულთა მიერ გაჩაღებულ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში. „დროებასა“ და „ივერიაში“ მისი პუბლიკაციებით დიდი გარდატეხა მოახდინა ახალდაბრუნებული აჭარის მოსახლეობის ცნობიერებაში, გაღვივდა ეროვნული სულისკვეთება, გაიზარდა კულტურისა და განათლებისაკენ სწრაფვა. მას კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ

აჭარლების სამშობლო ენა ქართულია, ამიტომ სკოლებში ქართული და ქართულად უნდა ასწავლონ, მაგრამ როცა გაიგო, რომ ზოგიერთი მასწავლებელი სკოლაში ბავშვებს ქართულ ენას არ ასწავლის, ენყინა და გაზეთ „ბათუმის გაზეთში“ აღწერა ეს ამბავი. ამისთვის 60 წლის მოხუცი ციხეში ჩასვეს, თუმცა მიზეზად სხვა რამ მოუგონეს. იგი ანტიცარისტულ საქმიანობას ეწეოდა. სწორედ მისი თაოსნობით აგორდა ქედამი მოძრაობა, რომელიც სერიოზულ გამოსვლებში გადაიზარდა და 1905 წლის რევოლუციურ ამბებთან გაერთიანდა. აბდულ მიქელაძეს ხშირად სტუმრობდა აჭარაში ჩამოსული ზაქარია ჭიჭინაძე. აბდულ ეფენდი იყო ის ოქროს რგოლი, რომლის მეშვეობითაც ქართველი საზოგადო მოღვაწეები კავშირს ამყარებდნენ აჭარის ადგილობრივ პატრიოტებთან. აბდული ილიამ გამოიყვანა პუბლიცისტურ ასპარეზზე და ილიას დახმარებით ღებულობდა იგი გაზეთ „ივერიას“, რომლის სამუშალებითაც ეზიარებოდა ქართულ სიტყვას და ეროვნულ ცნობიერებას, ჰქონდა მიწერ-მონერა ილიასთან და პირადად ხშირად ხვდებოდა მას. იყო ილიას თანამოაზრე და დიდი ეროვნული მოღვაწე. აბდულ მიქელაძე 1919 წელს გარდაიცვალა.

ის, ვისზეც ახლა გვიამბობთ, მართალია, აჭარის დედა-სამშობლოსთან დაბრუნების ისტორიულ მომენტში დაბადებულიც კი არ იყო, მაგრამ ერთიან საქართველოს წიაღში დაბრუნებული აჭარისა და დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში თავისი წარუშლელი კვალი დატოვა.

სწორედ **ყადირ შერვაშიძეა** ის პიროვნება, ვისი სახელიც არათუ პატარა კუთხისა და პატარა ქვეყნის, არამედ ნებისმიერი თავისუფლებისათვის მებრძოლი ქვეყნის ისტორიას რომ დაამშვენებდა.

1887 წლის ივნისის 29-ში, ქვემო აჭარის მმართველის თუფან ბეგ შერვაშიძისა და ...ავალიანის ოჯახში დაიბადა ვაჟი, რომელსაც წილად ხვდა ბედნიერება, რომ 31 წლის შემდეგ საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტზე მოეწერა ხელი.

ყადირმა დაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო, შემდეგ სწავლობდა ბათუმის ვაჟთა (1897-1905 წწ) და თბილისის

პირველ კლასიკურ გიმნაზიებში (1905-1909წწ), მაგრამ ნიჭიერი ახალგაზრდა ამით არ შემოიფარგლა და სწავლა ესტონეთში, ტარტუს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე გააგრძელა. ყადირს ცხოვრება სასიამოვნო სიურპრიზებით ანებივრებდა...ყოველ შემთხვევისთვის ასე იყო 1897 წლის 24 აგვისტოს, როცა ქედიდან ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში სასწავლებლად მიმავალი 10 წლის ყადირსა და მის ნათესავებს ცნობილი ქართველი ეთნოგრაფი თედო სახოკია დაემგზავრა. თავის მხრივ, თედო სახოკიამ ეს სასიამოვნო მოგზაურობა და შთაბეჭდილებები მოგონებებში აღწერა და ქართულ საზოგადოებას გააცნო. ასევე ერთგვარად იღვლიანი აღმოჩნდა ყადირ შერვაშიძისათვის ტარტუსკენ მიმავალი გზა. სწორედ მატარებელში გაიცნო ნადეჟდა (ცუცა) ბახტაძე, რომელიც 1914 წლის ოქტომბერში მისი ცხოვრების თანამგზავრიც გახდა. ეს ჯვრისწერა კიდევ ერთი უცნაურობა იყო მის ცხოვრებაში, როცა ქართველი მუსლიმანი ქართველ მართმადიდებელზე ჯვარს ტალინის რეველის კათოლიკურ ეკლესიაში იწერდა ისე, რომ რელიგია არცერთს არ შეუცვლია.

ამასობაში, პირველი მსოფლიო ომიც დაიწყო და ჯერ კიდევ გამოუცდელი, ახალგაზრდა ექიმი პირდაპირ ფრონტის ხაზზე გაემგზავრა. ამ ომში მას პოდპოლკოვნიკის სამხედრო წოდება მიენიჭა. 1916 წელს, ბათუმში დაბრუნებული ყადირი „ავადმყოფ და დაჭრილ მეზრძოლთა დახმარების სრულიად რუსეთის ერობის კავშირის“ რწმუნებულად იწყებს მუშაობას, პარალელურად მონაწილეობს „წითელი ჯვრის“ საქმიანობაში და ქედაში ორსართულიანი სახლის იმ ნაწილს, რომელიც მას ეკუთვნის უსასყიდლოდ უთმობს საავადმყოფოს. სამწუხაროდ, აჭარის ცენტრალურ არქივში დაცულ „ავადმყოფ და დაჭრილ მეზრძოლთა დახმარების სრულიად რუსეთის საერო კავშირის ბათუმის კომიტეტის“ ფონდის ერთადერთ საქმეში, ყადირის შესახებ ცნობები ვერ მოვიძიე (ი-66). პროფესიულ საქმიანობასთან ერთად ყადირი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას იწყებს და როგორც „ქართველ მუსლიმანთა კავშირის“ წევრი ბევრს შრომობს და ბრძოლობს იმისთვის, რომ ბათუმი და მთლიანად აჭარა იყოს იქ, სადაც დანარჩენი საქართველოა. სწო-

რედ, ამ ეროვნული სულისკვეთების გამო აირჩიეს ყადირი, აჭარიდან საქართველოს ეროვნული საბჭოს ყრილობის დელეგატად. 1918 წლის აპრილში, როცა ბათუმი ისევ ოსმალეთის ჯარებმა დაიკავეს, რასაც შედეგად მოჰყვა ქართველ მუსლიმანთა კომიტეტის წევრთა დაპატიმრებები და ტრაპიზონის ციხეში გამოკეტვა, ყადირ შერვაშიძე თავის აჭარელ თანამოაზრეებთან ერთად ტოვებს ბათუმს და თბილისში გადადის, სადაც „სამუსლიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელი კომიტეტის“ თანადამფუძნებელი ხდება. კომიტეტი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ნდობას უცხადებს ახალგაზრდა ყადირს და მას საგანგებო რწმუნებულის სტატუსს ანიჭებს ახალციხის, ზემო აჭარის და ფოცხოვის უბანში. მისი უშუალო მონდომებითა და ძალისხმევით ქედაში, ჭვანაში, დიდაჭარაში, ხიხაძირსა და ხულოში გაიხსნა სამუსლიმანო საქართველოს კომიტეტის განყოფილებები, რომელთაც მთავარი როლი უნდა შეესრულებინა ოსმალეთის მიერ ძალად თავსმოხვეულ რეფერენდუმში, საქართველოსთვის დადებითი შედეგის დადებაში.

განსაკუთრებულია ყადირ შერვაშიძის როლი ბერლინის კონგრესის გადანყვეტილებაში. მიუხედავად უამრავი დაბრკოლებისა, 1918 წელს ყადირ შერვაშიძე და ზია აბაშიძე მაინც ჩავიდნენ ბერლინში, სადაც უნდა გადანყვეტილიყო აჭარის საქართველოს შემადგენლობაში დარჩენა-არდარჩენის საკითხი. სწორედ მათი უშუალო ძალისხმევითა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელთა მონდომების შედეგად ოსმალეთს მოუწია ბათუმის დატოვება.

დიდი იყო ამ კონგრესზე ყადირ შერვაშიძის მიერ განუხლები ძალისხმევა და მონდომება, რომ იგი იქვე დააჯილდოვეს ქართული ლეგიონის ყველაზე დიდი სამახსოვრო ჯილდოთი-თამარის ორდენით.

1919 წლის აპრილში, თბილისში, მორიგ სხდომაზე მიმავალმა ყადირმა მოულოდნელად ქუთაისში თავი ცუდად იგრძნო, მაგრამ გზა გააგრძელა და თბილისში მაინც ჩავიდა. ექიმებმა ვერაფერი გაუგეს მის დაავადებას, რომელიც თანდათან უფრო დამძიმდა და 8 მაისს, სრულიად ახალგაზრდა,

32 წლის ყადირ შერვაშიძის სიცოცხლე დასრულდა. ოფიციალური მიზეზი გარდაცვალებისა დაუდგენელია... მისი თანამებრძოლების ვარაუდით კი, ყადირი მოწამლეს...

მის ხსოვნას ფეხზე წამოდგომით მიაგეს პატივი მეორე დღეს გამართულ დამფუძნებელ კრებაზე, ოფიციალური ცნობა გამოქვეყნდა მთავრობის სახელით, სტატიები დაიბეჭდა „ერთობასა“ და „სახალხო გაზეთში“.

საოცარი იყო მისი დაკრძალვაც... 1919 წლის 10 მაისს, საღამოს 5 საათზე თბილისში, მის სახლთან შეკრებილმა უამრავმა ადამიანმა გამოაცილა აჭარისაკენ ყადირის ნეშტი... ზღვა ხალხი დახვდა ბათუმშიც, აზიზიეს მოედანზე ... შემდეგ კი მშობლიურ ქედამი საკუთარი სახლის გვერდით მიაბარეს მინას ქვეყნის სასახელო შვილი..

და ყველაზე მთავარი, რომელიც საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს უკავშირდება და ქართველი ერის სიამყეს წარმოადგენს არის 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი... სწორედ, ამ აქტზე ხელის მოწერის ბედნიერება ხვდა წილად ყადირ შერვაშიძეს... ხელისმომწერთა სიაში მესამე სვეტის მეექვსე რიგზე საუკუნოდ ჩაინერა მისი ხელმოწერა.... ეს კი ჩვენი კუთხისთვის, განსაკუთრებით ქედელეებისთვის უდავოდ ძალიან საამაყოა.

გავიდა წლები, საუკუნე მიითვალა დრო-ჟამმა... ხსოვნაში გაცოცხლდა ყადირ შერვაშიძის სახელი.... ბათუმში, პუშკინის ქუჩაზე, ერთ დიდი, ლამაზი ეზოს გალავანზე ორი მემორიალური დაფაა გაკრული, ერთი გვამცნობს, რომ „ამ სახლში 1899-1914 წლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 1878-1893 წწ აჭარის მაზრის უფროსი **თუფან ბეგ შერვაშიძე**,“ ხოლო მეორე **ყადირ შერვაშიძის** სახელს უკვდავსყოფს წარწერით „ამ სახლში 1898-1919 წწ ცხოვრობდა საქართველოს დამოუკიდებლობის დამფუძნებელი კრების წევრი, ქართული არმიის პოლკოვნიკი, ექიმი და საზოგადო მოღვაწე ყადირ თუფანის ძე შერვაშიძე (1887-1919 წწ)“

2009 წლის 5 აგვისტოს ბათუმის მერიის გადამწყვეტილებით, ბათუმგორაზე მიმავალ მახაჩკალის აღმართს ყადირ შერვაშიძის სახელი უწოდეს; მემორიალური დაფის გახსნის ცერემონიას შერვაშიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლე-

ბი, მთავრობის წევრები და მერიის თანამშრომლები ესწრებოდნენ. 2017 წლის 13 დეკემბერს კი, მიუხედავად მაღალმთიანი აჭარისათვის დამახასიათებელი მკაცრი ზამთრისა, დაბა ქედაში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე თოვლით დაფარულ სკვერში საზეიმოდ, ოფიციალურად გაიხსნა – პირველი აჭარელი ექიმის, თამარ მეფის ორდენის კავალერისა და საზოგადო მოღვაწის – ყადირ შერვაშიძის ბიუსტი.

ზარბაზნის ლულაზე მიკრული გმირი – ასე ჩაინერა აჭარის დედა-სამშობლოსთან დაბრუნების ისტორიაში ქობულეთელი **ხასან თხილაიშვილის სახელი**. 1891 წელს დედე თხილაიშვილის ოჯახში დაიბადა ვაჟი-ხასანი, რომელსაც დაბადებიდანვე დაეკისრა დიდი მისია. ხასანის მამა-დედე თხილაიშვილი სიჭაბუკიდანვე გამოირჩეოდა პროგრესული შეხედულებებითა და სიმართლის სიყვარულით, დედა – აიშე კი ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის გულო-აღა კაკიციშვილის და გახლდათ. ხასანის ბავშვობა აჭარაში პოლიტიკური არეულობისა და დაძაბულობის ხანას დაემთხვა. მსოფლიოს ბევრი ქვეყანა სტრატეგიული თუ პოლიტიკურ-ეკონომიკური მოსაზრებებით ცდილობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გაბატონებას, განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში კი ბათუმი და მისი შემოგარენის დაპატრონება იდგა. 1918 წელს რუსეთში დატრიალებული მოვლენებით ისარგებლა ოსმალებმა და აპრილში მოახდინეს ბათუმისა და მისი ოლქის ოკუპაცია. იმავე წლის მაის-ივლისში კი ოკუპირებულ ბათუმის ოლქში ჩაატარეს რეფერენდუმი და ყველგან ოსმალთა სასარგებლოდ. დარჩენილი იყო ქობულეთი, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა აჭარის ბედი. ერთხელ ეს რეფერენდუმი პროგრესულად მოაზროვნე ქობულეთელების მცდელობით ჩაიშალა, ცხადია იყო, რომ ოსმალთა მეორედ ასეთ შეცდომას აღარ დაუშვებდა. ფიჭვნარში, ზღვისპირას გამართულ კრებას 12 წელს გადაცილებული და 80 წლამდე ასაკის 1000-მდე მამაკაცი ესწრებოდა. მათ შორის იყო 17 წლის ხასან თხილაიშვილი თავის „მფრინავ რაზმთან“ ერთად. ოსმალეთის წარმომადგენელმა -ბათუმის ვალიმ (გუბერნატორი) მოუწოდა ქართველ მუსლიმანებს, რომ ხმა მიაცათ ერთმორწმუნე ოსმალეთის სასარგებლოდ. მაშინ სიტყვა ითხოვა ყმანვილმა ხასან თხილაიშვილმა და შეკრე-

ბილებს მიმართა: „ძმებო, მეზობლებო! დღევანდელ კრებაზე საკითხი დგას, თუ ვისთან ერთად უნდა ვიყოთ, ჩვენს ძმებთან, ქართველებთან თუ ოსმალებთან. ჩვენ ქართველები ვართ ეროვნებით, სისხლით და ხორციით, ჩვენი სამშობლო საქართველოა და ჩვენი დედა ენა ქართული! ამიტომ ჩვენ, როგორც ქართველებს, არაფერი საერთო არ გვაქვს თურქებთან. ისინი აქ მოსულან როგორც დამპყრობლები, უცხოელები და მათ უნდა დატოვონ ჩვენი მიწა-წყალი. ეს კრება ნაძალადევია, ჩვენ ჯარებითა და ზარბაზნებით ვართ გარშემოტყემული.

მე პირადად, როგორც ქართველი მუსლიმანი, ხმას ვაძლევ ჩვენს დედა სამშობლოს – საქართველოს!“ ან კი სხვანაირად როგორ შეიძლებოდა -ის ხომ გულო აღას დისშვილი იყო.როცა ვალეს მისი სიტყვები უთარგმნეს, მან მიიხმომო ხასანი და ჰკითხა: შენ ხომ მუსლიმანი ხარ , რად გინდა ქრისტიან ქართველებთან შეერთებაო..პასუხად კვლავ გაისმა რიხით ნათქვამი : „მე მუსლიმანი ვარ, მაგრამ ეროვნებით ქართველი, გურჯი ვარო!“ შემდეგ აიღო კენჭი და საქართველოსთან შეერთების მომხრეთათვის განკუთვნილ შავ ყუთში ჩააგდო. გუბერნატორის ბრძანებით ხასანი წელს ზევით გააშიშვლეს, ზარბაზნის ლულაზე მიაკრეს, რომ ზღვაში გაესროლათ, მაგრამ ხასანი არ შედრკა და თავი ამაყად ეჭირა. ხალხს მღელვარების ტალღამ გადაუარა..თანმხლები ოფიცრებისა და ოფიციალური, დიპლომატიური პირების, აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის ჩარევით, რომ არც ევროპა მოიწონებდა ამ ძალადობას და არც მოსახლეობა შეურიგდებოდა ახალგაზრდის მონამეობრივ სიკვდილს, ვალე-გუბერნატორმა ხასანის ზარბაზნის ლულადან ჩამოხსნა ბრძანა...ხასანის ვაჟკაცური და თავგანწირული საქციელით კი რეფერენდუმიც ჩაიშალა და ოსმალოს მიზანს- რეფერენდუმის გზით ჩაეგდო ხელში აჭარა-ნერტილი დაესვა. ხასან თხილაიშვილი ახალი აჭარის აღმშენებლობაში აქტიურად მონაწილეობდა. მას წლების მანძილზე საპასუხისმგებლო თანამდებობები ეჭირა აჭარაში. ბევრი კარგი და სასარგებლო საქმის გაკეთებაც მოასწრო. იგი ახალგაზრდა, 51 წლის ასაკში გულის შეტევით გარდაიცვალა....

მისი სახელის უკვდავსაყოფად ქობულეთის ერთ-ერთ ქუჩას ხასან თხილაიშვილის სახელი უწოდეს. 2018 წლის 14 ივლისს, ქობულეთის რეფერენდუმიდან ზუსტად 100 წლის შემდეგ, სწორედ იმ ადგილას სადაც რეფერენდუმი ჩაიშალა, მადლიერი ქობულეთელების სახელით, მემორიალი დაიდგა. მემორიალს ამშვენებს ხასან თხილაიშვილის სიტყვები : ხმას ვაძლევ საქართველოს ! მემორიალი შეახსენებს ყველას, რომ 1918 წლის 14 ივლისს ქობულეთელების მამულიშვილობამ და გმირობამ განსაზღვრა აჭარის მომავალი.

ეს ძალიან მცირე ჩამონათვალია იმ გმირებისა და მათი ღვაწლისა, რომელთა მხრებზეც გადაიარა აჭარის დედა-სამშობლოსთან დაბრუნების ბრძოლებმა. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ არ ვიცით მათ შესახებ, ჯერ კიდევ მრავალი მოგონება, თქმულება თუ დოკუმენტი ელოდება მკვლევარსა და აღმომჩენს... ამ თემის მომზადების დროს აღმოჩნდა, რომ არც თუ ისე ბევრია მათი სახელობის ქუჩა, სკოლა, მემორიალური დაფა... ხსოვნაში გაცოცხლებას ელოდებიან ხასან თხილაიშვილის, შირინ-ალა დავითაძისა და სხვათა მრავალთა სამშობლოსათვის ზვარაკად შეწირულთა სახელები...

ამბობენ, ბათუმში დედა-სამშობლოსთან დაბრუნების აღსანიშნავი მემორიალური ძეგლი უნდა დაიდგასო... მე თუ მკითხავთ, დიახაც უნდა დაიდგას, უფრო მეტ ქუჩას, მეტ სკოლას უნდა დაერქვას ეროვნულ გმირთა სახელები, უფრო მეტი ძეგლი და მემორიალური დაფა უნდა მოეწყოს, რათა ყველამ -მასპინძელმა თუ სტუმარმა -მეტი ინფორმაცია მიიღოს და გაითავისოს ის ღვაწლი და საქმენი საგმირონი, რომელთა შედეგიცაა დღეს ერთიან ქართულ წიაღში დაბრუნებული აჭარის უკვდავი ქართული სული.

გამოყენებული წყაროები:

1. აჭარის ა.რ. საარქივო სამმართველოს ცენტრალური არქივი, შემდგომში ასსცსა, ფონდი რ-10; აღწერა N1; საქმე 1342 ; ფურც. 97;
2. ასს ცსა, ფონდი რ-10; აღწერა N1; საქმე 2244 ; ფურც.4;
3. ასს ცსა, ფონდი რ-10; აღწ. N1; საქმე 2444 ; ფურც. 29;

4. ასს ცსა, ფონდი რ-10; აღწერა N1; საქმე 1905 ; ფურც.113;
5. ასს ცსა, ფონდი რ-10; აღწერა N1; საქმე 1898 ; ფურც.233.

Maia Rurua

Revived names in memory

Summary

One of the most prominent faces of the heroic names has been to give their names to town streets, squares, squares and schools, arrangement of memorial board and museums on their houses, monuments of city streets, busts, statues. The article deals with the activities of the heroes whose names have been fulfilled 140 years ago by the return of the Ajara to motherland.

ეკატერინე მაისურაძე

განათლება და კულტურა გათუმის ოლქში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში

XIX საუკუნის განმავლობაში მიმდინარე რუსეთ-თურქეთის ომების შედეგად ქართული მიწების დიდი ნაწილი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა. 1878 წელს ბერლინის საერთაშორისო კონგრესზე მიღებული ტრაქტატის შედეგად „ბრწყინვალე პორტამ“ რუსეთს დაუთმო ბათუმის ოლქი. ამ ფაქტმა ხელი შეუწყო ქართველი ერის კონსოლიდაციას, რომლის უმთავრესი პირობა იყო ენისა და ტერიტორიის ერთობა. ქართული ენა გახდა ყველა სარწმუნოების ქართველის დამაკავშირებელი რგოლი.

აღსანიშნავია, რომ ქართველი მოსახლეობის ნაწილში მუსლიმი ქართველები დღესაც არ აღიქმებიან ეთნიკურ ქართველებად და ერთიანი ეროვნული იდენტობის ნაწილად. მათ ისლამურ სარწმუნოებას თურქულ იდენტობასთან აიგივებენ. ხშირ შემთხვევაში კი ამას გარეშე ძალებიც უწყობენ ხელს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმოშობა მსოფლიოს ისტორიის მეტად რთულ პერიოდში მოხდა. ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომი მძვინვარებდა. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში, ახალი სახელმწიფოს შექმნაზე, მის საშინაო, თუ საგარეო პოლიტიკაზე დიდი გავლენა უნდა მოეხდინა საერთაშორისო ვითარებას.

პირველ მსოფლიო ომში გერმანიის მოკავშირე ოსმალეთი 1914 წლიდან წარუმატებლად ცდილობდა სამხრეთ კავკასიაში თავისი გეგმების განხორციელებას. პირველ რიგში კი რუსეთის მიერ წართმეული ბათუმის და ბაქოს დაბრუნებას. მაგრამ რუსეთის კავკასიის არმიამ სასტიკად დაამარცხა და უკუაქცია ოსმალეთი. აი, სწორედ ახლა ეძლეოდა შანსი ოსმალეთს საზავო ხელშეკრულებით მიეღო ის, რაც ომით ვერ მიიღო. აღნიშნული საზავო ხელშეკრულება რუსეთს, გერმანიას, ავსტრია-უნგრეთს, ბულგარეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო 1918 წლის 3 მარტს ბელორუსიის ქალაქ

ბრესტ-ლიტოვსკში.

ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მეოთხე მუხლი აღმოჩნდა ტრაგიკული საქართველოსთვის. ამ პუნქტის თანახმად არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები უნდა გადასცემოდა ოსმალეთს. მაგრამ აქ ერთი საინტერესო დეტალია გასათვალისწინებელი. კერძოდ, რუსეთს უფლება არ ჰქონდა ჩარეულიყო ზემოთხსენებული ოლქების ახალ სახელმწიფოებრივ მოწყობასა და საერთაშორისო ურთიერთობებში. რუსეთს ამ ოლქების მოსახლეობისათვის უნდა მიეცა უფლება თვითონ განესაზღვრა ახალი ნყობილება მეზობელ ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი ოსმალეთთან თანხმობით (გურული, ჯიქია, 2013:15)

აღნიშნულ საკითხზე იმავე აზრს აფიქსირებს პავლე ინგოროყვა. „ტრაქტატის ეს მუხლი, რომელიც ეხება ბათუმსა და არტაანს, არ შეიძლება ჩაითვალოს სავალდებულოდ, რადგან რუსეთი არ იყო უფლებამოსილი დაეთმო საქართველოს მინა-წყალი, შეერთებული მასთან განსაზღვრული პირობებით, მით უფრო, რომ ვიდრე ბრესტის ზავი დაიდებოდა რუსეთმა ფაქტიურად დატოვა საქართველო, გაიყვანა რა თავის ჯარები საქართველოს საზღვრებიდან, და ამით დაჰკარგა ყოველგვარი უფლება საქართველოზე. (ინგოროყვა, 1990:21)

ამრიგად, ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებით საქართველოს ისტორიული ტერიტორია-ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქები რუსეთს კი ჩამოერთვა, მაგრამ რეალურად ოსმალეთს არ გადასცემია. პრაქტიკულად ზემოთხსენებული ოლქების მოსახლეობას რეფერენდუმის გზით უნდა გაერკვია, თუ რომელი მეზობელი სახელმწიფოს შემადგენლობაში სურდა ცხოვრება (გურული, 2011:77).

პავლე ინგოროყვა აგრეთვე ადგენს ამ მხარის მოსახლეობის შესახებ ცნობას, რომელიც 1918 წლის ივლისის კონსტანტინეპოლის კონფერენციისთვის მოამზადა. ის ადასტურებს, რომ აქ მცხოვრები მოსახლეობის მთავარ ელემენტს შეადგენს ქართველობა, რომელთა შორის დიდი უმრავლესობა სარწმუნოებით მუსლიმია, ნაწილი კი ქრისტიანი. „ქართველ მუსულმანებში წმინდად არის დაცული ქართული რასა, დიდ ნაწილს შეუნახავს ქართული დედა-ენა, და მთელი

ხალხი დღემდე თავის თავს გურჯს(ე.ი. ქართველს) ეძახის“ (ინგოროყვა,1990:21).

რაც შეეხება აქ ქართული ენის გავრცელებას, ინგოროყვა აღნიშნავს, რომ XIX ს-შიც კი, მიუხედავად თურქთა ბატონობისა,დედა ენა ქართული იყო.რუსის შემოსვლის შემდეგ კი აქ ყველაფერი ქართული დიდ დევნას განიცდიდა. რუსულ-თურქული ენა შემოიღეს სკოლებში, სოფლის მმართველობასა და სასამართლოში. იგი გულისტკივილით აღნიშნავს,რომ ზოგიერთ რაიონში მხოლოდ ძველ თაობასლა ახსოვდა ქართული ენა,ახალგაზრდები კი ვერ ლაპარაკობდნენ მშობლიურ ენაზე. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამ მხრივ ბათუმის ოლქი გამორჩეული იყო.„ბათუმის მხარეში ყველაზე კარგად არის დაცული ქართული ენა...ბათუმის ოლქის მთელი მუსულმანი ქართველობა ლაპარაკობს უნძინდეს ქართულ ენას“ (ინგოროყვა, 1990:23).

ქართული იდენტობის ეს მტკიცე მარკერი,დედა ენა იქცა სწორედ ქართული იდენტობის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ინდიკატორად სამუსლიმანო საქართველოში. ეთნიკური ჯგუფი ხომ კულტურული ერთობლიობის ის სახეობაა, რომელიც ხაზს უსვამს წარმომავლობის შესახებ მითებისა და ისტორიული მეხსიერების როლს და რომელიც ერთი ან მეტი განმასხვავებელი ნიშნებით ამოიცნობა.ასეთი ნიშნები შეიძლება იყოს რელიგია,წეს-ჩვეულებები,ენა ან ინსტიტუციები.ასეთი კოლექტივები ორმაგად „ისტორიულნი“ არიან-აღნიშნავს ენტონი სმიტი თავის „ნაციონალურ იდენტობაში.“ენას, წეს-ჩვეულებებს ხშირად ვიშველიებთ ობიექტური „კულტურული მარკერის“ დახასიათებისას (სმიტი,1990:29).

„სამუსულმანო საქართველოს“ მოსახლეობა კოლექტიური კულტურული იდენტობით ხასიათდება. ის გულისხმობს მოცემული პოპულაციის კულტურული ერთობის შიგნით თაობათა შორის მემკვიდრეობითობის გაცდას, ასევე, ამ ერთობის ისტორიული პერიოდებისა და გარდასული ამბების საერთო ხსოვნასა და მისი კოლექტიური ბედ-იღბლისა და კულტურის ცნებებს.არსებობს შემთხვევები,როდესაც კულტურის რადიკალური ცვლილება იდენტობისა და საერთო ეთნიკურობის შეგნების შესუსტებას კი არ იწვევდა, არამედ მის განახლებას უფრო უწყობდა ხელს.ამ ტიპურ შემ-

თხვევებში იგულისხმება ომი და დაპყრობა, გადასახლება და ტყვეობა, მიგრანტების მოზღვავება და სხვა სარწმუნოებაზე მოქცევა (სმიტი, 1990:32).

ენისა და დამწერლობის, გარკვეული ღირებულებების, კონკრეტული გარემოსა და მისი მონატრების, რელიგიურ და კულტურულ-განმასხვავებელი ნიშნებისა, თუ თვით განსაკუთრებულობის თვალსაზრისით მოხერხდა ქართული იდენტობისა და ეთნიკურობის საერთო განცდის შენარჩუნება მიუხედავად იმ მრავალი სოციალური და პოლიტიკური ცვლილებისა, რომლებიც თავს იჩენდა ხოლმე სამუსლიმანო საქართველოში. აქ მცხოვრები ქართველებისადმი განხორციელებულმა ძალადობრივმა აქტებმა, განსაკუთრებით რელიგიურ საკითხთან მიმართებაში, კი არ გააქრო საერთო ეთნიკური ცნობიერება, პირიქით, გაამყარა ერთსულოვნება და ხელი შეუწყო ცნობიერების კრისტალიზაციას.

XIX საუკუნის 70-იან წლებიდან ქართული იდენტობის გააზრების ახალი ეტაპი დაიწყო. ამ ცვლილებას საფუძველი ჩაუყარა ილია ჭავჭავაძემ. ქართველთათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ილიას წერილს „ოსმალოს საქართველო“, რომელშიც ილია მკვეთრად გამოხარტავდა თავის პოზიციას იმის შესახებ, რომ ქართველისათვის ნებისმიერი ქართველი ძმია, განურჩევლად რელიგიური აღმსარებლობისა.

„სარწმუნოების საქმე სინდისის საქმეა, რა ჩვენი საქმეა ვინ როგორ სარწმუნოებას აღიარებს, ვინ რა რჯულის არის? რა რჯულიც ჰსურს, იმ რჯულზე იყოს, მხოლოდ კარგი, პატიოსანი კაცი იყოს, მშრომელი და თავისთვის და ქვეყნისთვისაც სასარგებლო“ (ჭავჭავაძე, 2007:167).

იმავე აზრს ავითარებს აკაკი წერეთელი თავის წერილში „ოსმალეთის ქართველებს“: „ჩვენო ერთგომო და ერთმორწმუნე ძმებო! ჩვენა გვაქვს ერთი ისტორია, რომელიც საქართველოსადმი თქვენ უფრო დიდ წილს გიძებს, როგორც შემხებს, მოსაზღვრეებს... ღმერთმა ნუ ქნას უთქვენობა ჩვენთვის და უჩვენობა თქვენთვის... დიახ, სულითა და გულით ჩვენ ერთნი ვართ“ (წერეთელი, 1990:217).

1918 წლის 26 მაისს აღდგა საქართველოს დამოუკიდებლობა. ახლადშექმნილი რესპუბლიკის მესვეურთა დღის წესრიგში ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს სამუსლიმანო საქარ-

თველოს ბედის გადაწყვეტა წარმოადგენდა.

„ბათუმის ოლქის მკვიდრნი, სარწმუნოებით მუსლიმანები, ისტორიით, სისხლთა და ხორციით, ენით, კულტურითა და ადათებით ქართველები ვართ, მუსლიმანი ქართველები... ჩვენი მხარე ყოველთვის დედა სამშობლოს, საქართველოს განუყოფელ ნაწილს შეადგენდა.“-ვკითხულობთ 1919 წლის 31 აგვისტოს ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმთა ყრილობის დადგენილებაში (სილაგაძე, გურული, 1996:33)

როცა სამუსლიმანო საქართველოს თავიდან თვითთმმართველობის, შემდეგ კი ავტონომიის საკითხს განიხილავდნენ, ქართველი პოლიტიკოსები ანგარიშს უწევდნენ მკაცრ რეალობას. ისინი მხედველობაში იღებდნენ საქართველოს განხანგრძლივად მოწყვეტილი ძირძველი რეგიონის მოსახლეობის რელიგიურ გაუცხოვებას, ეკონომიკური და კულტურული განვითარების თავისებურებებს. სამუსლიმანო საქართველოს შიდა საქმეებში ავტონომიური მართვა-გამგებლობას ამ მხარის საქართველოს წიაღში დაბრუნება და წარმატებული ინტეგრაცია უნდა გაეადვილებინა. ამიტომ, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სწორ განმარტებით და პროპაგანდისტულ მუშაობას მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში. აქცენტი ქრისტიანი და მუსლიმი ქართველების საერთო წარმომავლობაზე, ძმობაზე, ერთიან სამშობლოზე კეთდებოდა.

ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა პრესა-პუბლიცისტიკას, რომელიც ამ რეგიონის მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას ისახავდა მიზნად. ამ თვალსაზრისით კი გამორჩეული იყო „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ მიერ დაარსებული გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“, რომლის პირველი ნომერიც 1919 წლის 11 იანვარს გამოვიდა. გაზეთი მკაფიოდ განსაზღვრავდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზნებსა და ამოცანებს. გაზეთში რეგულარულად იბეჭდებოდა წერილები მათ ქართულ ეთნიკურ იდენტობასა და საერთო წარსულის შესახებ. გაზეთებიდან ხშირად გაისმოდა მიმართვები ამ რეგიონში მცხოვრები ქართველებისადმი. გაზეთი მხოლოდ პუბლიცისტური ხასიათის არ იყო, მასში ასახული იყო ამ კუთხის სოციალ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობაც.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის ხედვა, რომელიც ამ რეგიონის სწავლა-განათლების საკითხთან დაკავშირებით არსებობდა ახლად შექმნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში. ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული დადგენილების თანახმად, იმ რაიონებში, რომლებშიც ქართველი მუსლიმების სასაუბრო ენას ქართული წარმოადგენდა, საგნების სწავლება სკოლებში ქართულად უნდა წარმართულიყო, ხოლო თურქული სავალდებულო საგნად. იქ, სადაც ქართული არ იცოდნენ, სწავლება უნდა ყოფილიყო თურქულ ენაზე, ქართული კი სავალდებულო საგნად დარჩენილიყო. ვფიქრობ, ეს სწორი გადაწყვეტილება იყო, რადგან იგი გამორიცხავდა ყველანაირი იძულების ფორმას. შექმნილი რთული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ამგვარი გადაწყვეტილება დროული და შესაბამისი იყო.

„სამაჰმადიანო საქართველოს ერთმა ნაწილმა თუ სთქვა, მე ქართველი არ ვარ და თურქი ვარო, ეს მათ შეუგნებლობას უნდა მივანეროთ და ჩვენი მშობლიური მზრუნველობა არ უნდა მოვაკლოთ, უნდა შევიტანოთ მათში ეროვნული შეგნება და მეტყველება, უნდა შევასწავლოთ სამშობლო ქვეყნის ისტორია, ლიტერატურა და გეოგრაფია და უნდა შევქმნათ ისინი ჩვენი ქვეყნის ნამდვილ ღვიძლ შვილებად და ჭირსა და ლხინში გამოვიყენოთ“ - ვკითხულობთ მემედ აბაშიძის მიმართვაში (აბაშიძე, 1973:15).

სწორედ მემედ ბეგ აბაშიძე იყო ის პიროვნება, როელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ამ რეგიონის ქართული მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების ამაღლების საქმეში. „ერთი ვინმე მამულიშვილი თუ იამაყებს თავისი ქართველობით, დამერწმუნეთ, მეც ვამაყობ ჩემის ქართველობით...“ (კომახიძე, 1993:53).

ნიშანდობლივია, რომ მემედ აბაშიძის პიბლიცისტურ შემოქმედებას ძირითად ლაიტმოტივად გასდევს ქართული ენისადმი ზრუნვა და დაფასება. „მნამს, ქართული ენა ჩქარა დაიჭერს თავის ბუნებრივ ადგილს ჩვენს მხარეში, მაშინ ყოველგვარ გაუგებრობას ბოლო მოეღებ, ვინაიდან ქართული ენა ბევრ რამეს გადასცემს ხალხს თავის წარსულისას, გააცნობს ძველი თაობის ქუა-გონებას, ვინაობას, თავისებურს სამშობლოს სიყვარულს და აგრძნობინებს წინაპართა პატივისცემას.

მაშინ მუსლიმანი ქართველები შეიქმნებიან ჭეშმარიტი შვილნი დედა სახელმწიფოსი.“(გაზ.„სახალხო საქმე“N898.1920) იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ქართული ენა მათი მშობლიური ენა იყო და მას მოვლა და გაფრთილება სჭირდებოდა. „სიტყვა ქართული წარმტაცია, საამური, სურათოვანი და შინაარსიანი, მაგრამ დღეს უცხო და თანაც გაუგებარი, უაზრო, მრუდე და წარამარა სიტყვების შემოჭრით დაზიანებული და დამახინჯებული. მას მოვლა პატრონობა, განახლება და განვითარება სჭირდება (აბაშიძე,1973:51).

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა აჭარაში შესული ქართული სამხედროების მოღვაწეობას. იგულისხმება მათი ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან. სწორედ ამიტომ სამხედრო სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილებამ ყურნალ „მხედარის“ ნომრებში დაბეჭდა რამდენიმე ჩანახატი „აჭარის ტიპების“ შესახებ, რათა ჯარისკაცთათვის ადგილობრივთა ჩაცმულობა, ჩადრიანი ქალები და ფესიანი ჩაის გამყიდველი უცხო და მიუღებელი არ ყოფილიყო.

მაშ, თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკა დემოკრატიული და ტოლერანტული ხასიათისა იყო, რაც აისახა 1921 წლის 21 თებერვალის საქართველოს კონსტიტუციაში, სადაც აჭარა წარმოდგენილი იყო, როგორც საქართველოს შემადგენელი ავტონომიური ნაწილი, ადგილობრივი მოსახლეობის რელიგიური და კულტურული უფლებების გათვალისწინებით. სწორედ ამ მიზანმიმართულმა და სწორმა მიდგომამ შეუნარჩუნა ბათუმის ოლქში მცხოვრებ ქართულ მოსახლეობას ეროვნული იდენტობის შეგრძნების მძაფრი განცდა და მისი შემდგომი ისტორია, მისი კულტურული და საგანმანათლებლო საქმიანობა ამ კალაპოტში წარმართა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გურული ვ.,ჯიქია ლ.,ტაო-კლარჯეთის,ლაზეთისა და აჭარის საკითხი 1812-1953 წლების საერთაშორისო ურთიერთობებში,თბ., „მერიდიანი“2013;
2. ინგოროყვა პ.,საქ-ს ტერიტორიის საზღვრების შესახებ. თბილისი, 1990;
3. გურული ვ., საქ-ო და გარე სამყარო. თბილისი,2011;
4. სმიტი ე., ნაციონალური იდენტობა,თბილისი,1990;
5. გაზეთი„სახალხო საქმე“ N 898.1920;
6. აბაშიძე მ., ფიქრები საქართველოზე, გამომცემლობა„ალიონი“,ბათუმი,1998;
7. კომახიძე თ., მემედ აბაშიძე, ბათუმი,1993;
8. ჭავჭავაძე ი., „ოსმალოს საქართველო“,თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ.VI, თბილისი, 1997;
9. წერეთელი ა.,რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ.IV, თბილისი, 1990.

Ekaterine Maisuradze

Education and Culture in the Batumi District during the Democratic Republic of Georgia

Summary

As a result of the Russian-Turkish wars of the XIX century, large parts of Georgian lands became part of the Russian Empire. As a result of the treaty adopted at the Berlin International Convention in 1878, the "brilliant port" gave way to Russia's Batumi region. This fact contributed to the consolidation of Georgian nation, the main condition of which Unity of the

territory. Georgian language has become a link between Georgians of all religions.

Maintaining the common sense of the Georgian identity and ethnicity in terms of language and script, certain values, specific environment and its livestock, religious and cultural-distinguishing marks, or even in particular, despite the many social and political changes that existed in the whole Georgia. The important aspects of the Georgian education and culture of the Georgian population of the Batumi district were maintained by Georgian-national character during the period of the Democratic Republic of Georgia.

The emergence of the Democratic Republic of Georgia itself was a difficult time for the history of the world. In this situation, the new situation has created a great influence on the creation of a new state, its domestic or foreign policy. Despite the many difficulties and obstacles, the new government managed to maintain this region with the support of the local Georgian population and integrate the population into the Georgian space. The religious policy of the authorities was democratic and tolerant, reflected in the Georgian Constitution of 21 February 1921, where Adjara was represented as a constituent autonomous part of Georgia, taking into consideration the religious and cultural rights of the local population.

ოთარ გოგოლიშვილი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმში XX საუკუნის დასაწყისში (1900-1902 წწ.)

XX დასაწყისში აჭარა დაძაბულობით და სირთულეებით გამოირჩეოდა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ აქ განსაკუთრებით გაძლიერდა როგორც სოციალური, ასევე კოლონიური ჩაგვრა.

ისე, როგორც თბილისში, ქუთაისსა და სხვა ქალაქებში, ბათუმშიც იქმნება პირველი მუშათა წრეები, რომლებშიც უმთავრესად გაერთიანებული იყვნენ მუშები და ინტელიგენტები. წრეების მუშაობას უმთავრესად საგანმანათლებლო ხასიათი ჰქონდა, მათში გაერთიანებული მუშები მიზნად ისახავდნენ ზოგადი განათლების მიღებას. საკვირაო სკოლებმა ძალიან დიდი როლი შეასრულა მუშათა გათვითცნობიერების საქმეში.

ბათუმის სოციალ-დემოკრატიულ წრეებს მჭიდრო კავშირი ჰქონდა საქართველოსა და რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში არსებულ ორგანიზაციებთან. აღსანიშნავია ერთი გარემოება, ეროვნული საკითხის მიმართ, ბათუმის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას თავიდანვე ნიჰილისტური დამოკიდებულება ჰქონდა. რომელიც, ჩვენი აზრით, გამოწვეული იყო აჭარის მოსახლეობის ეროვნული სიჭრელით და აგრეთვე იმით, რომ რუსები ი. ლუზინისა და გ. ფრანჩესკის მეთაურობით იმთავითვე მტრულად იყვნენ განწყობილნი ეროვნული საკითხისადმი. ასეთი გულგრილი დამოკიდებულება დაედო აგრეთვე პირველ მარქსისტთა ჯგუფის უმრავლესობას. ნოე ჟორდანიას იგონებს: “მიხა დარჩიაშვილის ბინაზე გაიმართა თათბირი... დიდი შეხეთქება გაიმართა ნაციონალური საკითხის გამო. ამ საკითხის სრულიად მოხსნას ითხოვდნენ დღის წესრიგიდან ბათუმელები და ყველა რუსები ლუზინის მეთაურობით” [1]

ეროვნული საკითხისადმი გულგრილი დამოკიდებულება უარყოფითად მოქმედებდა აჭარის მოსახლეობაზე. რადგან, ჯერ ერთი, ქართული მოსახლეობა განიცდიდა შევიწროებას და მეორე, ეს ნყალს ასხამდა კოლონიზატორების ნისქვილ-

ზე, რომელიც მხარის რუსიფიკაციას ახდენდნენ. მიუხედავად ამისა, სოციალ-დემოკრატთა წინაშე ეროვნული საკითხი მაინც იდგა. ბაგ. როტმისტრი როჟანოვი ატყობინებდა ქუთაისის გუბერნიის სამხედრო გუბერნატორს: „ბათუმში მოქმედი სოციალ-დემოკრატიული წრეები ყურადღებას ამახვილებენ ეროვნულ საკითხზე და საჭიროა ამის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლები.“

დასაწყისშივე გამოჩნდა სოციალ-დემოკრატიული კომიტეტების მიდრეკილება სხვადასხვა ჯურის დანაშაულისადმი კომიტეტის სახელით. მათში გაერთიანებული წევრები ჩადიოდნენ ათასნაირ დანაშაულს, ეწოდნენ გამოძალვას, თავისი საქმიანობით შიშის ზარს სცემდნენ ქალაქისა თუ სოფლის მცხოვრებლებს. ეკონომიკური კრიზისის დროს უმუშევრად დარჩენილი ხალხი თავის მხრივ სხვადასხვა დანაშაულს ჩადიოდა და საქმეს ისიც ართულებდა, რომ კომიტეტის ხელმძღვანელები ხალხს დაუმორჩილებლობისაკენ მოუწოდებდნენ .

900-იანი წლების დასაწყისში აჭარაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით ისეთი მძიმე სიტუაცია შეიქმნა, რომ მოსახლეობამ ყოველგვარი იმედი დაკარგა მთავრობის დახმარებისაგან. მთავრობის მოქმედება იმდენად პასიური და არადაამაკმაყოფილებელი იყო, რომ ბევრმა მათგანმა ყველაფის მიმართ ხელი ჩაიქნია, რადგან მთავრობა მათ ვერ იცავდა. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს ატყობინებდნენ ბათუმიდან 1901 წლის ივნისში “ მოსახლეობას აღარ ჯერავს მთავრობის. ადმინისტრაციის ძალის ეს კომიტეტები (იგულისხმება სოციალ-დემოკრატიული კომიტეტები ო.გ) პირდაპირ შეტევებზე გადადიან, არაფრის წინაშე არ იხევენ უკან. არც არაფრის ეშინიათ. მთავრობის მოქმედება იმდენად არადაამაკმაყოფილებელია, რომ ხალხი სასოწარკვეთილებაშია და ხმამაღლა იძახიან, რომ მათ არავინ არ იცავს.” ამ წერილში შესანიშნავად ჩანს როგორც მთავრობის უმოქმედობა, ასევე ს.დ. კომიტეტების აღვირახსნილი საქმიანობა. ბათუმის ოლქის მმართველი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თხოვს დაეხმაროს “მარქსისტების წინააღმდეგ საბრძოლველად.მისი თქმით: “მარქსის ნაწარმოებები რყვნის ხალხს, გულს უცრუებს საზოგადოებაზე. მარქსისი-

ტებად არიან ისეთი პირები, რომლებიც ბნელი საქმიანობით არიან ცნობილნი. გთხოვთ გამოგზავნოთ ძალები (აღბათ პილიციელები – ო.გ.) ასეთი პირების დასაკავებლად და საპატიმროში ჩასასმელად” [2]

1901 წლის დეკემბერში სოციალ-დემოკრატიული წრეები ორგანიზაციულად გაერთიანდნენ და შექმნეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) ბათუმის კომიტეტი. ამ საქმეში დიდი მუშაობა ჩაატარა თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტიდან ბათუმში მივლინებული იოსებ ჯულაშვილმა.

იოსებ ჯულაშვილის მუშაობას ბათუმში დაუპირისპირდნენ მანამდე აქ მოქმედი “მესამე დასელები” კარლო ჩხეიძისა და ისიდორე რამიშვილის მეთაურობით. ისინი მოითხოვდნენ, რომ ი.ჯულაშვილს ბათუმი დაეტოვებინა. კ. ჩხეიძე პირადად შეხვდა მას და უთხრა: “სულერთია, მაინც ვერ შექმნი არალეგალურ ორგანიზაციას, ამ ბნელ ბათუმელ მუშებს შორისო. მათ შორის ნამდვილი ბრძოლა გაიმართა, მესამედასელებმა ი.ჯულაშვილი და მისი მომხრეები გამოაცხადეს “თვითმარქვეზებად”, “პროვოკატორებად”. მათ დაინწყეს მუშებს შორის კრებების ჩატარება, სადაც მოუწოდებდნენ მშრომელებს არ მოესმინათ ი.ჯულაშვილისათვის, რომ ის პროვოკატორია, რომელიც მოუწოდებს შეიარაღებულ მუშებს იბრძოლონ კბილებამდე შეიარაღებულ ჯართან, ამ ბრძოლას მოჰყვებოდა მსხვერპლი, ამით მას მუშების სასიკვდილოდ განიღვა სურდა და ა.შ. მუშების ერთმა ნაწილმა დაუჯერა კ. ჩხეიძეს და მათი მომხრეების საუბრებს და მტრულად განენყო თბილისიდან ი.ჯულაშვილისა და მისი მომხრეებისადმი. განსაკუთრებით მტრულად მოეკიდა მათ ინტელიგენცია, რადგან ბათუმელ ინტელიგენტებში კ.ჩხეიძესა და ი.რამიშვილს დიდი ავტორიტეტი ჰქონდათ [3]

ასევე ძლიერად ამოქმედდა ი.ჯულაშვილის მიერ 1901 წლის 31 დეკემბერს ჩამოყალიბებული რსდმპ ბათუმის კომიტეტი, რომელიც დაუპირისპირდა კ. ჩხეიძის ჯგუფს და თავის მხრივ დაინყო მუშათა კოლექტივებში მათი კრიტიკა, მათი მოქმედების არასწორ გეზზე საუბარი. მუშების გარკვეული ნაწილი მიემხრო რსდმპ ბათუმის კომიტეტს.

თავისი მასშტაბით და მნიშვნელობით 1902 წელს ყველაზე უფრო აღსანიშნავია თებერვალში როტშილდის ქარხნის მუშე-ბის გაფიცვა. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, გენერალი სპაგინი სპეციალურად ჩამოვიდა ბათუმში, მაგრამ გაფიცული მუშების დაშინება ვერ მოახერხა. გუბერნატორის განკარგუ-ლებით პირველად დააპატიმრეს 32 მუშა. მალე დააპატიმრე-ბულთა რიცხვმა სამას კაცამდე მიაღწია. 8 მარტს ბათუმის სო-ციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მოეწყო დიდი პოლიტიკური მანიფესტაცია, მოითხოვდნენ და-პატიმრებულთა განთავისუფლებას. ყველაფერი ეს მოულოდ-ნელი იყო ადმინისტრაციისათვის. მუშებმა შედგარი წინააღ-მდეგობა გაუწიეს. დააპატიმრეს ოთხასი კაცი და მოათავსეს ე.წ. გამანაწილებელ ყაზარმებში.

8 მარტს, საღამოს გაიმართა ბათუმის სოციალ-დემოკრა-ტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელი ჯგუფის გაფართო-ებული სხდომა. სხდომაზე თავი იჩინა აზრთა სხვადასხვაო-ბამ. ერთნი ი. რამიშვილის მეთაურობით, მოითხოვდნენ, რომ მუშების დეპუტაცია მისულიყო ქალაქის თავთან, რათა მას ემუშადა გომლა გუბერნატორის წინაშე დაპატიმრებულების განთავისუფლება. მაგრამ მეორე ნაწილს, თანაც უმრავლე-სობის დაჟინებული მოთხოვნა იყო, რომ მხოლოდ და მხო-ლოდ დემონსტრაციის საშუალებით აეძულებინა მთავრობა დაპატიმრებულები გაენთავისუფლებინა. სხდომაზე იყო გაფ-რთხილება, არსებობს სანდო პიროვნებისაგან ცნობა იმის თა-ობაზე, რომ შემოყვანილია კაზაკების დამატებითი ძალები და შესაძლებელია მათ იარლი გამოიყენონ მუშების წინააღ-მდეგო. ჩვენის აზრით, ეს ცნობა სხდომის მონაწილეებისათ-ვის უნდა მიეწოდებინა დავით კლდიაშვილს. მართალია თა-ვის მემუარებში ის ამის შესახებ არაფერს ამბობს, მაგრამ არ-სებობს მუშების თ.ბერაძისა და ნ.გიორგაძის მოგონებები, სადაც საუბრობენ რა 9 მარტის სისხლისღვრის შესახებ, სი-ნანულით ამბობენ: “ხელმძღვანელებმა, რომლებიც შეტაკე-ბის დროს რატომღაც არ ჩანდნენ, არ გაითვალისწინეს ქარ-თველი კაპიტნის გაფრთხილება იმის თაობაზე, რომ შეიძლე-ბოდა მთავრობას იარალი ეხმარა”. შესაძლებელია, ეს ცნობა მოეწოდებინა სხვა ვინმე ქართველ კაპიტანს, მაგრამ გვგო-ნია, ეს მაინც დავით კლდიაშვილი იყო.

სხდომის მონაწილეთა ერთმა ნაწილმა განაცხადა, რომ პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა მხოლოდ იმათ, ვინც ასე დაჟინებით, მოსალოდნელი შედეგების გაუთვალისწინებლად, მოითხოვდა დემონსტრაციის მოწყობას. თავის მხრივ, მათ (დემონსტრაციის მომხრეებმა) საკუთარ თავზე აიღეს პასუხისმგებლობა.

9 მარტს, დილით გამანაწილებელი ყაზარმებისაკენ დაიძრნენ როტმილდის ქარხნის მუშები, გზაზე მათ შეუერთდნენ მანთაშევის, ნობელის, სიდერედისის, კაპლანის ქარხნების მუშები. ხელისუფლებამ სასწრაფო ზომებს მიმართა. პოლკოვნიკმა დრიაგინმა ყაზარმებიდან დაძრა კავკასიის მეშვიდე მსროლელი პოლკის ასეული. ჯარისკაცები თოფის კონდახებით დაერივნენ მუშებს. ზღვა ხალხი მიანყდა ყაზარმების ჭიშკარს, დაპატიმრებულებმა ისარგებლეს ამით და დაიწყეს ჭიშკარზე გადახტომა, მაშინ ჯარისკაცებმა ისროლეს, რომლის შედეგად მოკლული იქნა 15 და დაჭრილი 54 მუშა [5]

1902 წლის 9 მარტის მუშათა გამოსვლა ეს იყო ყველაზე უფო ძლიერი გამოსვლა მუშებისა 1900 წლიდან 1905 წლამდე. არსებობს ბევრი მოგონება ამ დემონსტრაციის შესახებ, მაგრამ აღსანიშნავია ერთი გარემოება, ზოგ მოგონებაში თუ საარქივო ცნობაში საერთოდ არ ფიგურირებს რსდმპ ბათუმის კომიტეტის ხელმძღვანელთა გვარები. ერთ ოფიციალურ დოკუმენტში, სადც საუბარია 9 მარტის მოვლენების შესახებ, ნათქვამია, რომ კომიტეტის ხელმძღვანელები (მათ შორის ნახსენებია ი.ჯულაშვილიც) როდესაც ჯარისკაცები გამოჩნდნენ, მიიმალნენო. ასევე, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის სახელზე გაგზავნილ წერილიდან, რომელსაც ხელს აწერს დრიაგინი, ვკითხულობთ: “ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1902 წლის 9 მარტს ბათუმში... დააპატიმრეს მხოლოდ რიგითი დემონსტრანტები, მეთაურები კი მანამდე, სადღაც მიიმალნენ”. ასევე “აჭარისტანის რევოლუციური მოძრაობის კალენდარს, შედგენილს 1950 წელს, თუ დავუჯერებთ, აქაც საერთოდ არ არის ნახსენები არცერთი რსდმპ ბათუმის კომიტეტის ხელმძღვანელთა გვარი, პირიქით, ნათქვამია, რომ დემონსტრანციამ საერთო ხელმძღვანელობის გარეშე ჩაია-

რაო”. აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხელმძღვანელები, სადღაც მიიმაღნენ შეტაკებამდე, შეტაკების დროს კი მხოლოდ მუშების სისხლი დაიღვარა.

1902 წლის 9 მარტის სისხლისღვრამ შეაშფოთა კავკასიის მთავარ მართებელი გოლიცინი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა იმ გარემოებაზე, რომ მუშებს ამჟამად საბრძოლო ამოცანადა დაესახათ არა მარტო ეკონომიკური ხასიათის, არამედ არსებული საზოგადოებრივი ნცობილების საანინაალმდეგო მოთხოვნებიც. გოლიცინის აზრით, ბათუმის მუშები იმპერიისათვის უფრო სახიფათონი არიან, ვიდრე რუსეთის შიდა გუბერნიებში თავმოყრილი მუშათა შედარებით უფრო დიდი რაოდენობა. სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით, ერთგული მოხელე არწმუნებს იმპერატორს, რომ აუცილებელია ქუთაისის გუბერნიას გამოეყოს ბათუმის მხარე და ცალკე ოლქი შეიქმნას, რომლის მმართველი იქნება გუბერნატორი. გოლიცინი აუნყებს იმპერატორს, რომ სანამ მის მიერ წარდგენილ პროექტს არ მიეცემა კანონის ძალა, მან სანროდ მიიჩნია ქ. ბათუმისათვის განსაკუთრებულად გაძლიერებული პილიტიკური დაცვა შემოიღოს, რადგან ამას სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვს. [6]

ამრიგად, მე-20 საუკუნის დასაწყისიდანვე ბათუმი და მისი შემოგარენი ჩაერთო იმპერიის ცხოვრების საერთო მაჯისცემაში, გააქტიურდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება, რაც გამოიხატებოდა პოლიტიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბებაში, მუშების საგაფიცვო მოძრაობაში, სწორედ ამით ბათუმმა ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიკავა კავკასიის სამრეწველო ცენტრებს შორის და დახდა რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მონინავე ქალაქი.

გამოყენებული წყაროები

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფ. 1, აღწ.12, საქმე 208, ფურც. 23
2. იქვე, ფურც. 30-31
3. 3. ფურც. 45

4. აჭარის სახელმწიფო არქივი, ფ.1, აღწ. 1, საქმე, 101, ფურც. 22
5. იქვე. ფურც. 39
6. 6. იქვე. ფურც. 78

Otar Gogolishvili

Social-political situation in Batumi at the beginning of XX century (1900-1902)

S u m m a r y

At the beginning of XX century Adjara was distinguished with tension and harnesses. This was caused by strengthen of social and colonial oppression.

As Tbilisi, Kutaisi and other cities as Batumi was making first circles of workers, in these unions were joined essentially workers and intellectuals. The working of Circles mainly had instructive character, workers, joined in this circles, had aimed to receive education. Sunday schools played a big role in case of workers' awareness.

Social-democratic circles of Batumi had close connection with other organizations existing in the other cities of Georgia and Russia. It should be note one circumstance toward national issue; the social-democratic organization of Batumi had nihilistic dependence from the beginning. Which, in our opinion, was caused by national diversity of population of Adjara, also Russians were minded inimically toward national issue with the I.Luzin and G.pranchesk's leadership. Such indifferent attitude was spreaded to the majority of first Marxism group. Noe Zhordania says: ~ meeting held in the Mikha Darchiashvili's house... was a big opposition about national issue. Representators of Batumi and Russians with Luzin's leadership were requiring to removal this issue from the agenda.

პოლონელი ნაპოლეონის არმიაში

XVIII საუკუნის II ნახევარში მომხდარმა დიდმა გეოპოლიტიკურმა ცვლილებებმა, კერძოდ, კი, 1783 წელს ამერიკის შეერთებული შტატების შექმნამ და 1789 წლის საფრანგეთის სახელოვანმა რევოლუციამ ხელი შეუწყო აღმოსავლეთ ევროპის წამყვან სახელმწიფოებს: რუსეთს, ავსტრიას და პრუსიას, ერთ დროს უძლიერესი პოლონეთ-ლიტვის სახელმწიფო მათ სასარგებლოდ გაენაწილებინათ.

XVIII საუკუნე პოლონელი ხალხისთვის ყველაზე ტრაგიკული პერიოდი იყო. პოლონეთის სახელმწიფომ მე-18 საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო დაკნინება, 1795 წელს კი შეწყვიტა არსებობა. პოლონეთის მიწები შემდეგნაირად გადანაწილდა; პრუსიამ მიიღო პოლონეთის ჩრდილო-დასავლეთი მიწები, ქალაქებით – ვარშავა, გდანსკი და პოზნანი; ავტრია-უნგრეთის იმპერიამ – გალიციის ოლქი და ქალაქები – კრაკოვი, ლუბლინი და ლვოვი; რუსეთის იმპერიამ კი, შეიერთა აღმოსავლეთ პოლონეთის ტერიტორია და კურლანდია, ასევე, ქალაქები ბრესტ-ლიტოვსკი და ვილნო.

1795 წლიდან უკვე არსებული სახელმწიფოს რეგულარული არმია დაიშალა. დაშლილი პოლონური სამხედრო შენაერთები გადაიქცნენ საკმაოდ დიდ დაქირავებულ არმიად, რომელიც ფულის სანაცვლოდ ემსახურებოდა ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოს.

პოლონური ლეგიონი იტალიის პირველი კამპანიის პერიოდში. ნაპოლეონის მიერ წარმოებულ იტალიის I კამპანიის დროს, 1797 წელს, იქმნება პირველი პოლონური შენაერთი იან დაბროვსკის მეთაურობით, საფრანგეთის არმიის დაქვემდებარებაში. შენაერთი შედგებოდა 1200 ჯარისკაცისგან, ხოლო მათი უმრავლესობა ომამდე, ავსტრიის არმიის შემადგენლობაში ირიცხებოდა. იტალიის პირველი კამპანიის პერიოდში პოლონური ლეგიონი

უშუალოდ ავსტრია-პიემონტის ლიგის წინააღმდეგ იბრძოდა. პოლონური ლეგიონის შექმნა და სამხედრო აქტივობა ნაპოლეონის ომების I პერიოდში საერთოდ არ იყო დაკავშირებული პოლონეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფორმირებასთან.

იტალიის პირველი კამპანიის პერიოდში პოლონურმა ლეგიონმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა 1797 წელს გამართულ ბრძოლაში, ქალაქ ბრეშასთან, რასაც ერთი თვის შემდეგ ვერონას აჯანყება მოყვა. პოლონურმა ლეგიონმა ფრანგულ დანაყოფებთან ერთად სასტიკად ჩაახშო ამბოხება და ტერიტორიაზე სრული ჰეგემონობა მოიპოვა. მნიშვნელოვანი თარიღია 1798 წელი: სივიტაკასტელანასთან ბრძოლა, სადაც გენერალმა მაკდონალდმა 7000 ფრანგით და 3000 პოლონელი ჯარისკაცით დაამარცხა 40000 ავსტრია-პიემონტის ნაწილები, რომელსაც გენერალი მაკი მეთაურობდა.

შემდგომ პერიოდში, პოლონური ლეგიონი იბრძოდა მაგლიანოსთან, ფალარისთან, კალვისთან და კაპუასთან. ამ უკანასკნელი ბრძოლის შემდეგ, 1798 წლის 23 იანვარს ნეაპოლის სამეფომ კაპიტულაცია გამოაცხადა.

გეოპოლიტიკური ვითარება იცვლება ანტიფრანგული კოალიციის სასარგებლოდ 1799 წელს, ნოვის ბრძოლაში, სადაც გენერალმა სუვოროვმა 50000 კაციანი ავსტრო-რუსული არმიით დაამარცხა ფრანგი გენერლები: ჟუბერი და მორო (37 000 ჯარისკაცი, რომელთა უმრავლესობას პოლონელები წარმოადგენდნენ).

1799 წელს, როდესაც ნაპოლეონი I კონსული გახდა, პოლონურმა ლეგიონმა რეორგანიზაცია განიცა და დაფრანგული არმიის ერთიან შემადგენლობაში შევიდა.

1806 წელს ევროპის ტერიტორიაზე სამხედრო უპირატესობას ფრანგები ფლობენ. უკვე დამარცხებული ავსტრიის მიწებზე კონსოლიდირებული ფრანგულ-პოლონური არმია იწყებს სამხედრო მოქმედებებს პრუსიის წინააღმდეგ. ამავე წელს საფრანგეთში მყოფი პოლონური სამხედრო ნაწილები ერთიანდებიან „ვისტულას ლეგიონში“.

1807 წელს ფრანგულმა ჯარმა წარმატებით იასპარეზა აღმოსავლეთ პრუსიაში, განსაკუთრებით, ეილაუსა და ფრიდლანდის ბრძოლებში. ფრიდლანდის ბრძოლის შემდეგ პრუსიის სახელმწიფომ კაპიტულაცია გამოაცხადა; დამარცხებული პრუსიის სახელმწიფო ფაქტობრივად ფრანგული კოალიციის ქვეყნებს, ვესტფალიას და საქსონიას, თავისი ტერიტორიის განსაზღვრულ ნაწილს უთმობდა, კერძოდ: ვესტფალიას – ლოტარინგიისა და ელზასის ტერიტორიას, ხოლო საქსონიას – სილეზიის და ანჰალტის ტერიტორიებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პრუსიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ტერიტორია, სადაც ეთნიკურ უმრავლესობას პოლონელები შეადგენდნენ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად „ვარშავის საჰერცოგოდ“ გამოცხადდა.

1807 წლის ტილზიტის ზავი და „ვარშავის საჰერცოგოს“ ფორმირება. 1807 წლის ტილზიტის ზავის თანახმად რუსეთის სახელმწიფო უარს ამბობდა ინგლისთან ვაჭრობაზე და უერთდებოდა ნაპოლეონის მიერ შედგენილ კონტინენტალურ ბლოკადას.

ახალი პოლიტიკური ერთეული „ვარშავის საჰერცოგო“ წარმოადგენდა ე.წ კონსტიტუციურ საჰერცოგოს, სადაც ძალაუფლება თანაბრად ნაწილდებოდა ჰერცოგსა და პრემიერ-მინისტრს შორის, რადგან პოლონეთის სახელმწიფოს (ვარშავის საჰერცოგოს) არ ჰყავდა სამეფო დინასტია და წინა საუკუნეებში წარმოადგენდა დუალისტურ სახელმწიფოს, სადაც ძალაუფლება გადანაწილებული იყო პოლონეთისა და ლიტვის დიდ მთავრებს შორის. შემდგომ პერიოდში, და, განსაკუთრებით, 1807 წელს ახლადშექმნილი პოლონური სახელმწიფო ნაპოლეონმა თავის მოკავშირე საქსონიას და მის მეფეს – ფრედერიკ ავგუსტ I-ს დაუქვემდებარა.

„ვარშავის საჰერცოგოს“ შექმნიდან ერთი წლის თავზე ესპანეთში ანტიფრანგულმა აჯანყებამ იფეთქა, რომლის მთავარი ინიციატორები ინგლისისა და პორტუგალიის სახელმწიფოები იყვნენ. აჯანყებული მოსახლეობა მოითხოვდა ნაპოლეონის ძმის – ჟოზეფის გადაყენებას და ბურბონთა სამეფო დინასტიის რესტავრაციას. სწო-

რედ ასეთ ვითარებაში ფრანგულ არმიასთან ერთად იბერიის ნახევარკუნძულზე სამხედრო მოქმედებებში ერთვება პოლონური ლეგიონი.

ნახევარკუნძულზე წარმოებულ ბრძოლებში პოლონელები ფრანგულ არმიაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდნენ; პოლონელებს დაევალათ ამბოხებულთა ქალაქების აღება. აღსანიშნავია, 1809 წელს სარაგოსას ალყა, სადაც ფრანგულ-პოლონურმა ძალებმა შტურმით აიღეს ქალაქი, სადაც საშინელი სისასტიკე გამოიჩინეს აჯანყებულებისა და უბრალო მოსახლეობის მიმართ.

1812 წლის ომი რუსეთთან და ნაპოლეონის „100 დღიანი“ მმართველობა. 1810 წლისთვის რუსეთის იმპერია ტილზიტის ზავს არღვევდა და ფარული გზით ინგლისთან აქტიურ სავაჭრო პოლიტიკას აწარმოებდა, ფაქტობრივად, ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ 1812 წლის გაზაფხულზე ნაპოლეონი რუსეთში შეიჭრა. ფრანგული არმია დაახლოებით 600000 ჯარისკაცს ითვლიდა. აქედან 98000 ეთნიკურად პოლონელი ჯარისკაცი პრინც პონიატოვსკის დაქვემდებარებაში იყო. პოლონეთის არმიის უმეტეს ნაწილს კავალერია წარმოადგენდა, რაც ლოკალურ ფლანგობრივ ბრძოლაში გადამწყვეტ როლს ასრულებდა. რუსეთთან განცდილი მარცხის შემდეგ, 1812 წლის ოქტომბერში რუსეთში კონსოლიდირებულ 26000-იან პოლონურ არმიას დაევალა ფრანგული არმიის არიერგარდის ფუნქციის შესრულება, რაც მიზნად ისახავდა რუსული არმიის ავანგარდის შეკავებას და ფრანგული ჯარის ცენტრალური პოზიციების დაცვას.

ნაპოლეონის მმართველობის „ასი დღის“ პერიოდში (1815 წ.) წარმოებულ ვატერლოოს ბრძოლაში პოლონური ლეგიონის მხოლოდ მცირე ნაწილი იღებდა მონაწილეობას – სულ რაღაც 300 ჯარისკაცი. უშუალოდ ეს დანაყოფი წარმოადგენდა პოლონელ მხედართა გაერთიანებას ე.წ „პოლონელ ულანთა“ ქვედანაყოფს. ვატერლოოს ბრძოლაში პოლონური კავალერია გაერთიანდა მიშელ ნების 14 000-იან კავალერისტთა არმიაში.

ვენის კონგრესი და „ვარშავის საჰერცოგოს“ განადგურება. ვატერლოოს ბრძოლის ნარუმატებლად დასრულების შემდეგ „ვარშავის საჰერცოგოს“ ბედი ვენის კონგრესმა განსაზღვრა, რომელიც 1814 – 1815 წლებში მიმდინარეობდა. პოლონეთის სახელმწიფოს დიდი ნაწილი ორმა სახელწიფომ, რუსეთის იმპერიამ და პრუსიის სახელმწიფომ გაიყო, რომლის სამართლებრივ კანონიკურობას ვენის კონგრესის დადგენილება წარმოადგენდა; პოლონეთის ტერიტორიის ცენტრალური და აღმოსავლეთი ნაწილები რუსეთმა შეიერთა, პრუსიას ჩრდილო-დასავლეთი ტერიტორია ერგო წილად, ხოლო ქალაქი კრაკოვი ნომინალურ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა 1846 წლამდე, სანამ ავსტრო-უნგრეთის იმპერიამ სრულიად არ დაიმორჩილა ის.

რუსეთის მიერ შეერთებულ პოლონურ მიწებზე ჩამოყალიბდა მარიონეტული პოლიტიკური ერთეული „პოლონეთის სამეფო“, რომლის უშუალო „მეფედ“ რუსეთის იმპერატორი ითვლებოდა და ამ პოლიტიკურმა ერთეულმა იარსება 1915 წლამდე, სანამ პოლონეთის ეს ნაწილი I მსოფლიო ომის პერიოდში გერმანული ოკუპაციის ქვეშ არ აღმოჩნდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ჟან ტიულარი** „ნაპოლეონი“, გამომცემლობა „აგორა“, 2016 წ.
2. **George Nafziger and Tad J. Kwiatkowski**, The polish Vistula legion. January, 1996.
3. **Jerzy Jan Lerski** (1996). Historical dictionary of Poland, 966-1945. Greenwood Publishing Group
4. **Norman Davies** (2005). God's playground: A history of Poland, in two volumes. Oxford University Press.
5. **Frederick C. Schneid** (2002). Napoleon's Italian campaigns: 1805-1815. Greenwood Publishing Group.

Alexander Zakariadze

*Poles in Napoleon Army
Summary*

The work presents one of the most important periods in world history known as the Napoleonic Wars. It directly refers to the destruction of the Kingdom of Poland-Lithuania in the 90s of the XVIII century. The work is a military diplomatic report on the number of Polish soldiers in Napoleon's army and their military activities.

პირველი მსოფლიო ომი და საქართველო

პირველი მსოფლიო ომი, რომელიც 1914-1918 წლებში მიმდინარეობდა, წარმოშვა დიდი სახელმწიფოების კოლონიური ინტერესების დაპირისპირებამ, მსოფლიოს ნედლეულისა და გასაღების ბაზრის გადანაწილებამ. მსოფლიო ამ ომამდე მიიყვანა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იანი წლების შემდეგ დაგროვილმა უამრავმა მიზეზმა. მსოფლიოში დაიწყო სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების ჩამოყალიბება. სამხედრო-პოლიტიკური კავშირი გაფორმდა ავსტრია-უნგრეთსა და გერმანიას შორის, რომელიც 1882 წელს იტალიაც შეუერთდა. ასე შეიქმნა ევროპაში პირველი სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, რომელსაც „სამთა კავშირს“ უწოდებენ. პარალელურად ყალიბდება მეორე სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანება (ინგლისი-საფრანგეთი და რუსეთი), რომელიც „ანტანტის“ სახელითაა ცნობილი. სამთა კავშირს შემდეგ თურქეთიც შეუერთდა.

გერმანელი და თურქი იმპერიალისტები თავიდანვე ემზადებოდნენ ამიერკავკასიის დაპრობისათვის. ენეოდნენ ჯაშუშურ და დივერსიულ მუშაობას, რაც კიდევ უფრო გაძლიერდა ომის დაწყების შემდეგ. გერმანიისა და თურქეთის აგენტებს მიეცათ ღირექტივები მოეწყოთ შეიარაღებული ამბოხებები აჭარასა და აფხაზეთში. თურქეთთან ომის დაწყებით ამიერკავკასია ფრონტიპირა ზონად იქცა.

მსოფლიო ომის აღმოსავლეთ ფრონტზე მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა ამიერკავკასიას, რომელიც რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირების არეალს წარმოადგენდა. 1914 წლის აგვისტოში ოსმალეთმა ომში ნეიტრალიტეტის შესახებ დეკლარაცია გამოაქვეყნა, მაგრამ ეს მხოლოდ დიპლომატიური ნაბიჯი იყო. სინამდვილეში ოსმალეთი გამალებით ემზადებოდა რუსეთთან ომისათვის. 1914 წლის ოქტომბერში ოსმალეთის სამხედრო ფლოტმა სევასტოპოლი და შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე რუსეთის სხვა ქალაქები დაბომბა. 2 ნოემბერს რუსეთმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს. საქართველო ფრონტის ხაზზე აღმოჩნდა.

ომის დაწყებისთანავე, ამიერკავკასიიდან დასავლეთ

ფრონტზე გადაყვანილი იქნა ორი საარმიო კორპუსი და კაზაკთა ხუთი დივიზია. მათი ადგილი სათადარიგო ნაწილებმა დაიკავეს. ამ ნაწილების სარძოლო მზადების დონე დაბალი იყო. არადა, კავკასიის არმიას უმნიშვნელოვანესი საბრძოლო ამოცანა უნდა შეესრულებინა – მას უნდა დაეცვა ბაქო-ვლადიკავკაზის სამხედრო გზა. ოსმალეთის არმიის შეტევა სწორედ ამ მიმართულებით იყო მოსალოდნელი.

რაც შეეხება რუსეთის ხელისუფლებას მან თავის მრავალმილიონიან არმიაში რუსებთან ერთად გაიწვია იმპერიის დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობაც. საქართველოდან ომის სხვადასხვა ფრონტზე მობილიზებული იყო 200 000-მდე ოფიცერი და ჯარისკაცი.

საქართველო რუსეთ-ოსმალეთის ფრონტისპირა ქვეყნად იქცა, რამაც დამატებითი სიძნელეები შეუქმნა ქვეყნის მოსახლეობას. ომის ერთ-ერთი ეპიზოდის დროს ოსმალეთის არმიის ნაწილები ბათუმის სანაპირო რაიონებშიც კი შეიჭრენ. საფრთხემ მას შემდეგ გადაიარა, რაც რუსეთის ჯარმა 1914 წლის დეკემბერში სარიყამიშის ბრძოლებში დაამარცხა ოსმალეთის მესამე არმია. 1915-1916 წლებში რუსეთ-ოსმალეთის ფრონტზე მიმდინარე ბრძოლები პოზიციურ ხასიათს ატარებდა. ორივე მხარე ერიდებოდა შეტევით ოპერაციებს და ცდილობდა შეენარჩუნებინა დაკავებული პოზიციები.

სარიყამიშის ბრძოლაში თავი გამოიჩინეს ქართველმა ოფიცრებმა გენერალ დიმიტრი გედევანიშვილმა და ლეგენდარულმა კაპიტანმა ტარას ვაშაკიძემ, რომელსაც თურქებმა „შავთან კაპიტანი“ უწოდეს.

დღის წესრიგში დადგა შეტევის სარიყამიშის მიმართულებით განვითარების პერსპექტივა. ენვერ ფაშამ გერმანელ მრჩეველთა დახმარებით დაგეგმა მეტად გაბედული ოპერაცია: თურქული მე-3 არმიის სამ საარმიო კორპუსს რუსული ქვედანაყოფები უნდა შეეხოჭა სარიყამიშთან (ადგილი ყარსსა და ბასიანის რეგიონს შორის. სარიყამიშის გადასასვლელზე გადიოდა ოდითგანვე ძველი სავაჭრო გზა, რომელიც აკავშირებდა ყარსსა და არზრუმს).



მეორე რიგში მარცხნიდან მესამე კაპიტანი ტარასი ვაშაკიძე
ყარსი, 1914 წელი

სარიყამიშის მიმართულება შემთხვევით არ შეურჩევიათ. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრის შემთხვევაში იმედოვნებდნენ რუსეთის მიერ 1877-78 წლების ომის შემდეგ მიერთებული ტერიტორიების (ისტორიულიტაო-კლარჯეთი) დაბრუნებას, რეგიონში მცხოვრები მაჰმადიანი (ძირითადად აჭარლებისა და ქვემო ქართლის აზერბაიჯანელების) მოსახლეობის აჯანყებას, სამხრეთ კავკასიის განმეინდასა და ბორჯომი-თბილისის მიმართულებით შეტევას.

ამ დროს დერბენტის პოლკის მე14 ასეულის მეთაურის, კაპიტან ტარასი ვაშაკიძის გმირობამ მთლიანად შეცვალა ბრძოლის ბედი. ეს მოხდა 22 დეკემბერს. მოულოდნელობისგან ყველა (მტერიცა და მოყვარეც) განცვიფრებული დარჩა. გენერალი იუდენიჩი იტყვის: "ეს ხომ შეუძლებელია!!!", ხოლო გენერალი ბერხმანი თავის მოხსენებაში დანერს: "უსაზღვროდ მოხარულივარ, ჩემს ხელქვეითმყოფი ყველა წოდების სამხედროს სახელით მიფულოცოთ თქვენს მაღალკეთილშობილებას ესოდენ დიდი და სახელოვანი გამარჯვება".

საქმევე ეხებოდა დარუბანდის 154-ე ქვეით-კაზაკთა ათასეულის (მეთაური-პოლკოვნიკი თავადი ნიჟარაძე) მე14 ასეულის მებრძოლების და ასმეთაურ კაპიტან ტარასი ვაშაკიძის მიერ თურქეთის III არმიის IX კორპუსის მთელი ხელმძღვანელობის და ტყვეების ამბავს. რის შემდეგაც ამ ოპე-

რაციის ბედი პრაქტიკულად გადაწყდა – რუსულ არმიებს რამდენიმე დღე დასჭირდათ IX და X საარმიო კორპუსების და დარჩენილი ნაწილების გასანადგურებლად.



რუსეთის არმიებმა გაანადგურეს თურქეთის შემომტევი მესამე არმია. გაანთავისუფლეს დაპყრობილი მიწები და ოპერაციები მტრის ტერიტორიაზე გადაიტანეს.

საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი უარყოფითად იყო განწყობილი მიმდინარე ომის მიმართ, რომელსაც ქვეყნისთვის ნგრევა და დიდი ადამიანური მსხვერპლი მოჰქონდა. ამავე დროს საქართველოს საზოგადოებისა და ეროვნული მოძრაობის ერთმა ნაწილმა სცადა მიმდინარე ომის ქვეყნის ინტერესებისთვის გამოყენება. პატრიოტული ძალები ფიქრობდნენ, რომ თუ რუსეთის მონინაალმდევე გერმანიას დაუკავშირდებოდნენ, მისი დახმარებით მიაღწევდნენ რუსეთის იმპერიისგან საქართველოს განთავისუფლებას. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი აშკარად თუ ფარულად მხარს უჭრდა გერმანიას.

საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიები რევრესიების შიშით პროგერმანული ორიენტაციის დაკავებას მოერიდნენ და და ანტანტის დაჯგუფების გამარჯვებას დაუჭირეს მხარი. ასე მოიქცნენ სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) და სოციალ-ფედერალისტები. უფრო პრინციპული პოზიცია დაიკავეს ევროპაში მყოფმა ქართველმა ეროვნულ-დემოკრატებმა. ესენი იყვნენ: პეტრე სურგულაძე, ლეო და გიორგი კერესელიძეები, ნესტორ მაღალაშვილი და სხვა.

ეროვნულ-დემოკრატიებმა ჟენევაში 1913 წელს ჩამოაყალიბეს ჯგუფი „თავისუფალი საქართველო“ და გამოსცეს ამავე სახელწოდების ჟურნალი. ამავე ჯგუფის აქტიური წევრები იყვნენ გიორგი მაჩაბელი და მიხეილ(მიხაკო) წერეთელი. 1914 წლის დეკემბერში მათ ჟენევაში შექმნეს „საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი“, რომელიც შემდეგ გადავიდა ბერლინში. ორგანიზაციის მიზანი იყო: 1.საქართველოს დამოუკიდებლობის პროპაგანდა სამშობლოში; 2. იარაღის შემოტანა და გერმანიის სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერით საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა; 3.ქართული ლეგიონის ჩამოყალიბება საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში და მისი შემდგომი გამიყენების მიზნით; 4. საქართველოში მოღვაწე ქართული პოლიტიკური ძალების მისწრაფებების გაცნობა. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა გერმანელი ემისრების მეშვეობით კავშირი დაამყარეს ოსმალეთის სარდლობასთან. ლაზეთში ქალაქ ვინეში ქართველი სამხედრო ტყვეებისაგან შეიქმნა 2000 კაციანი ლეგიონი, რომელსაც თურქი და გერმანელი ოფიცრები მოამზადებდნენ. ლეგიონის სათავეში იდგნენ ლეო და გიორგი კერესელიძეები და გერმანელი კრეს ფონ კრეზენშტაინი.



გიორგი მაჩაბელი

1915 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნულმა კომიტეტმა გერმანიის მთავრობასა და მის მოკავშირე სახელმწიფოებთან გააფორმა ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების პირობებით გერმანია და მისი მოკავშირეები გამარჯვების შემთხვევაში ვალდებულიებას კისრულობდნენ დახმარებოდნენ ქართველებს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, ხოლო თუ მიზანი მიღწეული იქნებოდა – ეცნოთ საქართველოს და-

მოუკიდებელი სახელმწიფო და დაეცვათ მისი სუვერენიტეტი.

გერმანელებმა ნაკისრი ვალდებულებები პირნათლად შესარულეს. მათ რამდენჯერმე შემოიტანეს იარაღი საქართველოში. დაეხმარნენ ქართველებს ეროვნული ლეგიონის შექნაში, რომელსაც ოსმალეთის ტერიტორიიდან უნდა ებრძოლა რუსეთის არმიის წინააღმდეგ. 1917 წელს ნოე ჟორდანიას გადაეცა გერმანიის მიერ გამოყოფილი 15 ათასი ოქროს მანეთი, რომელიც ეროვნული მოძრაობისათვის იყო განკუთვნილი. საერთოდ პირველი მსოფლიო ომის პერიოდში საქართველოში ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლა გაძლიერდა. მეორე მხრივ ომმა სამეურნეო-ეკონომიკური ნგრევა მოუტანა როგორც ევროპის ისე რუსეთის იმპერიის ხალხებსა და საქართველოს.

1915 წლის მეორე ნახევარში ქუთაიში შედგა დამოუკიდებლობის კომიტეტის წარმომადგენლის გიორგი მაჩაბელის შეხვედრა-თათბირი საქართველოს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან. შეხვედრას ესწრებოდნენ: ნოე ჟორდანია, ევგენი გეგეჭკორი (სოციალ-დემოკრატები), გრიგოლ რცხილაძე, სამსონ ფირცხალავა (სოციალისტ-ფედერალისტი), რევაზ გაბაშვილი, შალვა ამირეჯიბი (ერონულ-დემოკრატები). განიხილეს საგარეო ორიენტაციის, რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შესაძლებლობის საკითხები.

ნოე ჟორდანიამ თათბირის დროს აღნიშნა შემდეგი: საგარეო ორიენტაციის საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ისევ ანტანტის მხარეს დავიჭერთ, ხოლო დამოუკიდებლობის კომიტეტი გერმანიის სამხედრო-პოლიტიკურ მხარდამჭერად დარჩეს, „ან ერთი გაგვიყვანს, ან მეორე“.

1916 წელ შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში გაიმართა ერთა მესამე კონგრესი. პირველი მსოფლო ომის წლებში პოპულარული გახდა ერთა თვითგამორკვევის ლოზუნგი. გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და რუსეთის მსგავსი მრავალეროვანი სახელმწიფოების პირობებში ამ პრინციპის ცხოვრებაში გატარება ნიშნავდა სახელმწიფოში მცხოვრები ყველა ერის თანასწორუფლებიანობას, ავტონომიების შექნას, მრავალეროვანი სახელმწიფოებიდან ცალკეული ერების გამოყოფასა

და დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნას. კონგრესზე სიტყვით გამოვიდა მიხეილ წერეთელი, რომელმაც აღნიშნა, რომ საერთაშორისო სამართლის წესის თანახმად და ისტორიული რეალობის გათვალისწინებით საქართველოს სრული უფლება აქვს აღადგინოს ეროვნული დამოუკიდებლობა, რაც განხორციელდა 1918 წლის 26 მაისს – საქართველო დემოკრატიული რესპუბლიკა გახდა.

მსოფლიო ომის ბოლოს და ომის შემდგომ პერიოდში ამიერკავკასია და განსაკუთრებით საქართველო დიდ სახელმწიფოთა ფარული თუ აშკარა პოლიტიკური და სამხედრო დაპირისპირების ასპარეზად იქცა. აქ ერთმანეთს ენაცვლებოდნენ გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, იტალიის, ამერიკის შეერთებული შტატების, თურქეთისა და რუსეთის ინტერესები. 1918 წლის მიწურულიდან კავკასიაში გააქტიურდა ანტანტის სახელმწიფოთა პოლიტიკა.

დიდი პოლიტიკის ფარული დეტალები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისათვის ძირითადად უცნობი იყო. ისინი იმედს ამყარებდნენ ვერსალის საზავო კონფერენციაზე, რომელიც ძალთა და ინტერესთა გადანაწილების ახალ ეტაპზე განმსაზღვრელოლს ასრულებდა მსოფლიო გლობალურ პოლიტიკაში. უნდა გადანაწილებულიყო გავლენის სფეროები, დადგენილიყო ახალი მსოფლიო წესრიგის შეთანხმებული პრინციპები და ჩამოყალიბებულიყო მსოფლიოს ახალი პოლიტიკური რუკა.

ევროპის ლიდერები დიდხანს განიხილავდნენ საქართველოს საერთაშორისო სამართლის სუბიექტად აღიარების შესაძლებლობას.

ევროპისათვის ყველაზე საინტერესო იყო საქართველოს, როგორც ბუნებრივი გეოგრაფიული დერეფნის გამოყენება ანუ მისი სატრანზიტო ფუნქციის საკითხი. კონფერენციის სამუშაო ჯგუფებში თავი მოიყარეს სხვადასხვა ევროპული მისიის მოხსენებითა ბარათებმა. ევროპის ქვეყნების პოზიცია ძირითადად შემდეგი შინაარსისა იყო: ამიერკავკასია მისი გეოგრაფიული მდებარეობით ღია ეკონომიკური და კულტურული უთიერთობებისათვის იყოს გზა ევროპას, ცენტრალურ და წინა აზიას შორის. ამ თვალსაზრისით საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შეეძლო დიდი მისიის შესრულება.

გარდა სტრატეგიული ინტერესებისა კონფერენციის რეზოლუცია შეეხო სხვა საკითხებსაც. კერძოდ: ა) საბჭოთა რუსეთის ინტერესები მიერკავკასიაში და ძალთა თანაფარდობა; ბ) კავკასიის ქვეყნების არასტაბილური ვითარება. ეს ორი ფაქტორი აიძულებდა ევროპის სახელმწიფოებს თავი შეეკავებინათ საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებისგან.

მოგვიანებით, 1921 წელს დასრულდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობასაბჭოთა რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის დამყარებით.

გამოყენებული მასალა:

1. ისტორიანი, "ქართველები სხვათა ომში"
2. გიორგი მაჩაბელი "ბიოგრაფიული ლექსიკონი"
3. www.npl.gov.ge ქართველები უცხოეთში
4. რეზონანსი 30.04.2018 რევაზ გაჩეჩილაძე
5. www.radiotavisupleba.ge/a/2159654.html
6. www.kvirispalitra.ge/history/

Tamar Kutaladze

First World War and Georgia Summary

The First World War, which took place in 1914-1918, has led to the confrontation of the colonial interests of the great states, in the article, on the basis of scientific papers discussing the issues of interconnecting the First World War.

ქეთევან ხითარიშვილი

გურამ კახიძე – ბათუმელი კოლექციონერი (კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მასალების მიხედვით)

კოლექციონერობა გარკვეულწილად დიდ აზარტთან, ენთუზიაზმთან არის დაკავშირებული და ის, ვინც ამ საქმიანობითაა დაკავებული, გარკვეულწილად, სპეციფიკური ფსიქოტიპია. ზოგადად, კოლექციონერობა, როგორც ინტერესთა სფერო, განსაზღვრავს მისი ცხოვრების წესსა და მიმართულებებს. ამასთანავე, ის ეპოქის ისტორიის შენახვასა და გაცოცხლებას ცდილობს. ეს თამამად შეიძლება ითქვას გურამ კახიძის შესახებ, რომლის ათიოდე წერილი დაცულია კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ალექსანდრე ბარამიძის პირად არქივში. წერილები დაწერილია 1982-1987 წლებში. აღსანიშნავია ისიც, რომ წერილებთან ერთად ადრესანტი აგზავნის საინტერესო ფოტოებსაც, რომლებიც მისი საურთიერთო წრისა და ბათუმში ჩატარებული ღონისძიებების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის.

როგორც პროფესორ ალექსანდრე ბარამიძის საარქივო მასალიდან ვიგებთ, ბათუმელ კოლექციონერს – გურამ კახიძეს საცხოვრებელი ბინის ოთხი ოთახიდან ორი დათმობილი ჰქონდა მუზეუმ-ბიბლიოთეკისთვის, რომელსაც „საბრძოლო დიდების მუზეუმს“ უწოდებდა. ის ექსპონატებს წლების განმავლობაში დიდი რუდუნებით აგროვებდა. კოლექციონერი სტალინის პიროვნებით იყო გატაცებული, ის ცდილობდა გარეგნობითა და ჩაცმულობით მიმსგავსებოდა ბელადს. მისი მუზეუმში შედგებოდა ძირითადად სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალისგან, გარდა ამისა, ის უკავშირდებოდა იმ პერიოდისთვის ცნობილ სამხედრო პირებს, მწერლებს, პოლიტიკოსებს, დიპლომატებს, მეცნიერებს და ითხოვდა მათგან წიგნებსა და პირად ნივთებს თავისი მუზეუმის შესავსებად, ამგვარად, მუზეუმში მოიცავდა საბჭოთა ეპოქის ამსახველ ექსპონატებს.

1982 წლის 15 აპრილით დათარიღებულ წერილში გურამ კახიძე პროფესორ გიორგი მერკვილაძის მითითებით უგ-

ზავნის ალექსანდრე ბარამიძეს პირველ წერილს, რომლის-განაც ვიგებთ, რომ ამ პერიოდისთვის მისი მუზეუმი შედგებოდა 6000 ექსპონატისგან. მას ხშირი ურთიერთობა ჰქონდა თანამდებობის პირებთან და მწერლებთან, იღებდა მასალებს ანდრეი გრომიკოსგან, ვალენტინ ბერეჟკოვისგან, ლევან სანიკიძისგან, ჯანსუღ ჩარკვიანსგან და სხვებისგან. აღნიშნავს, რომ მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა სტალინის შვილიშვილთან ევგენი ჯუღაშვილთან, რომელიც იყო იაკობ ჯუღაშვილის ვაჟი მეორე ქორწინებიდან. სწერს, რომ ვიაცხესლავ მოლოტოვისგან (საბჭოთა კავშირის მთავრობის მეთაური და საგარეო საქმეთა მინისტრი) მიიღო 500-მდე ფოტომასალა და სტალინის ნაქონი ნივთები. სთხოვს ალექსანდრე ბარამიძეს, რომ გაუგზავნოს ნიგნები და ფოტო ავტოგრაფით (ხეც, აღ. ბარამიძის არქ. N2280). უნდა ითქვას, მათ შორის მიმონერა დაახლოებით 5 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. ჩანს, რომ ადრესატი კოლექციონერს ხშირად უგზავნიდა თავის ნიგნებსა თუ სხვა მასალას. გურამ კახიძე ხშირად ეპატიჟებოდა ალექსანდრე ბარამიძეს ბათუმში მუზეუმის დასათვალიერებლად. თუმცა წერილების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ მას გურამ კახიძის მუზეუმ-ბიბლიოთეკა არ მოუხნახულებია.

1982 წლის 6 სექტემბერს კოლექციონერი მადლობას უხდის ადრესატს წერილის, ფოტოსა და ნიგნების („ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან” V-VI ტ.) გაგზავნისთვის. ის წერს: *„ღრმად პატივცემული ბატონო ალექსანდრე, დიდი მონდომებით წავიკითხე ორივე ნიგნში მინიშნებული მასალები ი. ბ. სტალინის დამოკიდებულება შალვა ნუცუბიძესთან და გენიალურ „ვეფხისტყაოსანთან” – ძლიერზე ძლიერია თქვენი ფასდაუდებელი შრომა”*. იმავე წერილში ვკითხულობთ: *„მე კვლავ მექნება დიდი თხოვნა, რაიმე თუ მოინახება თქვენს პირად არქივში დაკავშირებული ი. ბ. სტალინთან და საერთოდ მის ხელნაწერებთან, დიდად გთხოვთ დამეხმაროთ და ფოტოასლი მაინც გამომიგზავნოთ და თუ თქვენ გქონიათ შეხვედრა ი. ბ. სტალინთან მომწერეთ”*. აცნობებს, რომ ყოველ ზაფხულს მისი ოჯახის სტუმარია სტალინის შვილიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, პოლკოვნიკი ევგენი

ჯულაშვილი მეუღლესთან – ნანა ნოზაძესთან (ლომონოსოვის უნივერსიტეტის გერმანული ენის პედაგოგი) და შვილებთან – ბესარიონ და იაკობ ჯულაშვილებთან ერთად. სწერს, რომ მოაწყვეს სადამო „ხალხი გმირებს არ ივინყებს“, რომელზეც იაკობ იოსების ძე ჯულაშვილის გმირულ ისტორიაზე ერთსაათიანი საინფორმაციო მოხსენებით გამოვიდა გურამ კახიძე (ხეც, აღ. ბარამიძის არქ. N2281).

წერილების მიხედვით, გ. კახიძის დაინტერესება განსაკუთრებით გამოიწვია მოლოტოვის ინფორმაციამ სტალინის მიერ შალვა ნუცუბიძისეული „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის ჩასწორებული სტროფის თაობაზე. ის სთხოვს ადრესატს, რომ მიაწოდოს აღნიშნული სტროფის პირი. თუმცა 1985 წლის 28 იანვრის წერილში ვკითხულობთ: *„ვერა და ვერ მივალწიე სტალინის ხელით ჩასწორებული „ვეფხისტყაოსნის“ ფოტოასლი ჩამეგდო ხელში, თქვენ შემდეგ დევი სტურუას მივმართე, გორის მუზეუმსაც, მაგრამ ვინმემ ვერ აღმომიჩინა საქმიანი დახმარება. მე ძალიან გული მტკივა ამაზე იმ დროს როცა მე საჭირო დოკუმენტები და სტალინის პირადი ნივთები გამომიგზავნა პირადად ჩერნენკომ, გრომიკომ, უსტინოვმა და სხვებმა“...* (ხეც, აღ. ბარამიძის არქ. N2284). ეს დაინტერესება განაპირობა იმანაც, რომ მას სურდა მუზეუმში შემდეგი თემის გამოყოფა – „სტალინი და ლიტერატურა“.



გურამ კახიძე, მისი მეუღლე მერი და შვილები, ზურა და ლიანა კახიძეები. გადაღებულია მუზეუმის ერთ-ერთ ექსპონატთან.

1982 წლის 15 აპრილი

„Книжное обозрение“-ს 1987 წლის 10 ივლისის 28-ე ნომერში დაიბეჭდა მცირე სტატია გურამ კახიძის მუზეუმ-ბიბლიოთეკის შესახებ, რომლის ავტორია ი. სობოლი (მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, მეცნიერი).



„Книжное обозрение”, 1987 წ. 10 ივლისი, N 28

სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ მან ნახა უნიკალური საოჯახო ისტორიული მუზეუმ-ბიბლიოთეკა, რომელიც 30 წლის განმავლობაში შეაგროვა ბათუმის საზღვაო ნავსადგურის დოკერ-მექანიზატორთა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირმა. მისი საცხოვრებელი ბინის ორ ოთახსა და აივანზე განთავსებულია სტენდები, ექსპონატები, ბიბლიოთეკა. მუზეუმში ინახება იმ პერიოდის საზოგადო მიღვანეების, დიპლომატების, მწერლების, მეცნიერების ნიგნები ავტოგრაფებით. მათ შორისაა ნიგნი „ყინული და ცეცხლი”, რომლის ავტორია საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი ივანე ჰაპანიანი. ნიგნს ახლავს ავტოგრაფი, რომელიც ერთგვარი შეფასებაა გურამ კახიძის პიროვნებისა და მისი საქმიანობის: „ჩვენი ქვეყნის პატრიოტს, უნიკალური მუზეუმ – ბიბლიოთეკის შემქმნელს, ენთუზიასტს, ისტორიის დამფასებელს”... ავტორი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირში ბევრია საოჯახო ბიბლიოთეკის შემგროვებელი, მაგრამ ის, რომ ოჯახის ყველა წევრი იყოს ბიბლიოფილი და ნიგნებს გასცემდნენ როგორც ნაცნობებზე, ისე უცნობებზე, ეს იშვიათია. ბათუმის საზღვაო ნავსადგურში, სადაც მუშაობს ენთუზიასტ-ნიგნისმოყვარული, ასამდე თანამშრომელი მისი ბიბლიოთეკით მოსარგებლეა. ეკიპაჟის წევრებსაც მიაქვთ ხოლმე ნიგნები შორეულ ნაოსნობაში.



გურამ კახიძე, ევგენი ჯულაშვილი და მისი შვილები, ბესარიონ და იაკობ ჯულაშვილები, ქ. ბათუმი. 1982 წლის 11 ივლისი.

ბოლოდროინდელი წერილების მონაცემებით, მუზუმში ექსპონატთა რიცხვმა 8680 მიაღწია, ხოლო წიგნაღმა ფონდმა -1100. ასევე, მუზუმს ჰყავდა ბევრი ვიზიტორიც.



ამიერკავკასიის სასაზღვრო ჯარების სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი გენადი ზგერსკი გადასცემს მედალს გურამ კახიძეს საზღვრის დაცვაში აქტიური მონაწილეობისათვის. 1986 წლის 13 მარტი.

ამგვარად, უნდა ითქვას, რომ გურამ კახიძე, როგორც კოლექციონერი, ეძებდა ავთენტურ მასალას სტალინისა და, ზოგადად, საბჭოთა ეპოქის შესახებ. ის ხშირად იწერდა ხოლმე მოგონებებს სტალინის თანამედროვეებისგან (მაგალითად, ადმირალმა გორშკოვმა გამომიგზავნა თავისი სამხრეები, რომლებიც სტალინმა 1943 წელში გადასცა და ასევე მოგონებები სტალინთან დაკავშირებით). შესაბამისად, ეს მასალები საინტერესო უნდა იყოს იმ პერიოდის მკვლევართათვის. ვფიქრობ, რომ გურამ კახიძის კოლექციას ისევ უნდა ჰყავდეს ვიზიტორები (ვიციტ, რომ ევროპის გარკვეულ ქალაქებში დიდი პოპულარობით სარგებლობს სწორედ ამ ტიპის მუზეუმები), ანუ უნდა ამოქმედდეს, როგორც მუზეუმი, და დადგეს მისი ინსტიტუციონალიზაციის საკითხი.

გამოყენებული წყაროები:

1. კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრი, ალექსანდრე ბარამიძის არქივი, N2280-2281, 2284.

Ketevan Khitarishvili

Guram Kakhadze – Collector from Batumi

Summary

Collector is somewhat related to enthusiasm and the one who is engaged in this activity is somewhat specific psychotic. In general, collectivity as a field of interest determines the way of life and direction of his (or her) life. The article deals with the collector from Batumi – Guram Kakhidze whose letters are protected in Alexander Baramidze's personal archive at the Korneli Kekelidze National Center of Manuscripts of Georgia.

**საბჭოთა რეპრესიების
კვლევის საკითხებისთვის აჭარაში**

თანამედროვე ისტორიოგრაფიაში საბჭოთა რეპრესიების კვლევა ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად იქცა. კომუნისტური რეჟიმის პირობებში ამ საკითხების შესწავლა შეუძლებელი იყო, რამაც ხელი შეუწყო პოსტსაბჭოთა პერიოდში აღნიშნული მიმართულებით კვლევათა გააქტიურებას.

საკითხის აქტუალობას განაპირობებს ის ფაქტორიც, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ჯერ კიდევ არ არის დაძლეული საბჭოთა მემკვიდრეობა. საბჭოთა წარსულზე საუბრისას ორი უკიდურესად განსხვავებული მოსაზრება იჩინს თავს და ორივე მათგანი, უმეტესწილად, საფუძვლიან ანალიზს მოკლებულია.

ბოლო პერიოდში საბჭოთა წარსულის კვლევის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა მიუხედავად ნაშრომთა ერთგვარი სიმრავლისა, დღემდე შესწავლილი არ არის რეგიონებში განხორციელებული რეპრესიების თავისებურებები და სპეციფიკურობა.

აჭარასთან მიმართებაში გარკვეულწილად პასუხგაუცემელი რჩება კითხვები:

- 1. როგორი იყო დამოკიდებულება აჭარის არ მოსახლეობის მიმართ?**
- 2. რა როლს თამაშობდა რელიგიური ფაქტორი და რეგიონის საზღვრიპირა მდებარეობა;**
- 3. რა გავლენას ახდენდა ხელისუფალთა ერთგვარი ამბივალენტური დამოკიდებულება იდენტობის მიმართ;**
- 4. რა განაპირობებს მოსახლეობის განსხვავებულ შეხედულებებსა და დამოკიდებულებებს კომუნისტური რეჟიმის შეფასების პროცესში;**

5. რა გავლენას ახდენს განსხვავებული შეხედულებების არსებობა პოლიტიკური რეპრესიების მეცნიერულ-ისტორიული ანალიზის პროცესში და ა. შ.

ჩვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ საბჭოთა კავშირში ყველა სფერო იდეოლოგიზებული იყო. შესაბამისად, ისტორიკოსებიც ქმნიდნენ საბჭოთა ისტორიას. ინტელექტუალები თავისუფალი იყვნენ მხოლოდ შორეული წარსულის კვლევის საკითხებში.

1990-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, სხვადასხვა არქივში დაცული საიდუმლო ფონდები, ტაბუდადებული საარქივო დოკუმენტები ხელმისაწვდომი გახდა, გამოქვეყნდა ქართველ ემიგრანტთა მემუარები, სამეცნიერო მიმოქცევაში შევიდა ემიგრანტ ისტორიკოსთა ნაშრომები. ყოველივე ამან შესაძლებელი გახდა გარკვეული ინფორმაციის დაგროვება. საქართველოში, როგორც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში, წარსულის გადაფასების პროცესი დაიწყო, თუმცა ეს მხოლოდ ცალკეულ ისტორიულ მოვლენებს შეეხო და უმთავრესად, ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში აისახა.

1990-იან წლებში საბჭოთა წარსულის გადაფასება ვერ განხორციელდა, რომლის მიზეზად სამეცნიერო წრეებში სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორი სახელდება:

1. ტერორის პერიოდის წყაროთა ბაზის უქონლობა.

როგორც ცნობილია, 80-იანი წლების ბოლომდე რეპრესიებთან დაკავშირებული მასალები მიუწვდომელი, ხოლო მასზე საუბარი დაუშვებელი იყო. 1990-იან წლებში კი, სამოქალაქო ომის დროს მთლიანად დაიწვა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის შენობა, სადაც შინსახკომის ორგანოების დოკუმენტები და საბჭოთა პერიოდში გასამართლებულ და რეაბილიტირებულთა სისხლის სამართლის საქმეები ინა-

ხებოდა. შესაბამისად, განადგურდა ეს მასალაც. ასევე განადგურდა თბილისის მილიციის არქივი და დაიკარგა მნიშვნელოვანი ინფორმაცია სკპ(ბ) ხელმძღვანელობის სოციალურ-პოლიტიკური ამოცანების შესახებ. გადარჩენილია მხოლოდ ის დოკუმენტები, რომელიც დაცულია შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში. საბჭოთა უშიშროების კომიტეტმა თბილისიდან სმოლენსკში გაიტანა ე.წ. ოპერატიული არქივი, რომლის მხოლოდ ნაწილის დაბრუნება მოხდა.

2.90-იანი წლების კრიზისი და ტრაგიკული მოვლენები. სამოქალაქო ომი, განადგურებული ეკონომიკა და ის სოციალურ-პოლიტიკური პრობლემები, რაც ამ პერიოდის საქართველოსთვის იყო დამახასიათებელი, ხელს უწყობდა წარსულის ტრავმული გამოცდილების შესახებ მოგონებების მეხსიერებიდან განდევნას. ამდენად, გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე მარტო დარჩენილი რეპრესირებულების საკითხი კვლავ განუხილველი რჩებოდა.

3.პასუხისმგებლობის ვექტორის გარე მტრისკენ მიმართვა. საბჭოთა წარსულის თანამედროვე მკვლევართა აზრით, ჩვენთვის, ქართველებისთვის, გაცილებით უფრო ადვილი აღმოჩნდა მსხვერპლის როლის მორგება, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ისტორიას ქართველები სხვებთან ერთად ვქმნიდით. როგორც ვიცით, გასული საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიები, ძირითადად, სტალინისა და ბერიას პიროვნების ქრილში განიხილებოდა.⁵ როგორც ჩანს, დანაშაულის რამდენიმე კაცზე გადაბრალება უფრო

⁵მარკ იუნგე, იომარ თუშურაშვილი, ბერნდ ბონვეჩი „ბოლშევიკური ნესრიგი საქართველოში“, ტომი I, გვ. 14.

მარტივი აღმოჩნდა, ვიდრე სიმართლისთვის თვალის გასწორება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართული და არა მხოლოდ ქართული ისტორიოგრაფია გაჯერებულია რეპრესირებული ქართული ელიტის შესახებ ფაქტების განხილვით. ისტორიკოსები ნაკლებად საუბრობდნენ საბჭოთა საქართველოს ელიტის ქმედებებზე. შედარებით ახალი კვლევები მიუთითებს რეპრესიების შედეგად არა მხოლოდ ელიტის, არამედ მთლიანად ქართული საზოგადოების მიერ გაღებულ მსხვერპლზე.

შს სამინისტროს არქივში დაცული არაერთი მნიშვნელოვანი მასალა ნათლად წარმოაჩენს, როგორი იყო ქართული საბჭოთა ელიტა, რამდენად იყვნენ ისინი ჩართულნი სისხლიანი სისტემის შექმნაში, რომელსაც დამატებითი დინამიკა ხშირად რეგიონებიდან ეძლეოდა.

დიდი ტერორის იმ ეტაპზე, როცა საზოგადოების მასობრივი გასამართლება საქართველოს სსრ შინსახკომის „სამეულებმა“ დაიწყეს, სადამსჯელო უფლებამოსილების ნაწილი რეგიონებმა აიღეს თავზე. ამ მხრივ საინტერესოა აჭარის არ შინსახკომის უფროსის მოადგილის ს. ი. კუტელის მიერ საქართველოს სსრ შინსახკომის უფროსის მოადგილის ა. ნ. რაფავასთვის გაგზავნილი წერილი, რომელიც „კულაკური“ სამეულებისთვის კონტინგენტის შერჩევის მექანიზმებზე მოგვითხრობს. დოკუმენტი 1937 წლის 13 აგვისტოთი არის დათარიღებული და სრულიად საიდუმლო მასალას წარმოადგენდა.⁶

„ამხ. რაფავა! ქ. ბათუმი

რადგან ადამიანები და საქმეები უკვე მზად იყვნენ, გადაწყვიტეთ მათი გამოგზავნა დღეს, ასე ვთქვათ, რიგის დასაკავებლად.

⁶საქართველოს შსს არქივი, პირველი განყოფილება, ფ. 12, ს. 57, ფ.32, 33 ორიგინალი. მანქანაზე ნაბეჭდი დოკუმენტი; მარკ იუნგე, ომარ თუშურაშვილი, ბერნდ ბონეჩი „ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში“, მეორე ტომი, გვ.65.

საქმე ისაა, რომ ჩვენ დაახლოებით 700 საგამოძიებო საქმე გვაქვს და ვგვევმათ 200-ზე მეტი ადამიანის აყვანას, იმათ გარდა, ვისაც სამეულის სპეციალური სიით დააპატიმრებენ.

ამიტომ ჩვენ დაუყოვნებლივ გამოვყავით დაახლოებით 315 საქმე – 154 ჩართულია სამხედრო კოლეგიის სიებში (76 – პირველ სიაში, 79 – მეორეში).

როდესაც ამხ. გოგლიძეს გამოძიებითა და დაპატიმრებულებით ჩვენი დატვირთვის შესახებ მოვახსენე, მან თქვა, რომ შეიძლება სამხედრო კოლეგიის სიების გაცხრილვა სამეულისთვის. ამიტომ სამხედრო კოლეგიისთვის დავტოვეთ დაახლოებით 100 ადამიანი, ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივი. ამ რაოდენობიდან 10-მდე ადამიანი გავა საჯარო პროცესზე, მაგრამ სამხედრო კოლეგიისთვის უნდა შევადგინოთ ახალი, 30-კაციანი სია.

ამრიგად, ვფიქრობ, რომ სამხედრო კოლეგიისთვის 110-120 ადამიანი გვეყოლება.

თქვენთვის გამოგ ზავნილი 315 საქმიდან:

1. დაახლოებით 105-110 – აჭარის მემბოხური ორგანიზაციის მონაწილეა;
 2. 95 – ტროცკისტია;
 3. 60-65 – მენშევიკი და სოც.ფედერალისტია;
 4. 40-50 – ფაშისტი და დივერსანტი;
- (საბოლოო ციფრები ხვალ მექნება).

შესაძლოა, ზოგიერთი ჯგუფური საქმე უფრო მიესადაგება სამხედრო კოლეგიას, მაგრამ ჩვენი მდგომარეობის მხედველობაში მიღებით, აუცილებელი განტვირთვის თვალსაზრისით, კარგი იქნება, თუ შესაძლებლად ჩათვლით მათ სამეულზე გატარებას.

სამეულის შესახებ ჩვენი გეგმები ასეთია:

1. სიები იზრდება თქვენი დავალების შესაბამისად, კონტრრევოლუციურ-მემბოხური ორგანიზაციის მონაწილეთა, აგრეთვე მენშევიკების, ოფიცრებისა და ა.შ. ხარჯზე.

ზუსტდება ყ[ოფილ] კულაკთა სიები, რომლებიც, სავარაუდოდ, ასევე გაიზრდება.

სიებს გამოვავ ზავნით 15-20 აგვისტოს, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება ოპერაციის ჩატარება.

2. შეგროვდება კიდევ უფრო დიდი კონტინგენტი – (როგორც ჩანს, არანაკლებ 200 ადამიანისა) – დაუმთავრებელი საგამოძიებო საქმეებიდან.

ყვირილიანს და გაგუას მოაქვთ 96 საქმე. ხვალ, ე.ი. 14/VIII – უნდა წამოვიდნენ მინინი და ცომადოსი 120 საქმით და 15/VIII – ქობულოვი და კონსტანტინიდი ასევე წამოიღებენ 100-მდე საქმეს.

კუგელი 13/8-1937 წ. ბათუმი“

როგორც ცნობილია, აჭარა 1878 წლამდე ოსმალეთის იმპერიის დაპყრობილ ტერიტორიას წარმოადგენდა, რომლის მოსახლეობის დიდი ნაწილი გაამუსლიმანეს. რელიგიის, საზღვრისპირა მდებარეობისა და თურქეთის მხარის მიერ თავის სასარგებლოდ წარმოებული აგიტაცია-პროპაგანდის გათვალისწინებით, საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებული უნდობლობით იყო განწყობილი აჭარის მოსახლეობის მიმართ. ერთი მხრივ, თურქეთი ცდილობდა ესარგებლა აჭარის უკიდურესად შეჭირვებული ეკონომიკური მდგომარეობით, საბჭოთა სახელმწიფოს მიერ დაწესებული გადასახადებით კიდევ უფრო დამძიმებული ყოფა აჭარაში სათავისოდ გამოეყენებინა და გადაებირებინა მოსახლეობა, ხოლო მეორე მხრივ, სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით, საქართველოს საბჭოთა მთავრობა აწესებდა დამატებით კონტროლს და მუშაობდა იმისთვის, რომ გამოეკლინა ანტისაბჭოთა აგიტატორები. შედეგად, რეგიონის მოსახლეობა ფსიქოზურ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

1920-30-იანი წლების აჭარაში მიმდინარე პროცესები არის აღწერილი ლ. ბერიას მიერ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტის მდივნისთვის მიწერილ მოხსენებაში.

**საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ კახიანს**

მოსხენებითი ბარათი:

1921 წელს ყარსსა და მოსკოვს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე მინიჭებული უფლებით, აჭარის-ტანში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს შეუძლია მიიღოს თურქეთის მოქალაქეობა და საცხოვრებლად გადავიდეს თურქეთის ტერიტორიაზე.

შეთანხმების შესასრულებლად ბათუმში ჩამოვიდა თურქეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს განსახლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ამიერკავკასიაში მარაუფ-ბეი. ბათუმში მისი ვიზიტის შესახებ დაიბეჭდა გაზეთ „ფუხარაში“.

განცხადებაში ნათქვამია: „ბათუმში თურქეთის საკონსულოს განცხადებით, თურქეთის რესპუბლიკის მთავრობისა და საბჭოთა კავშირის მიერ დადებული და ანგორაში 1927 წლის 11 მარტს რატიფიცირებული ხელშეკრულების საფუძველზე პროტოკოლით გათვალისწინებულია: ადგილობრივ ქალაქებსა და სოფლებში ყველა მუსლიმანი, ვინც საუბრობს თურქულ ენაზე, გახდეს ეროვნებით თურქი. თავისუფლად შეუძლიათ გაყიდონ თავიანთი საცხოვრებლები და გადავიდნენ თურქეთის ტერიტორიაზე საცხოვრებლად. თურქეთის მთავრობა ჰპირდება მათ, რომ შეუქმნის ყველანაირ საცხოვრებელ პირობებს. ქალაქის მაცხოვრებლებს აუშენებს სახლებს და გამოუყოფს სავაჭროდ მაღაზიებს. სოფლის მოსახლეობისთვის კი გამოყოფს მიწებს, ბაღებსა და პოსტნებს. ამ ყველაფერთან ერთად ემიგრანტები ორი წლის განმავლობაში გათავისუფლებული იქნებიან სამხედრო სამსახურისგან.“

ეს განცხადება ყარსის ხელშეკრულების მე-12 და მე-13 პუნქტების ამკარა დამახინჯებაა. თურქების შეფარვითი განზრახვა, გადასახლება გამოიყენონ თავიანთ სასარგებლოდ. ამის შესახებ სააგენტოს მეშვეობით, ჩვენ დაუყოვნებლივ მივანოღეთ ინფორმაცია ბათუმის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს, შედეგად გაზეთ „ფუხარაში“ შესწორებები შევიდა.

ამავდროულად გაირკვა, რომ ბათუმსა და ტიფლისში ვიზიტისას მარაუფ-ბეი დაინტერესდა აჭარისტანში მცხოვ-

რები გლახებით, მათი საცხოვრებელი პირობებით, მინებით უზრუნველყოფითა და ა.შ.

თურქეთში გადასახლებაზე აგიტაცია უფრო გააძლიერა თურქეთის საკონსულომ. აგიტაციაში ჩართულები იყვნენ თურქი პედაგოგები და კონსულთან დაახლოებული პირები.

ცხადი გახდა, რომ თურქეთის საკონსულო სწორედ იმ ვხით იყენებდა გადასახლების აგიტაციას, რის შესახებაც საუბარი იყო გაზეთ „ფუნარაში“.

გამოვლენილია შემთხვევა, რომ თურქეთის საკონსულომ დაიბარა სოფლის პედაგოგი, რომელმაც სოფელში დაბრუნების შემდეგ დაიწყო აგიტაცია და სოფლის მოსახლეობას მოუწოდა თურქეთში გადასახლება.

ასევე გამოვლინდა განსაკუთრებით მავნე აგიტატორების ვინაობა, რომლებსაც თურქეთის საკონსულოში ვიზიტის შემდეგ უნდოდათ ხულოს მაზრის სოფელ ლომანაურში მოღობის ჩასახლება.

ოქტომბრის შუა რიცხვებისთვის მთელ აჭარისტანში დარეგისტრირებული იყო ოპოციზიურად განწყობილი მხოლოდ 17 ოჯახი, თუმცა გაირკვა, რომ გადასახლების საკითხმა გაცილებით არასასიამოვნო სახე მიიღო. წარმატებულმა აგიტაციამ აჭარისტანის გლეხებში ხელი შეუწყო ისეთი პირების გააქტიურებას, რომლებსაც პირდაპირ შეხება არ ჰქონიათ არსებულ საკითხთან დაკავშირებით.

მომხდარმა წყალდიდობამ უდიდესი ეკონომიკური ზარალი მიაყენა მოსახლეობას და გაამწვავა სიტუაცია. ამის გამო გადასახლებასთან დაკავშირებული საკითხის წამოწევა მოსახლეობა ანტისაბჭოთა აგიტაციად მიიჩნევდა.

მიუხედავად გამწვავებული სიტუაციისა თურქები და ანტისაბჭოთა ელემენტები ყველანაირ ხერხს მიმართავდნენ. ისინი იყენებდნენ მუსულმანური რელიგიის მაღალ სასულიერო პირებს – მოღებს, ასევე კულაკებს, რომლებიც განაწყენებულები იყვნენ აჭარისტანის მთავრობაზე რელიგიის სწავლების საკითხებთან, ასევე მეჩეთის ქონების გასხვისებასა და არალეგალურად შემოჭრილი 4 მუსლიმური სასულიერო პირის (მოლის) დაპატიმრებასთან დაკავშირებით.

გადასახდებთან მიმართებაში თურქ აგიტატორებს შემდეგი არგუმენტები მოყავთ:

ა) აჭარისტანში გლეხებზე დაკისრებული მაღალი გადასახადები;

ბ) საბჭოთა სკოლებში რელიგიისა და სასულიერო საკითხების უგულვებელყოფა;

გ) ჩადრების ჩამოხსნა, მეჩეთების დახურვა და მოსახლეობის აღწერა-რეგისტრაცია.

ამ არგუმენტებიდან გამომდინარე მათ, ვინც დატოვებს აჭარას და გადასახლდება თურქეთის ტერიტორიაზე, თურქული მხარე განსაკუთრებულ პირობებს და შეღავათებს პირდება.

თურქოფილური მუშაობისა და დაპირებების შედეგად ჩვენ მივიღეთ, რომ გადასახლებასთან დაკავშირებით, აჭარისტანის ზოგიერთ რაიონებში მოსახლეობას დიდი მისწრაფება და სურვილი გაუჩნდა. განსაკუთრებულად დაუფარავი სურვილი გამოთქვა ქედის და ხულოს მაზრების მოსახლეობამ.


აჭარის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოსთვის გადაგ ზავნილ მასალებში გადასახლებასთან დაკავშირებით დაფიქსირებულია მსგავსი ფაქტები – ესენია სოფლები: გიგინაური, ლომანაური, პაპაშვილები, კარაპეტი, სულ მოსახლეობის საერთო რაოდენობა 687, მსურველები არიან ასევე ალადაურის რაიონის ყველა სოფლიდანაც.

ზემოაღნიშნული საკითხის დეტალურად შესასწავლად ადგილზე ჩავიდნენ სახალხო კომისარიატის საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი მემედ ლოლობერიძე და პარტიული კომიტეტის წარმომადგელები. ამხანაგმა ლოლობერიძემ აჭარის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოსგან მოითხოვა მუსავატური ხასიათის პროკლამაციები და შეიარაღებული ძალები, რათა მოენყო პროვოკაცია განსაკუთრებულად მავნე აგიტატორების დასაჭერად.

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო თვლის, რომ ვიდრე საკითხი ბოლომდე არ იქნება შესწავლილი და არ გაირკვევა დეტალები, რეპრესიული ქმედებები არ გატარდეს.

ვთვლი, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა სიტუაციის უკეთ შესწავლისთვის აჭარისტანში გაიგზავნოს ცენტრალური ორგანოების პასუხისმგებელი თანამშრომლები“.

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარე ლ. ბერია⁷



⁷შსს არქივი(II), ფ. 14. აღნ.3, ყუთი 7, საქმე 43, გვ.4.; „არქივის ვებდატაქვალ – ბათუმი“ – სპეციალური საარქივო გამოცემა, 2017წ.; ეკატერინე კაციტაძე „მასობრივი გადასახლებები“

სწორედ უნდობლობის ფაქტორით იყო განპირობებული საქართველოს კპ(ბ) ცკ პირველი მდივნის ლ. ბერიას წინააღმდეგობა საქართველოს საზღვრისპირა – ადიგენის, ახალციხის, ასპინძის და ახალქალაქის რაიონებში სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 17 ივლისის დადგენილების გატარების შესახებ და ითხოვდა ძალაში დარჩენილიყო 1936 წელს არსებული წესი, რომლის თანახმადაც სამლოცველო სახლები (მეჩეთები) ამ რაიონებში შენობისა და მიწის გადასახადისგან თავისუფლდებოდნენ.

**„1937 წლის 16 სექტემბერი
აჭარის ასსრ-სა და საქართველოს სსრ საზღვრისპირა რაიონებში სამლოცველო სახლების (მეჩეთების)
დაბეგვრის შესახებ**

1. აჭარის ასსრ-სა და საქართველოს სსრ-ის ზოგიერთ საზღვრისპირა რაიონში შენობებისა და მიწის რენტის გადასახადით სამლოცველო სახლების (მეჩეთების) დაბეგვრა მუსულმანთა სასულიერო პირებმა და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტებმა შეიძლება პროვოკაციული მიზნით გამოიყენონ. ვთხოვთ სკპ(ბ) ცკ-ს ნება დავეთოს, რომ 1937 წელს აჭარის ასსრ-სა და საქართველოს საზღვრისპირა – ადიგენის, ახალციხის, ასპინძის და ახალქალაქის რაიონებში არ გავატაროთ სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 17 ივლისის დადგენილება, ძალაში დავტოვოთ 1936 წელს არსებული წესი, რომლის დროსაც სამლოცველო სახლები (მეჩეთები) ამ რაიონებში თავისუფლდებოდნენ შენობების და მიწის რენტის გადასახადისგან.

2. დაევალოთ ამხ. ბაქარაძეს, ჩარკვიანს და კოჭლამაზიშვილს, შეიმუშაონ წინადადებები სამლოცველო სახლებიდან (მეჩეთებიდან) შენობებისა და მიწის რენტის

გადასახადის აკრეფის შესახებ 1938 წელს და წარმოადგინონ ისინი დასამტკიცებლად.

საქართველოს კპცკ მდივანი:⁸

როგორც ცნობილია, საბჭოთა რეპრესიების ე.წ. „ნაციონალური ოპერაციები“ სწორედ იმიტომ ხორციელდებოდა, რომ ისინი სხვა, უმრავლეს შემთხვევაში, კაპიტალისტური ქვეყნის წარმომადგენლები იყვნენ, რაც საზღვარგარეთთან კავშირს ნიშნავდა და შესაბამისად, ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკურ ხედვებს. ცხადია, საბჭოთა ხელისუფლებას მსგავსი მიზეზები თავისუფლად შეიძლებოდა დაენახა აჭარასთან მიმართებაში, რომელსაც გააჩნდა ავტონომია რსფსრ-ის ხელშეკრულებებით თურქეთთან და წარმოადგენდა საზღვრიპირა რეგიონს, იდენტობის მიმართ ამბივალენტური დამოკიდებულებით.

ბოლო პერიოდში საკითხის აღნიშნულ ჭრილში კვლევის თვალსაზრისით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა. განსაკუთრებით ფართო დისკუსიის საგანი გახდა მარკ იუნგეს, ბერნდ ბონვეჩისა და დანიელ მიულერის მიერ 2015 წელს გამოცემული წიგნი „ეთნოსი და ტერორი საქართველოში“, სადაც 30-იანი წლების მოვლენები ეროვნული უმცირესობებისადმი მიმართული რეპრესიების კონტექსტში არის განხილული. საქართველო წარმოჩენილია როგორც მოსკოვთან მჭიდრო კავშირში მყოფი აქტიორი და დიდი ტერორის განმახორციელებელი, რომელიც რესპუბლიკური ხელისუფლების გაძლიერებითა და ტიტულოვანი ქართველი ერის ჰომოგენიზაციით არის დაინტერესებული. კვლევაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა იმპერიის მიერ განხორციელებული რეპ-

⁸საქართველოს შსს არქივი, მეორე განყოფილება, გ.14. აღ.11. ს.109. ორიგინალი მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი; მარკ იუნგე, ომარ თუ-შურაშვილი, ბერნდ ბონვეჩი, ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში, მეორე ტომი, 113 გვ.

რესიული პოლიტიკა მკაცრი იყო აჭარის მოსახლეობის მამართ. მითითებულია გასამართლებულ ადამიანთა რაოდენობრივი მონაცემები და წარმოდგენილია სტატისტიკური ანალიზი. აჭარასთან მიმართებაში აქტუალური იყო უნდობლობის ფაქტორი, რაც ისლამური აღმსარებლობის მოსახლეობის არსებობით და რეგიონის თურქეთთან სიახლოვით იყო განპირობებული. წიგნის ავტორებმა და მკვლევარებმა შეამოწმეს 551 რეპრესირებული საქმე, სადაც (ეროვნულობის გრაფაში) 22 აჭარელად იყო მოხსენიებული, ხოლო სიკვდილით დასჯის შემთხვევაში პროცენტობა უფრო მაღალი იყო, რის გამოც მეცნიერები სიფრთხილით მიუთითებენ „აჭარლების“ მიმართ გატარებულ უფრო მკაცრ პოლიტიკაზე, ვიდრე „ქართველების“ მიმართ.⁹

ამავე თვალსაზრისით საინტერესოა მარკ იუნგეს, ომარ თუშურაშვილის და ბერნდ ბონვეჩის ნაშრომი „ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში“, რომელიც ორ ტომად 2015 წელს გამოიცა და აჭარის მოსახლეობის მიმართ რეპრესიების სიმკაცრეზე მიუთითებს. კვლევაში რელიგიური ორგანიზაციების მიმართ გატარებული რეპრესიების შესწავლისას აღნიშნულია, რომ 1926 წლის აღწერის მონაცემების გათვალისწინებით, რეპრესიათა ინტენსივობამ ქრისტიანულ „საეკლესიოთა“ და „რელიგიურთა“ მიმართ 0.01% შეადგინა, ხოლო მუსლიმანთა მიმართ – ოთხჯერ მეტი – 0,04%, რაც ასევე საგულისხმო ფაქტად შეიძლება მივიჩნიოთ. თუმცა აქვე განმარტებულია, რომ ქრისტიან მღვდელმსახურთა მიმართ სასჯელის უმაღლესი ზომა უფრო ხშირად გამოჰქონდათ, ვიდრე მოლეების მიმართ. დახვრეტილთა წილი მღვდლებს შორის 71%-ს შეადგენდა, რაც 15%-ით

⁹მარკ იუნგე , ბერნდ ბონვეჩი , დანიელ მიულერი „ეთნოსი და ტერორი საქართველოში“, გვ, 72

მეტი იყო, ვიდრე მოლების შემთხვევაში (56%), რითაც მკვლევარები ასკვნიან, რომ მოლების რეპრესიები, ძირითადად, საზოგადოებისგან მათი ჩამოშორების სურვილით იყო განპირობებული.¹⁰

ამავე პრობლემას ეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის გამოცემა – „ალადგინე ისტორია არქივთან ერთად“, ოსიკო გვარიშვილის („სტალინი და ავბედითი 1937 წელი“, ბათუმი. 2000 წ.), ნ. ცეცხლაძის („რეაბილიტაცია“), რ. სურმანიძის („ტრაგედია ბათუმში, 1937-38 წლები“), ო. თურმანიძის („სამეურნეო-საწარმოო კადრების, კულაკების და სხვა „არასასურველი“ ადამიანების რეპრესიები“) და სხვათა ნაშრომები. მიუხედავად ნაშრომთა ერთგვარი სიმრავლისა, შეიძლება ითქვას, რომ მწირია კვლევები საქართველოს რეგიონებში განხორციელებული დევნის სპეციფიკურობის და ქვეყნის სხვადასხვა მხარეში განხორციელებული ტერორის თავისებურებების შესახებ. პრაქტიკულად არ არსებობს რეპრესიების პოლიტიკური და კულტურული მეხსიერების კონტექსტში კვლევები, რაც ყურადღებას გაამახვილებდა ინსტიტუციონალური მეხსიერების პრობლემებზე და წარმოაჩინდა როგორც ერთი და იგივე პოლიტიკური სისტემის სხვადასხვა ეტაპზე, ასევე პოსტსაბჭოთა პერიოდში რეპრესიებთან დაკავშირებული პოლიტიკური შეხედულებების მდგრადობისა თუ ტრანსფორმაციის საკითხებს.

დიდი ტერორის თავისებურებების კვლევის საკითხს აჭარასთან მიმართებაში ართულებს ის ფაქტორიც, რომ საქართველოს „შინსახკომის“ კულაკური ოპერაციების მსხვერპლთა მონაცემების ბაზებში აჭარის მოსახლეობის ცალკე გათვალისწინება ნაწილობრივ ახლა

¹⁰მარკ იუნგე, ომარ თუშურაშვილი, ბერნდ ბონვეჩი „ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში – დიდი ტერორი კავკასიის პატარა რესპუბლიკაში“, ტ. I, გვ.77

დაიწყეს. ისინი გაერთიანებულნი არიან რეპრესირებულთა საერთო სიაში. თუმცა მათი ეროვნულობის გრაფაში „აჭარელი“-ს სახით დაფიქსირება დასახელებული პრობლემის კვლევასა და ანალიზს ფართო პერსპექტივას უქმნის.

დღემდე ფართო დისკუსიის საგანია საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის პირველი მდივნის ლავრენტი ბერიას მიერ გამოთქმული გულისწყრომა სსრკ სამეცნიერო დანებსებულებების მიმართ, აჭარელის ცალკე ეროვნებად გამოყოფასთან დაკავშირებით. ლ. ბერია ამ ფაქტს იმპერიალისტური და დიდმპყრობელური სულის გამოვლინებად აფასებს და იმეორებს ერის სტალინისეულ განმარტებას, რომ ერი არის ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრებისა და კულტურის საერთოობა. მეცნიერთა ნაწილი ამ ფაქტს ხსნის საბჭოთა საქართველოს მცდელობით, გაეძლიერებინა რესპუბლიკური ხელისუფლება და მოეხდინა ქართველი ერის ჰომოგენიზაცია. ამ პროცესში აჭარასთან დაკავშირებული კამპანიის ხელმძღვანელად დასახელებულია ლ. პ. ბერია. მკვლევართა გარკვეული ნაწილი კი – პატრიოტულ გამონათებად მიიჩნევს. საფიქრებელია ისიც, რომ აჭარელის ცალკე ერად გამოყოფა, თავსმოხვეული რელიგიის, გახლეჩილი სოფლების, საზღვრის იქით დარჩენილი ნათესაური და ეკონომიკური კავშირების ფონზე, კიდევ უფრო დიდი გაუცხოებისა და უნდობლობის საფუძველს შექმნიდა ამ რეგიონში, რაც საბჭოთა ხელისუფლების ინტერესების წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული.

საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის პირველი მდივანი ლ. ბერია
– სკკპ(ბ) ცკ-ის მდივანი. ი. ბ. სტალინს, ხალხთა ეთნიკური
კლასიფიკაციის შესახებ საქართველოში

1937 წლის 5 იანვარი

სკკპ(ბ) ცკ მდივანს
ამხანაგ ი. სტალინს

1937 წლის მოსახლეობის საკავშირო აღწერის მასალების მიხედვით ეროვნების საკითხის დამუშავების საფუძველი „ეროვნებათა ლექსიკონია“, რომელიც სსრკ საგეგმო კომიტეტის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალურმა სამმართველომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღწერის სამმართველოს სახელმძღვანელოდ გამოგზავნა.

ამ ლექსიკონის მიხედვით, აჭარლები ცაკლე ეროვნებადაა გამოყოფილი.

აჭარლების ცალკე ეროვნებად გამოყოფა და მათი ქართული ეროვნებისგან განცალკევება საფუძველშივე ეწინააღმდეგება ერის ცნების სტალინურ განსაზღვრებას.

აჭარლებს ქართველებთან აერთინებთ საერთო ენა, ტერიტორია, ეკონომიკური ცხოვრება და კულტურა. აჭარლები იგივე ქართველები არიან მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ წარსულში გამუსულმანებული იყვნენ.

იმ აღრევის, უფრო სწორად იმ დიდმპყრობელური სულის დასახასიათებლად, რომლითაც ჯერ კიდევ გაყლენთილია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ზოგიერთი სამეცნიერო დაწესებულება, მოვიყვანთ იმ ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნებს, რომლებამდეც მივყავართ ამ სამეცნიერო დაწესებულებებს ქართველი ერის კლასიფიკაციის საკითხებში.

სსრკ და მოსაზღვრე ქვეყნების მოსახლეობის ტომობრივი შემადგენლობის შემსწავლელმა მეცნიერებათა აკადემიის კომისიამ, რომელიც თავის დროზე მოსახლეობის 1926 წლის აღწერასთან დაკავშირებით შეიქმნა, დაადგინა ქართველი ერის შემდეგი კლასიფიკაცია:

1. ქართველები (შემადგენლობა: ქართლები (ქართლი), კახელები, თუშეთი, ფშავ-ხევსურები, ინგილოები, სომხები, ჯავახები, მესხები, კლარჯელები, ტაოელები, აჭარლები, გურულები, იმერლები, რაჭველები, ლეჩხუმელები).

2. მეგრელები
3. ლაზები
4. სვანები
5. ბაცბები

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და აზროვნების ინსტიტუტი მოსახლეობის 1937 წლის აღწერასთან დაკავშირებით იძლევა სხვა კლასიფიკაციას:

1. ქართველები
2. მეგრელები
3. ლაზები
4. სვანები
5. ბაცბები
6. აჭარლები

ხოლო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ანთროპოლოგიის ინსტიტუტი, ასევე მოსახლეობის 1937 წლის აღწერასთან დაკავშირებით, გვთავაზობს მესამე კლასიფიკაციას, რომელიც საფუძვლად დაედო სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს მიერ სახელმძღვანელოდ მონოდებულ „ეროვნებათა ლექსიკონს“.

1. ქართველები
მათ შორის
 - ა) მეგრელები;
 - ბ) ლაზები;
 - გ) სვანები
 - დ) ბაცბები.
2. აჭარლები

პირველ შემთხვევაში, აჭარლები შეყვანილია ქართველი ერის შემადგენლობაში, მაგრამ სამაგიეროდ ცალკე არიან გამოყოფილნი: მეგრელები, სვანები, ლაზები და ა.შ.; მეორე შემთხვევაში აჭარლებიც, მეგრელებიც, სვანებიც, ლაზებიც და ბაცბებიც გამოყოფილია დამოუკიდებელ ერებად; მესამე შემთხვევაში, იგივე მეგრელები, სვანები, ლაზები, ბაცბები კვლავ შეყვანილნი არიან ქართველი ერის შემადგენლობაში, მაგრამ სამაგიეროდ, უკვე აჭარლები არიან ცალკე.

საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწერის მასალები უახლოეს დროში დამუშავდება მოსკოვში და აჭარლები, ზემოხსენებული კლასიფიკაციის თანახმად, როგორც ცალკე ერი, განსაკუთრებულ პოზიციას დაიკავებენ.

ამიტომ სკკპ (ბ) ცკ(?) მიეცეს სსრკ საგვემო კომიტეტის სახალხო მურნეობის აღრიცხვის ცენტრალურ სამმართვე-

ლოს შესაბამისი მითითება ქართველი ერის კლასიფიკაციის გასწორების შესახებ, აჭარლების გასაერთიანებლად ქართველი ერის შემადგენლობაში.

საქართველოს კპ (ზ) ცკ მდივანი (ბერია)¹¹

საბჭოთა პერიოდის რეპრესიული პოლიტიკა აჭარაში, შეიძლება ითქვას, საბჭოთა იმპერიის მიერ წარმოებული საერთო პოლიტიკის ნაწილი იყო, რასაც აძლიერებდა, თურქეთის 300-წლიანი მმართველობითა და რეგიონის მუსლიმანური მოსახლეობით გამყარებული, თურქული ფაქტორის არსებობა. ამდენად, აჭარაში საბჭოთა რეპრესიების კვლევებისას განსაკუთრებით საყურადღებო და მნიშვნელოვანია ის საგარეო პოლიტიკური ასპექტები, რომელიც საფუძვლად ედო იმდროინდელ მოქმედებებს აჭარაში.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საბჭოთა რუსეთს თავისი ინტერესები მოგვიანო პერიოდშიც არ განელებია, რაც საზღვრისპირა რეგიონებიდან მასობრივ გადასახლებებში გამოიხატა. მეორე მსოფლიო ომის დროს საქართველოს საზღვრისპირა რაიონებში (ახალციხე, ადიგენი, ასპინძა, ახალქალაქი) გაზრდილი დარღვევები საბჭოთა უშიშროების ორგანოების მხრიდან ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ განხორციელებულ დესტაბილიზაციად შეფასდა და ისინი, თურქეთთან თანამშრომლობის ბრალდებით, შუა აზიაში გადაასახლეს. მართალია, ეს ოპერაცია თურქეთისა და საბჭოთა კავშირის სახელწიფო საზღვრის დაცვის ღონისძიებად შეფასდა, მაგრამ ცხადი იყო, რომ საბჭოთა

¹¹საქართველოს შსს არქივი, მეორე განყოფილება, ფ. 14.აღ. 11. ს. 152. ფ. 169, 188.ორიგინალი. მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი; მარკ იუნგე, ომარ თუშურაშვილი, ბერნდ ბონევიჩი „ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში“, ტომი II, გვ. 32.

რუსეთმა ზურგის საიმედოობისთვის ტერიტორია „განმინდა“.

რუსეთის მხრიდან თურქეთის ფაქტორით სპეკულირება დღემდე აქტუალურია, რომელიც ხშირად აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპაციის საპირწონედ არის გამოყენებული. სამწუხაროდ, ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფებში შეინიშნება რუსული ნარატივის დამკვიდრების მცდელობა მაშინ, როდესაც თურქეთის მხრიდან ამის წინაპირობა არ არსებობს, ხოლო რუსეთმა უკვე დაარღვია საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული საზღვრები.

საბჭოთა სისტემამ ჩვენ მეოცე საუკუნე წაგვართვა, ამიტომ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ოცდამეერთე საუკუნის საქართველოში მას დასაყრდენი აღარ ჰქონდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მარკ იუნგე, ბერნდ ბონვეჩი, ომარ თუშურაშვილი, „ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში – დიდი ტერორი კავკასიის პატარა რესპუბლიკაში“, თბილისი 2015.
2. მარკ იუნგე, ბერნდ ბონვეჩი, დანიელ მიულერი „ეთნოსი და ტერორი საქართველოში“, გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი, 2015.
3. სტეფან კურტუა, ნიკოლა ვერთი, ჟან-ლუი პანე, ანდრეი პარკოვსკი, კარელ ბარტოსეკი, ჟან-ლუი მარგოლენი, „კომუნიზმის შავი წიგნი“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2011.
4. საქართველოს შსს არქივი. I განყოფილება, თბილისი, ვაჟა-ფშაველას 72. www.archive.security.gov.ge.
5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, „ბოლშევიკების თვალით დანახული საქართველოს ოკუპაცია“, თბილისი, 2016 წ.
6. გ. მაისურაძე „ჩაკეტილი საზოგადოება და მისი დარაჯები“, თბილისი, 2011.

7. მ. მაგლობლიშვილი, 1937 – რეპრესირებულის მოგონებები, თბილისი, 1990.
8. აკაკი ბაქრაძე, „მწერლობის მოთვინიერება“, გამომცემლობა ლიტერასი, ესეისტიკა.
9. გრიგოლ ვაშაძის პირადი არქივი. საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა, თბილისი, 2009. www.nplg.gov.ge.
10. კ. ჩარკვიანი, „განცდილი და ნააზრევი“, წიგნი პირველი, თბილისი 1985; რეპრინტი „განცდილი და ნააზრევი“, 1906-1094. მოგონებები. შემდგენელი ზ. ჯიბლაძე, თბილისი 2004.
11. გ. ჩარკვიანი. ინტერვიუ მამასთან. კანდიდ ჩარკვიანი სტალინის, ბერიასა და გვიანდელი სტალინური ეპოქის საქართველოს შესახებ. თბილისი, 2013;
12. საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, საბჭოთა კავშირის გააზრება – დისკუსიები 2011, ანთოლოგია www.sovlab.ge.
13. Timothy Blauvelt and Jeremy Smith (Eds.) – Georgia after Stalin: Nationalism and Soviet Power, 2015.
14. მაცვალა ნათმელაძე, ალექსანდრე დაუშვილი, მაია ჯაფარიძე, კობა წენგუაშვილის, საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის დამტკიცებისა და განმტკიცების თავისებურებანი მე-20 საუკუნის 20-ია წლებში, თბილისი, 2008 წ.
15. ქარაია, ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი. №2, დეკემბერი, 2015.
16. მესხიერების ისტორია, სალექციო კურსი: ისტორიის ალქმა და რეპრეზენტაცია, მესხიერების პოლიტიკა – www.interculture.ucoz.com.
17. თამარ ქარაია, საბჭოთა წარსულის გააზრება საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ. ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი. №2, დეკემბერი, 2015 – www.jyr.tsu.ge.
18. ნაშრომები: ნ. ცეცხლაძე „რეაბილიტაცია“, რ. სურმანიძე „ტრაგედია ბათუმში, 1937-38 წლები“, ო. თურმანიძე „სამეურნეო-საწარმოო კადრების, კულაკების და სხვა „არასასურველი“ ადამიანების რეპრესიები“.
19. ო. მ. გვარიშვილი. სტალინი და ავბედიითი 1937 წელი. ბათუმი, 2000 და სხვა.

Irina Shervashidze

*For Soviet repression research issues in Ajara
Summary*

The study of Soviet repression in modern historiography has become one of the key directions. Under conditions of the Communist regime it was impossible to study these issues, which facilitated activation of surveys in the post-Soviet period. The present work is dedicated to researching political repressions in Ajara.

**ახლო აღმოსავლეთი და საქართველო
(ისტორიული ქრონიკების თანამედროვე პარა-
ლელუმი რეგიონალურ და გეოპოლიტიკურ ჭრილში)**

ახლო აღმოსავლეთი ერთ-ერთი რთული და საინტერესო რეგიონია მსოფლიოში როგორც პოლიტიკურ-გეოგრაფიული, ასევე სოციალურ-ეკონომიური და კულტურული თავისებურებების კუთხით. ამ რეგიონის მნიშვნელობა სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად თავისი გეოგრაფიული, სტრატეგიული მდებარეობითაც განისაზღვრებოდა. იცვლებოდა რა მსოფლიო პოლიტიკური რაკურსი ამ მიმართულებით, შესაბამისად იზრდებოდა რეგიონის ფუნქცია და როლიც.

ტერიტორიის მასშტაბი, ტოპოგრაფია, კლიმატი, სარტყელი, სამეურნეო საქმიანობის პირობები, ბუნებრივი სიმდიდრეები, გასასვლელები ზღვაზე, წყალუხვი მდინარეები – ყოველივე ჩამოთვლილი სერიოზულ ზემოქმედებას ახდენს რეგიონის იმ რეალურ და პოტენციურ შესაძლებლობებზე, რომლებიც მსოფლიო მასშტაბით მის როლს განსაზღვრავენ. თვით ტერიტორიული რესურსი სხვა დანარჩენთან შედარებით, უფრო საგულისხმოა სახელმწიფოსთვის, მისი ინტერესების ჩამოყალიბებისა და მასშტაბებისთვის. ნიადაგის ნაყოფიერების ხარისხი, ბუნებრივი გარემო და რესურსები უშუალო გავლენას ახდენს სახალხო მეურნეობის უკუგებაზე, ასევე მოსახლეობის სიმჭიდროვეზე. კლიმატური პირობები და ტოპოგრაფია უაღრესად მნიშვნელოვანია საკომუნიკაციო სტრუქტურების (სახმელეთო და საჰაერო გზები, არხები, კავშირგაბმულობა), სამეურნეო ინფრასტრუქტურისა და რესურსების განაწილებისთვის, აგრეთვე საშინაო და საგარეო ვაჭრობის განვითარებისთვის. ზღვებსა და ოკეანეებზე გასასვლელისგან დაშორება განსაზღვრავს უდიდეს საბაზრო კომპლექსებთან კომუნიკაციების ხარისხს. სახელმწიფოს გარემოცვა გარკვეულ გავლენას ახდენს მის უსაფრთხოებასა და ეროვნული ინტერესების დაცვაზე. ამკარაა, რომ გეოგრაფიული მდებარეობა აადვილებს ან აძნელებს სუვერენული სუბიექტის საგარეო, საშინაო, პოლიტიკურ-ეკონომიკური ამოცანების, პრობლემებისა და სა-

ერთაშორისო სტატუსთან დაკავშირებულ საკითხთა გადამწყვეტას. (მენტეშაშვილი ზ., 2004:84)

სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით აღმოსავლეთის საკითხი სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული სახით გვევლინება. XVIII საუკუნიდან XIX საუკუნის ბოლომდე აღმოსავლეთის საკითხი „ოსმალეთის იმპერიის“ საკითხად განიხილებოდა. იმპერიაში შემავალი ქვეყნები და ეთნიკური ჯგუფები XIX საუკუნის ბოლომდე მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა ინტერესების სფეროში ექცევიან, რაც საბოლოოდ ოსმალეთის იმპერიის დაშლით სრულდება. სწორედ ეს პირველი პერიოდი ე.წ. „აღმოსავლეთის პრობლემის“ წარმოშობისა მოიცავდა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომს და საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი საკითხის სამხრეთ-დასავლეთი ტერიტორიების დაბრუნებას.

XX საუკუნის დასაწყისში პოლიტიკური ვითარება ერთიორად დაიძაბა და ორ მტრულ ბანაკად გაყოფილ მსოფლიოში პირველი ომი გაჩაღდა. ომის დასრულებას მშვიდობის დამყარება დიდი ხნით არ მოჰყოლია. შესაბამისად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უკვე სრულყოფილი სუვერენული სახელმწიფოები იწყებენ სიცოცხლისუნარიან ბრძოლას ახალი ადგილის დასამკვიდრებლად „მზის ქვეშ“. „ახლო აღმოსავლეთის პრობლემა“ უკვე სხვა გეოგრაფიული არეალითა და სახელმწიფოებრივი რაკურსით იწყებს გამოცოცხლებას. ამჯერად ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტად ისრაელის სახელმწიფოსა და არაბული ქვეყნების სამხედრო დაპირისპირება გვევლინება.

საბჭოთა კავშირის დაშლამ და საერთაშორისო ასპარეზზე ფორმაციული ურთიერთდაპირისპირების მოსპობამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე. შენელდა რეგიონული კონფლიქტი, მაგრამ ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის მშვიდობის დამყარება ხალგარძლივი და გაჭიანურებული მოლაპარაკებების შემდეგაც კი ვერ ხერხდებოდა. ახლო აღმოსავლეთში ამ პროცესს ხელს უშლიდა პალესტინის პრობლემის მოუგვარებლობა. არაბული სახელმწიფოებსა და ისრაელს შორის შეიარაღებული დაპირისპირების შემდეგ კი ნათელი გახდა, რომ სამხედრო ძალით შეთანხმების მიღწევა თითქმის შეუძლებელი იყო. ახლოაღმოსავლური პრობლემის მოგ-

ვარებას აძნელებდა ის გარემოება, რომ არაბებს შორის ერთიანობა არ იყო. რეგიონალურ სახელმწიფოთა ერთი ნაწილი გადაჭრით გამობდა ინგლის ამერიკის საჰაერო თავდასხმებს ერაყზე, მეორე კი სამხედრო ბაზებს ოკეანისგალმელ კოალიციას უთმობდა გამოსაყენებლად. (რედ. მენტეშაშვილი ზ., 2002:10,12)

ისრაელის დაპირისპირებას არაბულ გარემოცვასთან მომდევნო პერიოდში დაემატა და წინა პლანზე გამოვიდა ირანის ბირთვული პროგრამა. 1980-1988 წლებში ირან -ერაყის ომის დროს განახლდა ბირთვული პროგრამა. ირანის ირანის სახელმწიფოს სულიერმა ლიდერმა აიათოლა ჰომეინმა გადამწყვიტა გაეშვა ბირთვული პროგრამა „რომელიც დაიცავდა ირანს მტრებისგან, განსაკუთრებით აშშ-ის და ისრაელისგან. 2005 წელს მაჰმუდ აჰმადი ნეჯადიხდება ირანის პრეზიდენტი. მისი მმართველობის პერიოდს ემთხვევა ურანით გადიდრება 3,5%-დან 20%-მდე. რაზეც იგი აცხადებდა, რომ მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისთვის ხდებოდა პროგრამის გაგრძელება. შედეგად ირანმა მიიღო სანქციები და აჰმადი ნეჯადი აქტიურად დაუპირისპირდა დასავლეთს, ხოლო ირანის მტრებად ისრაელსა და აშშ-ს ასახელებდა. 2013 წელს პოლიტიკური ვითარება შეიცვალა ირანსი ჩატარდა არჩევნები, რომელშიც ჯასან როუჰანიმ გაიმარჯვა. როუჰანმა დასავლეთთან თანამშრომლობის მომხრე იყო. როუჰანმა შეაჩერა ბირთვული პროგრამა, რათა ირანი განთავისუფლებულიყო სანქციებისგან და დაბრუნებულიყო საერთაშორისო ბაზარზე, რაც საშუალებას მისცემდა ირანს ჩამკვდარი ეკონომიკა გამოეცოცხლებინა და მოსახლეობის ეკონომიკური დონე აემაღლებინა.

ირანსა და საერთაშორისო ექვსეულს (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, ჩინეთი და რუსეთი) შორის 2015 წელს ხელმოწერილი შეთანხმება, თეირანის მიერ ბირთვულ პროგრამაზე უარის სანაცვლოდ, ეკონომიკური სანქციების ეტაპობრივად გაუქმებას ისახავს მიზნად.

2015 წელს დადებულ ირანის ბირთვულ შეთანხმებას აშშ პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ისტორიაში ყველაზე ცუდ ხელშეკრულებად მოიხსენიებს. 2018 წელს ამერიკა გავიდა აღნიშ-

ნული შეთანხმებიდან, თუმცა გერმანია, ბრიტანეთი და საფრანგეთი შეთანხმებაში რჩებიან (<https://1tv.ge/news>).

XXI საუკუნის ათიანი წლებიდან ვითარება აღმოსავლეთში კიდევ უფრო დაიძაბა და თავისი მასშტაბებიც შეიცვალა: 2010-2011 წლებში იწყება მასობრივი სახალხო მოძრაობა არაბულ სამყაროში, ჩრდილოეთ აფრიკაში და ახლო აღმოსავლეთში. მღელვარება თავდაპირველად დაიწყო ტუნისში, შემდეგ მოიცვა ეგვიპტე, ალჟირი, იორდანია, იემენი, ბაჰრეინი და ლიბია.

დასავლეთის გარკვეულ წრეებში გაჩნდა არასწორი მოლოდინი იმასთან დაკავშირებით, რომ აქ შესაძლებელი იქნებოდა დემოკრატიული ცვლილებების განხორციელება. შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ ასეთი სახის გარდაქმნების განხორციელება არც ისე ადვილია კულტურითა და ტრადიციებით ისეთ განსხვავებულ რეგიონში, როგორც ახლო აღმოსავლეთია. რეგიონში შექმნილი არასტაბილური სიტუაციით სარგებლობენ ტერორისტული ორგანიზაციები იმდენად, რომ მათ შეძლეს ეფექტიანი კონტროლის დამყარება გარკვეულ ტერიტორიებზე, რის შემდეგაც ამ ჯგუფებს გაუჩინდათ სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ნიშნები და ამბიციები.

ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, გამყოფი ხაზები ახლო აღმოსავლეთში ასახავს სუნიტურ-შიიტურ გაყოფას. **შიიტური ირანის გარშემო შემოკრებილი არიან ერაყი, სირია, კატარი და შიიტური ორიენტაციის ძალები ლიბანსა და იემენში. ამ ჯგუფს ერთგვარდ რუსეთი „თანაუგრძნობს“. სუნიტური საუდის არაბეთის გარშემო კი შემოკრებილი არიან ეგვიპტე, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ბაჰრეინი, ქუვეითი და იორდანია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან აღმოსავლეთის საკითხს ქურთების პრობლემაც დაემატა. ქურთები ახლო აღმოსავლეთის მრავალ ქვეყანაში ცხოვრობენ და მათი რაოდენობა, სხვადასხვა გათვლებით, 30-40 მილიონის ფარგლებშია, მაგრამ მათში ძლიერია ტომობრივ-კლანური და პოლიტიკური ნიშნით დაყოფა. შესაბამისად, მათ ვერ შეძლეს კლასიკური გაგებით ერი-სახელმწიფოდ ჩამოყალიბება.**

მიუხედავად იმსა, რომ ახლო აღმოსავლეთის საკითხი დროსთან ერთად თავის სიმძაფრის ეპიცენტრსა და არეალს იც-

ვლის თანამედროვე პერიოდამდე რეგიონში უმნიშვნელოვანეს ადგილს მაინც ინარჩუნებს თურქეთი. შეიძლება ითქვას, რომ თურქეთ-აშშ-ს ურთიერთობები მთელი თავისი არსებობის განმავლობაში ყველაზე რთულ ფაზაში იმყოფება... ვაშინგტონი მხარს არ უჭერს თურქეთის სამხედრო ოპერაციას სირიაში. ანკარაში მიაჩნიათ, რომ ვაშინგტონის ქმედებები არ შეესაბამება მოკავშირეობის პრინციპებს.

(<http://www.interpressnews.ge>)

ახლო აღმოსავლეთში არსებული პოლიტიკური დაძაბულობის შენელება ეროვნული, ეთნო-კონფესიური, რელიგიური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მოგვარებას საჭიროებს. აუცილებელია რეგიონალური სახელმწიფოების მიერ გადასაჭრელი საკითხებისადმი ერთიანი სტრატეგიული მიდგომა. რეგიონის ქვეყნებმა საკუთარი ბედი თვითონვე უნდა განსაზღვრონ. მრავალმხრივი თანამშრომლობა და კონსტრუქციული დამოკიდებულება განსაკუთრების საჭიროა თანამედროვე ეტაპზე. ვინაიდან მონოპოლისტი სახელმწიფოების მხრიდან მცდელობა რეგიონის ბუნებრივი სიმდიდრეების ხელშე ჩასაგდებად ძალიან დიდია.

ვინაიდან ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით საქართველო ახლო აღმოსავლეთს უფრო განეკუთვნებოდა, ვიდრე ევროპას, ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილებები, ბუნებრივია სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაზეც აისახა. ამასთან ერთად უნდა დავამატოთ ისიც, რომ პოლიტიკურ-გეოგრაფიული ხაზით იგი უკვე სცილდება თანამედროვე ახლო აღმოსავლეთს და იგი ევროპის უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ინაცვლებს.

როგორც არ უნდა იყოს დახასიათებული საქართველოს ადგილი და მდებარეობა, ფაქტია, რომ საქართველოს სამინაო პოლიტიკასა და მის უსაფრთხოებაზე პირდაპირ და არაპირდაპირ გავლენას ახდენს ახლო აღმოსავლეთის ფართო რეგიონში მიმდინარე პროცესები, მათი ნაწილი ეგზისტენციალურ გამოწვევებს წარმოადგენს საქართველოსთვის.

სწორედ ეს ასპექტებია გასათვალისწინებელი, როცა საქართველოსა და მსოფლიოს ამ უმნიშვნელოვანესი რეგიონის ურთიერთობაზე ვსაუბრობთ. ცვლილებები ახლო აღმოსავლეთის საკითხის რეგიონალურ და გეოპოლიტიკურ ქრილში მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საქართველოს პოლიტიკას საგა-

რეო მიმართულებით, ვინაიდან რეგიონში მიმდინარე ძვრებზე ხშირად პირდაპირაა დამოკიდებული სახელმწიფოს ბედი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მენტეშაშვილი ზ., საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, თბ., 2004;
2. მენტეშაშვილი ზ., ახლო და შუა აღმოსავლეთი, თბ., 2002;
3. გაჩეჩილაძე რ., ახლო აღმოსავლეთი – სივრცე, ხალხი და პოლიტიკა, თბ., 2003;
4. თანამეროვე ახლო აღმოსავლეთი., შრომების კრებული, თბ.,2013;
5. <https://1tv.ge/news>;
6. <http://www.interpressnews.ge>

Madona Gogitidze

Middle East and Georgia (modern parallels with historical chronicles in regional and geopolitical context)

Summary

The Middle East is one of the challenging and interesting regions in the world as a political-geographical, socio-economic, and cultural peculiarity. The significance of this region was determined by its geographical and strategic location, along with various factors. Changing the world's political perspective in this direction, the function and role of the region were increasing.

The direct and indirect impact of Georgia's foreign policy and its security is ongoing in the wider region of the Middle East, part of which is the existential challenges for Georgia.

The changes in the regional and geopolitical context of the Middle East issue significantly define the policy of Georgia in the foreign direction.

ბათუნა თურმანიძე

პორტო-ფრანკო და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა XIX საუკუნის პოლს

სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ის რეგიონია, სადაც დაირწა ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანი, პირველად გავრცელდა ქრისტიანობა და უმაღლეს მწვერვალს მიაღწია ეროვნულმა კულტურამ. სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი ერთიან ფეოდალურ სამეფოს, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის იდეალადაა მიჩნეული.

აქედან გამომდინარე, აქტუალურია იმ პროცესების ღრმა ანალიზი და თანმიმდევრული მეცნიერული შესწავლა, რომლებიც ამ მრავალტანჯულ კუთხესთანაა დაკავშირებული. განსაკუთრებით ყურადსაღებია 1878-1886 წლების ბათუმის პორტო-ფრანკოს საკითხი და მისი როლი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ბათუმი, როგორც ქალაქი, გვიან გაჩნდა. ადრე იგი იყო სანავსადგურო პუნქტი. მეცნიერულ ლიტერატურაში ბათუმს, სავსებით სწორად, მიაკუთვნებენ იმ „მცირე ქალაქთა“ რიცხვს, რომელიც არც ისე შორეულ წარსულში ნავსადგურის სიმამრესთან აღმოცენდა.

ბათუმის ნავსადგური უძველესი დროიდან თანამედროვე ადგილზე არ მდებარეობდა. დღევანდელი სანავსადგურო ყურე გვიანდელ ხანაში წარმოიშვა. არქეოლოგიური გათხრებით ბათუმის გორაზე ცხოვრების კვალი ძვ. წ. VIII საუკუნიდან დასტურდება, მაგრამ ბათუმის, როგორც სანავსადგურო პუნქტის ისტორია, მაინც ახალი წელთაღრიცხვიდან იწყება. ეს დაკავშირებული იყო იმ უაღრესად მნიშვნელოვან სავაჭრო-საზღვაო გზასთან, რომელიც ბოსფორიდან ბათუმსა და პეტრაზე (დღევანდელ ციხისძირზე) გავლით ცხუმისაკენ (სოხუმი) მიემართებოდა. სწორედ აქაურმა ნავსადგურმა, მისმა მოხერხებულმა მდებარეობამ, შესანიშნავმა აკვატორიამ და ხელსაყრელმა კლიმატურ-გეოგრაფიულმა პირობებმა განსაზღვრა თავისუფალი ეკონომიკური ზონის შემოღება ბათუმში.

დღეისათვის მსოფლიოში, საერთოდ, მრავალი ტიპისა და დასახელების თავისუფალი ეკონომიკური ზონა არსებობს. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან წარმოების ორგანიზაციით, და ამიტომ სხვადასხვა სახელით იწოდებიან. თავისუფალი ეკონომიკური ზონა, სპეციალური ეკონომიკური ზონა, თავისუფალი სამრეწველო ზონა, სატრანზიტო ზონა და სხვ. ასე, რომ ბათუმის თავისუფალი ნავსადგური, იგივე პორტო-ფრანკო, თავისუფალი ეკონომიკური ზონის ერთ-ერთი სახეა.

პორტო-ფრანკო იტალიური სიტყვაა და ენოდება იმ ზღვისპირა ნავსადგურს, რომელიც სარგებლობს საზღვარგარეთული და ადგილობრივი საქონლის თავისუფლად, უბაჟოდ მიღება-გატანის უფლებით. ამასთან, ეს უფლება ვრცელდება ნავსადგურის მხოლოდ განსაზღვრულ ტერიტორიაზე ე.წ. პორტო-ფრანკოს კვარტალზე, რომელიც ქალაქის ნაწილები-საგან საბაჟო საზღვრებითაა იზოლირებული.

XIX საუკუნის დამდეგიდან ბათუმით გასაკუთრებით ქმედითად დაინტერესდა რუსეთი, რომელიც კიდეც შეუდგა პრაქტიკულ სამზადისს მისი დაუფლებისათვის. რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებში ბათუმის მოქცევას მრავალი მიზეზი განაპირობებდა.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ბათუმი საყურადღებო პუნქტი ჩანდა. აქ გადიოდა ის სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც ინგლისიდან ირანისაკენ მიემართებოდა. საერთოდ, ბათუმის ნავსადგურს, რუსთა გეგმებში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. 1828 წლის 5 აგვისტოს მოხსენებით ბართში ხელისუფლების წარმომადგენლები მიუთითებდნენ: დასავლეთ საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრენი, განსაკუთრებით ხე-ტყე დაჩეხა „მკვდარ კაპიტალად“ თუ ბათუმის ნავსადგური რუსეთის მფლობელობაში არ იქნებოა *[Акты, т. 7, стр. 575]*.

რა თქმა უნდა, რუსეთს ბათუმი უპირველესად მაინც, აინტერესებდა სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით. საქმე ისაა, რომ ბათუმი აკონტროლებდა ამიერკავკასიის უმნიშვნელოვანეს გზებს (ბათუმი-ახალციხე, ბათუმი-ყარსი-ერევანი, ბათუმი-თბილისი, ბათუმი ართვინისა და არტაანის მდიდარ რაიონებსაც უკავშირდებოდა). ამიტომ, თუ

რუსეთი მას დაეუფლებოდა, მაშინ ოსმალთა თითქმის ყველა სამიმოსვლო გზის ფაქტობრივი გამგებელი იქნებოდა და მცირე აზიაშიც დაუბრკოლებლად შეიჭრებოდა.

სწორედ ბერლინის კონგრესის დადგენილებით (ინგლისის მთავრობის მეთაურის – ბიკონსფილდის მოთხოვნით) 1878 წლის 25 აგვისტოს ბათუმი გადაეცა რუსეთს პორტო-ფრანკოს, ანუ საერთაშორისო ვაჭრობის ქალაქის სტატუსით, ხოლო ოსმალეთს დაუბრუნდა ვალაშკერტი და ბაიაზეთი.

მართლაც, რუსთა არმია გენერალ სვიატოპოლკ-მირსკის მეთაურობით დანიშნულ დღეს შემოვიდა ბათუმში და მიღება-გაცილების ცერემონიალზე ე.წ. აზიზიეს (დღევანდელი თავისუფლების) მოედანზე, დევრიშ ფაშისაგან ქალაქის გასაღები ჩაიბარა. დაიწყო თურქთა ჯარისა და სამოქალაქო ადმინისტრაციის (აგრეთვე ქონების) ევაკუაცია. პარალელურად მიმდინარეობდა შემოერთებული მხარის ახალი მმართველობითი ორგანოების ფორმირებაც. ბათუმი იქნებოდა სავაჭრო-სასაწყობო ცენტრი, სადაც ევროპული საქონლით ვაჭრობა მხოლოდ პორტო-ფრანკოს ზონაში შეიძლებოდა.

უნდა ითქვას, რომ პორტო-ფრანკოს რეჟიმს ბათუმში თავიდანვე შეექმნა დიდი სირთულეები. საქმე ისაა, რომ მახლობელ აღმოსავლეთში ექსპანსიონისტური გეგმების განხორციელებაში ინგლისი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბათუმს. ამიტომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით 70-იან წლებში, იგი ამ პუნქტის გამო დაუპირისპირდა რუსეთს. თვით ბერლინის კონგრესის მომზადებისა და მუშაობის პერიოდშიც ინგლისელთა დიპლომატია საკმაოდ ორჭოფულად მოქმედებდა. ჯერ ეთანხმებოდა რუსეთს ბათუმის დაუფლების საკითხში, შემდეგ ითხოვდა მის დატოვებას თურქეთისათვის, რომ აქ თავისუფლად ემოქმედა. ბოლოს კი კონგრესზე ამ ქალაქის პორტო-ფრანკოდ გამოცხადება დაიჟინა და მიაღწია კიდეც.

შემოერთებისთანავე ბათუმს მასობრივად მოაწყდა ხალხი იმპერიის ყველა კუთხიდან. ამის გამო სერგი მესხი წერდა: „ დიდძალი ხალხი ჩამოვიდა აქ ... სულ ვაჭრები არიან. ყველა აქ მოელის გაკეთებას ...“ [მესხი ს., 1964:36].

ერთბაშად ამდენი ხალხის მოზღვავებამ არნახულად გააძვირა ცხოვრების პირობები. სერგი მესხი სწორად აღნიშნავდა:

„ ვერ წარმოიდგენთ, როგორ მუდამ დღე საშინლად იწევს აქ ყველაფრის ფასი. მე მარწმუნეს, რომ ის მალაზია, რომელიც რუსების შემოსვლამდინ წელიწადში 500 ყურუშად იყო გაქირავებული, ახლა 500 მანეთად გაქირავდაო (ერთი მანეთი 40 ყურუშამდინ არის)“ [მესხი ს.თხზულებანი, 1964:37].

ამ გარემოებამ ბევრი წარმოშვა სიმახინჯე: უკანონობა, უწესრიგობა, კონტრაბანდა საბოლოოდ, 1878 წლის 29 ოქტომბერს ოფიციალურად გაიხსნა პორტო-ფრანკო ბათუმში. მის საქმიანობაზე 1878 წლის ნოემბერ-დეკემბერში (გემები შემოსვლა, გასვლა. ტვირთბრუნვა) ცნობები არ გვაქვს. მომდევნო სამი წლის სტატისტიკა კი შემდეგია *[აქ მოყვანილი სტატისტიკური ციფრები აღებულია შესაბამისი წლების „კავკაზსკი კალენდარის“ ნომრებიდან. იხ. აგრეთვე, ილ. ტაბალუა, საქართველოში საფრანგეთის კონსულის მოღვაწეობის ისტორიიდან (1821-1921 წწ.)*:

ქვეყნები	1879 წ.	1880 წ.	1881 წ.
რუსეთი	369	632	579
ავსტრია	33	53	52
საფრანგეთი	19	24	25
თურქეთი	27	9	12
ინგლისი	18	7	7
სულ	466	725	675

წლები	გემი	ტვირთი
1879	466	256 896
1880	725	376 800
1881	675	362 420
სულ	1866	996 116

საფრანგეთის თბილისელი კონსულის ცნობით, 1882 წელს ბათუმიდან უცხოეთში გაიტანეს 6 535 000 ფრანკის სა-

ქონელი, ხოლო შემოიტანეს 1 114 500 ფრანკისა, უპირატესად მანუფაქტურა, რკინა და რკინის ნაწარმი, შაქარი, ავეჯი, აგური და ა.შ.

1884 წელს ბათუმში შემოვიდა და შემოიტანა (ტონობით):

ქვეყნები	გემი	ტვირთი
საფრანგეთი	74	92571
ავსტრია-უნგრეთი	145	60371
ინგლისი	87	42991
საბერძნეთი	75	14931
გერმანია	24	10974
თურქეთი	193	7347
იტალია	22	6040
სულ	780	270105

ბათუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვა მნიშვნელოვნად გაზარდა ბაქოს ნავთობის ექსპორტმა.

წლები	ტვირთი (ფუთი)
1881 წ.	926 405
1882 წ.	985 130
სულ	1 911 535

სწორედ, ნავთობის პროდუქტების ვაჭრობით მოიხვეჭა ბათუმმა მსოფლიო სახელი. აზერბაიჯანში, აფშერონის ნახევარკუნძულზე, დაუშრეტელმა ბუნებრივმა მარაგმა, იქიდან ბათუმისკენ მოდენილმა „შავი ოქროს“ შადრევანმა დიდი როლი შეასრულა ბათუმის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში.

თუმცა, ბათუმში ცხოვრების გაჩაღებას მრავალი მიზეზი უშლიდა ხელს. ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებამ მშრომელი მოსახლეობისთვის კიდევ უფრო აუტანელი გახადა ახლად დანერგილი რუსული მმართველობის ბიუროკრატიუ-

ლი აპარატი. უფრო მეტიც, რუსეთის მრეწველობის ინტერესებისთვის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებულ ბათუმი ცარიზმმა ყოველი მხრიდან ჩაკეტა და მას „რკინის ფარდა“ შემოავლო.

ხელოვნური ბარიერების შემოღებამ, თავის მხრივ, უკიდურესად გაართულა სოფლის სავაჭრო ურთიერთობა ბათუმთან, რომელიც იყო რეგიონის მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცენტრი – მოსახლეობა აქ არა მარტო ყიდდა თავის ნაწარმს, არამედ იძენდა ფართო მოხმარების პროდუქციასაც. განსაკუთრებით აუტანელი დარჩა ე.წ. „კარახტინები“ (კარახტინები), სადაც ხდებოდა ნაყიდი და თავისუფალი ეკონომიკური ზონის გარეთ გასატანი ნებისმიერი საქონლის დათვალიერება. კონტრაბანდის შემთხვევაში, იგი მაშინვე ჩამოერთმეოდა მეპატრონეს, რომელიც ამავე დროს დიდ ჯარიმასაც იხდიდა.

ასეთ ვითარებაში გაუარესდა ადგილობრივი, განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობის მდგომარეობა. იგი ისედაც უნდობლად იყო განწყობილი რუსული ხელისუფლებისადმი. ახლა კი, ხელოვნური დაბრკოლებების შექმნამ გააღრმავა დაპირისპირება და ხელი შეუწყო მის გასახლებას (მუჰაჯირობა) ოსმალეთში.

საბოლოოდ მთავრობაც დარწმუნდა, რომ პორტო-ფრანკო მის ინტერესებს ნაკლებად შეესაბამებოდა. მას ანუხებდა არ მუჰაჯირობა (გამოთავისუფლებულ ტერიტორიაზე შეიძლებოდა ერთგული კოლონისტების დასახლება და ასრულებდა კიდევც), არამედ ის, რომ ვერ იყენებდა ბათუმს, როგორც სამხედრო ბაზას. ნიშანდობლივია, რუსეთს აუკრძალეს აქ სიმაგრეების მშენებლობაც. და რადგანაც იგი ვერ ურიგდებოდა საქართველო-ამიერკავკასიაში ინგლისელთა (საერთოდ ევროპელთა) ეკონომიკურ მეტოქეობას, ისარგებლა საზოგადოებრივი აზრის მოთხოვნით და 1886 წლის 27 ივნისს უმტკივნეულოდ გააუქმა ბათუმის პორტო-ფრანკო.

აქვე აღსანიშნავია, რომ ბათუმის ფორტო-ფრანკოს გაუქმებას მიესალმა ილია ჭავჭავაძე, ვინაიდან, მისი აზრით, "თავისუფალმა ეკონომიკურმა ზონამ" გააუარესა აჭარის მოსახლეობის ისედაც მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა [შ. მეგრელიძე, 1963, ხ. ახვლედიანი, 1971].

საყურადღებოა, რომ ამავე შინაარსის ცნობას გვანჯდის ცნობილი მოგზაური ევგენი ვეიდენბაუმი; კერძოდ, ის 1878 წლის ნოემბერში თავის დღიურებში წერს: "აქამდე პორტოფრანკო ვაჭრების ნახალისებას კი არა, გარეშემო მცხოვრებთა შვეინროებას ემსახურებოდა... კერძოდ, ქალაქში მათ შემოაქვთ მცირეოდენი ღარიბული პროდუქტი, შემდეგ შეისყიდიან რამდენიმე არშინ ნარმას და უკან ბრუნდებიან – ბათუმი არის მათი ბაზარი. პორტო-ფრანკოს გამოცხადების შემდეგ ქალაქის საზღვრის მცველები მათ ბაჟს თხოვენ. ძალიან ძნელია, რომელიმე აჭარელს აუხსნა და შეაგნებინო, თუ რატომ უნდა გადაიხადოს მან დამატებითი თანხა ქალაქიდან გასვლისას უკვე ნაყიდ საქონელში" [ე. ვეიდენბაუმი, 2005: 40].

ამრიგად, ქართული საზოგადოების დამოკიდებულება ბათუმის პორტო-ფრანკოსადმი ძირითადად უარყოფითია. ეს უმთავრესად განაპირობეს მძიმე საბაჟო რეჟიმმა და მასთან დაკავშირებული მრავალრიცხოვან მოხელეთა უკეთურობამ და ბიუროკრატიზმმა.

საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ 1945 წელს ი. სტალინის ნებით რუსულად გამოქვეყნებულ "დიპლიმატიის ისტორიაში" საერთოდ არ არის ნახსენები არც ბათუმის პორტო-ფრანკოს შექმნა და არც მეფის რუსეთის მიერ მისი ცალმხრივად გაუქმება.

მიზეზი მარტივია: როცა ბათუმის ფლობა შეეძლო რუსეთს, ამ პერიოდში მას ხელს არ აძლევდა ბათუმის პორტო-ფრანკოობა. სამაგიეროდ, ბათუმში თავისუფალი ვაჭრობა ხელს აძლევდა სხვა მომხდურ ქვეყნებს, ამიტომაც ბათუმის პორტოფრანკოობა, ისევე და ისევე ქართველთა ნების გარეშე, დღის წესრიგში დასვეს ევროპის სახელმწიფოებმა პირველი მსოფლიო ომის დროსაც.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ბათუმის ამგვარ სტატუსს, კოლონიური საქართველოსთვის რაიმე არსებითი როლის შესრულება არ შეეძლო. ჩანს, ეს ჰქონდა მხედველობაში ილია ჭავჭავაძეს, როცა წერდა: „ჩვენ რომ ჩვენი საკუთარი ქვეყნის ინტერესებით შევხედოთ ამ გაუქმების საქმეს, შეგვიძლია ვსთქვათ, რომ არც პორტო-ფრანკოს ყოფნას მოჰქონდა ჩვენთვის სარგებლობა და არც მისი არყოფნა ზარალს მოგვიტანს“ [ილ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 8, გვ. 296].

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვეიდენბაუმი, ბათუმიდან ართვინამდე, 2005;
2. სურგულაძე აბ., სიორიძე მ., პორტო-ფრანკო ბათუმში, ბათუმი, 1996;
3. სიჭინავა ვლ., ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი, 1958;
4. ს. მესხი, თხზულებანი, ტ. 3, თბ., 1964;
5. ფუტყარაძე ტ., გეოპოლიტიკური ინტერესების შეჯახება ამიერკავკასიაში: 1878, 1920, 1991, 2008, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექსტში, ბათუმი 2009;
6. უზუნაძე რ., ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი, 1997;
7. გუჯაბიძე შ., ბათომი, ბათუმი, 2015;
8. ჭავჭავაძე ი. თხზ, ტ, IV, თბ., 1981;
9. АКТЫ, т. 7.

Khatuna Turmanidze

Porto-Franco and Political-economic situation in South-Western Georgia at the end of the XIX century *Summary*

Historically and still in the world's geopolitical Space the central place occupies Eurasia; One of the most prominent strategic regions in Eurasia is the Caucasus; In the Caucasus – Batumi as a modern marine, land and place of energy mains. Accordingly, control of Batumi as a multicultural strategic city still represents a lot of geopolitical aim of the strategy; A clear example of this is 1878 -1886 year's Batumi Porto Franco.

აჭარის ხელოვნების მუზეუმი – 20

აჭარის ხელოვნების მუზეუმი თანამედროვე ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერაა. მის ფონდებში დაცული ექსპონატები ქმნის სოლიდურ კოლექციას, რომელიც იძლევა ნათელ წარმოდგენას XX საუკუნის ქართული სახვითი ხელოვნების ძირითად ეტაპებზე.

მუზეუმი განთავსებულია ბათუმის ერთ-ერთ ისტორიულ შენობაში (დაპროექტებულია ცნობილი არქიტექტორის კახა ჯავახიშვილის მიერ 1949 წელს). 1955-90 წწ. მასში რევოლუციის მუზეუმი ფუნქციონირებდა. ეს მონუმენტური ნაგებობა, რომელიც საბჭოთა ეპოქის საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს, გამოირჩევა თავისი ფუნქციონალური სტრუქტურით და ესთეტიკური გამომსახველობით, ხასიათდება მკაცრი, დახვეწილი არქიტექტონიკით, დეკორის სისადავით. ექსტერიერის და ინტერიერის მორთულობა ძველი ქართული ხუროთმოძღვრების მოტივებით არის შთაგონებული. ფასადს ამშვენებს გამოჩენილი მოქანდაკის თამარ აბაკელიას მიერ შესრულებული რელიეფური ფრიზი (1951-52 წწ.).

ხელოვნების მუზეუმი დაარსდა 1995 წელს, დაიწყო საარეკონსტრუქციო და საორგანიზაციო სამუშაოები, სამუზეუმო კოლექციის შევსება. იგი ოფიციალურად გაიხსნა 1998 წლის 19 დეკემბერს. დღესდღეობით მუზეუმში წარმოდგენილია სხვადასხვა თაობის შესანიშნავ მხატვართა მთელი პლენადა, რომლებმაც ქართულ ხელოვნებას საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი.

XX საუკუნის ქართულმა სახვითმა ხელოვნებამ, არსებობის საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, განვითარების რთული და საინტერესო გზა განვლო, რომელმაც დარგებისა თუ ჟანრების ფართო დიაპაზონი და მრავალი მკაფიო ინდივიდუალობის მქონე ხელოვანი წარმოაჩინა.

ახალი ქართული მხატვრობის პირველი თაობის წარმომადგენლები შემოქმედებით ასპარეზზე XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გამოვიდნენ. მათ პროფესიული განათლება რუ-

სეთსა და ევროპაში მიიღეს და საფუძველი დაუდეს ქართულ ხელოვნებაში ახალი, რეალისტური ტენდენციების დამკვიდრებას.

გიგო გაბაშვილის შემოქმედების მრავალფეროვან თემატიკაში დიდი ადგილი უჭირავს პორტრეტებს, რომლებიც სხვადასხვა კუთხისა და სოციალური ფენის წარმომადგენლებს ასახავენ. ამ თემაზე შექმნილ ნაწარმოებთაგან ხელოვნების მუზეუმში დაცულია მხატვრის ჩინებული ნამუშევარი “მოხუცები”, რომელიც კოლორიტულ სახეთა ზუსტი ფიქსაციით და უშუალო განწყობილებით ხასიათდება.

მოსე თოიძე ნაყოფიერად იღვწოდა სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგში. მუზეუმში დაცულ ნამუშევართაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მისი ადრინდელი პერიოდის “თამარ თოიძის პორტრეტი”. იგი ლირიკული ხასიათით და დახვეწილი კოლორიტით გამოირჩევა. აქვეა წარმოდგენილი მხატვრის ცხოველხატული პეიზაჟი “ქუჩა ღამით”, რომელშიც მთვარით განათებული შენობები და მკვეთრი შუქ-ჩრდილები დრამატულ განწყობილებას ქმნიან.

ჭეშმარიტი მხატვრული ალლო, არსებითის აღქმის და განზოგადების საოცარი უნარი, ნაწარმოებთა ეპიკური მონუმენტურობა, აღბეჭდილი ეპოქის სევდით და შინაგანი ტრაგიზმით, ნიკო ფიროსმანაშვილს XX საუკუნის გენიალურ შემოქმედთა რიგებში აყენებს.

ფიროსმანის მონოლითური მხატვრული სამყარო თავისი თემატიკური მრავალფეროვნებითაც არის აღსანიშნავი. აქ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი სოფლის ბუნებისა და ყოფა-ცხოვრების ამსახველ ჟანრულ სცენებს უკავია. სურათი “ქალი წველის ძროხას” მხატვრული თვალსაზრისით მუზეუმის ყველაზე ძვირფასი ექსპონატია, რომელშიც მოცემულია ფიროსმანისეული ხელწერის დამახასიათებელი ნიშნები: ლაკონური კომპოზიცია და სივრცის გადმოცემის პირობითობა, ფიგურების ფრონტალურობა თუ მკაცრი, ინტენსიური კოლორიტი.

1920-იანი წლებისათვის ქართულ ხელოვნებაში მთელი სიცხადით დადგა ეროვნული ფორმის ძიების საკითხი. შემოქმედებით ასპარეზზე გამოსულმა ახალგაზრდა მხატვრებმა ლ. გუდიაშვილმა და დ. კაკაბაძემ ქართული მხატვრობა თვისობრივად ახალ სიმაღლეზე აიყვანეს.

ძველი ქართული ფრესკა და მინიატურა დიდი ქართველი მხატვრის ლადო გუდიაშვილის შემოქმედების უშრეტი ნყარო იყო. ყოველივე ამას ემატებოდა ოსტატის წარმოსახვა, თავისებური ალეგორიულ-სიმბოლური მეტყველება, რომელმაც სამშობლოს წარსულით შთაგონებული ლეგენდების, დღესასწაულების, მითების, საკუთრივ გუდიაშვილისეული ფანტაზიით ნასაზრდოები მხატვრული სახეები შექმნა. აჭარის ხელოვნების მუზეუმში დაცულია ლ. გუდიაშვილის მიერ სხვადასხვა დროს შესრულებული ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, რომელთა ქრონოლოგია ხელოვანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ვრცელ პერიოდს 1920-70-იან წლებს მოიცავს. ესენია მოქნილი და არტისტული “კინტოების ქეიფი”, რომელიც ერთგვარ “ქორეოგრაფიულ” ხასიათს ატარებს, გარკვეული მეტაფორული ჟღერადობით აღბეჭდილი “სიხარული”, იდეალიზებული გრაფიკული პორტრეტი “ნაწული ჩიტით” და სხვ.

იმერეთის პეიზაჟის თემა ლაიტმოტივად გასდევს დიდი ქართველი მხატვრის დავით კაკაბაძის მთელ შემოქმედებას. მუზეუმში დაცულია იმერული პეიზაჟების ციკლის ორი ადრეული ნიმუში – “იმერეთი”, რომლებშიც ნათლად იკითხება მკაფიო ინდივიდუალობის მქონე მხატვრის შემოქმედებითი სახე. პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი დ. კაკაბაძე, არდადეგების პერიოდში ნატურიდან ხატავდა მშობლიური კუთხის პეიზაჟებს, სადაც ბუნების უშუალოდ რეალისტური ასახვის ნაცვლად მის ხატოვან განზოგადებას მიმართავს. პანორამული, ზემოდან დანახული სივრცე, დეკორაციულ-სიბრტყობრივი კომპოზიცია, ლოკალური ფერადოვანი ლაქებით შექმნილი “მოზაიკური” ნახატი, ის ძირითადი გამომსახველობითი თვისებებია, რითაც დ. კაკაბაძე ემოციურობით აღსავსე აბსტრაქტიზებულ სურათ-ხატებს ქმნიდა.

1919-27 წლებში დ. კაკაბაძე პარიზში მოღვაწეობდა, სადაც ქმნიდა საოცრად თვითმყოფად აბსტრაქტულ, კუბისტურ, კონსტრუქციულ-დეკორატიულ კომპოზიციებს. 1920 წლით თარიღდება დ. კაკაბაძის გრაფიკული სურათი სერიიდან “პარიზი” ამ ციკლის (იგი 60-მდე ნამუშევარს მოიცავს) მეყსეული ჩანახატები თავისებურად გადმოსცემენ ქალაქის ხასიათს – ფურცლებზე აღბეჭდილია ქუჩები, ბულვარები,

ხიდები, ნოტრ-დამი, სენის სანაპირო _ მსხვილი შტრიხებით შესრულებული ეს პარიზული სცენები სავსეა დინამიკით. 1921 წ. მხატვარი ასრულებს ცნობილ აკვარელურ სერიას “ბრეტანი“, რომელიც გამოსახავს იალქნიან ნავებს, ქარის ნისქვილებს, სახლებს. მუზეუმში დაცული სურათი “ქვეები“ 46 ფურცლისაგან შემდგარი სუიტის ერთ-ერთი ნაწილია. სველ ქალღმერთზე შესრულებულ ნამუშევრებში დ. კაკაბაძე ხატავს ნატიფ, გამომსახველ გარემოს, სადაც ერთმანეთს მკაფიო ნახატი და მქრქალი ფერადოვანი ლაქები ერწყმის.

1920-იანი წლების დასაწყისში ლ. გუდიაშვილის და დ. კაკაბაძის კვალდაკვალ პარიზში სასწავლებლად მიემგზავრებიან შ. ქიქოძე, ე. ახვლედიანი, ქ. მაღალაშვილი, რომელთა თვითმყოფადი ხედვა, ინდივიდუალური შემოქმედებითი ძიებები, მნიშვნელოვანი ეტაპი გახდა ქართული ხელოვნების შემდგომი განვითარების ისტორიაში.

ხელოვნების მუზეუმის გრაფიკულ ექსპოზიციას ამშვენებს შალვა ქიქოძის გუაში “ლოჟაში“, რომელიც პარიზულ პერიოდს განეკუთვნება. კომპოზიცია მხატვრისათვის ჩვეულებრივი ექსპრესიული გამომსახველობით და ერთგვარი გროტესკულობით ხასიათდება.

ელენე ახვლედიანის მხატვრული მრწამსი მთელი სისავსით მჟღავნდება მის პეიზაჟურ ფერწერაში, იგი ე.წ. “განწყობილების პეიზაჟის“ თვალსაჩინო წარმომადგენელია. მუზეუმის კოლექციას ამდიდრებს ოსტატის მიერ სხვადასხვა დროს შესრულებული ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები _ “ზამთარი თელავში“, “პეიზაჟი“, “პრალა“ და სხვ. ე. ახვლედიანის ფართოდ დანახული ინტიმური ლანდშაფტები ბუნების აღქმის ასპექტთა მრავალფეროვნებით, დახვეწილი ფერადოვნებით გამოირჩევა.

პორტრეტული ჟანრის ახლებური გააზრება მნიშვნელოვანწილად უკავშირდება ქეთევან მაღალაშვილის სახელს. მის მხატვრულ მემკვიდრეობას უპირატესად შეადგენს კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთა შთამბეჭდავი გალერეა. მხატვრის პერსონაჟები მახვილი პორტრეტული მსგავსებითა და ფსიქოლოგიური ნიუანსების მრავალფეროვნებით ხასიათდებიან. ამავე თვისებებითაა აღსანიშნავი “ნოდარ დუმბაძის პორტრეტი“ მუზეუმის კოლექციიდან.

1930-50-იანი წლები სოციალისტური რეალიზმის აღზევების ეპოქაა. წინა პლანზე გამოდის იმ პერიოდისათვის აქტუალური თემატიკით გამსჭვალული მონუმენტური ნაწარმოებები, რომლებიც საბჭოთა ხალხის გმირულ წარსულს, მშფოთვარე ანმეოს ასახავენ და ბედნიერ მომავალს იუწყებიან (ოქტომბრის რევოლუცია, დიდი სამამულო ომი, გრანდიოზული მშენებლობები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და ა.შ.). მიუხედავად იდეოლოგიური ჩარჩოებისა, თავიანთ ჩვეულ თემებს ავითარებენ სახელოვანი “ოცინაელები”, მათ გვერდიგვერდ ინტენსიურად მუშაობენ ამ ეპოქის გამორჩენილი ოსტატები: უ. ჯაფარიძე, ალ. ციმაკურიძე, ლ. გრიგოლია, თ. აბაკელია, ს. ქობულაძე, ალ. ბაჟბეუქ-მელიქოვი და სხვ.

სხვადასხვა ისტორიული მოვლენების ამსახველ კომპოზიციებთან ერთად უჩა ჯაფარიძე ქმნიდა ბუნებრივობით გამსჭვალულ, მიმზიდველ ჟანრულ სცენებს სოფლის ცხოვრებიდან, რომლებშიც მხატვარი კოლორიტულ პერსონაჟთა მეტყველ დახასიათებას იძლევა (“იმერელი ყაბალახით”).

ქართული პეიზაჟური მხატვრობის ერთ-ერთი ფუძემდებელი ალექსანდრე ციმაკურიძე უპირატესად მშობლიური ქვიშხეთის თვალწარმტაც სანახებს ხატავდა. მხატვრის პლენერული ფერწერის ნიმუშები (“ქვიშხეთი”, “სოფლის კარ-მიდამო”) მუზეუმის კოლექციიდან ტრადიციულად გადმოსცემენ მზიანი შუადღის ნათელ, იდილიურ გარემოს.

ძველი ქართული ხელნაწერების საფუძველზე ლადო გრიგოლიამ შექმნა გრაფიკული სიმკაცრით და მოხაზულობის ჰარმონიულობით აღბეჭდილი წიგნის მორთულობის ახალი კომპოზიციები. მუზეუმში დაცულია მისი პორტრეტული ჟანრის გრაფიკული ნიმუში “გრიგოლ ორბელიანი”.

თამარ აბაკელიას დიდი ღვაწლი მიუძღვის მონუმენტურ-დეკორაციულ ქანდაკებაში. ამასთან იგი ნაყოფიერად მუშაობდა გრაფიკაში, ქმნიდა ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებთა ილუსტრაციებს. მის მრავალფეროვან შემოქმედებით მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს კოსტიუმების ესკიზები სხვადასხვა სპექტაკლებისა და კინოფილმებისათვის. ხელოვნების მუზეუმში ინახავს თ. აბაკელიას ესკიზს სპექტაკლისათვის “ხევისბერი

გოჩა“, რომელიც 1945 წელს დაიდგა რუსთაველის თეატრში. თ. აბაკელია დიდი გულისყურით სწავლობდა ქართულ ნაციონალურ ჩაცმულობას, ქართულ სახეებს – ასეთია მისი გრაფიკული სურათი “აჭარელი ქალი“. მდიდარ ეთნოგრაფიულ და ისტორიულ მასალაზე დაყრდნობით მან შექმნა აკადემიური სრულყოფილებით და მონუმენტური სიდიადით ალბექდილი ნიმუშები.

უბადლო გრაფიკოსისა და თეატრის მხატვრის სერგო ქობულაძის შემოქმედება გამოირჩევა მონუმენტურობით, კომპოზიციის შინაგანი სტატიკურობით, ფორმის სკულპტურული ძერწვით. 1930-იან წლებში მან შექმნა შექსპირის ტრაგედიების და “ვეფხისტყაოსნის“ საუკეთესო ილუსტრაციები, რომლებმაც შემოქმედს საყოველთაო აღიარება მოუტანა. მუზეუმში დაცულია ს. ქობულაძის დახვეწილი ნახატი “ქალიშვილის თავი“, რომელიც მხატვრის გვიან პერიოდს განეკუთვნება.

ე.წ. თბილისური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლის ალექსანდრ ბაჟბუქ-მელიქოვის პორტრეტული სახეები შინაგანი სითბოთი და ლირიზმით არის გამსჭვალული (“ჟანა თოიძის პორტრეტი“). ამავე პერიოდში ნატურმორტის, პეიზაჟის, პორტრეტის განვითარება თავისებურ გაგრძელებას პოულობს კირილე ზდანევიჩის (“ნატურმორტი წითელი წინაკით“), ეკატერინე ბალდავადის (“მოლოდინი“), ვახტანგ ჯაფარიძის (“სხვიტორი“), ვერა ფალავას (“პეიზაჟი“) და სხვა მხატვართა ნამუშევრებში. მათი ნაწარმოებები მუზეუმის მუდმივ ექსპოზიციას განსაკუთრებულ ელფერს ანიჭებს.

1950-60-იანი წლები ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიაში მნიშვნელოვანი ძვრებით, ახალი მსოფლმხედველობის დამკვიდრებით აღინიშნა. შემოქმედებით ასპარეზზე გამოდიან ახალგაზრდა ხელოვანები, რომელთა თამამი ცდები სურათის კომპოზიციური სტრუქტურის, მხატვრული ფორმისა და სივრცის პლასტიკური ინტერპრეტაციის, წმინდა ფერწერული, კოლორისტული სანყისების ახლებური გააზრებით იყო ნასაზრდოები.

“სამოციანელთა“ შემოქმედებითი თაობის წარმომადგენელთაგან ხელოვნების მუზეუმში ექსპონირებულია ე. კალანდაძის, ზ. ნიჟარაძის, ა. დილბარიანის, რ. თორდიას, გ.

ნარმანიას, კ. მახარაძის, გ. თოიძის, ე. ონიანის, ნ. იგნატოვის, ნ. მესხიძის და სხვათა შესანიშნავი ფერწერული ტილოები. აქვეა ამავე პერიოდში შესრულებული გრაფიკული ფურცლები, რომელთა ავტორები გამოჩენილი მხატვრები დ. ერისთავი, დ. ნოდია არიან. მუზეუმის ქანდაკების განყოფილებას ამშვენებს აღიარებული ოსტატების მ. ბერძენიშვილის, გ. ოჩიაურის, გ. შვაცაბაიას სკულპტურული ნაწარმოებები.

ინტენსიური კოლორიტი და ენერგიული პასტოზური მონასმებით განზოგადებულად დაწერილი მხატვრული ფორმები ედმონდ კალანდაძის სურათს “ორთქლმავალი” ექსპრესიულობას და თავისებურ დრამატიზმს ანიჭებს. ზურაბ ნიჟარაძის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია ნიუს. ფერწერული ტილო “ქალი ძაფის გორგლებით” მხატვრის მიერ სხვადასხვა დროს შესრულებული შიშველი ნატურების ციკლის მომხიბლავი ნიმუშია. ნიკოლოზ იგნატოვი დიდი წარმატებით მუშაობდა მონუმენტურ ფერწერაში, თეატრალურ-დეკორაციულ მხატვრობასა და გრაფიკაში. ხელოვნების მუზეუმში დაცული პანო “მხატვრის სახელოსნოში” ორგანულად აერთიანებს დაზგური ფერწერის და კედლის მხატვრობის პრინციპებს. კომპოზიციის ხაზგასმული დეკორაციულობა, სტილიზაცია, მთლიანობაში დამაჯერებელ სიუჟეტურ თხრობას და ნაწარმოების ხატოვან გამომსახველობას ქმნის. შუქმფინარი ფერწერული ფაქტურა, თემის ემოციური განცდა გამოარჩევს ალბერტ დილბარიანის სიუჟეტურ კომპოზიციას “ქვის მთლებები”. თბილი, ქრომატული ტონალობით, ლაკონურობით ხასიათდება რადიშ თორდიას “ქალიშვილი თეთრში”. კოლორისტული სიმდიდრით და სულიერი სიღრმით გამოირჩევა ესმა ონიანის ფერწერული ტილო “დედა კრეპდეშინის კაბაში”, იგი ხელოვნის გვიან პერიოდს განეკუთვნება. მხატვრის შემოქმედებაში განსაკუთრებულ ყღერადობას იძენს ბავშვობის ხატოვანი მოგონებები, რომლებიც გამუდმებით ჩნდებიან მის პოეტურ, ნოსტალგიურ სურათებში. ყოვლისმომცველი მოკაშკაშე წითელი ფერი ანათებს ამ ოჯახურ სცენას, რაც ერთი შეხედვით უშფოთველი და ამავედროულად ძალზე დრამატულია.

1970-80-იანი წლების ქართული სახვითი ხელოვნება თავისი სტილისტური მრავალფეროვნებით ხასიათდება. დგება ე.წ. “უძრაობის”, შემდეგ კი “გარდაქმნის” პერიოდი. საბჭო-

თა ცენზურა აღარ არის ისეთი მკაცრი და მხატვრებს ეძლევათ შესაძლებლობა ახალი საკითხების გადაჭრაზე იფიქრონ. გარკვეულ მოდიფიკაციას განიცდის მხატვრული გამომსახველობის სხვადასხვა ფორმები – სულ უფრო ინტენსიურად იკვეთება ხატოვანი განზოგადების, აბსტრაქციონის ტენდენცია, ვლინდება სხვადასხვა სახის გროტესკული ხერხები, ალეგორიები, ციტატები, სიმბოლოები, ჩნდება აბსტრაქტული კომპოზიციები, იზრდება ინტერესი რელიგიური სიუჟეტების, ისტორიული თუ მითოლოგიური მოტივების მიმართ.

ხელოვნების მუზეუმის კოლექციას ამდიდრებს ამ პერიოდში შესრულებული ფერწერული, გრაფიკული, სკულპტურული ნაწარმოებები, რომელთა ავტორები სრულიად განსხვავებული მხატვრული აღქმის და მანერის მქონე თვალსაჩინო ხელოვანნი არიან. ფერთა გამის გარკვეული პირობითობა, მხატვრული ფორმის თავისებური აბსტრაქციონება თუ კომპოზიციის განყენებულ-დეკორაციული ხასიათი ზედმინევნით ეფექტურ გამომსახველობას ქმნის გოგი ჩაგელიშვილის (“წინამურის ტრაგედია”), გია გუგუშვილის (“კომპოზიცია ა. წერეთლის ნაწარმოებების მიხედვით”) ნაწარმოებებში. ომარ კაჭკაჭიშვილის მონუმენტური ტილო “მარადისობა”, რომლის ცენტრში ქვის ლოდზე მჯდომი, ძაძით მოსილი დედაბერია გამოსახული, მწუხარებას, მარტოობას, მოლოდინს განასახიერებს. კოლორიტის ქრომატულ-ტონალური თვისებების ფაქიზი გრძნობა და მატერიალურ ფორმათა მეტყველი პლასტიკა გამოარჩევს ვახტანგ ბესელიას ტილოს “საქსოფონი”. ინტენსიურ ფერთა გამა და შინაგანი ექსპრესია იკითხება ოლეგ ბორეიკოს (“ახალი დროება”), ხასან ინაიშვილის (“ძველი ბათუმი”) ფერწერულ ნამუშევრებში. გია ბუღაძის სურათები ცნობილი სერიიდან “ასურელი მამები” მოკლებულია თხრობითობას, ისინი აღიქმებიან, როგორც ემოციურად მეტყველი სახე-სიმბოლოები თუ ხატება-ცნებები, რაც მაყურებლისაგან ინტელექტუალურ ძალისხმევას მოითხოვს. დახვეწილი ფერადოვანი გამა, ხაზის პლასტიკური გამომსახველობა რუსუდან ფეტვიაშვილის ფერწერულ სურათს “სინანული” ავტორისათვის დამახასიათებელ განუმეორებელ იერს ანიჭებს, რომელშიც მხატვრისათვის ნიშან-

დობლივი, მის მიერ შექმნილი მითიური სამყაროა ასახული. ფორმათა ერთგვარი გეომეტრიულობა და სივრცის სიბრტყოვანი გადმოცემა ვლინდება გოგი წერეთლის (“დღესასწაული”), ლალი ზამბახიძის (“თეთრი სალოცავი”), ნანა ცინცაძის (“დიალოგი”), მზია ჯაფარიძის (“შეხვედრა”) მონოტიპიებში, ლითოგრაფიებსა და ოფორტებში. თავისებური რომანტიკული სულისკვეთებით არის შესრულებული ლორეცა შენგელია-აბაშიძის გრაფიკული სურათი “მედეა“, გიმერ დარჩიას (“ქალიშვილის პორტრეტი”), ნუგზარ მანჯაფარაშვილის (“ტორსი”), კარლო გრიგოლიას (“ჭაბუკის პორტრეტი”) ქანდაკებები.

განვლილი ოცი წლის მანძილზე ხელოვნების მუზეუმში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, მათ შორის: “პარიზის სპლინი” (შარლ მარვილი, ეჟენ აჯე. ფოტოგრაფია. საფრანგეთის საელჩო. 2000), უორდროპების ეროვნული ტურნე (ბრიტანეთის საბჭო. 2003), “საქართველო ამერიკელთა თვალთ” (რობერტ კაპა და ჯონ სტაინბეკი საქართველოში – 1947. აშშ საელჩო. 2003), “პიკასო საქართველოში” (ქრისტიან ზერვოსის მუზეუმის კოლექცია. საფრანგეთის საელჩო. 2009), “ტრადიციული იაპონური თოჯინები” (იაპონური კულტურის დღეები ბათუმში. იაპონიის საელჩო. 2010), ფრანკ მაისლერი (დეკორატიული პლასტიკის ნიმუშები. 2010), “გერმანელები და ქართველები – შუა საუკუნეებიდან დღემდე” (XIX-XX საუკუნეების გერმანელი მხატვრები საქართველოში. გერმანიის საელჩო. 2012); აღსანიშნავია გამოჩენილ ქართველ მხატვართა პერსონალური გამოფენები: ნიკოლოზ (კოკა) იგნატოვის (“ეპილოგი“. 2002), რუსუდან ფეტვიაშვილის (2002), ხასან ჰელიმიძის (2007), მერაბ აბრამიშვილის (აჭარის ბიენალე – არტ ლაბორატორია. 2009), მირიან შველიძის (2009), ნიკო ფიროსმანის (“შეხვედრა ფიროსმანთან“, საქართველოს ეროვნული მუზეუმი. 2010; “ფიროსმანის მოგზაურობა“, მირზაანის მუზეუმი. 2015), გოგი ჩაგელიშვილის (2013), ვახტანგ (ბესო) ბესელიას (2014), გოგი მიქელაძის (2014), გია ბულაძის (“მწუხრის მონმენი“. 2015) და სხვ.

2015 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, მუზეუმს ახალი საექსპოზიციო სივრცე – სამხატვრო გალერეა შეემატა, სადაც აღიარებულ ოსტატთა გვერდით, დროებით გამოფენებში, წარმოდგენილია ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევრები, რაც იძლევა შესაძლებლობას თვალი გავადევნოთ ქართული მხატვრობის განვითარების თანმიმდევრობას. ყოველივე ეს სამუზეუმო საქმეს უფრო მრავალფეროვანს და საინტერესოს ხდის.

სინთეზური, მრავალპროფილიანი პროექტების განხორციელების თვალსაზრისით მუზეუმის სამუშაო პროგრამა სავსებით შეესატყვისება თანამედროვე მოთხოვნებს: ფუნქციონირებს ბავშვთა ხელოვნების და ესთეტიკური აღზრდის სტუდია, ეწყობა სხვადასხვა სახის გამოფენები, მუსიკალური საღამოები, თეატრალიზებული წარმოდგენები, საჯარო ლექციები და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები, რაც ხელოვნების მუზეუმს თავისებურ სპეციფიკას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

გამოყენებული ლიტერატურა:



1. ჯანბერიძე ნოდარ, “ძიება და ტრადიცია“, გამომცემლობა “მეცნიერება“, თბილისი, 1989;
2. ჩიბურდანიძე რატი, “სამოცდაათიანელთა ფერწერა“, თავი I. XX საუკუნის ქართული მხატვრობის განვითარების გზები. გამომცემლობა “უნივერსალი“, ბათუმი, 2015.











**The Art Museum of Ajara – 20
Summary**

The Art Museum of Ajara is one of the important hearths of modern Georgian culture. The exponents preserved in its funds make a solid collection, which provides a clear imagination on the basic stages of XX century Georgian fine arts. In the permanent exposition of the museum, the following departments are functioning: painting, drawing, sculpturing and decorative art departments, where the whole constellation of remarkable artists of different generations are represented: Niko Pirosmani, David Kakabadze, Lado Gudishvili, Elene Axvlediani, Merab Berdzenishvili, Edmond Kalandadze, Zurab Nizharadze, Esmā Oniani, Gogi Chagelishvili, Gia Bughadze and other masters, who made the Georgian Art famous throughout the country. The museum is located in one of the historical buildings of Batumi, which has been projected by a well-known architect Kakha Javakhishvili (1949). This monumental construction, which represents an interesting model of Soviet Epoch, is distinguished from other buildings with its functional structure and aesthetic expression. It is characterized with its strict, refined architectonics and the simplicity of decor. The facade is decorated with the relief coating made by the prominent sculptor Tamar Abakelia (1951-1952). The decoration of facade and interior is inspired by the motives of the ancient Georgian architecture. In the point of view of synthetic, multiprofile project realization, the work program of the museum fully corresponds to modern requirements: there works Children's Art Studio, different kinds of exhibitions, chamber concerts and performances are organized, documentary films are demonstrated, public lectures and other cultural and educational events are held and all these make the museum especially important and original. The Art Museum of Ajara was officially opened in December 19, 1998.

იაგო ნულაძე

მე-19 საუკუნის ინტელიგენციის რელიგიური დედა-სამშობლოსთან დაბრუნების საქმეში დღევანდელი გადასახედიდან

მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ლოკალური ომების და სხვა რთულ პროცესებს თან ახლავს მრავალი ახალი გამოწვევები. კერძოდ მსოფლიოში ეკონომიკური პროცესები ვითარდება უფრო სწრაფად, ვიდრე პოლიტიკური პროცესები, ლოკალურმა ომებმა ყოფილ იუგოსლავიაში ავღანეთში, ერაყში, სირიაში წარმოიქმნა ემიგრაციების მძლავრი ტალღა, რომელმაც წარმოიქმნა და დაიძრა ევროპაში ლტოლვილთა დიდი ნაკადი.

დღეს ასე, რომ ვთქვათ მოხდა „ცივილიზაციათა შეჯახება“ ევროპული ცნობიერის ყოფიერების ცხოვრების წესი წინააღმდეგობაში მოვიდა მიგრანტების ღირებულებებთან. ამ პროცესს წინ უძღოდა საკმაოდ მზაკვრული და შორს გამიზნული „რელიგიური ფაქტორის დოქტრინა“, რომელშიც ჩართულია ისლამი, ანუ მოკლედ რომ ვთქვა ამ დოქტრინით, დღეს სახეზეა „ისლამის პოლიტიზირება“ და „პოლიტიკის ისლამიზაცია“. მსოფლიო რელიგიაში ერთ-ერთმა რელიგიურმა მიმდინარეობამ მიიღო ე.წ. მეზრძოლი ისლამის სახე, მეორე სერიოზული პრობლემა რაც დღევანდელ მსოფლიო სამშვიდობო წესრიგს დაემუქრა ეს არის საერთაშორისო სამართლის ნორმების უგულველყოფა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მიერ. ეს იყო იუგოსლავიის დაშლისას კოსოვოს მაგალითზე, საქართველოში აფხაზეთის და ოსეთის მაგალითზე და სხვა.

სწორედ ამ პრობლემებმა „გაუხსნა გზა თურქეთის მაღალი სამთავრობო წრეებს „ნეოსმალური შეხედულებების საჯაროდ გამოსათქმელად, რომ ისინი უომრად, საზღვრებს პატივს სცემენ და დაუბრუნებენ ბათუმს ბულაზას, სარაევოს და ა.შ.

ამ ვითარებიდან ჩანს თუ რა წვლილი შეიტანა მე-19 საუკუნის ქართველმა ინტელიგენციამ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გენერალ გიორგი ყაზბეგი, გიორგი წერეთელი, ექვთიმე თაყაიშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე, იაკობ გოგებაშვი-

ლი, დუტუ მეგრელი, აპოლონ ნულაძე, მემედ აბაშიძე, ჰაიდარ აბაშიძე, შერიფ-ხიმშიაშვილი, მაშინდელი აჭარის მუფთი ახმედ ეფენდი ხალიფაშაშვილი, ხოჯა ცივაძე, გულო-ალა კაიკაციშვილი და სხვ. ჩვენთვის უფრო ნათელი ხდება თუ რა დიდი პატრიოტიზმი, ქვეყნის სიყვარული ამოძრავებდათ ამ ხალხს, რა ბრძენი ხალხი იყვნენ.

მე, მინდა აპოლონ ნულაძის წიგნიდან ძმური სიტყვა, რომელიც გამოიცა 1917 წელს და ხელმეორედ გამომცემლობა „აჭარამ“ დაბეჭდა 1991 წელს მასში მოყვანილია, რამოდენიმე წერილი – „მოკითხვის ბარათი ქართველ მუსლიმანებს“, „ქართველი მუსლიმანები ქრისტიან ქართველების ამხანაგები“, თქვენს ყურადღებას ამ წიგნზე არ შევაჩერებ, ამდაგვარი და უფრო ღირებული ბევრი მასალა არსებობს უბრალოდ ერთ ამონარიდს მოგახსენებთ, ამ წიგნიდან „...სიმართლე, რომ ვთქვათ, ძმებო, თქვენს გაქრისტიანებას არც რუსის მთავრობა ცთილა. ერთ მაგალითს ვერ მეტყვი, რომ ვინმეს ძალა დაატანეს და გააქრისტიანეს, თუ მთავრობა არ ცდილობს ამას, მით უმეტეს არც ქართული საზოგადოება. აი, ამის მაგალითიც დეპუტატმა აკაკი ჩხენკელმა ქრისტიანმა ქართველმა, ხულოში ჯამის ასაშენებლად ფული შესწირა. გნამდეთ ძმებო, თქვენი გაქრისტიანება არავის უნდა, ჩვენ გვინდა, რომ თქვენ ჩვენი განუყრელი ძმები ვიყოთ და გარდა სარწმუნოებისა, ჭირი და ლხინი ერთი გვქონდეს. ჩვენ არ შეგვიძლია ერთმანეთს გამოვეთიშოთ. ასევე ამავე ავტორის წერილი 1915-1917 წლებში მისი აჭარა-მაჭახლის მოგზაურობის შესახებ გამოქვეყნდა და ასევე 2007 წელს ის გადმოიბეჭდა ჟურნალ მაჭახლის პირველ ნომერში – სადაც აღწერილია: აპ. ნულაძის მოგზაურობა – „...ჯუმა დღე იყო, დილით ჩვენთან მოვიდნენ ჩხუტუნეთის და ჩიქუნეთის ხოჯები, რომ გადაენწყვიტათ, მაჭახელში გაეხსნათ პირველი სკოლა“ – მაშინდელი საქველმოქმედო საზოგადოების დამსახურებული მასწავლებლების იროდიონ გულისაშვილის და არსენ ნითელაძის თაოსნობით. აპოლონ ნულაძემ აიყვანა ახალგაზრდა მასწავლებელი – ნიკო ქამუშაძე, რომელიც შემგომ წარუძღვა ამ სოფელში დიდ ქართულ საქმეს.

ამ მწირი მასალიდანაც სჩანს ის ბრძნული ტოლარანტობა, სითბო და ზრუნვა, რასაც ქართველი ინტელიგენცია იჩენდა

რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ აჭარის დედა სამშობლოში დაბრუნების და ადაპტაციის პროცესში. რამდენი ხოჯაა, რამდენი აჭარის მაღალი წრეების ისლამის აღმასრულებელი ერთად, ქართული სულისკვეთებით და ეროვნული ინტერესებით ეკიდებოდა და ეკიდება ამ საქმეს.

ჩემი გამოსვლის სათაურში დღევანდელი გადასახედიდან, რომ ვამბობთ დღეს სად არის ის ქართველი ინტელიგენცია, რატომ სდუმს ქართველი? ქართველი ინტელიგენცია, მხოლოდ ქართული მარშია? ქართველი ისლამის კულტურის მსახურები (უმეტესობას ვისაც არ ეხება ბოდიშს მოუხდი) ასე გამწარებით და გამალებით, ითხოვენ მეხეთის მშენებლობას და საქმე უცხო ძალების მეშვეობით მიჰყავთ იქეთ, რომ საბოლოოდ მივიღოთ ქართველი მართმადიდებლების და ქართველი მუსლიმების გაუცხოება, რასაც შეიძლება დაპირისპირება მოჰყვეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აპ. ნულაძე, „ძმები სიტყვა“; გამც. აჭარა, 1991;
2. აპ. ნულაძე, ჟურნალი „მაჭახელი“, 2007;
3. ქველ. ჩხარტარაშვილი გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან, თბილისი, 1985.

Iago Tsuladze

The role of the 19th century Georgian intelligence in returning Georgia to motherland ***Summary***

In today's difficult political situation, when foreign, political and religious circles try to create religious beliefs in Ajara, anti-national sentiment, despite their different beliefs, unity and brotherly positive examples, we must take from the actions of those ancestors who fought for the return Ajara to motherland.

Мераб Мегрелишвили
Николоз Мегрелишвили

ХРИСТИАНСКИЕ ЦЕРКВИ В БАТУМИ

В начале XX века гурийско-мингрельской епархии были подведомственны христианские церкви, располагающиеся в городе Батуми. Ими ведал епископ Гурии и Мингрелии Александр Окропиридзе, резиденция которого находилась в городе Поты. Ему подчинялись священники Арсен Тохадзе и Константин Цандеков. В тот период в Батуми существовали следующие христианские церкви православного толка: русская православная церковь Александра Невского, заложенная 25 сентября 1888 года (сборник документов; 2010; 57). Указанный собор подчинялся военному ведомству. Общее руководство строительством собора осуществляли кутаисский военный губернатор генерал-майор Смиягин и его заместитель, полковник Дрягин. Протоиереем данного собора был А. П. Ральцевич, строительным делом руководил гражданский инженер П. В. Апышков. Собор находился на том месте, где сейчас расположена гостиница «Интурист».

Собор святого Михаила располагался на углу Мариинского проспекта (ныне проспект Мемеда Абашидзе) и площади Азизие (ныне Свободы). Придел был построен во имя святых Давида и Константина. Настоятелем собора был А. Ральцевич, священниками: С. Тотиадзе и А. Иваницкий; протодьяконом был И. Надирадзе, старостой И. З. Гедеванов. Настоятелем церкви Святой троицы (располагалась на кладбище) был М. Чхиквадзе.

Церковь богородицы находилась на углу тогдашних улиц Смекалова и Шепелева, недалеко от нынешней церкви святой Варвары. Ее настоятелем был Гр. Хахутов.

Церковь святого Александра Невского располагалась в Городке. Она подчинялась военному ведомству, на что указывает ее дополнительное имя «Батальон». Настоятелем церкви был священник А. Любомудров.

В начале XX века в Батумской мужской гимназии работал известный ученый и общественный деятель Н. С. Державин, который изучил следующие христианские церкви города Батуми (1902; 302):

церковь (частную) святой Варвары, расположенную на кладбище. Протодьякон Исидоре Надирадзе;

церковь, покровительницу семьи, расположенную в Батумском ремесленном училище;

греческую церковь святого Николая, расположенную на углу бывших улиц Михайловская и Греческая (ныне улица царя Парнаваза). Настоятелем там был Константин Цандеков, священником Николай Константиниди, священником (псаломщиком) Матвей Ман-

рос, старостой – А. Димитриади.

Армянская григорианская церковь была основана в 1885 году. На основании постановления ЦИКа Аджарии от 18 апреля 1923 года эту церковь отняли у армян-григориан и здание передали союзу кожевников. С 1959 года здание церкви передали планетарию и только в 1992 году оно было возвращено «хозяину» – армянам-григорианам. Сегодня этой церкви покровительство оказывает благотворительное общество «Верацнунд». Эта церковь располагается на углу бывших улиц Дондукова-Корсакова и Лорис-Меликова (ныне улица Ное Жордани).

Армянская католическая церковь (на углу улиц Дондуков-Корсакова и Католической, ныне улицы Вахтанга Горгасали). Настоятель Тер Грикор Пучинян.

14 марта 1898 года верующие римско-католического вероисповедания обратились к Батумскому самоуправлению

с просьбой выделить участок земли под строительство соответствующей церкви. Это, в частности, был участок земли, находящийся на углу улиц Тифлисской, Георгиевской, Комаров, отданный в аренду батумским купцом Николаем Антоновичем Сабаевым (в чьей собственности было здание бывшей прокуратуры, расположенное по улице Гамсахурдия). В 1903 году настоятелем церкви был падре Ансельм Мгебришвили, а священнослужителем А. Амирханов.

Евангелическо-лютеранский молитвенный дом находился на углу улиц Комарова и Фефелова. Пастор – Бернгоф.

При церквях города Батуми существовали школы. В частности, церковная школа на площади султана Азиза (ныне площадь Свободы). Школой заведовал протоиерей А. Ральцевич. В этой школе преподавали известные учителя Николай Зальский и Екатерина Наумова.

Батумской греческой церковной школой заведовал священник А. Цандеков. В ней преподавали Нана Петровна Найтак и Елена Дерека.

Армяно-католическая церковная школа, находящаяся на Католической улице (сегодня улица Степана Зубалашвили). Заведующим школой был Тер Григор Пучинян. Учителями школы были Евгения Согорова и С. Кладбиши.

В 1893 году Мчедлидзе, член самоуправления города Батуми, в своем письме обосновывал необходимость открытия в городе мужской гимназии, которая должна была обслуживать население всей юго-западной Грузии. В это время на черноморском побережье Кавказа была лишь одна гимназия (в городе Новороссийске). После долгой борьбы и упорных трудов городской голова Лука Асатиани сумел претворить в жизнь идею Мчедл-

идзе. В проекте здания гимназии, на втором этаже (ныне основного здания государственного университета Шота Руставели) было предусмотрено возведение купольной церкви зального типа. В только что изданном энциклопедическом словаре Аджарии указано, что из бюджета города того времени на строительство главного корпуса и церкви мужской гимназии было выделено и израсходовано 179 тысяч тогдашних рублей (Т. Комахидзе; 2011; 15). А в проекте здания мужской гимназии стоимость этих работ составляла 197 тысяч рублей (ААУЦГА, фонд и-10, опись 1, дело 58, л. 14).

14 ноября 1904 года епископ гурийско-мингрельской епархии Димитрий освятил церковь архангела Михаила Батумской мужской гимназии. Церковь за два года была расписана Борисовым. Предприниматель Жевержеев передал ей в подарок церковный инвентарь стоимостью 3520 рублей, он же пожертвовал гимназии люстру ценой в 450 тогдашних рублей. Почетный член Батумской мужской гимназии Сергей Иванович Иловайский передал церкви алтарь (с иконой «Молитва Христа в Гефсиманском саду») стоимостью в 300 рублей (ААУЦГА, фонд и-10, опись 1, дело 41, лл. 10-12).

Освящение церкви архангела Михаила Батумской мужской гимназии проходило в присутствии настоятеля Кавказского учебного округа Михаила Ромуловича Завацкого, Руководители данной церкви проявляли большую заботу по отношению к своей пастве. Это хорошо видно из их письма, направленного в самоуправление города Батуми, в котором они просят отделать пол церкви не каменными плитами, а материалом из дерева, так как во время молитвы людям приходится в течение долгих часов стоять на ногах.

В 1899 году церковь архангела Михаила Батумской мужской гимназии часто посещал и проводил здесь службу

епископ гурийско-мингрельской епархии Александр Окропиридзе, а с 1903 года экзарх Грузии, архиепископ Картли и Кахети Алексей.

В 1913 году, на празднествах в честь воскресения Христа, церковь гимназии посетили супруга заместителя Кавказа графиня Е. А. Воронцова-Дашкова и епископ гурийско-мингрельской епархии Леонид, которые передали церкви подарки (ААУЦГА, фонд и-10, опись 1, дело 41, лист 75).

Церковь архангела Михаила Батумской мужской гимназии имела богатую библиотеку. Согласно учебнику Филарета в 4 классе мужской гимназии 2 часа в неделю было отведено на изучение закона божьего. В мужской гимназии также изучали катехизис, религиозные заповеди, символы веры. Согласно учебнику Смирнова изучали также историю христианской церкви (ААУЦГА, фонд и-10, опись 1, дело 84, л. 5).

Со дня открытия Батумской мужской гимназии здесь дети из грузинских семей изучали грузинский язык, но по решению академического совета гимназии от 12 марта 1903 года преподавание грузинского языка было прекращено (из-за нехватки свободных часов и принятия новых программ). 12 ноября 1905 года родители учеников потребовали восстановить преподавание грузинского языка и, вместе с этим, ввести преподавание армянского и греческого языков. С ноября 1912 года в Батумской мужской гимназии было введено изучение языков местного населения («туземных языков»). Были введены также уроки по католическому, мусульманскому и иудейскому вероисповеданиям (ААУЦГА, фонд и-10, дело 41, л. 68). Закон божий преподавал патр Габриель Асланишвили, протестантский – пастор А. Бенгоф, мусульманский Хусейн Эфенди Алиогли, иудаизм – Г. М. Радовильский.

В 1918 году, когда Батуми был оккупирован турками, Батумская мужская гимназия практически подверглась погрому; разграбили и уничтожили учебно-научную библиотеку и церковь. В здании гимназии месяцами жили турецкие офицеры. Украденные из библиотеки книги продавались на ярмарке. До прихода турок в библиотеке насчитывалось 11 тысяч книг, а после их ухода осталось всего 5300 экземпляров. Из здания гимназии, лаборатории физики, а также химии и из других лабораторий и кабинетов была вынесена даже мебель. В письме на имя директора Батумской мужской гимназии детально описано все то, что было унесено из здания гимназии. В том числе учебные приборы из лабораторий и кабинетов химии и физики, стоимостью в 337400 рублей, а также древние карты по истории, шедевры мировой литературы, произведения живописи, дорогие словари и энциклопедии. Была разграблена церковь гимназии. Турки сняли колокол с церкви, украли золотые кресты, иконы, золотые подсвечники, ковры и т. д. (ААУЦГА, фонд и-10, опись 1, дело 58, л. 21).

В качестве приложения представляем документы из Аджарского центрального государственного архива (проект здания мужской гимназии и оценка ущерба, нанесенного турками церкви архангела Михаила Батумской мужской гимназии).

Извлечение из проекта и сметы

по постройке новых и приспособлений существующих зданий для
Ватумской гимназии.

В настоящее время постройка гимназии предполагается в следующем виде, одобренном как думской строительной комиссией, так и комитетом гимназии:

а) **Главный корпус:** собственно гимназия с параллельными классами и пансиономъ.

б) **Квартирный флигель** сь квартирами директору и инспектору.

в) **Служебный флигель** (приспособленное нижнее временное здание гимназии) сь квартирой помощника, классныхъ учителей, писмоводителю и эконому, помещеніе прислуги, поваря и прачки, прачечная и мастерскія гимназии.

г) **Лазаретъ пансіона** (въ домѣ Лутовинова).

Главный корпусъ заключаетъ въ себѣ:

нижній этажъ:

вестибюль кв. саж.	—	—	32,18
гимнастич. залъ	—	—	55,00
8 классовъ	—	—	102,93
канцелярія	—	—	11,02
приемная	—	—	8,05
кабинетъ директора	—	—	11,02
учительская	—	—	16,10
рекреац. коридоры	—	—	88,00

верхній этажъ:

церковь	—	—	41,78
актовый залъ	—	—	55,00
8 классовъ	—	—	104,04
рисовальный классъ	—	—	11,31
физической каб.	—	—	11,16
лабораторія	—	—	8,83
библіотека	—	—	16,27
рекреаціон. корп.	—	—	88,00

А всего, кроме умывальныхъ, отхожихъ жѣсть, лестницъ — — 660,70 кв. саж.

Пансіонъ (въ главномъ корпусѣ).

Спальни	—	—	89,30
Столовая	—	—	44,65
Репетиц. залъ	—	—	44,65
Кухня и буфетъ	—	—	16,65
Баня	—	—	12,28
Гардеробныя	—	—	20,76
Умывальная	—	—	7,17

А всего, кроме лестницъ, отхожихъ жѣсть, и прох. коридор. 234,77 кв. саж.

Главный корпусъ по вновь составленной сметѣ обойдется 186.000 рублей. Въ эту сумму вошли:

планировка всего гимназич. участка и ограда
наемъ десятниковъ на всю работу,
технической подрядъ за работой,
вознагражденіе за передѣлку проекта и составленіе сметы.

Kaus

Сведения об убытках причиненных турками по домово́й церкви Бату́мово́й мужской гимна́зии.

похищен следующие предметы:

1/ 75 электрических лампочек маленьких, 30 средних и 12 больших, ввинченны патроны для лампочек и попорчен провод	3000 р.
2/ малая на престольная плащаница	600 р.
3/ Жертовенник	200 р.
4/ панихидный столик	150 р.
5/ Лица и звезда	300 р.
6/ Завеса для царских врат шелковая	800 р.
7/ 3 шелковых красных платка	300 р.
8/ 2 шелковых подрывника	800 р.
9/ Траурное облачение бархатное на жертовенник, аналог 3 таких же пелена	3000 р.
10/ Облачение на жертовенник глазетовое желтое	800 р.
11/ ковры	3000 р.
12/ несколько нотных книг	500 р.
13/ 4 лампадок /стаканчиков/	400 р.
14/ крестъ на иконостасъ	100 р.
15/ Крестъ съ панихиднаго блюда	200 р.
16 /некоторые принадлежности облачения /поручи, пояса, воздуха/	1000 р.
17/ 2 икона на царских дверях и 7 других иконъ	1000 р.
18/ 2 хоругви на полотне съ шестами	1800 р.
19/ Свѣчной ящикъ	1000 р.
20/ Траурное бархатное облачение	2400 р.
/ Бѣлое глазетовое облачение на жертовенник	1200 р.
/ 2 креста съ металлических хоругвей	800 р.

И т о г о 22850 р.

Въ качествѣ
Исполнитель
Усмановъ

Использованная литература и источники

1. Религиозные учреждения Аджарии (сборник документов), Батуми, 2010, на груз. языке.
2. Н. С. Державин, Исторический очерк Батумской области, Батуми, 1902.
3. Т. Комахидзе, Энциклопедический словарь Аджарии, Батуми, 2011, на груз. языке.
4. ААУЦГА, фонд и-10, опись 1, дело 41.
5. ААУЦГА, фонд и-10, опись 1, дело 58.
6. ААУЦГА, фонд и-10, опись 1, дело 84.
7. ААУЦГА, фонд Р-4, опись 1, дело 31,
8. ААУЦГА, фонд и-6, опись 1, дело 177.

Merab Megrelishvili
Nikoloz Megrelishvili

Christian Churches in Batumi *Summary*

The article is about the construction of Christian churches in Batumi in the end of XIX and in the beginning of XX centuries. The article is based on the archived documents. A special attention is devoted to the study of the history of Batumi Boys' Gymnasium and the church named after Archangel Michael that was badly damaged by Turks in 1918. The article has an appendix that unites the archived documents from State Archive of Adjara.

თინათინ ჯაბადარი

**აჭარის მოსახლეობის დემოგრაფიული
მდგომარეობა XX ს. 20-იან წლებში.
(ქობულეთის და ქედის რაიონების ჭრილში)**

1921 წლის 21 აპრილს საქართველოს სსრ რევოლუციურ-მა კომიტეტმა გამოსცა 28-ე დეკრეტი – მოქალაქრობრივი მდგომარეობის აქტების წარმოების შესახებ. დეკრეტის მიხედვით დაარსდა ცენტრალური მმართველის განყოფილება – საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან და ადგილობრივი მმართველის განყოფილებები – მაზრებთან, ქალაქებთან, თემებთან არსებულ აღმასრულებელ კომიტეტებთან. დეკრეტი შედგებოდა 3 განყოფილების, 5 თავისა და 147 პარაგრაფისაგან, თანდართული 7 სააქტო ფორმისაგან. მმართველის ადგილობრივი განყოფილებების ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა მოქალაქეთა მდგომარეობის ოფციალური დაფიქსირება, კერძოდ, დაბადებულთა, გარდაცვლილთა, დაქორწინებულთა რეგისტრაცია. გარდა ამ ძირითადი ფორმებისა, შემუშავდა აგრეთვე უგზოუკლოდ დაკარგულ და გაშვილებულ პირთა, შვილად აყვანილთა, გვარ-სახელებს გამოცვლილ მოქალაქეთა ინფორმაციის შემცველი ფორმებიც. აქედან გამომდინარე მმართველის სააქტო ჩანაწერები, გარდა სტატისტიკური მონაცემებისა, შინაარსობრივად მეტად მრავალფეროვანი და მრავლის შემცველი იყო. ამ ერთი შეხედვით უინტერესო აქტებმა, პატარა ქალაქებისა და უამრავი დასახლებული პუნქტის შესახებ ბევრი მნიშვნელოვანი ინფორმაცია შემოგვინახა.

თემაში წარმოდგენილია ზღვისპირა ქალაქის ქუბულეთის, ქობულეთის რაიონისა და მთინი აჭარის, ამ შემთხვევაში ქედის რაიონის მოსახლეობის სოციალურ და დემოგრაფიულ მდგომარეობა მმართველის 1921-1930 წლების სააქტო ჩანაწერებისა და აჭარის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მმართველის განყოფილების დოკუმენტების მიხედვით.

ქობულეთში ქორწინდებოდა არა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობა, არამედ საქართველოს და მთელი საბჭოთა კავ-

შირის სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული მოქალაქეები: ქ. კალუგიდან, ტრაპიზონის გუბერნიიდან, ტუაფსედან, დაგვადან, ყარსიდან, სურამიდან, თბილისიდან, კიევიდან ოდესიდან, სარატოვიდან, ლანჩხუთიდან და ა. შ. აქედან გამომდინარე მექორწინეთა გვარებიც მრავალფეროვანია: ინგორყუები, ჯოჯუები, წერეთლები, თხილაიშვილები, ბაგლაჩოვები, მეგრელიშვილები, ბუჟოლლები, კაიკაციშვილები, გვაროლლები, შიმშიანიძეები, ხიმშიაშვილები, შაქროლლები, ფალავანდიშვილები, კაპასაკილიდები, ჩელებოლლები, შინაროლლები, თოიძეები, დემიჯინოლლები, ჩხარტიშვილები, ხუსკივაძეები, ტერ-გრიგორიანები, კუპრეიშვილები, ჩიქვაიძეები, შამოლლები, ყაიხოლლები, ელენიძეები, პირიძეები, პავლიძეები, საპლახიძეები, სიდოროპულოები, ძველაიები, კოცხიძეები, და ა. შ. სააქტო ჩანაწერებიდან გამომდინარე ნათელი ხდება, რომ ქალაქი ქობულეთი და მისი მიმდებარე სოფლები დასახლებული იყო ძირითადად ქართველებით, ქართველი მუსულმანებით, ბერძნებით და იშვიათად რუსებით და სომხებით. ამის დადასტურებაა ქობულეთის ქორწინების პირველი ჩანაწერი, რომელიც 1922 წლის ნოემბრითაა დათარიღებული: ამ დროს იქორწინა დავით გაბუნიაშვილს ს. ბანიძიდან, ლიდია ჯაბუაძეზე-ქ. ზუგდიდის მაცხოვრებელზე. 1923 წლის სააქტო ჩანაწერებიდან საინტერესოა სვანეთიდან ჩამოსულ – ოფიცერ სულეიმან დადეშქელიანის ქორწინება ზუგდიდის მაზრაში მცხოვრებ ათინა მიხეილის ასულ კიტიანზე, 1923 წლის მაისში მახინჯაურელი ვაჭარის გერმანე ტულუშის ქორწინება თბილისელ, რკინიგზის მოლარე თამარა მუხრანსკის ასულზე (სუიცა, ფ. 723, ან. 49, საქ. N 2, ფ. 11, 22^ბ).

განმეორებითი ქორწინების დროს აქტებში აღინიშნებოდა განქორწინებულთა შვილების რაოდენობა, მეორადი ქორწინება ან უბრალოდ ქვრივები. ასეთი ჩანაწერია ქობულეთელი მწერალი ვასილ ბარამიძის ფოთელი ქალბატონის მადიკო სიმონის ასულ აფხაზავას ქორწინების სააქტო ჩანაწერში – ორივენი ქვრივები არიან (სუიცა, ფ. 723, საქ. N 2, ფ. 17).

ჩანაწერებში გვხვდება ინფორმაცია ბევრი საინტერესო ადამიანის შესახებ, ასე მაგალითად 1924 წლის აქტებში აღმოჩნდა მწერალ პარმენ ლორიას ქორწინების ჩანაწერი, მან 1924 წელს 24 თებერვალს იქორწინა ქობულეთელ ქსენია მგე-

ლაძეზე. პარმენ ლორიას პირადი მონაცემებიდან ირკვევა, რომ იმ დროს იყო ოზურგეთის მაზრის სოფ. ქვაყუდეს მაცხოვრებელი, დაბადებული 1897 წლის 17 ივლისს, მუშაობდა კანცელარიაში, ოჯახური მდგომარეობით ცოლიანი, მისი მეუღლე დაბადებული იყო 1904 წელს 25 მაისს (სუიცა, ფ. 723. საქ. N 2, ფ. 20ა).

ოჯახური მდგომარეობის გრაფაში, იგულისხმებოდა ქონება, უმეტესობას უწერია ფუხარა, ე.ი. ღარიბი. დასაწყისი წლების ქორწინების აქტის ფორმას აქვს ასეთი გრაფა – განსაკუთრებული შენიშვნები, საინტერესოა ამ მხრივ ქსენოფონ სტილიდის და სოფიო ეფრემიდის ქორწინების სააქტო ჩანაწერი: ქმარს აქვს მარცხენა მხარე უფრო პატარა და თვალნი წითელნი“ (სუიცა, ფ. 723, საქ. N 2, ფ. 15). მექორწინეთა აქტებში, საცოლისა და საქმროს ხელობის გრაფაში, მამაკაცთა უმრავლესობას მითითებული აქვთ მათი საქმიანობის სფერო, საცოლეთა უმრავლესობას უწერია – ოჯახის ქალი, იგულისხმება დიასახლისი. 1928 წლიდან უფრო მეტი განხვავებული სპეციალობის ადამიანი ცხოვრობს ქობულეთსა და ჩაქვში: 1929 წელს დაქორწინდა ექიმი – ივსიხა ერქომაიშვილი, თურქული ენის მასწავლებელი – ხუსეინ მჟავანაძე, ქარხნის დირექტორი – სიმონ ალანია.

განქორწინების ჩანაწერები განსხვავებულია ქორწინების სააქტო ჩანაწერებისაგან, განსაკუთრებით ეს შეიმჩნევა ადრეული წლების ჩანაწერებში. განქორწინებისას იწერებოდა საერთო შვილთა რაოდენობა, მათი ქორწინების ადგილი, ზოგ შემთხვევაში გვხვდება ჩანაწერი დაქორწინების ადგილი ქობულეთის მაზრის ეკლესია. შესაბამისად ზოგიერთი ჩანაწერი, სრულფასოვანია და უფრო დიდ ინფორმაციას იძლევა, მაგალითად 1927 წლის ივნისში ქობულეთის სოფელ გელაურის მაცხოვრებელნი 35 წლის მემედ ყულეჯ ოღლი, ქურთი-ხიმშინი და 20 წლის ხაჭო მემედის ასული მემედ ჩილ ოღლი, ქურთი-ხიმშინი, 1924 წელს მუსულმანური წესით დაქორწინებულნი, განქორწინდნენ ქობულეთის სახალხო სასამართლოს დადგენილებით, ორწლინახევრის ვაჭი ახმედი დარჩა მამასათან, ხოლო 8 თვის სულეიმანი დედასთან. მამას დაევალა, ან რო-

გორც ჩანანერშია, მიესაჯა ყოფილი მეუღლესთვის თვიურად 5 მანეთის გადახდა (სუიცა, ფ. 723, საქ. N16, ფ.90).

სააქტო ჩანანერებში მითითებულია საცხოვრებელი. მუშებისა და გლეხების უმეტესობა დასახლებულია მამულებში: ჩაქვის სახალხო მამულში, ჩაქვში პოპოვის აგარაკზე, ჩაქვის სახალხო მამული N 6, ბოტანიკური ბაღში, ფოსტა – ტელეგრაფში, ელსადგურში, ზოგ შემთხვევაში მითითებულია ქ. ქობულეთი, სადგურთან, სავარაუდოა, რომ თითოეულ დაწესებულებასთან არსებობდა თანამშრომელთა საერთო საცხოვრებელი.

ქალაქ ქობულეთში გამოყოფილია ორი ძირითადი მესხეთისა და ლენინის ქუჩები, ასევე სმეკალოვის დასახლება.

ქობულეთის მოსახლეობა ძირითადად დასაქმებული იყო, იშვიათად არის ამ გრაფაში ჩანანერი – უმუშევარი, 1927 წლამდე ხელობის გრაფაში უმეტესობას უწერია მუშა, გლეხი, მეურნე. 1928 წლიდან შეიმჩნევა პროფესიათა მრავალფეროვნება, იზრდება მოსამსახურეთა რაოდენობა, დასაქმებულები არიან ჩაის ფაბრიკაში, ჩაის საზოგადოებაში, რკინიგზის დეპოში, გვხვდება პროფესია მოსამართლე. 1928-1930 წლებში ქალაქ ქობულეთში ცხოვრობდნენ მოსამართლეები: კარლო ჯანჯღავა, ამზიზ კაიკაციშვილი, გამომძიებელი ალექსანდრე ბარამიძე, კურორტის გამგე რამიზ ბეჟანიძე. მომრავლდა სხვადასხვა საგნის მასწავლებლები, რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, მათ შორის არიან თურქული ენის პედაგოგები. ირკვევა რომ ქობულეთს ჰქონდა დასასვენებელი პარკი.

საკმაოდ მრავლისმეტყველია ქობულეთში დაბადებულ მოქალაქეთა სააქტო ჩანანერები, მმარის პირველი აქტები დათარიღებულია 1922 წლიდან, თუმცა არსებობს უფრო ადრეული წლების მონაცემებიც – გვიანი რეგისტრაცია, სადაც დაფიქსირებულია 1918-1920 წლებში დაბადებულ მოქალაქეთა რეგისტრაცია, მაგრამ ძირითადად დაფიქსირებულნი არიან სოფლების ზედა კვირიკეს, ლეღვას, აჭყვისთავის, მუხანესტატეს, ჩაისუბნის, ალამბარის, ქვედა ულიანოვკის, ზერაბოსელის, ჩაქვისთავის, „ბოლოშოე სელისჩეს“, წყავროკას 1922-1932 წლებში დაბადებული მოქალაქეები.

დაბადებულთა ჩანანერებში ახალშობილის სახელთან ერთად დაფიქსირებულია მშობლების პირადი მონაცემები: წლო-

ვანება, სპეციალობა, საცხოვრებელი ადგილი, სქესი. ამ დროს დაბადებული ბავშვების მშობლები ძირითადად მუშათა კლასის წარმომადგენლები იყვნენ. გვხვდება მუშის პროფესიის სხავდასხვანაირი ჩანაწერი: მიწის მუშა, ოჯახის მუშა, ბალის მუშა, კარიერის მუშა, ნავთობსადენის მუშა, იყვნენ აგრეთვე სანაპიროს მეზღვაურები, მოანგარიშეები, მონტიორები, ვაჭრები, ელექტროტექნიკოსები, ზეინკლები, სამხედრო მოსამსახურეები, ქვის მთლელები, დურგლები, ფოსტის მოხელეები, ექიმები, ფარმაცევტები, მილიციონები. გვხვდება ისეთი ჩანაწერებიც, სადაც მამაკაცს პროფესიად უწერია: ოჯახის კაცი, სახლის პატრონი, ფეხსაცმლის მოხელე. ამ წლებში ქალაქში ცხოვრობდნენ ვაჭრებიც: მიხეილ პეტრიდი, ჩკალოვი, სევასტი ახალაძე, ეფიმ ომერ ოლღუ, რიფატ ლლონტი.

დაბადების რეგისტრაციის დაგვიანებისთვის მშობელი პასუხს აგებდა სასამართლოს წინაშე. მოსამსახურე ფილიპე ჯინჭარაძეს 1926 წლის 10 ივნისს შეეძინა ქალიშვილი ნინა, ხოლო 1924 წელს ოლღა, ორივე შვილი 1926 წლის 3 ოქტომბერს დაარეგისტრირა. აქტის შენიშვნაში ვკითხულობთ, დაგვიანებით გამოცხადებისთვის განმცხადებელი – ფილიპე ჯინჭარაძე მიეცა პასუხისგებაში, ქობულეთის სახალხო სასამართლოში, საქმე N 5470, 30.10 (სუიცა, ფ. 723საქ. N7, ფ. 53, 54).

1927 წელს დაუთ ალის ძე შაინ ზადეს ეყოლა ვაჟი დაუთი, შენიშვნაში უწერია: ქობულეთის სასამართლოს მიერ „დაუთ საინ ზადე მისი მამის ნამდვილ მემკვიდრედ არის დასახელებული“ (სუიცა, ფ. 723, საქ. N16, ფ. 14^ა). ხშირია შემთხვევები როცა უწერიათ-დაიბადა ჯანსაღად.

დაბადების სააქტო ჩანაწერებში დაბადების თარიღის აღნიშვნისას გამოიყენება ქართული დასახელებებიც, ასე მაგალითად თიბათვე, მკათათვე, მარიამობისთვე, კვირიკობისთვე და ა. შ. ჩანაწერებიდან ჩანს, რომ უკვე ოციანი წლების დასაწყისში შეიმჩნევა, მოსახლეობის მიგრაცია, ზაფხულში დაბადებულები შეიძლება ყოფილიყვნენ მოაგარაკენი, მაგრამ არის შემთხვევები როცა ზამთარში დაბადებულ ბავშთა სააქტო ჩანაწერებში მშობლების მუდმივი საცხოვრებელი ადგილად მითითებულია ლეჩხუმი, სვანეთი, სამეგრელო. განსაკუთრებით საინტერესოა გარდაცვალებულთა სააქტო ჩანაწერები, ისინი ნათელს ფენენ ამ დროს გავრცელებულ დაავადებებს, საინტე-

რესოა ერთის მხრივ პროფესიულ დონეზე, ლათინურად გაკეთებული დასკვნები, მეორეს მხრივ კი ხალხური ტერმინოლოგიით გადმოცემული დაავადებების მიზეზები. სწორედ ამიტომ გარდაცვალების მიზეზში გვხვდება ერთი და იგივე დაავადების სხვადასხვა სახელით დაფიქსირება, ასე მაგალითად, „წყლის „ავადმყოფობა“, „ფილტვების ანთება“, „ავლა „(დამბლა), „როჟა, „ნითელი ქარი, „ჭლექი“, „ჩიხოტკა“, „გულის ავადმყოფობა“, „გულის გაფართოვება“, „ყვავილი“, „პარტახტიანი ტიფი“, „ტროპიკული მალარია“, „მშობიარობის დროს სიკვდილი“, „მშობირობის გადაყოლვა“, „სისხლნაკლებობა“, „მუცლის ტიფი“, „ყვავილი“, „პარტახტიანი სენი“, პროცენტულად გარდაცვალების მიზეზებში ნაწლავური დაავადებები ჭარბობს სხვა დაავადებებს. იენისიდან ამ დაავადებებს ემატებოდა ზღვაში დახრჩობის ფაქტები, ზაფხულის ბოლოსა და შემოდგომის დასაწყისში მატულობდა მალარიის შემთხვევები, ეს განსაკუთრებით ზღვისპირა დასახლებაში იგრძნობოდა. დაავადებების მიზეზთა შორის არის ასეთი ჩანაწერი „გულის კიბო“, შესაძლებელია გულის რომელიმე დაავადება ჩაიწერა როგორც გულის კიბო, რადგან მაშინ კიბოს შემთხვევა ძალიან იშვიათი იყო.

გარდაცვალების აქტებში ექიმების გვარები მითითებული არ არის, რის გამოც შეუძლებელი გახდა იმ დროს ქობულეთში მოღვაწე ექიმებზე ინფორმაციის მიღება, თუმცა ჩანაწერებში გვხვდება ინფორმაცია ქობულეთის საავადმყოფოს, კინტრისისა და სმეკალოვკის საექიმო პუნქტების შესახებ. უმეტეს შემთხვევაში დასახლებულია გარდაცვალების მიზეზი, თუმცა გვხვდება უცნაური ჩანაწერებიც: ვასილ ცხადაძე, 50 წლის, დაბა ჩაქვი, გარდაიცვალა გულით. შენიშვნაში კი უწერია „მმაჩის გამგემ თვითონ იცის გარდაცვალების სინამდვილე“ (სუიცა, ფ. 723, საქ. N5, ფ. 40). კანონით გარდაცვალება მაშინვე რეგისტრირდებოდა, მაგრამ გვხვდება გარდაცვალების გვიანი რეგისტრაციაც, მაგალითად სოფელ ჩაქვის თავში 1924 წელს 80 წლის ახმედ უზუმედ ოღლის გარდაცვალების დაფიქსირებისას, დაარეგისტრირეს 1922 წლის 10 ოქტომბერს გარდაცვლილი მისი ოჯახის წევრი 28 წლის ხასან ახმედის ძე უზუმედ ოღლის გარდაცვალება. ორივეს სიკვდილის მიზეზში მოკლული უწერია (სუიცა, ფ. 723, საქ. N5, ფ. 31, 32.).

1928-1930 წლებში პროცენტულად მომატებულია უბედური შემთხვევებით ზღვაში დახრჩობით, მენყერის ჩამონოლით, მატარებლის გადავლით გარდაცვლილ ადამიანთა რაოდენობა. ხშირია გარდაცვალების მიზეზად „ციებ – ცხელებით“, „გულის სიგანიერით“, „ნითელი ქარით“, „როჟით“ გარდაცვალების შემთხვევები, თუმცა დაკრძალვის ადგილი აქტებში მითითებული არის.

ქობულეთის რაიონში ცალკე სასოფლო საბჭოებად, თემებად გამოყოფილი იყო კინტრიშის, ჭახათის და კვირიკეს სასოფლო საბჭოები.

ჭახათის თემის შემადგენლობაში შედიოდა სოფლები: ზერაბოსელი, ცხუმოვანი, ტყემაკარავი, დიდვაკე, ხინო, კეჭიეთი, ვარჯანაული, კობალაური, მესხი – ქედი, ალამბარი. თემი ძირითადად დასახლებული იყო ელიაძეებით, გეგიძეებით, ცეცხლაძეებით, გოგიტიძეებით, ანანიძეებით, მჭავანაძეებით, რომანიშვილებით, ბერიძეებით, გოლიაძეებით, დადიანებით, თხილაიშვილებით, რომანოვლებით, ალზიბეგოვლებით,

ბაუჟაძეები, (ბაუჩაძეები) ბაუჟოვლებით, ოქროპილაძეებით, ლორთქიფანიძეებით, ჯინჭარაძეებით, და ა. შ. სოფლები დასახლებული იყო ქართველი მუსულმანებით. ჭახათის თემში ცხოვრობდა რამდენიმე რუსი – მალაკანის ოჯახი.

თემი ძირითადად დასახლებული იყო მუშებით, ქვის მთლელებით. მაგრამ გვხვდება ასეთი ჩანაწერები: ს. ხალის მკვიდრ ოსმან რეჯების ძე ლორთქიფანიძეს, კანცელარიის მოხელეს შეეძინა ქალი, და იმავე წელს ისმაილ რეჯების ძე ლორთქიფანიძეს, ასევე კანცელარიის მოხელეს, შეეძინა ვაჟი. ე. ი, რეჯებ ლორთქიფანიძის ორივე ვაჟი მუშაობდა კანცელარიაში. კინტრიშის თემის მმარის დაბადების პირველი სააქტო ჩანაწერები 1924 წლით თარიღდება, თუმცა არის რამდენიმე ადრეული ჩანაწერიც.

გარდაცვალების სააქტო ჩანაწერებში გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებისა, ხშირია წყალში დახრჩობის, თავის მოკვლის, ტვინის ანთების, გრიპის, ყივანახველის, უღდეური ბავშვებისა და მშობიარობის დროს გარდაცვალების, შემთხვევები. გარდაცვალების მიზეზებში – მოხუცებულობა უწერია 50-დან 120 წლის ასაკამდე ადამიანებს. ფიქსირდება უეცარი გარდაცვალების 6 შემთხვევა. ზოგჯერ ასეთი ჩანაწერები სა-

ინტერესო ფაქტსაც გვამცნობენ, მაგალითად 1927 წლის 5, 6 სექტემბერს ყოფილა ძლიერი წყალდიდობა, რომელმაც რამდენიმე ადამიანი იმსხვერპლა, გარდაცვალების მიზეზებში წერია – ნიაღვარმა ჩაიტანა.

კინტრიშის თემის შემადგელობაში შედიოდა სოფლები: ცხრაფონა, აჭი, აჭყვისთავი, ქაქუთი, ნაცხვატევი, სკურა, წყავროკა, ლელვა, ცხრაფონა, ზენითი.

თემი დასახლებული იყო როყუებით, ზაქაიძეებით, მართულიშვილებით, კაკაბაძეებით, ზოიძეებით, ცხომელიძეებით, გოგიტიძეებით, გეორგაძეებით, ბიოლოლებით, ცეცხლაძეებით, ქარცივაძეებით, სალუქვაძეებით, მაგალობლიშვილებით, კომახიძეებით წილოსანებით- ძირითადად ქართველი მუსულმანებით. 1928 წლის კინტრიშის თემის სააქტო მონაცემებით დაფიქსირდა 34 აჭარელი, 31 ბერძენი, 21 ქართველი, 5 რუსი 4 ქურთი მოქალაქის ქორწინება. თემი ძირითადად დასახლებული იყო მიწის მუშებით. არ არის დაფიქსირებული სამუშაო ადგილი, მაგრამ ჩანანერებში გვხვდება პროფესია მოსამსახურე. მექორწინებზე, გვხვდება განსხვავებული ჩანანერებიც, მაგალითად ორივენი ადგილობრივი მაცხოვრებელია, ამიტომ საბუთი არ სჭირდებათ – ლაპარაკია ქორწინების მოწმობაზე.

გარდაცვალების მიზეზებში გვხვდება ასეთი ჩანანერებიც; „თითლი“? „დიფტერია“, „მუცლის ჭლექი“, „კუნთების ანთება“, „მუცლის ოპერაცია“, ყურის ავადმყოფობა, ანდა პირდაპირ ოპერაცია. ოციანი წლების ბოლოს იმატა დიზენტერიით გარდაცვალების შემთხვევებმა. ზოგიერთ ჩანანერში იგრძნობა, რომ გარდაცვალების დიაგნოზი ექიმის, სპეციალისტის დასმულია, მაგრამ ჩანანერებში ექიმების გვარები არსად ფიქსირდება.

რა ხდებოდა ამ დროს აჭარის მთიანეთში, კერძოდ ქედის რაიონში, ზღვის დონიდან 300-400 მეტრის სიმაღლეზე განთავსებულ სოფლებში.

ქედის თემში გაერთიანებული იყო სოფლები: აქუტი, ორცევა, ვაიო, მეძიბნი, (მეძებნა), ზვარე, ზენდიდი, დერეხოხნი, ძუნმანი (ძუნმანი), კუჭული, აგარა, კოკაოლლები, ძეძაბანი, კირომხეთი, ბარამოლლი, გულები.

აჭარის შინგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მონაცემებით ქედის რაიონში 1924 წელს რამდენიმე ახალი მმაჩის გან-

ყოფილება გაიხსნა, პირველი სააქტო ჩანაწერები 1926 წლიდან იწყება. ჩანაწერებიდან ცხადი ხდება, რომ ქედა დასახლებული იყო ძირითადად მუსულმანი ქართველებით, გვხვდება რამდენიმე თურქული ოჯახი. გავრცელებული გვარები იყო ბეჟანიძეები, ქადიძეები, ბაბუჩიოლოები, მგზავრიძეები, დევიძეები, ლორთქიფანიძეები, ჩხიკვაძეები, ჩალაოღლები, ჯაბანიძეები, აბულაძეები, კასაბოღლები, ხუსეიოღლები, შერვაშიძეები, ტეტემაძეები. ქედა და მის თემში შემავალი სოფლები ძირითადად გლეხებით იყო დასახლებული.

ქორწინების სააქტო ჩანაწერების მიხედვით 1926 წელს 47 წყვილმა იქორწინა, 1927 წელს – 52 წყვილმა, 1928 წელს 53 წყვილმა. სააქტო ჩანაწერით ვგებულობთ, რომ ამ დროს აქ მოღვაწეობდა ექიმი გიორგი ხრისტოფორის ძე დამაცვეი, რომელმაც 1926 წელს იქორწინა ლიდია სმირნოვაზე, ასევე ქედაში მოღვაწეობდა 29 წლის ვაჭარი შაბან ხასან ყაბაოღლი, რომელმაც 1928 წელს იქორწინა.

1929, 1930 წლებში, ორ წელში, ქედაში დაქორწინდა 153 წყვილმა, რაც წინა სამი წლის მონაცემებზე 6 – ით ნაკლებია, ეს კი ქორწინების საკმაოდ დიდ მატებაზე მიგვანიშნებს. ქორწინების პარალელურად ხდებოდა განქორწინებაც. 1929, 1930 წლებში ასეთი 18 შემთხვევა იყო.

საინტერესო ინფორმაციის შემცველია ქედის გარდაცვალების სააქტო ჩანაწერები. გარდაცვალების მიზეზებში ხშირია მკვლელობა (მოკვლა, როგორც ჩანაწერებშია), ქლექი, ციებ-ცხელება, მშობიარობის დროს სიკვდილი. ასევე მრავლად იყო ახალშობილთა სიკვდილიანობა.

ქედის თემის მმარის ჩანაწერებში ვხდებით შვილად აყვანის ჩანაწერებს. 1926-1930 წლების ასეთი 9 შემთხვევა დაფიქსირდა. შვილად აყავდათ ძირითადად მოზრდილი ბავშვები ან ზრდადასრულებული ადამიანები. ასეთ აქტებში ფიქსირდებოდა ყოფილი და ახალი მშობლების პირადი მონაცემები, მაგრამ ჩანაწერებში ძირითადად ახალი მშობლების მონაცემებია დაფიქსირებული.

ქედის თემის სოფელ ორცევის მცხოვრებმა ცოლ-ქმარმა მუსა ახმედის ძე თურმანიძემ და გულსუნ ნანის ასულ ჩხაიძე – თურმანიძისამ იშვილეს ოსმალეთიდან გადმოყვანილი, ობლად

დარჩენილი და მათი გაზრდილი მემედი (გვარი არ არის მითითებული) სოციალური მდგომარეობაში უწერია მოჯამაგირე; შვილად აყვანის პერიოდში მოზარდი 16 წლის იყო. მათვე იშვილეს 13 წლის რასიმი, რეჯები ოსმანის ძისა და შაზემა უსეინის ასული პეტრიძის ვაჟი (სუცა, ფ.723, ან.48, საქ.N 5, ფ.152, 153.).

გაშვილების აქტებში ვხდებით ასეთ ჩანაწერებს: სოფელ ვაიოს მკვირნმა ყებეჩი ზაბითის ძე კონწელიძემ და სულთან ხაჟის ასულ კონწელიძემ იშვილეს ხულოს რაიონის მკვიდრი ახმედ ასლანის ძე ბულაძე , 35 წლის. ასევე სოფელ ზენდიდის მკვირმა ქიბარ ალის ძე ბეჟანიძემ იშვილა ახალციხელი ომერ ბეჟანიძე, 46 წლის. შვილად აყვანამდე მისი გვარი გაურკვეველია (სუცა, ფ. 723, საქ.N 5, ფ.159, 160).

ოციანი წლების ქედის რაიონი დაყოფილი იყო ცხმორისის, მერისის და მხუნცეთის თემებად. სოფელ ცხმორისის თემში შედიოდა სოფლები: ყარახვედოლი, კოკოტაური, ხარულა, ახოში, დანდალო, აბეგეთი, ვარჯნისი, გეგელიძეები. სოფლები ძირითადად ქართველი მუსულმანებით იყო დასახლებული: დავითაძეებით, ბალაძეებით, შაანიძეებით, შირაბაიძეებით, გურჯოღლებით, ჩხუბოღლებით, მუსტაფაოღლებით, დიასამიძეებით, გოლომანიძეებით, გაბელაიებით.

სააქტო ჩანაწერების მიხედვით რაიონის სხვა სასოფლო საბჭოებთან შედარებით გარდაცვალების პროცენტული მაჩვენებელი აქ გაცილებით მაღალი იყო, გვხვდება კუჭის ავადმყოფობით, ტვინის ანთებით გარდაცვალების შემთხვევები, ასევე მკვლევლობის, უდღეურ ბავშვთა გარდაცვალების ფაქტები. 1927 წლის აპრილის თვეში ცხმორისის თემში 5 მკვლევლობა მოხდა: 21 წლის ელიასი მემედის ძე მინ ოღლი, 21 წლის უსუფი მევლუდის ძე არსენიძე და 25 წლის დემურალი მემედ ალის ძე ნულუკიძე, მოკლულნი იყვნენ შურისძიების ნიადაგზე, ხოლო 21 წლის ნური აბდულის ძე ბერიძე, და 28 წლის ასმალილ დურსუნის ძე ბერიძე – კონტრაბანდისტობის გამო საზღვარზე იქნენ მოკლულნი (სუცა, ფ. 723, საქ. N48, ფ. 92,94,95,104,105,106).

ქედის რაიონის თემები ძირითადად მინაზე მომუშავე მოსახლეობით იყო დასახლებული, სოფლებში სუფევდა სიღარიბე და გახშირებული იყო სიკვდილიანობა. 1925 წლის გაზაფ-

ხულზე, 30 მაისს, აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს პლენუმზე მიიღეს გადაწყვეტილება აჭარის გლეხობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ამ მიზნით დაიგეგმა სამუშაოები აჭარისტანის ყველა რაიონში, ამ შემთხვევაში ქობულეთის რაიონის სოფელ აჭიში, ხოლო ქედის რაიონში სოფელ მერისში. 1925 წლის ივნისში აჭარისტანის მთავრობამ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსგან ითხოვა აჭარის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო კოოპერატივებისათვის გრძელვადიანი კრედიტის გაცემა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა ადგილობრივი მოსახლეობის მატერიალურ მდგომარეობას (სუიცა, ფ. 600, ან.1, საქ. N386, ფ. 6).

რაიონული მმარის განყოფილებების მონაცემებსა და აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მმარის განყოფილების მონაცემებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებებაა. მაგალითისთვის 1923 წლის ოქტომბრიდან 1924 წლის ოქტომბრამდე კომისარიატის მმარის განყოფილების მონაცემებით მთლიანად ოლქში და ქ. ბათუმში დაიბადა – 1213 ადამინი; გარდაიცვალა – 423; ქორწინებაში იყო 472; განქორწინდა 130 (სუიცა, ფ. 285, ან. 41, საქ. N 907). თუმცა ქალაქ ბათუმის 1923 წლის დაბადების სააქტო მონაცემებით ქალაქში 2300-ზე მეტი ადამიანი დაფიქსირდა.

1924 წლიდან მმარის განყოფილებების მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, სასტიკად აიკრძალა მმარის განყოფილებების გარდა, მოქალაქეთა სხვა დაწესებულებებში რეგისტრაცია. 1923 წელს ჩატარებული აღწერით მთლიან აჭარაში დაფიქსირდა 60.317 მოქალაქე.

თემაში წარმოდგენილი იყო ქალაქ ქობულეთის და ქედის რაიონის მოსახლეობის სოციალური და სტატისტიკური მონაცემები მმარის 1921-1925 წლების ჩანაწერებისა და აჭარის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მმარის განყოფილების დუკუმენტების მიხედვით. თითოეული სააქტო ჩანაწერი საგანძურია და ამ პერიოდის ცნობილი სახეების და მათი ოჯახის წევრების, ამ დროს დაბადებული შემდგომში ცნობილი პიროვნებების ბიოგრაფიის საუკეთესო ნაწილი და ამავე დროს ფასდაუდებელი წყაროა აჭარის მხარის დემოგრაფიული და სტატისტიკური კვლევისათვის.

გამოყენებული წყაროები:

1. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი-სუიცა;
2. ქედის რაიონის მმჩის სააქტო ჩანაწერები: ფონ.723, ან 48, საქ. NN 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11;
3. ქობულეთის რაიონის მმჩის სააქტო ჩანაწერები: ფონ.723, ან 49, საქ. NN 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32;
4. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, ფონ. 285, ან. 41, საქ. NN 475, 907, 909;
5. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, ფონდი. 600, ან.1, საქ. N 386;

Tinatini Jabadari

Demographic situation of Jara population in 20s of XX century (in the context of Kobuleti and Keda regions)

Summary

The theme includes the coastal City Kobuleti, Kobuleti district and municipality of Ajara in the case the social and demographic condition of the population of Keda According.

Each assembly record is a treasure and celebrities of this period and their family members, the best part of the biographies of well-known personalities born this time, and at the same time is an invaluable source for the demographic and statistical survey of the Adjara.

ბათუმის ლომბარდი 1910-1911 წლებში

ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულ უნიკალურ ფონდებს შორის ერთ-ერთი გამორჩეულია ქუთაისის ქალაქის მმართველობის ფონდი N 108 (1875-1919 წწ). ფონდში უამრავი საინტერესო მასალაა ქალაქ ქუთაისის კეთილმოწყობის, სარკინიგზო ხაზის გაყვანის, ელექტროსადგურების მშენებლობის, გზების, ხიდების, სკოლების საავადმყოფოების, ქალაქში სანიტარული მდგომარეობის, ეპიდემიური დაავადებების, ქალაქის წყლით მომარაგების, საზოგადო მოღვაწეთა და სხვათა შესახებ. ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთ-ერთმა საარქივო საქმემ, რომელიც დათარიღებულია 1912-1913 წლებით და დასათაურებულია ასე: მიმონერა მე-5 აფთიაქის გახსნის, ბათუმის ლომბარდის ანგარიშისა და მეოთხე საერთაშორისო საავტომობილო გამოფენის შესახებ. საქმეში მე-5 აფთიაქის გახსნის თაობაზე გუბერნიის ექიმის სერგეენკოს წერილია მისივე ხელმოწერით, მაგრამ ამ დროისთვის ჩვენ ამ საკითხზე არ შევჩერდებით და თემატურად შევეხებით ჩვენთვის საინტერესო ფაქტს 1910-1911 წლებში ბათუმის ლომბარდის არსებობის და საქმიანობის შესახებ.

ბათუმის ლომბარდის მმართველი პ. გამყრელიძე 1913 წლის 9 მარტის წერილით მიმართავს ქუთაისის ქალაქის თავს მის უმაღლესობას ილია მანუჩარის ძე ჩიქოვანს.

მონყალეო ხელმწიფე ილია მანუჩარის ძე, როგორც ცნობილია ქალაქის ლომბარდი იქმნება იმ მიზნით, რათა ხელმისაწვდომი და მოსახერხებელი იყოს ღარიბი ფენის ადამიანებისათვის, რომელთაც ყოველდღიური სარჩო-საბადებელისათვის უწევს ბრძოლა, ასევე საშუალო ფენისათვის, რომელთაც უნდათ გაიუმჯობესონ მათი ცხოვრების პირობები, ან მათი შრომის, საქმიანობის გაფართოებისათვის.

ცნობილია, რომ ქალაქებში სადაც არ არის დაარსებული ლომბარდი კერძო მოვახშეებს ეძლევათ ფართო გასაქანი გააპროცენტონ ფული 60-80% წლიური ოდენობით. ამ უზურპაციის აღმოსაფხვრელად აუცილებელია მოსახლეობას შეუმსუბუქოთ მდგომარეობა და გაიხსნეს ისეთი დაწესებულე-

ბა სადაც იაფი სესხით დაეხმარებიან ადამიანებს. ეს აუცილებელი ვალაა ქალაქის თვითმართველობის. 1887 წლიდან ამ დრომდე რუსეთში 102 საქალაქო ლომბარდია გახსნილი და სადაც არ გაუხსნიათ ქალაქის თვითმართველობიდან წამოჭრილია საკითხი ლომბარდების გახსნის შესახებ.

სხვათაშორის ხუთი წლის განმავლობაში ჩემი ბათუმის ლომბარდის მართვის პერიოდში მომიწია დაკვირვება, რომ ზოგიერთი ნაწილი კლიენტებისა შეადგენენ ქ. ქუთაისის მოსახლეობას, სპეციალურად ჩამოსულნი ბათუმში ნივთების დასაგირავებლად და რაოდენობა ამ კლიენტებისა პროგრესულად იზრდება. ბათუმის ლომბარდში მოდიან ადამიანები დიდი ოდენობის სესხის მისაღებად, ხოლო უდიდესი ნაწილი ქუთაისის მოსახლეობისა საჭიროებს დაბალი ოდენობის სესხებს, რათა არ აქვთ საშუალება დაიკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნილება.

მე მგონია, რომ სასურველია და საჭიროა დავაყენოთ საკითხი ქუთაისში ლომბარდის შექმნის შესახებ.

ბათუმის ლომბარდის არსებობის დღიდან 1899 წლიდან 30000 მაცხოვრებელით ქალაქის ლომბარდი თანდათანობით იზრდება და არის სამაგალითო. ქუთაისში ლომბარდის გახსნით მისი საქმიანობა უფრო დიდ მასშტაბებს მიიღებს ვიდრე ბათუმში და მისი გახსნა გამართლებულია.

ვიმედოვნებ თქვენ თანაგრძნობას ასეთ საჭირო საკითხთან დაკავშირებით და ვფიქრობ რომ თქვენი უმაღლესობა გაითვალისწინებს ამ დროულ და აუცილებელ საკითხს. ქუთაისში ლომბარდის გახსნასთან დაკავშირებით. მე მზად ვარ გვერდით დაგიდგეთ (შევიმუშავოთ ლომბარდის წესდება და ინსტრუქცია).

წარმოგიდგენთ ანგარიშს ჩემი ლომბარდის ფუნქციონირების შესახებ 1910-1911 წლებში.'

გთხოვთ მიიღოთ ჩემი პატივისცემა, მუდამ მზად ვარ გემსახუროთ.

ბათუმის ლომბარდის მმართველი პ. გამყრელიძე.

განმარტებითი ბარათი

ბათუმის ქალაქის ლომბარდის მუშაობის შესახებ 1911 წლის 1 იანვრიდან 1912 წლის 1 იანვრის ჩათვლით.

ბათუმის საქალაქო ლომბარდი გაიხსნა 1899 წლის 1 ივლისს, მისი ძირითადი კაპიტალი შეადგენდა 25000 მანეთს, გამოყოფილი 5% საობლიგაციო სესხიდან. 1899 წლის 10 ივლისის შემდეგ ყოველი 4 წლის განმავლობაში დუმა იმავე სესხიდან ზრდიდა კაპიტალს 28000 მანეთით, ამას ემატებოდა 1905, 1906, 1907, 1908 და 1910 წლების ლომბარდის მოგების შემოსავალი. 1912 წლის 1 იანვრისათვის ძირითადი კაპიტალი ლომბარდისა წარმოადგენდა 61 892 მანეთს და 95 კაპიკს.

როგორც ლომბარდის ჩანაწერებიდან და ცხრილებიდან ირკვევა ლომბარდის გახსნის დღიდან 1899 წლის 1 ივლისიდან 112 წლის 1 იანვრის ჩათვლით ლომბარდმა მიიღო მთლიანი მოგება 101472 მანეთი და 85 კაპიკი, აქედან გასავალი იყო 78148 მანეთი და 44 კაპიკი, სუფთა მოგებამ შეადგინა 233214 მანეთი და 41 კაპიკი.

ამ დროის განმავლობაში ქალაქის მიერ დაიხარჯა 29010 მანეთი, ლომბარდმა ქალაქს დაუკარგა 12 ნელინადნახევარში 5685 მანეთი და 59 კაპიკი. ამასთან ერთად თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ 1903-1908 წლებში ლომბარდი ქალაქის კუთვნილ შენობით უსასყიდლოდ სარგებლობდა, დანაკარგის ხარჯი იზრდება 3600 მანეთით და უტოლდება 9285 მანეთს და 59 კაპიკს, ეს დანაკარგები ეხებოდა გასულ წლებს, ხოლო ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში ქალაქი ლომბარდის სახით არანაირ დანაკარგს არ ღებულობს.

1911 წლის იპოთეკათა ნუსხა ასეთი სახისაა:

ოქრო -ვერცხლის ნაკეთობა და ძვირფასი ქვები-3723 იპოთეკა;

საკერავი მანქანა-396 იპოთეკა:

სამოვარი-98 იპოთეკა;

გრამაფონი, ველოსიპედი, ხალიჩები და სხვა ნაკეთობანი- 149 იპოთეკა.

ლომბარდის საბრუნავი კაპიტალი წარმოადგენდა 63757 მანეთი 67 კაპიკი აქედან 61892 მანეთი და 95 კაპიკი შეადგენს ძირითად კაპიტალს. აუქციონის მთლიანი მოგება 1911 წლი-

სათვის არის 11199 მანეთი და 29 კაპიკი, ხოლო 1910 წელს იყო 11272 მანეთი და 96 კაპიკი.

1911 წლის ხარჯები შემდეგნაირად ნაწილდებოდა; მომსახურეთა ხელფასი-5549 მანეთი და 49 კაპ, შემწეობები 308 მანეთი, სალარო ანგარიშები 20 მანეთი, იპოთეკის დაზღვევა 789 მანეთი და 94 კაპ. ქალაქის მმართველობის გადასახადი შენობის სარგებლობისათვის 600 მანეთი, კომერციული დამონშებისათვის 130 მანეთი, ვალი თანამშრომელთა პირადი კომერციული საქმიანობისათვის 41 მანეთი და 18 კაპიკი, გათბობა და განათება 78 მანეთი და 36 კაპიკი, კანცელარიის ხარჯები 298 მანეთი და 11 კაპიკი, სხვადასხვა სამეურნეო ხარჯები 69 მანეთი და 96 კაპიკი. სულ 7885 მანეთი გასული წლის დანახარჯები შეადგენდა 7885 მანეთს და 04 კაპიკს.

ლომბარდის შენახვისათვის 1911 წელს გამოყოფილი იქნა 8005 მანეთი და 14 კაპიკი და გაიხარჯა 7885 მანეთი და 04 კაპიკი. აქედან გამომდინარე მოგების ტანხა 1911 წლისათვის იყო 3052 მანეთი და 06 კაპიკი (4,9% ძირითადი კაპიტალის).

ლომბარდის წესდების მიხედვით მოგების ნაწილი ემატება ძირითად კაპიტალს ასევე ხმარდება ქალაქის და სასწავლო დაწესებულებების კეთილმოწყობას ქალაქის დუმის ზედამხედველობით. 1911 წლის 1 იანვრისათვის 2 იპოთეკა დარჩა მფლობელის საკუთრებაში, ხოლო 14 იპოთეკა ლომბარდის საკუთრებაში გადავიდა.

აღნიშნულ წელს ლომბარდის მომსახურებით ისარგებლა 13724 ადამიანი, აქედან სესხის ასაღებად 4366, გამოსასყიდად 4169, გადავადებისათვის 5107, აუქციონის შედეგების გასაცნობად 73, ბილეთების დაკარგვის შესახებ განაცხადის გასაკეთებლად 9, აქედან გამომდინარე დღეში ლომბარდის მომსახურებით სარგებლობდა 48 ადამიანი.

ჯერ კიდევ საქალაქო ლომბარდის მესამე ყრილობაზე 1904 წლის 1 ივლისს სანკ-პეტერბურგის ქალაქის ლომბარდის მმართველის გ. სერებრიაკოვის მიერ იქნა საკითხი დაყენებული ლომბარდის მმართველთან დაკავშირებით სასურ-

ველია გვექონდეს სტატისტიკა იმ პირებზე, რომელთაც ისარგებლეს ლომბარდის სესხით. მისაღებია მიზანშეწონილია ასეთი სტატისტიკა, მაგრამ ისურვებენ სესხის ასაღებად მოსული პირები თავიანთი მონაცემების გაცემას. ქალაქის თვითმართველობისათვის აუცილებელია იცოდეს თუ ვისგან შედგება კონტიგენტი მსესხებლებისა, იპოთეკარები-სა. 1911 წლისათვის ამ სტატისტიკით დადგინდა ლომბარდის კლიენტთა ეროვნება, საცხოვრებელი ადგილი და ა.შ. განვახორციელეთ რა ეს სტატისტიკა 1911 წლის მონაცემებით სესხი გაიცა 4366 პირზე, აქედან 3027 მამაკაცია, ხოლო 1339 ქალი. 4366 პირიდან მხოლოდ 23 კლიენტმა არ ისურვა მასზე მოთხოვნილი მონაცემების მოცემა. დადგინდა, რომ 4343 მსესხებელისაგან ადგილობრივია-3999, სხვაქალაქიდანაა-344. ეროვნებით ქართველია-1350, რუსი-1321, სომეხი-868, თურქი-261, ბერძენი-243, ებრაელი-171, პერსიელი-65, გერმანელი-31, პოლონელი-27, ჩინელი-6. საქმიანობით იპოთეკარები შედეგნაირად ჯგუფდებიან: წვრილი მოვაჭრეები-780, სხვადასხვა დაწესებულებების თანამშრომლები-704, ხელოსნები -664, შავი მუშები-653, დიასახლისები-362, სახლის მეპატრონეები-298, თავისუფალი პროფესიის ადამიანები-221, დამლაგებლები(მსახურები) -189, უმუშევრები -134, საოფისე მუშები-117, მინის მფლობელები-101, მოსწავლეები-63, კონტრაქტორები-41, სასულიერონი-15.

ლომბარდის კლიენტები სამ კატეგორიად იყოფიან უღარიბესი, საშუალო და წარმომადგენლობითი, ლომბარდის მომსახურებით 1911 წელს ისარგებლა პირველმა კატეგორიამ (უმუშევრები, შავი მუშები, ხელოსნები, დამლაგებლები-0-1640 ადამიანმა, მეორე კატეგორიის საშუალო ფენამ -2363 ადამიანმა და მესამე კატეგორიის (სახლის მფლობელები, მინის მესაკუთრენი, მწარმოებლები)-340 ადამიანმა.

ძირითადი კაპიტალისა და აუქციონის შედეგების გარდა ლომბარდი მოკლებულია ყველანაირ რესურსს, ამიტომ საჭიროებს მეტ ყურადღებას, სასურველია გვექონდეს ხელშეწყობა ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან და ჩვენის მხრივ ჩვენც შევეცდებით შევამციროთ პროცენტი ამით ხელი შე-

ეუწყოთ ჩვენ კლიენტებს(განსაკუთრებით ღარიბ მოსახლეობას). თუ ჩვენ შევადარებთ რუსეთის ლომბარდების ბათუმის ლომბარდს ნათლად დავინახავთ პროცენტის სიდაბლეს, თუ სხვაგან პროცენტი 24-ია, აქ ჩვენთან 18 %-ზე ნაკლებია.

აუცილებლობას წარმოადგენს ბათუმის ლომბარდის გაფართოება, ასევე ვითხოვთ ობლიგაციებს, რათა გაიზარდოს ლომბარდის სახსრები და ძირითადი კაპიტალი, ასევე ლომბარდის შემფასებლის პირობების გაუმჯობესებას.

დასასრულს მოვალედ ვთვლი მოგახსენოთ ქალაქის მმართველობას, რომ ჩემი ლომბარდის თანამშრომლები სრულად შეესადაგებიან თავიანთ თანამდებობებს და მათზე დაკისრებულ მოვალეობას ფრიად აკურატულად და კეთილსინდისიერად ასრულებენ.

ლომბარდის მმართველი.

პ. გამყრელიძე.

10 თებერვალი 1912 წელი. ქალაქი ბათუმი.

მოხსენება სარევიზიო კომისიისა ბათუმის საქალაქო ლომბარდის ანგარიშის შესახებ 1911 წლისათვის.

სარევიზიო კომისია შემდეგი შემადგენლობით: კომისიის თავჯდომარე ი.ბ. საბახტარაშვილი, წევრები ხ.ხ. გრიგორიანი, ი.გ. ფელიაკოვი და ს.ბ. ჭანტურია.

1911 წლის მონაცემებით ლომბარდის დოკუმენტებით და ჩანაწერების მიხედვით დაადგინა შემდეგი: განმარტებითი ბარათი ლომბარდის მმართველისა იძლევა ნათელ და ზუსტ სურათს ლომბარდის საქმიანობის შესახებ.

იპოთეკების შემონმებისას კომისიის მიერ დათვლილი იქნა 50 იპოთეკა, რომლებიც სავსებით შეესაბამებოდა ხარისხს და სწორად იყო შეფასებული, შეფასება ლომბარდში ჩადებული ნივთების წარმოებს სწორად.

1912 წლის 8 მარტს კომისიამ შეამონმა ნაღდი ფული კასაში არსებული თანხა შეადგენდა 585 მანეთს და 36 კაპიკს რაც შეესაბამებოდა საბუღალტრო წიგნის მონაცემებს.

ლომბარდის შენახვისათვის გამოყოფილი იქნა 1911 წელს 8005 მანეთი და 14 კაპიკი, დაიხარჯა 7885 მანეთი და 04 კაპიკი. მოგებულმა თანხამ შეადგინა 120 მანეთი და 10 კაპიკი.

ლომბარდის გაფართოებასთან დაკავშირებით 1910 წლია 10 ივნისს თავჯდომარემ მიმართა ქალაქის გამგეობას და საკითხი ჯერ კიდევ განსახილველადაა. კომისიის მუშაობის შედეგად კომისია იმედოვნებს რომ ლომბარდის მოგება გაიზრდება.

მოხსენების დასასრულს კომისია თავს ვალდებულია თვლის უშუამდგომლოს ლომბარდს ქალაქის თვითმართველობასთან. წესრიგი ქალაქის ლომბარდში ლომბარდის მმართველის გამყრელიძის დამსახურებაა, ასევე სამაგალითოა ბათი ბულალტერია, რომელიც იტალიური სისტემით მუშაობს, ჩანაწერები წარმოებს დროულად და აკურატულად.

ხელს აწერენ კომისიის თავჯდომარე ი. საბახტარაშვილი
წევრები; ხრ. გრიგორიანი;
ს.ბ. ჭანტურია;
ი. ფელიაკოვი.

ბათუმის საქალაქო დუმამ 34 ხმოსნით 1912 წლის 30 აპრილის სხდომაზე მოისმინა მოხსენება სარევიზიო კომისიის ბათუმის ლომბარდის რევიზიის შესახებ 1911 წლის მდგომარეობით. სარევიზიო კომისიამ და ქალაქის მმართველობამ ერთხმად დაადგინა:

1. დამტკიცდეს 1911 წლის ლომბარდის ანგარიში;
2. ლომბარდის ოპერაციების შედეგად 1911 წლის მოგებამ შეადგინა 3052 მანეთი და 6 კაპიკი, რაც შეემატა ძირითად საბრუნავ კაპიტალს;
3. ლომბარდის ყოფილ მმართველს თავად ლორთქიფანიძეს ჩამოენერა 336 მანეთი და 35 კაპიკი.
4. ეთხოვოს მმართველს ლომბარდის შეფასების მომსახურების პირობების გათვალისწინების საკითხი შეიტანოს დუმაში.
5. შენობის გაფართოების აუცილებლობიდან გამომდინარე 1912 წლის ზაფხულს შენობიდან უნდა გადავიდეს პირველი ქართული დანყებითი სკოლა.
6. განხორციელდეს ლომბარდიდან სესხებზე განაკვეთის შემცირება, ასევე მიეცეს ობლიგაციები, რომელიც ით-

ვალისწინებს ლომბარდი სამუშაო კაპიტალს 40000 მანეთს.

სწორია ხელს აწერს ქალაქის მდივანი ი. მესხი.

სამწუხაროა იმის გააზრება, რომ აღნიშნულ პერიოდში როდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, დგას საკითხი ლომბარდის გახსნის, გაფართოების შესახებ, რადგანაც ის წარმოადგენდა ფულის ხელმისაწვდომობის ალტერნატიულ საშუალებას.

ყველა ორგანიზაციას აქვს არსებობის უფლება, მაგრამ მე, როგორც ქართველს გული მტკივა, რადგანაც ლომბარდები დღევანდელ საქართველოში გადაიქცა ჭარბვალიანობის მთავარ პრობლემად, ამიტომ ჩემი მოკრძალებული სურვილია ქართველი ხალხი არავიზე და არაფერზე არ იყოს დამოკიდებული და ჰქონდეს შესაძლებლობა იცხოვროს თავისუფალმა ღმერთის და ერთმანეთის სიყვარულში.

გამოყენებული წყაროები:

1. ქცა, ფონდი, N 108, საქ4151.

Tea Katamadze

***Batumi pawnshop 1910-1911
Summary***

One of the unique funds protected in the Central Archive of Kutaisi is the Kutaisi City Management Fund N 108 (1875-1919). There are lots of interesting materials in the fund of the 20th century on the pawnshops in Batumi. The article is about this issue.

*საბა სალუაშვილი
ჯულია ბენიძე*

**ქართველთა შორის წერა-კითხვის
გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობა
აჭარაში: ქართული სკოლის და განყოფილების
დაარსების მასალები**

**(საქართველოს საისტორიო ცენტრალურ არქივში და-
ცული დოკუმენტების მიხედვით)**

1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით, რუსეთის იმპერი-
ამ, გააუქმა რა ქართლ-კახეთის სამეფო, დაიწყო კიდევ მთლი-
ანად კავკასიის რეგიონის დაპყრობის შუეუქცევადი პროცესი.
რუსეთის იმპერია ეტაპობრივად ახდენდა დამოუკიდებელი სა-
მეფო-სამთავროების ანექსირებას, მათ დაყოფას გუბერნიე-
ბად, რომლებსაც თავდაპირველად კავკასიის მთავარმართებე-
ლი, ხოლო შემდგომში მეფისნაცვალის განაგებდა.

რუსეთის იმპერიის მიერ ოკუპირებული საქართველოს ის-
ტორიული ტერიტორიების შემოერთება 1878 წლის რუსეთ-
თურქეთის უკანასკნელი ომით დასრულდა (სან-სტეფანოს ზა-
ვი). რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში გადავიდა: სამხრეთ
ბესარაბია, აჭარა (ქალაქ ბათუმითურთ), ართვინი, არტანუჯი და
ყარსის ოლქები.

ახლად შემოერთებული აჭარა ადმინისტრაციულად ბათუ-
მის ოლქის სახით გამოიყო. მოგვიანებით, 1883 წელს, ბათუმის
ოლქს ართვინის ოლქიც შეუერთდა და ადმინისტრაციულად
ქუთაისის გუბერნიას დაექვემდებარა.

1801 წლიდან მოყოლებული, რუსეთის იმპერია, აქტიურად
ახორციელებდა კავკასიის მოსახლეობის რუსიფიკაციის პო-
ლიტიკას, გამონაკლის არც აჭარის რეგიონი წარმოადგენდა.
1878 წლიდან ფართო მასშტაბი მიიღო მუჰაჯირობამ (მაჰმადი-
ანი ქართველების იძულებით გადასახლებამ ოსმალეთის იმპე-
რიაში). აჭარის რეგიონი ქართველთა დაცლის საფრთხის ქვეშ
დადგა. ქართველ ინტელიგენციას კარგად ესმოდა, თუ რაო-
დენ საშიში იყო რეგიონის დაცლა ადგილობრივი ქართველი
მოსახლეობისგან. ერთი მხრივ, ქართველ საზოგადო მოღვაწე-

თა და მეორე მხრივ, ქართულ პრესაში გაჩაღებულმა კამპანიამ შედეგი გამოიღო – გადასახლების პროცესი შეჩერდა და მუჰაჯირთა ნაწილი კვლავ საკუთარ სახლებს დაუბრუნდა.

როგორც ცნობილია, ერთი მხრივ, რუსეთის იმპერიის იდეოლოგიისა და რუსიფიკაციის წინააღმდეგ საბრძოლველად და მეორე მხრივ, მოსახლეობის ფართო ფენებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, 1879 წელს თბილისში დაარსდა – „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“.

ქართველ საზოგადო მოღვაწეებს კარგად ესმოდათ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო 300 წლის მანძილზე საქართველოსგან იძულებით ჩამოცილებულ რეგიონში ეროვნული თვითშეგნების გაღვივება, ქართული ენისა და ეროვნულ ცნობიერებაზე დამყარებული განათლების გავრცელება, თანდათან, „დაკარგული“ ცნობიერების აღდგენა, ენითა და რელიგიით განსხვავებულ გარემოში ფრთხილი და გაანალიზებული პოლიტიკის წარმოება. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დაარსების დღიდან გადაწყვეტილებას იღებს აჭარის რეგიონში დაარსოს ქართული დაწყებითი სკოლა.

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცულია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდი (საარქივო N 481), რომელშიც დაცულია მნიშვნელოვანი დოკუმენტები აჭარის ადგილობრივი განყოფილებისა. აღნიშნულ ფონდში დაცული მასალები ნათლად ასახავენ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა იმ აქტიურ საგანმანათლებლო საქმიანობას, რაც ამ რეგიონში აღნიშნული საზოგადოების გაუქმებამდე წარმოებდა.

ქართული სკოლის დაარსება:

ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, აჭარის რეგიონში, ქართული სკოლის გახსნისთვის ზრუნვა დაარსებისთანავე დაუწყო, რასაც 1879-1881 წლებში წარმოებული გამგეობის სხდომის ოქმები მოწმობს.

1879 წლის 23 დეკემბრის სხდომის ოქმის მიხედვით (თავმჯდომარე დიმიტრი ყიფიანი) ბათუმში სახალხო სკოლის გახსნის ინიციატივით გამგეობის წინაშე ნიკო ცხვედაძე გამოსულა – „ჩვენ, ქართველ საზოგადოებას ბევრი აღთქმა მიგვიცია

ამ ახლად შემოერთებულ ჩვენი თვის-ტომისთვის, მაგრამ საქმით კი ჯერ არა გაგვიკეთებია რა“ [2, ფურც. 22].

გამგეობას მალევე მიუღია სახალხო სკოლის გახსნის დადგენილება (1880 წლის 4 ივნისის სხდომის ოქმი), ხოლო ყოველგვარი საქმის მოგვარება ნიკო ცხვედაძისთვის დაუვალებია – „მიენდოს ბატ. ნ. ზ. ცხვედაძეს ნაბრძანდეს ბათუმში და იქ გამოიკვლიოს ყოველივე საჭირო ცნობა სკოლის გასამართავად. რამდენიც საჭირო იქნება მიეცეს მას გზის ხარჯი და ყოველი ღონისძიება მოხმარებულ იქნას, რომ პირველს ენკენისთვეში სკოლა გამართულ იყოს ან თვითონ ბათუმში, ან სხვა უფრო გამოსადეგ ადგილას.“ [2, ფურც. 80].

საზოგადოება, გარდა ქართული წერა-კითხვის გავრცელებისა, ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ახლად შემოერთებულ რეგიონში გაუცხოება მაჰმადიან და მართლმადიდებელ ქართველებს შორის არ ყოფილიყო. აღნიშნულ საკითხს ხაზს უსვამდა ბათუმის სამხედრო გუბერნატორიც. მისი აზრით, საჭირო იქნებოდა მაჰმადიანი მოსწავლეებისათვის მოლას მოწვევა. თუ კი საზოგადოება სკოლას გახსნიდა აჭარის რეგიონში, ეს უნდა მომხდარიყო ქალაქ ბათუმში. გუბერნატორი ჰპირდებოდა მთავარ გამგეობას, რომ გამოყოფდა სკოლისათვის საჭირო მიწის ნაკვეთს (1880 წლის 4 სექტემბრის სხდომის ოქმი) [2, ფურც. 89].

გამგეობას მიუღია მხედველობაში სამხედრო გუბერნატორის რჩევა და 1880 წლის 12 დეკემბრის სხდომის ოქმით დადგინა ბათუმის სკოლის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვა შემდეგი სახით: – „...წელიწადის სკოლის ხარჯისა და მოქმედებისა დაინიშნოს სექტემბრიდან სექტემბრამდე. პირველ დაწყებითი სკოლის ხარჯი ამ ნაირად იყოს: 1) მასწავლებელს დაენიშნოს ოთხმოცი თუმანი ჯამაგირი, 2) მოლას – ოცი თუმანი, 3) სახლის ქირა ოცდაექვსი თუმანი, 4) მოსამსახურეს 12 თუმანი, 5) შეშისთვის – ექვსი თუმანი და 6) წვრილმანის ავეჯეულობისათვის შვიდი თუმანი...“ [2, ფურც. 104].

საზოგადოების მიერ 1880 წლის 15 მაისიდან 1881 წლის 15 მაისამდე წარმოებული საქმიანობის შემაჯამებელ ოქმში, აჭარის რეგიონში, კერძოდ ბათუმში, სკოლის დაარსების თანმიმდევრული პროცესებია ასახული – „თანახმად საერთო კრების

დადგინებისა საზოგადოების მმართველობამ შარშან ზაფხულშივე მიჰყო ხელი ბათომის მაზრაში სკოლის გამართვას. მმართველობამ არ იცოდა თუ რა ადგილას უფრო გამოსადეგი იქნებოდა სკოლის გამართვა და ამის გასაგებად გაგზავნა ბათომს თავისი ნევრი ნ. ზ. ცხვედაძე, რომელსაც მიანდო ყოველგვარი საჭირო ცნობების შეკრება შესახებ საშუალო ადგილის ამორჩევისა. ბატონმა ცხვედაძემ მოახსენა მმართველობას იქაური გარემოება და დაარწმუნა მმართველობა, რომ სკოლის გასამართავად უკეთესი ადგილი იყო თვით ბათომი. ამგვარივე რჩევა მისცა მმართველობას ბათომის სამხედრო გუბერნატორად მყოფმა ბატ. კომაროვმა, რომელმაც ბატ. ცხვედაძის მეცადინეობით, აღუთქვა შკოლას სასახლის მინა შიგ ბათომში უსასყიდლოდ. (აქვე საჭიროა მოვიხსენიოთ, რომ როცა მმართველობას დაუმტკიცებენ შემოწირულ ადგილს განზრახვა აქვს ააშენოს იქ სასკოლო სახლი). ამისგან მმართველობამ გადანყვიტა შარშანვე გაეხსნა სკოლა ბათომში; მომავალი სკოლისათვის დაამზადა საჭირო მებელი და სხვა სკოლის მასალები, მაგრამ სკოლის გამართვა ვერ მოხერხდა, რადგანაც ბათომშიაც სახლის შოვნამ გააძნელა საქმე. ბოლოს ბათომის სკოლაც გაიმართა ამ წლის (თვე და რიცხვი გამოტოვებულია, თუმცა სკოლა გახსნილა 23 მარტს – ჯ. ბ., ს. ს.). საზოგადოებამ გაგზავნა თავმჯდომარის ამხანაგი კნ. ი. გ. ჭავჭავაძე დასასწრებლათ შკოლის გამართვაზე.

სკოლის ოსტატათ არის მონვეული პეტერბურგის მედიკნირურგიული აკადემიის სტუდენტი ა. ნანეიშვილი, რომელიც ასწავლის ყოველ საგნებს, გარდა სამღრთო წერილისა. მაჰმადიანების სჯულის მოძღვრად არის მონვეული ქართველი მძოლა უსეინ ეჭქენდი.

ამ ჟამად სკოლაში არის 28 ბავშვი. ამათგან თერთმეტი არის მაჰმადიანი, ექვსი კათოლიკე და თერთმეტი მართლ-მადიდებელი...“ [2, ფურც. 138].

განყოფილებები და პროგრამა:

საზოგადოების გამგეობის საერთო გადანყვიტელებით, ბათომის სკოლის პროგრამა უნდა შეედგინა ნიკო ცხვედაძეს. ამ პერიოდისთვის საზოგადოებას დაარსებული ჰქონდა სკოლები საქართველოს სხვა რეგიონებში, შესაბამისად, შემუშავებული

ჰქონდა ძირითადი პროგრამა და განყოფილებების რაოდენობა.

ბათუმის სკოლა (1882/83 წლების ანგარიშის მიხედვით) შედგებოდა ოთხი განყოფილებისგან, ხოლო ძირითადი საგნები იყო: 1) საღმრთო წერილი, 2) ქართული ენა, 3) არითმეტიკა, 4) რუსული ენა, 5) თათრული ენა და მაჰმადის რჯული, 6) დაკვირვებითი სწავლება, 7) ხატვა, 8) სიმღერა [33, ფურც. 181].

მოგვიანებით, 1896 წლის სკოლის ანგარიშის მიხედვით, პროგრამა შემდეგი სახისა იყო:

I განყოფილება:

1) საღმრთო სჯული; 2) ქართული ენა; 3) რუსული ენა; 4) არითმეტიკა; 5) ხაზვა ანუ ხატვა; 6) ადგილობრივი საბავშვო სიმღერანი.

II განყოფილება:

1) საღმრთო სჯული; 2) ქართული ენა; 3) რუსული ენა; 4) არითმეტიკა; 5) ხაზვა ანუ ხატვა; 6) ადგილობრივი სახალხო სიმღერანი.

III განყოფილება:

1) საღმრთო სჯული; 2) ქართული ენა; 3) რუსული ენა; 4) არითმეტიკა; 5) ხაზვა ანუ ხატვა; 6) გეოგრაფია (ელემენტარული კურსი გეოგრაფიისა/გაცნობა ადგილობრივი არე-მარეს); 7) საზოგადო ქართული სიმღერანი და საეკლესიო გალობა.

IV განყოფილება:

1) საღმრთო სჯული; 2) ქართული ენა; 3) რუსული ენა; 4) არითმეტიკა; 5) ხაზვა ანუ ხატვა; 6) გეოგრაფია (აღწერა მთელი ქვეყნისა გლობუსის და კარტის შემწეობით); 7) საზოგადო ქართული სიმღერანი, საეკლესიო გალობა და რუსული საყმანვილო სიმღერანი [471, ფურც. 6-8].

მოსწავლეთა რაოდენობა 1881-1917 წლების ანგარიშების მიხედვით:

ბათუმის სკოლის პირველი მასწავლებლის ალექსანდრე ნა-ნეიშვილის მიერ შედგენილ სიაში (1881 წლის 8 მაისისთვის) ბათუმის ქართული სკოლა 28 მოსწავლით გახსნილა, რომელთა-

გან თერთმეტი მართლმადიდებელი, თერთმეტი მაჰმადიანი და ექვსი კათოლიკე მოსწავლე ყოფილა [33, ფურც. 31-32].

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი მაჰმადიან და მართლმადიდებელ ქართველთა ერთობლივი სწავლება იყო. ამ მხრივ, აღსანიშნავია ქართველ მაჰმადიანთა წერილი საზოგადოების გამგეობას ბათუმის საერო სკოლაში თავიანთი შვილების შეყვანის შესახებ – „1882 წელსა ოკტომბრის 30ს დღესა ჩვენ ქვემოთ ამისა ხელის მომწერნი ქ. ბათუმის მცხოვრებთა ქართველ-მახმადიანთა ჩვენი საზოგადოების მონდობილობით დავადგინეთ შემდეგი განჩინება: 1, შემდეგ ხანგრძლივის მოსაზრებისა და ბაასისა გადაწყვიტეთ მივცეთ სასწავლებლათ ჩვენი შვილები ტფილისის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისაგან ბათუმშიდ დაარსებულ საერო სკოლაშიდ; 2, თათრული ენის და მახმადის რჯულის მასწავლებლათ /ხოჯათ/ ერთხმათ ამოვირჩიეთ მაჭახელში მცხოვრები სულიმან ეფენდი მეხმედ ეფენდი ზადე, კაცი პატივცემული მაღალ ზნეობიანი, ზედ მიწევნით მცოდნე მახმადის რჯულისა და კარგათ განვითარებული თათრულ, არაბულ და სპარსულ ენებში, რომელიც უკვე გამოვიწერეთ მაჭახელიდან და ამ ყამად იმყოფება ბათუმში; 3, რადგანაც ხსენებული ხოჯა არ თანხმდება საზოგადოებისაგან განწესებულ წლიურს ჯამაგირზედ /150 მ/ და ჩვენც ვერ ვაკადრებთ მას ამნაირ მცირე ფასს შრომისას, ამისათვის გადავწყვიტეთ სკოლის მასწავლებლის ბ. მოსე ნათაძის შუამავლობით ვსთხოვოთ საზოგადოებას, რომ მან დაუნიშნოს ამ ხოჯას თვეშიდ ოცი მანეთი და 4, ეს განჩინება და ყმანვილების სია გარდაეცეს საზოგადოების მმართველობაშიდ წარსადგენათ ბ. მოსე ნათაძეს შესაბამისი განკარგულების მოსახთენათ..“ [471, ფურც. 114-115].

მომდევნო წლების სხდომის ანგარიშებში ჩანს, რომ ბათუმის სკოლის ხარჯი დიდი ყოფილა, რის გამოც მისი დახურვის საკითხი ბევრჯერ დასმულა. თუმცა, ყოველწლიურად ჩატარებულ რევიზიებში, თითოეული რევიზორი აღნიშნავდა, რომ სკოლა კარგად ასრულებდა თავის მოვალეობას და მისი დახურვა არ შეიძლებოდა. მაგალითად, 1898 წლის 9-10 ივნისს, გამგეობის მინდობილობით, რევიზია ჩაუტარებია იაკობ გოგებაშვილის, რომელიც აცნობებს გამგეობას შემდეგს – „ბათუმის სკოლა წარმოადგენს ამ ყამად ნამდვილს პედაგოგიურს

სასწავლებელს, ჭეშმარიტ ლამპარს განათლებისას, რომელიც ქართველთა გაძლიერებას იმ მხარეში მეტად დაეხმარება..“ [580, ფურც. 9].

1882 წლიდან 1917 წლის ჩათვლით წარმოებული სკოლის ანგარიშების მიხედვით, მოსწავლეთა რაოდენობის, ეთნიკური შემადგენლობის, სქესის თუ აღმსარებლობის შესახებ იკვეთება შემდეგი სურათი:

სასწავლო წელი	განყოფ. რაოდ.	მოსწ. რაოდ.	ეროვნება					სარწმუნოება			სქესი		
			ქართ.	სომ.	ებრ.	რუს.	პოლ.	ქრისტ.	მამად.	იუდაიზ.	მონოთ.	კაცი	ქალი
1881/1882	4	28	-	-	-	-	-	17	11	-	-	-	-
1882/1883	4	58	-	-	-	-	-	31	27	-	-	-	-
1884/1885	4	60	-	-	-	-	-	30	30	-	-	-	-
1886/1887	4	34	-	-	-	-	-	-	-	-	-	34	-
1896/1897	4	105	105	-	-	-	-	80	25	-	-	105	-
1898/1899	4	155	147	5	3	-	-	118	29	3	5	-	-
1899/1900	4	159	152	5	2	-	-	126	26	2	5	-	-
1900/1901	4	176	174	2	-	-	-	149	25	-	2	174	-
1901/1902	4	201	196	1	-	3	1	188	12	-	1	196	-
1902/1903	4	172	166	2	-	3	1	162	8	-	2	172	-
1903/1904	4	174	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
1904/1905	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
1905/1906	4	99	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
1906/1907	4	141	131	3	-	3	4	138	2	-	1	129	12
1907/1908	4	171	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
1908/1909	4	131	126	2	-	1	2	125	4	-	2	106	25
1909/1910	4	151	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
1910/1911	4	132	126	3	-	3	-	114	17	-	1	94	38
1915/1916	2	46	44	-	-	1	1	38	8	-	-	24	22
1916/1917	2	76	-	-	-	-	-	63	13	-	-	47	29

ბათუმის სკოლის პირველ მასწავლებლად (1880 წლის 4 ნოემბრის სხდომის ოქმი) გამგეობის მიერ არჩეულ იქნა ალექსანდრე ნანეიშვილი [2, ფურც. 98]. 1882 წლიდან სკოლის მასწავლებლად ინიშნება მოსე ნათაძე.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში დაცულია საინტერესო წერილები (თხოვნები) ბათუმის სკოლის მასწავლებლად დანიშვნის შესახებ, რომელთა შორის აღსანიშნავია ქრისტეფორე ციციქიშვილის (შემდგომში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე III) წერილი:

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამმართველოს ტფილისის სასულიერო სემინარიის სტუდენტის ქრისტეფორე ციციქიშვილისაგანთხოვნა „ივერიაში“ ამოვიკითხე, რომ ბათუმის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლაში იხსნება დროებითი

ადგილი მეორე მასწავლებლისა. უმორჩილესად ვსთხოვ საზოგადოების სამმართველოს მომანიჭოს ეს ზემოხსენებული მასწავლებლობის ადგილი. ამასთანავე პატივი მაქვს ვაუწყო „საზოგადოების“ სამმართველოს, რომ მე კარგათ ვიცი სამშობლო ენა და ლიტერატურა.

მთხოვნელი ქრისტეფორე ციციქიშვილი
1893 წლის 17 დეკემბერი“ [354, ფურც. 96].

ისიდორე რამიშვილის (სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი) წერილი სკოლის მასწავლებლად დანიშვნის შესახებ:

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას სურების სასოფლო სკოლის მასწავლებლის ისიდორე რამიშვილის თხოვნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ დაარსებულს ბათუმის სკოლაში, როგორც ვიცი, იცლება მასწავლებლობის ადგილი და ვსთხოვ „საზოგადოების“ გამგეობას რათა მან დამნიშნოს მე მასწავლებლად ამ სკოლაში. თან წარმოვადგენ სასულიერო სემინარიაში ჩემ მიერ სწავლის დასრულების მოწმობას და მოწმობას წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლაში ნამსახურობისას მთხოვნელი ისიდორე რამიშვილი

1893 წლის 29 აპრილი“ [354, ფურც. 23].

1893 წლიდან ბათუმის სკოლის მასწავლებლად სწორედ ისიდორე რამიშვილი ინიშნება.

წიგნების გავრცელება:

ახლად შემოერთებულ რეგიონში ქართული წიგნების გავრცელებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, რასაც ფონდში დაცული მრავალი წერილი მოწმობს.

ზაქარია ჭიჭინაძის როლი ამ საქმეში განსაკუთრებულად დიდია. აღნიშნულის დასტურია, საზოგადოების მთავარ გამგეობისადმი მიწერილი, 1894 წლის 7 ივნისით დათარიღებული, წერილი – „სამი წლის განმავლობაში მე დავიარე ქობულეთის სოფლებში, აჭარის, ლივანის, მაჭახლის და ზეგნის. ამ ადგილებში 350 მეტი სოფელი აღმოსჩნდა, ყველგან ქართულს ენაზე ლაპარაკობენ ქართველი მაჰმადიანები, მათი საჭირო სახმარებელი ენა ქართული ენა არის. სიმღერა, ტირილი, თამაში და სხვანი სულ ქართულია. ქობულეთსა და

აჭარაში ქართული წიგნებიც გავრცელდა და ახლა საქმე ზეგანზეა, სადაც 100 სოფელზე მეტია და ლივანაში. იმედია რომ უკანასკნელს ადგილებშიაც გაიდგამს ფესვს ქართული ანბანი. წელს მე მივდივარ შავშეთსა და იმერხევეში. ეს ადგილები ქართველთათვის უცნობი ადგილებია, ჩვენ არ ვიცით თუ იქ ქართული ენის საქმე რა მდგომარეობაშია და არც ის ვიცით, თუ ამ ადგილებში რამდენი სოფელი სძევს. სად როგორ სცხოვრობენ ქართველ მაჰმადიანები და ან იქ რა ადგილებია, რა ხეობები და რა ძველი ისტორიული ძეგლ-ნაშთები. ჩვენდა სამწუხაროთ არამც თუ მარტოთ შავშეთია ჩვენთვის უცნობი, არამედ ოსმალეთის ყოფილ საქართველოს უმეტეს ადგილების. ამბებიც არ ვიცით, თუ დღეს სად და რომელს ხეობებში და ადგილებში სუფევს ქართული ენა, ქართული გვარტომობა, ქართული სოფლები და სხვანი. – რადგანაც შავშეთი აჭარიდამ კარგა შორს არის და იქ წასვლა ერთის მხრით საშიშიც არის მეორე მეტათ ძვირათაც ჯდება, ამიტომ მოვმართავ საზოგადოებას და ვსთხოვ დახმარებას. ფულით თუ არ იქნება დახმარება და წიგნებით იქნება, იქითკენ საჭირო იქმნება შემდეგი წიგნები: დედა ენა, ბუნების კარი, ვეფხისტყაოსანი ... ქართული კარაბადინი და სხვა რამ საბავშვო სურათებიანი წიგნები. წვრილი წიგნები მე მაქვს...“ [398, ფურც. 55].

ქართული წიგნების გავრცელებას და სამკითხველოების გახსნას ადგილობრივი მოსახლეობაც ითხოვდა. ამის დასტურია მოსახლეობის თხოვნა ქვემო აჭარის სოფელ მარადი-დიში სამკითხველოს გახსნის შესახებ: – „მცხოვრებნი სოფლები: 1) ქვედა მარადიდის 2) ზედა მარადიდის, 3) მირვეთის, 4) ხების, 5) ოღლაურის, 6) ხინცკანის, 7) ზედობანის, 8) ენიმერელის 9) გიდროვეთის, 10) ოხორდიის, 11) ნეძიის, და 12) ბელღევანის. 13) კატაფხიის...“

ზემო მოხსენებული სოფლების მცხოვრებლები, უმორჩილესათ ვთხოვთ თფილისს ქართულ წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომ გავვინიოთ დახმარება ზედა მარადიდის სამკითხველოს დაარსებაში: ზედა მარადი-დი მდებარეობს შუა ადგილას რომლის გარშემო არტყია ზემო ჩამოთვლილი სოფლები, ზედა მარადიდშიდ გახსნილი სამკითხველო იქნება ქართული წერა კითხვის გამავრცელებელ

ბელი ზემოთ მოხსენებულ თორმეტ სოფელშიდ. პირველი დაარსების ერთ დროული დახმარება გაგვიწია, ბათუმის ქართულ წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილებამ, და შემდეგშიაც შეგვიპირდა ფარველობას. ჩვენი თხოვნა თქვენდამი წარმოადგენს ჟურნალ გაზეთების და წიგნების უფასოთ მოშველებაშიდ; რადგანაც ჩვენ დღეს, დარბეულნი და განადგურებულნი ომისაგან, არ გვაქ არავითარი საშუალება საკუთარი ხარჯების განწევისა. სურვილი კი გვაქვს რომ ჩვენ ქართველი მჭახმადიანები არ ვიქნეთ ჩამოშორებული საქრისტიანო საქართველოზე. და ამიტომ ქართული წერაკითხვის გავრცელებას ჩვენშიდ შოუძლია ჩვენი ვაცნობა დაახლოვება და იმ გაუგებრობის მოსპობა რომელიც დღეს ჩვენს შორის არსებობს. ჩვენ თხოვნასთან ერთად გგიზავნით წიგნების სიას რომლის შეძენა იქნება ძრიელ სასიამოვნო“ [1790, ფურც. 2-3].

ადგილობრივი განყოფილების დაარსება და საქმიანობა:

საზოგადოება წლების მანძილზე აფართოებდა თავის საქმიანობას, შესაბამისად, მთავარ გამგეობას უჭირდა ყველა პრობლემასა თუ საკითხზე დროული რეაგირება; რამაც აუცილებელი გახდა შექმნილიყო ცენტრს დაქვემდებარებული ადგილობრივი განყოფილებები.

ქ. შ. ნ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების გადაწყვეტილებით 1909 წლის 22 თებერვალს დაარსდა ბათუმის ადგილობრივი განყოფილება [1070, ფურც. 9-11] – „...ამისათვის აქ უნდა გაიხსნას წერა კითხვის საზოგადოების განყოფილება, რომელიც განაგებს სკოლის ეკონომიურ მხარეს: არკვევს შამოსავალ-გასავალს, ირჩევს სამზრუნველოს წევრებს, სარევიზიო კომისიას, აგენტებს და სხვა. სკოლის პედაგოგიური მხარე კი სავსებით გამგეობის ხელმძღვანელობაში იქნება“ [1070, ფურც. 1]. ამრიგად, განყოფილების მთავარ მიზანს ბათუმის ქართული სკოლის ბიუჯეტისა და მასთან დაკავშირებული საკითხების უკეთ მართვა წარმოადგენდა.

ბათუმის განყოფილების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გიორგი დურმიშხანის ძე ყურული. საუბრის გაგრძელებამდე უნდა აღინიშნოს, რომ განყოფილებას, მისი არსებობის მანძილზე 3 თავმჯდომარე ხელმძღვანელობდა. კერძოდ: გ. ყუ-

რული (1909-1911 წ. წ.), ე. მ. კრინიციკი (1911-1913 წ. წ.), გ. ლ. ელიავა (1913 წლიდან განყოფილების გაუქმებამდე).

დაარსების დროისათვის განყოფილების ნამდვილ წევრთა რაოდენობა 39 კაცს შეადგენდა. წლის ბოლოსთვის კი მათი რიცხვი 131 კაცს გაუტოლდა. განყოფილებაში ამოქმედდა 4 კომისია: 1) საპედაგოგო – კურირებას უწევდა ბათუმის ქართული სკოლას, 2) საფინანსო – პასუხისმგებელი იყო ფინანსების მოზიდვასა და მის ხარჯვაზე, 3) საბიბლიოთეკო – ევალებოდა ბათუმის ოლქში სამკითხველოებისა და ბიბლიოთეკების გახსნა და მასზე მზრუნველობა და 4) თეატრალური – ორგანიზებას უწევდა საზოგადოების ეგიდით ჩატარებულ საჯარო ლექციებს, თეატრალურ წარმოდგენებს, საქველმოქმედო საღამოებს და ა. შ. [1070, ფურც. 11]. საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ კომისიების საქმიანობა 1911 წლამდე გაგრძელებულა. 1911 წლისათვის ბათუმის განყოფილებაში არცერთი კომისია აღარ ფუნქციონირებდა [1070, ფურც. 45].

საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ შემოსავლის წყაროს საწევრო გადასახადი წარმოადგენდა. ა. გ. ბათუმის განყოფილება აქტიურად მუშაობდა საზოგადოების წევრთა რაოდენობის გაზრდაზე. დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ბათუმის განყოფილების წევრთა რაოდენობა ყოველწლიურად იმატებს: 1909 წელს – 131, 1910 წელს – 161, 1911 წელი – 163, 1912 წელს – 257, 1913 წელს – 336 წევრი [1070, ფურც. 11, 45, 62, 88].

პირველი მსოფლიო ომის დაწყების გამო, რეგიონში საკმაოდ მძიმე ეკონომიკური კრიზისია, რაც ბუნებრივია ბათუმის განყოფილების წევრთა რაოდენობასა და განყოფილების ფინანსურ მდგომარეობაზეც აისახა. 1914 წელს წევრთა რაოდენობა 203 კაცამდე შემცირებულა. განყოფილება სერიოზულ ფინანსურ კრიზისს განიცდის. ომის დაწყებისთანავე, რეგიონში ყველა სახელმწიფო თუ კერძო სკოლა (მათ შორის საზოგადოების მიერ დაარსებული) დაიხურა [1070, ფურც. 100]. ადგილობრივი ხელისუფლების ბრძანებით,

სკოლის შენობაში ლაზარეთი ყოფილა განთავსებული [1465, ფურც. 19].

1915 წლიდან ომის დაწყებით გამონვეული პანიკა ჩაცხრა და საზოგადოებრივი ცხოვრებაც ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდა. შესაბამისად, 1915 წლის 15 სექტემბერს ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის პირველმა ქართულმა სკოლამ სწავლება განაახლა. სკოლაში გამოცხადებულია 46 მოწაფე, მათგან: 24 ვაჟი და 22 ქალია. ეროვნების მხრივ – 44 ქართველი, 1 რუსი და 1 პოლონელი. აღმსარებლობის მხრივ – 38 მართლმადიდებელი და 8 მაჰმადიანი მოსწავლე (მაჰმადიანთა შორის 3 ვაჟია, ხოლო 5 ქალი) [1465, ფურც. 14].

დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ბათუმის განყოფილების ფინანსური მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. ამას ემატება ისიც, რომ სკოლის შენობაში კვლავ ლაზარეთია განთავსებული. ეს გარემოებები გაუთვალისწინებია თბილისის მთავარ გამგეობას და სკოლის ხელახლა გახსნისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო თანხები (სკოლის შენობის ქირა, მასწავლებელთა ხელფასი და ა. შ.) თავად გაუღია [1465, ფურც. 26-27].

მიუხედავად თბილისის მთავარი გამგეობის ძალისხმევისა, ბათუმის ქართულ სკოლაში სწავლება მხოლოდ ორ, პირველ და მეორე განყოფილებაში განახლებულა. ამის მიზეზად კი საკუთარი შენობის არასებობა და დაქირავებული შენობის (მისამართი: ელექტრონის ქუჩა N 5) მცირე ფართი სახელდებოდა [1465, ფურც. 26-27].

რეგიონში პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის მეტ-ნაკლებად გაუმჯობესება აისახა ბათუმის განყოფილების, როგორც ფინანსური, ასევე განყოფილების წევრთა რაოდენობის ზრდით. 1915 წლის ბოლოსათვის განყოფილების ნამდვილ წევრთა რაოდენობა 224 კაცს შეადგენდა [1588, ფურც. 4]. 1916 წელს ბათუმის სკოლის ორივე განყოფილებაში მოსწავლეთა რაოდენობა გაზრდილია. კერძოდ: I განყოფილებაში 48 მოწაფეა, მათგან 30 ვაჟია (2 მაჰმადიანი) და 18 ქალი (5 მაჰმადიანი). II განყოფილებაში კი 28 მოწაფეა: 17

ვაჟი (2 მაჰმადიანი) და 11 ქალი (4 მაჰმადიანი). ორივე განყოფილებაში, მოსწავლეთა საერთო ჯამი 76-ია, მათგან 47 ვაჟი (4 მაჰმადიანი) და 29 ქალი (9 მაჰმადიანი) [1588, ფ. 8-9]. ბათუმის სკოლის (და თავად ბათუმის განყოფილების) რევიზორი დავით კარიჭაშვილი დადებითად აფასებს როგორც სკოლის მდგომარეობას, აგრეთვე თავად ბათუმის განყოფილების საქმიანობასაც [1588, ფ. 8-9]. 1916 წლისათვის ბათუმის განყოფილებაში 655 ნამდვილი წევრია [1588, ფ. 11-21].

1919 წლის 6 იანვრის სხდომის (თავმჯდომარე გრიგოლ ელიავა) ოქმის მიხედვის ჩანს, რომ ბათუმის ქართული სკოლის შენობა (რეკვიზიციის საშუალებით) გადასულა ქალაქის თვითმმართველობის ხელში, რადგან შენობაში საავადმყოფო უნდა მოთავსებულიყო. ქალაქის თვითმმართველობას სკოლისათვის ცალკე შენობა დაუქირავებია. სკოლის კუთვნილ შენობაში მოთავსებული საავადმყოფო მალევე გადაუტანიათ ფოთში, რის შემდეგაც საზოგადოება შეეცადა შენობის უკან დაბრუნებას, მაგრამ ოსმალეთის მთავრობას მათთვის ნება არ დაურთავს და შენობა სანყობად გამოუყენებია. ეხლა კი, როდესაც ოსმალეთის მთავრობა ტოვებდა ბათუმს, გამგეობა შენობის უკან დაბრუნებისა და სწავლების განახლებისთვის მზაობას გამოთქვამდა [1718, ფურც. 17-18].

თუმცა, მოვლენები შემდგომში სხვაგვარად განვითარებულა, რასაც მოწმობს ბათუმის განყოფილების თავმჯდომარის გრიგოლ ელიავას მოხსენება (1920 წლის 15 აპრილი) თბილისის მთავარ გამგეობისადმი – *„1919 წლის იანვარი, ე. ი. ის დრო, როცა დაცემული ბათომიდან გასულმა ქართველობამ უკან დაბრუნება იწყო, იყო დრო გარდამავალი. პოლიტიკურ სფეროში დიდი ცვლილება ხდებოდა: ქრებოდა ოსმალეთის ბატონობა ბათომში. ბათომიდან თათრის ჯარი გადიოდა, მის ადგილს ინგლისის მხედრობა იჭერდა. ამ უკანასკნელთ მიმავალ ასკერთა ნადგომი ბინები დაიკავეს. ჩვენი სკოლის შენობას, როგორც თათრების ნადგომ ბინას, ინგლისის მთავრობა დაეპატრონა. გამგეობის მიერ ნაღონები ყოველგვარი ღონე, რომ შენობა, როგორც ჩვენი კუთვნილება, ჩვენვე ჩავგვარებოდა, ქალაქის ახალ ბატონ-პატრონის*

წინაშე უშედეგო გამოდგა. ამათ, ჩვეულებისამებრი გარკვეული პასუხიც კი არ მოიღეს. გამგეობა ამის გამო იძულებული გახდა კერძო ბინა გამოეძებნა. ასეთი ბინა აღმოჩნდა (ელექტრონის ქუჩა, საბახტარიშვილის სახლი) და 28 თებერვალს განახლდა ქართული სკოლა I და II განყოფილებით. მონაფეთა რიცხვმა ადრე გადააჭარბა საკმაოს.

მარტი დალეული იყო რომ ინგლისელებმა სკოლის შენობა დასცალეს. სკოლაც დაუყონებლივ საკუთარ ბინაზე გადმობარგდა მაგრამ ამ ხანათ მას ახალი დაბრკოლება გადაელობა. -ადგილობრივმა ქართველთა ეროვნულმა საბჭომ, დრო და გარემოების მიხედვით, მიუცვილებელ საჭიროთ სცნო ბათომში ქართული გიმნაზია გაეხსნა. ბათომის მბრძანებელნი, რალაც მოსაზრებით ქართველების ასეთ სურვილს მკაცრად წინააღუდგენ. მათ საბჭოს ასეთი მისწრაფების ხელის შესაშლელათ სხვა რომ ვერა გაანყვეს, ქართულ გიმნაზიას არც ერთი საგიმნაზიო ბინა, რომელიც აქ არა ერთი და ორია, არ დაუთმეს; ხოლო ასეთი ბინა კერძო მთელ ბათომში არ აღმოჩნდა. მეტი ღონე აღარ იყო ქართველობამ ისევ ჩვენი სკოლის შენობას მოჰმართა, რაზედაც გამგეობამ უარი ვერ უთხრა. ამიტომაც ჩვენი სკოლის ის ორი (I და II) განყოფილება, დღეში ორ რიგათ სამეცადინოთ, საკუთარი შენობის ერთ კლასში მოათავსა. დანარჩენი ბინები სკოლისა გიმნაზიას დაუთმო. აი, ასეთ ხელშეშლილ პირობებში დავამთავრეთ წელიწადი (მაისი).

სრულიად დაიმედოვნებული იმაში, რომ სკოლა მოკლე ხანში, ე. ი. პირველ სექტემბერს, დაიბრუნებდა თავის კუთვნილ შენობას და სწავლის დაწყება ნორმალურ პირობებში მოგვიხდებოდა, წლის დამდეგს ახალი მონაფეთები მივიღეთ. ახლა სამი განყოფილება გაგვიხდა მასწავლებელთა საჭირო რიცხვით (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სექტემბერში სკოლაში შემომსვლელთა მსურველის მხოლოდ ნახევარი რიცხვი იქმნა მიღებულთ). ახლაც გიმნაზიის საკითხი დაუპირდაპირდა სკოლას: ინგლისის მთავრობა დღითი დღე ჰპირდებოდა ქართველების ეროვნულ საბჭოს, საგიმნაზიო ბინის მიცემას. ჩვენი სკოლის ბედიც ამ დაპირებაზე იყო დამოკიდებული. დანაპირის მოლოდინში გამგეობამ ორი კლასი დროებით კერძოსა და ცოტა უხერხულ ბინაზე მოათავსა, ისიც დილა-

სალამოთი სამეცადინოთ, ხოლო ერთი კლასი კი ისევ სკოლის შენობაში დარჩა, ისიც ნასადილეობით სამეცადინოთ. გამგეობას ზნეობრივი ვალი ავალებდა გიმნაზიისათვის ხელი შეეწყოს, თუნდაც ამას სკოლისათვის ცოტა ზიანიც მიეყენებია.

ინგლისელებმა თავისებური დაპირებით ჩვენი ეროვნული საბჭო იანვრის დამლევამდის დაპირებით მიიყვანა, ხოლო მაშინ ბინის მიცემაზე გადაჭრილი უარი უთხრა. გამგეობაც ამ რიგათ დარჩა, ასე რომ ვსთქვათ, მოტყუებულნი. ამის მიზეზია, რომ ჩვენი სკოლა დღესაც იმ პირობებშია, როგორმე იმ დღეც ის სექტემბერში იყო, ე. ი. ორი კლასი კერძოსა და უხერხულს ბინაზე სწავლობს დილა-სალამოთი და ერთი კი სკოლის შენობაში ნასადილეობით.

სკოლის სამ განყოფილებაში ამ ჟამათ 172 მოწაფეა ორთავე სქესისა. ასწავლის სამი მასწავლებელი: ალექსანდრე მგელაძე (გამგე), ელპიდა მგელაძისა და ქეთევან ხომერიკი. სკოლის თვიური ხარჯი ოცდათუთხმეტ ათას მანათამდის ადის ამ ჟამად.

რაც შეეხება გამგეობის ნივთიერ მდგომარეობას ამ ჟამად ქართველების ეროვნული საბჭო და ჩვენი გამგეობა შეთანხმებით მოქმედებენ და თანხაც გამოყოფილი არ არის. სკოლას მდიდარი მოწყობილებისაგან თათრების შემოსევის შემდეგ მხოლოდ მცირედი ნაწილი საკლასო მებელისა დარჩა. მდიდარი ბიბლიოთეკა, რომლითაც ჩვენი სკოლა დიდათ განირჩეოდა სხვა სკოლებისაგან, ოსმალთა მიერ თითქმის სრულიად განადგურდებულა. გადარჩენილია მხოლოდ 150 ცალამდის წიგნაკები. შენობა შეძველებულია და რემონტი ესაჭიროება.

გამგეობა დახმარებას უწევს ორ წგ. – სამკითხველოს, – ბარცხანისას და მეოთხე უბნისას.

მომავალ სასწავლო წლის დასაწყისიდან გამგეობა სკოლის ცხოვრებაში დიდი ცვლილების შეტანას ეპირება; მან თავის უკანასკნელ სხდომაზე – 2 აპრილს ამა წლისა, დაადგინა: არსებული ქართული სკოლა ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების ბათომში, მომავალ ენკენისთვიდან გადაკეთებულ იქმნას დაწყებით უმაღლეს სასწავლებლად. გამგეობა ამ შემთხვევაში შემდეგის მოსაზრებით ხელმძღვანელობდა: 1) ამ საშვა-

ლებით გაძლიერდება ჩვენი კულტურული მუშაობა სამუს-ლიმანო საქართველოს ცენტრ ბათომში, რითაც ვიმნაზიაში შემსვლელ მუსლიმან ქართველთა მოზარდ თაობას დიდი დახმარება გაეწევა. 2) გარდა იმისა, რომ მომავალი სკოლისათვის შენობაც შესაფერია, ის საგრძნობი თანხა, რომელიც დღევანდელ სკოლაზედ იხარჯება, უმაღლეს სკოლას, ე. ი. ვიმნაზიის დაბალ კლასებს მოხმარდება. არსებული სკოლის გადაკეთებით ქართველებს არ ეკარგება სამვალეება დედანაზე სწავლისა, ვინაიდან ქალაქს აქვს და ვალდებულია შემდეგშია იქონიოს ამგვარივე ქართული სკოლა (პირველ-დანწყებითი).

ბათომის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მთავარ გამგეობას, რამდენათაც შესაძლებელია, ადრე გააგებინოს მას ამის შესახებ თავისი მოსაზრება“ [1718, ფურც. 21-22].

1920 წელს ბათუმის ქართული პირველი დანწყებითი სკოლა უკვე მზად იყო გადაეკეთებინათ უმაღლეს დანწყებით სკოლად [1588, ფურც. 23].

დანართი დოკუმენტები:

დანართი 1: ბათუმის სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა 1881 წლის 8 მაისისთვის (ალექსანდრე ნანეიშვილის წერილი)

დანართი 2: ბათუმის საერო სკოლის 1882-1883 აკადემიური წლის გაკვეთილები (მოსე ნათაძის წერილი)

დანართი 3: ბათუმის ქართველ მაჰმადიანთა წერილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარ გამგეობას თავიანთი შვილების ბათუმის საერო სკოლაში მიბარების შესახებ. 1882 წლის 11 ნოემბერი

დანართი 4: იაკობ გოგებაშვილის მოხსენება ბათუმის სკოლის რევიზიის შესახებ, 1898 წლის 15 ივნისი.

დანართი 5: ქრისტეფორე ციციქიშვილის (1893 წლის 17 დეკემბერი) და ისიდორე რამიშვილის (1893 წლის 29 აპრილი) თხოვნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას ბათუმის სკოლის მასწავლებლად დანიშვნის შესახებ.

დანართი 6: ბათუმის სკოლის ანგარიში

დანართი 7: ზაქარია ჭიჭინაძის მოხსენება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას აჭარის რეგიონში წიგნების გავრცელების შესახებ, 1894 წლის 7 ივნისი.

დანართი 8: აჭარის რეგიონის სოფლების მოსახლების თხოვნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას სოფელ ზედა მარადიდში სამკითხველოს გახსნის შესახებ

დანართი 9: სია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ადგილობრივი (ბათუმის) განყოფილებისა, 1909 წლის 22 თებერვალი.

დანართი 10: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის დავით კარიჭაშვილის წერილი ბათუმის განყოფილების თავმჯდომარის გრიგოლ ელიავასადმი ბათუმის სკოლის ქალაქის გამგეობის ხელში გადასვლის შესახებ, 1920 წლის 11 ნოემბერი.

ქართული საზოგადოების გამგეობის აქტი

1894 წლის ივნისი

1894 წლის ივნისი

1894 წლის ივნისი

№	სახელი	მამა	მამის	მამის	მამის	მამის	მამის
1.	საბა	საბა	საბა	საბა	საბა	საბა	საბა
2.	ქაჯა	1.	2.	1.	3.	2.	"
3.	ახი	"	1.	2.	"	1.	2.
4.	საბა	2.	"	"	2.	"	1.
5.	თაბა	3.	4.	4.	4.	"	4.
6.	ქაჯა	"	3.	"	1.	4.	"
7.	საბა	"	"	3.	"	"	"
8.	საბა	4.	"	"	"	"	"

ბათუმის სკოლის 1882-1883 აკადემიური წლის გაცემული
საქა, ფონდი 481, ანაწერი 1, ს. 33

გამოყენებული დოკუმენტების ნუსხა:

ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდი (საარქივო N 481)

1. სცა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 2
2. სცა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 33
3. სცა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 354
4. სცა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 398
5. სცა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 471
6. სცა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 580
7. სცა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 635
8. სცა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 702
9. სცა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 746
10. სცა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 750
11. სცა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 863
12. სცა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 908
13. სცა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1023
14. სცა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1070
15. სცა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1465
16. სცა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1588
17. სცა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1718
18. სცა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1790

Saba Saluashvili

Julia Benidze

*Society for spreading literacy among Georgians in Ajaria
The materials of establishment of Georgian school and department
(According to documents in historical central archive of
Georgia)*

1879 year is a significant date in history of XIX century of Georgia, as it is related to establishment of Society for spreading literacy among Georgians, the main goal of which was

accessibility to education, arousing of national self awareness in nation and neutralizing of active assimilation policy carried out by Russian empire in Georgia that was a part of Russian empire (and for Georgians residing out of it) .

As you know, after the last war of Russia-Ottoman Turkey in 1877-1878 years, region of Batumi with other territories became a part of Russian empire. Society for spreading literacy among Georgians and Georgian public figures knew well if how important it was to arouse national self awareness in a region that was separated during 300 years, active activity started here for the purpose of spreading of Georgian language and education in newly-incorporated region. Public figures, who worked in Ajaria, knew well if how difficult it should be to gradually revive awareness, that was “lost“ during three centuries and how important and necessary it was to carry out safe and analyzed policy in language and religion different environment.

Fund of Society for spreading literacy among Georgians in kept in historical central archive of National Archive of Georgia (Archival N481). According to documentary material, school was founded in 1881 year in Batumi, and local department –in 1909 year. Archival materials clearly represent this active educational activity of local department and Georgian public figures that was made in this region before liquidation of this department.

ტრადიციების კვალდაკვალ

XXI საუკუნის მსოფლიოს წინაშე მრავალი პრობლემა დგას. საერთო გლობალიზაციას მოყვება ეროვნული ტრადიციების გაქრობის ქვეცნობიერი საფრთხე. საქართველოც, ისევე როგორც ბევრი სხვა ქვეყანა, ჩართულია მსოფლიოს წინაშე დამდგარი ახალი მოთხოვნილებებისა და ცვლილებების წინაშე. რა თქმა უნდა, ჩვენ არ უნდა გამოვეყოთ მსოფლიო განვითარებას, მაგრამ არც ჩვენი ფესვები უნდა დავივიწყოთ.

ქვეყნის ისტორია, წარსული, რწმენა–წარმოდგენები, ტრადიციები, წეს–ჩვეულებები – ერთადაა თავმოყრილი ქართულ ფოლკლორსა და ეთნოგრაფიაში. მათი გაცნობითა და შესწავლით უფრო ცხადად შევიგრძნობთ სამშობლოს სიყვარულს, პატრიოტიზმს; შევლძებთ ფაქტებისა და მოვლენების სწორად გაანალიზებას; რადგან წარსულის გარეშე მომავალი არ არსებობს.

2013 წლიდან ვმუშაობ აჭარის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში ფოლკლორისტიკის (როგორც მეცნიერული დარგის) შემსწავლელი წრის ხელმძღვანელად და ტურიზმისა და მხარეთმცოდნეობის განყოფილების კოორდინატორად; რამაც მომცა საშუალება აქტიურად მემოგზაურა და ჩემს მოსწავლეებთან ერთად და მომეწყო მრავალი სასწავლო–შემეცნებითი, საკვლევადიებო ექსპედიცია ჩვენი ქვეყნის ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ.

ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ისტორიული აჭარის მკვიდრთა ყოფა–ცხოვრებამ, წეს–ჩვეულებებმა, ტრადიციებმა. უპირველესად შევისწავლე აჭარის მაღალმთიანეთი, საველე მუშაობისას შევაგროვე მასალები; ვესწრებოდი ფოლკლორულ–ეთნოგრაფიულ ფესტივალებს; მოგვიანებით კი თავად ჩავუდექი სათავეში ფოლკლორულ–ეთნოგრაფიული სადამოების ორგანიზებასა და ჩატარებას.

საკვლევადიებო ექსპედიციის ფარგლებში ორჯერ ვიმოგზაურე თურქეთის რესპუბლიკაში (ართვინისა და ინეგოლის მიმდებარე ქართული სოფლები) და გავეცანი მუჰაჯირი

ქართველების ყოფა-ცხოვრებას.

ჩემი მიზანი იყო, გავცნობოდი მათ დღევანდელ ყოფას, წეს-ჩვეულებებს, რათა გამეკეთებინა პარალელები ჩვენი ქვეყნის ფარგლებში და ფარგელს გარეთ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მკვიდრთა, კერძოდ ისტორიული აჭარის მცხოვრებთა შესახებ.

თურქეთის რესპუბლიკაში ქართველები კომპაქტურად ცხოვრობენ, საცხოვრებელი ადგილები გაშენებული აქვთ მდინარის პირას შეფერდებულ მთებში; დასახლების ტიპებს შორის განსხვავება თითქმის არაა, თითქოს საქართველოს რომელიმე სოფელში იმყოფებოდე.



საცხოვრებელი სახლები, ძირითადად, ორსართულიანი ქვის კაპიტალური ნაგებობებია, რომლის საკარმიდამო ეზოში აუცილებლადაა დამხმარე ნაგებობა – ნალია. წლების წინ საცხოვრებელი სახლები ხისგან ყოფილა აგებული, რომელიც დღეს უკვე თანამედროვე არქიტექტურით აგებულმა კაპიტალურმა შენობებმა შეცვალა.





დროთა ცვლას გაუძლო და თავისი პირვანდელი ფუნქცია შეინარჩუნა ოჯახის დოვლათის მაჩვენებელმა ნაგებობამ – ნალიამ. ის დღესაც აქტიურად გამოიყენება და შემოდგომის ნობათით დატვირთულია. ნალია თავისი აგებულებით ტიპური ქართული ნალიის ანალოგია. მხოლოდ სოფელ ზედა მაჭახელაში მოგზაურობისას შეგვხვდა განსხვავებული – ორსართულიანი ნალია, რომლის ანალოგი არსად გვინახავს.



ქართველი ერი მინათმოქმედი ხალხია და მინის სიყვარულს არსად ივინყებს. მინათმოქმედების დარგებიდან ძირითადად გავნითარებულია მევენახეობა, მესიმინდეობა, მეკარტოფილეობა, ბოსტნეულის კულტურები. სამწუხაროა, რომ დროთა ვითარებამ ვერ შემოინახა შრომის სიმღერების აქტუალობა; რაც ასევე საქართველოშიცაა პრობლემა.





მინათმოქმედების თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ ხელი ვერ შეუშალა სამეურნეო დანიშნულების ნივთების გამოყენებას. რაც შეეხება, საყოფაცხოვრებო ნივთებს, ისევე როგორც საქართველოში, თურქეთში მცხოვრებ ქართველებთანაც ნელ-ნელა სამუზეუმო ექსპონატის დანიშნულებას ღებულობენ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყოველ ნივთს დიდი რუდუნებით უვლიან და ინახავენ.





ქართული ტრადიციული სამზარეულოდან გამორჩეულად იგრძნობა აჭარული კერძებისადმი ნოსტალგია. რა თქმა უნდა, ადგილობრივმა სამზარეულომ თავისი გავლენა იქონია სხვა ქვეყანაში მცხოვრებ ქართველებში, მაგრამ კეცზე შემწვარ მჭადსა და ფხალობიოს მომზადების წესის მოყოლისას, თითქოს წარსულში ბრუნდებიან, წინაპრებს უბრუნდებიან, გგონია სამშობლოსაც უფრო უახლოვდებიან; რადგან ეს ყველაფერი ნენეის ახსენებთ. ნენე კი მათთვის ტკბილი მოგონებაა და ამავე დროს ტკივილიანიც.

ქართველი ერი სტუმართმოყვარე ხალხია. ის ამ უძვირფასეს ტრადიციას ყველგან უფრთხილდება, სადაც არ უნდა იყოს. სოფლის უხუცესები იგონებენ, რომ ადრე სახლებს განსაკუთრებული ოთახი – სტუმრის ოთახი, იგივე „მეიდან ოდა“ ჰქონია. ის ნებისმიერი გამვლელისთვის მუდამ მზად იყო. დღევანდელ სახლებს „მეიდან ოდა“ აღარ აქვთ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათ სტუმართმოყვარეობას უღალატეს. პირიქით სტუმარი ღვთისაა და სახლში, თავის გვერდით ღებულობენ. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო სოფელი მურათბეი. ჩვენმა მასპინძელმა ოჯახმა თანასოფლელებს გააგებინა ჩვენებურები, ქართველები არიან ჩამოსულიო. ალბათ, სოფელში არავინ დარჩენილა ჩვენთან მოუსვლელი, ყველას უნდოდა ქართული სიტყვის გაგონება, ქართველების დანახვა და მათ გვერდით ყოფნა. ჩვენი მასპინძეები კი

ყველა სტუმარს სათანადოდ ღებულობდა და ერთი ადამიანიც არ გაუშვია ვახშმის გარეშე.





თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრემ მუჰაჯირთა ყველაზე დიდი გულისტკივილი ქართული ენის სათანადოდ არცოდნაა. მათ უჭირთ ქართულად წერა და კითხვა. ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები თანდათან ტოვებენ სოფლებს, გადადიან საცხოვრებლად დიდ ქალაქებში. მეგაპოლისებს კი თავისი კანონები აქვს და მასთან შეჭიდება რთულია. ჩვენი ერთერთი რესპოდენტი დიდი გულისტკივილით იხსენებს თავის ბავშვობას – ოჯახში ქართულად საუბრობდნენ, სკოლაში შესულს მასწავლებელმა აუკრძალა მშობლიურ ენაზე ლაპარაკი და უთხრა რომ ქართულად საუბარი დანაშაული იყო. ასე იზრდებოდნენ. მაგრამ დროთა განმავლობაში შეიცვლა მდგომარეობა. „ჭკვაში რომ მოვდენ“, მიხვდენენ ვინ იყვნენ, საიდან და ვისი გორისანი. თავიდან დაიწყეს მშობლიური ენის შესწავლა. ცდილობენ ქართულად წერა-კითხვაც დაეუფლონ. საკმაოდ მიზანდასახულნი და მიზანსწაფნი არიან და ახერხებენ კიდევ. მათთვის ყველაზე დიდი საჩუქარი „დედა ენა“-ა. ქართული სახელები დაირქვეს და ერთმანეთს მხოლოდ ასე მიმართავენ, ოჯახში ქართულად საუბარს დაუბრუნდნენ. აქვე აუცულებლად უნდა აღვნიშნოთ ის სასიხარული ფაქტი, რაც ქართველებმა ძალიან დიდი ძალისხმევის შედეგად მიიღეს – დღეს უკვე ქართული ენის შესწავლა თურქეთის რესპუბლიკაში ოფიციალურად ნებადართულია. ადგილობრივ სკოლებში იკრიბებიან მშობლიურ სიყვავს მონატრებული „მუჰაჯირები“ და სამშობლოს იქედან ასე ეფერებიან – ინახავენ ყველაზე ძვირფასს – ქართულ ენას.





განსაკუთრებული სიყვარულით იხსენებენ თამარ მეფეს – იქაც ყველა თაღოვან ხიდს „თამარას ხიდს“ ეძახიან. ლეგენდებიც ახსოვთ დიდებულ მეფეზე და თამარ მეფის საფლავს იქაც ეძებენ.



თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ ქართველებს არც ქართული ცეკვა და სიმღერა დაეინყნიათ, არც ქართული

ხალხური საკრავები. ჩვენი მოგზაურობის დროს რამდენიმე მათგანი დავაფიქსირეთ. ქართული ფოლკლორიდან მხოლოდ აჭარულისთვის დამახასიათებელი ცეკვა–სიმღერაა შემორჩენილი. „ჯინველო“ ყველამ იცის, დიდმა თუ პატარამ. ცეკვებიდან გამოირჩვა ხორუმი. თუმცა ეს არაა ჩვენთან არსებული „ხორუმი“–ს ზუსტი ანალოგი. სასცენო ვარიანტი „ხორუმისა“ დამუშავებული და ერთიანობაში შეკრული ცეკვაა. თურქეთში კი მისი რამდენიმე სახეობა გვხვდება „დელი ხორუმი“, „გადახვეული ხორუმი“ და ა.შ. ცეკვას თან ახლავს ბრძოლის ყიჟინის შემოძახილიც. „ხორუმი“ ხომ საბრძოლო ცეკვაა, მტერზე გამარჯვების ზეიმია და ალბათ ამანაც განაპირობა ამ ცეკვის ასეთი პოპულარობა. ძველი დიდების მოსაგონრად მას ყველა ზეიმზე ასრულებენ. სევდანარევი სიხარულის მომნიჭებელია მათი ყურება – ერთ დაძახებაზე შეიკრიბებიან ქართველები და ჩააბამენ ფერხულს; თითქოს წარსულს უბრუნდებიან, ისევ მამაც მეზრძოლებად იქცევიან და მომავლის იმედით გულანთებულნი ერთმანეთს შეძახილებით ამხნევენ.





განსაკუთრებით ემზადებიან ქართველები „მარიობის-თვის“ – სახალხო დღესასწაულისათვის. „მარიობა“ თავისი მნიშვნელობით ახლოსაა აჭარულ ტრადიციულ სახალხო დღესასწაულთან „შუამთობა“. ორივე ზაფხულში იმართება, ორივეგანაა დოლი, ჭიდაობა, ცეკვა-სიმღერა, უკრავენ დოლსა და გარმონზე, ჭიბონზე; მღერიან ქართულ ხალხურ სიმღერებს; ანთებენ დიდ კოცონს და ერთ დიდ ოჯახად გარეთიანებულნი შემოუსხდებიან ირგვლივ.

თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ ქართველთა ყოფა-ცხოვრება მეტ-ნაკლებად ერთმანეთისაგან განსხვავდება. საზღვრისპირა სოფლებში კულტურულ-საგანმანათლებლო დანესებულებები შედარებით ნაკლებადაა. „მუჰაჯირები“ ამ მხრივ პრივილეგირებულნი არიან. აქ მრავლად ნახავ ქართული კულტურის ცენტრებს, ცეკვისა და სიმღერის ანსამბლებს. მათ მეტი შესაძლებლობა აქვთ და ამას შესანიშნავად იყენებენ.



საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თურქეთში მცხოვრებ ქართველთა უმეტესობა აჭარის კუთხის შთამომავლები არიან. აქაც და იქაც ერთნაირი წეს-ჩვეულებები აქვთ, ერთნაირად სცემენ პატივს უფროსს, ოჯახს და სამშობლოს. საცხოვრებელი ადგილებიც თითქოს ერთნაირი

აქვთ, მათთვის ერთია ამ დიდი კუთხის გულისტკივილი, მრავალსაუკუნოვანი საზღვრისპირა ცხოვრება. ისინი დღესაც ინარჩუნებენ ტრადიციებს და მათ კვალდაკვალ მიდიან.

ჩვენაც ვცდილობთ არ დავივიწყოთ ჩვენი წარსული, მისი დიდება და შევინარჩუნოთ მისგან საუკეთესო, ეროვნული ღირებულებები. ამ მიზნით აჭარის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში მეოთხედ ვატარებთ საოჯახო და ინდივიდუალური შემსრულებლების ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ ფესტივალს „ტრადიციების კვალდაკვალ“. ჩემთვის ძალზე სასიხარულოა, რომ მასში ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართულნი. აგროვებენ სოფლად შემორჩენილ „მარგალიტებს“ და ჩვენამდე დიდი სიფრთხილით მოაქვთ.





Maia Japharidze

In the footsteps of traditions
Summary

The article presents the personal impressions of the authors, which were created during the trip together with the students of different parts of Georgia and Turkey in Georgia.

ნათია კალანდაძე

მიცვალებულის დაკრძალვა ზემო გურიასში (საბჭოთა ეპოქა)

გურული ფოლკლორული ტრადიციები და ადათ-წესები გამორჩეულია თავისი სიძველითა და მრავალფეროვნებით. იგი მეცნიერთა მიერ ჯეროვნად არის შესწავლილი და გამოვლენილი. ამ მხრივ, თუნდაც აპოლონ ნულაძის დამსახურების აღნიშვნა რად ღირს. მაინც, უნდა ითქვას, რომ ისტორიული ჩვეულება-ტრადიციები ისევე ცოცხალი და ცვალებადია, როგორც თავად ცხოვრება. იცვლება საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები, მიდის ერთი, ადგილს უთმობს ახალს, განსხვავებულს ღირებულებათა სისტემისა თუ მსოფლმხედველობითი თვალსზრისით, რის შესაბამისადაც განმტკიცებულ ჩვევა-შეხედულებებს საფუძველი ერყვია, ზოგჯერ ბუნებრივად, ზოგჯერ ძალდატანებითად და საბოლოოდ, ახალ, ძველისგან სავსებით განსხვავებული სახით იმკვიდრებს თავს.

ამჯერად ჩვენი თემა გურიას ეხება, უნდა ვთქვათ, რომ მასალა გურიის კულტურული ცხოვრების შესახებ არცთუ მცირედი რაოდენობით მოინახება საქართველოს სხვადასხვა სიძველეთსაცავებში, გურიის მკვიდრთა ოჯახებში, გურულთა მესხიერებაში, მათ მეტყველებაში, გურიის ბუნების ნიაღში და სხვა რიგის მონაცემებში (ა. ნულაძე; 1971;37).

მოგეხსენებათ გურულების ემოციური მიმართება არამხოლოდ ცხოვრებისადმი, არამედ მისი აღმზრდელი გარემობუნებისადმიც. მათი ეს მგრძნობელობა ცხოვრების ნებისმიერ ფაქტში იჩენს თავს, განსაკუთრებულად ცხადია, ჭირსა და ლხინში ვლინდება – დაწყებული „გამთენიეს ქორწილი“-ისთვის ყველა რიტუალის პუნქტუალური სიზუსტით დაცვით, დღიდან გოგოსა და ბიჭის ურთიერთგაცნობისა, ვიდრე პატარძლის უკვე მიმავალი მაყრების ეზოდან გადასასვლელ ჭიშკარზე „სტოლის მიდგამამდე“, დასრულებული ადამიანის სამუდამო განსასვენებელში დაბინავების რიტუალით.

გურიაში მიცვალებულის დაკრძალვისა და მისი გლოვის წესები შემდეგი თანმიმდევრობით წარმოგვიდგება: 1. გარ-

დაცვალება, 2. შეცხადება და მეზობელ-ნათესავეების შეტყობინება, ქელეხისთვის მზადება, 4. სამძიმარი და დატირება, 5. დაკრძალვა, ქელეხი, გლოვა და მიცვალებულის მოსაგონარი დღეები (ნ. ქაჯაია; 1981;156).

დატირება გურიაში ამ კუთხის მცხოვრებთა გონიერების, მჭევრმეტყველების, მოთმინების, მაღალი კულტურის გამოვლინება იყო. მომტირალ-მომთქმელი წყობილსიტყვაობით იწყებდა, ყვებოდა გარდაცვლილის ცხოვრების დადებით დეტალებს, ატირებდა ირგვლივ მყოფთ, თავის თავსაც „შემოუძახებდა“, რადგან გარდაცვლილს უფრო ჭირდებოდა მოვლა და პატრონობა.

გურიაში მიცვალებულის გაპატიოსნებასა და გაცილებას დიდი ტრადიციები ჰქონდა. მიცვალებულს ოჯახი მეხუთე-მეშვიდე დღეს ასაფლავებდა. ამბობდნენ: „შეაკვდა ამ ოჯახის შენებას და იყოს პატარა ხანი“. გარდაცვალებიდან აუცილებლად კენტი რიცხვი უნდა შესრულებულიყო დაკრძალვის დღეს. მიცვალებულს ბალზამს უკეთებდნენ, ან სპეციალურ საწოლის მსგავსს აკეთებდნენ და მას ყინულებს ადებდნენ, ისე რომ ნაღობ წყალს გამოსასვლელი ჰქონდა. ყინული ხშირ შემთხვევაში ბახმაროს მთებიდან ჩამოჰქონდათ, ნახერხიან ტომრებში აწყობდნენ კარგად რომ შენახულიყო, შემდეგ სამტრედიიდან ამოჰქონდათ, იქ სპეციალურად ამზადებდნენ.

თუ ასაკოვანის ან ლოგინად ჩავარდნილის სიკვდილის მოახლოებასთან გვაქვს საქმე, სოფელი საღამო ჟამს ავადმყოფის ეზო კარში იკრიბება. კითხულობენ საოჯახო საქმეების ამბავს და ეხმარებიან გარემოს მონესრიგებაში, გვიან ღამით იშლებიან. რჩება რამდენიმე ახლობელი დილაამდე, მათ „ღამის მათირები“ ჰქვია. ავადმყოფის გარდაცვალებას („სულის გაყრას“, „სულის ამოსვლას“) ოჯახის წევრებს არ ასწრებენ. ავადმყოფი თუ ძალიან „წვალობს“ და სული არ ეყრება, მას გულზე გარდაცვლილი ახლობელი ადამიანის სურათს დაადებენ და თხოვენ დაეხმაროს „სულის გაყრაში“ და იქ „ეპატრონოს“.

ამ რიტუალმა ჩაანაცვლა შემდეგი: მომაკვდავის სულ-თაბრძოლა თუ დიდხანს გასტანდა, ჭირისუფალი ღმერთს შესთხოვდა „მიიღე, უფალო, მისი სულიო“, მღვდელს მიუყ-

ვანდნენ. იგი „სალმრთო წიგნიდან“ „სულთა ბრძოლას“ წაიკითხავდა და შუამდგომლობდა ღვთის წინაშე ავადმყოფი ადრე გასცლოდა ამ წუთისსოფელს (ა. წულაძე; 1971;148).

ნ. ქაჯაია აღწერს: სულთამობრძავი ადამიანის შესამსუბუქებლად და სხეულიდან სულის მალე გაყრის მიზნით, სცოდნიათ სხვადასხვა საშუალებების გამოყენება, თუ კაცი იტანჯებოდა, მას სახლის გარეთ გამოიყვანდნენ და რაიმე სამეურნეო იარაღს მიუდებდნენ გვერდში, ყველაზე მეტად ხარის ულლის მიღება სცოდნიათ (ნ. ქაჯაია 1980,157).

იყო „გადაკვივლების“ შემთხვევები, მაგალითად, როცა ავადმყოფს გული შეუწუხდებოდა, ე.ი ცოტა ხნით კავშირს დაკარგავდა, კონტაქტს ვეღარ ამყარებდა ჭირისუფალთან, ისინი სახლის აივანზე გამოვიდოდნენ და კიოდნენ საშველად უხმობდნენ მეზობლებს, ამბობდნენ, ისე ცუდად იყო „გადეიკივლესო“ .

გარდაცვალებისას დამსწრეები მიცვალებულს თითონ აპატიოსნებდნენ, გამოხედავდნენ ოჯახის წევრებს, დაიკვივლეთო ეუბნებოდნენ. მიაღაგ-მოაღაგებდნენ ყველა კუთხე-კუნჭულს, ტელევიზორსა და სარკეს ჩამოაფარებდნენ (ტელევიზორსა და რადიოს წლის თავის შემდეგ ჩართავდნენ). „ზალაში“ შუა ოთახში დაასვენებდნენ მიცვალებულს, რომელსაც წინ იატაკზე დაულაგებდნენ ახლობელი გარდაცვლილების გადიდებულ სურათებს.

შემდეგ პირველი ნაბიჯი იყო შეცხადიება. ოჯახის წევრს თუ არ შეეძლო მალალ ხმაზე ეკივლა და კუთხე მეზობლებისთვის შეეტყობინებინა ოჯახის გაჭირვება, მეზობლის კარგად მოკივარი ქალი ჰყავდა შესახელებული ამ საქმის შესასრულებლად. თუკი შესახელებული ქალი არ ესწრებოდა გარდაცვალებას, მასთან ჩუმად უშვებდნენ მომკითხავს და ატყობინებდნენ ოჯახში მიცვალებულის ყოფნას. შემცხადიებელი მიდოდა და მთელი გულით კიოდა, ერთი სიტყვით, „დაამრგვალებდა კვილით იქოურობას“. მას სხვებიც ეხმარებოდნენ. შეცხადიება აუცილებელი იყო. თუ ვერ, ან არ, ან საშუალო სიმაღლის ხმით იცხადიებდნენ, ეს მერე სოფლის საქილიკო თემა ხდებოდა, შემცხადიებელს უწუნებდნენ მიცვალებულს. ჩქარი ნაბიჯით იწყებდნენ მეზობლები მისვლას სამძიმრის სათქმელად. ვინც თვლიდა, რომ მას მიცვალებულის შეცხადიება ევალეზოდა თავს არ ზოგავდა და

თმაგაშლილი კიოდა.

შეცხადიების ხმა შორს მიდიოდა, თითქმის მთელი სოფელი გაიგებდა, რომ ესა და ეს მეზობელი გარდაიცვალა და მეზობლური ვალის მოხდაა საჭირო და სავალდებულო, უნდა მოვიდეს და მიუმტკივნოს, სამძიმარი უთხრას--მიუსამძიმროს“(ა. ნულაძე; 1971; 151). ახლო მეზობლები ერთად იკრიბებიან და ჯგუფურად მიდიან სამძიმრის მოსახდელად.

გურულისათვის მეზობელი ყველაფერი იყო და მთელი სოფელი იმას ცდილობდა, ერთიმეორეში კარგი მეზობლობა ჰქონოდათ, სოფლის შენმატკიბილება და ჰარმონია არ დარღვეულიყო. თანხმობა, თვისება, ერთიმეორის გატანა მთელი სოფლის საზრუნავი გახლდათ. ავადმყოფს თუ სიცოცხლეში არ შეურიგდებოდა, მაშინ ტირილი და ჭირისუფლისთვის სამძიმრის გამოცხადება არ შეეძლო, სოფელი ჭირსა და ლხინში ერთსულოვნად უნდა ყოფილიყო, ერთიმეორის დანდობა და გატანა უნდა შეძლებოდათ (ა. ნულაძე, 1971;132).

მიცვალებულის კარგად გასასვენებლად, შეარჩევდნენ „თავი“ კაცს („ჭკუა საკითხავს“), ვინც უხელმძღვანელებდა მიცვალებულის გაცილებას, ასევე ირჩევდნენ ხელმძღვანელ ქალს, რომელიც უფრო ქალებს გაუნწევდა მეთვალყურეობას, დაასაქმებდა. მეზობლის ქალები დაინწყებდნენ სახლის დალაგება--დასუფთავებას, შემდეგ მამაკაცებს ეხმარებოდნენ ეზოს მოწესრიგებაში.

შეცხადიება, როგორც კი გათავებოდა, თავმჯდომარეს არავინ ირჩევდა, მაგრამ თათბირი, ბჭობა სრული წესრიგით დაინწყებოდა, ყველა სოფელს და თითოეულ სახევისთაოსაც ყოველთვის ჰყავდა მოთავე „ჭკუა საკითხავი“ კაცი, რომლის სიტყვა, რჩევა-დარიგება სხვებისთვის „ბეჭედი“ იყო. ის გამოირჩეოდა გამოცდილებით, სიდარბაისლით, ჭკუა-მახვილობით, ზნეობით. ის იყო თავისი ხალხისა და კუთხის პატრიოტი (ა. ნულაძე, 1971;153).

ოჯახის წევრები დათქვამდნენ დასაფლავების დღეს. აკეთებდნენ სიას, ვისთვის უნდა გაეგებინებინათ ტრაგედია, წერდნენ ნეკროლოგს გაზეთისთვის და ამასთანავე წერილებისათვის, რომლებსაც უგზავნიდნენ სიაში მყოფებს. არჩევდნენ გასადიდებელ სურათს. ახლო ნათესავი თუ მოკეთე,

რომელიც თვლიდა, რომ სურათი უნდა გაედიდებინა ისიც ირჩევდა სურათს. მიჰქონდა და დასაფლავების დღეს მიიტანდა გადიდებულს, სამგლოვიარო გვირგვინთან ერთად, გვირგვინზე აუცილებლად შავ „ლენტზე“ უნდა ყოფილიყო წარწერა, ვისგან იყო „ვენოკი“, სურათს ოჯახში ტოვებდა. თუ ახალგაზრდა იყო გარდაცვლილი, ოჯახი აკეთებდა პატარა სურათებს, რომელებსაც გულზე იმაგრებდა, ვისაც სურვილი ჰქონდა.

ახლობელ-ნათესავებთან წერილებს ატანდნენ მეზობელს, წერილს ხშირად ბოლოს მიწერილი ჰქონდა. „ვენოკის ადგილზე გამოსყიდვით“. ე.ი. წერილის პატრონი წინასწარ ყვავილებს ან ვენოკს არ იყიდდა. დასაფლავებაზე მისულს კიბესთან გამოუტანდნენ „ვენოკს“, რომელიც იდო მიცვალებულთან და საფასურს იხდიდა. ეს ერთი ვენოკი რამდენჯერმე გაიყიებოდა, ფული კი ოჯახს რჩებოდა, „ვენოკის“ მყიდველი ფულს აღარ დანერდა (ასეთი უცნაური ფორმით უგროვებდნენ ოჯახს ფულს).

მიცვალებულის მიხედვა იწყებოდა კუბოს შეკვეთით. შემდეგ მოიწვევდნენ ქალს, რომელიც უნდა წასულიყო სავაჭროდ, მიცვალებულისთვის უნდა ეყიდა საცვალი, კაბა, თუ კაცი იყო შარვალი პიჯაკით, ნემსი, ძაფი, სავარცხელი, ფეხსაცმელი, საპარსი მოწყობილობა. სარკე არ შეიძლებოდა, ოჯახისთვის ცუდი იყო, მიცვალებული „აირეკლებოდა“. მიცვალებულის ჩაცმა გაკობტავება ძალზედ მნიშვნელოვანი იყო.

ასაკოვან ქალებს ხშირად ჩემოდანში ჩაალაგებული ჰქონდათ ყველა ნივთი, რომლებიც უნდა „გაეყოლებინათ“ და ტანსაცმელი, რომელიც უნდა ჩაეცმიათ მისთვის გარდაცვალების შემდეგ.

ა. ნულაძე მეტად საინტერესო ფაქტს არწერს: სიტყვა კუბოს თქმა ძალიან ეჯავრებოდათ--ამბობდნენ მიცვალებულს „კონახი“, სახლი, ბინა. უნინ კუბო არ სცოდნიათ, ხმარობდნენ „ჯალამბარს“, ჯალამბარი საკაცეს მსგავსი სცოდნიათ (ორი 4-5 არშინიანი ჯოხი გაბანდული ტყიური მიწის სუროთი ვენახიან „წირეხვით“--ლელექით) ტანგაბანილ მიცვალებულს მთლიანად შესუდრულს დაასვენებდნენ ზედ. საფლავში ხელით ჩაასვენებდნენ. ჯალამბარი შეცვალა უთაო კუბოს მაგვარმა ყუთმა, უბრალო ფიცრიდან „შეკერილიმა“, ამაშიც შესუდრულ მიცვალებულს ჩასვამდნენ,

საფლავთან ამოიღებდნენ და მიცვალებულს საფლავში ჩასვამდნენ. კუბო ყუთი კი იქვე რჩებოდა, შეიძლებოდა სხვასაც ესარგებლა (ა. წულაძე; 1971;171).

მოიყვანდნენ მკერავ ქალს, რომელიც ოჯახის წევრებს, აულებდა ზომებს იყიდდნენ საკმაო რაოდენობის შავ ნაჭერს და ოჯახის ყველა წევრს უკერავდნენ თითო ხელ ტანსაცმელს, ბავშვებსაც კი (ეს პროცესი აუცილებელი იყო, რომელსაც შავის გაჭრა ეწოდებოდა). შავი ნაჭერი იკერებოდა სახლის აივანზე გასაკრავად. სახლზე გაკრულ შავის ჩამოსნა არ შეიძლებოდა წლისთავამდე მაინც, თუ ქარი ჩამოაგდებდა აილებდნენ და დანვავდნენ, ერთი კუთხითაც, რომ ყოფილიყო ჩამოკიდებული შავს არ გაასწორებდნენ „იბრძნიდნენ“. წლისთავზე მეზობელი ჩუმად ჩამოსხნიდა და დანვავდა.

განანილდებოდა საქმე, ირჩევდნენ მესაფლავეებს, რომლებსაც გურიაში მესამარეები ჰქვიათ. მესამარეების რაოდენობა აუცილებლად კენტი უნდა ყოფილიყო, არ შეიძლებოდა სისხლის ნათესავის მესაფლავედ ყოფნა. აქვე გვინდა ავღნიშნოდ ერთი ფაქტი (2015 წელი) სოფელ ზემოსურებში, (რომელსაც ყველაზე მეტად ეტყობა მიგრაციის მძიმე ხვედრი, რასაც თან დაერთო მამაკაცების მეზობელ სახელმწიფოებში სამუშაოდ გასვლა), გარდაცვლილი მეზობლის სამარე ქალებმა გათხარეს, რასაც ორი დღე მოანდომეს. მიცვალებულის გამოსვენებასა და სამარეში ჩასვენებაზე კი დასაფლავებაზე სხვა სოფლებიდან მისული მამაკაცები დაეხმარნენ.

სოფელში ძალიან საპატივცემულო ადამიანი იყო ის, ვინც მკვდარს მიხედავდა, განბანდა და ჩააცმევდა, ოჯახი ასეთ ადამიანს საჩუქარს უკეთებდა. ის გათავისუფლებული იყო დასაფლავების დღეს ყოველგვარი საქმისაგან. ჩამცმეული დილით ადრე მიდიოდა, ოჯახის წევრების თანდასწრებით ჩაალაგებდა კუბოში ყველა საჭირო ნივთსა და ტანსაცმელს ჩააცმევდა მიცვალებულს.

დასაფლავების დღისთვის ოჯახი ცდილობდა მწუხარება მთელი სიმძაფრით გამოეხატა, როგორც ვთქვით, სახლის აივანსა და ბოძებზე შავ ნაჭრებს აკრავდა, სამგლოვიარო მუსიკებს რთავდა, სურათებს გამოფენდა.

ხელმძღვანელი ქალი აკეთებდა მეზობლების მორიგეობის სიას, ვინ როდის მიიტანდა სადილს მიცვალებულის ოჯახში.

3-4 მეზობელი შეზიარდებოდა, ჯერ მიიტანდა ახლო მეზობელი. სადილის მიტანა ხდებოდა გოდრებით, კალათებით, ქვაბებით. სუფრა სადილის მიმტანს უნდა გაეშალა და აელაგებინა, მეზობლებიც ესწრებოდნენ, იმახსოვრებდნენ მოტანილ სადილის „მენიუს“ და ცდილობდნენ მათი მორიგეობის დროს სადილი უფრო მრავალფეროვანი ყოფილიყო.

განსაკუთრებულად ევალებოდა ერთ-ერთ ქალბატონს ეკონტროლებინა ე.წ. საკურთხი. ლაგდებოდა ერთ თეფშზე მიტანილი სადილის ყველა კერძიდან აღებული თითო ლუკმა, თეფში იმ ოთახში უნდა დადებულყო, სადაც მიცვალებული ესვენა, მეორე დღეს საკურთხის თეფშიდან აუცილებლად ოჯახის წევრი ჭამდა და ახალს ალაგებდნენ. ასევე დგამდნენ ღვინოსა და წყალს.

თუკი მანამდე მიცვალებულის პატივისცემა და სიყვარული ზარითა და კელაპტრით ფასდებოდა, როგორც ა. წულაძე გადმოგვცემს, შემდგომ კელაპტარი ჩაანაცვლა სამგლოვიარო გვირგვინის მიტანამ, გაზეთში სამძიმრის დეპეშის განთავსებამ და ფულადმა შემწეობამ, დასაფლავების დღეს ხშირ შემთხვევაში იჯდა ორი ადამიანი, რომელებიც წერდნენ სიას ფულის შემომწირველებისა. ზარი კი სამგლოვიარო მუსიკებმა, დღეს კი საგალობლებმა შეცვალა.

მზარეულთან ერთად ჩამოიწერებოდა სადილის (ქელეხის) სია, ხშირად იყო „მრგვალი ჯდომა“ – „საერთო ხარჯი“, ე.ი სატირალში მოსულ ყველა სტუმარს ინვევდნენ სუფრასთან. იწერებოდა რამდენი სურსათ-სანოვაგე და ჯამჭურჭელი დასჭირდებოდათ. სეფის გაშლა, მაგიდისა და სკამების მოწყობა კაცებს ევალებოდათ. ჭურჭელს ქალები რეცხავდნენ. ეხმარებოდნენ მზარეულს პროდუქტის დამუშავებაში. ახალგაზრდები ემსახურებოდნენ სუფრას, ორ გოგონასთან ერთად ერთი ბიჭი უნდა ყოფილიყო ღვინისა და წყლის ჩამომსხმელად. სეფასთან ახლოს გაკეთდებოდა ე.წ. ბუფეტი, სადაც შეჭქონდათ გამზადებული კერძები, იქაც ანაწილებდნენ ორ მამაკაცსა და ორ ქალს, მათ ევალებოდათ ხელმძღვანლის მითითებით, რამდენ თეფშზე დაელაგებინათ ესა თუ ის კერძი. ხელმძღვანელი ქალი თვალყურს ადევნებდა გოგონებს, რათა სუფრა ლამაზად გაეშალათ.

გამოსვენების დროს კარებს ჩაკეტავდნენ, მიცვალებულს ოთახში რამდენჯერმე დაატრიალებდნენ, ტახტი, რო-

მელზეც მიცვალებული ესვენა წააქცევდნენ, ფეხების მხარეს კუბოს მიარტყამდნენ კარებს, თითქოს მას ალებინებდნენ, ფანჯრის ერთ შუშას ჩატეხავდნენ. ახალგაზრდის გამოსვენების დროს ეზოში ხეს ჭრიდნენ.

ჩაიყვანდნენ მიცვალებულს ეზოში და დაასვენებდნენ სკამებზე. იწყებოდა გამოსამშვიდობებელი სიტყვები, აქაც პირველ სიტყვას წინასწარ შესახელებული კაცი ამბობდა, ყვებოდა გარდაცვლილის ბიოგრაფიას, იგონებდა მის კარგ საქმეებს, ოჯახს ლოცავდა და თხოვდა ვინმეს ვისაც სურვილი ჰქონდა ეთქვა ორიოდ სიტყვა. სამძიმრის დეპეშებს კითხულობდნენ ყველას თუ არა, რამოდენიმეს მაინც.

ეზოდან გასვენების დროს იმ სკამებს, რომელზეც კუბო იდო წააქცევდნენ. მიცვალებული მიჰყავდათ სასაფლაოზე, წინ მიმავალს მიცვალებულის სურათი მიჰქონდა, უკან გვირგვინები და ყვავილები, რომელსაც გზადაგზა აგდებდნენ. საფლავთან ემშვიდობებოდნენ მიცვალებულს, ხოლო მის ჩასვენებას საფლავში ოჯახის წევრებს არ ასწრებდნენ. ბავშვს, რომელსაც სურათი ეჭირა, სურათს შეუტრიალებდნენ და ჭირისუფალს გააფრთხილებდნენ, აღარ იტიროთ ისე წადითო. ერთი ადამიანი იყო გამოყოფილი, რომელიც გვირგვინებს აძრობდა შავ არშიებს და მიჰქონდა ოჯახში. ოჯახი ამ არშიებსა და მისასამძიმებელ დეპეშებს ინახავდა ორმოცამდე. მეორმოცე დღეს ამ ყველაფერს სასაფლაოზე წვავდნენ. ცდილობდნენ ოჯახიდან გაეტანათ ყველა ნაშთი, რაც გარდაცვლილის სახელზე იყო. გურული მიცვალებულს აუცილებლად უხდოდა: მე-9 დღეს, რომელსაც „სულის ახსნას“ ეძახდნენ, მე-40-ს. ორმოცის შემდეგ წლისთავს აუცილებლად, რომელსაც „ჭერის ახდას“ ეძახდა და ამ დღეს აუცილებლად უნდა ემღერათ. ამ დღეებში აუცილებლობად თვლიდა მესაფლავეებისა და ჩამცმელის მონვევას, ნათესავს დატოვებდა დაუპატიჟებელს და ამ ხალხს არა.

სასაფლაოდან დაბრუნებულები ხელზე ივლებდნენ ღვინოგარეულ წყალს, ერთი ადამიანი ჩაიდსანითა და პირსახოცით ხელში იდგა შემოსასვლელ ჭიშკართან და ყველა შემომსვლელს ხელზე ავლებდა წყალს. ეს აუცილებელი რიტუალი იყო. ყველა ცდილობდა, ხელზე წყალგადაუვლებელი არ დარჩენილიყო. სუფრასთან ჭირისუფალი აუცილებლად უნდა დამჯდარიყო და ევახშმა. თამადა წინასწარ იყო გაფ-

რთხილებული. იგი წინასწარ იყო „ნახემსებული“, რათა ღვინო არ მოჰკიდებოდა.

ისეთ დროს, როცა ადამიანი ოჯახის გარეთ ცხოვრობდა და გარდაცვლილი ჰყავდა ახლობელი: დედა, მამა ან რომელიმე ოჯახის წევრი და ახლო ნათესავი, მოყვარეც კი, აუცილებელი იყო მას დასაფლავებაზე ხალხი წაეყვანა. ის სახლში მათთვის ამზადებდა სადილს და ტრანსპორტირების ფულსაც თითონ იხდიდა. საინტერესო ფაქტია, რომ თუ კი მას თუ არ შეეძლო მაღალი ხმით ეკვივლა, ის მეზობლის ორ „კარგად შეხედულ“ ქალს სთხოვდა, რომ დასაფლავებაზე მისულებს ეზოდანვე ეკვივლათ და ტირილით შეეტყობინებინათ მათი მისვლა, ასეთ შემსრულებლებს „ჩამყოლები“ ჰქვიოდა. ჩამყოლები თავიანთ საქმეს, რომ შეასრულებდნენ, „სეფაში“ სასადილოდ შედიოდნენ და მალე ავინწყებოდნენ მიცვალებული.

ნ. ქაჯაიას აღწერით: ზოგ ნათესავს ტირილში 28 კაცი მიჰყავდა, რომელნიც თავისი ცხენებით მიდიოდნენ. ამ 28 კაცს 2-3 მოსამსახურე მაინც დასჭირდებოდა (ნ.ქაჯაია; 1980; 159).

გლოვასაც თავისი წესები ჰქონდა, ახალგაზრდა ქვრივი ქალი „გადაუტეხავი“ შავი კაბით დადიოდა და შავ სამოსს სიცოცხლის ბოლომდე ატარებდა. სასაფლაოზე 40 დღეს არ გადიოდა, მე-40 დღიდან იწყებდა გასვლას. 40 დღის განმავლობაში ნებისმიერ დროს შეეძლო ოჯახში ხმამაღლა ტირილი. წლისთავამდე ლხინში არსად მიდიოდა.

რესპონდენტი რუსუდან ბერიშვილი იგონებს თუ როგორ დასტიროდა დედა (კლარა), აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპულ შვილს მამუკა (მათე) იურის ძე კალანდაძეს (გვარდიის მეთაური), რომელმაც მასთან გვერდით მეზობლი ბიჭები არ მიატოვა (მას შეეძლო წამოსვლა და გადარჩენა მაგრამ . . .). დედა ორი უწლოვანი შვილის ობლად დამტოვებელ მამას დასტიროდა: „მამა უნდა შენს შვილებს, პატრონი აღარ ჰყავთ, შეგეძლო არ მომკვდარიყავი, მარა შენ გვერდით პატარა ბიჭებს ხომ არ მიატოვებდი, არ გამტყუნებ, შვილო! სამშობლოსა და შენს მეგობრებს შეენირე, ვიამაყებთ, კარგი გაგვიზრდინარ“.

სოფელ ხიდისთავში ერთი ოჯახი გოგოს ათხოვებდა (1970 წელი). ქორწილისთვის დიდი მზადება იყო, წინა დღით გარდაიცვალა ოჯახში ბებია, ჭირისუფალი საგონებელში ჩავარდა, შეთანხმდნენ ოჯახის წევრები, მოაწესრიგეს მიცვალებული, გამოუკეტეს ოთახის კარები. ჩაატარეს ქორწილი, გაჭირვება არ აგრძნობინეს სტუმრებს, ასიამოვნეს. მეორე დღეს „შეიცხადეს მკვდარი“.

სოფელ ფარცხმაში ბავშვი მარალი სიცხით წითელა ბატონების დროს გარდაიცვალა, ოჯახმა სახლის აივანსა და ბოძებზე წითელი ბაფტები გააკრეს (ჩ.მ.მ. ფ. 12).

ქეთო ჩხიკვიშვილის ინფორმაციით, სოფელ შუა ამაღლებაში, დასაფლავებაზე მისულს, უნახავს როგორ იყო დამონტაჟებული გარდაცლილის სიმაღლის სურათი, რომელსაც სახლის აივნიდან მართავდა ორი ახალგაზრდა, სურათს მიიტანდნენ ჭიშკრამდე და სამძიმარზე მისულ ყველა სტუმარს სურათი მიაცილებდა შესასვლელ კარამდე.

სოფელ ხიდისთავში 1975 წელს დედაქალაქიდან მშობლიურ სოფელში დასაკრძალად ახალგაზრდა ქალი ჩამოასვენეს, ოჯახმა „საერთო ხარჯი“ არ გასწია, საღამოს ქელებზე მიიწვიეს დამსწრე საზოგადოება, ეს გარდაცვლილის საპატივცემულოდ გააკეთეს, რადგან იცოდნენ, რომ ამ დროს ხალხი სასმელს ეტანებოდა და მიცვალებული ავინყდებოდათ. სოფელში კარგა ხანს იყო საქილიკო თემა, რა გაუჭირდათ, „მრგვალი ჯდომა“, რომ არ გააკეთესო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ.ქაჯაია, ვგურია, თბ. 1980;
2. ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი სოფელ ფარცხმის ისტორია (ჩ.მ.მ. ფ 12;
3. ა. წულაძე; ეთნოგრაფიული გურია, 1971;

Natia Kalandadze

*The burial of the dead in upper Guria
(Soviet era)
Summary*

Gurian folk traditions and customs are distinguished with their old diversity. In the article, based on field data, ethnographic materials depicting the funeral ritual in the Soviet era in upper Guria.

ნანული ნოლაიდელი

დარგობრივი ლექსიკის ეთნოლინგვისტური ასპექტები

**(აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკის მასა-
ლების მიხედვით)**

ეთნოლინგვისტიკა ენათმეცნიერების დარგია, რომელიც შეისწავლის ენის ურთიერთობას კულტურასთან. მისი დანიშნულებაა, გვაჩვენოს რა საშუალებებითა და ფორმებით აისახება ამა თუ იმ ენის მატარებელი საზოგადოების გაერთიანების – ეთნოსის – კულტურული შეხედულებები გარე სამყაროსა და მის ადგილზე ამ სამყაროში. ეთნოლინგვისტიკა განსაკუთრებული მიმართულებაა ენათმეცნიერებაში, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს ენის ფუნქციონირების ასპექტებს, იკვლევს ეთნოსის კულტურასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამდენად, ეთნოსთან მიმართებაში, ეთნოლინგვისტური კვლევისათვის მნიშვნელოვანია უპირველესად ენა, რომლის მეშვეობითაც ეთნოსი ინარჩუნებს თავის კულტურას და თაობიდან თაობას გადასცემს მას.

ეთნოლინგვისტიკის ისტორიას თუ გავიხსენებთ, უფრო გავერკვევით, რამ განაპირობა მისი ცალკე დარგად გამოყოფა. ევროპელების მიერ ჩრდილო ამერიკის კოლონიზაციამდე (XV-XVII ს.ს.) ჩრდილო ამერიკა დასახლებული იყო ინდიელებით, აცტეკებით, ესკიმოსებით და სხვ. ტომებით. ამ დროისათვის ისინი პირველყოფილი თემური წყობილების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებოდნენ. ჩრდილო ამერიკის კოლონიზაციას თან სდევდა მათი მიწების მიტაცება და აქ მცხოვრები ხალხის ხოცვა-ჟლეტა. ყველაზე მეტად ევროპელთაგან იმარჯვეს ინგლისელებმა და XVII ს-ის II ნახევარში თითქმის მთლიანად დაიპყრეს ჩრდილო ამერიკა. ადგილობრივ მკვიდრთა გადარჩენილ ნაწილს რეზერვაციებში აცხოვრებდნენ. დაიწყო კაპიტალიზმის განვითარება და ჩრდილო ამერიკული ერის ჩამოყალიბება. ევროპელ დამპყრობლებს ურთიერთობა უხდებოდათ უცნობი წარმოშობის, კულტურის და იერსახის ტომებთან, რომელთა გაცნობა–შესწავლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კაცობრიობის ის-

ტორიის ახლებურად გააზრებისათვის. ეს საკითხი რომ წარმატებით გადაჭრილიყო, საჭირო გახდა ჩრდილო ამერიკის ტერიტორიაზე მცხოვრები მცირე ერებისა თუ ეთნოსების ათობით უმწერლობო ენისა და ასობით დიალექტის შესწავლა. ენათა და დიალექტთა შესწავლა დაიწყო სხვადასხვა მიმართულებით. ყველაფერი ეს მოქცეული იყო ანთროპოლოგიის ჩარჩოში. დაგროვებული მასალების ანალიზისას აღმოჩნდა, რომ ამ მასალებით, ენებთან და დიალექტებთან ერთად, შესაძლებელი იყო, ასევე, შესწავლილიყო, ამ ეთნოსთა თუ ეთნოლოგიურ ჯგუფთა მატერიალური და სულიერი კულტურა – რელიგია, ეთნოლოგია, მითოლოგია, ფოლკლორი, ხელოვნება...

ეთნოლინგვისტიკას საფუძველი ჩაუყარა ფრანც ბოასმა. ბოასის იდეები განავრცეს მეცნიერებმა **ედვარდ სპირმა** და **ბენჟამინ უორფმა**.

ეთნოლინგვისტიკის განვითარებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა ამერიკელმა ლინგვისტმა **უილიამ ფოლიმ** თავისი სახელმძღვანელოთი „ანთროპოლოგიური ლინგვისტიკის შესავალი“. ანთროპოლოგიური ლინგვისტიკა ანუ ეთნოლინგვისტიკა კოგნიტური (შემეცნებითი) მიმართულებებით სწავლობს, რა ფორმით, რა საშუალებებით აისახება ენაში ეთნოსის კულტურული (რელიგიური, სოციალური, საყოფაცხოვრებო და სხვ.) შეხედულებები, როგორია სამყაროს მსოფლალქმა და სად ხედავს ეს ეთნოსი, ერი ან ადამიანი თავის თავს ამ სამყაროში.

როგორც ვხედავთ, **ეთნოლინგვისტიკა**, სხვა მიმართულებებთან ერთად, გულისხმობს ენის ისტორიულ, დიაქრონულ ჭრილში შესწავლას ეთნოსის რელიგიის, ეთნოლოგიის, ფოლკლორის და სხვ. მონაცემების გათვალისწინებით. ისტორიული თვალსაზრისით ამ მიმართულებათა შესწავლისას კი უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ეთნოსისათვის დამახასიათებელ ლექსიკას, რადგანაც იგი უშუალოდ ასახავს ენობრივი კოლექტივის ყოფას, მატერიალურ და სულიერ კულტურას, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეალობას.

ეთნოლინგვისტიკამ, როგორც ენათმეცნიერების დარგმა, თანდათან მოიკიდა ფეხი მსოფლიოში. საქართველოში ამ მხრივ კვლევები უკვე მე-19 ს-ში დაიწყო და განსაკუთრე-

ბით ინტენსიური გახდა მე-20 ს-დან. ეთნოლინგვისტური კვლევისათვის შესანიშნავი მემკვიდრეობა დაგვიტოვეს ჩვენმა დიდმა მწერლებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, მეცნიერებმა. საჭირო მასალების მოძიებისას, ამ მხრივ, აღსანიშნავია მე-20 ს-ის 30-იან წლებში ჩატარებული ექსპედიციები, განსაკუთრებით, 1935 წლის ექსპედიცია, რომელიც ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით მოეწყო და საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ჩაიწერა მასალები შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიის შესასწავლად. ივ. ჯავახიშვილი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ამ ექსპედიციაში მოპოვებულ მასალებს და აღნიშნავდა, რომ აქ „თავმოყრილია ისეთი მასალა, ურომლისოდაც მომავალში ვერც კულტურის ისტორიკოსი, ვერც ენათმეცნიერი და ვერც სამეცნიერო ტერმინოლოგიაზე მომუშავე ვერას გააკეთებს... აღბეჭდილია უკვე ის, რასაც ადამიანი მალე ვეღარ გაიგონებს და ვერც გაიგებს“. სხვა მეცნიერთა კვლევები რომ არ გავიხსენოთ, საკმარისია, თვალი გადავავლოთ ისევ ივ.ჯავახიშვილის ნაშრომებს, რომ დავინახოთ, რა ოდენობით იყენებდა იგი თავის გამოკვლევებში ხალხში შეკრებილ მასალებს და რა სიღრმისეულ დასკვნებს აკეთებდა მათზე დაკვირვებით.

ასევე, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა ეთნოგრაფიულ ჯგუფში შეკრებილ მასალებს არნ.ჩიქობავა და აღნიშნავდა, რომ „ენის ისტორიის ტვირთი „ენის გეოგრაფიას“ უნდა დააწვეს. ისტორიის მქონე ენებისთვისაც ენის გეოგრაფია ე. ი. დიალექტებში მოცემული ფაქტები უდიდესი საშუალებაა ენის ისტორიის მკვდარი სინამდვილის გასაცოცხლებლად“.

ამ იდეის გამოძახილი იყო ის ფაქტი, რომ მე-20 ს-ის 60-70-იანი წლების მიჯნაზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გადაწყვეტილებით, შეიქმნა ენის ისტორიისა და დიალექტების შემსწავლელი საკოორდინაციო საბჭო. სხვა მასალებთან ერთად, გადაწყდა, შეკრებილიყო ქართული ენის დიალექტთა დარგობრივი ლექსიკა. ამ საქმიანობას სათავეში ჩაუდგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. შეიქმნა დარგობრივი ლექსიკის შემკრებ-შემსწავლელთა ჯგუფები. ჩვენს ინსტიტუტში (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერ-

რო-კვლევითი ინსტიტუტი. ახლა, ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი) ფოლკლორის განყოფილებაშიც შეიქმნა ასეთი ჯგუფი. ამ ჯგუფში ვიყავით ნელი ცქიტიშვილი და მე. რამდენიმე წლის შემდეგ, ნ.ცქიტიშვილის თბილისში გადასვლის გამო, მუშაობაში ჩაერთო ნ.სურმავა, ხოლო ლაზურ დარგობრივ ლექსიკაზე სამუშაოდ – ც.ნარაკიძე. დაიწყო დაწლების განმავლობაში იკრიბებოდა მასალები აჭარის სამეურნეო და საოჯახო ყოფის, სულიერი კულტურისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების საკითხებზე.

ამ საქმიანობამ მართლაც დიდი შედეგი გამოიღო დიალექტების დარგობრივი ლექსიკური მარაგის დადგენა-შესწავლაში, მაგრამ დარგობრივი ლექსიკა მარტოოდენ სიტყვების მოძიებას არ გულისხმობს. იგი ამ მეთოდით სწავლობს მთლიანად ამა თუ იმ დარგს, შეძლებისდაგვარად დანვრილებით აღწერს დარგთან დაკავშირებულ ყველა წვრილმანს, ყველა წეს-ჩვეულებას, რიტუალს თუ სხვ. ამ მხრივ დიალექტოლოგის მუშაობა ემსგავსება ეთნოგრაფის მუშაობას იმ განსხვავებით, რომ დიალექტოლოგისათვის ლექსიკური ერთეული მთავარია მისი ფონემური აგებულებით, გრამატიკული ფორმით, სემანტიკით, საზოგადოებაში ფუნქციონირების თვალსაზრისით, ეთნოგრაფისათვის კი დანიშნულებით, სემანტიკით, ისტორიით, განზოგადებულობის და სხვ. თვალსაზრისით. ამიტომაც, დარგობრივ ლექსიკას მჭიდრო კავშირი აქვს ეთნოლოგიასთან და სწორედ აქედან იკვეთება მისი ეთნოლინგვისტური ასპექტებიც. ენათმეცნიერული თვალსაზრისით, ცალკეულ დიალექტთა დარგობრივი ლექსიკის კვლევა გვაძლევს საშუალებას, რომ კვლევისას დავადგინოთ არქაული ლექსიკური ერთეულები, ძველ თუ საშუალ ქართულში გამოყენებული ტერმინოლოგია, ნასესხობანი, საკუთრივ ამა თუ იმ ეთნოლოგიური ჯგუფისათვის დამახასიათებელი სიტყვა-ტერმინები, ხატოვანი გამოთქმები და სხვ., რომელთა მეშვეობითაც შევძლებთ, წარმოვარჩინოთ დიალექტის, ჩვენს შემთხვევაში, აჭარული დიალექტის, ორგანულ კავშირი მშობლიურ სალიტერატურო ენასთან და ის განსხვავებებიც, რომლითაც ერთი ეთნოლოგიური ჯგუფი განსხვავდება სხვებისაგან და ამით, რაც შეიძლება მეტი მონაცემით შევაკსოთ ჩვენი მშობლიური ენის ისტორია და თვითონ ენაც!

ყველა დარგთან დაკავშირებულ ლექსიკურ მასალაში შეიძლება მოვიძიოთ ისეთი ტერმინები და თქმები, რომლებიც ერთნაირად საინტერესო იქნება როგორც ლინგვისტის, ისე ეთნოლოგისათვის. ამ პრინციპითაა შესწავლილი ლექსიკური ერთეულები ჩემ ნაშრომში „ფეიქრობის ტრადიცია და ლექსიკა (აჭარა)“. მასში არა მხოლოდ ლექსიკოლოგიის თვალსაზრისით შევისწავლეთ საფეიქრო ტერმინოლოგია, არამედ შევეცადეთ დაგვედგინა ტერმინთა ეთნოკულტურული დანიშნულება და ეთნოგრაფიული ტრადიციების მეშვეობით დაგვედგინა მათი სემანტიკა. კვლევამ ბევრი საინტერესო სიტყვა-ტერმინი წარმოაჩინა. მაგალითად, გამოვყოფდით სიტყვას **ჭიბოშანა**. იგი ნამჭრელის, ორნამენტის, ერთერთი სახეა, რომელსაც ქსოვისას გამოიყვანენ, „ჩახატავენ“ ნაქსოვში, მაგრამ ეს ტერმინი გვაქვს სამშენებლო ლექსიკაშიც: **ჭიბოშანი** ხის გლუვად სათლელი იარაღია. სამშენებლო იარაღიცა და ნაქსოვის სახეც საინტერესოა ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, მაგრამ ჩემი დაინტერესება ამ ტერმინმა გამოიწვია იმით, რომ ამ სიტყვის ფუძე გვაქვს ზანურშიც **ჭიბომ/ჭიმომ**, რაც თოკის გრეხას ან თამბაქოს ფოთლების დახვევას აღნიშნავს; –ან კი (ჭიბომ–ან–ი) უძველესი ქართული მანარმოებელი სუფიქსია. ზანური **ჭიბომ** უკავშირდება საერთოქართველურ ძირს *წმას* (აჭარულში *წმასნა*), რაც გრეხას, კლაკნვას აღნიშნავს: „ბალანაჲ რომ იწმასნება, მუცელი სტკივა“; „ჩერიაზე იგრიხება, იწმასნება ძაფი“. როგორც ვხედავთ, აჭარულმა დიალექტმა შემოგვინახა ქართველურ ენათა კვლევისათვის ორი შესანიშნავი სიტყვა: **წმასნა** და **ჭიბოშანი**. წმასნა საერთოქართველური ტერმინია, **ჭიბოშანი** კი – ზანიზმია აჭარულში.

ავიღოთ მეორე ტერმინი **თითისტარი**. აჭარულში გვაქვს მისი ფარდი ორი ტერმინი **ხერტალი** და **ჩერია**. ხერტალი ანუ ხელტარი სხვა დიალექტებშიც გვაქვს, დასტურდება სვანურშიც, მაგრამ სვანურში იგი ქართულიდანაა შეთვისებული. რაც შეეხება ტერმინს **ჩერია**, იგი სამივე ქართველურ ენაშია ცნობილი და უკავშირდება სვანურ ტერმინს **ჩერი/ჩერი-წვივი**, ძვ. ქართულში –**კვირი**, **კვრი** (ნ.ჭინჭარაული). სვანურში გვაქვს, ასევე, ტერმინი **ჩერშდა** – კვირისთავი, ხოლო ქართული ენის მთის დიალექტში **ჩერანი** –წვივის

ძვალი, „წვივის გნდე“ (ნ.საბა). როგორც ვხედავთ, ყველა ეს ტერმინი უკავშირდება სვანურ ჩწრი/ჩერი-ს და აღნიშნავს თითისტარ-კვირისთავს. როგორც არქეოლოგიური მასალებით აღმოჩნდა, ჯერ კიდევ ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის მასალებშია ნაპოვნი ხერტალ-კვირისთავები, რაც მოწმობს, რომ ამ პერიოდში ჩვენთან უკვე კარგად იყო განვითარებული ფეიქრობა. ამ არტეფაქტის არქაულობას ენათმეცნიერული მასალაც ადასტურებს, თუმცა, იყო დრო, როცა ზოგი მეცნიერი ამ ტერმინს თურქულიდან ნასესხებადაც თვლიდა.

სამშენებლო ლექსიკის დარგობრივად აღწერამაც მრავალი აღუნუსხველი ლექსიკური ერთეული წარმოაჩინა. ერთ-ერთი ასეთი სიტყვაა **კელი**. **კელი** მოკლე ფიცარია, რომლის მეშვეობითაც ამოჰყავთ კედლები ფანჯრებს ან კარსა და ფანჯარას შორის. ასევე, კელს იყენებენ სხვა ფიცრის დასაგრძელებლად. „ლოჯის (კუთხე) აყვანისას, თუ ფიცარი სიგრძეში არ ყოფნით, კელს დაამატებენ“. აჭარულში გვაქვს, ასევე, სიტყვა **კელობს**, რაც ნიშნავს: კოჭლობს! ძველ ქართულშიც **კელობა** კოჭლობას აღნიშნავს (ნ. აბულაძე). ქართველურ ენათაგან ქართული კოჭლის – მკელობელის –შესატყვისი გვქონია სვანურშიც: მკკლი, იკლი–კოჭლობს (ნ. ფენრიხი, სარჯველაძე). აღსანიშნავია, რომ ეს ფუძე გვქონია ბერძნულშიც (κελιον), რაც „ნაკლულობაზე მიუთითებს“ (ნ.გორდეზიანი).

ბერძენი ტომების ისტორიიდან გამომდინარე, მრავალი ბერძნული სიტყვა პარალელს პოულობს ქართველურ ენებში და ქართველურ ენათა მეშვეობით აიხსნება (ნ.გამყრელიძე, ივანოვი). მიგვაჩნია, რომ სწორედ ერთ-ერთი ასეთი სიტყვაა **კელი**, რომელიც აჭარულმა სუბსტანტივის სახით შემოგვინახა. გარდა აჭარულისა, ფუძის სახით იგი ძველ ქართულში და ქართული ენის სხვა დიალექტებში არ დასტურდება. შესაძლებელია, კელი საერთოქართველური ძირის სიტყვა იყოს!

საზოგადოების კულტურის ისტორიის კვლევაში დიდი ადგილი ეთმობა საქორწინო წეს-ჩვეულებებისა და ნათესაობის სისტემის შესწავლას. ამდენად, სხვა კუთხეთა მასალებთან ერთად, საინტერესოა აჭარული ლექსიკური მასალებიც.

მიუხედავად იმისა, რომ ქორწინებისა და ნათესაობის ინსტიტუტის შესახებ მრავალფეროვანი ლიტერატურა არსებობს, ამ დარგის შესახებ ლექსიკური მასალის დარგობრივად ძიებაში ბევრი ისეთი ლექსიკური ერთეული წარმოაჩინა, რომლებიც არ იყო მეცნიერულ მიმოქცევაში. მაგ. *მისვარესი*, *სინსილა*, „საცვეთი ბოხჩა“, „სისხლში მიცემული ქალი“, „გზას სიმღერა ვუთხრათ“, „სული გწვა მაყარს“, „დავლზე ქამარი გამინყდა“ და სხვ. ამ ლექსიკური ერთეულებიდან ყურადღებას მივაპყრობთ ტერმინზე **სინსილა**.

როგორც ვიცით, აჭარულ ყოფაში მემკვიდრის, შვილის სემანტიკა მკვეთრად იყო დიფერენცირებული. შვილი, მემკვიდრე ვაჟი იყო, ქალიშვილი – გოგოშვილი. არსებობს გამოთქმაც: „შვილი ოჯახის დირეგია, გოგოშვილი – სხვისი ნაცარი“. თუ ოჯახს ერთადერთი ვაჟი ჰყავდა ან, გოგონებთან ერთად, ერთი ვაჟი, ამბობდნენ „სინსილა (სიმსილა) შვილი მყავსო“. სინსილა ქართულ ენაში ფრინველის ან ქვეწარმავლის წინილაა. ასევე, იხმარება მოდგმის, ჯიშის, ნაშიერის მნიშვნელობით, მაგრამ აქტიურ მეტყველებაში იგი უფრო ნყევლის ფორმულებში გვხვდება. აჭარულ დიალექტში კი იგი მოდგმის, ჯიშის გამგრძელებლის ერთადერთობაზე მიუთითებს: „სინსილა რომაა, იმასაც ერთის მეტს არ მისცემს ღმერთი“.

ღირსეული შვილების აღზრდა ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა საზოგადოებისათვის. ამ პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება თამაშსა და სათამაშოებს. თამაშობათა თანმხლება მცირე ზომის გალექსილი ტექსტები, გათვლები, რომლებითაც წესრიგდება მოთამაშეთა ჯგუფებად გაყოფა. ყველასათვისაა ცნობილი გათვლის ასეთი ტექსტი:

„ინილო, ბინილო, შროშანო, გვრიტო,
გადაჯექი, გადმოჯექი, სკამდარიკო.
დაი მუა დასთან, ჩონგური, პასკა,
კუკუ, მეხი, მოიდგი ფეხი“.

ამ ტექსტის ვარიანტების ჩანერისას აღმოჩნდა, რომ „კუ-კუ, მეხი“ ტექსტებში სხვადასხვა ფორმით გვხვდება: კუკუ, მეხი; კუკურეხი; კუდუმეხი; კუტუმეხი. ამ სიტყვის ფორმებზე დაკვირვებამ და ძიებამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ამ სიტყვებიდან სწორი ვარიანტია **კუტუმეხი**, რომელიც ლაზურში აღნიშნავს კუდუსუნს: კუტუმეხი, მოიდგი ფეხი;

ანუ დაჯექი! ტექსტიც გაიმართა და კიდევ ერთი ზანური ნიმუში გაცოცხლდა. კიდევ ბევრი მსგავსი ლექსიკური ნიმუშის დასახელება შეიძლება.

დიალექტების დარგობრივმა ლექსიკამ, უკლებლივ ყველა დარგში, ინფორმატორთა მესხიერებაში ბევრი ისეთი ტერმინი თუ მოვლენა შეიძლება გააცოცხლოს, რაც ნათელს მოჰყენს ეთნოსის სულიერი თუ მატერიალური კულტურის ბევრ მიჩქმალულ საკითხს მაგალითად, საქართველოში დიდი ხანია აღარ მოჰყავთ ბრინჯი. მასთან დაკავშირებული სამეურნეო წეს-ჩვეულებებიც ნაკლებადაა ცნობილი, მაგრამ აჭარულმა დიალექტმა, იმერულთან ერთად, აქამდე შემოგვინახა ტერმინი **ბჟირი**, რაც ბრინჯის ფუყე, ცუდ მარცვალს აღნიშნავს. (ნ. ქეგლ; გ. წერეთ. შდრ. ბჟირდება – ტირილისაგან სუნთქვა ეკვრის) დასტურდება მისი ფონეტიკური სახესხვაობებიც: **ბჟიკი, ბჟიტი**.

საქართველო ბევრი ენდემური ჯიშის მარცვლეულის სამშობლოა; დასავლეთ საქართველოში (და აჭარაშიც!), დიდი ხანია აღარ მოჰყავთ ხორბალი, აღარც მის ჯიშთა სახელებს აქვთ მეტყველებაში გამოყენება. ისინი უკვე უფრო სპეციალური ლიტერატურის საკუთრებაა, მაგრამ აჭარულის ხალხური მკურნალობის ლექსიკაში გვაქვს ტერმინი **დიკა**, რაც ინფექციური დაავადების **ნითურას** ფარდ სახელად ქცეულა **ნითურას** მახასიათებელი სიმპტომების გამო – ავადმყოფობას, დიკას თავთავივით, მოწითალო შეფერილობა და უხვი, წვრილი გამონაყარი აქვს.

როგორც ვხედავთ, ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით ერთობ საინტერესოა ეთნოსისა თუ ეთნიკური ჯგუფის სოციალური მდგომარეობის ამსახველი დარგობრივი ლექსიკის მასალები: ცალკეული ლექსემები, შესიტყვებები თუ ხატოვანი თქმები. უამრავი ასეთი ლექსიკური ერთეულის დასახელება შეიძლება, რომლებიც, გარდა იმისა, რომ ლინგვისტურადაა საინტერესო, ასევე, საინტერესოა ეთნოლოგთა, ისტორიკოსთა თუ ქართული ეთნოსის კულტურის შემსწავლელი სხვა დარგებისთვისაც. ყველა მეცნიერი, ვინც დარგობრივი ლექსიკის კუთვნილ რომელიმე ტერმინს, გამოთქმას იძიებს არა მარტო რაიმე მოვლენასთან მიმართებაში, არამედ ისტორიულ ჭრილში, ასევე, როცა იძიებენ სიტყვა-ტერ-

მინთა ძირებს, იკვლევენ იმ ეპოქებს, რომლებშიც ეს ძირე-
ბია ცნობილი. ამით კი გვაახლოებენ ეთნოსის ისტორიის,
ეთნოსის ენის, კულტურის უცნობ ან ნაკლებად ცნობილ
ფაქტებთან.

დიდი პოლიტიკურ-ეკონომიური, სოციალურ-კულტუ-
რული ცვლილებების ეპოქაში ვცხოვრობთ; ეს ცვლილებები
აისახება ენაშიც, განსაკუთრებით კი მის ლექსიკაში. ლექსი-
კიდან კი „სწორედ ის ნაწილია... ცვალებადი, რომელიც სა-
ზოგადოების კულტურას ასახავს“ (ნ.ნებიერიძე). ბევრი სიტყ-
ვა თუ გამოთქმა „ხელიდან გვეცლება“ და ისტორიის სა-
კუთრება ხდება, ან, საერთოდ, იკარგება. აჭარულ დიალექ-
ტში, როცა რაიმე ან ვინმე ძალიან მოსაფრთხილებელია, ამ-
ბობენ, „ცალი თვალითაა საყურებელი“. სწორედ საყურად-
ღებო, მოსაფრთხილებელი, „ცალი თვალითაა საყურებელი“
არა მარტო აჭარულის, არამედ ქართული ენის ყველა დია-
ლექტის – ყველა ეთნიკური ჯგუფის, მატერიალური და სუ-
ლიერი კულტურის ამსახველი დარგობრივი ლექსიკის მასა-
ლები, რომელთაც ასე დიდ შეფასებას აძლევდნენ ჩვენი სა-
ხელოვანი საზოგადო მოღვაწეები და მეცნიერები. ასეთი მა-
სალა, თუ არ აღინუსხა, თანდათან დავინწყების ბურუსით და-
იფარება და დიალექტებით ნასაზრდოები ჩვენი მშობლიური
ენაც გაღარბდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბულაძე ი., ძველიქართული ენის ლექსიკონი.თბ., 1973.
2. გორდეზიანი რ., წინარებერძნული და ქართველური.
თბ.,1985.
3. ნებიერიძე გ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1991.
4. ნოლიდელი ნ., ლექსიკური ძიებანი, ბათუმი, 2013.
5. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფ.,
1926.
6. ფენრიხი ჰ., სარჯველაძე ზ., ქართველურ ენათა ეტიმო-
ლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990.
7. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქეგლ), I-
VIII, თბ., 1950-64.

8. წერეთელი ბ., ზემოიმერული ლექსიკონი, – ქართველურ ენათა ლექსიკა, I, ტფ., 1938.
9. ჭინჭარაული ალ., ქართველურ ენათა ლექსიკიდან.–ეტი-მოლოგიური ძიებანი, თბ., 1987.
10. Гамкрелидзе Т., Иванов В., Индоевропейский язык и Индоевропейцы, I,II, Тб., 1984.

Nanuli Noghaideli

*Ethnolinguistic aspects of sectoral vocabulary
(According to the materials of vocabulary of Ajarian Dialect)
Summary*

The political and economic, socio-cultural changes in society are reflected in the language, especially in its vocabulary. In the article, the ethnolinguistic issues of the sectoral vocabulary are discussed on the basis of the sectoral vocabulary of Ajarian Dialect.

თამილა ლომთათიძე

ხის თაყვანისცემის ელემენტები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოკულტურაში

ხის კულტი ქართველთა რწმენა-წარმოდგენებში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახე-სიმბოლოა და მას მრავალი გადმოცემა, წეს-ჩვეულება და რიტუალი უკავშირდება. ხეთა თაყვანისცემა, ისევე, როგორც მსოფლიოს მრავალი ხალხის, ქართველთა ეთნოგრაფიულ ყოფაშიც უკავშირდება სიცოცხლის ხის არქეტიპს, რომელიც გააზრებული იყო, როგორც სამყაროს ცენტრში ამოზრდილი, სამი სკნელის (სკნელი, ზესკნელი, ქვესკნელი) დამაკავშირებელი ვერტიკალური ღერძი, რომელიც „მინაში ღრმად გადგმული ფესვებით და ცისკენ ზეღმართული ტოტებით სწორედ ზესწრაფვას და „სამყაროს“ აერთიანებდა“ (აბზიანიძე, ელაშვილი 2007:152). ქართულ ეთნოგრაფიაში მიჩნეულია, რომ ხე კულტმსახურების ობიექტად იქცა იმიტომაც, რომ იგი წარმოადგენს სამყაროს ზუსტი რეპროდუქციის გამომხატველ კოსმოგონიურ სიმბოლოს და მას აქვს გარკვეული საკრალური ფუნქცია – სამყაროს პერიოდული რეგენერაციის პოტენცია (ჯავახიშვილი, 1960:93-96). ხის ამგვარმა სიმბოლურმა გააზრებამ წარმოშვა მასათან დაკავშირებული მრავალგვარი რწმენა-წარმოდგენა და რიტუალი, რომლებიც ქართველთა ეთნოგრაფიულ ყოფაში გამოხატულია როგორც ცალკეული ხეების თაყვანისცემის, წმინდა ტყეებისა და კორომების არსებობის, ასევე, მოჭრილ ხესთან და მის ცალკეულ ნაწილებთან დაკავშირებული არქაული წეს-ჩვეულებების სახით.

მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის ყოფაში სხვადასხვა ჯიშის ხეს ჰქონდა მინიჭებული სიმბოლური მნიშვნელობა. გაფეტიშებული იყო უფრო მეტად მარადმწვანე, ნაყოფიერი ან გამძლე ჯიშის ხეები, რომლებიც უკვდავების, ჯანმრთელობის, კეთილდღეობის, ნაყოფიერების სიმბოლოებად აღიქმებოდა და ბუნების სიცოცხლის მარადიულობას განასახიერებდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ჯიშის ხეს ენიჭებოდა საკრალური მნიშვნელობა. მაგალითად,

იმერეთში – კოპიტს, სამეგრელოსა და სვანეთში – მუხას, ხევსურეთში – მეგრულაურის მირონიან მუხას, ფშაურ ოქროსშიბიან ბერმუხას, მცხეთის სვეტიცხოველს, მარტვილის ჭყონდიდს და სხვ. ეთნოგრაფიული მონაცემებით, გადმოცემებითა და წერილობითი წყაროებითაც დასტურდება, რომ საქართველოში არსებობდა არა მხოლოდ გაფეტიშებული ხეები, არამედ ე.წ. წმინდა ჭალები, ანუ ნაკრძალი ხატის ტყეები. მოგვიანებით ასეთი ტყეების შუაგულში აგებდნენ ეკლესიებს. ეკლესიის გარშემო არსებული ტყე წმინდად ითვლებოდა და იკრძალებოდა იქიდან შეწირული ნივთების (სანთელი, ბამბის ძაფები, თეთრი ნაჭერი, საქონლის რქები) აღება და სხვა ადგილას გადატანა. დამნაშავე სასტიკად ისჯებოდა (რუხაძე, ლეკიაშვილი, ჭყონია, 1964:129). კავკასიის ზოგიერთი ხალხის ყოფაში XIX საუკუნემდე იყო შემორჩენილი ნაკრძალი ადგილები, რომლებიც წმინდად ითვლებოდა და რომლებშიც აკრძალული იყო არათუ ხის მოჭრა, არამედ ტოტების მოტეხა, უცხო პირთა შესვლა და სხვ. ხალხის რწმენით, ამ ნაკრძალების მცენარეები სამკურნალო და მაგიური თვისებებით ხასიათდებოდა. ასე, რომ ხის საკრალიზება, წმინდა კორომებისა და ტყეების არსებობა საერთოკავკასიური მოვლენაა. ხეების თაყვანისცემას და წმინდა ჭალების არსებობის ტრადიციას საფუძვლად უნდა დადებოდა წარმოდგენები ხის, როგორც ცოცხალი არსების შესახებ, რომელიც განასახიერებდა რომელიმე ღვთაებას ან მის საუფლოს (ღუდუშაური, 2000:85). ასეთი წმინდა ტყე ყოფილა ქობულეთში, სოფ. ხუცუბანში, თეთროსნის წმინდა გიორგის სატაძრო კომპლექსის ადგილას. ამ ტყის არსებობა დაუფიქსირებიათ 1944 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაწილეებს. გათხრებმა დაადასტურა აქ წარმართობის დროინდელი სალოცავის არსებობა. ადგილობრივთა ცნობებით, აქ 1940 წლამდე არსებულა წმინდა ტყე, რომელსაც ამავე სოფლის მკვიდრი ოსმან ესელიძე უწვლიდა. მისი გადმოცემით აქ, „ხის მოჭრა კი არა, ბუნებრივად ნაქცეული ხის ან მისი ტოტის გატანაც კი არ შეიძლებოდა“ (იოსელიანი, 1973:52-53). მოგვიანებით ეს ტყეც ტაძრის საკუთრება გამხდარა. ადგილობრივთა ცნობით, ტყის ფართობი 30 ჰექტარს აღემატებოდა. თეთროსანი ეწოდებოდა არა მხოლოდ სალო-

ცავს, არამედ მის ირგვლივ არსებულ საკმაოდ დიდ ტერიტორიას (სურმანიძე, 2007:14). ასეთი საკულტო ტყეები ყოფილა სოფელ სამებაში, თეთრულას ნასაყდრალზე, სოფელ ქობულეთში – ინაიშვილების ნასაყდრალზე, სოფელ ჭახათში – ნოლაიდლების ნასაყდრალზე, სოფელ კოხში – ხუტაძის ნასაყდრალზე. ასეთი საკულტო ტყეებიდან არა მხოლოდ იკრძალებოდა რაიმეს გატანა პირადი მოხმარებისათვის, არამედ ხშირად ასეთ ადგილებში შესანიშნავებიც კი მოჰქონდათ. ქობულეთში ასეთ ნასაყდრალებთან არსებულ ტყეებში ხშირად არის „ნაბრალევის ქვა“. ეს არის მრგვალი ან ოთხკუთხა ფორმის, საგანგებოდ დამუშავებული ქვა, რომელზეც აწყობდნენ „თავზე შემონარებს“//“ნაბრალევს“ ანუ შესანიშნავს: ნამცხვარი, ქათამი, ფული, სანთლის ნაჭრები, ფერადი ძაფები. საუკეთესო შესანიშნავად ითვლებოდა თეთრი მამალი და, ზოგჯერ, ლითონის ნივთებიც (ნემსი, ლურსმანი, წალდი და ა.შ.) (ქათამაძე, 1960:55-56), რაც შესანიშნავს წარმართულ ხასიათს აძლევს. თუმცა, დანიშნულებით, „ნაბრალევის ქვა“ ძალიან წააგავს მართლმადიდებლური ეკლესიის წმიდა ტრაპეზს – საკურთხევლის მაგიდას, რომელიც განასახიერებს ღმერთის ტახტს, რომელზედაც იესო ქრისტე უხილავადაა დაბრძანებული, ასევე – მის საფლავს. ტრაპეზი საკურთხევლის შუა ადგილზე, შესაფერისი სამოსლითაა შემკობილი. მასზედ სრულდება წმ.ძღვნის შეწირვის საიდუმლო. საკურთხევლის სიმბოლური მნიშვნელობა უკავშირდება „ნაკურთხ ქვას“, რომელიც, საკურთხევლის ცენტრშია განთავსებული და ქრისტე-ქვაკურთხედის სიმბოლოა (კორ.10:4; ებ.13:10). საუკუნეთა მანძილზე საკურთხეველმა სხვადასხვა ფორმა მიიღო (მაგიდის, სკივრის, ლოდის, სარკოფაგის) და კიდევ მეტი მნიშვნელობა შეიძინა. შესაძლოა „ნაბრალევის ქვა“ ამ წმ.ტყეებში არსებული ეკლესიების საკურთხევლის ქვა იყო, რამაც გამოიწვია მისდამი განსაკუთრებული მოწინება და მასზე მსხვერპლის დანყოფის ჩვეულების შემორჩენა ქობულეთის სულიერ კულტურაში. ამ მოსაზრებას ამყარებს ქობულეთში გავრცელებული „ბრალის შელოცვა“. ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ.აჭყვისთავში არის ქამჭარაძეების ნასაყდრალი, სადაც „გადაცემული“, დაწყველილი ოჯახის, ან ავადმყოფის პატრონს მიაქვს შესა-

წირავი: ფული, უხმარი ნაჭერი, მამალი, სამი კაკალი კვერცხი, უხმარი ნემსი, ღომის ტაბლა, სამი ცალი ლურსმანი. ნივთებს ნასაყდრალზე ტოვებს, მამალსაც გაუშვებს და თან შეულოცავს:

ნაბრალევი იყოს,
ნაწყევარი იყოს,
ძველთაგან, ახლისგან,
შემინირავს თქვენთვის:
ფარა, სანთელი,
პაპლუყი და ტაბლა ღომი,
სამი ლურსმანი, სამი კვერცხი,
ლემსი ერთი, ვერცხლის ფარა,
შემინირავს თქვენთვის საყდარში.
ღმერთო, არგე და მოახმარე!

(ჩაწერილია ჯ.ნოლაიდელის მიერ 1960 წელს, მთქმელი თ.რ.მენაბდე, სოფ.აჭყვისთავი)

წმინდა ხეების და ტყეების დაკავშირება ქრისტიანულ სალოცავებთან არ უნდა მომხდარიყო შემთხვევით. ხის საკრალიზაციის ელემენტები არც ქრისტიანობისათვისაა უცხო. პირველი ადამიანების ცოდვით დაცემა და სამოთხიდან გამოდევნა ძველი აღთქმის სამოთხისეულ ცხოვრებისა და ცნობადის ხეს უკავშირდება, რომლის ნაყოფიც იგემეს ადამ და ევამ და ძელი ცხოველიც, ანუ ჯვარი, რომელზე ჯვარცმითაც კაცობრიობა ცოდვისაგან იხსნა მესიამ – იესო ქრისტემ, იმ ხისგან იყო გამოთლილი, რომელიც ძველი აღთქმის მამამთავრის აბრაამის ძმისწულმა – მართალმა ლოთმა გაახარა ღვთისაგან ბოძებული საროს, ფიჭვისა და ნაძვის ტოტებისგან. ამგვარად, კაცობრიობის დაცემა და ხსნაც, ქრისტიანული სწავლებით, ხეს უკავშირდება. ქართველთა უძველესი სალოცავებიც – სვეტიცხოველი და მცხეთის ჯვარი – მოჭრილი წმიდა ხეებისგან გამოთლილ სვეტსა თუ ჯვარზე აიგო. საქართველოს მთიანეთშიც სალოცავებში ხის დარგვა და მისი მოვლა-გახარება უფრო მნიშვნელოვან საკულტო რიტუალად იყო მიჩნეული, ვიდრე ცხოველის შეწირვა. „ასეთ წმინდა ხეებს „ხემხვივანები“ ეწოდებოდა. ხემხვივანი ანუ ნაყოფიერების ხე სიცოცხლის მომნიჭებელი მითო-

ლოგიური ხის სიმბოლოა და ამიტომაც რგავდნენ ხატის კარზე“ (სურგულაძე 1986:13).

ხის საკრალიზებისა და კოსმოგონიურ ასპექტში გააზრების ტრადიციასთან უნდა გვექონდეს საქმე “ცხემლის ჭრის“ რიტუალში, რომელიც აჭარაში საახალწლო დღესასწაულების ციკლში ექცევა. ეს ციკლი ახალი წლის წინა დღეს იწყებოდა „ცხემლის ჭრის“ რიტუალით. რიტუალი შემდეგნაირად სრულდებოდა: “ოჯახის უფროსი მამაკაცი ურმით მიდის ტყეში, შეარჩევს ხმირტოტებიან ცხემლას, მოჭრის, ტოტებს შეაჭრის, ტანს მორებად დაჭრის, დააწყობს ურემზე და მიიტანს სახლში. ამ მორებს ანაწილებს შემდეგნაირად: შეშისათვის, ცეცხლზე მოსაწყობად, დააპობს რამდენიმეს და ერთმანეთზე გარდიგარდმო დააწყობს. რამდენიმე მორს დააწყობს კარიასთან (საქათმესთან), რათა ქათმებმა ზედ გადაიარონ. ცხემლის რამდენიმე ტოტს დაალაგებენ კარის წინ, სადაც ოჯახის წევრები გაივლიან და ტოტებზე გადაივლიან. ახალ წელს დილით, ოჯახის დიასახლისი რომ ადგება და ცეცხლს დაანთებს, პირველად ცხემლის შეშას შეუწყობს ცეცხლს“ (ნოლაიდელი, 1971:121).

“ცხემლის ჭრის“ სახელით იყო ასეთივე დღესასწაული გურიაშიც. ამ დღეს ოჯახის უფროსი დილით მოჭრიდა ცხემლის ხეს, დააპობდა და ზედ დააკლავდა ორ მამლურჩას. მის სისხლს კერიაში ჩააქცევდა ლოცვით: “ბევრი მოსავალი, კაი წელიწადი და სიმთელე დაგვიბედეო“ (რუხაძე, 1976:56). ახალი წლის დილით ოჯახის უფროსს შემოჰქონდა ცხემლის შეშა და ოჯახის კერას მიულოცავდა (ჭანჭალეიშვილი, 1988:80). იმერეთშიც, ახალი წლის წინ, “შემოლოცვის“ დღეს ოჯახის უფროსი კაცი “კოპიტის ჭოგრებითა“ და “ლურჯი ჭყორით“ დატვირთული ურმით ეზოში შემოვიდოდა და იტყვოდა, “ურემივით დამძიმებული, დატვირთული წელიწადი იყოს ამ ოჯახისთვისო“. იმ ღამეს “ჭოგრებს“ დაჭრიდა, ზოგს გარეთ დატოვებდა და ზოგისაგან კარგ ცეცხლს დაანთებდა. კოპიტის “ჭოგრებთან“ ერთად, კერაზე კოპიტის ჯირკვიც იყო მოთავსებული. “კერის თავს“ სწორედ ეს ჯირკვი წარმოადგენდა (რუხაძე, 1976:97). აუცილებელი იყო ახალი წლის წინა დღით ერთი მარხილი შეშის მოტანა რაჭაშიც. ამავე მარხილზე დებდნენ ჩიჩილაკს, “ნეკერს“ (თხილის ბი-

ბილო) და “თომს“ (ფეხის თივა), რომლებიც დილამდე მარხილზე ეწყო, ხოლო მამლის ყივილისას მეკვლე დგებოდა და ისინი სახლში შეჰქონდა (მაკალათია, 1930:58).

“ცხემლის ჭრა“ უნდა იყოს ტრანსფორმირებული, უფრო გვიანდელი ფორმა ხის თაყვანისცემისა. ვ.პროპის თანახმად, ხეთა თაყვანისცემა ორი სახისაა: ცოცხალი ხის და მოჭრილი ხის. თავდაპირველად, თაყვანისცემის საგანი უნდა ყოფილიყო თავად ცოცხალი ხე, მოგვიანებით კი, ტრანსფორმაციის შედეგად, ეს რწმენა-წარმოდგენები გადატანილი უნდა ყოფილიყო ხის ატრიბუტიკაზე – ტოტემზე, მორებზე და ა.შ. ამგვარად, “ცხემლის ჭრის“ ტრადიცია ხის თაყვანისცემის უძველესი რწმენის ნიშნებს ატარებს. ახალი წლის ღამეს სხვადასხვა ჯიშის ხეების დანვის რიტუალში მრავალი იდეა და რწმენა იყრის თავს, მაგრამ ერთ-ერთი უმთავრესი ნაყოფიერების მაგიის გამოხატულება უნდა იყოს. საერთოდ, ქართულ ეთნოგრაფიაში საახალწლო მორი მიჩნეულია მამრობითობის განმასახიერებელ ძალად, ხოლო მუგუზალთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები – სქესობრივი აქტის სქემატურ გამოხატულებად, რაც საბოლოო ჯამში ნაყოფიერებასა და სიუხვის უზრუნველყოფას უკავშირდება (ბარდაველიძე, 1953:134). საფიქრებელია, რომ “ცხემლის ჭრის“ რიტუალშიც ცხემლის მორს გამანაყოფიერებელი უნარი მიეწერება და ამიტომაცაა აუცილებელი ახალი წლის დილით საქონელ-ფრინველისა და ოჯახის ყველა წევრისათვის რცხილის ტოტემზე გადავლა, რასაც საბოლოო ჯამში უნდა გამოეწვია ბუნების ძალთა აღორძინება, ნაყოფიერება და უხვმოსავლიანობა, ადამიანების ჯანიერება და საქონელ-ფრინველის სიმრავლე (ბარდაველიძე, 1941:58).

“ცხემლის ჭრის“ რიტულს დიდი აზრობრივი და ფუნქციონალური მსგავსება აქვს ამავე მიზნით საახალწლო რიტუალში რაჭა-ლეჩხუმში გამოყენებულ ხის მონწულ გვირგვინთან – გვერგვთან და გურიაში არსებულ ჩიჩილაკთან.

საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ახალი წლის რიტუალში იმავე დანიშნულებით, როგორც ქობულეთში რცხილის მორი, ხშირად დომინირებს არა ხის კუნძი, არამედ სხვადასხვა სახის ხისაგან მონწული გვირგვინი, მაგალითად, ლეჩხუმში საახალწლო რიტუალში გამოიყენება ხის ლერწი-

საგან მოწნული გვერგვი. აზრობრივი დატვირთვით, საახალწლო გვერგვი დიდ მსგავსებას ავლენს ქობულეთსა და გურიაში საახალწლო რიტუალში გამოყენებულ ცხემლის კუნძთან. აქაც ოჯახის ყველა წევრისათვის აუცილებელი იყო საახალწლო გვერგვზე ხელის შეხება, მისით ოჯახის მიკვლევა, კერის გარშემო შემოტარება, კალოზე გატანა, საფუარზე მოთავსება. როგორც ჩანს, გვერგვი წმინდათანწმინდაა და ზრდისა და ნაყოფიერების ძალის შემცველ ობიექტად ისახება და საახალწლო რიტუალში მონაწილეობს, როგორც ბარაქის მიმნიჭებელი და მარცვლეულის ამალორძინებელი ძალის შემცველი საკრალური ატრიბუტი (ბარდაველიძე, 1941:70). ამავე რიგის რიტუალს უნდა განეკუთვნებოდეს სვანეთში ყანის ნაყოფიერების გადიდების მიზნით მაისის თვეში, “ამალღება” დღეს ყანებსა და სათიბებში არყის შეფოთილი ტოტებისაგან დაწნული გვირვინების დამაგრების ჩვეულება (ონიანი, 1969:67).

„ცხემლის ჭრასთან“ დიდ აზრობრივ მსგავსებას ავლენს გურიაში გავრცელებული “კალპიანი ჩიჩილაკი”. ჩიჩილაკთანაც ისეთივე ქმედებებია დაკავშირებული, როგორც რაჭულ-ლენჩხუმურ გვერგვთან. ფართოდ გამოიყენებოდა საახალწლო ჩიჩილაკი აჭარაშიც, კერძოდ, ქობულეთის მუნიციპალიტეტში. აქაც სცოდნიათ თხილის ან ლუკუმხის სწორი ტოტებისაგან საახალწლოდ ჩიჩილაკის დამზადება (ნოლაიძე, 1971:122).

საერთოდ, ეთნოგრაფიაში მიჩნეულია, რომ ჩიჩილაკის სახით განსახიერებელია ქართველების უძველესი შეხედულება სიცოცხლის ხის შესახებ. სწორედ ამიტომ, ჩიჩილაკი, როგორც ხვავრიელებისა და სიცოცხლის სიმბოლო, მზადდებოდა წლის განახლების დღესასწაულზე (სურგულაძე, 1974:56). მცენარეული კულტების რწმენა ჩანს სვანეთში გავრცელებულ “ცხემლის ჭრის” მსგავს ჩვეულებაში: ახალი წლის წინა დღეს ჭრიდნენ დაახლოებით არშინის სიგრძის არყის ხეებს, დააპობდნენ, ამ ნაპობებს, რომლებსაც “ნათე”-ს ეძახდნენ, კარს მიაყუდებდნენ. ახალი წლის მეორე დღეს ოჯახში ყველა მომსვლელს ერთი ნათე უნდა შეეტანა შინ და კერაზე მიეყუდებინა. შემდეგ ამ ნათეებს სხვენში აწყობდნენ და ახმობდნენ. მათგან შემდგომ, ლამპრობის დროს ამ-

ზადებდნენ ლამპრებს (ნიჟარაძე, 1962:565). ამგვარად, ქართველები სხვადასხვა ჯიშის ხეებს სცემდნენ თაყვანს. აჭარაში ასეთ სარიტუალო მცენარედ რცხილა (ცხემლა) ითვლებოდა. ეთნოგრაფიული მონაცემებით, აჭარაში კაცს, რომელსაც ეზოში ცხემლა არ ერგო, ქალს არ მიათხოვებდნენ (ვარშალომიძე, 1979:15).

ხის სულიერ არსებად წარმოდგენისა და მისდამი გარკვეული მოკრძალების კვალი მრავლადაა შემონახული აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში ხის მოჭრასთან, სახლის მშენებლობასა და ხეზე კვეთილობასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებსა და წეს-ჩვეულებებში. გავრცელებული იყო სამშენებლო და სარენაოდ განკუთვნილი ხის გარკვეული ჯიშების ტაბუირების ჩვეულება. იბრძნიდნენ სამშენებლოდ ურთხმელის (წითელი ხე) და ალვის ხის გამოყენებას (ვარშალომიძე, 1979:13). გარკვეული სახის აკრძალვები მოქმედებდა საშემედ განკუთვნილი ხის ჯიშების მიმართაც. ლელვს აჭარაში არ დაწვავდნენ — ცოდვიანი ხეა და ოჯახს “დააცოდვილებსო” ან “სანამ კერაზე ლელვის ხის ნაცარია, ავადმყოფობა არ გამოიღვეაო” — ამბობენ. თხემლას არ დაწვავდნენ — ლეხტის ხეა და მისი დაწვა ცოდვააო და სხვ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხესთან დაკავშირებული მსგავსი აკრძალვები მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხის ყოფაშია დაფიქსირებული. მეცნიერთა ნაწილი (ტიელორი, მანჰხარდტი, ფრეზერი) ხესთან დაკავშირებულ აკრძალვებს ანიმიზმის საფუძველზე აღმოცენებულად მიიჩნევს, ნაწილი კი (ზელენინი, შტერნი, პროპი) ხესთან დაკავშირებულ ყველა რწმენა-წარმოდგენასა და წეს-ჩვეულებას “მცენარეული ტოტემიზმის” საფუძველზე ხსნის. აჭარული ეთნოგრაფიული მასალა ადასტურებს, რომ ხესთან დაკავშირებული აკრძალვების ნაწილი მართლაც ტოტემისტური ხასიათისაა. თავდაპირველად ტაბუაცია უნდა გავრცელებულიყო ხე-ტოტემზე ზოგადად, შემდეგ კი იგი შემოიფარგლა გარკვეული ჯიშის ხეზე ტაბუს დადებით. ანიმიზტური მსოფმხედველობის განვითარების შემდგომ ხე ადამიანების მიერ აღიქმებოდა, როგორც ცოცხალი არსება, გერმანელი ტყისმჭრელები ხეს მოჭრამდე ებოდიშებოდნენ და მიმართავდნენ მას “ბატონობით”. პოლონელები მიიჩნევენ, რომ ხეს მოჭრისას

ცრემლები სდის; აღმოსავლეთ სლავებში გაბატონებული რწმენით იან კუპალას ღამეს ხეები მოძრაობენ და ლაპარაკობენ (Зеленин 1936:21-22). ანიმისტურ რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული ხის ტაბუაციის ჩვევები აჭარაშიცაა დაფიქსირებული. ხის მოსაჭრელად წასვლისას ცულს ქსოვილში ახვევდნენ, რადგან ხალხური რწმენით ხეები შიშველი ცულის დანახვაზე თითქოს კანკალს იწყებენ და ტირიან. აკრძალული იყო ხის უმიზნოდ დასერვა ცულით, წალდით, რასაც ხის ქერქიდან წვენის გამოყოფა მოსდევს, ამას ხალხი “ხის ცრემლებს”, “ხის ტირილს” უწოდებს (ვარშალომიძე, 1986:109-110). როცა ხეხილი წლების განმავლობაში არ იძლეოდა ნაყოფს, ხესთან მთელი დრამა თამაშდებოდა: ორი მამაკაცი ცულით მიუახლოვდებოდა ხეს. ერთ-ერთი მოჭრით ემუქრებოდა და ცულს უღერებდა, მეორე კი, თითქოს, ხელს უშლიდა ცულის დაკვრაში და ხის ნაცვლად იძლეოდა პირობას, რომ მომავალ წელს აუცილებლად მოისხამდა ნაყოფს. სწამდათ, რომ ასე ხეს „შეეშინებოდა“ და კვლავ მსხმოიარე გახდებოდა. აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში ხე მსხვერპლშენიროვის რიტუალის ნაწილიც იყო: მსხვერპლად-შენიროული პირუტყვის სისხლს ან „ჩიტის ხისედ“//ჩიტის წილად დამზადებულ ფაფას ხეზე წაუსვამდნენ, რომ მისი ნაყოფიერება გაეძლიერებინათ.

გარკვეული ჯიშის ხეები ხალხურ მედიცინაშიც გამოიყენებოდა, როგორც განსაკუთრებული სამკურნალო ძალის მქონე მცენარეები: კოკოციან//კონწიან (ყივანახველიან) ბავშვს კაკლის ხის ფესვში გააძვრენდნენ; გოყოიან (რახიტიან) ბავშვს ბჟოლის (თუთის) ხის კიდობანში ჩაანვენდნენ განსაკუთრებლად და სხვ.

ამგვარად, აჭარაში გავრცელებულ მრავალ წეს-ჩვეულებაში იკვეთება ხის საკრალიზაციისა და თაყვანისცემის კვალი, რაც ასახავს ქართველთა უძველეს შეხედულებებს ხის, როგორც სიცოცხლის, ნაყოფიერების, განახლების, კეთილდღეობის ძალის მქონე ერთ-ერთ უმთავრესი არქეტიპის შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზ.აბზიანიძე, ქ.ელაშვილი, სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია. II, თბ., 2007.
2. ვ.ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), თბ., 1941
3. ვ.ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიუშები, თბ., 1953
4. ჯ.ვარშალომიძე, ორნამენტი ხეზე, ბათუმი, 1979
5. ა.იოსელიანი, ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., 1973
6. ს.მაკალათია, მთის რაჭა, თბ., 1930
7. ბ.ნიჭარაძე (თავისუფალი სვანი), ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962
8. ჯ.ნოლაიძელი, ნარკვევები და ჩანაწერები, I, თბ., 1971
9. ჯ.ონიანი, სვანური მურყვამობა-კვირიაობა, მაცნე, თბ., 1969
10. ჯ.რუხაძე, ა.ლექიაშვილი, ი.ჭყონია, სოფელი აკურა, თბ., 1964
11. ჯ.რუხაძე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1976
12. ი.სურგულაძე, ქართული საახალწლო ჩიჩილაკი, ძეგლის მეგობარი, N36, თბ., 1974
13. ი.სურგულაძე, ხალხური ორნამენტიკის სიმბოლიკა. თბ., თბ., 1986
14. რ.სურმანიძე, თეთროსანი, ბათუმი, 2007
15. ა.ქათამაძე, კინტრიშის ხეობა (ექსპედიციის მასალები), აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ.IV, ბათუმი, 1960
16. თ.ღუდუშაური, ხის საკრალიზაციის ზოგიერთი ასპექტი კავკასიის ხალხებში, ქრისტიანობა – წარსული, აწმყო, მომავალი (მოსხენებათა მოკლე შინაარსები), თბ., 2000

17. ლ.ჭანჭალეიშვილი, კალანდობა გურიაში (ახალი წლის წინა და პირველი დღე), ეთნოგრაფიული ძიებანი, თბ., 1988
18. ივ.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ნ.1, თბ., 1960
19. Зеленин Д.К., Тотемы-деревья в сказаниях и обрядах Европейских народов, М-Л., 1936

Tamila Lomtavidze

*The elements of wood worshio in the ethno culture of South-
western Georgia
Summary*

The tree cult is one of the most common faces in Georgian beliefs and performances, and it is associated with many concepts and rituals. Wood worship, as well as in the ethnographical life of many people of the world, is associated with the wooden archetype. These are the issues discussed in the presented work.

**უძველესი ნაქარგობები საქტიტორო წარწერით
ქუთაისის ისტორიული მუზეუმიდან**

ქუთაისის ისტორიული მუზეუმი გარდასულ საუკუნეთა უიშვიათესი მასალებისა და ხელოვნების მნიშვნელოვანი ძეგლების უმდიდრესი საცავია. აქ დაუნჯებული ქრისტიანული ხელოვნების მასალებიდან არც თუ მცირე ადგილი უჭირავს მხატვრული ნაქარგობის, კერძოდ ოქროქარგულობის ნიმუშებს. ისინი მხოლოდ ქრისტიანული ხელოვნებისა და ღვთისმსახურების კუთხით როდია საინტერესო, არამედ გვანვდიან საკმაოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას ამა თუ იმ ეპოქის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური თუ კულტურულ-ეკონომიკური წარსულიდან. ჩვენამდე მოღწეული ნაქარგობის არაერთი ძეგლი შეიცავს ეპიგრაფიკულ მასალებს – წარწერებს, რომლებშიც ვხვდებით ცნობილი ისტორიული პირების: მეფეების, დედოფლების, ერისთავების, მთავრების, კათოლიკოს-პატრიარქების, ეპისკოპოსების სახელებს, რომელთა განკარგულებითა და საფასით შეიქმნა ესა თუ ის მხატვრული ნაწარმოები. წარწერებში მკაფიოდაა ხაზგასმული ქტიტორთა, ანუ დამკვეთთა ღვანლი და დამსახურება, მათი საბრძოლო თუ პოლიტიკური წარმატებები. არაერთმა ძეგლმა შემოგვინახა მათი შემქმნელი ოსტატის სახელიც. აღნიშნული ეპიგრაფიკული მასალების, მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული საბუთების, ქუთაისის ცენტრალურ არქივის დოკუმენტებისა და სხვა მრავალი წყაროს კვლევის და მათი შედარება-მეჯერების საშუალებით მოგვეცა შესაძლებლობა დაგვედგინა და დაგვეზუსტებინა ნაქარგი ძეგლების დამზადების თარიღი, წარმომავლობა, ქტიტორთა ვინაობა, შეწირვის მიზანი და სხვ.

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული მასალებიდან უძველესს განეკუთვნება ოქროქარგულობით შემკული **ოლარი (№ 6630)**, რომელიც შემოსულია 1923 წ. გელათის მონასტრიდან (სურ. 1). ოლარის საზედაპირე მასალად გამოყენებულია მუქი ჩალისფერი ტილოს ქსოვილი, სასარჩუ-

ლედ ჟოლოსფერი ყანაოზი, ნაქარგობისათვის ოქროს და ვერცხლის თმა, ქარგვის ტექნიკა – ნამაგრი სითვი. ოლარს აქვს ასომთავრული საექტიტორო წარწერა.

ნივთი თავისი არაკანონიკური ფორმით იპყრობს ყურადღებას – ოლარის საყოველთაოდ მიღებული კისერზე ჩამოსა-



ა



ბ



ბ



დ

დები გრძელი, ორკალთიანი, წინსაფრისებური ფორმის ნაცვლად ის მთლიანად აჭრილია, სიგრძით წელამდეც არ წვდება; მეორე განმასხვავებელი ნიშანი ზურგზე დაშვებული უკანა ნახევარია.

ნივთის ზედაპირი მთლიანად მოქარგულია ოქროსა და ვერცხლის თმით შესრულებული ნამაგრი სითვით, რომლის ნაყში ე.წ. „თევზიფხურას“ – ტეხილი, ზიგზაგური გვირისტების ერთობლიობას წარმოადგენს. ასეთი სითვი ერთი შეხედვით ნაჭედის შთაბეჭდილებას ტოვებს. შესრულების ტექნიკა დახვეწილია,

გამოირჩევა დიდი რუდუნებითა და უზადო ხელწერით.

ოლარის ნაქარგობა არ გამოირჩევა რთული კომპოზიციით, მასზე, კანონიკური წესის თანახმად მიღებული, ექვსი

ჯვრის (ჩვეულებრივ 3-3 თითოეულ კალთაზე) ნაცვლად ხუთია გამოსახული. წინა და უკანა მხარეს ამოქარგულია კომპოზიცია „ძღვეის ჯვარი“ – კვარცხლბეკზე აღმართული გოლგოთის ჯვარი და ვნების იარაღები: ჯვარის ერთ მხარეს ლახვარი, მეორე მხარეს – ლერწამზე დამაგრებული ღრუბელი; ჯვრის ორსავე მხარეს სამსჭვალი. ჯვრის მარჯვნივ კიბეა გამოსახული, ხოლო გოლგოთაზე აღმართული ჯვრის ქვეშ ადამის თავია (ტრადიციულად გავრცელებული ადამის თავის ქალის ნაცვლად). თავად ჯვარი მრავალჯვარის სახითაა წარმოდგენილი – მის ჰორიზონტალურ მკლავებსა და წვერზე 3-3 ჯვარია გამოსახული. ჯვართან დაქარაგმებულია ბერძნული გრაფემები (Ϟ, ϟ – „იესუ ქრისტე“ და Ϟ, ϟ).

ოლარის კალთის ბოლოში ასომთავრული დაქარაგმებული საქტიტორო წარწერაა ამოქარგული: „**წ: ქ[რისტ]ე: ღ[მერთ]ო: შ[ეიწყალ]ე ყ[ოვლის]ა აფხ[ა]ზეთისა: კ[ათოლიკო]ზი ეფთჳმე: ა[მი]ნ“.**

წარწერა მართალია უთარიღოა, მაგრამ ქტიტორი-შემწირველის – აფხაზეთის კათოლიკოსის ეფთვიმეს ვინაობის დაზუსტებისა და მოღვაწეობის წლების მიხედვით შესაძლებელია ოლარის დამზადების პერიოდის დადგენა.

ეფთჳმეს სახელით, ისტორიულად, დასავლეთ საქართველოს ორი კათალიკოს-პატრიარქია (ეფთჳიმე I და ეფთჳიმე II) ცნობილი, ორთავეს გვარიც საყვარელიძეა. ეფთჳიმე I კათალიკოსის რანგში მოღვაწეობის პერიოდი 1578-1605/1616 წლებია, ხოლო ეფთჳიმე II 1669-1673 წწ.

არსებობს ასევე მესამე ეფთვიმე გენათელი, გვარად შერვაშიძე – მიტროპოლიტი 1776-1820 წლებში, მაგრამ ის არ იყო აფხაზეთის კათალიკოსი.

საკმაოდ რთულია ორი ისტორიული პირიდან ოლარის შემწირველი ქტიტორის ვინაობის დაზუსტება, მით უფრო, რომ ოლარზე არ არის წარმოჩენილი რომელიმე პერიოდის ნაქარგობისათვის დამახასიათებელი რაიმე სტილისტური ან მხატვრულ-იკონოგრაფიული პრინციპები და თავისებურებანი, რაც მის დათარიღებას გააიოლებდა. ისტორიკოს მ. ნიკოლეიშვილის მოსაზრებით ოლარის წარწერაში „მოხსენიებუ-

ლი პირი უნდა იყოს დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი ეფთვიმე საყვარელიძე. ეფთვიმე საყვარელიძე კათალიკოსად იყო 1669-1673 წლების შორის“ **[ნიკოლეიშვილი მ. 2001: 44]**, მაგრამ, ჩვენი აზრით, გარკვეული ფაქტები ეფთვიმე I-ის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს. ის თავისი პერიოდის უდიდესი და უანგარო საზოგადო მოღვაწეა, ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწევა. ეფთვიმე I-ის ღვაწლის შესახებ არაერთ წერილობითი ძეგლშია აღწერილი, რაც ცხადყოფს, რომ თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით ეფთვიმე I-ს მთელი საქართველო მოუცავს. ცნობილია, რომ მან მოქვის ეპისკოპოსობის დროს ბიჭვინთის საკათოლიკოსო მამულს შეუძინა დიდძალი მოძრავი ქონება: თვალმარგალიტით შემკული, ძვირფასი ქსოვილებისაგან დამზადებული საპატრიარქო შესამოსლები, ოქრო-ვერცხლისაგან ნაკეთები სარიტუალო ინვენტარი, მდიდრულად მოკაზმული საეკლესიო წიგნები, „ქართლის ცხოვრება“, მის მიერვე გადაწერილი „გულანი“ და სხვა. ამასთან, თავისი პირადი ქონებაც ეკლესიის საკუთრებად აქცია **[ლომინაძე: 1979]**, მაშინ როდესაც ეფთვიმე II-ის საზოგადო მოღვაწეობის შესახებ ისტორიულ დოკუმენტებში თითქმის არაფერია ნათქვამი. ეფთვიმე II წერილში, რომელიც ბაგრატ IV-მ (1669 წ.) გაუგზავნა რუსეთის მეფეს – ალექსი მიხეილის ძეს, იმერეთის სამეფოს თავკაცთა შორის იხსენიება, როგორც „საქართველოს მაკურთხეველი კათალიკოზი“ **[საქართველო ენციკლოპედია: 2014]**. აქედან გამომდინარე, უფრო მართებულად მიგვაჩნია, რომ გელათურ ოლარზე მოხსენიებული შემწირველ-ქტიტორი „აფხაზეთისა კათალიკოზი ეფთვიმე“ 1578-1605/1616 წლებში მოღვაწე ეფთვიმე I-ია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის მუზეუმში დაგანებული გელათური ოქროქარგული ოლარის შექმნის თარიღად XVI ს-ის დასასრული და XVII ს-ის დასაწყისი უნდა ვივარაუდოთ.

ერთ-ერთი უძველესი ძეგლია გელათის მონასტრიდან შემოსული ოქრომკედით ნაქარგი **გარდამოხსნა (№ 6594)**. მასალად გამოყენებულია შავი ხავერდი, ოქრომკედი, ვერ-

ცხლმკედი, ფერადი აბრეშუმის ძაფები, ნამაგრი სითვი; სარჩულისათვის – ყანაოზი (სურ. 2).

გარდამოხსნის ცენტრში წარმოდგენილია დატირების სცენა: მაცხოვარი დასვენებულია ლოდზე, რომელიც დეკორირებულია ჯვრებითა და ტალღოვანი ღეროების ორნამენტით. ლოდის თავში დგას მწუხარე ღვთისმშობელი, ხოლო ბოლოში წმ. იოანე მახარებელი. ლოდის ზემოთ წარმოდგენილია შუაში – ქერუბიმი, მის ორსავე მხარეს კი ანგელოზთა ნახევარფიგურები. ლოდის ქვემოთ ცენტრში ქერუბიმი გამოსახული, მის მარცხნივ „ძალნი“, ხოლო მარჯვნივ სამწერობლიანი ანგელოზის ნახევარფიგურა. კუთხეებში მახარებელთა სიმბოლური სახეებია, ფონზე კი მიმოხეულია რვაბოლოიანი ვარსკვლავები. გარდამოხსნას არშიაზე ვერცხლმკედითა და ოქრომკედით ნაქარგი ასომთავრული წარწერა აქვს, სადაც მოხსენიებულია შემწირველი ქტიტორი: „ქ. შუნიერმან იოსებ ძელისაგან გარდამოხსნა უხრჩნელი გუამი შენი ქრისტე არმენაკითა წმიდითა წარგრაგნა დასნეულებითა შეთანველი ახალსა საფლავსა დაედვა, არამედ მესამე დღესა აღსდგე და მოანიჭე სოფელსა დიდი წყალობა. ღმერთო შეიწყალე აფხაზეთის კათალიკოზი ზაქარია ქვარიანი, ამინ. ამან შეამკო გარდამოხსნა ესე“.



სურ. 2. ქვარიანის გარდამოხსნა (№ 6594)

შემწირველი ქტიტორი – ზაქარია ქვარიანი ისტორიული პიროვნებაა. მის შესახებ ინფორმაცია მრავალ საარქივო მასალაში მოიპოვება: ერთი საბუთის მიხედვით იმერეთის მეფის, გიორგი III-ის გაზრდილი იყო [ქიმ.საბ№139]. მეფეს მისთვის უწყალობებია მამული მწვანეყვავილაზე, ზოგიც შესყიდვით შეუმატებია და იქ მას აუგია მთავარანგელოზის ეკლესია, ციხე-კოშკი, სასახლე და სოფელი [პალ, II:214]. იგი გენათელი ეპისკოპოსის ტიტულს 1637/39 წ-დან ფლობდა. ქვარიანი არაერთგზის იხსენიება რუსი ელჩების – ტოლოჩანოვისა და იველიევის აღწერილობებში. რუსი ავტორები მას მეფის სულიერ მოძღვარს უწოდებენ. გენათელი იყო რუსი ელჩების მასპინძელი და იგი ამავე დროს ყველა მოლაპარაკებაში იღებდა მონაწილეობას, მათ შორის „ფიცის წიგნის“ საბოლოო გაფორმების ცერემონიალსა და ხელმოწერაშიც.

ზაქარია ქვარიანი აფხაზეთის კათოლიკოსი გახდა მას შემდეგ, რაც მისი წინამორბედი მაქსიმე მაჭუტაძე გარდაიცვალა იერუსალიმში 1657 წ. მან აღადგინა კათოლიკოსის რეზიდენციად გელათი. მისი დაკვეთით გელათში 1652-1655 წწ-ში გადაუწერიათ დიდი გულანი, რომელიც მოგვიანებით დავით გარეჯის მონასტერს შესწირეს. გელათის მთავარ ტაძარში დაცულია ქვარიანის ორი ფრესკა ერთი მიტროპოლიტობის, მეორე კათოლიკოსობის დროისა შესაბამისი წარწერებით. კათოლიკოსი გარდაიცვალა 1660 წ. იგი დასაფლავებულია გელათის მთავარი ტაძრის ჩრდილოეთ მინაშენში. ქვარიანის პორტრეტული გამოსახულება დაცულია კასტელის ალბომშიც. გარდამოხსნა, როგორც წარწერა გვაუწყებს ზაქარია ქვარიანის დაკვეთით შექმნილია 1657-1660 წწ. პერიოდში, კათოლიკოსად კურთხევიდან მის გარდაცვალებამდე.

ქრონოლოგიურად იმავე პერიოდს განეკუთვნება კიდევ ერთი ოქრომკედით ნაქარგი **გარდამოხსნა (№ 6667)**, ისიც გელათის მონასტრიდან. გარდამოხსნა შესრულებულია თეთრი აბრეშუმის ქსოვილზე, საქარგავ მასალად გამოყენებულია ოქრომკედი, ვერცხლმკედი, ფერადი აბრეშუმის ძაფები, სარჩულისათვის – თეთრი ბამბის ქსოვილი.

გარდამოხსნის ცენტრში წარმოდგენილია ქრისტეს დატირების სცენა, ოთხივე კუთხეში მახარებელთა სიმბოლოები. კომპოზიციის ქვედა ნაწილში ამოქარგულია სცენა

„მენელსაცხებლე დედები საფლავთან“, რომელიც ფლანკირებულია ქერუბიმების გამოსახულებებით. გარდამოხსნაზე ორი წარწერაა ამოქარგული. პირველი საქტიტოროა, რომელიც ამავდროულად ოლეს წარმოადგენს და ასე იკითხება: „...სახლისა ბატონისა ქაიხოსროს ასულმან თინათინ ხელვყავ გარდამოხსნისა ამის გამომხატვად და შემკობად სულისა ჩვენისა სახსრად და ცოდვათა ჩუენთა შესანდობელად და ძისა ჩუენისა დავითის წარსამართებელად, რათა მეოხ გვექმნა დღესა მას დიდსა განკითხვისას, საუკუნომცა არს ხსენება და კურთხევა მათი, ამინ. ქორონიკონსა ცნბ“. წარწერაში მოყვანილი ქორონიკონი უდრის 1664 წ. სამწუხაროდ, პირთა გვარების მოუხსენებლობა არ გვაძლევს საშუალებას გავარკვიოთ, რომელი სათავადო სახლის წევრთა მიერ მოხდა გარდამოხსნის დამზადება და რომელ ეკლესიას შესწირეს ქტიტორებმა იგი. არც წყაროებსა და დოკუმენტებში გვხვდება რაიმე კონკრეტული მონაცემი მათი იდენტიფიცირებისათვის რომ გამოდგეს.




სურ. 3. გარდამოხსნა (№ 6667) გელათის მონასტრიდან

მეორე, მოგვიანებით შესრულებული წარწერა, მაცხოვრის ლოდზეა მოთავსებული და გარდამოხსნის შეწირვას იუწყება: „ქ. მე მეფე სოლომონ, შევსწირე გარდამოხსნა ესე, მრჩობლთა ცხორებათ ჩემთა წარსამართებელად, დედოფლის მარიამის საოხად. ვინც გოგნს უდაბნოს ეს გამოსწიროს, შეჩვენებული იყოს უკუნისამდე“. გადაჭრით თქმა, თუ რომელ სოლომონ მეფეს გულისხმობს წარწერა, რთულია. ორივე მეფის მეუღლეს ერქვა მარიამი. წარწერიდან პირდაპირ არც ის სჩანს, მარიამი ცოცხალია თუ გარდაცვლილი. თუ ამ დროს დედოფალი ცოცხალი არ არის, მაშინ აქ მხოლოდ სოლომონ I უნდა ვიგულისხმოთ, რადგან სოლომონ II-ის მეუღლე მეფეზე ადრე არ გარდაცვლილა, სოლომონ I-მა კი მარიამის გარდაცვალების შემდეგ გულქან ნულუკიძეზე იქორწინა. არსებობს ერთი გარემოება, რაც ამ შემთხვევაში სოლომონ I-ის „სასარგებლოდ“ უნდა მეტყველებდეს. 1778 წ. იმერეთის მეფის მეუღლე მარიამ დადიანმა გოგნში ააგო ღმრთისმშობლის მიძინების ქვითკირის ეკლესია და დააარსა მონასტერი [ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2007]. ამის გათვალისწინებით სოლომონ I-ის მიერ გოგნის უდაბნოსათვის გარდამოხსნის შეწირვა მოულოდნელი არ უნდა იყოს. ე. თაყაიშვილის მონაცემებით, მარიამ დედოფალი 1778წ. გარდაიცვალა [ძვ. საქართველო, II: 72]. იმავე წლის 28 აგვისტოს კი სოლომონთან ერთად უკვე გულქან ნულუკიძე სცემს წყალობის წიგნს. [დადიანი, 1962:241]. ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული ერთი საბუთის [საბ. №1867] მიხედვით ჩანს, რომ გარდამოხსნის წარწერაში მოხსენიებული „გოგნის უდაბნო“ სწორედ ის მონასტერია, რომელიც 1778 წ. აიგო მარიამ დედოფლის მეოხებით: „გოგნის უდაბნოს წინამძღვარი მოსე ... და კაციელა მხეიძის კაცი გავაბჭვეთ. წინამძღუარმან უჩივლა: მეფე სოლომონმა და მარიამ დედოფალმა უდაბნო ალაშენა, შესწირეს სოჩხეს გლეხები წყალწითელას გამოღმა მიწა ზეით დიდ ნაქცეს დაბლა ქასრას იქეთ წყალწითელამდის ლაფნარის სერს ზეით, შენდა ჩემის კაცის ზიარს ჩამოღმა...“. რადგან გოგნის ტერიტორიაზე სხვა მონასტერი არ არსებობს, ცხადი ხდება, რომ გარდამოხსნა სწორედ 1778 წ. აგებულ

ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარს შესწირა სოლომონ I-მა, მისი დამზადებიდან ერთი საუკუნის შემდეგ. ჩვენთვის ჯერ-ჯერობით უცნობია, როგორ მოხდა ნივთი ბოლოს გელათის მონასტერში.

XVII ს-ის ბოლო მეოთხედით თარიღდება ოქრომკედით ნაქარგი წარწერიანი **ოლარი** (№ 6655) კვერეთის ღმრთისმშობლის ეკლესიიდან. ოლარი დამზადებულია ოქროქსოვილისაგან; დასაქარგად გამოყენებულია ოქრომკედი, ფერადი ძაფები, სარჩულისათვის ზოლებიანი ყანაოზი. ოქრომკედის ფონზე ამოქარგულია გეომეტრიული ორნამენტები ლურჯი, ცისფერი, სპილოსძვლისფერ, ოქროსფერი და შავი ძაფებით, გარს უვლის ორნამენტული ოლე. ოლარს ქვედა ბოლოზე აქვს ასომთავრული წარწერა, რომელიც დაზიანების მიუხედავად, სრულად იკითხება: „გ[ა]ვ[ა]კ[ე]თ[ე]ბინე წ[მინდა]დ ოლ[ა]რი ესე მე, ქართლის ხ[ელ]მწიფის ას[უ]ლმა და თა[ნა]მემ[ცხედრე]მა ამილ[ა]ხ[ვა]რის გივისმა, ბატ[ო]ნის შვილმა თ[ა]მ[ა]რ, ც[ო]დვათ[ა] ჩ[ვე]ნთა შ[ე]ს[ა]ნდ[ო]ბლად და ქმ[არ]შვილთა ჩ[ვე]ნთა ს[ა]დღიგრძელ[ო]და შ[ე]ნ შეინირე მცირე ესე შეს[ა]წირი დედ[ა]ო ღვთის[ა]ო, ქ[ორონი]კ[ონ]სა ტობ.“ დათარიღება 1684 წელია. წარწერაში დასახელებული არიან XVII ს-ის ქართლის სამეფოს ცნობილი ისტორიული პირები, კერძოდ ხელმწიფის ასული ქართლის მეფე ვახტანგ V ქალიშვილია – გივი ამილახვარის მეუღლე, რომელიც გამოკვეთილი ფიგურაა ქართლის თავადებს შორის, არამარტო ვახტანგ V მმართველობის დროს, არამედ შემდეგაც, გიორგი XI-ის მეფობის დროს. ქართლის ცხოვრების თანახმად, ქართლის კათოლიკოს დომენტის გარდაცვალების შემდეგ გიორგი მეფემ „დასუა ძმა გივი ამილახორისა ნიკოლოზ კათალიკოზათ“ [ქართლის ცხოვრება, IV:457]. გივი 1690-იან წლებში მხარს უჭერდა გიორგი მეფეს ერეკლე I-ის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც საბოლოოდ ერეკლეს გამარჯვებით დასრულდა.



**სურ. 4. ოლარი (№ 6655) კვერეთის
ეკლესიიდან**

ხსენებული ოლარი თამარ ბატონიშვილის მიერ ქართლში ფეოდალური ანარქიის გაძლიერების პერიოდში არის შექმნილი. დაფარნა. წარწერაში იგი ღმრთისმშობელს თავისი ქმარ-შვილის დაცვასა და მფარველობას თხოვს და არა შემთხვევით: გივი ამილახვარი ამ დროს ქართლისათვის წარმოებულ ბრძოლებშია ჩაბმული, გარდა ამისა, იმერეთის ტახტის შენარჩუნებისათვის იბრძვის თამარის ძმა არჩილი და, ბუნებრივია, გელათის ღმრთისმშობლისათვის ამ დაფარნის შეწირვა მამისა და ძმის წარმატების სურვილითაც იქნებოდა განპირობებული.

როგორც ვხედავთ, უძველეს ნაქარგობათა ეპიგრაფიკული მასალებისა და ცენტრალურ არქივსა და ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული საბუთების კვლევისა და ანალიზის საფუძველზე იდენტიფიცირებულია წარწერებში მოხსენიებული ქტიტორები და დაზუსტებულია დამზადების თარიღი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, ს. ბურჯანაძის გამოც., თბ., 1962;
2. ენციკლოპედია საქართველო, ტ. III თბ. 2014;
3. თაყაიშვილი ე., ძველი საქართველო, II, 1972;
4. თაყაიშვილი ე., ძველი საქართველო, III, 1913-1914;
5. ლომინაძე ბ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.4, თბ., 1979;
6. ნიკოლეიშვილი მ., ქუთაისის მუზეუმის ეპიგრაფიკული ძეგლები, კრებული XIII, 2001;
7. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ. 2007;
8. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბილისი, 1973.

Nona Kartsidze

Irina Ugrekhelidze

Ancient embroidery from Kutaisi historical museum

Summary

The article discusses the works of art preserved in the Kutaisi Historical Museum – reviewing the inscriptions on ancient embroidery and various sources (archival documents, manuscript documents, special literature). In article is discussed about the items containing epigraphic materials, such as the golden pearls and the alternatives. These monuments belong to the end of the XVI century and the XVII century.

**დიმიტრი მელვინეთუხუცესი და ტაო-კლარჯეთის
კვლევის საკითხი**

დიმიტრი მელვინეთუხუცესი ქართველ ისტორიკოს-თა პირველი თაობის წარმომადგენელია. ბიოგრაფიული მონაცემების თანახმად, მას უმაღლესი განათლება არ მიუღია, დაამთავრა თბილისის გიმნაზია იურიდიული განხრით. მოგვიანებით, სათანადო სამხედრო განათლების მიღების შემდეგ, მან მონაწილეობა მიიღო შამილის წინააღმდეგ ბრძოლებში. ჩრდილო კავკასიაში ანდისა და დარგოს სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობისთვის დიმიტრი მელვინეთუხუცესი წმ. სტანისლავის მეოთხე ხარისხის ორდენით დააჯილდოეს. ეს იყო მისი ბოლო მონაწილეობა სამხედრო ოპერაციაში. მან სამხედრო კარიერაზე უარი თქვა და 1845 წელს გორის სასამართლო კანცელარიაში დაიწყო მუშაობა.

დარგოს სამხედრო ოპერაციას დიმიტრი მელვინეთუხუცესმა ორი ნაშრომი მიუძღვნა. სწორედ აქ გამოვლინდა მისი ნამდვილი მისწრაფება-წარსულისა და აწმყოს მეცნიერული შესწავლა. როგორც ჩანს, მან ეს ნაშრომები ყურადღების ღირსად მიიჩნია, რადგან მარი ბროსეს მისწერა: „ჩემგან აღწერილი ანდიისა და დარლოს პახოდი 1845 წელსა მზათა მაქვეს გადათარგმნილი რუსულად. მერე ამასაც მოგართმევ.“ (მარი ბროსე, პირადი მიმოწერა, გვ. 283.). ამ ნაშრომის შემდეგ იგი აქტიურად ჩაება ისტორიოგრაფიულ საქმიანობაში, კერძოდ, დაინტერესდა ქართული სიძველეებით. ამ პერიოდს უკავშირდება მისი საქმიანი მეცნიერული ურთიერთობა აკადემიკოს მარი ბროსესთან. იოსებ ალიმბარაშვილის ვარაუდით, მარი ბროსეს დიმიტრი მელვინეთუხუცესი გააცნო მისმა სიძემ, გენერალ-მაიორმა იოსებ მამაცაშვილმა 1848 წელს (იოსებ ალიმბარაშვილი,

დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილი, ცხოვრება და მოღვაწეობა, გვ.35). მაშინ დიმიტრი მელვინეთხუცესი მხოლოდ 33 წლისა იყო. ამ გაცნობამ სათავე დაუდო ფრანგი სწავლულისა და ქართველი ისტორიკოსის ინტენსიურ მეცნიერულ თანამშრომლობას. დიმიტრი მელვინეთხუცესი მარი ბროსეს სისტემატურად უგზავნიდა თავისი საველე სამუშაოების შედეგებს-მოგზაურობების აღწერილობებს და ძეგლების პირებს. მარი ბროსე ამ მასალას ფრანგულ ენაზე თარგმნიდა და თავის მიერ დაარსებულ „რაპორტებში“ აქვეყნებდა. ასე ჩამოყალიბდა კანცელარიის მოხელისგან განსწავლული, მეცნიერული კეთილსინდისიერებით სავსე წყაროთმცოდნე და ისტორიკოსი. მარი ბროსე მას თავის სრულყოფილ თანამოსაქმედ მიიჩნევდა და მოუწოდებდა: „სხვებზე იმედი მაქვს, არ დაგავინწყდება საქართველოს სიძველეთა მეძიებლობის სიყვარული და შემწე იქნები ამაში არა მხოლოდ სურვილისა და შრომისა ჩემისა, ნამეტნავად მამულისა თქვენისა დიდებისა და სახელის“ (მარი ბროსე, პირადი მიმოწერა, გვ.76).

მარი ბროსე სრულ ნდობას უცხადებდა და წარწერების საეჭვო ადგილების თავიდან ამოკითხვას მას სთხოვდა. მათს მიმოწერაში ხშირად გვხვდება მსგავსი შემთხვევები. დიმიტრი მელვინეთხუცესის ამ საქმიანობას მალე მოჰყვა სამეცნიერო წრეებში მისი აღიარება. მარი ბროსესთვის მიწოდებული ფასეული ინფორმაციებისთვის 1949 წელს იგი დაუჯილდოებიათ პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო სიგელით. მარი ბროსესავე შუამდგომლობის თანახმად, დიმიტრი მელვინეთხუცესი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგ-მაძიებლად მიუღიათ. მოგვიანებით იგი გეოგრაფიული საზოგადოების წევრად აირჩიეს. მარი ბროსემ ტაო-კლარჯეთში სამოგზაუროდ შესაფერის კანდიდატურად სწორედ ამ საქმიანობის გამო შეარჩია იგი.

მარი ბროსესა და დიმიტრი მეღვინეთუხუცესის მიმონერის მიხედვით, ისინი ტაო-კლარჯეთის მკვლევართა პირველ თაობას უნდა მივაკუთვნოთ. მარი ბროსეს წერილების თანახმად, მეცხრამეტე საუკუნის ორმოციან წლებში უკვე აღძრულია ტაო-კლარჯეთის სიძველეების ადგილზე შესწავლის საკითხი. „ამავე დროს აკადემია წარუდგენს კნიაზ ნამესტნიკსა (მიხეილ ვორონცოვი – ე. ქ.), მოსწონს თუ არა თქვენი გაგზავნა ექვს თვეს ჯამაგირით, – სწერს მარი ბროსე დიმიტრის, – ჩემი აზრი ეს არის, რომ ორი ქვეყანა ძალიან ღირსია ნახვისა: ა) სამზღვარს გარეთ დანარჩომი ახალციხის საფაშოს ადგილები, არტანკოლა, ერუშეთი, კლარჯეთი და სხვა. იმისთვის, რომ ეს ადგილები ბაგრატიონთ მეფეთა აკვანი იყო და იქ უთუოთ იპოებიან პირველნი მოსახსენებელნი საქართველოს ხალხისა. შემატყობინეთ, როგორ მოგწონს ჩემი განზრახვა და გულით შეგენევი“ (მარი ბროსე, პირადი მიმონერა, გვ. 64).

1849 წლის 17 მარტით დათარიღებული წერილით დიმიტრი მადლობას უხდის მას და წასასვლელად მზადყოფნას უდასტურებს: „მე დარწმუნებული ვარ თქუენის ჩემდამო მამობრივის მოწყალებისაგან ჩემთვის ცუდს არას მოინდომებთ. უცხოა თქუენი ჰაზრი . დიდათ მობარული და მზა ვარ ყოველთვის“ (მარი ბროსე, პირადი მიმონერა, გვ. 284).

ამ მოგზაურობის იდეა ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდა წინ. იმავე წლის 26 მარტის წერილით მარი ბროსე აცნობებს: „ამ დღეებში დასწერა აკადემიამ ნამესტნიკისათვის, რომ თუ შეიძლება, ნება მოგცეს მოგზაურობისა 6 თვე და ფულიც. არ ვიცი როგორ გადაწყდება ეს საქმე. თუ თანახმა იქნება ნამესტნიკი, დაგინერ ადგილების სიასა, რა და როგორ, სად უნდა წახვიდეთ და ნახოთ. უეჭველად ბევრს რასმე იშოვნით, სახელიც გექნება და პატივი დიდი“ (მარი ბროსე, პირადი მიმონერა, გვ. 65).

მიხეილ ვორონცოვის კანცელარიაში წერილის მისვლით გახარებული დიმიტრი მეღვინეთუხუცესი მარი ბროსეს სწერს: „წარსულის ფოშტით მიიღო სუღმა, სადაცა ვმსახურებ მე, საფონოვისაგან ქალაღდი ნამესტნიკის ბრძანებით, როგორც მწერთ, ჩემს მოგზაურობაზედ. დღეის სწორსვე იმედი მაქვს მივიღო დათხოვნა. მე აღარ დავკარგავ ამაოდ დროს. მაშინვე შეუდგები საქმეს და ვინყებ მოგზაურობას ღვთით. გთხოვ უმორჩილესად, ის სია და დარიგება დროით მიბოძოთ გორს“ (მარი ბროსე, მიმონერა, გვ.285). ივლისის ბოლოს მარი ბროსე დამატებით აცნობებს : „ახლა აქ იყო უფალი ს.საფონოვი და ნამესტნიკიცა, რომელთა მიერ შევიტყვე მათის ნებართვითა თქვენი წასვლა მალე მტკვარს იქითაც და ძველს ახალციხის საფაშოში. ამისთვისცა დაგინერე ამასთან შეერთებული ინსტრუქცია სრული რუსულად. წაიკითხეთ და აღასრულეთ. ხშირ-ხშირად წიგნი დამინერეთ, საღითლა შემძლებელობა გქონდეს“ (მარი ბროსე, მიმონერა, გვ.68). დეკემბრის ბოლოს დიმიტრი მეღვინეთუხუცესი მარი ბროსეს აცნობებს, რომ მიხეილ ვორონცოვის დავალებით ხაზინის პალატამ სამოგზაურო თანხა გამოუყო და ფულის მიღებისთანავე გაემგზავრება. „მე ჩემს შრომას არაოდეს დავზოგამ. სხვა არა მინდა რა, არც ჩინი, არც ჯვარი, არც მადლობა, ცარიელი ფულით შემწეობის მეტი, რომლითაც მქონდეს ღონისძიება შევკრიბო , რაიცა საქართველოს ღირსი სახსოვარია მიფარებული,“ – სწერს იგი მარი ბროსეს.

1850 წლის 30 იანვრის წერილით მარი ბროსე დაწვრილებით ესაუბრება მოგზაურობის პერიპეტიებზე: „ვინაიდგან დაგინერეთ სამოგზაურო ინსტრუქცია, წავიკითხე ნემეცისა კოხის მოგზაურობა ქოროხისა ხეობაში და მტკურის სათაოში. ეს არიან ადგილები, სად უშოვნია კოხსა ზედწარწერილობაები რამე: ისპირას(სპერს) ციხის კარზედ და ციხის კედელზედ და ცი-

ნის პატრონის სასახლეზედ; სამი არტანის ციხის კარზედ, დორთ-ქილისას საყდრის კარზედ, კოლას მაზრაშიდ არის, მტკურის სათაოზედ. ახლა ღმერთმა წარგიმართოს მოგზაურობა. გონებითა და გულითა წარგყვების თქვენი გულითადი მეგობარი ბროსე “ (მარი ბროსე, მიმოწერა, გვ .70).

ასე ყოველმხრივ მომზადებული ეს მოგზაურობა ვერ განხორციელდა, მაგრამ თავად ფაქტია მნიშვნელოვანი ტაო-კლარჯეთის კვლევის ისტორიისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მარი ბროსე, პირადი მიმოწერა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ეთერ ქავთარაძემ, თბილისი, 2016;
2. იოსებ ალიმბარაშვილი, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბილისი, 2016.

Eter Kavtaradze

Dimitri Megvinetukhutsesi and research issue of Tao-Klarjeti Summary

Dmitry Megvinetukhutsesi is the representative of the first generation of Georgian historians. According to biographical data, he did not receive higher education, graduated from Tbilisi Gymnasium in legal field. He has made a great contribution to the Tao-Klarjeti research work, which is discussed in the presented work.

*შოთა მამულაძე
ემზარ კახიძე
კახაბერ ქამადაძე
სულხან მამულაძე*

**ტრაპიზონიდან გაიზურთ-ერზრუშისაკენ
მიმავალი ძველი გზები და ზოგიერთი
საფორტიფიკაციო ნაგებობანი**

*ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სა-
მეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის „ისტორიული ქანეთის
ცენტრალურ ნაწილში დაცული ქართული
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები-ს“ ფარგლებში
საგრანტო პროექტი N217910*

ისტორიულ ხალდია (ქალდია), ძირითადად, თურქეთის რესპუბლიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე გუმუშჰანეს (ძვ. არგიოპოლისი) პროვინციას (ილი) შეესაბამება. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ ისტორიული ქალდია უფრო ფართო ტერიტორიებს (ცენტრით ტრაპეზუნტში) შეესაბამება და ჩვენთვის საინტერესო რეგიონს შეიძლება შიდა ქალდია ეწოდოს, რომელსაც თანდათანობით ჩამოშორდა მაჭუკა, პალეომაჭუკა, არხაკელის და მოგვიანო სამცხე-საათაბაგოს მიწები, ბაიბურთის ველი და საკუთრივ ტრაპიზონი ქერიანას რეგიონითურთ (Bryer, Winfield, 1985: 299).

გუმიშხანეს რეგიონს ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდ. პრიტანისის (თან. დელირმენდერე) აყოლებაზე სერიოზული საფორტიფიკაციო ხაზი იცავდა. ყველაზე მნიშვნელოვანი ნაგებობა იყო ზიგანას ციხე-სიმაგრე, რომელიც აკონტროლებდა მისივე სახელობის უღელტეხილს. ამ უღელტეხილით დელირმენდერედან ხარშიტის (ძვ. კანისი) ხეობაში არის გადასასვლელი. უშუალოდ ციხემდე აქ სასიგნალო ციხე-კოშკების მთელი წყებაა. ზიგანას მნიშვნელობა არა მარტო საფორტიფიკაციო, არამედ სხვა ტიპის ნაგებობებიდანაც იკვეთება. მაგალითად აქ გვხვდება ქარავან-სარაი, რომელიც, მეჰმედ II მიერ ამ რეგიონის დაპყრობიდანვე (1479-1480 წწ) მოკლე დროში, მე-15-16 სს მიჯნაზე ააგეს. აქვეა მოსასვენებელი სახლი, ხანი (Bryer, Winfield, 1985: 297). ყველაფერი ეს

მიგვანიშნებს, რომ ამ რეგიონში გამავალი სავაჭრო გზას სტრატეგიული და ეკონომიკური დანიშნულება ჰქონდა. ზიგანას ქედი და დელირმენდერეს ხეობებზე გამავალი გზები თავისუფლად აკავშირებდა ტრაპიზონსა და კერასუნტს პონტოს მთებს გადაღმა არსებულ გუმუშპანესთან, ბაიბურ-თთან და სხვა რეგიონებთან.

ზიგანას შემდეგ ამ გზაზე მომდევნო საფორტიფიკაციო ნაგებობა თორულის ციხეა (ძვ. არდასა). ესპანელი ელჩი კლავიპო, რომელიც არდასას შეცდომით კადაკად (Cadaca) მოიხსენიებს, გვაძლევს ამ ციხის ადგილმდებარეობის აღწერას (Estrada, 1943: 80). დღესაც ციხესთან გამავალი გზა ვინროვდება, ვინაიდან აქ ერთის მხრივ მდინარე ხარშიტია, ხოლო მეორეს მხრივ კლდე, სადაც ნამოჭიმულია ციხე. თანამედროვე ბერძენი კომენტატორები თორულის ციხეს მიქაელ პანარეტოსთან მოხსენიებულ მეზობალდიასთან (Chron.,74) აიგივებენ, სადაც ალექსი III და მისი ოჯახობა ეპიდემიას გამოექცა (1362 წ), თუმცა ამ ჰიპოთეზას ბრაიერი და ვინფილდი არ ეთანხმებიან მას შიდა ქალდიის კარიბჭედ მიიჩნევენ (Bryer, Winfield, 1985: 302).

ციხე აგებულია ზღვის დონიდან 1112 მ. იგი დაშენებულია კლდის თავზე, მდ.ხაშიტის ჩრდილოეთ ნაპირზე **(ტაბ. I/1-2)**. მთავარი შესასვლელი საკმაოდ ფართო ყოფილა, ისე რომ მასში ცხენით შეიძლებოდა შესვლა. შემორჩენილია ბილიკის ნაშთები, რომელიც მას ირგვლივ მიჰყვებოდა. ბილიკის ზემოთ დაცულია კედელი, რომელშიც ხის კოჭებისათვის ხვრელებია დატანილი. როგორც ჩანს იგი თავის დროზე ხიდისათვის ყოფილა განკუთვნილი, რომელიც კოშკისაკენ მიემართებოდა. შემორჩენილი კოშკი 10 მ სიგრძისაა და თანამედროვე ქალაქიდან 100 მ მაღლა კლდოვან ფერდობზეა აშენებული. კოშკის აღმოსავლეთით მდებარე კარი დღესდღეისობით დანგრეულია. ამ დროისათვის მასში ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შეისვლება. დასავლეთით მდებარე სალ კლდეებზე აშენებული კედლების ნახევარი დღემდეა შემორჩენილი. ცენტრალური გზის მხარეს მდებარე კედელი თლილი ქვებით და ქვის ნატეხებით არის ნაშენი. კოშკის ქვემოთ კლდეში ამოკვეთილი სათავსია. ციხე ნაგები ყოფილა არანესიერი წყობით. უხეშად დამუშავებული ქვებით

კირხსნარზე. სამშენებლო ტექნიკითა და არქიტექტონიკით ციხე აგებული უნდა იყოს შუასაუკუნეებში. მისი აშენების მიზეზი სტრატეგიული დანიშნულებაა, კერძოდ ტრაპიზონი-გუმუშჰანესა და კანის-პრიტანისის ხეობათა გზების გაკონტროლება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობა ქეჩი კალე მდებარეობს გუმუშხანეს აღმოსავლეთით, 25 კმ-ში, ბაიბურთისკენ მიმავალი გზის ჩრდილოეთით. არაა გამორიცხული ის მიქაელ პანარეტოსის მეზობალდიას (Chron., 24) და მე-17 ს კოუაზის (თან. კოვანს ქოიუ) საეპისკოპოსოს (ChP, 15-16) შეესაბამებოდეს. უნდა აღინიშნოს რომ კოუაზის საეპისკოპო იგივე ლერის საეპისკოპოა, სადაც რეგიონისთვის ასე დამახასიათებელი აია სოფია მდებარეობს ციხიდან ჩრდილოეთით, 5 კმ-ში, თან. კაბაქოიში.

ციხე აღმართულია ზღვის დონიდან 1627 მ და ხეობიდან 250 მ სიმაღლეზე აზიდულ კოუაზის მთის წვერის კლდოვან ქანზე (ტაბ. II/1-2). მის გეგმას სწორედ კლდოვანი ბორცვის კონფიგურაცია განსაზღვრავს. იგი დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. სამხრეთიდან 200 მ და ჩრდილოეთიდან 150 მ მანძილზე შემოსაზღვრულია ფრიალო კლდით.

ციხეს მისასვლელი ორი მხრიდან აქვს. დასავლეთით არსებული გზით ციხეში შესვლა უფრო ადვილია, მაგრამ შესასვლელი კარები აღმოსავლეთით აქვს. კლდეზე აშენებული ციხის ფართობია 78X27 მ. ყველაზე ვიწრო ადგილი 16.90 მ-ია. დიდი ქვებით აშენებული სარტყლები, ჯერ კიდევ კარგ მდგომარეობაშია. კლდის კედლის სიგრძე ადგილ-ადგილ 5-15 მ-ია, სისქე 1,50 მ. დასავლეთის კედელზე ფიცრისა და ქვის ნაერთით ლამაზად აშენებული კედელია. ციხის სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილებში სათავსოებია. 1. სათავსო 10X3,70 მ, ეს მთლიანად დიდი ქვებითა აშენებული. 2. სათავსო 6 X4,4 მ-ია. მათ კედლებად კლდეა გამოყენებული (ჩამოთლილი). ციხის დასავლეთით ორსართულიანი ბურჯია. ზედა ნაწილში აღმოსავლეთით გაჭრილი ფანჯარა მდებარეობს. შენობის დასავლეთით დაახლოებით 15 მ სიგრძის ბუნებრივი კლდის ნაწილი, შესანახ სამალავს წარმოადგენს.

სამალავის შესასვლელში შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი კედელია აშენებული. ეს კედელი კი სათავსოდ გამოიყენება.

გამოიყოფა მშენებლობის რამდენიმე პერიოდი. ყველაზე ადრეული – ქვედა ციხის კედლები ბიზანტიური ხანის უნდა იყოს, დანარჩენი კი ტრაპიზონის იმპერიის დროინდელი. დასავლეთი კოშკი კიდევ უფრო გვიანდელია. შესაძლებელია 1829 წ. რუსული ოკუპაციის დროინდელიც კი (Bryer, Wienfiled, 1985: 312). ტ. სინკლერი, რომელიც ციხის გადარჩენილ კედლებს მე-14 ს. ათარილებს, არ გამოორიცხავს, რომ მისი აგება ბიზანტიელების მოსვლამდე მომხდარიყო (Sinclair, 1989: 13). შესაძლებელია ადრეული საამშენებლო დონე, ადგილობრივ, ქანურ მოსახლეობას დავუკავშიროთ. ფაქტობრივად, ამის ალბათობას ბრაიერი და ვინფილდი ქალდიისადმი მიძღვნილ ზოგად მიმოხილვაში, 22-ე თავის შესავალში რეგიონის ყველა მნიშვნელოვანი ციხის მიმართაც არ გამოორიცხავენ (Bryer, Wienfiled, 1985: 301).

ციხესთან ახლოს მდებარე სოფ. ქვედა ჰურუსუფლას (Hurusüfla) სამხრეთით, 3,2 კმ დაშორებით არის კარგად ნაშენი მოპირკეთებული ქვებისაგან შედგენილი კედლების ნაშთები. როგორც ამბობენ, აქ ყოფლა ციხე. ირგვლივ ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩენილა ბრინჯაოსა და ოქროს მონეტები, ტერაკოტა, წყლის მილები რაც აქ რომალების არსებობაზე მიუთითებს. უხუცესებს ახსოვთ ტრაპიზონიდან მომავალი და ასევე გუმუშხანედან ერზიჯანამდე აქ გამავალი ძველი გზა. იგი შემდეგნაირი მარშრუტის ყოფილა: ჰურუსუფლა (Hurusüfla) – კოსე (Köse) – ჰავჯიში (Havcı) – კილიჩი (Kiliçi) – სადაკი (Sadak) (Mitford, 2018: 354-355).

ქეჩი კალესთან ახლოს სოირან დერეს ხეობაში (Soyran Dere), რომელიც ხარშიტს უერთდება საზაფხულო და საზამთრო გზების კვეთაში არის დაფიქსირებული ზინდალარის ციხის ნაშთები (Zindanlar Arazi). ციხე მდებარეობს ვიწრო შემალლებულ ადგილზე. იგი ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვებით. მისგან ჩრდილეთით 30 მ-ში, სოირანის ხეობისაკენ შემორჩენილია მრგვალი კოშკის ნაშთები. მისი დიამეტრი 3 მ-ია, ხოლო სიმაღლე 8 მ. როგორც ჩანს, აქ უნდა ყოფილიყო ხუთკუთხა (პენტაგონალური) გეგმის ციხე. მისი ზომები უნ-

და ყოფილიყო: 80x60 მ, რომელიც კომკთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ციხეს კიდევ ორი კოშკი უნდა ქონოდა კუთხეებში. ჩრდილოეთით ციხის კედელი 5 მ სიმაღლის ბუნებრივ კლდეზეა დაშენებული. ციხის შიდა სივრცე საკმაოდ ფართოა. აქ უნდა ყოფილიყო ადგილი, სადაც ქარავანი შეისვენებდა და აქვე უნდა ყოფილიყო თავშესაფარი. გადარჩენილი ფრაგმენტების მიხედვით ჩანს, რომ აქ უნდა ყოფილიყო სოფელი არაუადრეს იუსტინიანეს პერიოდიდან და არაუგვიანეს 10 ს-დან. ზინდანლარის ნაშთები დაკავშირებული უნდა ყოფილიყო საზაფხულო გზასთან, რომელიც ერზრუმიდან მომართებოდა, განსაკუთრებით კი სატალადან მურასანოლულარისაკენ (Murathanoğulari) მომავალ გზასთან (Mitford, 2018:355-359).

მნიშვნელოვანი გზა გადიოდა იურთლარის ხეობაშიც (Yurtlar dere). აქ გამავალ გზას აკონტროლებდა სწორედ ალა კალესის ციხე (Ağa Kalesi). მისი შიდა ტერიტორია დაფარულია ხეებით და თითქმის მთლიანადაა დანგრეული. ციხე თავის დროზე მართკუთხა გეგმის ყოფილა. შემორჩენილი ზომები დაახლოებით 65x25 მ-ია. კედლები ამოყვანილი ყოფილა კირხსნარის გარეშე მდინარის ქვებით. გადარჩენილია მხოლოდ ორი კვადრი. ფიქრობენ რომ ეს ციხე შეიძლება იყოს კორბულონის მიერ განახლებული პრაესიდია (Praesidia), რომელიც ტრაპიზონისაკენ მიმავალი გზების დასაცავად აიგო (Mitford, 2018:354-355). ამავე ხეობის სათავეებში ფიქსირდება ჰურის ციხის ნაშთები (თანამედროვე სოფ. ბეიჩამში), რომელიც საძირკვლის დონემდეა მორღვეული. შემორჩენილ ნაშთებზე ზედაპირული დაკვირვებით ციხე ადრებიზანტიურ პერიოდში ჩანს აგებული.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გზა რომელიც გუმუშხანეს რეგიონში გაივლიდა იალლი დერეს ხეობის გზაა. იგი როგორც მნიშვნელოვანი სავაჭრო-საქარავნო მარშრუტი 1930-იან წლებამდე გამოიყენებოდა. იგი გაივლიდა შემდეგ პუნქტებს: ტრაპეზუნტი (ტრაპიზონი) (Trapezunta, Trabzon) – მაშჯიჩიჰანი (კარაკაბანი) (Maşciĥani, Karakaban) – მაგნანა (Magnana)-კოლასანლარი (Kolathanlari) – ბილაე (Bylae (Bile)) – ანზარიაჰანლარი (Anzaryahanlari)-ერგიდარიუმი

(Ergidarium) – მადენჰალარი (Madenhalari)-პატარა (პეტრა) (Patara (Petra))-ალიარლარის იგივე იაილას (Yayla) საძოვრები (იმერას ზემოთ) (Ağyarlar Pastures) – მედოკია (Medocia) – ლერი (Leri) – სოლომენიკა (Solomenica) – ძველი კოსე (Eski Köse) – დომენა (Domena) – სადაკი/სატალა (Sadak/Satala) (Mitford, 2018: 348-349). სწორედ ამ მნიშვნელოვან მაგისტრალს აკონტროლებდა კრომნის ციხე, რომელიც კოლატის მთების ყველაზე შემალლებულ ადგილზეა აშენებული. მკლევარების მიერ კოლატი იდენტიფიცირებულია, როგორც პონტოს კარი, ანტიკური Pylae, ტაბულა პეუტინგერიანას Bylae. აქაა სწორედ აღმოჩენილი რომაული კასტელუმის ნაშთები, რომელიც ერთადერთია სატალასა და ტრაპიზონს შორის არსებულ გზაზე. ეს კარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო და ცნობილია აგრეთვე როგორც ბაღდადის, აბრეშუმის და საქარავნო გზის სახელწოდებით (Mitford, 2018: 370).

შიდა ქალდიისკენ მიმავალი ან გამავალი გზები თავს მაინც გუმუშხანეში, უფრო სწორად მის ძველ დასახლებაში, სულეიმანიაში იყრიდნენ, სადაც რეგიონის ყველაზე ცნობილი საფორტიფიკაციო ნაგებობა – ჯანჯას (ჭანიკას) ციხეა. ის გუმუშხანეს ჩრდილო-დასავლეთით 2 კმ დაშორებით, აგებულია მდ. ხარშიტის სამხრეთ ნაპირზე, სანაპიროდან დაახლოებით 400 მ სიმაღლეზე აზიდულ წაგრძელებულ კლდოვან ბორცვზე. ციხე აკონტროლებს ტრაპიზონ-გუმუშხანეს დამაკავშირებელ სახმელეთო გზას.

ციხის გეგმას კლდოვანი ბორცვის კონფიგურაცია განსაზღვრავს. იგი დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და ტერასისებურადაა განლაგებული (**ტაბ.III-IV**). ციხეში ასვლა მდინარის მხრიდან, ანუ ხეობიდან შეიძლება. მისი ძირითადი კედელი სამხრეთით უფსკრულია, ჩრდილოეთი კი ხეობის მხარეა. ციხე აღმოსავლეთ-დასავლეთით ერთმანეთის მიყოლებით 2 ნაწილისაგან შედგება. მთლიანი ფართობი 230x30 მ-ია. კედლის სიგანე 1,50 მ. ციხეში მოხვედრა მხოლოდ და მხოლოდ დასავლეთის მხრიდან იყო შესაძლებელი. ამ მხარეს არსებული გალავნის კედლის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში პირველ ტერასაზე შესასვლელი კარია გაჭრილი (**ტაბ.III/2**). კარგადაა შემონახული ციხის გა-

ლავნის დასავლეთი კედელი. მისი მაქსიმალური სიმაღლე 10 მეტრამდე აღწევს. იგი სამხრეთით 8 მეტრ მანძილზე გრძელდება და შემდეგ ბუნებრივი კლდეს ერწყმის. ჩრდილოეთის კედლის ცენტრალური ნაწილი საძირკვლის დონემდეა მორღვეული. შედარებით კარგადაა გადარჩენილი მისი უკიდურესი აღმოსავლეთი მონაკვეთი, სადაც დაცული კედლების მაქსიმალური სიმაღლე 8 მეტრს აღწევს. პირველ ტერასაზე, ცენტრალური შესასვლელის წინ ჩრდილოეთ კედელთან ახლოს, მდებარეობს კლდეში ამოკვეთილი ნაგებობა (ზომები:4.10X4.10 მ). იგი კასრისებრი მოყვანილობისაა და კირხსნარით შელესილი თალითაა გადახურული. მისი ქვედა ნაწილი ამჟამად შევსილია ჩანაყარი მასით. არაა გამოორციხული იგი გამოყენებული ყოფილიყო წყლის ან სურსათის შენახვისათვის (**ტაბ.IV/2**).

ყურადღებას იქცევს ციხის ცენტრალური შესასვლელის მარცხენა მხარეს წინ გამოზიდული კლდოვანი ქანის ბორცვზე შემორჩენილი წყობის ნაშთებიც. არაა გამოორციხული აქ თავის დროზე გამართული კოშკის ნარჩენები იყოს. ამ მონაკვეთიდან შესაძლებელი ხდებოდა ციხის ცენტრალური შესასვლელის ჩაკეტვა-გაკონტროლება. ციხის გალავნის კედლებს და მის შიდა სივრცეში არსებულ ნაგებობებს ემჩნევათ სხვადასხვა დროში ნგრევისა და აღდგენის კვალი.

პირველი ტერასის აღმოსავლეთით არსებული კედელი ციხეს ორ ნაწილად ყოფს. იგი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენაა დამხრობილი. მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გაჭრილია მეორე ტერასაზე ასასვლელი კარი. მეორე ტერასა სამხრეთითა და აღმოსავლეთით დაცულია მკვეთრად დახრილი კლდოვანი ქანებით. ციხის ამ მონაკვეთის შედარებით დაუცველი მხარე ჩრდილოეთით ყოფილა. ამიტომაც ციხის მშენებლებს ყველაზე მეტად ტერასის ეს მხარე გაუმაგრებიათ. დღეისათვის გალავნის კედლის ეს მონაკვეთი საძირკვლის დონემდეა მორღვეული და მხოლოდ აქა-იქაა შემორჩენილი ნაშთები. ზედა ტერასა ქვედასაგან 10 მეტრით მაღლა მდებარეობს და უფრო დიდ ფართობს მოიცავს. იგი ციხის ყველაზე დაცული ნაწილია. მის შიდა ტერიტორიაზე გვხვდება სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები. მათ შორის აღსანიშნავია ორი სამლოცველო.

პირველი მათგანი მდებარეობს ციტადელის სამხრეთ ნაწილში, ფრიალო კლდესთან ახლოს (**ტაბ.V/1**). ეკლესია დაზიანებულია, შემორჩენილია აფსიდა და ჩრდილოეთი კედლის დიდი ნაწილი. ნაწილობრივ დაცულია დასავლეთი კედლის ჩრდილოეთი ნაწილიც. რაც შეეხება დასავლეთი კედლის დანაჩენ მონაკვეთს და სამხრეთ კედელს, საძირკვლის დონემდეა მორღვეული. ჩანს, რომ ეკლესიას შესასვლელი ჰქონდა დასავლეთის მხრიდან. შემორჩენილია კარის ნირთხლი. დღემდე მოღწეული კედლების მაქსიმალური სიმაღლე 4,80 მ აღწევს. ეკლესიის სიგრძე 6,27 მ-ია, სიგანე – 3,63 მ. დაცულია ასევე აფსიდის კედელში დატანილი სარკმელიც. სარკმლის ნაშთები ჩანს ჩრდილოეთ კედელშიც. კედლები ნაგებია საშუალო და მოზრდილი ქვებით, რომელთა გარე ზედაპირი ჩამოსწორებულია. შემორჩენილი ნაშთების მიხედვით ჩანს, რომ იგი შელესილი იყო და ფრესკებით ყოფილა მოხატული. მათი კვალი დღემდეა შემორჩენილი აფსიდაში და ნაწილობრივ ჩრდილოეთ კედელზე.

როდესაც ციხე და ეკლესია ინგლისელმა მკვლევარებმა ბრაიერმა და ვინფილდმა მოინახულეს ფრესკები ჯერ კიდევ კარგად იკითხებოდა. მკვლევარების აღწერით საკურთხეველში მოხატული იყო აღმოსავლეთის მიმართულებით მომზირალი 6 წმინდანი. აფსიდის ცენტრში სარკმლის ზემოთ ქრისტეს ფიგურა იყო გამოსახული, ხოლო ქრისტეს გვერდით, მარჯამ ღვთისმშობლისა. ოთხი ფიგურა იყო დატანილი ჩრდილოეთ კედელზეც. მათგან აღმოსავლეთით მდგომნი წმინდანი ჯარისკაცების ხოლო, დასავლეთით წმ. კონსტანტინე და წმ. ელენე. კიდევ ორი წმინდა ასკეტის ფიგურა ყოფილა დასავლეთ კედლის ჩრდილოეთ მხარეს. დასავლეთის ნირთხლზე შემორჩენილი იყო აღმოსავლეთის მიმართულებით მომზირალი ანგელოზების გამოსახულებებიც (Bryer, Winfield 1985: 310-311).

მეორე ეკლესია ტერასის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს (**ტაბ.V/2**). იგი საინტერესო არქიტექტურულ ძეგლს წარმოადგეს. პირველ სართულზე გამართულია მოზრდილი სათავსო. მისი სიმაღლე 2 მ-ია. ჰქონია თაღოვანი გადახურვა. მისი შიდა სივრცე შელესილია. როგორც ჩანს, თავის დროზე ამ თაღოვან გადახურვაზე მთელს სივრცეში გამართული იყო ეკ-

ლესიისათვის იატაკი, ხოლო შემდეგ იგივე სათავსოს გარე კედლებზე დაუშენებიათ ეკლესია. გეგმა კარგად იკითხება. მისი ზომებია: 5,5x4,81 მ. შედარებით კარგადაა შემონახული აფსიდის მხარე, ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლები. დასავლეთი მხარე ჩამონგრეულია. ეკლესიის სიმაღლე სათავსოსთან ერთად 4,99 მ-ია. ეკლესიაცა და სათავსოც თანადრული ნაგებობა ჩანს. კედლების წყობა არათარაზულია. აქაც გამოყენებულია დიდი და საშუალო ზომის გვერდებჩამოსწორებული ქვები. აქა-იქ გხვდება კარგად დამუშავებული ნიმუშებიც. პირველი ეკლესიის მსგავსად, ესეც მოხატული ყოფილა ფრესკებით. მათი კვალი შემორჩენლია სამხრეთ, დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებზე. ბრაიერისა და ვინფილდის მიხედვით ეკლესია მოხატული ყოფილა წმინდანთა, მოციქულთა და ანგელოზთა ფიგურებით. აფსიდაში ყოფილა ღვთისმშობლის ფიგურაც (Bryer, Winfield 1985: 310-311).

უნდა აღინიშნოს რომ, ციხე და მის ირგვლივ განლაგებული დასახლება (სულიმანია) რეგიონის უმნიშვნელოვანესი საფორტიფიკაციო და ეკონომიკური ცენტრია. იგი უშუალოდ აკონტროლებდა ძველ გუმუშხანესკენ და აქედან სხვადასხვა მიმართულებით გამავალ გზებს. მისი მშენებლობა ადგილობრივი ჭანური მოსახლეობის სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული. მოგვიანებით იგი სტრატეგიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, გამოიყენეს და შესაბამისად აღადგინეს ბიზანტიელებმა და ოსმალებმა.

ლიტერატურა

1. **Bryer, Winfield, 1985:** Bryer, A. and Winfield, D. The Byzantine monuments and topography of Pontus, 2 vols. Washington
2. **Estrada, 1943:** Estrada, F.L. Ruy Gozzalez Clavijo, Embajadaa Tamorlan. Madrid
3. **Mitford, 2018:** Mitford, T.B. East of Asia Minor: Rome's Hidden Frontier. Oxford

4. **Sinclair, 1989:** Sinclair, T.A. Eastern Turkey: an architectural and architectural survey, vol. 2. London

Shota Mamuladze

Emzar Kakhidze

Kakhaber Kamadadze

Sulkhan Mamuladze

Roads coming from Trabzon to Bayburt and Erzurum and some fortifications

Summary

Roads coming from Trabzon to Bayburt and Erzurum was very important since Classical period, especially, modern Gümüşhane region, where strong fortification system was designed even Byzantines occupied this region. Among these castles (Torul, Keçikale, Hurusüfla, Zindanlar Arazı, etc.) most strategic area was control by Canca castle. It stands on a great-elongated spur about 2 km northwest of modern Gümüşhane about 400 m above the south bank of the Kanis (Harşit). The walls enclose ravines on three sides surrounding an area of about 230x30 m at a waist between an upper and lower bailey. The castle is approached from a romp to the west, where the most substantial walling survives. Here there is a rock-cut cistern with a mortared rubble barrel vault in the in the lower bailey. Two chapels stand on eminences within the upper bailey.

I



1



2

II



1



2

III



1



2

IV



1



2

V



1



2

მირანდა თურმანიძე

ძვ.წ. IV საუკუნის კოლხური სამაროვანი

ჩვენი საველე კვლევა–ძიების ობიექტს 2017 წლისათვის ძვ.წ. IV ს კოლხური სამაროვანი წარმოადგენდა. გარკვეული მაშტაბის სამუშაოები 2012-2014 წწ. განვახორციელეთ. ძირითადი სამუშაოების ნაქალაქარზე გადატანის გამო, ორი წელი ამ ძეგლზე გათხრები შეჩერებული იყო. დღემდე აღმოჩენილია 64 ორმო სამარხი და ოთხი სააღაპო მოედანი. წელს გადავწყვიტეთ გაგვეფართოებია სამუშაოები – სამაროვნის კვლევა. რომლის, მიმართ ინტერესი საკმაოდ დიდია. კერძოდ, სხვა ფინვნარის სამაროვნებთან შედარებით (ძვ.წ. V ს კოლხურ, ძვ.წ. V – IV) სხვა ჩაის პლანტაციის არსებობის გამო, ადრე ამ ადგილებში ჩვენ არქეოლოგიური გათხრების საშუალება არ გვქონდა. ამიტომაც, ბუნებრივია ამ ძეგლის მიმართ ინტერესი განსაკუთრებულია. 2012–2013 წწ მოხერხდა 32 სამარხის შესწავლა[ა. კახიძე, ნ.ძნელაძე, თ.შალიკაძე, მ. თურმანიძე, 2013:75-80; ა. კახიძე, ნ.ძნელაძე, მ. თურმანიძე, თ. ფარტენაძე, 2015:15-20].

ახალი გათხრები მიზნად ისახავს ამ ეპოქის კოლხთა სამეურნეო ყოფისა და კულტურის კვლევა. გარდა ამისა, გვინტერესებდა სამაროვნის გავრცელების საზღვრები როგორც ძვ.წ. V ს კოლხურ, ასევე ძვ.წ. IV ს ბერძნული და ელინისტური ეპოქის სამაროვნების მიმართულებით.

ძვ.წ. IVს კოლხურ სამაროვანზე ადრე შესწავლილი თხრილი გაფართოვდა ჩრდილოეთისაკენ მე-13 სექტორში (ტაბ. I/1); აიგეგმა მე-19; 39–ე, 49–ე, 59–ე, 69–ე, 30–ე, მე-40, 50–ე, მე-60 და 70–ე კვადრატები (ტაბ. III /1,2). დასავლეთის მიმართულებითაც აიგეგმა ორ–ორი კვადრატი. პირველ რიგში გასათხრელი ფართობი გაიწმინდა ეკალბარდისა და ჩაის ბუჩქებისაგან.

გათხრები წარმოებდა ფიჭვნარის სამაროვნების მიმართ შემუშავებული ტრადიციული მეთოდით. კერძოდ, ბარისპირის მეთოდის გამოყენებით მთელ ტერიტორიაზე მოიხსნა ზედა ჰუმუსოვანი ფენა. რომლის სიმძლავრე ქვემოთ ჩამოთვლილი კვადრატების გვერდითი ჭრილის მიხედვით ასე გამოიყურება:

კვ. 49 – 20 სმ

60 – 40 სმ

69 – 55 სმ

50 – 10-25 სმ

70 – 45-55 სმ

ამ დონის კვლევისას შეინიშნებოდა არქეოლოგიური არტე-ფაქტების დიდი სიმწირე. მხოლოდ 70-ე კვადრატში მოვიპო-ვეთ ამფორის ყურის ფრაგმენტი. გარდა ამისა, დედაქანის და-სანყისთან, მე-40 კვადრატში, დადასტურდა სალაპო მოედნის არსებობა (ტაბ.V/1). ფოტო და გრაფიკული ფიქსაციის შემ-დგომ, ფხვიერი სილნარის შრის შესწავლის გზით მთელ მოე-დანზე გაგრძელდა ძირითად დედაქანში ჩაჭრილი სამარხების კონტურების გამოჩენა (ტაბ. III 2).

კვ.69: სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში გამოიკვეთა სამარ-ხის დასავლეთი მონაკვეთი. რომლის დიდი ნაწილი გაუთხრელ ფართობში ექცევა. გავაკეთეთ შენაჭარი (სამარხი №48). ამავე კვადრატის ცენტრალურ ნაწილში გამოჩნდა წრიული ორმო სამარხი (სამარხი №39).

კვ.70: აქაც ცენტრალურ ნაწილში გამოიკვეთა პატარა ზო-მის კონტური (სამარხი №38).

კვ.59: აღმოსავლეთ მონაკვეთზე გამოჩნდა ფხვიერ სილ-ნარ ფენაში ჩაჭრილი სამარხი №37 (ტაბ. VII/1). და 36-ე სამარ-ხის აღმოსავლეთი მონაკვეთი.

კვ.60: მე-60 და 50-ე კვადრატის მიჯნაზე აღმოჩნდა მორი-გი სამარხი №35 (ტაბ.IX/1).

კვ.49: ზემოთაღნიშნული 36-ე სამარხის გარდა, გამოჩნდა მცირე ზომის სამარხი №34.

კვ.39: ამ მონაკვეთზე სამარხის არსებობა არ დასტურდება.

კვ.40: ცენტრალურ ნაწილში შემორჩენილი იყო ალაპის ნაშ-თები. წრიული შემოწირულობის (0,7 მ); სიღრმე თანამედროვე ზადაპირიდან 0,65 მ; პრეპარირებული იყო შავლაკიანი ქურ-ჭლის ნატეხები (ტაბ.V/1). ამავე კვადრატში შემოდის 33-ე სა-მარხის აღმოსავლეთი მონაკვეთი.

კვ. 29: სხვა კვადრატებისაგან განსხვავებით აქ სამარხთა რიცხვი მეტია. ესენია № 41, 42, 43.

კვ.30: აღმოჩნდა მორიგი სამარხი, რომელშიც ჰერაკლური ამფორა იყო ჩადგმული (სამარხი №40).

კვ.38: ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთზე აღმოჩნდა 44-ე სა-მარხი.

კვ.28: სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში გამოიკვეთა 45-ე სამარხის კონტური. ამავ კვადრატში ექცევა კიდევ ერთი სამარხის აღმოსავლეთი მონაკვეთი. შენაჭერი არ გაკეთებულა. არსებითია, რომ სამაროვნის საზღვრები გრძელდება დასავლეთის მიმართულებით, თანადროული ბერძნული ნეკროპოლისაკენ.

კვ. 37: აღმოჩნდა ორი სამარხი. ერთ-ერთი მათგანი მდებარეობს ჩრდილოეთ კუთხეში №46; ცენტრალურ ნაწილში ჩაჭრილი იყო 47-ე სამარხი(ტაბ.IX/2).

კვ. 27: კვადრატის დასავლეთ ნაწილში ჩნდება სამარხის აღმოსავლეთი მონაკვეთი, რომელიც გაუთხრელ ფართობში შედის. არც ეს სამარხი შეგვისწავლია ამჯერად.

მთელს ფართობზე ზემოთ აღწერილ სამარხთა კონტურების გამოჩენის შემდეგ გაკეთდა ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია, რასაც მოყვა თითოეული მათგანის პრეპარაცია. აქვე მოვიტანთ აღწერილობას.

სამარხი 33:აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ზომები: 2X0,9X1,2 მ. თავის არეში ჩაუდგამთ შავლაკიანი ნითელფიგურული არიზალისებური ლეკითოსი. სამარხს ჰქონია ხის სახურავი(ტაბ. VI/1,2).

სამარხი 34: ჩრდილო- აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ზომები: 1,2 X 0,6 X 0,9 მ. უინვენტარო.

სამარხი 35: აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი, ოდნავ ჩრდილოეთისაკენ გადახრილი. ზომები: 1,2X0,95X0,9 მ. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ჩაეყოლებინათ პატარა ზომის ქოთანი, მის გვერდით წყვილნახვრეტიანი ბრტყელი ხუფი (ტაბ. VII/1).

სამარხი 36: 13: კვ.49-ე და 59-ე კვადრატების მიჯნა. აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ზომები: 2X0,9X1,2 მ. უინვენტარო (ტაბ. IX/2).

სამარხი 37: აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ზომები: 1,7X0,7X0,7 მ. აღმოსავლეთ ნაწილში დაფიქსირდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (ტაბ.VIII/1).

სამარხი 38: აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ზომები: 0,65X0,5X1,2 მ. უინვენტარო.

სამარხი 39: დამხრობის გარკვევა ქირს. სამარხი წრიული მოყვანილობისაა. დიამეტრი 0,85 მ, სიღრმე – 1,15 მ. უინვენტარო.

სამარხი 40: აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ზომები: 2,1X1,4X1,2 მ. ხის კუბოს გარეთ სამარხეული ორმოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ჩაუდგამთ ჰერაკლეური ენგლიფურ-დამლიანი ამფორა. ოდნავ ჩრდილოეთით ნაფერდებული. ამფორის ძირში აღმოჩნდა თიხის ადგილობრივი ჭურჭლის პირი. ამფორის პირთან ახლოს ჩნდებოდა შავლაკიანი სკიფოსის ნატეხებიც(ტაბ.VII/1,2).

სამარხი 41: აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ზომები: 1X0,75X1,25 მ. უინვენტარო.

სამარხი 42: ექცევა სილნარ ფხვიერ შრეში. რკინის ლურსმნების განლაგების მიხედვით მისი ზომებია: 1,8X0,8X0,95 მ. აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ცენტრალურ ნაწილში გამოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხები. სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში პრეპარირებული იქნა ნაცრისფერკეციანი დოქის ფრაგმენტები. დასავლეთ მონაკვეთზე გრუნტის დონეზე აღმოჩნდა მძივები და ვერცხლის ორი მონეტა.

სამარხი 43: აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი ზომები:1,2X0,55X1,1 მ. უინვენტარო.

სამარხი 44: აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ოდნავ ჩრდილოეთისაკენ გადახრილი. ზომები: 1,45X0,9X1,5 მ. უინვენტარო.

სამარხი 45: აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ზომები: 2,1X0,9X1,3 მ. ხის კუბოს 1,8X0,55X0,2მ. უინვენტარო.

სამარხი 46: დამხრობილი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ზომები:1,2X0,7X1,5 მ. უინვენტარო.

სამარხი 47: აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ოდნავ ჩრდილოეთისაკენ გადახრილი. ზომები: 2,1X1,1X1,15 მ. ხის კუბოს — 1,6X0,6X0,35 მ. მარცხენა ფეხის არეში ჩაუდგამთ თიხის კოჭობი, მარჯვენა ფეხთან პრეპარირებულ იქნა ნაცრისფერკეციანი დოქი. ფეხების არეში, ზედა ლურსმნის დონეზე, აღმოჩნდა ყავისფერი კაჟის ანატკეცი (ტაბ. VIII/2).

როგორც ვხედავთ, სამარხეული ინვენტარი არ გამოირჩევა მრავალრიცხოვნებით. მოპოვებულია საერთო კავკასიური კულტურისათვის დამახასიათებელი თიხის ქოთანის რომელსაც ზემოდან ეხურა დისკოსებური მოყვანილობის ხუფი. კიდეებზე წყვილი სავენტილაციო ნახვრეტი აქვს გაკეთებული. კეცი მოყვითალო-მონაცრისფრო. მსგავსი ხუფი პირველად აღმოჩნდა ფიჭვნარში.

ცოტაა **დოქებიც**. ესენიც ცალკეული ნატეხების სახითაა წარმოდგენილი.

42-ე სამარხის დოქს ყელის დასაწყისთან შემოუყვება მჭიდროდ განლაგებული ნერტილოვანი ფოსოების ჰორიზონტალური რკალი. კეცი მოყვითალო-მოყავისფრო. სქელკედლიანი. არის ყურმილიანი დოქის ნატეხებიც (№37).

ახალი სამარხეული კომპლექსები უმეტესად ღარიბ ფენას ეკუთვნის. მიუხედავად ამისა, ამ სოციალური წრის წარმომადგენლები მაინც ამჟღავნებენ გარკვეულ მიდრეკილებას უცხოური ნაკეთობებისადმი. ამ მიმართებით პირველ რიგში აღსანიშნავია ჰერაკლეური ამფორა. მთლიანად დაცული. აქვს გარეთკენ მიმართული სამკუთხა განიკვეთიანი პირი. მაღალი ცილინდრული ყელი. თანაბრად დაქანებული ოდნავ მომრგვალებული მხრები. კონუსური ტანი. ცილინდრული ფორმის ძირი. ამფორის ყელზე კარგადაა შემონახული ენგლიფური დამლა ΡΙΣΤΗΠΠΟΣ – არისტოპო (ტაბ. II /3).

ნითელფიგურული არიბალისებური ლეკითოსი. ფორმა ტიპური. ქუსლი პროფილირებული, ღარით გამოყოფილი. გამოსახულია ქალის ფიგურა. მარცხენა ხელში ზარდახმა უჭირავს. უკან განვდილ მარჯვენაში კი – ორად გაკეცილი ტილო. ნახატი სქემქტურია. სამოსი გადმოცემულია დიაგონალური ხაზებით. საყრდენ არედ მოცემულია თიხისფერში დატოვებული ჰორიზონტალური ზოლი. კომპოზიციის მარჯვენა კუთხეში დატანილია მცენარეული ორნამენტი. (ტაბ. II/1).

როგორც ითქვა, ალაპზე წარმოდგენილი იყო მხოლოდ **შავლაკიანი სკიფოსის** ნატეხებით. ძირი რგოლისებური. გარეთა ზედაპირი რეზერვირებული. ტანი შედარებით თხელკედლიანი. პირი გარეთკენ გადამილი. ყურები მიძერწილია პირთან საკმაოდ ახლოს. ეტყობა ალაპის შესრულებაში ფიჭვნარელმა ელინებმა მიიღეს მონაწილეობა და შესაბამისად მხოლოდ და მხოლოდ ჩვენამდე მოაღწია იმპორტული ჭურჭლის ფრაგმენტებმა.

მე-40 სამარხში წარმოდგენილი იყო შავლაკიანი სკიფოსის ტანის ზედა ნახევარი. პირთან მოძერწილია რგოლისებური ყური; ასევე ძირი, რომლის გარეთა ზედაპირი რეზერვირებულია. ძვ.წ. IV საუკუნის შავლაკიანი სკიფოსები ხშირად ჩნდება ფიჭვნარის თანადროული ბერძნების ნეკროპოლის გათხრებისას [ა. კახიძე, ე.კახიძე, 2014:27,31,32; ტაბ. 14/7;23/11;35/3;70/4]. რაც

განსაკუთრებით საყურადღებოა, ღვინის სმასთან განკუთვნილ ამ ელინურ ფორმას ფიჭვნარში ადგილობრივი მინაბადიცი გამოუჩნდა [ა.კახიძე, ე.კახიძე, 2014:42; ტაბ. 30/2; 41/6].


სხვა სახის იმპორტული ნაკეთობებიდან აღსანიშნავია **ნაცრისფერკეციანი დოქის** ნატეხები (ტაბ. II/2). ფართოქუსლიანი. ქუსლის გარეთა კალთა სწორია, შიდა მომრგვალებული. ტანი მომალლო. ყელი ფართო, ცილინდრული. შემოუყვება ჰორიზონტალური ღარები. პირი მკვეთრად გამოყოფილი, სამკუთხეაგანივკეთიანი ყური ორადაა გაკეცილი. სკიფოსების მსგავსად სხვადასხვა სახის ნაცრისფერკეციანი ჭურჭელი ფართოდ ჩანს გავრცელებული ფიჭვნარელ ელინთა შორის [ა.კახიძე, ე.კახიძე; 2014:34-39; 14/4;12; 15/2,6; 17/5.10; 19/2; 20/13; 14; 22/8;24/8 ;24/12; 30/1,10; 31/6; 37/3.8; 44/7; 62/2; 67/6].

სხვა ნაკეთობებიდან გვხვდება **კაუის ანატკეცი** (47-ე სამარხი). მოყავისფრო, ზურგის მხარეს ჩანს ორი ფერდი. თავი გადატეხილია. იარაღის ბოლოზე ჩანს წვრილი რეტუმის კვალი. ნატიფად დამუშავებული. მუცლის მხარეს კი ტალღოვანი ზედაპირი აქვს. ორივე მხარეს ეტყობა ატკეცის ნიშნები. ასევე, გამოყენების კვალი (3X2,7 სმ).


რაც შეეხება სამკაულებს, მხოლოდ **მძივებია** აღმოჩენილი, ისიც, ერთ სამარხში (№42). ძირითადი ნაწილი დამზადებულია ფაიანსისაგან. რგოლისებური, სადა, ე.წ. იოტები. რამდენიმე ცალი ლურჯი მინის რომბული ფორმის მძივებია. მსგავსი ფორმის მძივებიც გამოერია. მსგავსი ფორმის მძივები გვხვდება მთელი ანტიკური პერიოდის განმავლობაში როგორც საქართველოში, ასევე, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში [ა.კახიძე, ე.კახიძე, 2014:45-46; მ.თურმანიძე, 2005:45-50: Алексеева, 1975:31, ტაბ. 5, ტიპი 1,].

ძვ.წ. IV ს კოლხურ, ძვ.წ. V-IV საუკუნეების ბერძნულ და ელინიზმის ეპოქის სამაროვნებთან შედარებით ძვ.წ. IV საუკუნის კოლხურ სამაროვანზე ჯერ კიდევ, ძალზე ცოტა მაშტაბის საველე-სამუშაოა განხორციელებული. ამიტომაც, მომავლისათვის ერთ-ერთ ძირითად ობიექტს, სწორედ ეს ძეგლი წარმოადგენს. საერთოდ კი, ფიჭვნარის სამაროვნების სახით სახეზეა, ვრცელ ტერიტორიაზე მომცვლელი სამაროვნები, რომლის მსგავსი აღმოსავლეთ პონტოსპირეთში ჯერ კიდევ არაა მიკვლეული.

XLIII



XLIV



III



1



2

IV



1



2


V




1



2



1




2



1




2



1



2



1



2

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. კახიძე, ნ.ძნელაძე, თ.შალიკაძე, მ. თურმანიძე, – ფიჭვნარის ექსპედიციის 2012წლის საველე კვლევა-ძიებების ანგარიში; - “აჭარა წარსული და თანამედროვეობა“, 2013;
2. ა. კახიძე, ნ.ძნელაძე, მ. თურმანიძე, თ. ფარტენაძე, – ფიჭვნარის სამაროვანებზე 2013წელს განხორციელებული კვლევა-ძიებების ანგარიში – “აჭარა წარსული და თანამედროვეობა“ 2015:1;
3. ა.კახიძე, ე.კახიძე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის შედეგები – ფიჭვნარი V ; 2014:
4. 4.Алексеева Е.М., Античные бусы Северного Причерноморья, вып. Г1-12, САИ, М., 1975;
5. მ. თურმანიძე, მძივსამკაული ფიჭვნარის ძვ.წ. Vსაუკუნის ბერძნული ნეკროპოლიდან. – შრომები III – ბათუმი 2005.

Miranda Turmanidze

Colchic graveyard of BC. IV century Summary

In 2017, our research object was Colchic graveyard of BC. IV century. The aim of the excavation was to study the agricultural life and cultural issues of this era. These issues are discussed in the presented work.

ირინე ვარშალომიძე
ნინო ძნელაძე

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში დაცული გიორგი III მონეტები

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში დაცულ მრავალფეროვან ნუმიზმატიკურ კოლექციაში გვხვდება ქართული საფასეებიც, რომლებიც გამოუქვეყნებელია. ამჯერად ჩვენი მიზანია შევისწავლოთ და სამეცნიერო მიმოქცევაში შევიტანოთ გიორგი III (1156-1184 წწ.) ნუმიზმატიკური მემკვიდრეობა.

1. საინვენტარო №2605. სპილენძი. შემოსულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტიდან (1958 წ. აქტი №108).

შუბლი: ხვეული ხაზებისგან შემდგარი ვარდულის ცენტრში მოთავსებული გიორგის სახელის აღმნიშვნელი ასომთავრული ინიციალი ბ, ვარდულის ბუდეებში არაბულად: المملوك ملك، كيركي، المسیح حسام (მეფეთა მეფე გიორგი, მესიის მახვილი).

ზურგი: ხვეული ვარდულის ბუდეებში არაბული ზედწერილი: المومنين / امير / الله / لا امر / المقتضى (ალ-მუქთაფი ლი-ამრ ალლაჰი (1136-1160 წწ.), მართლმორწმუნეთა მბრძანებელი) [ტიპი, დუნდუა, ჯალალანია, 2009:35].

2. საინვენტარო №2606. სპილენძი. მონეტა დაკბილულია. შემოსულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტიდან (1958 წ. აქტი №108).

შუბლი: ხვეული ხაზებისგან შემდგარი ვარდულის ცენტრში მოთავსებული გიორგის სახელის აღმნიშვნელი ასომთავრული ინიციალი ბ, ვარდულის ბუდეებში არაბულად: المملوك ملك، كيركي، المسیح حسام მეფეთა მეფე გიორგი, მესიის მახვილი.

ზურგი: ხვეული ვარდულის ბუდეებში არაბული ზედწერილი: المومنين / امير / الله / لا امر / المقتضى

ალ-მუქთაფი ლი-ამრ ალლაჰი (1136-1160 წწ.), მართლმორ-
ნმუნეთა მბრძანებელი.

3. საინვენტარო №1527. სპილენძი, უნესო ჭრა. მუზეუმში
შემოსულია 1916 წ.

შუბლი: ხვეული ხაზებისგან შემდგარი ვარდულის ცენ-
ტრში მოთავსებული გიორგის სახელის აღმნიშვნელი ასომ-
თავრული ინიციალი ბ, ვარდულის ბუდეებში არაბულად:
المسـيـح حـسـام، المـلـوك مـلك، كـيـوركـي (მეფეთა მეფე გიორგი, მესი-
ის მახვილი).

ზურგი: ხვეული ვარდულის ბუდეებში არაბული ზედწერი-
ლი: المومنين / امير / الله / لامر / المقتضى

(ალ-მუქთაფი ლი-ამრ ალლაჰი (1136-1160 წწ.), მართლმორ-
ნმუნეთა მბრძანებელი).

4. საინვენტარო №1224. სპილენძი, წესიერი ჭრა, მონეტა
დაკბილულია. შემოსულია 1916.

შუბლი: ხვეული ხაზებისგან შემდგარი ვარდულის ცენ-
ტრში მოთავსებული გიორგის სახელის აღმნიშვნელი ასომ-
თავრული ინიციალი ბ, ვარდულის ბუდეებში არაბუ-
ლად: المـسـيـح حـسـام، المـلـوك مـلك، كـيـوركـي (მეფეთა მეფე გიორგი,
მესიის მახვილი).

ზურგი: ხვეული ვარდულის ბუდეებში არაბული ზედწერი-
ლი: المومنين / امير / الله / لامر / المقتضى

(ალ-მუქთაფი ლი-ამრ ალლაჰი (1136-1160 წწ.), მართლმორ-
ნმუნეთა მბრძანებელი).

5. საინვენტარო №23413/2. სპილენძი. შესყიდულია 2008
წ. ბაგრატ აკუჯბასაგან (ბათუმი).

შუბლი: ხვეული ხაზებისგან შემდგარი ვარდულის ცენ-
ტრში მოთავსებული გიორგის სახელის აღმნიშვნელი ასომ-
თავრული ინიციალი ბ, ვარდულის ბუდეებში არაბუ-
ლად: المـسـيـح حـسـام، المـلـوك مـلك، كـيـوركـي (მეფეთა მეფე გიორგი,
მესიის მახვილი).

ზურგი: ხვეული ვარდულის ბუდეებში არაბული ზედწერი-
ლი: المومنين / امير / الله / لامر / المقتضى

(ალ-მუქთაფი ლი-ამრ ალლაჰი (1136-1160 წწ.), მართლმორ-
ნმუნეთა მბრძანებელი).

6. საინვენტარო №23413/3. სპილენძი. შესყიდულია 2008 წ. ბაგრატ აკუჯბასაგან (ბათუმი).

შუბლი: ხვეული ხაზებისგან შემდგარი ვარდულის ცენტრში მოთავსებული გიორგის სახელის აღმნიშვნელი ასომთავრული ინიციალი ბ, ვარდულის ბუდეებში არაბულად: كيركى، الملك، المسیح حسام (მეფეთა მეფე გიორგი, მესიის მახვილი).

ზურგი: ხვეული ვარდულის ბუდეებში არაბული ზედწერილი: المومنين / امير / الله / الامر/المقتضى (ალ-მუქთაფი ლი-ამრ ალლაჰი (1136-1160 წწ.), მართლმორწმუნეთა მბრძანებელი).

7. საინვენტარო №1522. სპილენძი. შექმნილია ოლგა მინოშვილისაგან 1914 წ.

შუბლი: აზიურ-ბიზანტიურ სამოსელში გამონყობილი გიორგი III მარცხენა ხელით დოინჯშემოყრილი ფეხმორთხმით ზის პირდაპირ. მას მეორე განვდილ ხელზე შევარდენი უზის. თავს საიმპერატორო სტემა უმშვენებს. მონეტის არეზე გაფანტულია ქართული მხედრული წარწერა, რომელიც იუნყება მეფის სახელს (შემოკლებულად – გი), უნდა იყოს ასომთავრული წარწერა: ძრპტჟდ ქორონიკონსა 394 (1174 წ.), მაგრამ გადასულია.

ზურგი: ზურგი დაზიანებულია, უნდა იყოს სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი:

الملوك ملك
ديمطرى بن كيركى
المسيح حسام

მეფეთა მეფე გიორგი, ძე დემეტრესი, მესიის მახვილი
[ტიპი-დუნდუა, ჯალალანია, 2009:35]

8. საინვენტარო №1526. სპილენძი. შექმნილია ოლგა მინოშვილისაგან 1914 წ.

შუბლი: ხვეული ხაზებისგან შემდგარი ვარდულის ცენტრში მოთავსებული გიორგის სახელის აღმნიშვნელი ასომთავრული ინიციალი ბ, ვარდულის ბუდეებში არაბულად: كيركى، الملك، المسیح حسام (მეფეთა მეფე გიორგი,

მესიის (მახვილი).
ზურგი: ხვეული ვარდულის ბუდეებში არაბული ზედწერი-
ლი: $\frac{\text{المؤمنين}}{\text{امير}} / \frac{\text{الله/لامر/المقتضى}}{\text{}}$
(ალ-მუქთაფი ლი-ამრ ალლაჰი (1136-1160 წწ.), მართლმორ-
წმუნეთა მბრძანებელი).

9. საინვენტარო №1528. სპილენძი. შექენილია ოლგა მი-
მინოშვილისაგან 1914 წ.

შუბლი: ხვეული ხაზებისგან შემდგარი ვარდულის ცენ-
ტრში მოთავსებული გიორგის სახელის აღმნიშვნელი ასომ-
თავრული ინიციალი ბ, ვარდულის ბუდეებში არაბუ-
ლად: $\frac{\text{المؤمنين}}{\text{امير}} / \frac{\text{الله/لامر/المقتضى}}{\text{}}$ (მეფეთა მეფე გიორგი,
მესიის (მახვილი).

ზურგი: ხვეული ვარდულის ბუდეებში არაბული ზედწერი-
ლი: $\frac{\text{المؤمنين}}{\text{امير}} / \frac{\text{الله/لامر/المقتضى}}{\text{}}$
(ალ-მუქთაფი ლი-ამრ ალლაჰი (1136-1160 წწ.), მართლმორ-
წმუნეთა მბრძანებელი).

10. საინვენტარო №1532. სპილენძი. შექენილია ოლგა მი-
მინოშვილისაგან 1914 წ.

შუბლი: ხვეული ხაზებისგან შემდგარი ვარდულის ცენ-
ტრში მოთავსებული გიორგის სახელის აღმნიშვნელი ასომ-
თავრული ინიციალი ბ, ვარდულის ბუდეებში არაბუ-
ლად: $\frac{\text{المؤمنين}}{\text{امير}} / \frac{\text{الله/لامر/المقتضى}}{\text{}}$ (მეფეთა მეფე გიორგი,
მესიის (მახვილი).

ზურგი: ხვეული ვარდულის ბუდეებში არაბული ზედწერი-
ლი: $\frac{\text{المؤمنين}}{\text{امير}} / \frac{\text{الله/لامر/المقتضى}}{\text{}}$
(ალ-მუქთაფი ლი-ამრ ალლაჰი (1136-1160 წწ.), მართლმორ-
წმუნეთა მბრძანებელი).

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში და-
ცულია 10 ცალი გიორგი III-ის (1156-1184 წწ.) სახელით მოჭ-
რილი სპილენძის მონეტა. XII საუკუნის დასაწყისიდან ქარ-
თულ ნუმიზმატიკაში მკვეთრად გამოხატული „სპილენძის
ხანაა“. ე.წ. ვერცხლის კრიზისი მახლობელ აღმოსავლეთში
თავის ზენიტშია და ყოველივე საქართველოს სამონეტო საქ-
მეზეც ახდენს ზეგავლენას. დემეტრე I-ის დროიდან მოკიდე-
ბული რუსუდანის მეფობამდე ქართული მონეტები იჭრება

მხოლოდ და მხოლოდ სპილენძისგან. ეს სამონეტო საქმის ერთი თავისებურებაა. მეორე თავისებურება ის გახლავთ, რომ XII საუკუნეში მონეტის გარეგნული სახე მკვეთრად შეიცვალა – აქამდე მიღებულ კანონზომიერ მოყვანილობას, სიმრგვალეს მონეტა კარგავს. ამიერიდან ფულის უმეტესი ნაწილი შემთხვევითი ფორმის სპილენძის ფირფიტების სახით იჭრება. ხშირად, ფირფიტის სიმცირის გამო, სიქის ანაბეჭდი მასზე მთლიანად ვერ თავსდება. მონეტის მოჭრის ეს წესი თავდაპირველად აღმოსავლეთის ქვეყნებში იქნა დანერგილი და ჩვენშიც მტკიცედ მოიკიდა ფეხი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ე.წ. „უნესოდ“ მოჭრილ მონეტებს ვაჭრობის დროს ლეზულობდნენ უკვე წონის და არა თვლის ანგარიშით [დუნდუა, დუნდუა, 2006:201]. „უნესოდ“ მოჭრილი ფულის პარალელურად, რა თქმა უნდა, იჭრებოდა მრგვალი ფორმის მონეტებიც. გიორგი III-ის (1156-1184 წწ.) „უნესოდ“ მოჭრილი სპილენძის მონეტა დემეტრე I-ის საფასის ვარიანტს წარმოადგენს და განსხვავდება მეფის სახელის ინიციალით. ასომთავრული დონის ნაცვლად აქ გიორგის ინიციალია ამოკვეთილი ასომთავრულითვე. გაერთიანებული საქართველოს ძლიერი მეფე გიორგი III თავის მონეტაზე არაბულ ზედწერილებსა და ხალიფას სახელს ათავსებს. დემეტრესა და გიორგი III-ის ასეთი კონკრეტული ჟესტი ნაკარნახევი იყო წმინდა ეკონომიკური მოტივებით, რადგან ქართულ მონეტებს გზა უნდა გაეკვლია მახლობელი აღმოსავლეთის ბაზრისკენ, ამას კი არაბული ლეგენდა და ხალიფას სახელის მოხსენიება უთუოდ უწყობდა ხელს. ამავე დროს წარწერის შინაარსი იმასაც ატყობინებდა მუსლიმურ სამყაროს, რომ, ვთქვათ, გიორგი III „მეფეთა მეფე“ და „მესიის მახვილი“ იყო [დუნდუა, დუნდუა, 2006:204].

ჩვენ მიერ აღწერილი საფასეების აღმოჩენის ადგილი უცნობია, მაგრამ მათი უმრავლესობა შექმნილია ადგილობრივი მოსახლეობისაგან, ამიტომაც მათი შესწავლა და გამოქვეყნება აუცილებლად მივიჩნით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **დუნდუა, დუნდუა, 2006:** – გიორგი დუნდუა, თედო დუნდუა, ქართული ნუმისმატიკა, თბილისი, გამომც. არტანუჯი;
2. **დუნდუა, ჯალალანია, 2009:** – გიორგი დუნდუა, ირინე ჯალალანია, ქართული ნუმისმატიკური ლექსიკონი, თბილისი, გამომც. ნეკერი

Irine Varshalomidze
Nino Dzneladze

The coins of George III preserved in Khariton Akhvlediani Museum of Ajara Summary

Georgian coins are also found in a variety of numismatic collections preserved in Khariton Akhvlediani Museum of Ajara, among them are the coins of George III. Their number reaches 10. They are not accurately documented but the main part of them is purchased from the local population. That's why their study and inclusion in the scientific circulation is important for the survey of the monetary economy of South-Western Georgia.

ტაბ. I





3

4



5

გაბ. II



1

2



3

4



5

**კახაბერ ქამადაძე
გურამ ჩხატარაშვილი
მერი ყულეჯიშვილი**

არქეოლოგიური გათხრები გვარას ციხეზე

2018 წლის 23 მაისიდან 14 ივნისამდე აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დაფინანსებით არქეოლოგიური სამუშაოები ვანარმოეთ გვარას ციხეზე¹². ექსპედიციის მიზანს წარმოადგენდა ციხის შიდა ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა ნაგებობების შესწავლა, ძეგლის ფუნქცია-დანიშნულების, მისი მშენებლობის თარიღის, აღმოჩენილი მასალების ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური კლასიფიკაცია.

ციხე მდებარეობს მდ. მაჭახლის წყლისა და ჭოროხის ხერთვისში ზღვის დონიდან 429 მ სიმაღლეზე (GPS კოორდინატები: N 41°31.005'; E 041°43.131') (სურ.1). იგი დაშენებულია მაღალ, წინ წამოწეულ კლდოვან ბორცვზე. დამხრობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და მორგებულია კლდოვან რელიეფს (ზომები: 27x17 მ). აქედან შესანიშნავად მოსჩანს როგორც ჭოროხის, ისე მაჭახლის წყლის ხეობის კარგა მოზრდილი სივრცე. მისი დიდი ნაწილი დანგრეულია. შედარებით კარგადაა შემორჩენილი გალავნის კედლების ჩრდილოეთი მხარე. ნაგებია სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქვებით, არანესიერი წყობით. აქა-იქ გალავნის კედლებში თუ შიდა სივრცეში გამოვლენილ ნაგებობებში გამოყენებულია კარგად გათლილი კვადრები. გალავნის ჩრდილოეთი კედლის წყობაში დატანებულია მოზრდილ ქვაზე ნაკვეთი ფვრის გამოსახულებაც. კედლის წყობის ხასიათი მის არქაულობაზე მიუთითებს.

¹². ექსპედიცია მუშაობდა შემდეგი შემადგენლობით: შოთა მამულაძე (ხელმძღვანელი), კახაბერ ქამადაძე (რაზმის ხელმძღვანელი), ლაშა ასლანიშვილი, გურამ ჩხატარაშვილი (არქეოლოგები), გიორგი დუმბაძე (მხატვარი), მერი ყულეჯიშვილი (ლაბორანტი), სულხან მამულაძე (დოქტორანტი), ნოდარ დევაძე (მძღოლი).

ციხეს ერთადერთი მისასვლელი სადღეისოდ ჩრდილო-დასავლეთ მხრიდან აქვს. სწორედ აქედან ციხეზე ასასვლელ გზას აკონტროლებს გალავანში ჩართული კოშკი, რომელიც არანესიერი მართკუთხედია (ზომები: 5,40x2,40 მ). მისი შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე 3 მეტრს აღწევს. კოშკიც გალავნის მსგავსად ნაგებია ფლეთილი, სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქვებით, არანესიერი ნყობით. კოშკს აღმოსავლეთით მიშენებული აქვს ოთკუთხა გეგმის კონტრაფორსი. ხოლო მის გვერდზე ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ციხის გალავანს პარალელურად მიუყვება საკმაოდ სქელი კედელი, რომლის სიგანე 65 სმ-ია. იგი 2,85 მ მანძილზე გრძელდება და ებმის აღმოსავლეთით გალავნის კედელს. როგორც ჩანს თავის დროზე აქედან უნდა ყოფილიყო ციხეში შესასვლელი. ჩრდილოეთის გალავნის კედელსა და პარალელურ კედელს შორის დაშორება 1,72 მ აღწევს. მათ შორის – პარალელური კედლის სამხრეთ კუთხეში ჩაჭრილია 1,60 მ სიგრძისა და 0,70 მ სიგანის ოთკუთხა ორმო, რომლის იატაკი კირდულაბითაა მოგებული. ორმოს სამხრეთით ამოკვეთილია პატარა 0,45 მ სიგრძისა და 0,35 მ სიგანის მართკუთხა ზომის ხერხელი. შესაძლოა ეს იყოს სალოდე, რომელიც იცავდა ჩრდილოეთიდან ციხის შიდა ტერიტორიაზე შემოსასვლელს.



სურ. 1

ჩრდილოეთი კედლიდან 6 მ-ის დაშორებით მდებარეობს საკმაოდ დიდი ზომის კვადრატული გეგმის ქვის ბურჯი. მისი ზომებია: 2x2 მ. დღეისათვის მისი შემორჩენილი სიმაღლე 3,50 მ-ია.

სწორედ ესაა ციხის ცენტრალური ნაწილი. ბურჯის ირგვლივ წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა 24 ქვევრისაგან შედგენილი მარანი. მათი უმეტესი ნაწილი საკმაოდ სქლადაა ჩაკირული. პარალელური მასალების მიხედვით მარანი კარგად თარიღდება XI ს-ით.

ციხის სამხრეთ აღმოსავლეთ კუთხეში მდებარეობს კიდევ ერთი ნაგებობა. იგი იატაკიდან 0.60 მ-ითაა ამალღებული და მართკუთხა გეგმისაა. (ზომები: 4x3,50 მ). მისი იატაკი თავის დროზე კირხსნარით ყოფილა მოგებული. ბაქანი შემოვაკებულია სხვადასხვა ზომის კარგად გათლილი კვადრებით. მის შიდა სივრცეში ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ჩასმულია საშუალო ზომის ქვევრი, რომელიც დღეს სანახევროდაა შემორჩენილი. შემალღებული ბაქნიდან სამხრეთ-დასავლეთით ციხის სამხრეთის კედელში მდებარეობს თაღოვანი ნიშა (ზომები: სიმაღლე: 2,55 მ, სიგანე 0,65 მ). თაღოვანი ნიშის დასავლეთ კუთხეში მოთავსებულია სამკუთხა გეგმის შეღრმავება (ზომები: სიმაღლე 0,80 მ, სიგანე 0,65 მ, სიღრმე – 0,65 მ), რომლითაც ავდივართ ციხის ზედა ნაწილში. თაღოვანი არკის თავზე განთავსებულია არანესიერი სამკუთხედის ფორმის სათავსი, რომლის იატაკიც ასევე კირხსნარითაა მოგებული. მის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მდებარეობს ოვალური ფორმის ჭა, რომლის სიღრმე სადღეისოდ 6 მ-მდე აღწევს.

ციხის შიდა ტერიტორიაზე წელს ექსპედიციამ მოახერხა შეესწავლა მხოლოდ გვიანი შუასაუკუნეების პერიოდის (XVII-XVIII სს) მძლავრი კულტურული ფენა, რომელიც წარმოდგენილია სხვადასხვა სახის კერამიკით: დოქების, ქოთნების, კეცების პირ-კალთის, ძირისა თუ კედლის ნატეხებით; წითელკეციანი ჩიბუხებით, მოჭიქული ჯამებით და ა.შ. აღმოჩენილ მასალებს მოეპოვებათ უამრავი პარალელი, როგორც დასავლეთ ისე აღმოსავლეთ საქართველოს თანადროულ ძეგლებზე აღმოჩენილ მასალათა შორის და კარგად თარიღდებიან XVII-XVIII სს-ით (მინდორაშვილი, 2009:33;

2010:97; 2015ა:12-183; 2015ბ:129-146; მამულაძე,1993:64; ხალვაში...2017: 68-109; კახიძე...1989: 47; არჩვაძე, 1978:179-18; ქილაშვილი,1958:108; ჯაფარიძე,1956:22; ლომთათიძე,1989:201; ჩიკოიძე,1979:53; ჩხაიძე,1982:114-128; თავამაიშვილი,2009:167-168; ქამადაძე,2016: 102-134 და აშ.).

გვარას ციხე ნიგალისა და მაჭახლის ხეობის გასაღები იყო. ამ ციხესთან გაივლიდა შავშეთისა და კლარჯეთისაკენ მიმავალი გზები. ციხის ძირითადი დანიშნულებაც მდ. ჭოროხისა და მაჭახლის წყლის ხეობაზე ზღვისპირეთისაკენ თუ ზღვისპირეთიდან კლარჯეთთან, არტანუჯთან, მცირე არმენიასთან დ აღმოსავლეთ საქართველოსთან დამაკავშირებელი გზების გაკონტროლება იყო (კახიძე, მამულაძე, 2016: 92; მამულაძე, 2009: 182; სიხარულიძე, 1958: 183-184).

იგი ყველა ეპოქაში თავისი ადგილმდებარეობით მიმზიდველი იყო. წინა წლებში ციხის ტერიტორიაზე ჩატარებული დაზვერვითი ხასიათის გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალების მიხედვით ფიქრობენ რომ ამ ადგილას ციხე ადრეც (VI-VII სს-ში) არსებობდა (კახიძე, მამულაძე, 2016: 92; მამულაძე, 2009: 182). ხელსაყრელი მდებარეობის გამო იგი მოგვიანებითაც გამოუყენებიათ. ციხის განახლება XI ს-ში უნდა მომხდარიყო და XI ს-დან XX ს-ის I ნახევრამდე დიდ როლს ასრულებდა მდ. ჭოროხის ხეობის ერთიანი თავდაცვითი სისტემის ჯაჭვში.

არქეოლოგიური გათხრები გვარას ციხეზე სამომავლოდაც გაგრძელდება.

ლიტერატურა:

1. **არჩვაძე, 1978:** არჩვაძე თ., აღმოსავლეთ საქართველოს გვიან ფეოდალური ხანის მოუჭიქავი თიხის ნაწარმი //ფსად. III, 11-131. თბილისი
2. **თავამაიშვილი, 2009:** თავამაიშვილი გ., გვიანი შუასაუკუნეების არქეოლოგიური მასალა ბათუმის ციხიდან//საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ბა-

- თუმი: წარსული და თანამედროვეობა“ მასალები, 166-170. ბათუმი
3. **კახიძე...1989:** კახიძე ა, ხახუტაიშვილი დ., მასალები ბათუმის ძველი ისტორიისთვის// სდსძ, XVIII. თბილისი
 4. **კახიძე, მამულაძე, 2016:** კახიძე ა, მამულაძე შ., აჭარის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი. 2016.
 5. **ლომთათიძე 1989:** ლომთათიძე გ., არქეოლოგიური კვლევა-ძიება ალგეთისა და ივრის ხეობაში. თბილისი
 6. **მამულაძე 1993:** მამულაძე შ., აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. ბათუმი
 7. **მამულაძე, 2009:** მამულაძე შ., გზები, საგზაო ნაგებობები და საფორტიფიკაციო ნაგებობანი//სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა II, ბათუმი 2009: 171-183
 8. **მინდორაშვილი, 2009:** მინდორაშვილი დ., არქეოლოგიური გათხრები ძველ თბილისში. თბილისი
 9. **მინდორაშვილი, 2010:** კვეტერის ციხის არქეოლოგიური მასალა. თბილისი
 10. **მინდორაშვილი, 2015ა:** მინდორაშვილი დ., ხიხანის ციხეზე 2013 წელს ჩატარებული გათხრების ანგარიში// აჭარა, წარსული და თანამედროვეობა II, 132-183. ბათუმი
 11. **მინდორაშვილი, 2015ბ:** საქართველოს არქეოლოგია, II-III, ბათუმი. 2015
 12. **სიხარულიძე, 1958:** სიხარულიძე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია. I, ბათუმი
 13. **ქამადაძე 2016:** ქამადაძე კ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (აჭარა) გვიან შუასაუკუნეებში წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების მიხედვით). დისერტაცია. ბათუმი
 14. **ჩხაიძე, 1982:** ჩხაიძე ლ., გვიან ფეოდალური ხანის კერამიკული ნაწარმის ერთი სახეობა გონიოდან// სდსძ, XI, 114-127. ბათუმი
 15. **ჩიკოიძე, 1979:** ჩიკოიძე ც., ქალაქი თელავი. თბილისი
 16. **ჭილაშვილი, 1958:** ჭილაშვილი ლ., ქ. რუსთავი. თბილისი

17. **ხალვაში...2017:** ხალვაში მ, მამულაძე შ, მინდორაშვილი დ., არქეოლოგიური გათხრები ზენდიდში/ ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, VII
18. **ჯაფარიძე, 1956:** ჯაფარიძე ვ., ქართული კერამიკა (XI-XIII სს). თბილისი

*Kakhaber Kamadadze,
Guram Chkhatarashvili,
Meri Kulejishvili*

*Archaeological excavations in Gvara Castle
Summary*

The Gvara Castle is located in the village of Gvara, Khelvachauri municipality, at the confluence of the Machakhlistskali and the Chorokhi. The castle is built on a high protruded rocky hill which has excellent views of a rather large area of Chorokhi and Machakhlistskali gorges. It controlled old roads crossing the Chorokhi and Machakhlistskali gorge. Major part of the castle is ruined. Northern part of the curtain walls is relatively better preserved. Well-treated stones are used in the masonry. Remains of structures of different epochs are preserved on the inner area of the castle. Most of them are ruined. Particularly interesting is a well-preserved water reservoir in the central part of the inner fort. A representation of a cross carved on a large stone is inserted in the masonry of the northern part of the curtain wall.

**ჭრაქები გონიო აფსარონიდან უახლესი
ალმოჩენების მიხედვით**

ჭრაქები საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებია, რომლებიც გამოიყენებოდა საცხოვრებელი თუ საზოგადოებრივი (ტაძარი, აბანო, თეატრი, აკლამა და ა.შ.) დანიშნულების ნაგებობების გასანათებლად. რელიგიური რიტუალებისა და დღესასწაულების დროს განსაკუთრებული განათება იყო საჭირო. ხშირია სანათების მიცვალებულისათვის სამარხში ჩატანების ფაქტი, საიქიოს გზის განათების მიზნით, რაც დაკავშირებულია იმდროინდელ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან და დასაკრძალავ რიტუალში გამოყენებასთან.

გარკვეული პერიოდიდან სანათები მხატვრულ-ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ფუნქციასაც იძენენ. სანათთა ფუნქციიდან გამომდინარე, მათი ქრონოლოგიური და გეოგრაფიული არეალი ფართოა. მათ ვხვდებით კაცობრიობის განვითარების ისტორიის თითქმის ყველა პერიოდში (ზედა პალეოლითიდან დღემდე) და მსოფლიოს ყველა კუთხეში. უძველესი სანათები ნაპოვნია პალეოლითურ მღვიმეებში **[ჩარკვიანი, 2014]**. პირველი წერილობითი წყარო, სადაც სანათზეა საუბარი, ჰომეროსის “ოდისეა“-ა (XIX სიმღერა): “წინ მიუძღოდათ მათ ათენა დიდი ქალღმერთი, ოქროს ნათელი სანათური ხელში ეჭირა“ **[ჰომეროსი, 1979:343]**. ახ.წ. II საუკუნის ცნობილი ბერძენი მოგზაური და გეოგრაფოსი პავსანიასი თავის ნაწარმოებში “ელადის აღწერა“ მოიხსენიებს ბერძენ მოქანდაკე კალიმაქოსს (ძვ.წ. V ს.), რომელმაც ქალღმერთ ათენასთვის ოქროს სანათი შექმნა, რომელიც ათენის აკროპოლისზე, ერექტიონში ჩაუქრობლად ენთო, რადგან პატრუქი კარპასიური სელისაგან იყო დამზადებული **[Павсаний, 2002:70]**. დროთა განმავლობაში იცვლებოდა ჭრაქების ფორმა, დამზადების ტექნოლოგია და შემკულობა. სანათები სხვადასხვა გეომეტრიული თუ სტილიზებული ორნამენტით იყო შემკული, მათზე ხშირად გამო-

ისახებოდა როგორც მითოლოგიური და რელიგიური სიუჟეტები, ისე საყოფაცხოვრებო სცენები და საგნები. პატრუქის დასამზადებლად ლერწმის გულს, სელსა და კანაფს იყენებდნენ, ხოლო სანვავად – თხილის, ყაყაჩოს, წიფლის, სელის, ზეთუნის ზეთს ან ქონს, შესაძლებელია ნავთობიც ეხმარათ. პატრუქის წვერის გასასწორებლად საგანგებო ხელსაწყო – ბრინჯაოს კაუჭი – არსებობდა *[კილურაძე, 1977: 214; გამყრელიძე, 2001: 26-30]*. თიხა, ძირითადად, მსუბუქი და იოლად გადასაადგილებელი ჭრაქების დასამზადებლად გამოიყენებოდა. შესაბამისად, თიხის ჭრაქები, სხვა დანარჩენთან შედარებით, ბევრად მრავალრიცხოვანია და ალბათ, უფრო ყოველდღიური მოხმარების საგანს წარმოადგენდა. ნეღლი თიხისგან ჭრაქების ფორმის გამოყვანა ძირითადად სამი ხერხით ხდებოდა – 1. მარტივი ხელითნაძერწობით, 2. კერამიკულ მორგვზე, 3. ყალიბში. ხელითნაძერწ ჭრაქებს, მარტივად, ყოველგვარი ხელსაწყოს გამოყენების გარეშე, ხელით ეძლეოდა ფორმა და როგორც წესი, უხეშ და სადა ნივთებს წარმოადგენენ. მათი ქრონოლოგიური დიაპაზონი ფართოა (ძვ.წ. III ათასწლეულიდან ახ.წ. XVI-XVII საუკუნეებამდე). კერამიკულ მორგვზე ჭრაქების დამზადება შემდეგნაირად ხდებოდა – მორგვზე გამოიყვანებოდა ტანი, შემდეგ ემატებოდა დანარჩენი დეტალები, ნაკერები საგანგებოდ იგმანებოდა, და ხდებოდა გამონვა. მათი წარმოება იწყება ძვ.წ. VI საუკუნიდან. ჭრაქის ყალიბში დასამზადებლად – ყალიბის ორივე საგდული თიხის თხელი მასით ილესებოდა. მასის გამოშრობის შემდეგ ხდებოდა ყალიბიდან გამოღება, შეერთება, დარჩენილი ნაკერის მოდალური შტამპით დამუშავება და ჰაერზე გაშრობა, სხვადასხვა ორნამენტით დაფარვა და ლუმელში გამონვა. ყალიბის გამოყენებით შესაძლებელი გახდა ჭრაქების მრავალნაირი ორნამენტით შემკობა. ითვლება, რომ პროტოტიპი, ყალიბში დამზადებული თიხის ჭრაქებისა, ლითონის ჩამოსხმული ჭრაქები იყო. მათი წარმოება დაიწყო ძვ.წ. II საუკუნიდან და კარგა ხანს ჩაანაცვლა მორგვზე დამზადების ტექნოლოგია. ახ.წ. III-IV სს-ში ისევ აღორძინდა მორგვზე დამზადების წესი და ყალიბში დამზადების წესთან ერთად განაგრძო არსებობა *[Arsen'eva,*

1988:3-6]. ლითონისგან (ბრინჯაო, რკინა და სხვ.) და მარმარილოსაგან დამზადებული სანათები (ჭრაქები, ლამპადარიები, კანდელაბრები, ჭალები), თუ გავითვალისწინებთ მასალის სიძვირესა და დამზადების რთულ ტექნოლოგიას, უფრო სადღესასწაულო და რელიგიური ტრადიციული დანიშნულებისა იყო. ბრინჯაოს სანათები ჩამოსხმით, ხოლო რკინისა – ჭედვით მზადდებოდა. ისინი სასახლეებს, ტაძრებსა და ადმინისტრაციულ შენობებს ამშვენებდნენ. ცნობილია, რომ ბრინჯაოს თუ სხვა ლითონისაგან დამზადებული სანათები ძვირფას სასაჩუქრე საგანსაც წარმოადგენდნენ. მინის სანათები (ჭრაქი, ლამპარი) მინის თავისუფლად ან ყალიბში გამობერვისა და ყალიბში ჩამოსხმის ტექნიკით მზადდებოდა.

რომაულ ხანაში ჭრაქები კიდევ უფრო ფართოდ ვრცელდება. მათ დიდი როლდენობით ამზადებდნენ ანტიკური სამყაროს მთელ რიგ კერამიკულ სახელოსნოებში, როგორც შიდა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ისე საექსპორტოდაც, რაც გარე ბაზარზე მათზე დიდი მოთხოვნილებით იყო განპირობებული. სწორედ ამ ფაქტორმა გამოიწვია იმ სპეციალიზებული სახელოსნოების წარმოშობა ეფესოში, პერგამონში, სამოსზე, რომში, კართაგენში, ალექსანდრიაში და სხვაგან (ტაბ.I/1), სადაც საგარეო ბაზრისათვის დიდი როლდენობით ამზადებდნენ ჩვენთვის საინტერესო პროდუქციას **[ეპრალიძე, 2005]**. ელინისტური ხანის ჭრაქებისაგან განსხვავებით, ამ პერიოდში ჭრაქების გარკვეული, ჩამოუყალიბებელი სახე იყო გამოყენებაში, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში რომაული ტიპის ჭრაქების სახელწოდებითაა ცნობილი. მათთვის დამახასიათებელია ცილინდრული ტანი, მომცრო საპატრუქე მილი და საზეთე, ორლულიანი, ან დაღარული მარყუჟისმაგვარი ყური და ბრტყელი ძირი.

უკვე ახ.წ. III საუკუნის იტალიკური და მცირეაზიული ჭრაქების ადგილს იმპორტში უკვე ატიკური ჭრაქები იკავებენ. მათთვის დამახასიათებელია ფარაკისა და გვერდების რელიეფური წერტილებით შემკობა, გამონვის მაღალი ხარისხი კი გარკვეულ სიმსუბუქეს ანიჭებდა **[ეპრალიძე, 2005]**.

თავის მხრივ, მეტად საინტერესოა გონიო-აფსაროსის კასტელუმის ტერიტორიაზე აღმოჩენილი რომაული პერიო-

დის კერამიკული ნაწარმი, რომელთაგან დღეს წარმოგიდგენთ ჭრაქებს. მათი დიდი ნაწილი რომაული ეპოქის ყაზარმების ნაშთების კულტურულ ფენაში იქნა მიკვლეული (ტაბI/2).

ერთ-ერთი პირველი, რომელსაც განვიხილავთ, ესაა ნითელლაკიანი ჭრაქის ფრაგმენტი SW-V უბნიდან (ტაბII/1), რომელსაც აქვს ჩალისფერკეციანი კეცი, ცილინდრული ტანი და მომცრო საპატრუქე მილი. უნდა ჰქონოდა მარყუჟისებრი, პატარა ყური. სამწუხაროდ, ჩაზნექილი ფარაკის დიდი ნაწილი არ აქვს შერჩენილი, შესაბამისად საზეთე ხვრელიც არ ჩანს. ფარაკის ირგვლივ წრიული სარტყელი შემოუყვება. არ არის გამორიცხული, რომ ფარაკზე ორნამენტიც ჰქონოდა. ჭრაქს ირგვლივ აქა-იქ შემორჩენილი აქვს ნითელი ლაკის კვალი. მსგავსი ჭრაქები ბევრგანაა დაფიქსირებული, მათ შორის კართაგენში, ოლბიასა და პერგამონში [Vessberg, 1953]. თუმცა, ზუსტი ანალოგები მაინც პერგამონულ ნაწარმთან მოეძებნება, რომლებიც I საუკუნის მიწურულითა და II საუკუნის პირველი მეოთხედით თარიღდება.

მოდევნო ჭრაქი (ტაბII/2), აღმოჩენილ იქნა SO-XII უბნის 51-ე კვადრატში ე.წ. ყაზარმის ნაგებობის იატაკის დონეზე. ჭრაქი ვარდისფერკეციანია, მას ნითელი ლაკი ჰქონდა დატანილი. აქვს მომრგვალებული და კედელზე გადმოკეცილი გვერდები, ფარაკი ჩაზნექილია. სამწუხაროდ, ფარაკის დიდი ნაწილი არ აქვს შემორჩენილი, რის გამოც საზეთე ნახვრეტის მდებარეობის განსაზღვრა ვერ ხერხდება. შესაძლებელია ფარაკზე ჰქონოდა ორნამენტიც. რაც შეხება მის ანალოგებს, ძალიან დიდია მსგავსება სამოსურ ნაწარმთან, რომელიც რომაულ პერიოდში კერამიკული ნაწარმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ექსპორტიორი გახლდათ [Vessberg, 1953]. მსგავსი ტიპის სამოსური ჭრაქები თარიღდება ახ.წ. II საუკუნის პირველი მეოთხედით.

შემდეგი ჭრაქი (ტაბII/3), SO-XII უბნის ტერიტორიაზე, 71-ე კვადრატში რომაული პერიოდის ყაზარმის იატაკის დონეზე აღმოჩნდა. ეს ჭრაქიც ვარდისფერკეციანი გახლავთ, რომელიც დაფარული იყო ნითელი ლაკით. აქვს შიგნით ჩაზნექილი ფარაკი, რომელსაც საზეთე ნახვრეტი საპატრუქე

მილთან ძალიან ახლოს აქვს. ასევე შემორჩენილი აქვს მცირე, მარყუჟისებრი ყური და საპატრუქე მილის მცირე ნაწილი. თავის მხრივ, გამოირჩევა მეტად საინტერესო ორნამენტით.

მსგავსი გამოსახულებიანი ჭრაქები ბევრგანაა დადასტურებული. რომელთა ფარაკზე ეტლში შებმული ცხენები, ფრთოსანი ცხენი, თუ მასზე ამხედრებული მხედარია გამოსახული. სამწუხაროდ, ორნამენტი იმდენადაა დაზიანებული, რომ რთულია მასზე გამოსახული ცხოველის ზუსტად განსაზღვრა. ეს ჭრაქი ახლო მსგავსებას ავლენს პერგამონულ ჭრაქებთან, რომლებზეც ლომების, ცხენებისა, თუ სხვა ცხოველთა გამოსახვა ძალიან ხშირად გვხვდება. ამ ტიპის ჭრაქები ახ.წ. I საუკუნის ბოლოსა და II საუკუნის დასაწყისით თარიღდება [Bailey, 1988]. ჩვეულებრივ, მსგავსი ჭრაქების განათების ხარისხი, რომელთაც საზეთე ნახვრეტი ძალიან ახლოს ჰქონდათ საპატრუქე მილთან, არც თუ ისე მაღალი იყო.

კიდევ ერთი ჭრაქი (ტაბII/4), რომელიც ასევე SO-XII უბნის ტერიტორიაზე, კერძოდ კი 72-ე კვადრატში აღმოჩნდა, ასევე გამოირჩევა ძალიან საინტერესო, ექსპრესიული ორნამენტით. აღნიშნული ჭრაქის მხოლოდ ფარაკი შემორჩა, რომელსაც საპატრუქე მილთან ძალიან ახლოს აქვს საზეთე ნახვრეტი. ჭრაქი ვარდისფერკეციანია, შეიცავს მცირე ზომის პიროქსენის მინარევებს. ჩაზნექილ ფარაკს ირგვლის წრიული სარტყელი შემოუყვება. მიუხედავად ორნამენტის ნაწილობრივი დაზიანებისა, მაინც შესაძლებელია მასზე გამოსახული ცხოველის აღქმა, სავარაუდოდ ეს გახლავთ ლომის გამოსახულებიანი ორნამენტი, რომლის გამოსახვაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძალზე პოპულარული იყო აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირულ ნაწარმზე [Bailey, 1988]. აღნიშნული ჭრაქიც პერგამონულ ნაწარმს განეკუთვნება და ახ.წ. I საუკუნის ბოლოსა და II საუკუნის დასაწყისით თარიღდება. მსგავსი ჭრაქები აღმოჩენილია როგორც ჩრდილო შავიზღვისპირეთში, ისე აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის სხვადასხვა ძეგლებზე.

ამდენად, როგორც ვხედავთ, გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი, ჩვენს მიერ განხილული ჭრაქები, ქრონოლოგიური

თვალსაზრისით ახ. წ. I საუკუნის ბოლოსა და II საუკუნის პირველი მეოთხედით თარიღდება, ხოლო მათი დამზადების ძირითად საწარმოო ცენტრს სამოსი და პერგამონი წარმოადგენდა. ამ საკითხის ირგვლივ უფრო ვრცელი კვლევა კი ახლო მომავალში გვექნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ებრალიძე, 2005:** – ებრალიძე ტ., სამხრეთ- დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი გვიანელინისტურსა და რომაულ ხანაში (სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი იმპორტული კერამიკის მიხედვით), ბათუმი;
2. **თოდუა, 1988:** – თოდუა თ., რომაული კულტურა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი, სმამ, თბილისი;
3. **Appolonia, 1983:** – Appolonia-Arsuf, Sussman V. “The Samaritan Oil Lamps from Apolonia-*Arsuf”, TA 10, pp. 71–96.1996 Wexler L. & Gilboa G. “Oil Lamps of the Roman Period from Apollonia-Arsuf”, TA 23, pp. 115–131.
4. **Bailey, 1988:** – Bailey D.M. A Catalogue of the Lamps in the British Museum, III: Roman provincial lamps, London;
5. **Potok, 1978:** – Potok C., Wanderings, History of the Jews, Ballantine Books;
6. **Roth, 1996:** – Roth C., Encyclopaedia Judaica, Keter Publishing;
7. **Runes, 1959:** – Runes, D., Dictionary of Judaism, Citadel Press;
8. **Steffoff, 1997:** – Steffoff R., Finding the Lost Cities, Oxford Press;
9. **Sussman, 1972:** – Sussman, V., Ornamented Jewish Oil-lamps, Israel Inst. and Exploration Society;
10. **Soden, 1994:** – Von Soden W., The Ancient Orient, William B.Eerdman Publishing;
11. **Vessberg, 1953:** – Vessberg, O., “Hellenistic and Roman Lamps in Cyprus” Opuscula Atheniensiaria 1:115–29.

Sulkhan Mamuladze

Lamps from Gonio Apsarus according to newest discoveries
Summary


In the article, it is considered the origin of the Roman time lamps, its manufacturing technology and the main manufacturing centers. In addition, there are presented several lamps found in Gonio-Apsarus area, there is presented their description and manufacturing centers too. As for sum up, the article provides significant information that, the most important centers involved in Gonio-Apsarus Roman garrison's lamps supply process were Samos and Pergamon.

ტაბულების აღწერილობა:

- I. რომაული ეპოქის ძირითადი და რეგიონული კერამიკული საწარმოო ცენტრები;
- II. გონიო-აფსაროსი (მონიშნულია მოცემული ჭრაქების აღმოჩენის ადგილები);
- III. ჭრაქები;

ტაბულები:

ტაბ. I



1



2

ტაბ. II



*ქეთევან გორგილაძე
აბესალომ ასლანიძე*

**ქაბაჯის ამაღლების სახელობის ეკლესიის
ისტორიის ზოგიერთი საკითხი**

ხულოს მუნიციპალიტეტის სხალთის თემში შემავალი სოფელ ძმაგულის სახელწოდებასთან დაკავშირებით მოსახლეობაში ცნობილია ორი ლეგენდა, რომელთა შინაარსის გაცნობის შემდეგ, ღვივდება ინტერესი სამეცნიერო წრეებისთვის დღემდე უცნობი საკითხები ძმაგულის ამაღლების სახელობის ეკლესიის ისტორიის შესახებ.

ერთი ლეგენდა, სადაც წმინდა მამის ტრაგიკულ აღსასრულზეა საუბარი, უკავშირდება სოფლის სახელწოდების წარმოშობას. ამ გადმოცემის თანახმად, „უძველეს დროს ჩვენ წინაპრებს აქ აუშენებიათ ეკლესია, ამაღლებაში ეკლესიის ხუცესად აქური მღვდელი განუწესებიათ. ეს ეკლესია ამაღლების დღეს გახსნილა და ამიტომაც ამ ადგილს „ამაღლება“ რქმევია. მტრის შემოსვლის მერე ეს ადგილები ძალით გაუმაჰმადიანებიათ, მაგრამ მღვდელი თურმე თავისას არ იშლიდა და წირვას მაინც ატარებდა. ერთ-ერთი წირვის დროს, როცა ზარი ირეკებოდა, მოსულან თურქები, ხუცესი შეუპყრიათ და სასტიკად უწამებიათ – მიწაში ჩაუკირავთ. ხუცესთან მისვლა ვერავის გაუბედავს, მოსახლეობა თურქებს დაუშინებია. მოწამე ადგილზე გარდაცვლილა. ამ მღვდელს ჰყოლია ძმა, სახელად გულა, რომელიც ძალზე განიცდიდა ძმის ამბავს. ამ ამბის შემდეგ, გულა იმ მიდამოში დასახლებულა, სადაც „ამაღლების“ ეკლესია იდგა და ცხოვრებაც იქ გაუგრძელებია. ამიტომაც ამ უბანს „ძმაგულა“ დარქმევია“ (მთქ. ა. გორგილაძე, დაბ. 1950 წ. და მცხ. სოფ. ქერში. 2012 წ.) *[შიქელაძე, 2014:278]*.

ადგილი, რომელზეც საუბარია ლეგენდაში, მდებარეობს სოფელ ძმაგულიდან 2 კილომეტრში და პრაქტიკულად არამარტო სხალთის ხეობას, არამედ აჭარისწყლის ხეობის ნაწილს (შუახევამდე მაინც) გაჰყურებს, ასევე აქ გადიოდა გზა სხალთის ხეობიდან თავო-ხულოს მიმართულებით. თავის დროზე ამ ადგილს უდიდესი საფორტიფიკაციო მნიშვნელო-

ბა ჰქონდა. ამით უნდა ყოფილიყო გამოწვეული ამ ადგილას ეკლესიის მშენებლობაც, რომელიც თავის დროზე თლილი ქვით ყოფილა ნაშენი. ამ ადგილს დღემდე მოსახლეობა **ამალლებას, ან ნასაყდს/ნასაყდრალს** უწოდებს და თვლიან, რომ აქ უნდა ყოფილიყო ამალლების სახელობის ეკლესია და ადგილის სახელიც აქედან.

სოფლის გეოგრაფიული მდებარეობითა და სავარგული მიწების რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, მოსახლეობის რაოდენობა აქ 10-12 ოჯახზე მეტი არასდროს ყოფილა. ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით აქ ყოფილა სოფელი, მაგრამ შავი ჭირს მოსახლეობა გაუწყვეტია. მოგვიანებით (ჩვენი ვარაუდით, ეს უნდა მომხდარიყო დაახლოებით მე-17 საუკუნის დასაწყისისთვის) აქ დასახლებულა ამჟამად ამ სოფელში მცხოვრები მუშამბაძეების წინაპარი, რომლის პირველსაცხოვრისი ჩვენთვის უცნობია. მუშამბაძეები სოფლის ცენტრში, იმდროისთვის ერთადერთ წყაროსთან ახლოს ცხოვრობენ, რაც გვაგვარაუდებინებს რომ ისინი ამ სოფლის პირველმოსახლეები იყვნენ. სოფლის პირველმაცხოვრებლებად ითვლებიან აგრეთვე ამჟამად სოფელ ჩაოში მცხოვრები გოგოლაძეების წინაპრებიც. ზოგიერთ ადგილს ძმაგულაში დღესაც მათი სახელით მოიხსენიებენ. ისინი აქედან უნდა გასახლებულიყვნენ სწორედ ეპიდემიის გამო.

სოფლის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ პირველი ცნობები აჭარის ვილაეთის დავთარშია მოცემული, თუმცა რამდენად ობიექტურად ასახავს ვითარებას ეს წყარო, არ ვიცით, სადაც ძმაგულა სოფელ ქერის უბნადაა აღნიშნული და მცხოვრებთა რაოდენობა ქერთან ერთად 8 კომლს შეადგენს [*აჭარის, 2011*] და საფიქრებელია, რომ იმ დროისთვის ქერში უფრო მეტი ოჯახი იქნებოდა, ვიდრე ძმაგულაში. ამ მონაცემებით, ძმაგულაში 2-3 კომლი უნდა ყოფილიყო, თუმცა არ ვიცით ვისი წინაპრები იყვნენ ისინი. რაც შეეხება დღეს სოფელში მცხოვრებთა წინაპრებს, მათი აქ დასახლების ისტორია დაახლოებით ასეთია: მუშამბაძეების შემდეგ, აქ დასახლებულან ადიგენიდან გადმოსული

ლომიძეები¹³, რომლებიც ახლა ასლანიძეებად იწერებიან. ეს უნდა მომხდარიყო დაახლოებით მე-18 საუკუნის 30-იანი წლების შემდეგ. შემდეგი გვარის წინაპარი, რომელიც აქ დასახლებულა, სოფელ ჩაოდან გადმოსული მახარაძეები არიან. მათი ისტორია შედარებით კარგადაა ცნობილი. ისინი აქ სოფელ ჩაოდან უნდა გადმოსულიყვნენ საცხოვრებლად მე-19 საუკუნის დასაწყისისთვის. ამავე საუკუნის მეორე ნახევარში კი ეტაპობრივად სოფელ ყინჩაურიდან აქ საცხოვრებლად მოვიდნენ სოფელში ამჟამად მცხოვრები სხვა მახარაძეები, რომლებსაც პირველად მოსულ მახარაძეებთან რაიმე ნათესაური კავშირი არ აქვთ.

ამ პატარა შესავალის შემდეგ კიდევ უფრო საინტერესოდ ჩანს ამ სოფლის ქრისტიანული ისტორია. მოსახლეობაში შემორჩენილი გადმოცემით, აქ ყოფილა თლილი ქვით აშენებული ეკლესია, რომელიც სამწუხაროდ დღემდე შესწავლილი არაა სპეციალისტების მიერ. როგორც უკვე აღინიშნა, ამ ადგილს მოსახლეობა დღემდე ნასაყდს, ან ნასაყდრალს ეძახის. იბადება კითხვა: ასეთ პატარა სოფელში რატომ იყო თლილი ქვით გაკეთებული ეკლესია? კითხვაზე ნა-

¹³ გადმოცემით ცნობილია, რომ ადიგენიდან გამოქცეული ლომიძე (როგორც წესი, ასეთ გადასახლებებს საფუძვლად უდევს ქალთან დაკავშირებული ისტორია, რომ ერთი ქალი უყვარდა რამდენიმეს, მაგრამ ქალს ეს უყვარდა და ამიტომ იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი საცხოვრისი და ა. შ.), მუშამბაძეს მიუღია როგორც ძმა და მის გვერდით დაუსახლეს სოფლის ცენტრში მაშინ არსებულ ერთადერთ წყაროსთან ახლოს. დღემდე ამ ორი გვარის საგვარეულო მიწების გვერდი-გვერდ მდებარეობაც ამაზე მიუთითებს. მაგრამ აქ საინტერესოა ის, თუ რა აღმსარებლობის უნდა ყოფილიყო აქ გადმოსახლებული ლომიძე? მუშამბაძე რომ ქრისტიანი იქნებოდა (ამ დროისათვის ზემო აჭარაში ისლამიზაციის პროცესი ჯერ დაწყებული არაა, ყოველ შემთხვევაში მოსახლეობის ქვედა ფენებში მაინც), ეს ეჭვს არ უნდა იწვევდეს. შესაბამისად, ის თავის ძმად ვერ გაიხდიდა, სოფლის მიწებს შუაზე არ გაუყოფდა და მეზობლად არ გაიხდიდა მუსლიმს იმ დროისათვის ქრისტიანების ისლამისადმი და ზოგადად დამპყრობლის მიმართ დამოკიდებულების გამო. გამომდინარე აქედან, აქ ჩამოსახლებული ლომიძეც ქრისტიანი უნდა ყოფილიყო და სავარაუდოა, რომ ის ადიგენიდან სწორედ იმ პერიოდისთვის სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიებზე დაწყებულ ისლამიზაციის პროცესს გამოქცეოდა.

ნილობრივ სცემს პასუხს თვით ამ ადგილის გეოგრაფიული მდებარეობა – სოფლების, თავოს, გურძაულის, ქერისა და ძმაგულის სიახლოვე (თუმცა, გურძაულისა და ქერისთვის სხალთის ეკლესია უფრო ახლოსაა).



ეკლესიის ნანგრევები (თლილი ქვები)

ამჟამად სოფლის მცხოვრებთა მეხსიერებაში შემორჩენილი ამ ისტორიით თუ ვიმსჯელებთ, ზემოთ ნახსენები ამაღლების ეკლესია შესაძლებელია აშენებულიყო შუა საუკუნეებში, ხოლო დანგრევის თარიღი უცნობია, თუმცა უდაოდ უკავშირდება ოსმალთა ბატონობის ხანას. სავარაუდოდ, სოფელში სხვა სალოცავიც უნდა ყოფილიყო. გადმოცემით, სოფლის განაპირას ყოფილას ხის პატარა საყდარიც, რომლის ადგილზეც მე-20 საუკუნის დასაწყისშიც კი, მუშამბაძეების დიდი ბებია ქრისტიანულ დღესასწაულებზე ანთებდა სანთლებს. ამჟამად ამ ადგილას არ ჩანს იქ საყდარის არსებობის რაიმე კვალი, მაგრამ მისი ადგილმდებარეობა გვაფიქრებინებს ადრე იქ სამლოცველოს არსებობას, რაც ზეპირი გადმოცემებითაც დასტურდება.

ამაღლების სახელობის ეკლესიის შესახებ ძირითადი ინფორმაცია შეიძლება მოგვცეს არქეოლოგიურმა გათხრებმა, რომელიც სამწუხაროდ, ჯერ არ ჩატარებულა. ნაეკლესიარი განადგურების საფრთხის წინაშეა. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ზუსტად ამ ეკლესიის ადგილას მე-20 სა-

უკუნის 70-იან წლებში აშენდა საცხოვრებელი სახლი. მაშინ ეკლესიის ნაშთი არ ჩანდა, თუმცა ეხლა სხვადასხვა სამუშაოების ჩატარების დროს, იქ სხვადასხვა ნივთების ნამტვრევებთან ერთად, ეკლესიის თლილი ქვებიც გამოჩნდა. გადმოცემით ეკლესიის ქვებია გამოყენებული მე-19 საუკუნის 50-იანი წლების შემდეგ აშენებული სოფელ თავოს მეჩეთის საძირკველად.

ვფიქრობთ, რომ ამაღლების სახელობის ეკლესიის ისტორიის შესწავლა უნდა მოხდეს ისლამიზაციის პროცესთან კავშირში, რომელიც სხალთის ხეობაში შედარებით გვიან განხორციელდა. ზაქარია ჭიჭინაძის ჩანაწერებით თუ ვიმსჯელებთ, მე-19 საუკუნის 50-იან წლებში სხალთის ეკლესიაში წირვა-ლოცვებს აღავლენდა მღვდელი. პირველი მუსლიმური ლოცვა აღუვლენია იმ პერიოდისთვის სტამბოლში რელიგიური განათლების მიღების შემდეგ დაბრუნებულ ქედელ ახმედ ხალიფაშვილს. სწორედ მისგან ჩაუნერია ზაქარია ჭიჭინაძეს ასეთი ისტორია: „სხალტა რომ ჯამეთ გააკეთეს, მე პირველად ვალოცე იქ ხალხი, პირველად მე დავიძახე მაჰმადის ლოცვა მის მინარიდგან. სხალტის ეკლესიის სურათებს რომ ცეცხლს ვაძლევდით, ესეც ძლიერ ბევრს მოხუცებულებს სწყინდდათ“ *[ჭიჭინაძე, 1925:12]*. მაგრამ ჩვენთვის უფრო საინტერესოა ჭიჭინაძის ცნობა იმის შესახებ, სადაც ის საუბრობს ყინჩაურში ეკლესიის დანგრევის შესახებ, რომ ეკლესია თურქებმა დაანგრიეს და აქ მხოლოდ ეკლესიის ნანგრევებია ჩანსო *[იქვე, გვ. 67]*. სხალთის ტაძარი რომ არ დაუნგრევიათ და არც ნასაყდრალი ჰქვია იმ ადგილს, ეს ცნობილია. არც გადმოცემებით და არც სამეცნიერო ლიტერატურით არ დასტურდება ყინჩაურში სხვა ეკლესიის არსებობა. თუ ჭიჭინაძესთან აქ საუბარია სხალთის ეკლესიის ეზოში პატარა ეკლესიის ნანგრევებზე, ეს გაცილებით ადრე დაინგრა, ვიდრე აქ ოსმალები მოვიდოდნენ. ეს ნანგრევები არქეოლოგებმა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში აღმოაჩინეს. მაშინ რომელ ნასაყდრალზე საუბრობს ჭიჭინაძის ინტერვიუერი?

ამავე ნიგნში ჭიჭინაძე საუბრობს ყინჩაურის მღვდელზე, რომელმაც დიდ ხანს შეინახა ქრისტიანობა და მეზობელ სოფლებშიც დადიოდა ქრისტიანობის საქადაგებლად, რის

გამოც ის დაასმინეს და ამის გამო დიდი შიში აწვიეს ამ მღვდელს ხიმშიაშვილებმაო *[იქვე, გვ., 67]*. აქ შევნიშნავთ, რომ ხიმშიაშვილების მმართველობა დღევანდელი აჭარის ტერიტორიაზე მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ვრცელდება და შესაბამისად, ისლამის გავრცელებისთვის ზრუნვაც ხიმშიაშვილების მხრიდან მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში უნდა მომხდარიყო. ისმება კითხვა: ეკლესიის დანგრევისა და ამ მღვდლის ამბავიც ხომ არაა დაკავშირებული ამალლების სახელობის ეკლესიასთან?

გიორგი ყაზბეგი სხალთის შესახებ წერს: ამჟამად ძველი სოფლის ადგილას მხოლოდ ტაძრის ნანგრევებია, რომლის მახლობლად დგას შერიფ-ბეგის – ზემო აჭარის ახლანდელი უფროსის ახალი სახლი *[ყაზბეგი, 1995:41]*. აქ უნდა ითქვას, რომ „ნანგრევები“ ყაზბეგთან იმ მნიშვნელობით არაა გამოყენებული, როგორც ჩვენ გვესმის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ყაზბეგი აკეთებს სხალთის ეკლესიის ჩანახატს, პირვანდელი სახით, რომლის მიხედვით არცერთი კედელი ჩამონგრეული არაა. ავტორი აღწერს აგრეთვე ტაძარში არსებულ ფრესკებს, რომლებიც როგორც ჩანს, მისი მოგზაურობის შემდეგ განადგურდა. შესაბამისად ნანგრევებში უნდა იგულისხმებოდეს ეკლესიის მიტოვებულობა, უპატრონობა, უმოქმედობა. საინტერესოა, რომ ყაზბეგი არ ახსენებს სხალთის ეკლესიის მოძღვარსა და ზოგადად ქრისტიანობის ისტორიას, რაზეც მიუთითებს ზ. ჭიჭინაძე.

როგორც გ. ყაზბეგი წერს, ხულოდან ის სხალთაში სოფელ ჩაოს გავლით გადასულა ეს საფეხმავლო გზა დღესაც არსებობს. სოფელ ძმაგულასთან მისვლამდე გზა ორად იყოფა, ერთი სოფლისკენ მიემართება, მეორე კი დაბლა ეშვება მდინარე სხალთისწყლისკენ და შემდეგ სხალთისკენ. სავარაუდოდ ყაზბეგიც ამ გზით მოგზაურობდა, რადგანაც ის არ ახსენებს ძმაგულას და შესაბამისად ამალლების ეკლესიას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დიდმიტრი ბაქრაძე *[ბაქრაძე, 1987]*, როგორც გიორგი ყაზბეგი, ასევე არერთგზის მიუთითებს, რომ ზემო აჭარაში მათი მოგზაურობიდან 30 წლის წინ აქ ყველა ქართულად ლაპარაკობდაო, შემდეგ იწყება ინტენსიურად თურქულის ენისა და ისლამის გავრცელებამო... თუ ამ ფაქტიდან ამოვალთ, აჭარაში მომ-

ძლავრებული ისლამიზაცია და თურქული ენის გავრცელება ინყება თანზიმათის რეფორმების შემდეგ, როდესაც აქედან დაიწყეს თურქულ ჯარში ახალგაზრდების განწვევა. ჩნდება კითხვა: ხომ არ უკავშირდება ამ პერიოდს ამაღლების ეკლესიის დანგრევა?

დიმიტრი ბაქრაძე და გიორგი ყაზბეგი ამაღლების ეკლესიის შესახებ არავითარ ცნობას არ გვანვდიან. სავარაუდოდ, მათი მოგზაურობის დროს ეს ეკლესია დანგრეული იყო. ამასთან, მოგზაურები არ გადასულან ხულას სხალთა-გურძაული-ამაღლება-თაგო-ხულოს გზით, სადაც ეკლესიის ნანგრევებია შემორჩენილი.

ამ მიმართებით, საინტერესოა ცნობა, ძველი სოფლის დაცარიელების შესახებ. დაცარიელებული სოფლის მახლობლად აუშენებიათ აქაური მმართვებილის სახლი. ძველი სოფელში შემონახულა ტაძრის ნანგრევები და რამოდენიმე თლილი ქვა. სოფელი კი გაქრა. მცხოვრებლებთა ერთი ნაწილი ამბობდა, რომ აქაური უკანასკნელი ქრისტიანი მცხოვრებლები ეპისკოპოსთან ერთად იმერთში გადასულან და ეკლესიიდან თან წაუღიათ წმინდანთა ხატები; ხოლო მეორე ნაწილის გადმოცემებით კი „ძველი სოფლის მოსახლეობა ადგილობრივ ციებთან ჰავას გაექცაო“ **[ბაქრაძე, 1987: 57-58; ყაზბეგი, 1995:40-41]**. შესაძლოა ეს ცნობაც უკავშირდებოდეს ამაღლების ეკლესიას, ვინაიდან მე-19 საუკუნის 50-იანი წლებისთვის სხალთის ეკლესია მართალია არ ფუნქციონირებდა, მაგრამ შენობა შენარჩუნებულ იყო. ამის შესახებ მიგვითითებს არაერთი მოგზაური, მაგალითად პ.უვაროვა **[Уварова, 1891]**, ხოლო ამაღლების ეკლესია დაშლილია და მხოლოდ ნანგრევებია იყო შემორჩენილი. შესაძლებელია, რომ გიორგი ყაზბეგი სწორედ ამაღლების ეკლესიაზე საუბრობდეს.

რა მდგომარეობაა დღეისათვის იმ ტერიტორიაზე, რომელზეც საუბარია ჩვენს ნაშრომში? უახლოეს პერიოდამდე, მხოლოდ გადმოცემებით იყო ცნობილი ამაღლების ეკლესიის არსებობა. მე-20 საუკუნის 70-იან წლებში აქ აშენდა საცხოვრებელი სახლიც, მაგრამ დღეისათვის მინის დამუშავების შედეგად აქ აღმოჩენდა მხოლოდ ეკლესიის ნანგრევები, თლილი ქვები და რამდენიმე საყოფაცხოვრებო ჭურჭლის

ფრაგმენტი, დოქის ხელის ნატეხი, ჯამის ძირი, ქვევრი და სავარაუდოდ მარანის გასაღები



დოქის ფრაგმენტი (ხელი)



ჯამის ფრაგმენტი (ძირი)



გასაღები

საყოფაცხოვრებო ნივთები ძირითადად ადგილობრივი თიხისგანაა დამზადებული. სავარაუდოდ ეკლესიას გააჩნდა საკუთარი მარანი. ამჟამად მხოლოდ ერთი ქვევრია აღმოჩენილი, სავარაუდებელია სხვა ქვევრების არსებობაც.



ქვევრი

ეკლესია, რომელიც მდებარეობდა სხალთისწყლის ერთ-ერთ შემადლებულ ადგილზე, სხალთის ეკლესიიდან დაახლოებით 6-7 კილომეტრში, გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე სავარაუდოდ საფორთიფიკაციო ფუნქციასაც ასრულებდა. არაა გამორიცხული, რომ იგი ყოფილიყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რელიგიური ცენტრი. სავარაუდოდ იგი ოთხი სოფლის 4 სოფლის (ძმაგულა (ამაღლება), ზემო კურდა (გურძაული), თავო და ჭერი) მოსახლეობას ემსახურებოდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დღეისათვის შემორჩენილია-ამ ეკლესიის მხოლოდ ნანგრევები. მეცნიერული კვლევა-ძიება კი არ ჩატარებულა. ეკლესიის ბურუსით მოცული ისტორიის შესასწავლად გადაუდებელ ამოცანად გვესახება არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარება, რაც მოგვცემს საშუალებას კიდევ ერთი ძეგლი შევმატოთ ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **მიქელაძე, 2014.** ნაილე მიქელაძე, ქრისტიანობისთვის წამებულთა სახეები ქართულ ფოლკლორში აჭარული ლეგენდა-გადმოცემების მიხედვით// ჩვენი სულიერების ბალავარი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. VI, ბათუმი, 2-3 მაისი, 2014. თბილისი.
2. **აჭარის, 2011.** აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთარი. ოსმალური ტექსტი, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და ფოტომასალები გამოსაცემად მოამზადეს: ზაზა შაშიკაძემ და მირიან მახარაძემ. თბილისი.
3. **ჭიჭინაძე, 1915.** ჭიჭინაძე ზაქარია. ქართველების გამაჰმადიანება ანუ ქართველთ გათათრება. თბილისი.
4. **ყაზბეგი, 1995.** ყაზბეგი გიორგი. სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი.
5. **ბაქრაძე, 1987.** ბაქრაძე დიმიტრი. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. თბილისი.
6. **Уварова, 1891.** Уварова П. С. Кавказъ: Афхазия, Аджария, Шавшетия, Псховский участок. Путевья заметки Графини Уваровой. Часть II. Москва.

Ketevan Gorgiladze

Abesalom Aslanidze

The Church of Rise of Village Dzmagauli

Summary

On the base of scientific literature and population in article is discussed the history of Khulo village Dzmaguli and Church of Rise near this village. According to these materials there is shown that mentioned church was destroyed by Ottomans at the end of the 18th century to the beginning of the 19th century. Archaeological materials are collected and described in the place of this church, which confirms the existence of the Church in this area.

**ექსპერიმენტულ-ტრასოლოგიური კვლევის
მეთოდი და მისი გამოყენება თანამედროვე
არქეოლოგიაში**

ქვის ხანა კაცობრიობის ისტორიის ყველაზე უძველესი და ხანგრძლივი პერიოდია. ქვის იარაღების კვლევის მრავალ მეთოდთან ერთად (კონტექსტუალური, ეთნოგრაფიული, ტექნოლოგიური, მორფოლოგიურ-ტიპოლოგიური) დღეს, ფართოდ გამოიყენება ფუნქციონალურ-ტრასოლოგიური მეთოდი, რომელიც გასული საუკუნის 30-ან წლებში შეიმუშავა რუსმა მეცნიერმა ს. სემიონოვმა (**Семенов, 1957; 1963; 1968; Семенов, Коробкова, 1983**). ტრასოლოგია კრიმინალისტიკის ერთ-ერთი დარგია, რომელიც დამნაშავეის მიერ დატოვებული კვალის წარმოშობის, არსებობის და ა.შ. მიზეზებს იკვლევს. არქეოლოგიაში ტრასოლოგიური კვლევა იარაღის ზედაპირის მიკროსკოპულ შესწავლას გულისხმობს. იარაღის სამუშაო პირზე არსებული, სავსებით კანონზომიერი, სპეციფიური ნიშნები (ხაზები, ნაკანრები, ღარები, დაბლაგვება, სიპრიალე და ა.შ.), იარაღის ფუნქციის დადგენაში გვეხმარება (ხორცის საჭრელი დანები, სარანდავები, მარცვლეულისა და ბალახის სამკელი დანები, ტყავის, ძვლის სახოკ-საფხეკები და სხვ.). თვალსაჩინოებისათვის ყველაფერი მიკრო-ფოტოებით ფიქსირდება. ქვის ინდუსტრიის ტრასოლოგიურ-ფუნქციონალური ანალიზის შედეგების საბოლოო მიზანია უძველეს ნამოსახლარებზე მეურნეობის ფორმებისა და პრიორიტეტების დადგენა; მეურნეობის რეკონსტრუქცია და მწარმოებლური ეკონომიკის ეფექტიანობის განსაზღვრა.

საქართველო გამოირჩევა ხელსაყრელი ბუნებრივ-გეოგრაფიული მდებარეობითა და მრავალფეროვანი კლიმატური პირობებით, რაც განაპირობებდა აქ უძველესი დროიდან ადამიანის ფართო განსახლებას. კავკასიის რეგიონში ქვის ხანის მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლებითაა წარმოდგენილი დასავლეთ ამიერკავკასია, და მათ შორის, აჭარაც, სადაც არქეოლოგიური კვლევა-ძიებების შედეგად რო-

გორც შავიზღვისპირა, ისე მთისწინა გორაკ-ბორცვოვან და მთიან ზოლში მრავლად გამოვლინდა გვიანპლეისტოცენისა და ადრეჰოლოცენის პერიოდისათვის დამახასიათებელი ქვის მასალა (სოფ. ქობულეთი, კვირიკე, ხუცუბანი, ყიშლა, ნაჩადრევი, მახვილაური და სხვ.). არქეოლოგიურ მასალათა ნაწილი გამოქვეყნებული და შესწავლილია, თუმცა, აღსანიშნავია, რომ დღემდე არ მომხდარა ქვის ინდუსტრიის ტრასოლოგიური კვლევა. უნდა ითქვას ისიც, რომ არქეოლოგიაში ტრასოლოგიური კვლევა არამარტო აჭარის რეგიონში, არამედ ჩვენს ქვეყანაშიც ახალია. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიის კვლევის ცენტრის სარესტავრაციო ლაბორატორიაში ფუნქციონირებს ტრასოლოგიური კვლევის მიმართულება, სადაც ტრასოლოგიურ კვლევებს ატარებს ცენტრის უფროსი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ქეთევან ესაკია (**Эсакия 2003; Эсакия, Скакун, Терехина, 2017; ესაკია, რუსიშვილი 2000; ესაკია... 2010;**). რაც შეეხება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (აჭარა-გურია) ქვის ხანის არც ერთ არქეოლოგიურ მასალას დღემდე არ ჩატარებია მსგავსი კვლევა. უფრო მეტიც, რეგიონი სრულიად მოისაკლისებს სპეციალისტ ტრასოლოგს და საერთოდ, ანალოგიურ კვლევას. ადრე, მასალათა შესწავლა და დასკვნების გაკეთება მხოლოდ მათი ვიზუალური დათვალიერებისა და/თუ ანალოგების მიხედვით ხდებოდა, რაც, დღევანდელი სამეცნიერო მიღწევებიდან გამომდინარე არ არის საკმარისი. ტრასოლოგიური კვლევა საშუალებას მოგვცემს შევისწავლოთ ქვის ინვენტარი, განვსაზღვროთ ძეგლთა ხასიათი, მეურნეობა, გამოვყოთ მისი ძირითადი და მეორეხარისხოვანი დარგები, ძეგლის სპეციფიკა და სხვ.

ტრასოლოგიური კვლევა ხორციელდება ორ ეტაპად. პირველი ეტაპი გულისხმობს ნიმუშის ზედაპირის მიკროსკოპულ შესწავლას. იარაღის გამოყენების დროს მის ზედაპირზე, სავსებით კანონზომიერი, სხვადასხვა ტიპის კვალი რჩება, რომლის შესასწავლად გამოყენებულ იქნება ბინოკულარული მიკროსკოპი. იარაღის მცირე მონაკვეთზე დაკვირვებისა და მიკროსტრუქტურის ფოტოგრაფირებისათვის გამოყენებულ იქნება მეტალოგრაფიული მიკროსკოპი. კვლე-

ვის მეორე ეტაპი მოიცავს არტეფაქტთა ფუნქციონალურ ანალიზს, კლასიფიკაციას დარგების მიხედვით და ჰისტორამების აგებას. ტრასოლოგიური კვლევა ითვალისწინებს ასევე, ექსპერიმენტების ჩატარებას. კერძოდ, სპეციალისტების მიერ ექსპერიმენტებისთვის მზადდება კაჟის ან ობსიდიანის იარაღები, რომლებსაც ექსპერიმენტების მონაწილეები გამოიყენებენ სხვადასხვა დანიშნულებით (ხორცის დაჭრა, ტყავის გაფხეკა, ნამგლის ჩასართების დამზადება და მარცვლეულის ალება და სხვ.).

ჩვენი ძირითადი მიზანია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქვის ხანის ძეგლების კვლევა-ძიებაში დავამკვიდროთ ექსპერიმენტულ-ტრასოლოგიური მეთოდი. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დაგეგმილია სპეციალური მიკროსკოპების (ბინოკულარული და მეტალოგრაფიული) და ფოტოკამერების ობიექტივების შექმნა, რაც არქეოლოგიურ მასალათა ზუსტი შესწავლისა და ფოტოგრაფირებისათვის იქნება აუცილებელი. ამასთან ერთად, დაგეგმილი გვაქვს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამაზე ჩავსვათ სპეციალური ლექციები ტრასოლოგიის შესახებ, სადაც სტუდენტები მიიღებენ ინფორმაციას: 1. ექსპერიმენტულ-ტრასოლოგიური მეთოდის არსის და მისი გამოყენების შესახებ არქეოლოგიაში; 2. მიკროსკოპებთან მუშაობის პრინციპს; 3. შეძლებენ დააფიქსირონ არტეფაქტებზე ცვეთის კვალი და დაადგინონ იარაღის ფუნქცია.

ტრასოლოგიური კვლევის დამკვიდრებას და განვითარებას ჩვენს რეგიონში ხელს შეუწყობს ჩვენი თანამშრომლობა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის კვლევის ცენტრის ტრასოლოგიურ განყოფილებასთან (ხელმძღვანელი ქ. ესაკია). ამასთან ერთად, გვაქვს საერთაშორისო კონტაქტებიც. კერძოდ, პეტერბურგის რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტთან, ტრასოლოგიური, ექსპერიმენტული და ტექნოლოგიური კვლევების ლაბორატორიასთან, რომელსაც წარმატებით ახორციელებს ცნობილი რუსი მკვლევარი, ტრასეოლოგი ვიაჩესლავ შელინსკი (**Щелинский, Коробкова, 1996; Щелинский, 2015; 2017**). ჩვენი ერთობლივი თანამ-

შრომლობა საშუალებას მოგვცემს შევისწავლოთ და პრაქტიკაში გამოვიყენოთ ექსპერიმენტულ-ტრასოლოგიური კვლევები. აქტიური თანამშრომლობა გვაქვს პოლონეთის ქ. პოზნანის ადამ მიცკევიჩის სახელობის უნივერსიტეტის არქეოლოგიურ ინსტიტუტთან (**Pyzewicz... 2011; Pyzewicz, 2015**), სადაც სპეციალისტ-ტრასოლოგებთან ერთად დაგეგმილი გვაქვს ინსტიტუტის კუთვნილ ლაბორატორიაში გვიანმეზოლითისა და ადრენეოლითის ხანის მასალების ცალკეულ ნიმუშებზე ერთობლივი კვლევების ჩატარება, მათი შედარება ჩვენი რეგიონის თანადროულ ძეგლებთან, საერთო და განმასხვავებელი ნიშნების დაფიქსირება.

საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში გამოვიყენებთ ყველა იმ სამეცნიერო კონტაქტებს, რომლებიც გავაჩნია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან (უკრაინა, მოლდოვეთი, ბელორუსია, რუსეთი). ჩვენი კვლევის შედეგები წარდგენილ იქნება სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებზე, სადაც მოხდება უცხოელი კოლეგების და სპეციალისტების დაინტერესება, სამომავლოდ ერთობლივი პროექტებისა თუ კვლევების დაგეგმვა, მომავალი ახალგაზრდა კადრების მოზიდვა, მათი პროფესიული ზრდა და სხვ. ჩვენი მუშაობა განსაკუთრებით ამ კუთხით უნდა წარიმართოს, რადგან რეგიონში არ გვყავს ახალგაზრდა, რომელიც დაინტერესდება ქვის ხანის არქეოლოგიით.

ექსპერიმენტულ-ტრასოლოგიური კვლევის დანერგვას დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონში პრეისტორიული საკითხების ფუნდამენტური კვლევისათვის. იგი საშუალებას მოგვცემს ახალ აღმოჩენილი ქვის მასალების კამერალური დამუშავების პარალელურად მოხდეს ქვის მასალათა ტრასოლოგიური კვლევაც, რაც კიდევ უფრო გაამყარებს ჩვენს ცოდნას პირველყოფილი ადამიანის ცხოვრების შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ესაკია, რუსიშვილი: 2000** ესაკია ქ., რუსიშვილი ნ., ჩიხორის ნამოსახლარი პალეოეთნობოტანიკური და ტრასოლოგიური მონაცემებით, ძიებანი – საქართველოს მეცნი-

ერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის
ჟურნალი, № 6, თბილისი, გვ. 13-16.

2. **ჯალაბაძე, ესაკია, რუსიშვილი, ყვავაძე, ქორიძე, შაყუ-
ლაშვილი, წერეთელი: 2010** ჯალაბაძე მ., ესაკია ქ., რუ-
სიშვილი ნ., ყვავაძე ე., ქორიძე ი., შაყულაშვილი ნ., წერე-
თელი მ., გადაჭრილ გორაზე 2006-2007 წლებში ჩატარე-
ბული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში, ძიებანი
საქართველოს არქეოლოგიაში, № 19, თბილისი, გვ. 17-23
3. **Щелинский, Коробкова 1996:** Щелинский В. Е., Коробкова
Г. Ф., Методика микро-макроанализа древних орудий труда,
Санкт-Петербург
4. **Щелинский, 2015:** Щелинский В. Е., Трасеологический
метод изучения функций первобытных изделия: следы
износа на орудиях, их интерпретация и информативные
возможности, Археологические Вести, Санкт-Петербург,
стр. 31-51
5. **Щелинский, 2017:** Щелинский В. Е., Цели и методы
изучения каменных изделий в археологических комплек-
сах, „Древний человек и камень: технология, форма,
функция, Санкт-Петербург, стр. 7-28
6. **Эсакия, 2003:** Эсакия К Экспериментально-трасоло-
гический метод и эффективность экономики ранне-
земледельческих хозяйств, Петербургская трасологическая
школа и изучение культур евразии, Санкт-Петербург, стр.
136-146
7. **Эсакия, Скакун, Терехина, 2017:** Эсакия К. М., Скакун Н.
Н., Терехина В. В., скребки из поселения Арухло I, Грузия
(к вопросу о соответствии формы и функции древних
орудий), Поволжская Археология, № 3, Казань, стр. 89-96
8. **Gruzdz, Pyzewicz, Migal, Przedziecki, 2011:** Gruzdz W.,
Pyzewicz K., Migal W., Przedziecki M., Multi-aspect analysis
of flint materials from Suchodolka, Site 3, The Swietokrzyskie
Voivodeship, Swiatowit IX (L)/B, 2011, p.p. 245-258

9. **Pyzewicz, 2015:** Pyzewicz K., The use wear analysis of the artefacts found at the Magdalenian site in Klementowice, KLEMENTOWICE. A MAGDALENIAN SITE IN EASTERN POLAND, Lublin, p.p. 184-214

Guram Chkhatarashvili

Summary

With the use of stone tools research (contextual, ethnographic, technological, morphological-typological) today, it is widely used as a functional-traction method developed by the Russian scientist – Semionov. The article deals with the use of this method in modern archeology.

ტაბულების აღწერილობა:

ტაბ. I

- 1 – ტრასოლოგიური ლაბორატორია
- 2 – სერგეი სემენოვი, არქეოლოგიაში ტრასოლოგიური კვლევის ფუძემდებელი
- 3 – MBC-9 ბინოკულარული მიკროსკოპი
- 4 – მეტალოგრაფიული მიკროსკოპი Olympus
- 5-7 – კაჟის იარაღებზე გამოყენების შედეგად დატოვებული სიპრიალის კვალი

ტაბ. II

- 1-2 – კაჟის იარაღები შინაური თხის ხორცის დამუშავების პროცესში. ექსპერიმენტი (**Rimkus, Slah, 2016: 80**).
- 3 – კაჟის იარაღი. ექსპერიმენტი.
- 4 – ექსპერიმენტის შედეგად გამოყენებული კაჟის იარაღზე არსებული გამოყენების კვალი.




1




2



3



4




1

δ

δ

δ

5




2

δ

δ

δ

7



6

δ


δ

II




1

2



3



4

**ზოგი რამ აჭარაში არსებული ტოპონიმების
შესახებ**

დედამინაზე ყოველ ადგილს თავისი სახელი ჰქვია. ამგვარ სახელებს ტოპონიმებს უწოდებენ. ტოპოს ბერძნულად „ადგილს“ ნიშნავს, ონომა „სახელს“. ტოპონიმების შემსწავლელ დარგს ტოპონომიკა ეწოდება. ყოველ სახელს თავისი წარმომავლობა აქვს, რომელსაც ტოპონომიკა შეისწავლის. ხშირად მეცნიერულად შეუსწავლელ ტოპონიმებს ხალხი სხვადასხვა ლეგენდებს უკავშირებს, რომლებიც მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია. მათ ხალხური ეტიმოლოგია ეწოდება.

აჭარა თავისი წარსულიდან გამომდინარე ტოპონომიკის მიხედვით ერთ-ერთი საინტერესო რეგიონია.

ჩემს მიერ მოძიებული მასალა ზოგადად აჭარის, უფრო მეტად კი ხელვაჩაურის რაიონში არსებულ ტოპონიმებს ეხება.

საქართველოში რამდენიმე ადგილს ჰქვია **აგარა**. აქედან ორი ხელვაჩაურის რაიონშია, ერთიც ხულოს რაიონში. აკადემიკოსი ი. ჯავახიშვილი აგარას მნიშვნელობას ძველ ქართულში ასე განმარტავს: **„აგარა ჩვეულებრივ ამა თუ იმ სოფლის საზაფხულო სადგომი ან სახნავ-სავენახე იყო, რომელიც სოფელივით დასახლებული არ ყოფილა, მაგრამ თითო-ორიოდე ყურის მგდები ოჯახი შეიძლება ყოფილიყო“**. ზოგიერთი აგარის მოსახლეობა თანდათან მატულობდა და ცალკე სოფლად იქცეოდა.

დანდალო სოფელია მდინარე აჭარისწყლის ხეობაში, ქედის რაიონში. იგი ტერასებად, კიბის საფეხურებივით არის გორაკებს შეფენილი. სწორედ ამიტომ უნდა დარქმეოდა მას დანდალო. სულხან-საბას განმარტებით დანდალო კიბის საფეხურს ნიშნავს. სოფელში დღემდე დაცულია მდინარე აჭარისწყალზე XII საუკუნეში აგებული თაღოვანი ხიდი.

კაპნისთავი და კაპანდიბი სოფლებია ხელვაჩაურის რაიონში. მათი სახელები წარმომდგარია კაპანიდან, რაც დამრეც, ციცაბო ადგილს ეწოდება.

მახინჯაური ცნობილი ზღვისპირა კურორტია ხელვაჩაურის რაიონში. პოეტ-აკადემიკოს გიორგი ლეონიძის ვარაუდით იგი მიღებულია მამაკაცის სახელიდან **მახუნჯაგი**, რომელიც XIII საუკუნეში იხსენიება „ქართლის ცხოვრებაში“.

მერე წყლის ნაპირად მდებარე ვაკეს ნიშნავს. აქედან არის სავარაუდოდ წარმომდგარი **მერისი და მარადიდი**, რაც მიღებულია მერე დიდის სახეცვლილებით.

ტოფობა ჰქვია თევზების მიერ ქვირითის დაყრას, გამრავლების პერიოდს. შესაბამისად „ონტოფო“ ნიშნავს ქვირითის დასაყრელ ადგილს მეგრულ-ჭანურში. ასევე მეგრულ-ჭანურიდან მომდინარეობს „ოჩხამური“, რაც სათევზაო ადგილს აღნიშნავს.

აჭარის ცნობილი კურორტია **ქობულეთი**, რომლის სახელწოდებას ორი სავარაუდო წარმომავლობა აქვს. ქობულეთი საისტორიო წყაროებში XVII საუკუნიდან იხსენიება. გაცილებით ადრე ბერძენ ისტორიკოსებს ამ მიდამოებში აღნიშნული აქვთ ქალაქი პეტრა, რაც ბერძნულად „კლდეს“ ნიშნავს. სულხან საბას განმარტებით ქვაბი არის „კლდე გამოკაფული“, ე.ი. კლდეში გამოკვეთილი. მას ადამიანი ძველად საცხოვრებელ ბინად იყენებდა. აქედანაა ნაწარმოები პირველი ვარაუდით ქვაბულეთი, ანუ ქობულეთი. მეორე ვარაუდით ქობულეთი მიღებულია პიროვნული სახელისგან ქობულ, რომელიც ძველ ქართულში გვხვდებოდა. ქობულ კაცის სახელად გვხვდება მცხეთის ჯვრის ერთ წარწერაში, რომელიც VII საუკუნით თარიღდება. აქედან არის ნაწარმოები გვარები **ქობულაძე, ქობულაშვილი, ქობულია**.

გურულ დიალექტში ცხემლა ეწოდება რცხილას. აქედანაა სავარაუდოდ სოფლის სახელი **ცხემლანა**.

ჭალა სულხან-საბას განმარტებით არის „წყლის პირას ნაყოფიერი ადგილი“. ჭალა ჰქვია რამდენიმე სოფელს საქართველოში, მათ შორის ერთი შუახევის რაიონშია. ასევე ჭალისაგან არის ნაწარმოები სოფლის სახელი ჭარნალი, ანუ ჭალნარი. ბგერათა გადასმით მივიღეთ ჭარნალი.

მდინარე ჭოროხი ხშირად იხსენიება ძველ ბერძნულ საისტორიო წყაროებში სხვადასხვა სახელით: აფსარი, აკამფსისი, ბერძნულად უდრეკი, ბოას (ბერძნულად ბოაო ნიშნავს ვყვირი). ძველ სომხურ გეოგრაფიაში ამ მდინარეს ჰქვია იოჰ, ვოჰ. იქვეა აღნიშნული, რომ მას ქართულად კაკამარს

ეძახიანო. XVII საუკუნის თურქი მოგზაური ევლია ჩელები ამ მდინარეს აღწერს როგორც ჭოროხს, ჯურუსს. მწერალი გ. შატერაშვილი განმარტავს, რომ მოჭოროხებული ჰქვია „ადიდებული მდინარის ან დიდი ნიაღვარის მოტანილი ქვალორლით, ნარიყით, ქვიშა-სილით მოფენილ ადგილს“. ჩანს, რომ „მოჭოროხება“ წარმოქმნილია ჭოროხისაგან, რაც ნიაღვარს, მდინარეს უნდა ნიშნავდეს. შესაძლოა აქ ფუძე შეიცავს ქართული წყლის შესატყვის კოლხურ ჭორს.

ხერთვისი – ეს სახელწოდება გვხვდება ჯავახეთში, აჭარასა და მთიულეთში ხერთვისი ჰქვია ისეთ ადგილებს, სადაც ორი მდინარე უერთდება ერთამენთს. იგი მიღებულია ზმნისაგან ერთვის, ხოლო ხ ზმნის პირის ნიშანია. იგი გვხვდება ძალიან ძველ ქართულ ზმნებში. VIII საუკუნემდე ამრიგად ხერთვისი ძველისძველი გეოგრაფიული სახელია.

ხულო რაიონული ცენტრია მთიან აჭარაში. დასავლეთ საქართველოში ხულა ეწოდება ხის ნაგებობას, რომელიც უმთავრესად მარცვლეულის შესანახად გამოიყენება. სავარაუდოდ აქედან არის ნაწარმოები სახელწოდება ხულო ო სუფიქსის დართვით.

ხუცუბანი კარგა მოზრდილი სოფელია ქობულეთის რაიონში. გათხრების შედეგად დადასტურებულია, რომ აქ დასახლება ძვ. წელთაღრიცხვის VII—V საუკუნეებში ყოფილა. სოფლის სახელი ხუცუბანი ჩანს წარმოქმნილია ხუცის უბნიდან, რაც ხუცესის (მღვდლის ან გვარის უხუცესის) უბანს ნიშნავს.

სოუქ-სუ – ე. ბათუმის გარეუბანია, სადაც ქალაქის ცენტრალური სასაფლაოა. მისი სახელი წარმოდგება თურქულიდან და ნიშნავს ცივ წყალს.

კახაბერი – ეს ადგილი გარკვეულ პერიოდში გურიის სამთავროში შედიოდა. გურიის მთავრის ერთ-ერთ შვილს კახაბერი ჰქვიაოდა. წერილობით წყაროები კახაბრის შესახებ არ მოიპოვება. ხალხური გადმოცემით კახაბერი სახელგანთქმული კაცი ყოფილა. მას განსაკუთრებით გამოუჩენია თავი ოსმალო დამპყრობლებთან ბრძოლაში და სასტიკად დაუმარცხებია მტერი. ასევე ხალხურ გადმოცემას ემყარება სამხედრო კორესპონდენტი ა. ფრენკელი როდესაც წერს: „კახაბერი გურიელთა საყვარელი სანადირო ადგილი იყო და ერთ-

ერთი ნადირობის დროს ველურ ტახს დაუგლეჯია კახაბერ გურიელი. ამიტომ ამ ადგილს ეწოდა კახაბერი“.

გონიოს სახელწოდების შესახებ გვაქვს რამდენიმე ვერსია. მათგან გამოვყოფდი ასეთივე ფონეტიკური აღნაგობის მეგრულ სიტყვას. ვ. ჭანტურიას განმარტებით „გონია“ მეგრულად წყალდიდობის შედეგად აბობოქრებულ მდინარეს ნიშნავს. მისი ვარაუდით ჭოროხის აუზში მცხოვრებ მეგრულ-ჭანებს უნდა შეერქვათ ასეთი სახელი ჭოროხის ხეობის ქვემო წელისათვის. გონიოს ციხეც მდინარე ჭოროხის შესართავში მდებარეობს. მეგრულ ენაში გონიას სხვა მნიშვნელობაც აქვს. იგი ნიშნავს მთის, გორაკის, ბორცვის გაგრძელებულ ზურგს (ს. ციაშვილის ცნობა). სიტყვა გონია, როგორც სასტამბო იარაღი, განმარტებული აქვს სულხან-საბასაც (ქართული ლექსიკონი გვ.71).

ქენმანი სოფელია ქედის რაიონში. ეს სახელწოდება მიღებულია მცენარე ქენნისგან. ასევე უკავშირდება სოფლის სახელები ნაბლანა – ნაბლს და თხილნარი – თხილს.

ბათუმი ერთ-ერთი უძველესი ნავსადგურია შავ ზღვაზე. მის დაარსებას ვარაუდობენ დაახლოებით I საუკუნეში. **XV-XVI** საუკუნეებამდე ბათუმი პატარა დასახლებული პუნქტი ყოფილა. ქალაქად იგი შემდგომ ხანებში იქცა. პირველად ბათუმი მდინარის სახელად გვხვდება ძველ ბერძნულ საისტორიო წყაროებში „ბათუს ანუ ბათის მდინარეა კოლხეთშიო“ – წერს პლინიუსი I საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ვარაუდობენ, რომ იგი ამ სახელით მდინარე ყოროლისწყალს ახსენებსო. ბათომი და ბათუმი დღევანდლამდე პარალელურად იხმარება. „ბათუს“ ბერძნულად ღრმას ნიშნავს და შეიძლება ბათუმის სახელწოდებაც მას უკავშირდებოდეს. ცნობილია, რომ პორტის მიდამოებში ზღვა ძლიერ ღრმაა და საოკეანო გემები თავისუფლად შემოდიან ბათუმის პორტში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, სადაც გავრცელდა ქრისტიანობა. უკვე I საუკუნეში აქ მოვიდნენ საქადაგებლად მოციქულები: ანდრია პირველწოდებული, სიმონ კანანელი და შემდეგ მატათია. დოროთეოს ტვირელი (III ს.) და ეპიფანე კვიპრელის (IV ს.) ინფორმაციით აფსარის ციხესთან მოღვაწეობდა ანდრიას თანამოღვაწე მათე (მატათა) და იქვეა დასაფლავებული (პ.ინგოროყვა 1954:223).

აჭარაში ქრისტიანობასთან და ქრისტიანულ სახელებთან დაკავშირებულია მრავალი ტოპონიმი. მაგალითად: კვირიკე – წმ. კვირიკესთან, სამება, ნამონასტრევი, ნაეკლესიევი, ბეთლემი, ხატიტყე, ნასაყდრალი, ელიანმინდა, ამაღლება, ჯვარი და სხვა.

ასეთი იყო ჩემს მიერ მოძიებული მასალა აჭარაში არსებული ტოპონიმების შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზ. ჭუმბურიძე – „რა გქვია შენ?“, თბ. 2003;
2. ი. სიხარულიძე „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმისა“, 1959;
3. ი. ჯავახიშვილი – „ქართველი ერის ისტორია“ ტ. I, თბ.1960;
4. პ. ინგოროყვა – „გიორგი მერჩულე“ 1954;
5. თ. ფუტყარაძე – „ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორია“. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები, II, ბათ. 2007.



სოფელ თლის ეკლესია

მდინარე არდონის ხეობაში მდებარეობს კიდევ ერთი ხუროთმოძღვრული ძეგლი, რომელიც დიდ კავშირს ავლენს ქართულ ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებასთან. ძეგლი მდებარეობს დღევანდელ ჩრდილოეთ ოსეთში, ისტორიული დვალეთის ტერიტორიაზე.

მის შესახებ პირველად ცნობებს 1953 წლის ექსპედიციიდან ვიგებთ, რომელშიც მონაწილეობდა აკად. გ. ჩუბინაშვილი, ს. ბარნაველი, რ. შმერლინგი და ვ. დოლიძე [1958: 766-773]. იმ პერიოდისთვის ძეგლი ნახევრად დანგრეული იყო.

სოფელი თლი სამხედრო გზის ტრასაზეა, მეთორმეტე კილომეტრზე მამისონის უღელტეხილის გადაღმა. სოფლის დასავლეთის განაპირას, მთის დამრეც ფერდობზე, ჩრდილოეთ ოსეთის სამხედრო გზის ქვემოთ შემორჩენილია დანგრეული ეკლესია, იგი აგებულია შედარებით სწორ მოედანზე, რომელიც სამხრეთით ხრამისკენაა გაშლილი. ნაგებობის დიდი ნაწილი ახლა დაღუპულია. კამარა ჩამოქცეულია, ქვების ნაწილი ეკლესიის ირგვლივაა დაყრილი, ნაწილი კი გაძარცვულია. ნაგებობის მთელ პერიმეტრზე შემორჩენილია დაზიანებული კედლები, რომელნიც არსად არ აღწევენ სრულ სიმაღლეს. ძეგლი წარმოადგენს დარბაზულ ეკლესიას მინაშენის კვალით სამხრეთის ფასადის მთელ სიგრძეზე. საკუთრივ ეკლესიის გეგმის სწორკუთხა მოხაზულობაში (7,8X13,0 მ) აღმოსავლეთით ღრმა აბსიდის ნესიერი ნახევარწრედია მოქცეული. ამ უკანასკნელისგან შემორჩენილია ქვემოთა ნაწილი, რომლის სიმაღლე წინა მხრიდან 1,3 მეტრს არ აღემატება. ამიტომ მას საკუთხეველის სარკმლის კვალიც კი აღარ გააჩნია. სამაგიეროდ, აბსიდის უფრო კარგად შემორჩენილ გვერდის ნაწილებში ნიშების ფრაგმენტებია. რაც შეეხება სარკმლებს, მათ კვალს ჩვენამდე არ მოუღწევია არც ერთ კედელში. შესასვლელი – სამხრეთის ფასადის დასავლეთ ნაწილშია მოთავსებული. იგი შიგნიდან თაღოვანია, გარედან კი, კონსტრუქციისა და ტიპპანის ფილის შერჩენილი ბუდის მიხედვით, სწორკუთხა მოხაზულობისა ყო-

ფილა. საგულისხმოა, რომ, თუმცა ეკლესიას სავსებით მოხერხებული მისადგომები აქვს ყველა მხრიდან, ხოლო მთავარი გზა ჩრდილოეთითაა, მშენებელმა შესასვლელის მოწყობისათვის უპირატესობა სამხრეთის ფასადს მიანიჭა. ამგვარი მხატვრული მიდგომა საკულტო ნაგებობათა შესასვლელის მოწყობის საკითხისადმი ნიშანდობლივია ქართული ხუროთმოძღვრებისათვის [1936: 99]



ნახ. 1

ეკლესიის გეგმა: 1953 წლის ექსპედიციის ჩანახატი

სამხრეთის მინაშენის შესახებ უნდა ითქვას, რომ იგი კიდევ უფრო დანგრეული სახითაა მოღწეული, ვიდრე თვით ეკლესია. ეკლესიასთან პირისპირ მიშენებულ სწორკუთხა

სადგომისგან შემორჩენილია კედლების მოხაზულობა. კედლების ფრაგმენტები სამხრეთით და დასავლეთით ალაგა-ლაგ შეინიშნება მიწის ზედაპირზე და მცენარეულობითაა დაფარული, აღმოსავლეთის კედელი კი სიმაღლით დაახლ. 1,5 მ აღწევს. მინაშენის შესასვლელი სამხრეთით – ეკლესიის შესასვლელის პირდაპირ – შეიმჩნევა.

ეკლესიაში შესვლისთანავე, უკვე შერჩენილი კედლის ფრაგმენტების მიხედვითაც წარმოგვიდგება მშვიდი, მარტივად გაფორმებული შინაგანი სივრცე – ტიპიური განვითარებული შუასაუკუნეების ქართული დარბაზული ეკლესიებისათვის. ნახევარწრიული ფართო აბსიდი ჩვეულებისამებრ მხრებითაა გამოყოფილი; ნავი გრძივად ორ თანაბარ ნაწილადაა გაყოფილი ორსაფეხურიანი პილასტრებით, რომელთა შესაბამისად აბსიდის მხრებთან კუთხის პილასტრებია, ხოლო დასავლეთის კედელთან ორსაფეხურიანი კუთხის პილასტრები. ხუროთმოძღვრულ ელემენტთა აღნიშნული ფრაგმენტები მოწმობს, რომ პილასტრები გათვალისწინებული ყოფილა როგორც კამარის თაღების საბრჯენად, ასევე სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლის თაღების საბრჯენადაც. ინტერიერის სურათს ავსებს აბსიდის ნიშები. სიღრმეში გაგანიერებულ ნიშებს გეგმაში ტრაპეციული მოხაზულობა აქვთ. შედარებით უკეთესადაა შემონახული სამხრეთის ნიში. მისი მარჯვენა კიდის შემორჩენილი არასრული (1,5 მ) სიმაღლეც კი უკვე გვიჩვენებს, რომ ნიშები მაღალი ყოფილა. პრინციპულად ანალოგიური ორგანიზაცია აბსიდისა – ნიშებით საკურთხევლის სარკმლის ორსავე მხარეს – არაერთხელ გვხვდება ქართულ ხუროთმოძღვრებაში: იხ. მაგალითად: „დიდმის წმ.გიორგი“ (XI ს. პირველი მეოთხედი); პატარა ონი (XI ს. პირველი ნახ.); სავანე (XI ს. შუა წლები), და სხვ. [1958: 768]

ფუნქციური დანიშნულების გარდა; ნიშების მოწყობა კონსტრუქციულადაც გამართლებულია: ისინი ამცირებენ კედლის ზედმეტ მასივს. აბსიდის მოპირდაპირე დასავლეთის კედელი გლუვ საბრტყეს წარმოადგენს. იგი კუთხის ორსაფეხურიანი პილასტრების მიხედვით, ზემოდან, შემოფარგლული უნდა ყოფილიყო თალით, რომელიც ალბათ კამარის კონტურს მისდევდა.

სამხრეთის კედლის შესაბამისად ორსაფეხურიანი პილასტრით დანაწევრებული ჩრდილოეთის კედელი არ შეიცავს რასმე ღირშესანიშნავს. იგი აგებულია თითქმის მთლიანად მცირე ზომის მაგარი ქანის ქვებისაგან.

არსანიშნავია, რომ ეკლესიის კედლები ამოყვანილია შიგა და გარეპირის ქვებს შორისი სივრცის ამოყორვით კირის ხსნარზე. ეს კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანია ქართული ხუროთმოძღვრებისა – საკულტო შენობათა აგების ჩვეულებრივი ტექნიკა.

ყურადღების გარეშე არ რჩება, რომ თლის ეკლესიის ინტერიერში კონსტრუქციულად საპასუხისმგებლო ელემენტები შედარებით წმინდა დამუშავებითა და მკვეთრი მოხაზულობით გამოიყოფა. შესასვლელის სამი თანაზომიერი ქვისგან შედგენილი თალი, ნირთხლები, აბსიდის მხრები, ყველა პილასტრი და აგრეთვე აბსიდის ნიშნების კედლები კარგად გათლილი, სწორკუთხა ფორმის ქვებითაა ნაწყობი.

კედლების შიგაპირის წყობა, სადაც მაგარი ქანის ქვასთან ერთად ფოროვანიც გამოიყენება, ირეგულარული ხასიათისაა, მაგრამ ერთგვარ გამონაკლისს ცალკეული რიგები შეადგენს, რომელშიც ქვების ჰორიზონტულად დალაგების პრინციპია დაცული. ჩვენამდე მოღწეული აბსიდის ნახევარწრე მკაფიოდაა გამოყვანილი რიგების სიმაღლის მიხედვით შერჩეული, ტლანქად გათლილი ქვების წყობით. მაგრამ აბსიდის მხრებისა და ნიშების კედლებისათვის, როგორც აღინიშნა, კარგად გათლილი, კიროვანი შირიმის კვადრებია გამოყენებული. იგივე კარგად დამუშავებული ქვაა გამოყენებული ყველა მნიშვნელოვან კონსტრუქციულ ელემენტისათვის და აგრეთვე გაბნეულია სამხრეთის კედლის ზედაპირის მეტ ნაწილზე და მოყვითალო ფერადოვან ლაქებად გამოიყოფა. ინტერიერის დანარჩენ კედლებისათვის ძირითადად გამოყენებულია შემთხვევითი ფორმის, ტლანქად დამუშავებული სხვადასხვა ქვები. გაცილებით იშვიათად გვხვდება ფიქალი, ვიდრე მაგარი ქანის ნიმუშები. ქვების სათანადო დალაგების შედეგად გლუვი სიბრტყით გარეთ – მიღებულია კედლის საკმაოდ სწორი ზედაპირი, რომელიც შელესილი ყოფილა. შელესვის კვალი ყველა კედელზეა შემორჩენილი მცირე ნაფლეთების სახით. ეკლესია შიგნით მოხატული უნდა ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში – შელესილი მაინც. სავ-

სებით აშკარაა, რომ ინტერიერის სახე – უსისტემოდ ნაწყობი, შიშველი კედლებით – შეუფერებელი იქნებოდა მშენებლის მხატვრული განწყობისათვის. ეს განწყობა მკაფიოდ იჩენს თავს შენობის გარემოპირკეთების შემორჩენილ ფრაგმენტებშიც და შესასვლელის დეკორატიულ გაფორმებაშიც.

ეკლესიის ნანგრევები გარედან მინამიყრილი, ჩამონგრეული ქვების გარემოცვაშია აზიდული, რის გამოც კედლის ნწყობის ქვემოთა რიგი დამალულია.



ეკლესიის ნანგრევები, დღევანდელი მდგომარეობა

გარემოპირკეთების ხასიათსა და შესრულების მაღალ ოსტატობაზე მეტყველებენ კედლის მოპირკეთებული ნაწილები დასავლეთისა და სამხრეთის ფასადებზე. ყურადღებას იპყრობს კარგად გაფლილი, ერთმანეთთან მტკიცედ მიკრული, მართკუთხა კვადრები. რიგებს შორის მკაცრად დაცული ჰორიზონტული ნაკერების სწორხაზოვნება. დასავლეთის ფასადზე შემორჩენილია ექვსი არასრული რიგი, ხოლო სამხრეთის ფასადზე მოპირკეთების ნაშთი დასავლეთის კუთხიდან მოყოლებული შესასვლელის მარჯვენა კიდე ალწევს.



კიროვანი შირიმით მოპირკეთებული ფასადები და მათი საერთო მოყავისფრო–მოყვითალო ფერი ხოზიტა-მაირამის ტაძარს გვაგონებს, სადაც ფასადების მოსაპირკეთებლად იგივე საშენი მასალა და კედლების ამოყვანის იგივე ტექნიკაა გამოყენებული. [1954: 122-123]

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თლის შესასვლელის მორთულობა გარედან. აქ შემორჩენილია დეკორატიული გაფორმების ფრაგმენტები, რომელნიც საფუძველს გვაძლევს მორთულობის თავდაპირველი ფორმების აღსადგენად. იგი შედგებოდა საპირისა და მასზე მჭიდროდ დასმულ, ჰორიზონტული გადანაკეცების მქონე, ნახევარწრიულ სათაურისგან. ამ გაფორმებიდან ადგილზე შემონახულია სათაურის ფრაგმენტი მარცხენა გადანაკეცით და საპირეები შესასვლელის კიდეებზე. მარცხენა საპირე, რომელიც სათაურის რკალშია შებჯენილი გადანაკეცის დასაწყისის ზემოთ, მოწმობს, რომ საპირე ზემოთა ნაწილში სათაურის კონტურს მისდევდა. როგორც საპირე, ასევე სათაურიც სამ პარალელურ ლილვადაა დაყოფილი. შესასვლელის დამუშავების ეს კომპოზიცია კანონზომიერად ჩამოყალიბდა სარკმლისა და შესასვლელის მორთულობათა განვითარების გარკვეულ სა-

ფეხურზე ქართულ ხუროთმოძღვრებაში. სარკმლის ხვრე-
ლობის დამაგვირგვინებელი, გადანაკეცების მქონე სათაური
შესასვლელის გაფორმებაშიც მეორდება. [1935: 10]

ეკლესიის სიახლოვეს შეინიშნება სამარხთა კვალი, მოსა-
ლოდნელია სამარხების არსებობაც. [1976: 77]

დღევანდელი მდგომარეობით, ეკლესია ისევე როგორც
მთელი ხეობა მიტოვებულია, ძეგლი გარშემო დაფარულია
ხშირი, თითქმის გაუვალი ბალახით. შორიდან არ ჩანს, მხო-
ლოდ ახლოს მისვლით და დაკვირვებნით შეიძლება მისი შემ-
ჩნევა. პარალელების მიხედვით, რომელიც შეიძლება გავავ-
ლოთ ხოზიტა მაირამთან და სხვა X-XI საუკუნეების ძეგლებ-
თან, თლის ეკლესია შეგვიძლია ამავე პერიოდით დავათარი-
ლოთ. თუმცა ძეგლი ჯერ კიდევ საჭიროებს საფუძვლიან
შესწავლას, რომელიც სამომავლოდ განხორციელდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაბაშვილი ც., პორტალები ქართულ არქიტექტურაში.
თბ. 1955.
2. დოლიძე ვ., ხოზიტა მაირამი საქართველოსა და ჩრდილო
კავკასიის ხალხთა კულტურული ურთიერთობის საბუთი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ.
XV, №2, თბ. 1954.
3. დოლიძე ვ., თლის ხუროთმოძღვრული ძეგლი – საქარ-
თველოსა და დვალეთის კულტურული ურთიერთობის
ახალი საბუთი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადე-
მიის მოამბე, ტ. XXI, N6, თბ. 1958
4. ლამბაშიძე გ., ქართული კულტურის ძეგლები დვალეთში,
საბჭოთა ხელოვნება, N3, თბ. 1976
5. ჩუბინაშვილი გ., ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I,
თბილისი, 1936.

Tornike Diasamidze

*Church of village Tla
Summary*

In Ardon Gorge is located very important architectural monument, which shows great connection with Georgian Christian architecture. The monument is located in today's North Ossetia, historic Dvali territory. The article discusses the history and archeology of the village of Tla Church.

**ნარმართული ხანის ქველი ჯოჭოს
წყლის ხეობაში**

აჭარის ტერიტორიაზე საკმაოდ მრავლადაა გამოვლენილი-შესწავლილი ნარმართობის ხანის ამსახველი მატერიალური, ნივთიერი, ეთნოგრაფიული, ზეპირდრეკვიერი, ტოპონიმიური მასალა (ზ.თანდილავა, I, 1974; ზ.თანდილავა, 1996; ვ.შამილაძე, I, 1979; ნ.მგელაძე, VII, 1984; ა.კახიძე, შ.მამულაძე, 1993; შ.მამულაძე, 1998; თ.ლომთათიძე, 2005; მ.ქამადაძე, I, 2007). მატერიალური ძეგლები წარმოდგენილია საკურთხეველ-სამსხვერპლოების, „ქვაკაცების“ სახით (ა.კახიძე, შ.მამულაძე, 1993:42-55; თ.ლომთათიძე, 2005: 62-68; მ.მგელაძე, I, 2007:223-225). 2012 წ. ნოემბერ-დეკემბერში, ისტორიულ ერგეს „ქვეყანაში“¹ განხორციელდა არქეოლოგიური ექსპედიცია². წარმოებულ გათხრების შედეგად ჯოჭოს წყლის ხეობაში გამოვლინდა ნარმართობის ხანის მეტად საინტერესო ძეგლი. იგი აღმოჩნდა სოფ. ზემო ჯოჭოს ტერიტორიაზე³. ადგილის სახელწოდებაა „სახტარი“. წარსულში აქ მდებარეობდა დარბაზული ტიპის საყდარი, არის დავაკებული ადგილი. მდებარეობს მდ.ჯოჭოს წყლის მარჯვენა მხარეს, მდინარიდან 60 მ. დაშორებით. განხორციელდა ნასაყდრალის არქეოლოგიური შესწავლა. საყდარი საძირკვლეის დონეზეა მორღვეული. შედარებით კარგადაა დაცული მისი დასავლეთი, ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი კედლის საძირკველის ნაშთები (შ.მამულაძე, კ.ქამადაძე, 2013:94). ორიგინალობით ყურადღებას იპყრობს საყდრის სამხრეთი მონაკვეთი. აქ საძირკვლად და ნაწილობრივ კედლადაც გამოყენებულია დიდი ზომის, მოგრძო ბუნებრივი ქვის ლოდი (სურ.1-2.) რომელიც ქმნიდა არატრადიციულ მდგომარეობას. ეკავა ისედაც მცირე სამლოცველო დარბაზის ნაწილი. ცნობილი მკვლევარების ა.კახიძის, შ.მამულაძის შეფასებით: „უნიკალური შემთხვევაა, როცა ეკლესიის კედლის საძირკველად და ნაწილობრივ კედლადაც მოგრძო ზომის საკმაოდ მაღალი ბუნებრივი ქვის ლოდია გამოყენებული“ (ა.კახიძე, შ.მამულაძე,

2016:99). საყდრის სამხრეთი კედლის არაორდინარული მდგომარეობიდან გამომდინარე ჩნდება ლოგიკური კითხვა: ამ მოუხერხებელ ადგილზე საყდრის აგება ჩვენს წინაპრებს რატომ დასჭირდათ? როდესაც მის ირგვლივ, განსაკუთრებით აღმოსავლეთით ვრცელი, მოხერხებული ვაკე ადგილია. არც სამშენებლო ქვის პრობლემა ჩანს. მდ.ჯოჯოს წყალი მისგან რამდენიმე ათეულ მეტრში ჩამოედინება და რიყოს ქვების მოძიებამიტანა საყდრის მშენებლობისათვის სირთულეს არ წარმოადგენდა. ვფიქრობ, საქმე გვაქვს აჭარაში გამოვლენილ **მეტად იშვიათ მოვლენასთან**. ფორმით და შინაარსით განსხვავებულია დღემდე რეგიონში აღმოჩენილი ძეგლებისგან. როგორც ქვემოთ გვექნება საუბარი იგი წარმოადგენს წარმართული ხანის ძეგლს, რომელიც ასევე ემსახურებოდა ადრე ქრისტიანულ რწმენა-წარმოდგენებს.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ქვა უძველესი ხანიდან აქტიურად გამოიყენებოდა სხვადასხვა დანიშნულებით. იგი იყო პირველი ძირითადი მასალა, რომლისაგან ადამიანმა დაიწყო შრომისა და საბრძოლო იარაღების დამზადება (ა.კალანდაძე, I, 1970:77-128; ვ.ზუხბაია, 1975: 13-17; ს.გოგიტიძე, გ.გრიგოლია, I, 2007:105-127; ა.კახიძე, შ.მამულაძე, 1993:10-14; თ.ბერაძე, მ.სანაძე, 2003: 38-40). ბრინჯაოს ხანიდან, უზარმაზარი დაუმუშავებელი და დამუშავებული ქვებისაგან (მეგალითები) აგებდნენ ციხე-სიმაგრეებს, საცხოვრებელ ნაგებობებს.³ ქვა აქტიურად გამოიყენებოდა წარმართული სარწმუნოების კულტმსახურებაში. აგებდნენ სალოცავებს (საყდარი), საკურთხეველ-სამსხვერპლოებს. აღმართავდნენ კერპებს – მენჭირებს (დიდი ზომის ვერტიკალურად აღმართულ ქვის სვეტი), ვეშაპ-ვეშაპოიდებს (თევზის სახის ან მისი მსგავსი მონოლითური სვეტი), ქვაკაცებს (ვ.ზუხბაია, 1975 : 37-38). აჭარის მთიანეთში მრავლადაა დადასტურებული ქვაკაცის კერპები

(ა.კახიძე, შ.მამულაძე, 1993 : 46-51). როგორც ირკვევა მათ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ წინარე ქრისტიანულ რწმენა-წარმოდგენებში (ზ.თანდილავა, I, 1974:18; ვ.ზუხბაია, 1975: 37-38; ა.კახიძე, შ.მამულაძე, 1993 :49-53). საკითხში მეტი სიცხადის შეტანისათვის აღსანიშნავია, რომ როგორც დგინდება წარმართული ხანის საქართველოში არსებობდა ქვის კულტი

(თ.ოჩიაური, 1954:14; მ.ჩართოლანი, 1961:156-201; შ.ჩართოლანი, 1977:102-104.). ამ მხრივ პირველი საყურადღებო ცნობაა დაცული „მოქცევაი ქართლისაჲში“. იგი გვამცნობს: „მოქცევამდე მოსახლეობა საქართველოში „ცეცხლთა და ქვათა და ძელთა თაყვანს სცემდეს“ („მოქცევაი ქართლისაჲ“, I, 1963:117). სვანეთის მაგალითზე პროფ. შ.ჩართოლანი მიუთითებდა: „განვითარებული იყო ქვის კულტი სვანეთში, რასაც საფძველი დაუდო ქვის ეპოქამ“ (შ.ჩართოლანი, 1977:102). იგი იქვე დასძენდა: „აღმოჩენილ გვიანდელი ხანის მასალებზე დაკვირვება მიგვანიშნებს თუ როგორ უმჯგებესდებოდა და ვითარდებოდა ქვის იარაღის ტექნიკურ-მხატვრული ნიშნები. რაც თავის მხრივ ამ ნედლეულის ადრევე გაცნობასა და მისადმი აქტიურ დამოკიდებულებას გვანიშნებს. **ბევრი პრაქტიკულად სასარგებლო და ადამიანის გონებაზე შთამბეჭდავი თვისების გამო ქვამ, როგორც ჩანს ადრევე მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა ადამიანის ცნობიერებაში**“ (შ.ჩართოლანი, 1977:103). ქვის კულტი წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ფორმით, მათშორის ზემოთ აღნიშნული კერპების სახით (მ.ჩართოლანი, 1977:122-128); ზ.თანდილავა, 1974:18; ვ.ზუხბაია, 1975: 37-38; ალ.რობაქიძე, 1980, №1:204; ა.კახიძე, შ.მამულაძე, 1993:37-46).⁴ წარმატობის პერიოდში რიტუალების შესასრულებლად გამოიყენებოდა ქვები, ქვა-ლოდები, რომლებზედაც სრულდებოდა უზენაესის სავედრებელი ლოცვები. შესაბამისად, აღნიშნული ქვები წარმოადგენდა „სალოცავ ქვებს“⁵ ანუ „წმინდა ქვებს“ (შ.ჩართოლანი, 1977:100-102; მ.ჩართოლანი, 1977:126-137).

წარმართობიდან მომდინარე „წმინდა ქვების“ ტრადიცია საქართველოს ცალკეულ რეგიონში დიდხანს შემორჩა. ამ მხრივ გამოირჩევა სვანეთი. დაბა მესტიაში, გვალდერის წყლის ნაპირას დევს ორი უზარმაზარი ქვა, რომელსაც ხალხი „სალოცავ ქვებს“ უწოდებს. პროფ. მ.ჩართოლანის მონაცემებით: ივარის თემში (მესტია) არის ერთ ადგილას ქვის გროვა. იგი მონადირეების სალოცავი იყო და მონადირეები სწირავდნენ ნანადირევის რქებს. სოფ.ლენჯერში (მესტია) გზისპირას ყოფილა სალოცავი ქვა. „აქ მიმავალი მგზავრი დაილოცებოდა – ბედნიერი გზა მომეციო.“ ლენჯერის თემში ასევე ყოფილა

„სალოცავი ქვები“ დიდი ლოდების სახით (მ.ჩართოლანი, 1977:136). სოფ.ინაშის (მესტია) მახლობლად, მთისკენ მიმავალ გზაზე ყოფილა ქვების გროვა, სადაც მთაში მიმავალი კაცი ილოცებოდა. ასევე, მ. ჩართოლიანის ცნობით: სოფ. მაცხოვარში (მესტია) გორაზე დგას ორი ქვა, რომელსაც ადგილობრივ „პეტლი საყდარს“ უწოდებენ (მ.ჩართოლანი, 1977:137). დადასტურებულია ქვის სალოცავი თუშეთში „სალოცავი კლდის პირთა“ (ივ.ჯავახიშვილი I, 1979:129).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე გვაქვს საფუძველი იმისა, რომ სოფ.ჯოჭოს საყდარის საძირკველსა და კედელში ჩატანებული **ქვა-ლოდი მივიჩნით წარმართული ხანის ძეგლად**. იგი წარმოადგენდა „სალოცავ ქვას“ ანუ „წმინდა ქვას“. რომეზელდაც ხეობის მოსახლეობა ასრულებდა ზენაარის სავედრებელ ლოცვა-რიტუალებს. თუ როგორ და რატომ გახდა აღნიშნული ქვა-ლოდი ქრისტიანული საყდრის ნაწილად ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

საკვლევ პრობლემატიკასთან დაკავშირებით საინტერესოა ასევე იმის გარკვევა თუ რომელი ღვთაების სავედრებელი შესაძლოა სრულდებოდა მითითებულ „სალოცავ ქვაზე“. ვფიქრობ, უნდა ყოფილიყო წმინდა ელია. ქართულ წარმართულ ღვთაებათა პანთეონში წმ.ელიას მესამე ადგილი ეკავა. იგი ითვლებოდა ცისა და ღრუბლების გამგებელად.⁶ რომელსაც შეეძლო წვიმისა და სეტყვის მოყვანა (ა.გელოვანი, 1983:163). ქართულ-წარმართული რწმენა-წარმოდგენების ანალიზის საფუძველზე აკად. ივ.ჯავახიშვილი მიუთითებდა: ელია იყო „წვიმა-სეტყვისა, მეხისა, ტაროსისა და ავდრის ბატონი (ივ.ჯავახიშვილი, I, 1979:85). არსებული მონაცემების მიხედვით, წარმართობის ხანაში, წმ.ელიას სავედრებელი რიტუალები გარკვეულწილად სრულდებოდა „სალოცავ ქვებზე“. ვ.ბატონიშვილის ცნობით: „თუშებს აქუსთ კლდე დიდი და მაღალი და დღესა ილია წინასწარმეტყველისასა მივლენ და შესწირავენ მას კლდესა ცხოვარსა და ძროხასა და თაყვანსცემენ კლდესა მას“ (ქართლის ცხოვრება, ცხ.- IV, 1973 : 555). ამ ტრადიციას უნდა უკავშირდებოდეს მეორე ცნობაც: „პატივანს (შიდა ქართლი) ქუეით ვაკეს არის ლოდი რომელი გვალვასა თუ გადააბრუნო და შენამო, მოვალს წვიმა, ხოლო წვიმიანობას ში-

ნა თუ შეაყარო ნაცარი, იქნების უწვიმოზა“ (ქართლის ცხოვრება IV, 1973:326). ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს: სოფ. ხახმატის (დუშეთის მუნიციპალიტეტი) მცხოვრებთათვის „ცა-ღრუბელის“ ხატი ქვისა ყოფილა (ივ.ჯავახიშვილი, I, 1977:18). გასული საუკუნის 40-იან წლებში დიდი ლილოს ტერიტორიაზე დადსტურებულია „ელიას ჩოფურა ქვა“ (ზ.თანდილავა, I, 1974: 18). პროფ. გ.ბედომვილის მიერ მოძიებული მასალის მიხედვით: სოფ.გოხნარის (თეთრი წყარო) მთის თავზე ერთი ლოდი დევს („ამიდას ქვა“). იგი წარმოადგენს საკულტო საწესრვეულებო ადგილს. გადმოცემით „გვალვის დროს აქ მოდიან სოფლის მაცხოვრებლები, იხდიან პარაკლის და ქვას შესთხოვენ წვიმას. „ასწევენ მსუბუქად გადააბრუნებენ და გაავდრდება. გოხნარის მთის თავზე ელიაობის დღესასწაული სცოდნია ხალხს“ (გ.ბედომვილი, 2001:242-243).

წმ.ელიას კულტი ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში. არსებობდა ელიაობის ხალხური დღესასწაული, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვაგვარად იმართებოდა (ა.გელოვანი, 1983:163-164; ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2007:299). წმ.ელიას სახელზე იგებოდა საყდრები. დასტურდება მისგან წარმომდგარი ტოპონიმები⁷ (ი.სიხარულიძე, 1958:45; ჯ.კეკელია, თ.ცხაკაია, 2004:54; ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2007:299; ორთოგრაფიული ლექსიკონი, 2009:62). ერგეს ქვეყნის ნასოფლარ „ბაბუარის“ უბანში არსებულია წმ.ელიას სალოცავი. ამ ადგილს დღესაც ელიაწმინდას უწოდებენ (რ.უზუნაძე, 2012:16-17). თუ გავითვალისწინებთ ყოველივე ზემოთქმულს, ვფიქრობ სოფ.ჯოჭოს საკვლევ ქვალოდზე სრულდებოდა წმ.ელიას სავედრებელი ლოცვა-რიტუალი. საყურადღებოა ისიც, რომ ჯოჭოს ხეობა წარმოადგენს ქვაბულს, სადაც ატმოსფერული მოვლენები (ჭექა-ქუხილი, ელვა) ბევრად შიშისმომგვრელი უნდა ყოფილიყო. კიდევ ხეობაში ერთ ადგილს ეძახიან **ჯოჯოხეთას**.

ეხლა გვრჩება გასარკვევი, თუ რამ განაპირობა წარმართული სარიტუალო ქვა-ლოდის მოხვედრა ქრისტიანულ საყდარის საძირკველსა და კედელში. გამოკვლევულია, რომ ადრექრისტიანული და გარკვეულად მომდევნო ხანის საქართვე-

ლოში ინარჩუნებდა თავს წარმართული რწმენა-წარმოდგენე-ბი. პირველ ეტაპზე ქრისტიანობის დამკვიდრება მიმდინარეობდა წარმართულ წეს-ტრადიციებთან თანაარსებობის ფონზე. რაც გვიანობამდე შემორჩა საქართველოს მთიან რეგიონებში (თ.ოჩიაური, 1954:13-18; მ.ჩართოლანი, 1961: 156-201; შ.ჩართოლანი, 1977: 100-103; რ.რამიშვილი, ბ.ჯორბენაძე, I, 1978: 143-144; ივ.ჯავახიშვილი, I, 1979 : 118). „სალოცავები ქვები“ გასული საუკუნის 80-იან წლებამდე დასტურდება სვანეთში (შ.ჩართოლანი, 1977:100-101; მ.ჩართოლანი, 1977:134-137). მიმდინარეობდა ასევე ძველი და ახალი რწმენა-ტრადიციების ერთდაგვარი შერწყმა. V-X სს.-ში საკმაოდ გავრცელებული იყო ღია ცის ქვეშ, შემალლებულ ადგილებზე ქვაჯვარების აღმართვა. ისინი მრავლად დასტურდება საქართველოში⁸. ხდებოდა მენჭირების გადაკეთება ქვაჯვარებად. სადაც სრულდებოდა ღვთისმსახურება, მათ შორის ნათლისღება (ლ.მელიქსეთ-ბეგი, 1938:110-131; ვ.ზუხბაია, 1975: 37-38; დ. ბერძენიშვილი, 2005:91-95,238,306; ვლ.მგელაძე, № 5, 2000:127). საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა სვანეთში გვიანობამდე შემორჩენილი ტრადიცია. პროფ. მ.ჩართოლიანის ცნობით; სოფ.შაცხვარში (მესტია), მთავარანგელოზის სალოცავის გვერდით, გორაზე დგას ორი ქვა, რომელსაც ადგილობრივ „პეტლი საყდარს“ უწოდებენ. დაფიცების დროს ამ ქვებს შორის ზევიდან ჯოხს გადებდნენ, ზედ ხატს დაკიდებდნენ და მის ქვეშ მაფიცარი მხარეები უნდა გამძვრალიყვნენ (მ.ჩართოლანი, 1977:137). ივ.ჯავახიშვილი მიუთითებდა: „ამ ორმა სარწმუნოებამ ხანგრძლივი, ძლიერი გავლენა იქონია ჩვენს ეროვნულ აზროვნებასა და ზნე-ჩვეულებაზე. საუცხოოდ არის შემორჩენილი უძველესი სარწმუნოების კვალი“ (ივ.ჯავახიშვილი, I 1979:92). ადრექრისტიანულ საყდრებში მრავლად დამკვიდრდა წარმართული ელემენტები⁹. რაც გვიანობამდე შემორჩა სვანეთში (იხ. მ.ჩართოლანი, 1977:11-13; მისივე, 1977:132-139). საყურადღებოა, რომ თავდაპირველი ქრისტიანული საყდრები დადასტურებულია წარმართულ წმინდა ადგილებში (მ.მაკალათია,1977:26). პროფ. დ. ბერძენიშვილის აღწერით სოფ. ფოკაში ქვაჯვარზე დარბაზული ეკლესია შემოუშე-

ნებიან (დ. ბერძენიშვილი, 2005:238). საქართველოში მეგალითური კულტურის ცნობილი მკვლევარი ლ.მელიქსეთ-ბეგი გვანდის საინტერესო ცნობას თეჯისის მეგალითური ეპოქის საყდრის შესახებ. იგი წერდა: „საყდარი ნაგებია მეგალითური წყობის ქვებით. ეკლესიის შიგნით დგას დიდი ზომის მენჭირი. რომელზედაც ქრისტიანულ ხანაში ჯვარი ამოუტვიფრავთ“ (ლ.მელიქსეთ-ბეგი, 1938:55). წარმართულ სალოცავ-სამსხვერპლოებთან ახლოს ქრისტიანული საყდრები დასტურდება ზემო აჭარის სოფლებში, – კალთასა და აგარაში (ა.კახიძე .შ.მამულაძე, 1993:45-47; ნ.მგელაძე, I, 2007 : 217-218).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ქრისტიანული საყდრის ასაგებად, ჯოჭოს ხეობის მოსახლეობამ მიზანმიმართულად შეარჩია მათთვის წმინდა ადგილი „სალოცავი ქვა“. ასე აღმოჩნდა საკვლევი ლოდი სოფ. ჯოჭოს „სახტარის“ საძირკვლესა და კედელში. ტრადიციის გავლენით ლოდის ნაწილი, რომელიც მოხვედრილი იყო საყდრის შიგნით, გამოყენებული იქნებოდა რიტუალების შესასრულებლად.

განხილული მასალა გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ პერიოდი, როდის უნდა იყოს აგებული საკვლევი ეკლესია. საკითხთან დაკავშირებით ასევე მეტად საყურადღებოა გათხრების შედეგად ეკლესიის საძვალეში აღმოჩენილი ბაგისაფარი. ერთ-ერთ მიცვალებულს¹⁰ სახის არეში და ნაწილობრივ შუბლზე დაფარებული ჰქონდა ქოთნის ძირ-კედლის ფრაგმენტი¹¹. ადრეული ეპოქისათვის ეს რიტუალი ფართოდ ყოფილა გავრცელებული (შ.მამულაძე, კ.ქამადაძე, 2013:206). აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე ჯოჭოს საყდარი აგებული უნდა იყოს ადრექრისტიანობის პერიოდში, არაუგვიანეს IX-X სს.-ში (რ.უზუნაძე, 2018:478).

საკვლევი პრობლემის შესწავლა-ანალიზი იძლევა საშუალებას გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

- სოფ. ზემო ჯოჭოს საეკლესიო ნაგებობამ, საძირკველსა და კედელში ჩამენებული ბუნებრივი დიდი ლოდის სახით, **შემოგვინახა წარმართული ეპოქის უნიკალური ნივთიერი ძეგლი „სალოცავი ქვა.“**

- საფიქრებელია, ჯოჭოს ხეობის მოსახლეობა „სალოცავ ქვაზე“ ასრულებდა წმ.ელიას სავედრებელ რიტუალს.

- ჩვენი წინაპრები თავდაპირველად ქრისტიანულ საყდრებს აგებდნენ წარმართულ „წმინდა ადგილებში“.

- ჯოჭოს ეკლესიის საძირკველსა და კედელში ჩატანებული „სალოცავი ქვა“ მიუთითებს, რომ ქრისტიანობის ადრეულ ეტაპზე ადგილი ჰქონდა წარმართულ და ქრისტიანულ წეს-ტრადიციების შერწყმას. აღნიშნული ფაქტი არის მეტად საყურადღებო გამოვლინება ქართული რელიგიური სინკრეტიზმისა.

- ჯოჭოს ხეობის საყდარი აგებული უნდა იყოს ადრექრისტიანობის პერიოდში, არაუგვიანეს IX-X ს.ს.-ში.

შენიშვნები

1. წარსულში ისტორიული სიფელი ერგე (მდებარეობს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ცენტრიდან ოთხი კმ. დაშორებით, მდ. ჭოროხის მარჯვენა მხარეს) ანუ ერგეს „ქვეყანა“ წარმოადგენდა დიდ ტერიტორიულ ერთეულს. იგი მოიცავდა ვრცელ ტერიტორიას, კერძოდ – ჭოროხის აუზის მონაკვეთს აჭარისწყალ-ჭოროხის ხერთვისიდან შესართავამდე, ზემო (ჯოჭოს წყალი) და ქვემო (წყალი გველა) ჯოჭოს ხეობებით (რ.უზუნაძე, 2011 : 3-4).

2. სამუშაოებს ზედამხედველობას უწევდა ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი (დირექტორი, პროფ. ა.კახიძე). ექსპედიციაში მონაწილეობდნენ პროფ. შ. მამაულაძე (ექსპედიციის ხელმძღვანელი), პროფ. რ.უზუნაძე, გ.ჩხატარაშვილი, კ.ქამადაძე, მ.უზუნაძე, გ.დუმბაძე (ფოტოგრაფი). არქეოლოგიური სამუშაოები განხორციელდა ასევე ლვთისმშობლის ნაეკლესიარზე „მერიემ ქილისე“ (იხ. შ.მამაულაძე, კ.ქამადაძე, 2013:265-266).

3. სოფ. ზემო ჯოჭო (მდებარეობს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტიდან 6 კმ. დაშორებით) მიეკუთვნება უძველეს დასახლებათა რიგს. ცხოვრების კვალი დასტურდება ბრინჯაოს ხანიდან (ალ.რამიშვილი, 1974:8-9; ა.კახიძე, შ.მამაულაძე, 2000).

4. საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილია რამდენიმე ათეული მსგავსი ძეგლი (ლ.მელიქსეთ-ბეგი, 1938; შ.ამირანაშვილი, 1971:23-25; ვ.ზუხბაია, 1975: 26-28; დ.ბერძენიშვილი, 2005:239; ინტერნეტ-საიტი; მეგალითები საქართველოში).

5. ვფიქრობ, ქვის კულტის საინტერესო რელიქტს უნდა წარმოადგენდეს სახალხო დღესასწაული „ქვაშვეთობა“. იმართება კახეთში (გურჯაანი, ახმეტა), თბილისში, სვანეთში (ლენჯერის თემი), ქურმუხში (საინგილო), დიდჯიხაიშში... (ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2007:915). ამ მხრივ საყურადღებოა ასევე ტოპონიმები: ქვაშვეთი (მასში გამოიყოფა ფუძე **ქვა**, – სეგმენტი **-შვ-** და გეოგრაფიულ სახელთა წარმოებაში გავრცელებული **-ეთ** სუფიქსი, რომელიც რისიმე ან ვისიმე მრავლად მყოფობის ადგილს აღნიშნავს. იხ. მ.ქამადაძე 1992:27). ქაშვეთი (არის ქვაშვეთის სახენაცვალი ფორმა), ქაშვეთის გორა, ქვამხაზი (ი.სიხარულიძე, 1958:140; თ.ბერიძე, 1977:55; ჯ.კეკელია, თ.ცხაკაია, 2004:134; ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2007:915; ორთოგრაფიული ლექსიკონი, 2009:173).

6. ასევე მას უწოდებდნენ „ქვის სალოცავებს“ (შ.ჩართოლანი, 1976: 64-65).

7. შესაძლოა, ატმოსფერული მოვლენა – **ელვა** ღვთაება ელიას სახელს უკავშირდებოდეს. ქართული მითოლოგიის თანახმად: „ელია, დიდმა ღმერთმა წვიმისა და სეტყვის ღვთაებად დაადგინა (ა.გელოვანი, 1983:183). სულხან-საბას განმარტებით „ღრუბელთა კვეთებითა დაჰკრთებიან ელვანი“ (ს.ს.ორბელიანი, IV, 1966:242).

8. როგორც ჩანს, ადრექრისტიანულ ხანაში წმ.ელიას ღვთაებამ განიციდა მოდიფიცირება და შინაარსობრივი დატვირთვით მისი ადგილი გარკვეულად დაიკავა ქრისტიანობის ტრადიციიდან მომდინარე წმ.ლაზარეს კულტმა.

9. ქვაჯვარები დადასტურებულია – გომარეთში (დმანი-სის მუნ.-ი), გუჯართში (ბორჯომის მუნ.-ი), ზადენ-გორაზე (ადიგენის მუნ.-ი), პტენაში (ახალქალაქის მუნ.-ი), მეჯვა-

რისხევეში (გორის მუნ.-ი), სოფ.ფოკაში (ნინო წმინდის მუნ.-ი), თეჯისში (ნალკის მუნ.-ი). და სხვა (ლ.მელიქსეთ-ბეგი, 1938:110-111; დ.ბერძენიშვილი, 2005:75, 91-92. საქართველო (ენციკლოპედია), II, 2012:87-88; ინტერნეტ საიტი, – ქვაჯვარები საქართველოში). ქვაჯვარი დასტურდება ასევე აჭარაში, კერძოდ ჭვანის ხეობაში (შუახევის მუნ.-ი). ადგილ ჯვარიმინდორზე დევს ორი უზარმაზარი ქვა. ერთზე ამოკვეთილია ჯვარი (სურ.3). (ცნობა მომანოდა ლვანლმოსილმა პედაგოგმა, პროფ.აკაკი ზოიძემ. წარმოშობით არის ჭვანის ხეობიდან). სავარაუდებელია, ლოდები წარმართობის დროს იყო ხეობის მოსახლეობის წმ. ადგილი „სალოცავი ქვა“.

10. ლეონტი მროველის ცნობით, ჯერ კიდევ XI საუკუნისათვის ტაძრებში კერპები იყო შემორჩენილი (ქართლის ცხოვრება, I, 1955:41).

11. საკითხთან დაკავშირებით ცნობილი ეთნოგრაფი მზია მაკალათია მიუთითებს: „ქრისტიანულ ეკლესიათა დიდი ნაწილი აგებულია წარმართულ სამლოცველოთა ადგილზე“ (მ.მაკალათია, I, 1977:26).

12. ჯოჭოს საყდრის მინაშენ სამარხში (მიშენებულია დასავლეთ კედელზე) აღმოჩნდა სხვადასხვა დროს ჩასვენებული 21 მიცვალებული (იხ. შ. მამულაძე, კ. ქამადაძე, 2013:267).

13. ანალოგიური ფაქტი დაფიქსირდა საციხურისა და კალოთას (ხულოს მუნ.-ი) ეკლესიების ტერიტორიაზე განლაგებული სამარხების შესწავლისას. მსგავსი შემთხვევა საქართველოს შუა საუკუნეების სამარხების შესწავლის პრაქტიკაში ჯერ-ჯერობით არაა დაფიქსირებული (შ.მამულაძე, 2013:267).

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. **შ.ამირანაშვილი, 1971:** – ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი.
2. **ვ.ბატონიშვილი, IV 1973:** – ბატონიშვილი ვ., აღწერა სამეფოსა საქართველოსა: – „ქართლის ცხოვრება ,IV, თბილისი.
3. **გ.ბედოშვილი, 2001:** – ბედოშვილი გ., ქართულ ტოპონიმთა განმარტებითი-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.
4. **თ.ბერაძე, მ.სანაძე, 2003:** – ბერაძე თ., სანაძე მ., საქართველოს ისტორია, I, თბილისი.
5. **თ.ბერიძე, 1977:** – ბერიძე თ., ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბილისი.
6. **დ.ბერძენიშვილი, 1997:** – ბერძენიშვილი დ., ბემთაშენი, – საქართველო (ენციკლოპედია), I, თბილისი.
7. **დ.ბერძენიშვილი, 2005:** – ბერძენიშვილი დ., ქვაჯვარი გუჯარეთის თონეთიდან, – ნარკვევები, თბილისი.
8. **დ.ბერძენიშვილი, 2005:** – ბერძენიშვილი დ., ჯავახეთის ძველი სიმაგრეები. – ნარკვევები, თბილისი.
9. **დ.ბერძენიშვილი, 2005:** – ბერძენიშვილი დ., თრიალეთის უცნობი ნარწერები. – ნარკვევები, თბილისი.
10. **პ. ბუხარაშვილი, ზ.ცხვიტინიძე:** – გომარეთის პანტიანის მეგალითური დასახლება (<http://saunje.ge/index.php?id=1226&lang=en>)
11. **ა.გელოვანი, 1983:** – გელოვანი ა., მითოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.
12. **ს. გოგიტიძე, მ.გრიგოლია, I, 2007:** – გოგიტიძე ს, გრიგოლია გ., ქვის ხანა აჭარის ტერიტორიაზე. – სდსინ (აჭარა), I, თბილისი.
13. **ვ. ზუხბაია, 1975:** – ზუხბაია ვ, ქართლის ცხოვრების ქვის ფურცლები, თბილისი.
14. **ზ. თანდილავა, 1974:** – თანდილავა ზ., ლაზარობა და „ქვაკაცები“. სდსზ, I, თბილისი.

15. **ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2007:** – საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბილისი.
16. **აკახიძე, შ.მამულაძე, 2000:** – კახიძე ა., მამულაძე შ., – ჭოროხის აუზი კოლხური კულტურის უძველესი კერა, ბათუმი.
17. **აკახიძე, შ.მამულაძე, 1993:** – კახიძე ა., მამულაძე შ., აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი.
18. **აკახიძე, შ.მამულაძე, 2016:** – კახიძე ა., მამულაძე შ., აჭარის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი.
19. **აკალანდაძე, 1970 :** – კალანდაძე ა., ნეოლითი (ახ.ქვის ხანა), – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბილისი.
20. **ჯ.კეკელია, თ. ცხკაია, 2004:** – კეკელია ჯ., ცხკაია თ., ხაბაზაშვილი მ., საქართველოს ტერიტორია და დასახლებული პუნქტები, თბილისი.
21. **ბ.კუდავა:** – ტაო-კლარჯეთის მეგალითური ძეგლები (<http://saunje.ge/index.php?id=1499&lang=ru>).
22. გ.ლომთათიძე, 1977: – ლომთათიძე გ., საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I-XIII ს.ს., თბილისი.
23. **თ.ლომთათიძე, 2005:** – ლომთათიძე თ., ამინდის მართვის უძველესი რიტუალი და მეგალითური კულტურის ძეგლები აჭარაში. ბამ (ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი) შრომები, III, ბათუმი.
24. **მ.აკალათია, I, 1977:** – მაკალათია მ., წარმართული ხასიათის ზოგიერთი საკულტო ძეგლი სვანეთში. – სვანეთი, I.
25. **შ.მამულაძე, 1998:** – მამულაძე შ., აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების სამაროვნები, თბილისი.
26. **შ.მამულაძე, კ.ქამადაძე, 2013:** – მამულაძე შ., ქამადაძე კ., ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ერგეში 2012 წ. წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში. – აჭარა (წარსული და თანამედროვეობა), ბათუმი.

27. **შ.მამულაძე, კ.ქამადაძე, 2013:** – მამულაძე შ., ქამადაძე კ., ქრისტიანული საკულტო ნაგებობანი ერგეს „ქვეყნაში,“ – ჩვენი სულიერების ბალავარი, V, თბილისი.
28. **ლ.მელიქსეთ-ბეგი, 1938:** – მელიქსეთ-ბეგი ლ., მეგალითური კულტურა საქართველოში, თბილისი.
29. **ვლ.მგელაძე, № 5, 2000:** – მგელაძე ვლ., თავდაპირველი ქრისტიანობის გავრცელება აჭარაში, – „ლიტერატურული აჭარა“, ბათუმი.
30. **ნ.მგელაძე, 1984:** – მგელაძე ნ., ერთიანი წარმართული რიტიულის შესახებ ლორჯომის ხეობაში. სდსძ, VII, თბილისი.
31. **ნ.მგელაძე I, 2007:** – მგელაძე ნ., სულიერი სამყარო (აჭარა ადრერკინის ხანაში), – სდსძ (აჭარა), I, თბილისი.
32. **„მოქცევაი ქართლისაი“, I, 1963:** – მოქცევაი ქართლისაი (აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები), თბილისი.
33. **ს.ს.ორბელიანი, IV, 1966:** – ორბელიანი ს.ს., IV, თბილისი.
34. **თ.ოჩიაური, 1954:** – ოჩიაური თ., ქართველთა ძველი სარწმუნოების გადმონაშთები და მათი რეაქციული არსი, თბილისი.
35. **ალ.რამიშვილი, 1974:** – რამიშვილი ალ., კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათუმი.
36. **რ. რამიშვილის, ბ.ჯორბენაძე, I, 1978:** – რამიშვილი რ., ჯორბენაძე ბ., ერწო-თიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერო მუშაობის შედეგები, – მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის სერია), თბილისი.
37. **ა. რობაქიძე, I, 1980:** რობაქიძე ა., სვანეთი ძველად და ახლა, – მაცნე (ისტორიის არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის სერია), თბილისი.
38. **ორთოგრაფიული ლექსიკონი, 2009:** – საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.
39. **საქართველო, II, 2012:** – საქართველო (ენციკლოპედია), თბილისი.
40. **ი. სიხარულიძე, 1958:** – სიხარულიძე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმები, ბათუმი.

41. **რ. უზუნაძე, 2012:** – უზუნაძე რ., ქრისტიანობა ერგეს ქვეყანაში, თბილისი.
42. **მ. ქამადაძე, VIII, 1992:** – ქამადაძე მ., ზემო აჭარის ტოპონიმია. – აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკონი, თბილისი.
43. **მ.ქამადაძე, I, 2007:** – ქამადაძე მ., აჭარის უძველესი და ძველი ისტორიის ნყაროები (ტოპონიმია), სდსინ (აჭარა), I, თბილისი.
44. **ქართლის ცხოვრება, I, 1955/**
45. **ვ.შამილაძე, I, 1979:** – შამილაძე ვ., კორიდის ადრეული ფორმების ისტორიისათვის საქართველოში ეთნოგრაფიული მასალების შუქზე. სდსყკ, I, თბილისი.
46. **მ. ჩართოლანი, 1961:** – ჩართოლანი მ., ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბილისი.
47. **მ. ჩართოლანი, I, 1977:** – ჩართოლანი მ., ჩხუდანი – სვანური სახლის კერპი. – სვანეთი, I, თბილისი.
48. **შ. ჩართოლანი, I, 1976:** – ჩართოლანი შ., მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის, თბილისი.
49. **შ. ჩართოლანი, I, 1977:** – ჩართოლანი შ., სვანეთის მატერიალური და კულტურის ძეგლების შესწავლისათვის. – სვანეთი, I, თბილისი.
50. **შ. ჩართოლანი, I, 1977:** – ჩართოლანი შ., სვანეთის უძველესი რელიგიური რწმენა წარმოდგენები არქეოლოგიური მასალების შუქზე. – სვანეთი, თბილისი.
51. **ივ.ჯავახიშვილი, I, 1979:** – ჯავახიშვილის ივ., თხზ. 12 ტომად, თბილისი.

Revaz Uzunadze

*The Pagan Age Monument from the Jochostskali Gorge
Summary*

As a result of excavation of the ruins of the church (“sakhtari“) in Zemo Jocho village (Khelvachauri municipality, Erge community) the natural stone block was found in the foundation and south wall of church. The research showed that the block was a ritual stone (stone for worship) of the pagan period. The population of the Jocho gorge was performed a sacred ritual – pray to Elia – on it. In the early period of Christianity, under the influence of pagan rules and traditions the church was built on the site where there was the ritual stone. This is an important expression of Georgian religious syncretism.

The church built at early Christianity, no later than in 9th-10th cc.



სურ.1



სურ. 2



სურ. 3

**ადრეშუასაუკუნეების ქვეყრი თამარის
დასახლებიდან**

ჩვენი ქალაქის ისტორია ბათუმის ციხის (თამარის დასახლება) ტერიტორიაზე არსებულ უძველეს სამოსახლოს უკავშირდება. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ხანის სამოსახლოთა შორის, იგი ერთ-ერთ თავისებურ და მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს. აგებულია მდ. ყოროლისწყლის მარცხენა შესართავთან, მის შესახებ შემოგვინახა საინტერესო წერილობითი ცნობები. შეიქმნა სათანადო ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობაც. ერთ-ერთ უძველეს დასახლებულ პუნქტს ბერძენი და რომაელი ავტორები „ბათის-ის“ სახელით მოიხსენიებენ (ყაუხჩიშვილი, 1987:109-11; ინაიშვილი, 1973:24). გორასამოსახლო გაჩენილა ძვ.წ I ათასწლეულის პირველ ნახევარში. რომელიც ხის მესრით იყო გამაგრებული; ჰქონდა დამცავი თხრილი. უძველესი კულტურული ფენა ძვ.წ VIII-VII სს განეკუთვნება. ადგილობრივ ხელოსნურ ნაწარმთან ერთად, აღმოჩენილია ამიერკავკასიაში ჯერჯერობით უძველესი (ძვ.წ VII ს ბოლო – VI დამდეგი) იმპორტული ნაკეთობანი (კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989:42-92, ტაბ.III-IV; კახიძე, 2007: 247-254; კახიძე, სურმანიძე, შალიკაძე. 2013:8-24).

ბათუმის ციხის ტერიტორიაზე გამოვლენილი მრავალფეროვანი ნივთიერი კულტურის ძეგლებში წამყვანია ადგილობრივი კერამიკული ნაწარმი, მათ შორის მრავალრიცხოვნებით გამოირჩევა კოლხური ქვევრები, რომლებიც საშუალებას იძლევიან ამ ჭურჭლის განვითარების ადრეულ ეტაპებს გავადევნოთ თვალი. ჩანს, მუცლისა და პირ-ყელის შემკობის სხვადასხვა მოტივის თანაარსებობა. გამოყენებულია: რომბული ბადის ორნამენტი, წინვისებურ-ტალღისებური, ჯვარედინი ხაზები, მცენარეულ-რელიეფური, ჭდეები და ა.შ. შემკობის ტრადიციული მოტივების ერთგვარი აღორძინება შეინიშნება ადრეფეოდალური ხანისა და ზოგჯერ შემდგომი ეპოქის ნიმუშებზეც. გვხდება ქვევრები, რომელთაც

სავენტილაციო ნახვრეტები აქვთ გაკეთებული. ფიქრობენ, რომ ისინი მარცვლეულის შესანახად გამოიყენებოდა (კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989:59-61; ტაბ. VI-XVIII. კახიძე, მამულაძე, 1988:47-60, ტაბ. XXIII, XXIV, XXVI). ბათუმისგორა სამოსახლოზე ქვევრების სიმრავლე მიუთითებს, რომ ანტიკურ ხანაში მექვევრეობა მეთუნეობის ცალკე სპეციალიზებულ დარგად ჩამოყალიბებულა. ეს კი მეურნეობის ახალი დარგების განვითარებითა და ეკონომიკაში მომხდარი ძვრებით აიხსნება. ქვევრების სიმრავლე პირველ რიგში მეღვინეობის დარგის დანიშნულებაზე მიუთითებს. მიუხედავად იმისა, რომ მისი ძირითადი ფუნქცია მეღვინეობასთანაა დაკავშირებული, მას მარცვლეულის, ზეთის, დამარილებული თევზის და სხვა პროდუქტების შესანახად და ტრანსპორტირებისთვისაც იყენებდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძვ.წ IV საუკუნიდან ახ.წ. III საუკუნემდე მეორადი დანიშნულებით ხმარებიდან გამოსულ თუ საგანგებოდ დამზადებულ ქვევრებს დასაკრძალავ ურნებადაც იყენებდნენ (თოლორდავა, 1980:6-65). მეღვინეობის ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ხდებოდა როგორც ქვევრების, ასევე ღვინის იმპორტიც. კლასიკური და ელინისტური ხანის კოლხური ქვევრების ფრაგმენტები და ამფორები აღმოჩენილია პანტიკაპეონის, ნიმფეოსის, ჰერმონასის, ქერსონესის, მირმეკონისა და მათი ქორას გათხრებისას (ცეცხლაძე, 1991:49-56).

ბათუმის ციხე, ადრემუსაუკუნეებში აქტიურ როლს ასრულებდა სავაჭრო ურთიერთობებში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ცენტრები გონიო-აფსაროსი და პეტრა ციხისძირი კონტროლს უწევდნენ დასავლეთ საქართველოზე გამავალ სავაჭრო გზებს. ლაზიკისათვის განკუთვნილ იმპორტში შედიოდა არამარტო მარილი, ხორბალი და მალახარისხოვანი ღვინო, არამედ ძვირფასი ქსოვილები, იარაღი და ლითონის ნაწარმი (ლორთქიფანიძე, 2002:210-211). მეღვინეობა რომ ამ ეპოქაში სასაქონლო ხასიათს ატარებდა ამის დამადასტურებლად შეიძლება ჩაითვალოს ბათუმის ციხის შემოგარენში მრავლად აღმოჩენილი დიდი ზომის ქვევრების ახალი ტიპი. მათგან ერთერთი უახლესია თამარის დასახლებაში შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრი.

2017 წლის 20 ნოემბერს ბათუმის ციხესთან ახლოს, თამარის დასახლების ტერიტორიაზე, შემთხვევით აღმოჩნდა ქვევრი, რომელიც მინისქვეშა სამუშაოების წარმოებისას შპს „გზა“-ს მუშებმა სამწუხაროდ მნიშვნელოვნად დააზიანეს. განხორციელდა მცირე მასშტაბის არქეოლოგიური სამუშაოები. აიგემა 4,3 მ. სიგრძისა და 1მ სიგანის თხრილი. 50 სმ მინის ფენის მოხსნის შემდეგ გამოჩნდა ქვევრის მხრის ფრაგმენტები. დავინყეთ მისი პრეპარაცია. ქვევრი ჩადგმული იყო 1,5მ. სიღრმეზე. მასში დიდი რაოდენობით იყო ჩაყრილი მოზრდილი და საშუალო ზომის ქვები, მათ შორის იყო სამკუთხაგანიკვეთიანი პირისა და ყელის ფრაგმენტები (ტაბ.1) მოხერხდა მისი ნაწილობრივი რესტავრაცია და გრაფიკული ჩანახატის გაკეთება. ამჟამად ქვევრი დაცულია ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში.

აქვე მოვიტან მის აღწერილობას: (VI:017-113/1) ყავისფერკეციანი, პირი სამკუთხაგანიკვეთიანი, ზედა სადა გვირგვინი მომრგვალებული. ფართო ყელი შემკულია რელიეფური რგოლებით, რომლის ქვემოთ მხრის მიმართულებით დატანილია მჭიდროდ განლაგებული ჰორიზონტალური ღარები. ტანი მომრგვალებულია, დაბალი, ცილინდრული ძირი ტანისაგან მკვეთრადაა გამოყოფილი. სიმაღლე – 165 სმ; მუცლის დიამეტრი – 115 სმ; დიამეტრი – 42 სმ; ძირის – 13,5 სმ. ფსკერზე შემორჩენილია სავარაუდოდ ღვინისაგან დაცოვებული შავი ფერის ლაქა (ტაბ.2).

როგორც ფორმის, ასევე შემკობის მოტივების მიხედვით, თამარის დასახლებაში შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრის ანალოგები აჭარის ტერიტორიაზე უკვე ბევრგან ფიქსირდება. ესენია ჩაქვის ჩაისუბნი, კაპნისთავი, ხიხანის ციხე, ახლშენი, თოდოგაური, მახოი, წინსვლავი, თხილნარი, სარფი, ორცვაი, ზესოფელი და ა.შ. (კახიძე, სურმანიძე, შალიკაძე, 2013: 5-24; კახიძე, სურმანიძე, 2013:222-234; მინდორაშვილი, 2015:132-148; კახიძე, შალიკაძე, ნაგერვაძე, 2017:25-33; მინდორაშვილი 2017:323-333; კახიძე, მამულაძე, 2018:130-139).

მსგავსი ორნამენტაციის ქვევრების შესასწავლად საინტერესოა 2012-2013 წწ ისტორიული ქანეთის მხარეში მოწყობილი ექსპედიციების მონაპოვრები. დადასტურდა რომ

ასეთივეა ტრაპიზონთან ახლოს, ოფში (მთლიანი ცალები) და არხავეს ციხის ტერიტორიაზე შეგროვებული ფრაგმენტებიც. ერთი შესანიშნავად დაცული სინოპეში აღმოჩენილი ქვევრი ტრაპიზონის აია სოფიას ტაძრის შესასვლელთანაა გამოფენილი. არაა გამორიცხული, რომ ამათი მწარმოებელი ცენტრი თვით სინოპე ყოფილიყო (კახიძე, ხალვაში, 2014:134).

აჭარის ტერიტორიაზე ბოლო წლებში აღმოჩენილ ქვევრების ფრაგმენტებს ჩაუტარდა მიკროსკოპული ანალიზი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლაბორატორიაში. კვლევა ჩატარდა პროფესორ ნოდარ ფოფორაძის მიერ. ნიმუშების მინერალური შედგენილობის განსაზღვრისთვის და მათი ფრაქციულ-გრანულომეტრიული ზომის დასადგენად გამოყენებულ იქნა პოლარიზაციული მიკროსკოპი (AMSCOP 600T). მინერალური ფაზების რაოდენობა და რაობა დადგინდა რენტგენოფაზური ანალიზატორით (DRON-3). ნიმუშების საერთო ქიმიური შედგენილობის დასადგენად ისარგებლეს რენტგენო-ფლუ-ორესცენტული (XRFEDX3600B) ანალიზატორით. მიკროსკოპიული კვლევის შედეგად სინჯებში გამოვლენილი მინერალური ჩანართებისა და ქანების მიხედვით, ქვევრი ადგილობრივადაა მიჩნეული. მიკროსკოპიული კვლევების მიხედვით დადგინდა, რომ ძირითადი თიხოვან-მონტმორილონიტური მასა მეტნაკლებად გამომწვარია. მინერალებიდან წარმოდგენილი კვარცი და პლაგიოკლაზები, ზოგჯერ პოლისინთეტურადაა დაწყვილებული. აქედან გამომდინარე გამოთქმულია ვარაუდი, რომ ქვევრი დაახლოებით 900 გრადუსზე იყო გამომწვარი, რაც საკმარისია ქვევრის ფუნქციური დატვირთვით გამოყენებისათვის.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ადრემუასაუკუნეების დასაწყისში სამხრეთ შავიზღვისპირეთსა და აჭარის ტერიტორიაზე ჩნდება მანამდე უცნობი მდიდრული ორნამენტაციისა და მოხდენილი ფორმის (რელიეფურ-ჭდეებიანი) ქვევრები. ყოველივე ეს ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის მაუწყებელია. მომდევნო ეპოქებში შემკულობის ამ მოტივებზე დამზადებული ქვევრების ადგილობრივი სახეობები მრავლად ჩნდება როგორც ზღვისპირა რაიონებში, ასევე აჭარის მთისწინა ზონაში. თამარის და-

სახლებში შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრი ადრეშუასაუკუნეების ხანის (VI-VII სს) ადგილობრივი ნაწარმია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თოლორდავა ბ. (1980) – დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში. თბილისი;
2. ინაიშვილი ა. (1973) – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უძველესი ნამოსახლარებისა და ნაქალაქარების არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები III. თბილისი;
3. კახიძე ა, მამულაძე შ, (1988) – კვაშტის ანტიკური ხანის ნამოსახლარი, სდსძ, XVII, თბილისი;
4. კახიძე ა. (2007) – სამხრეთ-დასავლეთ ზღვისპირეთის ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა I. თბილისი;
5. კახიძე ა. ხახუტაიშვილი დ. (1989) – მასალები ბათუმს ძველი ისტორიისათვის. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები XVIII;
6. კახიძე ა. ხალვაში მ. (2014) – აღმოსავლეთ ქანეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ზოგიერთი არქეოლოგიური მასალა. – ისტორიული ქანეთის აღმოსავლეთ ნაწილში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, თავი VI, ბათუმი;
7. კახიძე ა. სურმანიძე ნ. (2013) – სოფელ ჩაისუბანის „შუამთის“ გორანამოსახლარის არქეოლოგიური გათხრების შედეგები. აჭარა წარსული და თანამედროვეობა. I. ბათუმი;
8. კახიძე ა. სურმანიძე ნ. შალიკაძე თ. (2013) – ბათუმის ციხის 2012 წლის არქეოლოგიური გათხრების შედეგები. აჭარა წარსული და თანამედროვეობა. I. ბათუმი;
9. კახიძე ა. შალიკაძე თ. ნაგერვაძე მ. (2017) – ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები სოფელ კაპნისთავში. აჭარა წარსული და თანამედროვეობა. III. ბათუმი;



10. კახიძე, მამულაძე, (2018) – ქვევრის ერთი სახეობის გავრცელების საკითხისათვის პონტოს პირეთში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე +1. თბილისი;
11. ლორთქიფანიძე ო. (2002) – ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. მინდორაშვილი დ. (2015) – ხიხანის ციხეზე 2013 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები. აჭარა წარსული და თანამედროვეობა. II. ბათუმი.
12. მინდორაშვილი დ. (2017) – ხიხანის ციხეზე 2014-15 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში. აჭარა წარსული და თანამედროვეობა. III. ბათუმი, გვ. 132-148;
13. ცეცხლაძე გ. (1991) – ახალი მასალები ძველი კოლხეთისა და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა შესწავლისათვის. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები XIX. თბილისი. გვ. 49-57;
14. ყაუხჩიშვილი თ. (1987) – ანტიკური წყაროები ქ. ბათუმის შესახებ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები XVI. თბილისი. გვ. 109-117.

Izo Dumbadze

The earliest point of the pitcher from Tamari settlement Summary

The history of our city is related to the ancient settlement in the Batumi fortress (Tamari settlement). It is one of the peculiar and important monuments of ancient South-West Black Sea settlements. As a result of archaeological excavations, there was an early pitcher, which is mentioned in the present work.





**რომაული სამხედრო დასახლებები კოლხეთში
(მოკლე მიმოხილვა)**

ძვ.წ. 65 წელს პომპეუსის ხელმძღვანელობით რომაელები პირველად შევიდნენ კოლხეთში, მანამდე კოლხეთი ექვემდებარებოდა მითრიდატეს ბოსფორის სამეფოს. პომპეუსის შემოსვლით, ბუნებრივია, ის რომაელების გამგებლობის ქვეშ მოექცა. პომპეუსმა კოლხეთში არისტარქე დატოვა, თუმცა ძვ. წ. 48 წელს ევპატორის ვაჟიშვილი ფარნაკე, რომელიც მამის იმპერიის აღდგენას ლამობდა კოლხეთს დაეპატრონა, თუმცა იგი მალევე განდევნა მითრიდატე პერგამონელმა იულიოს კეისრის მხარდაჭერით. კიდევ ერთი შავიზღვისპირა იმპერია, რომელიც კოლხეთს ერთად პონტოსა და ბოსფორის სამეფოს მოიცავდა, შექმნა პოლემონ I-მა, ქალაქის დინასტმა, რომელიც ანტონიუსმა გაამეფა და შემდგომ უკვე ავგუსტუსის მხარდაჭერითაც სარგებლობდა. დაახლოებით ძვ.წ. 8 წელს როდესაც პოლემონ პირველი გარდაიცვალა, სამეფო მისმა ქვრივმა პითოდოროსმა დაიკავა. დაახლოებით ახ.წ. 8 წელს იგი ცოლად გაყვა კაბადოკიის მართველს არქელაოს I-ს, რითაც კოლხეთი და კაბადოკია გაერთიანდა. ახ.წ. 17 წელს არქელაოსის გარდაცვალების შემდეგ კაბადოკია უშუალოდ რომს დაექვემდებარა, ხოლო პითოდოროსი კვლავ თავის ძველ სამეფოს განაგებდა კოლხეთის ჩათვლით, პითოდოროსისი შემდეგ კი მისი შთომავლები, მანამ სანამ ახ.წ. 63 წელს ნერონმა პოლემონ II-ის სამეფოს ანექსია მოახდინა (ბრაუნე 2014:220). პოლემონის სამეფო და პონტო კოლხეთთან ერთად გალატიის პროვინციაში შევიდა. ამ ღონისძიებების მთავარ მიზეზად ნერონის მიერ ჩაფიქრებული ჩრდილოეთ კავკასიის ლაშქრობა სახელდება. 66-67 წელს, სპეციალურად ლეგიონ I იტალიკას ფორმირებაც კი დაიწყო (კახიძე 2008) თუმცა ლაშქრობა არ დასცალდა ახ.წ. 69 წელს ნერონი დაიღუპა.

რათქმუნდა, რომაელების კოლხეთში გამოჩენა მიუთითებდა იმას, რომ ისინი აუცილებლად დაინყებდნენ სამხედრო, თავდაცვითი სისტემის მშენებლობას. ამის ნათელი მაგალითია პლინიუსის ცნობა, რომელიც ახ.წ.77 წლამდე კოლხეთში რომაელი სამხედროების ხანგრძლივ ყოფნას ასახელებს. პლინიუსი ერთ *castellum*-ს სებასტოპოლისში ასახელებს დიოსკურიის მახლობლად, ხოლო მეორეს აფსაროსში (Plin., NH.VI, 14).

არიანე თავის პერიპლუსში ახ.132 წელს, მოიხსენიებს აფსაროსს, ფაზისსა და სებასტოპოლისს. აფსაროსის შესახებ არიანე წერს: „ მივედით აფსაროსში, სადაც დგას ხუთი კოპორტი, აქ ხელფასი დაფურთგე ჯარისკაცებს და დავათვალიერე იარაილი, კედელი, თხრილი, ავადმყოფები და ისიც თუ რა მდგომარეობაში იყო პურის მარცვლეულის დამზადება”(Arr.,PPE,6).

არიანეს გარდა მნისვნელოვანია წარწერები იტალიიდან, სადაც საუბარია რომ ვინმე *Marcus Plaetorius Celer*-ი იყო *Præpositus humerorum tendentiu in Ponto Absaro*. ასავე ეგვიპტეში, ფაიუმის ალოჩენილ პაპირუსზე დატანილი ინფორმაცია რომ აფსაროსში იდგა *Cohorta II Claudina* (კახიძე 2008; Speidel 1986:657)

აფსაროსი მდებარეობს დღევანდელი სოფ: გონიოს ტერიტორიაზე. ციხე სწორკუთხა ფორმისაა და 4,9 ჰექტარს მოიცავს, ციხეს აქვს ოთხი კარიბჭე და 22 კოშკი. ციხეში გამოვლენილია რომაული პერიოდის აბანოები, სამხედრო ბარაკები, პრინციპია და სხვა თიხის ქურჭელი, რომელიც ადასტურებს რომ აფსაროსში ციხესი რომაული პერიოდი იწყება ახ.წ. I ს-დან III საუკუნის ბოლო ხანებამდე (კახიძე 2004:4). უკანასკნელ წლების უმნიშვნელოვანეს აღმოჩენად მიიჩნევა, გონიოში I საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებული მოზაიკა (Karasiewicz-Szczyporski; Mamuladze; Jiaworski; Wagner 2016:521) და ასევე მნიშვნელოვანი ციხის გარეთ ჩრდილოეთ კედელთან გამოვლენილი საფორთიფიკაციო ნაგებობის კედლების ფრაგმენტები, რომლებიც სავარაუდოდ I საუკუნის 60-70 წლებით თარიღდება

(Karasiewicz-Szczyporski; Mamuladze; Jiaworski; Wagner 2016:521)

სამწუხაროდ, წერილობითი წყაროების გარდა არანაირი მატერიალური ძეგლები არ მოგვეპოვება ფაზისის შესახებ, მკვლევარები დღემდე იკვლევენ ფაზისის ადგილმდებარეობას. წერილობითი წყაროები თითქოსდა მიგვითითებენ კონკრეტულ ტერიტორიაზე მაგრამ არქეოლოგიური კვლევებით ვერაფერს ვადასტურებთ. სტრაბონი აღნიშნავს, რომ: „ აქ არის ქალაქი რომელსაც მდინარის სახელი ფაზისი ეწოდება. ეს არის კოლხეთის სავაჭრო ცენტრი, რომელიც შემოსაზღვრულია მდინარით (რიონი-ლ.ბ), ტბით (პალიასტომი-ლ.ბ) და ზღვით” (Strabo 11.2.17).

მნიშვნელოვანია არიანეს მოგზაურობის ჩანაწერები სადაც ის აღწერს: „ .. თვით ციხე-სიმაგრე, რომელშიც თავსდება ოთხასი რჩეული მეომარი, მე მეჩვენა მეტად მიუდგომელად ადგილის ბუნების მიხედვით, უშიშროების თვალსაზრისით მეტად მოხერხებულ ადგილზე აქ მომსვლელთათვის. ორმაგი თხრილი ერტყმის კედელს, ორივე ფართოა. წინათ კედელი თიხისა იყო და ხის კოშკები იდგა მასზე. მაგრამ ახლა კედელი და კოშკები გამომწვარი აგურისგანაა გაკეთებული. საძირკველი მისი მყარია, ზედ სამხედრო მანქანებია დადგმული. ერთი სიტყვით ყოველმხრივ იმდაგვარადააა მოწყობილი, რომ ალყის საფრთხე არ მოელოდეს ციხის დამცველთ. რადგან ნავსაყუდელი უშიშარი თავშესაფარი უნდა ყოფილიყო ხომალდთათვის [საიმედო უნდა გამხდარიყო], აგრეთვე ციხის გარშემო მდებარე სხვა ადგილებიც რომლებიც დასახლებულია სამსახურიდან გადამდგარი სამხედრო პირებით და ვაჭრებით. გადავწყვიტე, რომ ციხის კედლის გარშემო არსებული ორმაგი თხრილიდან გამეყვანა მდინარემდე სხვა თხრილი, რომელიც გარს შემოუვლიდა ნავსადგურს და ციხის კედლის გარეთ მდგომ სახლებს” (Arr., PPE, 6).

მნიშვნელოვანი და საინტერესოა, შვეიცარიელი მოგზაურის ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს წიგნი, რომელიც შეეხება მის მოგზაურობას 1831-1834 წლებში. დასავლეთ საქართველოში მოგზაურობის დროს, 1833 წლის სექტემბერში მოინახულა ქ. ფოთი და მისი შემოგარენი. თავის წიგნში ის აღწერს: „ ..ფოთში ჩასასვლელად მდ. ფასისის ნაპირებს გავ-

ყვეით... ძველი ფოთი მდებარეობს ქალაქიდან 6 ან 7 ვერსზე მდ. ფასისის მარჯვენა ნაპირზე, არხ ნადორთას შესასვლელის პირდაპირ, რომელიც ფასისს, პალიასტომის ტბასა და ფიჩორთადნ აკავშირებს. აქ მდნარეს დიდი „კუნძული“ ყოფს ორად. გადაშალეთ აგათია და ნახეთ სწორია თუ არა ჩემი ისტორიული მცდელობის ახსნა... თავდაპირველად აღნიშნავ, რომ სახელწოდება ფოთი არის მხოლოდ ფაზისის მეგრული თარგმანი. ამ დიდიხნის ქალაქს სანგრებისა და აგურების რამდენიმე გროვის გარდა სიძველის არანაირი კვალი არ შემოუნახავს.

არხი გათხრილი იქნა რომაელების მიერ იუსტინიანეს დროს, რათა მისგან თავდაცვის ზოლი გაეკეთებინათ და ამგვარად ჩაკეტილიყვნენ თითქოსდა დიდი კუნძულზე ფასისის, ფიჩორისა და პალიასტომის ტბას შორის. არხიდან ფოთის ციხე-სიმაგრემდე კიდევ 14 ვერსი გავიარეთ. ამ მიდამოებსი მე ვერაფერი აღმოვაჩინე ღირშესანიშნავი ხშირი ხეების ორი ხეივნის გარდა. ციხე-სიმაგრის ზემოთ 3 ვერსამდე, სადაც შეილება ვრცელი სწორი ვაკე-ზაფხულში მშრალი, ხოლო სემოდგომაზე ნვიმებისაგან წყლით დაფარული და დაჭაობებული.. აქ სენი ნება-სურვილის მიუხედავად საჭიროა დაბლა ცამოხვიდე და ნახევარი ტანით ჭაობში ჩაეფლო. ბოლოს ძლივს მივალწიეთ მცირე ბორცვამდე, რომელსაც ჩემს წინ ისე ვხედავდი როგორც ნეტარ კუნძულს და ჭაობის შუაში, მდინარე ფასისისდან 700 ნაბიჯზე, ფეხი დავადგით რაღც მაღალ ადგილს, ეს სხვა არაფერია, თუ არა აგურით ნაგები ნაციხარის ნაშთი, რომელშიც თვალნათლივ შეიცნობა ფლავუს არიანეს მიერ თავის „პერიპლუსში“ აღწერილი და აღდგენილი ციხე-სიმაგრე. სიმაგრის ოთხივე კუთხეში აღმართული იყო ოთხი [...] კოშკი, კარები ზღვისკენ იყო მობრუნებული. აგურები, რომელიც ამ ნაგებობისთვი იყო გამოყენებული, ერთმანეთან მოწითალო ფერის დულაბით იყო შეერთებული. ციხე-სიმაგრის შიდა ნაწილი რომელსაც 140 ნაბიჯი სიგანე ქონდა, ზუსტად იმდენი, რამდენიც იქ, სამხედრო გარნიზონში მყოფი, 400 რომაელის მოთვსებისთვის იყო საჭირო. ეხლა ზაფხულსა და ზამთარში მხოლოდ გამოუყენებელი გუბე და ამღვრეული არხის შესასვლელი კარია. კოშკების ჩამონგრევისგან წარმოქმნილი ყრილები

მდ. ფასისი შლამის სქელი თიხის ფენითა დაფარული. მაშასადამე როგორც ხედავთ ეს დასახლებული ადგილი გაუვალი ჭაობი გახდა” (Montpereux 1839; მალრაძე 2007:65).

არიანეს მიერ დასახელებული ბოლო პუნქტია სებასტოპოლისი, რომლითც მთავრებოდა რომის გავლენი სფერო კოლხეთში. სებასტოპოლისის კვლევას ხელს უშლის ის, რომ ქალაქი მდებარეობს ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე, რაც რათქმაუნდა არ აძლევს არქეოლოგებს შესაძლებლობას ჩაატარონ არქეოლოგიური კვლევები. გასულ საუკუნეში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევებიდანაც, სამნუხაროდ არ მოგვეპოვება საკმარისი ინფორმაცია ქალაქის შესახებ, ეს განპირობებულია იმით, რომ თანამედროვე ქალაქი სოხუმი გაშენებულია უშუალოდ სებასტოპოლისზე. შემორჩენილია ციხის სამხრეთ კედელი, რომელსაც ტალღები პირდაპირ კედლებზე ეხეთქება. კედელი გვიანრომაული პერიოდით თარიღდება. გალავნის სანაპირო კედლის დასავლეთი ნაწილი აგებული უნდა იყოს არა უგვიანეს ახ.წ. IV საუკუნისა, ხოლო აღმოსავლეთ კედელი არაუგვიანეს ახ.წ. II საუკუნის ბოლოხანებში. აღმოსავლეთ კედელი ზემოდან გადადის I-II საუკუნის საქალაქო საცხოვრისზე, რომელიც მოიცავდა შემოღობილ ეზოს და ჭას. დაახლოებით ახ.წ. II საუკუნეში აქ საქალაქო დასახლება იყო. უკვე II საუკუნის ბოლო ხანებში თანამედროვე სოხუმის ჩრდილო-დასავლეთ სექტორში ოდენცში აშენდა კოშკი. ,რომელიც რათქმაუნდა აკონტორლებდა ციხესთან მიმავალ გზებს. მიუთითებენ რომ ეს კოშკი 175 წელზე ადრე ვერ აშენდებოდა და მას იყენებდნენ V საუკუნემდე (ბრაუნი 2014:304)

Pontus limes უკანასკნელი ციხე იყო ბიჭვინთა. III საუკუნეში, პიტიუნტი მოიხსენიება როგორც ფორტი. პიტიუნტი ფორტისთვის საუკეთესო ადგილი იყო, ბიჭვინთის კონცხი იდეალური მდგომარეობით გამოირჩეოდა. ფორტი როგორც ჩანს ზღვიდან გარკვეულ მანძილზე იყო აღმართული, რაც ცხადია, ხმელეთზე გადადგილების საჭიროებას ქმნიდა. თუმცა როგორც მკვლევარები ვარაუდობენ პიტიუნტს ნავსადგომი ქონდა (ბრაუნი 2014 309). არსებობს მოსაზრება, რომ ანტიკურ ხანაში, ფორტი ზღვასთან არხით იყო დაკავ-

შირებული და ამ პატარა უბის ბოლოს ნავმისადგომი პირდაპირ, უშუალოდ ფორტზე იყო მიშენებული. აეროპოტოგადამლეების შედეგად გამოვლინდა ჩანართი ლაქები, რომელიც ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს. გარდა ამისა, სათანადო ადგილზე გარღვეული ჩანს vicus-ს კედელი რაც შესაძლოა ასეთი არხის საჭიროებას პასუხობდა (ლორთქიფანიძე 1991: 74-81).

განადგურებული ქალაქი პიტიუნტის ადგილმდებარეობა ჯერჯერობით დადგენილი არ არის, მაგრამ სავარაუდოა რომ ის მდებარეობდა ღდააში, პიტიუნტის ფორტის აღმოსავლეთით 5 კმ მანძილზე ზღვის ნაპირის გაყოლებით როგორც ჩანს ქალაქი მნიშვნელოვანი იყო სტრაბონი მას მოიხსენიებს, როგორც „დიდ პიტიუნტს“ .

ჩვენს მიერ მოკლედ განხილული ფოტები: აფსაროსუ. ფაზუსუ, სებასტოპოლისი და პიტიუნტი მნიშვნელოვან ციხეებს წარმოადგენდა რომის იმპერიისათვის. ეს იყო ნაწილი Pontus limes-ის, რომელთა მიზანიც იყო დაეცვა აღმოსავლეთ პროვინციები როგორც ადგილობრივი ასევე მათ საზღვრებს გარეთ მცხოვრები ტომებისაგან და შეენარჩუნებინა უსაფრთხო საზღვრები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბრაუნი, დ. 2004. საქართველო ანტიკურ ხანაში, ბათუმი.
2. გამყრელიძე, გ. 1987. წყალქვეშ არქეოლოგიის კვლევა-ძიება, ქალაქ ფოთის მიდამოებში, საქ. მეც. აკად. მაცნე (ისტ. ..) ტ 1. თბილისი.
3. კახიძე, ე. 2008. აფსაროსი რომის და ბიზანტიის სამხედრო-სტრატეგიულ სისტემაში (დისერტაცია), ბათუმი.
4. კახიძე, ა; მამულაძე, შ. 2004. სამხრეთ კარიბჭისა და აბანოთუბანის ტერიტორიაზე 1995-199 წლებში წარმოებული კვლევა-ძიების უმთავრესი შედეგები, გონიო IV ტ, ბათუმი.
5. ლორთქიფანიძე, გ. 1991. ბიჭვინთის ნაქალაქარი. თბილისი.

6. მაღრაძე, ლ. 2007. ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს ცნობები ფაზისი-ფოთის შესახებ. იბერია-კოლხეთი, ტ III. თბილისი.
7. Dubois de Montpereux Fr. Voyage autour du Caucase chez les Tcherkesses et les Abkhasés, en Colchide, en Georgie en Armenie et Crimee. Paris. 1839 a. 1843.
8. Karasiewicz-Szczyporski, R. Mamuladze, S; Jiaworski, P; Wagner M. 2016. Gonio (Apsaros) in Adjara:excavation of a Roman fort interim report on the first season on the Polish-Georgian archaeological expedition. Polish archaeology in the Mediterranean. V 25. Warsaw.
9. Lortkipanidze, G. 1991a. Pitiunt and Pontus Limes. Tbilisi.
10. Speidel, M.P. 1986. The Caucasus frontier: second century garrisons at Apsarus, Petra and Phasis, in studien zu den Militargrenzen Roms, iii, 13, internationaler Limeskongress, Aalen. Stuttgart.

Lana Burkadze

Roman military settlement in Colchis Summary

West Georgia (Colchi) since 1 century BC was sphere of interest of Rome because of geographical location. This was region which was bordered by Black Sea from West and by mountains from West and North. These were good locations for Rome to protect attacks of the tribes living in the Caucasus as well as from the Iberians too.

Coastal of Eastern Black Sea Romans created Pontus Limes. Include this lime were fortes: Gonio-Afsaros, Pasis, Sebastopolis and Pitius. The fortes were founded I-III century AD and had very importer role in Roman Empire.

ელგუჯა ჩავანავა

აჭარის ეპიკები – არქივში დაცული საარქივო დოკუმენტების საფუძველზე

უჩვეულოდ რთულია არაცოცხალი ბუნების სამყარო, საოცარია იმ ნივთიერებათა აგებულება, რომლებისგანაც შედგება ჩვენი გარემოცული საგნები. ან რა შეედრება უსასრულო კოსმიურ სივრცის დიდებულ სურათს. კიდევ უფრო რთულია ცოცხალი ბუნების სამყარო! – მცენარეები, ცხოველები. მაგრამ ყველაზე რთული ცხოვრებაში, მაინც ადამიანია. მან შეიცნო გარემოს მრავალი საიდუმლოება და ისწავლა ბუნების მოვლენათა მართვა, მათი შეცვლა. „ადამიანი ამაყად ჟღერს“! დიდებული ნათქვამია გორკის ეს სიტყვები: პატივს უნდა ვცემდეთ ადამიანს. კი არ უნდა დავამციროთ შებრალებით, არამედ პატივს უნდა ვცემდეთ. ყოველთვის მიუღებელი იყო ჩემთვის ის ადამიანები, რომლებიც იმაზე ზრუნავენ, რომ დაამცირონ სხვები შებრალებით“. მართლაც დაუკვირდით გარემომცველ საგნებს, თითქმის ყოველ მათგანს ადამიანის ხელი ატყვია, მაგრამ ადამიანის ყველაზე საოცარი მიღწევაა სულიერ მოვლენათა სამყაროს შექმნა – ეს არის მეცნიერებათა სამყარო, დიდ ცოდნას, რომ გვაძლევს გარემო სინამდვილეზე და თვით ადამიანებზე, ადამიანის აზროვნებაზე. საითაც არ უნდა გავიხედოთ ყველგან შევნიშნავთ ადამიანის შრომისა და აზრის, მისი შემოქმედების შედეგს.

სამყარო – კოსმოსი – შორეული ვარსკვლავთა სამყარო! ადამიანმა ამ სამყაროს კარი შეაღო, მისი პირველი მოციქულები – ობსერვატორიები, ტელესკოპები, კოსმოსური ლაზერობორატორიები, თანამგზავრები, კოსმოსური ხომალდები – უკვე კარგა ხანია გასცდნენ ჩვენი დედამიწის ფარგლებს.

დღეს, კაცობრიობის ისტორია ახალ ეპოქაშია, მიუხედავად მრავალი კატაკლიზმებისა. ეს არ არის მხოლოდ მშვიდობიანი, შემოქმედებითი შრომის, შესანიშნავი ჭკვიანი მანქანების, ელექტრონული მოაზროვნე მონოპოლიზებისა და კოსმოსური ხომალდების ერა. ესაა ახალ ადამიანის ერა, ადამიანებისა ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით.

დედამიწაზე სიცოცხლე დაიწყო მრავალი მილიონი წლის წინ, როცა მსოფლიო ოკეანის მღელვარე ტალღებში ცოცხალი ნივთიერების პირველი ნაწილაკი წარმოიქმნა.

სიცოცხლის საიდუმლოების ამოცნობა ადამიანს დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ საკუთარი ისტორიის გარიჟრაჟზე აინტერესებდა. მხოლოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარებამ მისცა შესაძლებლობა, შეესწავლა ბუნება და აღმოეჩინა ცოცხალი არსებისთვის დამახასიათებელი თავისებურებები, ის პროცესი რაც ცოცხალი არსებებისთვისაა ნიშანდობლივი. და რადგან სიცოცხლე გაჩნდა, ამ სიცოცხლეს გაუჩნდა ქომაგები. ადამიანები სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მებრძოლნი მეცნიერები – ექიმები.

„მედიცინა“ – ლათინური სიტყვაა და როგორც ცნობილია ნიშნავს მეცნიერებას ადამიანის დაავადებათა, მათი თავიდან აცილებისა და მათი მკურნალობის შესახებ.

მართლაც არ არსებობს იმაზე საპატიო მისია, ვიდრე ექიმობაა. ექიმი ხომ სიცოცხლეს უდგას დარაჯად, იმ სიცოცხლეს, რომელიც ყველაზე ძვირფასია ადამიანისათვის.

აფთიაქში, დღესაც თვალში მოგხვდებათ ლათინურად სიტყვა „გალენიკა“. ბევრს სააფთიაქო ტაბლეტების შესაფუთზეა წარწერა „გალენ ფარმაცევტული ფაბრიკა“, გალენი უდიდესი ექიმა მსოფლიოს ყველა დროის ექიმთა შორის.

რომაელი კლავდუს გალენი დაახლოებით 2000 მეტი წლის წინათ ცხოვრობდა ქალაქ პერგაში და პირველმა დაგვიტოვა თხზულება „ადამიანის სხეულის ნაწილთა დანიშნულების შესახებ“.

გალენი უამრავ წამალს იყენებდა. მისი წამლები ძირითადად მცენარეებისგან მზადდებოდა. მან ჩაუყარა საფუძველი არა მარტო ფიზიოლოგიას, არამედ სააფთიაქო მეცნიერებას – ფარმაკოლოგიას.

ასევე დიდია აღორძინების ხანის უდიდესი ქირურგის ანდრია ვეზალის, უილიამ ჰარვეის, ლევენჰუკის, ედუარდ ჯენერის დამსახურება, რომლებმაც პირველმა 1798 წელს გამოაქვეყნა შრომა „ყვავილის აცრის შესახებ. ნიკოლოზ პირაგოვის, რომელსაც „სასწაულმოქმედ ექიმს“ ეძახდნენ. კლოდ ბერნარის, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა, არა როგორც ექიმმა და მეცნიერმა, არამედ, როგორც მოქალაქემ და პატრიოტმა. ეს ეპიზოდი ასე მოხდა: „1870 წლის სექტემ-

ბრის შუა რიცხვებში, საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს, გერმანელთა ჯარისმა პარიზს ალყა შემოარტყა. ქალაქს სურსათ-სანოვაგე შემოელთა, აუცილებელი იყო იქ სურსათის შეტანა, მაგრამ როგორ? ყველგან მტრის ჯარი იდგა და ათასობით სული ძროხა და ხარს შეუმჩნევლად ვერ შეაპარებდნენ. საქონლის ბლავილის ხმას მტერი შორიდანვე გაიგებდა, მაგრამ ისინი მაინც მორეკეს პარიზში, მტერს საქონლის ბლავილი არ გაუგია თითქოს პირუტყვი სპეციალურად დამუნჯდა. ათასობით ძროხას და ხარს „ხმის ნერვი“ – ცნობილი ნერვის ერთ-ერთი ტოტი გადაუკეთეს. ეს ოპერაცია ძალზე მარტივი იყო და მრავალმა ყასაბმა იოლად გააკეთა. ეს კი მოიფიქრა სახელგანთქმულმა ფრანგმა ფიზიოლოგმა, აკადემიკოსმა და პარიზის უნივერსიტეტის პროფესორმა – კლოდ ბერნარმა, რომელმაც პასტერთან ყოფნის დროს შეისწავლა ცოფის სანინაალმდეგო ვაქცინაციის (აცრის) მეთოდები. ასევე უალრესად დიდია ფიფია, ფილატოვის, მუხაძის, ნათიშვილის, ამირეჯიბის, ჯანელიძის, და სხვათა დამსახურება, ადამიანის ჯანმრთელობისათვის ბრძოლაში.

აი ასეთი ტრადიციების მქონე მედიცინა, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ თანამედროვე ექიმების მაღალი პროფესიონალიზმისა და პასუხისმგებლობის გარეშე. ამ ტრადიციების ერთ-ერთი ბრწყინვალე გამგრძელებელი იყო ჩვენი ქალაქის მკვიდრი **გიორგი გაბრიელის ძე ხეჩინაშვილი**, რომელიც დაიბადა 1895 წელს ბათუმში, მოსამსახურის ოჯახში.

საშუალო განათლება გიორგი ხეჩინაშვილმა მიიღო ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში, რომელიც 1915 წელს დაამთავრა. ბავშვობიდან ნიჭიერებით გამორჩეული გიორგი ხეჩინაშვილი სწავლას აგრძელებს ნოვოროსისკის ოლქის ქ. ოდესის უნივერსიტეტში – სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელსაც 1921 წელს ამთავრებს წატრინებით.

გიორგი ხეჩინაშვილი ბრუნდება რუსეთიდან და იმავე წელს მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის, პათოლოგიური ანატომიის კათედრის და სამედიცინო-გინეკოლოგიური კლინიკის ასისტენტის თანამდებობაზე 1929 წლამდე. შემდეგ ბრუნდება მშობლიურ ქალაქ ბათუმში, სადაც კონკურსის გზით არჩეული იქნა, აჭარის რესპუბლიკური სავაადმეცოფოს სამედიცინო-

გინეკოლოგიური განყოფილების გამგის თანამდებობაზე.

გიორგი ხეჩენაშვილი გამოირჩეოდა არა, როგორც კარგი სპეციალისტი და თავისი საქმის მცოდნე, არამედ როგორც განათლებული ექიმი. სხვა და სხვა დროს მუშაობდა სხვა და სხვა თანამდებობებზე. იყო სამშობიარო სახლის განყოფილების გამგე, მთავარი ექიმი. 20 წლის მანძილზე შეთავსებით იყო აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი მეან-გინეკოლოგი.

გიორგი ხეჩენაშვილმა 1936 წელს ლენინგრადში დაიცვა დისერტაცია, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, ხოლო 1939 წელს ლენინგრადში დაიცვა მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

1941 წლის 22 ივნისს გიორგი ხეჩენაშვილი განწვეული იქნა მოქმედ არმიაში.

გიორგი ხეჩენაშვილი იყო საქართველოს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრჩელებელი საზოგადოების აჭარის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე, შეთავსებით იყო აჭარის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორი, ასევე მეან-გინეკოლოგიას საკავშირო საზოგადოების წევრი და აჭარის ექიმთა სამედიცინო საზოგადოების თავმჯდომარე. მინიჭებული ჰქონდა აჭარის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს და აჭარის დამსახურებული ექიმის წოდება. იყო 100-ზე მეტი მეცნიერული შრომის ავტორი. იყო მრავალი საკავშირო, ამიერკავკასიის რესპუბლიკათა და მოკავშირე რესპუბლიკების ყრილობების, კონფერენციების და სიმპოზიუმების მონაწილე მეან-გინეკოლოგი.

ასევე მონაწილეობდა 2 საერთაშორისო კონგრესში და ერთ საერთაშორისო კონგრესში და ერთ საერთაშორისო სიმპოზიუმში, სადაც გამოდიოდა მოხსენებით.

გიორგი ხეჩენაშვილის სამედიცინო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა მთავრობამ დააფასა მრავალი ჯილდოთი. ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის, წითელი დროშის ორდენებით. ასევე შვიდი მედლით მედიცინის წარჩინებული მუშაკის ნიშნით. მის მიერ აჭარაში მომზადებული და მომუშავე მეან-გინეკოლოგები წარმოადგენენ კვალიფიციურ სპეციალისტებს.

გიორგი ხეჩენაშვილი იყო უაღრესად ერუდირებული და განათლებული ადამიანი. მის პირად ფონდში დაცული მასალების გაცნობისას, ყურადღებას იპყრობს მის მიერ სხვა და სხვა საკითხებზე მოკვლეული მასალები, მოხსენებები, ანგარიშები წარმოდგენილი მეან-გინეკოლოგთა სამეცნიერო კონფერენციებზე, კონგრესებზე. საყურადღებოა მისი მონოგრაფიები, მის მიერ ჩატარებული მეცნიერული კვლევების ანალიზი, ალლო, გააზრება. აგრეთვე დახვეწილი სტილი, ლიტერატურის საოცარი ცოდნა.

მის მოხსენებებში ყურადღებას იქცევს ისეთი შრომები, როგორცაა „დედისა და ბავშვის მდგომარეობა“, სამამულო ომის წლებში სამხედრო ჰოსპიტლის მუშაობის შესახებ“, „მასალები ჩინეთში ტურისტული მოგზაურობისა“, მათი შეხვედრები, სამედიცინო ცოდნის გაზიარება.

მეტად საინტერესოა გიორგი ხეჩენაშვილის მიერ წაკითხული მოხსენება, გენეკოლოგთა მე-9 საერთაშორისო კონგრესზე.

კონგრესს ესწრებოდა აგრეთვე საქართველოს და აჭარის დამსახურებული ექიმი ქეთევან ხორამანსკაია, კონგრესის მნიშვნელობა იმითაც ჩანს, რომ მას ესწრებოდა 40-ზე მეტი სახელმწიფოს დელეგაცია. აქ იყვნენ სხვა და სხვა პროფესიის ადამიანები: ექიმები, მეან-გინეკოლოგები, ბიოლოგები, სოციოლოგები, იურისტები, და სხვა.

ასევე საყურადღებოა გიორგი ხეჩენაშვილის ნაშრომი, უფრო სწორად ანალიზი პროფესორ გრიგოლ ფიცხელაურის ნაშრომზე. ი. რ. თარხნიშვილის „განძი დღეგრძელობისა და მოხუცებულობის პრობლემები“, რომელშიც მეტად საინტერესოა დახატული ადამიანის სიცოცხლის პერიოდები, სადაც თარხნიშვილი ფიზიოლოგ ფიურანსის სასიცოცხლო რკალის სქემაზე დაყრდნობით, ადამიანის სიცოცხლეს ყოფდა შემდეგ პერიოდებად: 1. ბავშვობა - დაბადებიდან 10 წლამდე, ნამდვილი ბავშვობა; 2. ბავშვობა 10-დან 20 წლამდე - ჭაბუკობის ასაკი; 3. პირველი ახალგაზრდობა 20 წლიდან 30 წლამდე; 4. მე-2 ახალგაზრდობა 30-დან 40 წლამდე; 4. პირველი დავაჟკაცება 40 წლიდან 55 წლამდე; 5. მეორე დავაჟკაცება 55 წლიდან - 70 წლამდე, 6. პირველი მოხუცებულობა იწყება 70 წლიდან და გრძელდება 85 წლამდე; რის შემდეგ

ინყება მეორე და უკანასკნელი მოხუცებულობა. მაგრამ ვხვდებით ბევრ ინდივიდუალურ მერყეობებს ზოგიერთი ჭაბუკი გამოიყურება, როგორც მოხუცი და პირიქით, შენახული მოხუცი შეიძლება იყოს უფრო მოძრავი, ვიდრე ჭაბუკი.

40 წლიდან, 60 წლამდე ჯანმრთელი ადამიანის წონა, რომელიც ავად არ ყოფილა რჩება დაახლოებით უცვლელი, მხოლოდ 60 წლის შემდეგ აღინიშნება წონის პროგრესული დაკლება ან მატება.

მეტად საინტერესოა ადამიანის სიცოცხლის კატეგორიები. აკადემიკოს მაილსის აზრით ყველაზე დიდხანს ცოცხლობენ სასულიერო პირები, მოსამართლეები, ფილოსოფოსები, შემდეგ ვაჭრები და მებაღეები. ყველაზე ნაკლები სიცოცხლის ხანგრძლიობა ახასიათებთ ექიმებს, ყასაბებს, მენისქვილეებს და მეპურეებს.

ყურადღებას იმსახურებს გიორგი ხეჩინაშვილის ანალიზი --სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრის ბენტრევისა და თარხნიშვილის პრემიათა ლაურიატის ავლიპ ზურაბიშვილის წიგნზე „შოთა რუსთაველი“, „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, „ვაჟა ფშაველა“ – ეს არის ერთგვარი ფსიქო-ნევროლოგიური ნარკვევები. აქვეა განხილული რამაზ სურმანიძის მონოგრაფია „აჭარის ექიმთა საზოგადოება“ და რუსულ-ქართული საედიცინო ურთიერთობების შესახებ.

გიორგი ხეჩინაშვილის ფონდში დაცული საქმეები იმითაცაა საინტერესო, რომ იგი გამოირჩევა თემატიკის მრავალფეროვნებით. ფონდში შეხვდებით გამოჩენილ ადამიანებს. მათ ნამოღვანარს, მონოგრაფიებს, ლიტერატურულ ნარკვევებს და მისეულ ანალიზებს. შესაშური შრომისმოყვარეობითა და მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა გიორგი ხეჩინაშვილი არა მარტო პაციენტებს, არამედ იცოდა თითოეული დოკუმენტის, ფურცლის ფასი, რომლებსაც შემორჩენილი აქვს გულისხმიერი ექიმის და კარგი მკურნალის თითების სითბო.

მეტად საინტერესო მასალაა დაცული ფონდის მასალებში მაქსიმ სილვონსკის შესახებ, რომლის ინიციატივით 1913 წელს შეგროვდა სახსრები და ქალაქ ბათუმში გაიხსნა პირველი სამალარიო სადგური, სადაც ავადმყოფების მიღება და

ქინაქინას გაცემა წარმოებდა უსასყიდლოდ. ეს იყო მაშინდელ საბჭოთა კავშირში პირველი სამალარიო სადგური.

ქალაქის ერთ-ერთი საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების პირველი გამგე იყო ექიმი ფინკელშტეინი. ასევე საინტერესო მასალებია დაცული ფონდში ბათუმის ბოტანიკური ბაღის ენთუზიაზისტ, მეცნიერ-ბოტანიკოსის პროფესორ კრასნოვის შესახებ. მისი სიკვდილის შემდეგ იგი შეცვალა პროფესორმა ჰაკიბინმა, რომელიც ამიერკავკასიაში და კერძოდ აჭარაში ითვლება ჩაის კულტურის შემოტანის პიონერად. აჭარაში მომუშავე ექიმებიდან ყურადღებას იმსახურებს ექიმი – რევოლუციონერი **ყადირ შერვაშიძე**, რომელმაც მეუღლესთან ერთად სამედიცინო განათლება მიიღო იურევის (ტარტუს) უნივერსიტეტში.

ამბროსი პერტიასა და გიორგი ხეჩინაშვილის ინიციატივით გამოიცა ექიმთა საზოგადოების კრებული.

დასანანი, რომ 1985 წელს შეწყდა ამ შესანიშნავი ადამიანის, გულისხმიერი მკურნალის და კარგი ექიმის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს და აჭარის დამსახურებული ექიმის გულისცემა. მისი ნათელი კვალი დარჩება არა მარტო მის კოლეგებში, როგორც საუკეთესო მაგალითი – ექიმის მაღალი პროფესიონალიზმის და ერუდირებული, განსწავლული ადამიანისა, არამედ ფართო საზოგადოებასი და მის სახელი დიდხანს იქნება დაუვიწყარი საპატიო და მოკრძალებით გახსენებათა რიცხვში.

გიორგი ხეჩინაშვილის პირადი ფონდი არქივში მიღებული იქნა 1995 წელს. სულ 43- საქმეთა ერთეული (რ-203). ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რო აჭარაში უამრავი ცნობილი, გამოჩენილი პროფესიონალი ექიმები მოღვაწეობდნენ და სამწუხაროა, რომ მათ შესახებ მასალები არაერთხელ არქივის მუშაკთა მცდელობისა, არ იქნა ჩაბარებული არქივში. რის გამოც მათი მოღვაწეობის საინტერესო ეპიზოდები ვერ იქნა ასახული წინამდებარე პუბლიკაციაში.

ესენი იყვნენ: **ტიმელეონ ტრიანფილდესი**, რომელმაც სამედიცინო განათლება ათენში მიიღო და ცოდნის გასაღრმავებლად პარიზში გაემგზავრა, ის მუშაობდა ცნობილ კლინიკაში, სადაც გაიცნო მისი მეუღლე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **ვერა ლაზარეს ასული კულიაროვსკაია**.

შემდგომ ისინი ბათუმში გადმოვიდნენ საცხოვრებლად.

იოსებ ჩარკვიანის ჯადოსნურ ხელებს მრავალი ქალის სიცოცხლე გადაურჩენია. მან დიდი წვლილი შეიტანა ერის გამრავლების საქმეში. მისი ორი ვაჟიშვილიდან ლევანი მსოფლიო დონის მეცნიერია მედიცინის დარგში, რომელიც 300 -ზე მეტი მეცნიერული ნაშრომის ავტორია, ნაშრომების უმეტესობა უცხოეთშია გამოქვეყნებული.

არიან პიროვნებები, რომელთა სახელიც და მათ მიერ გაკეთებული კეთილი საქმეები თაობებს გადაეცემა. სწორედ ასეთი ადამიანების რიცხვს მიეკუთვნება, აჭარაში ზოგადი ქირურგიის ფუძემდებელი, საქართველოს დამსახურებული ექიმი **ვალერიან მაქაცარია**.

აჭარის დედასაქართველოსთან დაბრუნების შემდეგ, ქართველ მოღვაწეთა უპირველესი მიზანი იყო, დაკნინებული, ოდესღაც მოწინავე კუთხეში – აჭარაში, რაც შიძლება სწრაფად, უმოკლეს დროში აღორძინებულიყო სახალხო მეურნეობის ყველა დარგი. ამ მიზნით საქართველოს ყველა კუთხიდან, ბათუმში სამუშაოდ ჩამოდიოდნენ, პატრიოტული გრძნობით გამსჭვალული სხვა და სხვა დარგის სპრციალისტები, როგორც ოჯახებით, ასევე ინდივიდუალურად.

აჭარაში ჩამოსულ პატრიოტ ოჯახთა რიცხვს დამსახურებულად მიეკუთვნება **ამბროსი პერტიას** ოჯახი, აჭარის და საქართველოს დამსახურებული ექიმი ამბროსი პერტია და მისი მეუღლე **ნუნუ პერტია** და ვაჟები ნოდარ და რეზო პერტიები.

აკადემიკოსმა **მამია კომახიძემ** თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი 1930 წელს დაამთავრა იგი ერთ-ერთი ფუძემდებელია საქართველოს სისხლის გადასმის, სამედიცინო-კვლევითი და ექსპერიმენტალური მორფოლოგიის ინსტიტუტებისა. მუშაობასთან ერთად მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობაში. იგი გახლდათ აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი. მამია კომახიძე ფართო დიაპაზონის ქირურგი, მეცნიერი, ნიჭიერი პედაგოგი და ორგანიზატორი გახლდათ. მამია კომახიძე არჩეული იყო საქართველოს მთავარ ქირურგად, საქართველოს ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარედ, მინიჭებული ჰქონდა ჩეხოსლოვაკიის, უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხე-

თის და დალესტინის ქირურგთა საზოგადოების საპატიო წოდება. ის თავის მეუღლესთან, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატთან, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორთან, აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილთან ერთად ღირსეულად ატარებდა ადამიანის სიცოცხლისათვის მებრძოლთა წოდებას.

17 წლის **ნევრესტან შაშიკაშვილი** სოფელ მარადიდის მკვიდრი, 1925 წელს აჭარელ გოგონათა შორის პირველი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. იგი ერთადერთი აჭარელი ქალი იყო, რომელიც მუშაობდა ქალთა კონსულტაციის გამგედ, ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს ორდინატორად, სამედიცინო სასწავლებლის პედაგოგად. იყო აჭარის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე, მინისტრი. 1961 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. უმნიშვნელო მუშაობისათვის დაჯილდოებული იყო ორდენებით, მედლებითა და სიგელებით, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს ექიმისა და მეცნიერის დამსახურებული მოღვაწის წოდებები.

ნევრესტანი საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი გახლდა. მას ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა მაშინდელ საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დარგის უდიდეს სპეციალისტებთან. აკადემიკოს ვ. ფილატოვთან, რომელიც ყოველწლიურად ჩამოდოდა აჭარაში დახმარების მიზნით.

რამაზ ინაიშვილს დღესაც სპეტაკი კაცის სახელით იხსენიებენ, რადგან ომგამოვლილი კაცისთვის არასისპეტაკე სრულიად მიუღებელი იყო. რ. ინაიშვილმა 1927 წელს დაამთავრა ქ. ბათუმის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის 7 კლასი და სწავლა განაგრძო ბათუმის პედაგოგიურ ტექნიკუმში. 1934 წელს დაამთავრა ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტი – სამკურნალო ფაკულტეტის განხრით. რამაზის ეს აჩევანი განაპირობა სპორტით მისმა გატაცებამ. 1939 წელს დაამთავრა ლენინგრადის სამხედრო-სამედიცინო აკადემია – ქირურგიის განხრით და დაინიშნა სამხედრო პოლკის მთავარ ექიმად. სულ მალე ხარკოვის ოლქის ერთ-ერთი ქალაქის გარნიზონის მთავარ ექიმად. 1940 წელს გადაიყვანეს მოსკოვის წითელი არმიის ცენტრალური სახლის მთავარ ექიმად. ომის დაწყებისთანავე, იგი მოქმედ არმიამია, რომელიც მოსკოვის მისადგომებს იცავდა. მის უშიშარ,

ვაჟკაცურ ხასიათზე ათობით დაჭრილის გადარჩენილი სიცოცხლეა. 1943 წლიდან ინიშნება საველე-მოდრავი ჰოსპიტლის უფროსად. 1944 წლიდან კი ბელორუსიის სატანკო კორპუსის პირველი ბრიგადის მთავარ ექიმად. ბელორუსიის განთავისუფლებისას რ. ინაიშვილი მძიმედ დაიჭრა ცალ თვალში. ოპერაციის გაკეთების შემდეგ, უფლება მიეცა სამუშაოდ ბათუმში დარჩენილიყო, მაგრამ მისმა ვაჟკაცურმა ხასიათმა უარი ათქმევინა დარჩენაზე და იგი პოლონეთში შეუერთდა სატანკო ბრიგადას. ბერლინის აღებაში მიიღო მონაწილეობა. პოლკოვნიკის წოდებით გერმანიაში ინიშნება სამხედრო ჰოსპიტლის უფროსად. ომიდან დაბრუნებული რ. ინაიშვილი 1948 წელს ინიშნება რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარ ექიმად, იმავე წელს აჭარის ჯანმრთელობის მინისტრად, სადაც მან 1954 წლამდე იმუშავა.

კაცთა გაუტანლობამ, მიღებულმა ჭრილობებმა, ნაადრევად დაასვა დალი რამაზ ინაიშვილის ჯანმრთელობას და 1959 წელს 50 წლის ასაკში გარდაიცვალა.

აჭარაში მომუშავე ღვანლმოსილი ექიმი, ირაკლი დიასამიძე იყო კაცი, რომლის ცხოვრების მიზანი იყო საქმისადმი, ადამიანებისათვის დიდი სიყვარული.

ირაკლი ახმედის ძე დიასამიძემ სოფელ გულებში დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ, სწავლა განაგრძო ბათუმის პედაგოგიურ ტექნიკუმში, რომლის დამთავრების შემდეგ 1936 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში და დაამთავრა 1942 წელს. მუშაობა დაიწყო ქედის რაიონში ჯანმრთელობის განყოფილების გამგედ სადაც 3 წელს მუშაობდა. 1945 წელს დაწინაურდა და დაინიშნა ჯანმრთელობის მინისტრის მოადგილედ. შემდეგ კი, როგორც ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული კურორტთა მართვის მთავარი სამმართველოს უფროსად გადაიყვანეს. 1954 წელს ირაკლი დიასამიძე აჭარის ჯანმრთელობის მინისტრად დაინიშნა და ამ თანამდებობაზე 19 წელი იმუშავა. მან დიდი წვლილი შეიტანა აჭარაში ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში. ბოლო ხუთი წელიწადი მან რესპუბლიკური სისხლის გადასხმის სადგურის მთავარ ექიმად იმუშავა. მის კალამს ეკუთ-

ვნის მონოგრაფია „აჭარის კურორტები და მათი განვითარების პერსპექტივები“, რომელშიც განხილულია აჭარის მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, აჭარის კურორტების განვითარების მოკლე ისტორია. დიასამიძეების ოჯახის ოთხი წევრი ხალხის სიყვარულით ემსახურა ადამიანისათვის უძვირფასეს განძს- სიცოცხლეს. მისმა ქალიშვილმა 1966 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი, მისმა ორმა შვილიშვილმა ბაბუის სპეციალობა აირჩიეს. ირაკლი დიასამიძის ვაჟმაც 1971 წელს დაამთავრა მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტის სამედიცინო ფაკულტეტი, დაიცვა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, 1976-1981 წლებში მუშაობდა ინსტიტუტის ქირურგიის კათედრაზე და 1982 წლიდან იგი უკვე აჭარაში იწყებს მუშაობას რესპუბლიკურ საავადმყოფოში ენდოსკოპიური სამსახურის ჩამოსაყალიბებლად.

ცნობილი ჟურნალისტი ნ. ჯაფარიძე ამბობს: „ექიმი, ექიმს ვერ იტანსო“. არა მგონია ეს მართალი იყოს. ამის დასტური ირაკლი დიასამიძის პიროვნებაა, მის მიერ მეგობრის შეძენა და მათი გატანის ნიჭი. ამის დასტურია ათობით ადამიანის კეთილი მოგონება თავიანთ კოლეგებზე.

ევგენი მგალობლიშვილი ნებისმიერ დროს მზად იყო წასულიყო ავადმყოფის სანახავად. ეს რომ უანგაროდ შეძლო ძალიან ძლიერ უნდა გიყვარდეს შენი ქალაქი. იგი კი სწორად ამ თვისებით იყო დაჯილდოებული.

ევგენი მგალობლიშვილი 1920 წლის 17 მარტს დაიბადა ქ. ბათუმში 1939 წლის N2 ქართული საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც კარდიოლოგ – თერაპეუტის სპეციალობით. დაამთავრა 1942 წელს და მუშაობა დაიწყო მშობლიურ ქალაქ ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში. 1943-1946 წლებში იგი სამხედრო სამსახურში გაინვიეს ქართული დივიზიის მედიკო – სანიტარული ბატალიონის უფროსად. დემობილიზაციის შემდეგ, ევგენი მგალობლიშვილი მუშაობას იწყებს ჯერ ბათუმის ეპიდემოლოგად, ხოლო შემდეგ – რესპუბლიკური საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების ორდინატორად. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპო-

ვებლად მან 1953 წელს დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც შემდეგ წიგნად გამოქვეყნდა. ევგენი მგალობლიშვილი იმდენად დახელოვნდა სამედიცინო თერაპიასა და პრაქტიკაში, რომ დღისწესრიგში დადგა სადოქტორო დისერტაციის დაცვის საკითხი, რომელიც მან დაიცვა თემაზე: „ბოტკინის სნეულება და მისი შორეული შედეგები“. ამის შემდგომ მას მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის წოდება.

1932 წელს ბათუმში გაიხსნა კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელმაც სამი წელი იარსება. 1962 წელს ბათუმში კვლავ გაიხსნა თბილისის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის ბათუმის ფილიალი, რომლის დირექტორად 19663 წელს დაინიშნა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ე. მგალობლიშვილი. 1965 წელს გაუქმდა ფილიალი და დარჩა ბათუმის რესპუბლიკური ფიზიოთერაპიული საავადმყოფო. საავადმყოფოს შენობისთვის 1963 წელს ბათუმის მთაზე გამოიყო სამხედროების ამორტიზებული ყაზარმა, რომელიც ორ წელიწადში საუკეთესო კომპლექსად გადაკეთდა. რეკონსტრუქციისას განსაკუთრებით გამოჩნდა ე. მგალობლიშვილის ორგანიზატორული ნიჭი. კეთილმოეწყო მისასვლელი გზა, გაყვანილი იქნა სასმელი წყალი, შეიძინეს ცისტერნები ზღვის წყლისა და ახტალის ტალახისათვის. ავტობუსები ავადმყოფთა გადასაცვანად. 1958 წელს ე. მგალობლიშვილს მიენიჭა „აჭარის დამსახურებული ექიმის წოდება“. 1974-1975 წლებში იგი აირჩიეს ექიმთა საზოგადოების თავმჯდომარედ. მისი სამეცნიერო სტატიები ხშირად იბეჭდებოდა ექიმთა საზოგადოების კრებულში. უფალმა შეუსრულა მისი გულწრფელი სურვილი და 1975 წელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, საავადმყოფოში, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან. 1988 წელს ფიზიოთერაპიულ საავადმყოფოს დამსახურებულად მიეკუთვნა მისი დამაარსებლის ევგენი მგალობლიშვილის სახელი.

ბათუმში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ერთი რჩეული კაცი **როსტომ ქიქავა**, რომლის კეთილი საქმენი არასოდეს

გაქრება და დიდხანს ემახსოვრება ხალხს. როსტომ ქიქავა 1919 წელს ბათუმში დაიბადა N2 სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში და მეორე კურსის სტუდენტი 1938 წელს უსამართლოდ დააპატიმრეს და 8 წლით ციმბირში გადაასახლეს. 1946 წელს იგი განთავისუფლდა პატიმრობიდან და იმავე წელს სწავლა გააგრძელა ოდესის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში მე-2 კურსზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მას სამუშაოდ აგზავნიან ყაზახეთში ქ. გურიევის საავადმყოფოს ექიმად. 1956 წელს რ. ქიქავა ბათუმში დაბრუნდა. 1957 წელს რეაბილიტირებული იქნა, რომლის შემდეგ იგი ახლადშექმნილი გინეკოლოგიური დისპანსერის მთავარ ექიმად ინიშნება, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე 37 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. 1965 წელს იგი დაინიშნა აჭარის მთავარ ონკოლოგად, აჭარის ონკოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარედ საქართველოს ონკოლოგთა საზოგადოების წევრად. 90-იან წლების ძნელბედობის ჟამს სამედიცინო სამსახური მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მოიშალა დისციპლინა, საერთოდ შეწყდა პროფილაქტიკური გასინჯვები, გახშირდა კიბოს დაგვიანებული შემთხვევები, დიაგნოსტიკური შეცდომები, არასწორად ჩატარებული მკურნალობა ექიმთა მიერ, პირადი დაინტერესების გამო არასწორი მკურნალობის ტაქტიკის არჩევა. ასეთ შემთხვევაში რ. ქიქავა პრინციპული და უკომპრომისო იყო. იგი ამბობდა: „ავადმყოფს ექსპერიმენტალურ საგნად ვერ ვაქცევო“.

დაულალავი შრომისა და ადამიანური თვისებების გამო, რ. ქიქავამ კოლეგებისა და საზოგადოების დიდი სიყვარული და უმაღლესი კატეგორიის ონკო-ქირურგის წოდება დაიმსახურა. 1973 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. მინიჭებული ქონდა აჭარისა და საქართველოს დამსახურებული ექიმების წოდებები. მის გვერდით მუშაობდნენ დამსახურებული ექიმები: გ. ცივაძე, ი. დიასამიძე, ე. ტუსკია, გ. იზმაილოვა, ა. იორდანიდი, ნ. ანანიძე, ო ჩახოიანი, მ. შერვაშიძე, მ. ჯინჭარაძე, რომელთაგან ზოგიერთი ეხლაც განაგრძობს საქმიანობას.

აჭარაში უამრავი ღვანღმოსილი დამსახურებული სპეციალისტი მოღვაწეობდა და მოღვაწეობს, რომელთა სახელები საზოგადოებაში დიდი მოწინებით, სიყვარულით და მადლიერებით მოიხსენიება. არქივისტთა კუთხით დასაანანია, რომ მათი საქმიანობის ამსახველი მასალები არ არის შემოტანილი და დაცული მათ პირად ფონდებში, რომელთა მოღვაწეობას, ფიქრს და ნუხილს მათი მშობლიური კუთხესა და ხალხზე, მეტად დააფასებდნენ შემდგომი თაობები, არქივში დაცული მათი პირადი ფონდების მიხედვით.

მედიცინის ისტორიას ამშვენებს არა მარტო ქართველი ექიმების ბიოგრაფიები, არამედ მათიც, ვინც ბედისწერის წყალობით თუ საგანგებო შემთხვევის გამო, საქართველოსთანაა სისხლხორციელად დაკავშირებული და თავისი უნარი და ნიჭი უზრუნველად მოახმარა ქართველი პაციენტების განკურნებას. ერთ-ერთი ამათგანია **ალანია ირაიდა ივანეს ასული**, რომელიც დაიბადა 1925 წელს ვორონეჟის ოლქის ქალაქ ოსტროგნიჟსკში.

ირაიდა ალანია 1942 წელს მოეწყო კიევის სამედიცინო ინსტიტუტში სამკურნალო ფაკულტეტზე. 1948 წელს დაამთავრა ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო ქ. მაკიევკაში (დონბასი) ბავშვთა ექიმად. 1949-1954 წლებში მუშაობდა ქალაქ ფოთში მეზღვაურთა საავადმყოფოში. ფოთი – შავიზღვისპირეთის სანაპიროს გაჯანსაღების საკითხებზე. 1954 წელს იენისიდან 1983 წლის აგვისტომდე მუშაობდა ქალაქ ბათუმში ჩუმის (ჭირის) სანაღმდეგო სადგურის განყოფილების უფროსად.

ირაიდა ალანიამ 1977 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1978 წელს მიიღო მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომი. მონაწილეობას ღებულობდა უმაღლეს საატესტაციო კომისიაში.

გარკვეული დროის განმავლობაში 1956-1988 წლებში ხელმძღვანელობდა ცენტრალურ სამედიცინო-ბიოლოგიურ ჟურნალს. გამოქვეყნებული აქვს 34 სამეცნიერო შრომა, ჭირის სანაღმდეგო ბრძოლის საკითხებზე.

მუშაობდა რა განსაკუთრებულად საშიშ ინფექციის სანაღმდეგოდ, იგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დრო-

შის ორდენით. არის საქართველოს დამსახურებული ექიმი. ჯანმრთელობის დაცვის წარჩინებული და დაფასებული პიროვნება. 1989 წლიდან ირავდა ალანია გავიდა პერსონალურ პენსიაზე.

ირავდა ალანიას პირადი ფონდი არქივში შესანახად შემოვიდა 1995 წელს. შეადგენს 13 საქმეთა ერთეულს.

არიან ადამიანები, რომელთა ბიოგრაფიას არ სჭირდება შელამაზება. ისინი თავიანთი საქმიანობით, თავად ალამაზებენ თავიანთი ცხოვრების ეპიზოდებს. თავად ქმნიან იმ ლამაზ გარემოს, რომელშიც მათი ნამოღვაწარი ისე აირეკლება, როგორც წვიმის წვეთი წყალში. ერთ-ერთი ამათთავანი არის **რამაზ დურსუნის ძე სურმანიძე.**

რამაზ სურმანიძე დაიბადა 1933 წლის 10 მაისს, შუახევის რაიონის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ ჭალაში.

საქართველო ყველგან საოცრებაა, მით უფრო როცა მთის ლამაზ ბუნებას შევავლებთ თვალს. აი ამ ლამაზმა ბუნებამ, ულამაზემა ჩანჩქერებმა და მდინარეებმა კიდევ უფრო გაუძლიერა და გაუღვიძა ფიქრი სიცოცხლეზე. სიცოცხლის წყურვილი, ლტოლვა სიცოცხლისკენ. საკუთარ სიცოცხლეზე ფიქრი, მხოლოდ ეგოისტური ბუნების ადამიანებს ჩვევიათ – ფიქრობდა ბატონი რამაზი ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში და გონებაში სინჯავდა სპეციალობების დიაპაზონებს. მისი მიზანი და მისია სხვისი გადარჩენა, სხვისი სამსახური იყო, ამიტომ არჩევანი ექიმობაზე შეაჩერა. მისი მოღვაწეობა სამამულო ომის პერიოდში, ფოსტალიონის ჩანთით დაიწყო. თვალწინ კინოკადრებივით გაიელვებს, გამოხუნებულ ჩანთაში ჩანყობილი არა მარტო ჟურნალ – გაზეთები და გაცრეცილი სამკუთხა ბარათები, ომის ქარცეცხლში გამოვლილი და სიკვდილ-სიცოცხლის ბენვის ხიდზე, რომ იწერებოდა, არამედ მომავალი სპეციალისტის გონებაში დამზადებული პრეპარატები, რომელსაც შემდგომში არაერთი ადამიანის სიცოცხლე გამოუხსნია სიკვდილის მარწმუნებდიან.

რამაზ სურმანიძემ 1956 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი და აუხდა მისი ლამაზი ოცნებაც. უკვე პროფესიონალი ექიმი დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს, კუთხეს და სამშობლოს. მის განვლილ შემოქმედებით გზას

შეფერის მწერლის სიტყვები: „ადამიანს სიცოცხლე ერთხელ ეძლევა და ისე უნდა იცხოვრო არ გტკიოდეს გული უმიზეზოდ გატარებული წლებისათვის, რათა თამად შეგეძლოს თქვა, მთელი ჩემი სიცოცხლე ქვეყანაზე ულამაზესი კაცობრიობის განთავისუფლებისათვის ბრძოლას მოვანდომე, ამისთვის კი საჭიროა გამალებით იცხოვრო“- რამაზ სურმანიძეს თამამად შეუძლია გაიმეოროს მწერლის ეს სიტყვები. ამაზე მეტყველებს მისი 300 მდე სამეცნიერო ნაშრომი, ათობით მონოგრაფია, 1000 მეტი სტატია, წერილები ლიტერატურის, ისტორიის, ლიტერატურული კრიტიკის, მედიცინის ისტორიის, ბიოგრაფიული, სოციალური, ჰიგიენის და სხვა მასალებზე.

1968 წელს რამაზ სურმანიძემ დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 1976 წელს სასწავლო პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით დოცენტის წოდება.

1972 წელს რამაზ სურმანიძეს მიენიჭა ექიმ სოცჰიგიენისა და ჯანდაცვის ორგანიზატორის კატეგორია. ასევე მინიჭებული აქვს აჭარის ასსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება. არის მეცნიერებათა დოქტორი (1999წ) პროფესორი.

რამაზ სურმანიძე წლების განმავლობაში მუსაობდა ქალაქ ბათუმის N1 საქალაქო საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილედ – ექსპერტიზის დარგში. ასევე მუშაობდა აჭარის პროფკავშირების კურორტების მართვის საოლქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად.

1983წ წლიდან არის საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის, ხოლო 1987 წლიდან მწერალთა კავშირის წევრი. არის ოთხზე მეტი რომანისა და მოთხრობების, შვიდზე მეტი კრებულის ავტორი. სამი დარგობრივი მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი.

რამაზ სურმანიძე აირჩიეს აჭარის უმაღლესი საბჭოს ოთხგზის მოწვევის დეპუტატად. იყო საქართველოს პარლამენტის წევრი. ხელი მოწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს (1991 წლის 9 აპრილი). არჩეული იყო

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად. მინიჭებული აქვს ტბელ აბუსერიძის, ოლღა ჭავჭავაძის, ზაქარია ჭიჭინაძის პრემიები. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. არის ბათუმისა და შუახევის საპატიო მოქალაქე.

ყურადღებას იპყრობს რამაზ სურმანიძის შრომები: მონოგრაფია „ეგნატე ნინოშვილი და აჭარა“, „ხელნაწერი 300 წლისა“, „მემედ აბაშიძის ბიოგრაფიის დაზუსტებისათვის“, „მასალები აჭარაში პირველი ექიმი პატრიოტი ყადირ შერვაშიძის მოღვაწეობის შესახებ“³. წიგნები: „პოეტის ოჯახი“, „მაისურაძეები“, „მჭავანაძეები“, „მოგზაურობანი“, „შერიფ ხიმშიაშვილი“, „ემრულა“ და სხვა.

ასევე საინტერესოა რამაზ სურმანიძის ნაშრომი „იშვიათი ქართული ხელნაწერი და ქართული კარაბადინის უცნობი ვარიანტი“

ნაშრომი ეხება აბდულ მიქელაძის მიერ მოკვლეულ ძველ ქართულ კარაბადინის ხელნაწერზე, რომლის შესახებ მასალები 1893 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა. მედიკოს ისტორიკოსთა საზოგადოება დაინტერესდა აჭარული კარაბადინით. ხელნაწერი 25 გვერდისაგან შედგება. იგი მოპოვებული იქნა აჭარის სოფელ აგარაში და პირველად აღწერა აკადემიკოსმა ექვთიმე თაყაიშვილმა.

ყურადსაღებია რამაზ სურმანიძის ნარკვევი „ტარტუს უნივერსიტეტის ქართველი ექიმი შერვაშიძე“, ასევე ნარკვევი „პლატონ გიგინეიშვილი“.

საინტერესო შრომები მიუძღვნა რამაზ სურმანიძემ აჭარის დამსახურებულ ექიმს ემინე ხასანის ასულ ასლანზადეს (ეროვნებით ლეკი). ვასილ გაბუნიას, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს ჯუმბერ გაბუნიას.

აგრეთვე შესანიშნავ ექიმსა და მწერალს ლევან გელაძეს, რომელიც თითქოს ჩქარობდა, თითქოს უნდოდა უცებ მოესწრო ყველაფერი. ასე შექმნა მან 5 წლის განმავლობაში საკმაოდ მოზრდილი 5 წიგნი: „მაღალი მთიდან“, ტალღები და თოლიები“, „მწვანე აკვანი“, „ნაღვერდალი“, „მზე მამულში“, რომანი „დღე დღევანდელი“. გამოიცა მისი რჩეული ლექსების კრებული, რომელთა გამოცემას ავტორი ვერ მოესწრო, იგი სულ ახალგაზრდა ოცდაათი წლის იყო, რომ წავიდა ამ ქვეყნიდან. ჩქარობდა ლევანი, თითქოს გრძნობდა, რომ

ტრაგედია მოახლოებული იყო, ცდილობდა რაც შეიძლება მეტი ეთქვა. რამდენი რამე შეეძლო კიდევ ეთქვა, მაგრამ არ დასცალდა. 1963 წლის 10 თებერვალს ციხისძირის გადასასვლელთან ლევანის ავტომანქანამ ავარია განიცადა.

მეტად საინტერესოდ აქვს მასალები, რამაზ სურმანიძეს სელიმ ხიმშიაშვილზე.

რამაზ სურმანიძის პირადი ფონდი სახელმწიფო შენახვაზე აჭარის არ არქივში, პირველად შესანახად შემოვიდა 1978 წელს, რომელიც 70 საქმეთა ერთეულისგან შედგებოდა, მეორედ 1981 წელს – 128 საქმეთა ერთეული, მესამედ 2002 წელს 111 ს/ერთეული, ბოლოს კი 2013 წელს. ფონდში ირიცხება 1947-2013 წლების სულ 373 ს/ერთეული.

რამაზ სურმანიძე ჩვეული ენერგიით აგრძელებს თავის სამწერლო თუ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. იგი საოცარი პასუხისმგებლობის გრძნობით საზოგადოების წინაშე, თავისი კუთხისა და სამშობლოს სიყვარულის სულისკვეთებით აგრძელებს მოღვაწეობას და წელი არ გავა, რომ მნიშვნელოვანი დოკუმენტი არ შემატოს არქივში დაცულ მის პირად ფონდს, მომავალი თაობებისათვის დღევანდელი გასაცნობად.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. „საბავშვო ენციკლოპედია“ – ტომი 7, თბ. 1968, გვ.1,2,3,17;
2. მ. გორკი „რჩეული“ „გამომცემლობა „მერანი“, 1969 წ.გვ. 35;
3. „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ ;
4. აჭარის ცსა, ფონდი რ-203, აღწერა 1, საქმე -1, ფურც. – 1;
5. აჭარის ცსა, ფონდი რ-213, აღწერა 1, საქმე -23, ფურც. – 5;
6. იგივე, საქმე 24,„ა“ ,ფ-12;
7. იგივე, საქმე 26,„ა“ ,ფ-32;
8. იგივე, საქმე 28,„ა“ ,ფ-13;
9. აჭარის ცსა, ფონდი რ-571, , საქმე -30, ფურც. – 34;
10. იგივე, საქმე-9 „---„ ფ-1-5;

11. იგივე, საქმე -15 „---„ ფ-45;
12. იგივე, საქმე-101 „---„ ფ-29;
13. იგივე, საქმე -22 „---„ ფ-8;
14. აჭარის ცსა, ფონდი რ-208, აღწერა 1, საქმე -30, ფურც. – 34;
15. იგივე, საქმე „---„ ფ-12;
16. თ. კომახიძე – ბათუმის ჯანმრთელობის კერებისა და სა-კურორტო ქსელის განვითარების ისტორია“ 1997 წ., გვ. 85-92, 115-145, 151-157, 161- 186.

Elguja Chaganava

Doctors from Ajara – according to the documents protected in Archives Summary

With a rich tradition of medicine, it is impossible to imagine high professionalism and responsibilities of modern doctors. One of the brilliant successors of these traditions were the doctors working in Ajara in Batumi, in which the articles are presented in the article in detail.

**XX ს-ის I ნახევრის ქართული ხელოვნების
სპეციფიკური თავისებურებანი და
სწავლების მეთოდები**

ქართული ხელოვნება სათავეს ჯერ კიდევ უძველეს წარსულში იღებს. საუკუნეთა მანძილზე რთულ ვითარებაში ყალიბდებოდა მაღალმხატვრული, ეროვნულობით გამორჩეული ქართული ხელოვნება. ახალი ქართული ხელოვნების საწყისები კი დაკავშირებულია XIX -ის დასასრულისა და XX ს-ის დასაწყისის ქართული ხელოვნების განვითარებასთან, მის წარმომადგენლებთან. ჩვენი მიზანია წარმოვაჩინოთ XX ს-ის I-ნახევრის ქართული ხელოვნების ის სპეციფიკური თავისებურებები, სწავლების ის სხვადასხვა მეთოდები, რომლებიც დამახასიათებელია ქართული მხატვრული სკოლისათვის.

XIX ს-ში საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში და განვითარების ახალ ფაზაში შევიდა. ახალი აზროვნებითა და მხატვრული მოთხოვნებით შეიცვალა ფეოდალური ეპოქის იდეურ-ესთეტიკური სისტემა, შუა საუკუნეების ფრესკას დაზგული მხატვრობა ჩაენაცვლა, რომლის ჩასახვამ პორტრეტული ჟანრის დამკვიდრება განაპირობა. პორტრეტულ ჟანრში შექმნილი ნამუშევრების ავტორები კი ხშირად დასავლეთ ევროპისა თუ რუსული ფერწერული სკოლის წარმომადგენლები იყვნენ. მათ დიდი როლი ითამაშეს მრავალეროვნული XIX ს-ის თბილისის მხატვრული ცხოვრების ფორმირებაში, რომელიც ტრადიციულად კავკასიის კულტურულ ცენტრად მოიაზრებოდა.

XIX ს-ის 30-იან წლებში თბილისში ადგილობრივი, ნაციონალური პორტრეტული სკოლა ყალიბდება, 80-იან წლებიდან კი საფუძველი ეყრება რეალისტურ ხელოვნებას, ფორმირდება რუსეთსა თუ დასავლეთში განსწავლულ ქართველ მხატვართა ახალი თაობა. (რ. გველესიანი, ა. მრევლიშვილი, გ. გაბაშვილი, გ. თოიძე), რომელიც ერთი მხრივ, აფართოებს შემოქმედებით დიაპაზონს, საფუძველს უყრის მრავალ დარგსა თუ ჟანრს (ჩნდება პეიზაჟი, ნატურმორტი, ისტორიული თუ ყოფითი ჟან-

რი, თემატური სურათი) , ამავედროულად ისწრაფვის სინამდვილის რეალური ასახვისაკენ.

XX ს-ის დასაწყისში ქართულ ხელოვნებაში მეტად მრავალფეროვანი და საინტერესო სურათი იქმნება. რუსეთში, საბჭოთა წყობილების დამყარებისთანავე, რუსმა ხელოვნებმა შედარებით სტაბილურ პოლიტიკურ სიტუაციაში მყოფ თბილისს შეაფარეს თავი, სადაც ნოყიერი ნიადაგი აღმოჩნდა ავანგარდული კულტურული გარემოს შექმნისა და დამკვიდრებისათვის. თბილისის არტისტულ კაფეებში, სალონებსა და დუქნებში ჩქეფდა ბოჰემური ცხოვრება. იმართებოდა ლიტერატურული თუ პოეზიის საღამოები, დისკუსიები მოდერნისტულ მხატვრობაზე. აქ თავს იყრიდნენ მონინავე ავანგარდულ პოზიციებზე მდგომი რუსი, პოლინელი, ქართველი არტისტები, რომლებიც ხატავდნენ თბილისის კაფეებსა და დუქნების კედლებს (ს. ვალიშევსკი, ს.სუდეიკინი, ს.სორინი, ლ.გუდიაშვილი, დ. კაკაბაძე, ძმები ი.დ.კ. ზდანევიჩები). თბილისში იმ დროისათვის უკვე დრომოჭმულ აკადემიურ მხატვრობასთან ერთად თანაარსებობდა ისეთი თანადროული მოდერნისტული მიმდინარეობები, როგორცაა: სიმბოლიზმი, კუბიზმი, დადაიზმი, გამოიცემოდა ჟურნალები, ფუტურისტული ნიგნები (პოლიგრაფიული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები), რომლის ავტორი ქართული და ევროპული ავანგარდის სულისჩამდგმელი – ილია ზდანევიჩი იყო. სწორედ ილია ზდანევიჩმა 1921წ. პარიზში, ემიგრაციის შემდეგ, საზღვრებს გარეთ გაიტანა და მსოფლიოს გააცნო ნიკო ფიროსმანაშვილის სახელი, რომლის ფენომენი ცალკე მდგომი მოვლენაა ქართულ მხატვრულ აზროვნებაში.

1919-1921 წლებში ქართველ მხატვართა ჯგუფი სწავლის გასაგრძელებლად პარიზში გაემგზავრა (დ.კაკაბაძე, ლ.გუდიაშვილი, ე.ახვლედიანი, შ. ქიქოძე, ქ. მალალაშვილი) და ეზიარა თანადროულ ევროპულ მიმდინარეობებსა და ახალ ტენდეციებს. XX ს-ის 30-იან წლების დამდეგს კი მხატვართა ეს ჯგუფი პარიზიდან უკვე გასაბჭოებულ საქართველოში ბრუნდება, სადაც ჯერ კიდევ ინერციით გრძელდება 20-იან წლებში ჩამოყალიბებული ესთეტიკური შეხედულებების სისტემა.

1922წ. 25 მაისს თბილისში გაიხსნა სამხატვრო აკადემია ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების

ფაკულტეტებით. სამხატვრო აკადემიების დაარსება ევროპაში ჯერ კიდევ XVI ს-დან იწყება, როცა ხატვის, ფერწერისა და ქანდაკების სასწავლებლად ფლორენციაში (1563წ.), რომში (1577წ.), პარიზსა (1648წ.) და ვენაში (1692წ.) დაარსდა პირველი სამხატვრო აკადემიები. რუსეთის სამხატვრო აკადემია კი, რომელიც 1757 წელს პეტერბურგში დაარსდა, პარიზის სამხატვრო აკადემიის ტრადიციების გამგრძელებელი იყო საუკუნეთა მანძილზე. თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლება რუსული აკადემიური მეთოდით ე.წ. ჩისტიაკოვის მეთოდით მიმდინარეობდა. პავლე ჩისტიაკოვი, როგორც ცნობილია 1872წ-დან ასწავლიდა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში და მის მიერ შექმნილმა სამხატვრო-პედაგოგიურმა სისტემამ უდიდესი როლი შეასრულა XIX ს-ის II ნახ. რეალიზმის განვითარებაში. რუსეთის და საქართველოს სამხატვრო აკადემიები, თავისი წინამორბედი ფრანგული აკადემიის მსგავსად ადგენდა და ქმნიდა ჩარჩოებს კანონების ფარგლებში მოქმედებისათვის. ის წარმატებით ამკვიდრებდა აკადემიურ ხელოვნებას, რომელიც თავის მხრივ, კარგად შეესაბამებოდა საბჭოთა იდეოლოგიას, მცირედ შეიცავდა თავისუფალი აზროვნებისა და შემოქმედებითი ძიებების ელემენტებს. თბილისის სამხატვრო აკადემიამ გვერდი აუარა ახალ, თანამედროვე ტენდენციებს და სწავლების მეთოდად აკადემიური ხატვა აირჩია.

თანამედროვე ქართველი მხატვრები ეზიარნენ იმ მხატვრულ სკოლას, რომლის საფუძველს წარმოადგენდა რუსული აკადემია, რადგან თბილისის სამხატვრო აკადემიაშიც სასწავლო მეთოდი ეფუძნებოდა კლასიკურ ე.წ. ჩისტიაკოვის მეთოდს. ფაქტობრივად აკადემიის სკოლამ განსაზღვრა ნაწილობრივ XX საუკუნის ქართული ხელოვნების თავისებურებანიც.

როგორც ცნობილია, ზოგადად ხატვის კლასიკური მეთოდი გულისხმობს ჩრდილით და სინათლით რეალური საგნების გადმოცემას. თუმცა რეალისტური ნახატი ზოგჯერ განსხვავდება რუსული აკადემიური ნახატისაგან, რადგან იგი შეიძლება ეფუძნებოდეს რენესანსულ რეალისტურ ნახატს. ამ ორი ტიპის ნახატს შორის კი განსხვავება საკმაოდ დიდია. რუსულ აკადემიურ ნახატში მხოლოდ ჩრდილის და სინათლის ფიქსაციაა, ფორმის ანალიზის გარეშე, რენესანსულ ნახატში კი ფორმის

ანალიზიცაა მოცემული, ანუ მხატვარი მარტო ჩრდილ-სინათლეზე კი არ ფიქრობს, არამედ ფორმის ანალიზიდან გამომდინარე ქმნის გამოსახულებას სიბრტყეზე. (ჩიხრაძე, 2006:17).

ამ პერიოდის ევროპულ ხელოვნებაში კი დიდი პროცესები მიმდინარეობდა და ახალი, თანამედროვე, ევროპული ტენდენციები აკადემიზმს უპირისპირდებოდა. XIX ს-ის ბოლოსა და XXს-ის დასაწყისში ევროპაში წარმოიქმნა მრავალი მიმდინარეობა – იმპრესიონიზმი, პოსტიმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი, აბსტრაქციონიზმი და ა.შ.

XX საუკუნის 20-იან წლებში ქართულ სახვით ხელოვნებაში დაწყებულია ძიების პროცესი. მხატვართა ერთი ნაწილი მტკიცედ იდგა რეალიზმის პოზიციებზე, მეორე ნაწილს მცნება "რეალიზმი" ვინროდ ესმოდა და რევოლუციურ გარდაქმნათა ეპოქის ასასახავად სრულიად ახალი მხატვრული ფორმებისა და სტილის შექმნის საჭიროებას ქადაგებდა, მესამე კი, ეროვნული მხატვრული ფორმის სტილიზაციისკენ ისწრაფოდა. (ურუშაძე, 1973:8). განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მოდერნის სტილმა, რომელმაც საქართველოში გავლენა უფრო დიდხანს შეინარჩუნა და რასაც ხელს უწყობდა პეტერბურგიდან რევოლუციის შემდეგ გადმოსახლებული ე. ლანსერესა და ი. შარლემანის შემოქმედებითი და პედაგოგიური საქმიანობა.

თბილისში სამხატვრო აკადემიის დაარსების პირველივე წლიდან ე. ლანსერე და ი. შარლემანი სათავეში ჩაუდგნენ სამხატვრო განათლების საქმეს და დიდი როლი ითამაშეს ქართველ მხატვართა რამდენიმე თაობის აღზრდის საქმეში. ი. შარლემანი აკადემიაში გრაფიკის ფაკულტეტს ხელმძღვანელობდა, ხოლო ე. ლანსერე 1927წ-დან ფერწერის ფაკულტეტის დეკანი იყო.

იოსებ შარლემანი დაიბადა პეტერბურგში 1880 წელს. ხელოვნება შარლემანების შთამომავლობაში საგვარეულო პროფესიად იქცა. მამამისი ადოლფ შარლემანი ფერწერის აკადემიკოსია. სამხატვრო განათლება ი. შარლემანმა „მხატვართა ნამახალისებელ საზოგადოების“ სკოლაში, შემდეგ კი პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში მიიღო. 1917წ. იგი ჩამოდის საქართველოში და საბოლოოდ სახლდება თბილისში. შარლემანის ცხოვრება და მოღვაწეობა საქართველოში მხოლოდ შე-

მოქმედებითი ამოცანებით არ განისაზღვრება. 1922 წლიდან იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას იწყებს, რომელსაც განსაკუთრებულ შეფასებას აძლევდა ცნობილი ქართველი ხელოვნებათმცოდნე ლევან რჩეულიშვილი და აღნიშნავდა, რომ „თუ დღეს ჩვენ უკვე ვამაყოფთ ქართველ გრაფიკოსთა უკვე რამდენიმე თაობის წარმატებებით, ამაში შარლემანის უდიდესი ღვაწლი ჩანს. იგი იშვიათი პედაგოგიური ნიჭითაა დაჯილდოებული. იოსებ ადოლფის ძეს, რომ არაფერი შეექმნა და არ დაეტოვებინა არც ერთი ნაწარმოები და მხოლოდ ესწავლებინა, ის, ამ თავისი იშვიათი ნიჭის წყალობით, ქართული კულტურის მოღვაწეთა შორის საპატიო ძეგლს დაიდგამდა. მე არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ იგი იმ იშვიათ პედაგოგთა პლეადას ეკუთვნის, რომლებითაც ბუნება არც თუ ისე ხშირად აჯილდოებს საზოგადოებას“ (რჩეულიშვილი, 1998:64-65).

30-იანი წლების ქართველ ხელოვანთა შემოქმედებაში (ფერწერა, გრაფიკა, თეატრალური მხატვრობა და წიგნის მხატვრობა) გაზიარებულია ევროპული ავანგარდის თითქმის ყველა ძირითადი მიმდინარეობა. ზოგიერთი მხატვრის შემოქმედებაში მხოლოდ ერთი ან ორი მიმდინარეობის მიდევნება ვლინდება (შ. ქიქოძე, ვ. სიღამონ-ერისთავი, კ. ზდანევიჩი, ე. ახვლედიანი, დ. თავაძე), სხვებთან რამდენიმე მიმართულების თანმიმდევრული გადამუშავება და გათავისება იჩენს თავს (დ. კაკაბაძე, ლ. გუდიაშვილი, ი. გამრეკელი, დ. შვეარდნაძე).

1930-იანი წლებიდან, ზოგადად მოდერნისტული ხელოვნება 1921 წელს ანექსირებული საქართველოს კულტურამ ერთიანი საბჭოური კულტურულ-ესთეტიკური სივრცის შექმნის მიზნით აკრძალვების შედეგად, მარგინალიზაცია განიცადა. ეროვნული კულტურების მარგინალიზაციამ ჩვენი მეხსიერებიდან სრულიად ამოშალა XX ს-ის დასაწყისის სახელოვნებო ცხოვრება. საბჭოთა პერიოდში რეპრესიებს ფიზიკურად გადარჩენილი მოდერნისტების 1910-20-იანი წლების შემოქმედება განიხილებოდა ახალგაზრდა მხატვართა მოდერნიზმით ერთგვარი "გატაცების" პერიოდად. საბჭოთა პერიოდის თანხვედრილი მათი ხელოვნება კი წარმოიდგინებოდა ევოლუციურ-განვითარებად ქრილში და თავსდებოდა სოციალისტური რეალიზმის კონტექსტში. (ციფიანი, 2008:98-99).

მიუხედავად ამისა, 1930-იან წლებში და მოგვიანებითაც გრაფიკოსები ლ. გუდიაშვილი, ს. გაბაშვილი აგრძელებენ თავის ილუსტრაციულ და დაზგურ გრაფიკაში ევროპული და აღმოსავლური ხელოვნების ქართულ ძირებთან შეჯიბრების პროცესს. რამდენადმე განსხვავებული მიმართულებით მუშაობს ს. ქობულაძე, რომელიც აქცენტს რენესანსის ხელოვნების ინტერპრეტაციაზე აკეთებს, თუმცა სიცოცხლის ბოლოს პ. პიკასის ნეოგრეკული სტილით ინტერესდება. თაობები აგრძელებენ 1920-1930-იან წლებში გამოკვეთილ მისწრაფებას კულტურულ დიალოგში მონაწილეობისაკენ, ეროვნული ხელოვნების ჰარმონიული ჩართვისკენ მსოფლიოში მიმდინარე აქტიულურ სამხატვრო პროცესებში (ზაალიშვილი, 2008:105-106).

ახალი თაობების აღზრდაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ს. ქობულაძეს, თ. აბაკელიას, ლ. გრიგოლიას, ს. გაბაშვილს და ვ. შუბაევს, რომლის შემოქმედება უფრო რენესანსური და აკადემიური ნახატიდან მოდიოდა.

XX ს-ის 50-იან წლებიდან ქართულ ფერწერასა და გრაფიკაში ცვლილებები შეინიშნება. ახალგაზრდა ქართველი მხატვრები- დიმიტრი ერისთავი, ედმონდ კალანდაძე, ზურაბ ნიჟარაძე, გივი კასრაძე და სხვები ახერხებენ დასავლეთში მიმდინარე მხატვრული მოვლენების არა მარტო გაცნობას, არამედ შესწავლას-შეთვისებას, განსაკუთრებით იმპრესიონიზმით და ინტერესებას. თუმცა 60-იან წლებიდან შეინიშნება იმპრესიონისტული ღირებულებების კრიტიკული გააზრება და შემოქმედებითი ტენდენციების გაძლიერება.

ამდენად, ქართველი მხატვრების შემოქმედებითი პროცესი ემყარებოდა როგორც სამხატვრო აკადემიაში მიღებულ ე.წ. ჩისტიაკოვის მეთოდს, ასევე ევროპულ ხელოვნებაში მიმდინარე მხატვრულ მოვლენებს. ამასთან, 60-იანი წლებიდან იწყება ახალი მხატვრული გამომსახველობითი ხერხების ძიება (როცა ძირითადი აქცენტი კეთდება პროპორციებზე, პერსპექტივაზე, შუქ-ჩრდილზე), რამაც რიგი ქართველი მხატვრებისა რენესანსული ხელოვნების ტრადიციებამდე მიიყვანა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზაალიშვილი ნ. "1920-30-იანი წლების ქართული გრაფიკის ზოგიერთი ტენდენცია", ვ. ბერიძის სახელობის საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბილისი, 2008
2. რჩეულიშვილი ლ. „ახალი ქართული ხელოვნების საკითხები“, გამომცემლობა "ნეკერი", თბილისი, 1998
3. ურუშაძე ი. კრებული, ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნება, თბ., 1973
4. ყიფიანი მ. "პოეტურად ბინადრობს ადამიანი", ვ. ბერიძის სახელობის საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბილისი, 2008
5. ჩიხრაძე მ. „თანამედროვე ქართული ნახატის განვითარების ანალიზი“, ავტორეფერატი, თბილისი, 2006.

Marina Jintcharadze

Different teaching methods and specific features in the first half of XX century Georgian art Summary

The aim of work is to promote the modern in the first half of XX century 20th century Georgian fine art developments some peculiarities. In the theme is discussed the methods of teaching in the Art academy, which basis are not only Russian academic the so called Chistiakov's method, but also the principles of Renaissance.

ნაილე მიქელაძე

**წმიდა მარიამ ღვთისმშობლის ხალხური
საგალობლის შესახებ**

(სტამბულის ქართული საგანის მასალების მიხედვით)

*„ბრძნად მეტყველები ვერცხლი არს წმიდაი
და დუმლიოქროი რჩეული“, ვითარცა თქვა
სოლომონ. არამედ ან მე ნაკლულევნებაი ჩემი
არ მიფლობს დუმლიად და უმჯობესად
შემირაცხიეს, რათა ვიტყოდე ამას...“
გიორგი მერჩულე.*

ხალხური სიტყვიერების მარგალიტებს ოდითგანვე ჰქონდა უბერებელი მისია ეტარებინა ერისა და ქვეყნის სატკივარი. ერის ხმაში ეპოქის სატკივარი და სადარდებელია გადმოცემული. სოციუმს უყვარს თავისი ქვეყნის გამრული წარსული – „სული ქართველის ცხოვრებისა და რუსთველის აღმაფრენა“, მაგრამ მან ასევე იცის როგორც ახლა, ძველ დროშიც, საქართველო არასოდეს ყოფილა დასვენებული. თუმცა ქართველ ერს ყოველთვის სჯეროდა, რომ დანაწევრებული საქართველო კვლავ აღსდგებოდა, აღორძინდებოდა, ჩვენი წინაპრების სახელოვანი ისტორია, ახლებურად გაცოცხლდებოდა, როგორც დიდი შთამაგონებელი ძალა. ყოველი შეუძლებლის მიღწევაში კი დედა ღვთისმშობელი დაეხმარებოდა.

საქართველო ოდითგანვე ითვლებოდა წმიდა მარიამ ღვთისმშობლის წილნაყარ ქვეყნად. წმინდა მარიამი იყო საქართველოს შემწე და მეოხი.

ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრების“ უკვდავი პნკარედები გვამცნობს: „შემდგომად ამაღლებისა უფლისა, რაჟამს წილ-იგდეს მოციქულთა, მაშინ ყოვლად-წმიდისა

ღვთისმშობლისა წილად ხვდა მოქცევად ქუეყანა საქართველოსა და ჩვენებით ერვენა მას ძე მისი, უფალი ჩვენი, და რქუა: დედაო ჩემო, არა უგულებელვყო ერი იგი საზეპურო უფროის ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთვის. ხოლო შენ წარავლინე პირველწოდებული ანდრია ნაწილსა მას შენდა ხუედრებულსა და თან წარატანე ხატი შენი, ვითარცა პირსა შენსა დადებითა გამოისახოს და შენ წილ ხატი იგი შენი მკვიდრობდეს მცველად მათდა უკუნისამდე ჟამთა“ (ქართლის ცხოვრება 1955: 38).

სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერთან არსებულ ბიბლიოთეკასა და არქივში დაცულ ხელნაწერთა შორის, საყურადღებოა, ხალხური წმიდა მარიამ ღვთისმშობლის საგალობელი. ეს საგალობელი, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ქალაქ ახალციხეში 95 წლის სფირიდონ ხმალაძისაგან ჩაუნერია ახალციხელ ანდრია გრილაძეს, რომელიც მოგვიანებით, სტამბულში ჩაუტანია.

ზაქარია ჭიჭინაძის წიგნში „მესხეთ-ჯავახეთის გათათრება“ ვკითხულობთ „ოსმალეთის ძირძველ საფაშალიკო ქალაქად დაინიშნა და ფაშად დადგენილი იქნა ბექა ათაბაგი, რომელიც პირველი გათათრდა და სახელად საფარა უწოდეს (ჭიჭინაძე, 1906:3).

ისტორიულად, „ოსმალებმა ტრაპიზონის დაპყრობის შემდეგ მე-15 საუკუნის მეორე ნახევრიდან, მთლიანად დაიპყრეს ლაზეთის სხვა ქალაქებიც. მე-16 საუკუნის დამდეგს ოსმალებმა აიღეს მაჭახლის ხეობა და შემოუტიეს ბათუმს. ამავე დროს ისინი შეესივნენ ტაო-კლარჯეთს, ბასიანს, ისპირს, თორთომს, პარხალს და სხვა მხარეებს. მე-16 საუკუნეში მათ მესხეთის სამხრეთ დასავლეთი ნაწილი მთლიანად დაიპყრეს (ახვლედიანი, 1958: 63).

ზაქარია ჭიჭინაძე კი ამასთან დაკავშირებით წერდა: „სამცხეში ქრისტიან ქართველთა საქმე ისე გამწვავებულა, რომ

1713 წ. ახალციხეში საქვეყნოდ იქნა დახჩობილი ელისე არქიმანდრიტი. ოსმალეთის მთავრობას მობეზრდა ქართველ ქრისტიანებთან ბრძოლა, ისლამის გავრცელება და ამიტომ მესხეთსა და ჯავახეთში შემოიღეს ისეთი წესები, რაც ქართველთა გათათრებას ხელს შეუწყობდა. ეს წესები იმდენად ძნელად შესასრულებელი იყო, რომ მოსახლეობა იძულებული გახდა ეტაპობრივად გადასულიყო ისლამის რჯულზე. თუმცა მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ფორმალურად მუსლიმანობდნენ. სინამდვილეში კი ქრისტეს რჯულს ემსახურებოდნენ (ჭიჭინაძე, 1906:5).

„აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრების“ წიგნში წერია, თუ ოსმალთს ბატონობის დროს, როგორი მძიმე გადასახადები ჰქონდა აჭარის მოსახლეობას, მაგ: „აჭარის მოსახლეობაზე უშურის სახით განერილი იყო გადასახადები, როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე... ოსმალური საგადასახადო სისტემის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება იყო ის, რომ ქრისტიანი გაცილებით მეტი რაოდენობის გადასახადს იხდიდა, ვიდრე მუსლიმანი **[აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები, 2011 : 47-52]**.

არსებული მასალები ერთხელ კიდევ ცხადყოფს, თუ რა გაუსაძლისს პირობებში ცხოვრობდნენ აქაურები. თურქი ისტორიკოსის ქათიფ ჩელების წერს: „ქენზეს ციხე, ყაზანის ციხე და სხვები ლალა ფაშას დაპყრობილია, ყმანვილების სასწავლებლები, მცირე ბაზრები, აქა-იქ პატარა ფუნდუკები არის. რადგანაც მისი ჰავა ცივია ბალ-ვენახი არა აქვს. ხილი თორთუმიდან და აჭარის ციხიდან მოდის **[ჩელები, 1978: 303]**. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა გადასახედებს გულისხმობდა.

XVII საუკუნის მეორე ნახევრის გაუსაძლის თემებზე ვრცელ ინფორმაციას გვანვდის, ოსმალთა ისტორიკოსის მუ-

ნეჯიმ – ბაშის კომპილაციური თხზულება „დინასტიათა კრებული“, ეს ისტორიული წყარო იძლევა სამხრეთ საქართველოში ოსმალთა აგრესიის, ცალკეული ბრძოლების უფრო დეტალურ აღწერას, ვიდრე თუნდაც იბრაიმ ფეჩევი (შენგელია, 1868: 133-152). ის და სხვა ისტორიკოსები დეტალურად აღწერენ სამხრეთ – დასავლეთ საქართველოში განვითარებულ მოვლენებს.

გამძინვარებული რეაქციის ჟამს, როცა სხვა მრავალთა შორის, ეროვნულ საკითხებშიც დაბნეულობამ იჩინა თავი, როცა ეროვნული ნიჰილიზმი და ერის ისტორიულ-კულტურულ მონაპოვართა ხელყოფა ნაირ-ნაირი ჯურის ადამიანების მიერ დაკანონებულად იქცა. ამ ძნელბედობის ჟამს, მესხეთის მკვიდრებს იმედი არ დაუკარგავთ.

მესხეთის მკვიდრებს, ხალხური მარიამ წმიდა ღვთისმშობლის საგალობელი მაშინ შეუქმნიათ, როცა ოსმალოს მპყრობელობაში ყოფილან. მოხუც სფირიდონ ხმალაძეს ანდრია გრილაძისთვის უთქვამს: „ოსმალობას დროსაო ამ ლექსს ვხმარობდით ლოცვასავითო. მას წარმოვსვთქვამდით საერო სიმღერების ხმაზედა. თავყრილობაზედ, ქორცილებშიდააც ვგალობდით, რადგან მართმადიდებლებს საეკლესიო ლოცვების ცხადლივ წარმოთქმაგვეკრძალებოდა (წერილები სტამბულის ქართულ სავანიდან, 2017: 975).

ზაქარია ჭიჭინაძის წიგნში დაცული მასალების მიხედვით: „ასპინძის ომის შემდეგ ჯავახეთში არამც თუ მართმადიდებელი, არამედ ქართველი კათოლიკეთაც კი დაუნყეს დევნა. არსად აღარავის სიტყვის თქმის ნებასაც არ აძლევდნენ და რამდენიმე ალაგს სტანჯეს ქრისტიანები“. თუმცა მესხეთის ქართველები ადვილად არ ეპუებოდნენ რჯულის დატოვებას; იმავე ცნობის თანახმად: „მესხეთის ქართველთა საიდუმლო ქრისტიანეთა რიცხვი ყოველთვის არსებობდა და

მათი რიცხვი 25 სოფელზედ მეტი ყოფილა. ამათ საიდუმლო მღვდელს ოსმალურად ეცვა, თავზე სპარსული ქუდი ეხურა ან დოლბანდი. ისინი ხშირად ჩოხასაც იცვამდნენ, ზედ ნაბადს მოისხამდნენ და საეკლესიო წიგნებს ქვეშ მალავდნენ. ასეთი მღვდლები 1819 წლამდე ყოფილან და მესხეთში საიდუმლო ქრისტიანებიც მრავლად ჰყოლიათ (ჭიჭინაძე, 1906:7).

ისტორიულად დაცულია არაერთი წყარო, სადაც დეტალურადაა აღწერილი სამცხე-ჯავახეთის მაშინდელი მდგომარეობა, სადაც კარგად ჩანს, თუ ისინი მტრის ხელში როგორ იცავდნენ თავის ეროვნულობასა და რელიგიას. უიმედობაში ჩავარდნილებს, კი მათდა სანუგეშებლად ეს საგალობელი შეუთხზავთ. ინფორმატორი ანდრიასთან საუბარში იხსენებდა: „ამ საგალობელს მესხი ქრისტიანიცა და ქართველი მუსლიმანიც მხურვალე გულით ერთად ვგალობდით და ეს საგალობელი – დედა მარიამის სიყვარული გვაერთიანებდა“. მთქმელის გადმოცემით, ამ საგალობლის ისტორია 200-250 წლისა მაინც იქნებოდა. შემდგომში ეს საგალობელი სტამბულის ეკლესია-მონასტრის მღვდელს შალვა ვარდისძეს ანდრია გრილაძისაგან გადაუწერია და მონასტრის არქივში შეუნახავს.

წმიდა მარიამ ღვთისმშობლის საგალობელი თავიდან ბოლომდე გაჯერებულია სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულითა და სულიერებით. სამშობლოს სიყვარული მათვის ის გრძნობაა, რომელსაც ერის სულიერი ღირებულებების შენარჩუნება მოჰყვია. ამ საგალობლის განმასხვავებელი თავისებურება, არა მარტო არსებული თემების ორიგინალური შერჩევა და მათი ჩვენების საკუთარი პოზიციის, არანედ მხატვრული ასახვის ხერხების, ფორმების, ხელწერის, მანერის სტილის ორიგინალური გამოვლენა.

სამშობლოს სიყვარულის გრძნობა, ის უდიდესი ძალა იყო, რომელმაც აამხედრა ჩვენი ხალხი „კარზე მომხვდური“

ოსმალო ურდოების წინააღმდეგ. სწორედსაც, მთელი ხალხის საერთო ფიქრისა და აზრის გამოხატულებაა ეს საგალობელი. მწარე ცხოვრებისეული სინამდვილიდან ციურ სამყაროში ოცნებებით აღსავსენი მწარე ხვედრის შესამსუბუქებლად, თავს ღვთისმშობლის ხოტბით იმშვიდებენ. ისაა მათი ერთადერთი ხსნაც, იმედიც და მერმისიც:

„ამოსული ხარ ყვაავილად, წმიდაო ყოვლის სოფლისა,
ბაღჩა ხარ აყვავებული, მოსაწონარი უფლისა...
გაბრიელის ხარებითა მოგევილინა ძალი ღვთისა,
იესო ქრისტეს დედა ხარ, ქალი ზეციურ მამისა“

(წერილები სტამბულის ქართულ სავანიდან, 2017: 975)¹⁴

ღვთისმშობლის სახეობრივი მრავალფეროვნება გაცხადებულია იოანე შავთელის ერთ-ერთ საგალობელში, რომელშიც ავტორი ყოვლადწმიდა მარიამს ასე მიმართავს:

„იაკობ კიბედ გიხილა, ხოლო მოსე – მაყვლად,
დანიელ – მთად, გედეონ – საწმისად“...

წარმოდგენილი ქრისტიანული სახე-სიმბოლოები, სწორედაც ძველი აღთქმის რამდენიმე ეპიზოდის განსახოვნებაა. ასევე ძველი აღთქმის მსახურთა წიგნის მიხედვით მარიამ ღვთისმშობლის წინასახედ: მაყვლოვანი, მთა და საწმისი გვევლინება. მსგავსი შედარებები და სახე – სიმბოლოები საგალობლის განუყოფელ ატრიბუტს წარმოადგენს. კერძოდ: „ყვაავილი“, „ბაღჩა“ და სხვა.

სულიერი უიმედობის ყოფის დასაძლევად გზათა ძიება რწმენის გამტკიცებაში გამოიხატა:

„ზიხარ მუდამ შენს ძესთანა, მეოხე ცოდვილებისა“.

¹⁴ ნაშრომში განხილული ლექსის ტაეპები ამოღებულია, წიგნიდან „წერილები სტამბულის ქართულ სავანიდან“ გვ. 975-977.

ერი მადლიერია დედა ღვთისმშობლისა, რომელმაც თავისი ძე, ჩვენ გამოსახსნელად გამოგვიზარდა, რაც გამოიხატა შემდეგ ტაეპებში:

„კურთხეული ხარ მარიამ, დედოფალი, ხარ ზეცისა, ლამაზი ხარ, მშვენიერი, საკვირველო სამოთხისა. მარიამ მიმადლებულო, სიტყვა გაქვს ანგელოზისა, ნეტარი ხარ, მარიამ, მუდამ ყოვლისა გვარისა. დედოფალი ხარ, დედაო, იმედო ჩვენის თვალისა“.

წარმოდგენილი სტროფები ხასიათდება, არა მარტო შინაგანი რითმებით, არამედ, აგრეთვე ძლიერი რიტმით, რაც ასე შეფარდებულია ლექსის ემოციურობასთან.

ამ საგალობლის მთავარი პათოსი და სულისკვეთებაა ერი გაძლიერდეს. სასონარკვეთილება მას არაფერს არ მოუტანს. მათი ერთადერთი მხსნელი წმიდა მარიამია, რომელსაც ყველა დღესასწაულზე – საეროსა თუ სასულიეროზე უმღერიან:

„ისმინე ვედრება ჩვენი, ქალწულო ჩვენი გულისა.

მწარე ცრემლები იხილე სამშობლო დაკარგულისა“.

ერთობ ტრაგიკული და მრავლისმთქმელია ის მდგომარეობა, რაც იმხანად მესხეთში არსებობდა. ამ საგალობლით თითქოსდა დასურათხატებულია იქაურთა იმჟამინდელი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა:

„ორნი გზანნი მიგვაჩნია, ნუ გვარგუნებ მწარე დღესა.

ბილნსა ეშმაკსა ნუ მიგვცემ, შეგვავედრე მაცხოვარსა, ჩვენაც გულით ვიგალობებთ, დიდი დედის სახსოვარსა.“

დედა ღვთისა წმიდა მარიამი, არა მარტო მაცხოვრის, არამედ მთელი ერის დედად მიაჩნიათ და ეს ამ სტრიქონებშიც კარგად ჩანს. საგალობელში ქართულ ჩუქურთმასავითაა ჩახლართული – ლოცვაც, ვედრებაც და უდიდესი მოკრძალებაც. ლექსში ყოველი ტაეპი შთამბეჭდავია, რამეთუ მკითხველს შეიძლება ცხადშიც დაანახო, თუ რას განიცდიდა

დატყვევებული ერი. ამ საგალობელით მადლობას სწირავენ და თხოვენ წმინდას – „ქართული სიტყვის მადლი და ძალა არ დაკარგონ“:

„ჟამი ისიმ დაილოცვის, რომ შეიქმნენ დედა ღვთისა,

მოგვეც ძალი და შენვენა ქართულ ენით ლექსის თქმისა.“

მთქმელი მოკრძალებულად თხოვს წმიდა მარიამს „მის-ცეს ძალა შენვენა, რათა ღვთიური, უბერებელი, ქართული ენით იგალობოს მარადჟამს:

ამ ლექსში წარმოდგენილი პოეტური ხატწერა განსაკუთრებულია ალსანიშნი. მთქმელი მხატვრულ – გამომსახველობითი საშუალებებით, მეტაფორებით, ეპითეტებით და სხვა მხატვრული სამკაულებით ცდილობს შეამკოს და შემოსოს უკვდავი წმინდანის სახე, ასევე ბედკრული ერის შვილების სათხოვარი შეახსენოს.

წარმავლობის მარადიული კანონი ჭმუნვასა და ვარამს უათასკაცებს, „შენი მადლით

შენი მადლით ამ ზამთარმა ვერ მოგვეკლას, ვერ დაგვზაროსა... იგივე კანონი უღვივებს მას რწმენას იმისას, რომ სანუთროსათვის უცვალებელი ცვალებადობა მისი საესავი მამულის მომავალსაც შეცვლის- „ სანთელი ხარ ანთებული, განმანათლებელი ბნელისა“.

ბედისაგან დასჯილ ერს, უიმედობის გაუფალ ტევრში მაინც გაუნათდება იმედის სხივი, რწმენის ნაპერწკალი, ის მართლაც ანთებული სანთელია ბნელში მსხდომთათვის..

სასუველი განწყობის შესაქმნელად და ემოციური შთაბეჭდილებების გასამძაფრებლად მთქმელი აქტიურად მიმართავს შედარებებს: მარიამ წმიდანის ქვეყნად მოვლენას მტრედის, სულიწმიდის მოვლენას უკავშირებს:

„ტურფა რამე ფრინველი ხარ მიმსგავსებული მტრედისა,

უშენოდ არ შემოძლია ხილვა წმიდა სამოთხისა.

ბაღჩა ხარ აყვავებული, ელვარება ზურმუხტ ქვისა

ქვეყნის ანგელოზი ხარ, ვარსკლავი ხარ ცისკარისა“.

მთქმელთა ცნობიერებაში იმდენად ახლობელია ცხოველმყოფელი ძალის მფლობელი, მეოხი და შემწყნარებელი ღვთისმშობელი, რომ მას ყველას და ყველაფერს ადარებენ. მის ყოვლისშემძლეობაზე ამახვილებენ ყურადღებას, თუმცა ამ მონაკვეთში კარგად ჩანს ფოლკლორის ზეგავლენა... „შვიდი მაისის წვიმასთან“ დაკავშირება:

ღრუბელი ხარ უმძიმარი, წვიმა შვიდი მაისისა,

„სილამაზე ხარ მზიანი, აისისი და დაისისა,

ისმინე ჩემი ვედრება, ერთგულ უფლისა მონისა“.

ისინი თხოვენ დედაღვთისამ შეისმინოს მათი ვედრება, გაუნათოს დაღამებული დღე:

„სინათლის სხივი გვაჩუქე, ისმინე ქვეყნის გლოვისა“...

გლოვა სიხარულით შეუცვალოს, რამეთუ –

„ძე ღვთისა ქვეყნად მობრძანდა, დახსნად ადამის ტომისა“.

საგალობლის პნკარედებში დასურათებულია ტკივილი ქრისტიანი და მუსლიმანი ქართველისა, რომლებიც ხელაღპყრობით ევედრებიან ღვთისმშობელს, გადაარჩინოს მათი სამშობლო, რამეთუ მათი ნუგეში მხოლოდ ისაა:

„მარიამ, ტკბილო დედაო, სხივო ღვთიურ ნათელისა,

შენა ხარ ჩვენი ნუგეში მუსლიმანი ქართველისაც

მესხეთის გულის ყვავილო, ტაოსი და კლარჯეთისაც

თვალისჩინი ხარ, დედაო, ფოცხოვის და ჩილდირისაც“...

ტაეპები სისხლხორცეულად ერწყმის ხალხის გულის-თქმასა და ერის გოდებას მოსთქვამს. ლექსში დეტალურად, მხატვრულადაა წარმოდგენილი მესხეთის ტკივილი:

„ჩვენი გალობაც ისმინე, მხურვალე ლოცვის სადარი,

სამოთხის ია შენა ხარ, არვინ არი შენი მსგავსი,

გულიდან შემოგვაძარცვე, ბოღმისა და ცოდვის ხავსი...

ხე ცხოვრებისა იწოდე, ხანი გაქვს უკვდავებისა“,

ხალხური წმიდა მარიამის საგალობელი მდიდარი რიტ-
მულ-ვერსიფიკაციური ფორმებით. მათ პნკარედთა სტრი-
ქონს, უპირველეს ყოვლისა, ხოტბა და მელოდიურობა გამო-
არჩევს პაუზთა სხვა ნიმუშთაგან. მათი თხოვნაც განსაკუთ-
რებულია. წმინდა და მოკრძალებული. მესხეთს თავისი ფეს-
ვები საქართველო ეძახის. ვედრებაც ხომ შესაბამისია.

„დედის უბეში გვამყოფე, ხელი გვაშორე მტერისა
ისმინე, დიდო დედაო, ვედრება ჩვენი ერისა.
გვამყოფე გამგრძელებელი მამა-პაპათა წესისა.

ჰოი, რა ტკბილი დედა ხარ, შენი დიდება გვეღირსა“...

და ბოლოს, უნებურად მახსენდება აღმოსავლეთ საქარ-
თველოში, „მარიამობას“ // ღვთისმშობლობას“ დღესასწა-
ულზე, ტრადიციისამებრ შორეულ სოფლებიდან მოსული
მოსახლეობა, ღამისთევისას, ლხინის დროს რომ უმღეროდა
წმიდა მარიამს:

„ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა,
ქვეყნის შენება ინება.
უბოძა ცასა ღრუბელი,
თავს წვიმის არ მოდინება“.

(ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, 1960: 245).

ამდენად, ეს საგალობლები, ძველი და ახალი აღთქმის
საღვთო წიგნთა უმთავრესი სათქმელითაა შთაგონებული.
მასში ჩაქსოვილი ოპტიმიზმი არის გამობატულება დედა ეკ-
ლესიის გარშემო შემოკრებილი ქრისტიანული რწმენისა,
რომ საყოველთაო განკითხვის დღეს უფალი აღადგენს ჭეშ-
მარიტ სარწმუნოებისათვის თავდადებულთ: ტანჯვით, წამე-
ბით, თავგანწირვით, სინანულით განწმენდილ ადამიანთა
სულებს და ზეციური დედაეკლესიის წიაღში დაამკვიდრებს
მათ.

ლექსში წარმოდგენილი ფოლკლორული სახე-სიმბოლოები, მის მაღალ მხატვრულ ღირებულებაზე, სულიერებაზე საუბრობს. მათი სურვილიც ხომ საქართველოს დაკარგული კუთხეების შემოერთება იყო. დღეს ეს კუთხე, დედასაქართველოს შემადგენლობაშია.. და დაე, მარადყამს იცოცხლოს ქართულმა სიტყვამ, ქართულმა გენმა ანაშხალდეს, როგორც ანაშხალი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები, 2011:** აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები, ოსმალური ტექსტი, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და ფოტოასლები გამოსაცემად მოამზადეს: ზაზა შაშიკაძემ და მირიან მახარაძემ, გამ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ.,
2. **ახვედიანი, 1958:** ახვედიანი ხ., აჭარის წარსულიდან, „ოთხმოცი წლის წინათ“ , -ლიტერატურული აჭარა, გამ. ბათუმი, 1958, #4.
3. **ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, 1960:** კრებული, ნაწილი პირველი, გამ. „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ.,
4. **ქართლის ცხოვრება 1955:** ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, სახელგამი, თბილისი.
5. **ჩელები, 1978:** ჩელები ქ., საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო გ. ალასანიამ, თბ.,

6. **შენგელა, 1868:** შენგელაია ნ., XV – XIX ს.ს საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბილისი.
7. **ნერილები სტამბულის ქართულ სავანიდან, 2017:** კრებული, ავტორთა ჯგუფი, გამ. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი.,
8. **ჭიჭინაძე, 1906:**ჭიჭინაძე ზ., მესხეთ-ჯავახეთის გათავათრება, თბ.,

Naile Mikeladze

Senior Scientific Worker of the Department of Dialectology And Emigrant Research of Batumi Shota Rustaveli University Niko Berdzenishvili Scientific-Research Institute; Professor of Georgian Patriarchate St. Tbel Abuserisdze Teaching University

*About the Folk Chant for Virgin Mary
(According to the materials from Georgian Residence in Istanbul)*

Folklore of any nation has always had the everlasting mission to express the pain of the country and its nation. Folklore samples usually conveyed the anxiety and suffering of the epoch. The residents of Mtskheta believed that the mother Virgin Mary would help them to achieve the goals that seemed to be impossible.

Georgia has long been known as the country of Virgin Mary's care and protection. Holy Mary has been considered to be very helpful and supporting for Georgians.

The feeling of love for the homeland was the greatest force that made our people rebel against the "Ottoman invaders". The chant we are considering now is the expression of the common thoughts and opinions of the whole nation of Georgia. In the chanting lines the pain of the Christian and Muslim Georgians is painted. They¹ pray to the Mother of God to save their homeland, for their consolation is just Virgin Mary.

Finally, this chant is inspired by the vital words of the Old and

New Testament Scriptures. The optimism weaved in the chant is the expression of the Christian faith around the Church that on the day of universal judgment the Lord will resurrect all those self sacrificing heroes for the true faith who suffered, were tortured; and their cleansed souls will find the deserved place in the Church of the Heaven.

**პლაგიატი და მასთან ბრძოლის
სამართლებრივი მეთოდები**

„ყოველი ადამიანი ინდივიდუალური, უნიკალური და შეუცვლელია თავისი ბუნებით“ – ამ მოსაზრებას აყალიბებდა ადამიანის შესახებ იმანუელ კანტი. (intermedia.ge 2013.წ). სწორედ აღნიშნული თვისებების მეშვეობით შეძლო ადამიანმა განვითარება ქვის ხანიდან რობოტების ერამდე. ადამიანმა უნიკალური აზროვნების შედეგად შექმნა და მიისაკუთრა არაერთი შედეგრი. აღნიშნული პროცესი დაედო საფუძვლად ინტელექტუალური საკუთრების უფლებების შექმნას.

როგორც ვიცით პირველი წიგნი ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში შეიქმნა, მისი გასხვისება კი სათავეს ძველ საბერძნეთში იღებს. შექმნილი ქმნილებისაგან ავტორები სხვადასხვა ტიპის სარგებელს იღებდნენ, მაგალითად სახელის მოხვეჭას, ცნობადობას და საზოგადო აღიარებას. აღნიშნულის გარდა ავტორი ასევე იღებდა გარკვეულ მატერიალურ სარგებელს. გარკვეული პერიოდის შემდეგ ავტორის მიერ შექმნილი ნაწარმოებიდან მოგების მიღება არა ავტორთა ინტერესების სფეროდაც იქცა. ეს ინტერესი გახდა ინტელექტუალური შემოქმედების შედეგის (ქმნილების/ნაწარმოების) ქურდობის (მისაკუთრება, მითვისება მოპარვა) საფუძველი.

სამართლებრივ ტერმინოლოგიაში აღნიშნულ ქმედებას პლაგიატი ეწოდება. პლაგიატობა ძველ საბერძნეთში გასაკიცხ ქმედებად იყო მიჩნეული. აღნიშნულ დანაშაულს არა მხოლოდ ძველი ბერძნები, არამედ თითქმის ყველა ერი ებრძოდა. სამწუხაროდ ეს ბრძოლა დღემდე გრძელდება. მართალია პრობლემა თავს ძველ საბერძნეთში იჩინს, თუმცა სამართლებრივი რეგულაციების ქვეშ იგი მხოლოდ მე-16 საუკუნეში მოექცა. ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის პირველი სამართლებრივი აქტები ინგლისში მიიღეს, რასაც შემდეგ მოჰყვა არაერთი საერთაშორისო კონვენცია და ხელშეკრულება.

პლაგიატობის მსხვერპლი არაერთი ქვეყნის ცნობილი მწერალი გამხდარა. გამონაკლისი ამ კუთხით არც საქართველოა. იგავ-არაკების კრებულის “სიბრძნე-სიცრუისა“-ს და ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის “სიტყვის კონა“-ს შემქმნელი სულხან საბა ორბელიანიც იყო დასახელებული დანაშაულის მსხვერპლი.

სულხან-საბა ორბელიანი თავის ამბობს: „მე, სულხან-საბა ორბელიანსა, ჭაბუკობისა ჟამსა და სიყრმესა ფრიადი შრომა დამიცს ამა წიგნსა ზედა. რამეთუ ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარ იპოებოდა, რამეთა ჟამთა ვითარებათა უჩინო ქმნილ იყო, რომელსა მეხუთე ვახტანგ მეფემან ქართულად სიტყვის კონა უწოდა“ „სიტყვის კონა“-ში (ორბელიანი ს.ს.,1966:25-29). აქვე ამბობს, რომ ვახტანგ მეფის ბიძამ გიორგი მეფემ უბრძანა მას ქართული ენის ლექსიკონი შეექმნა. სულხან საბა თავისივე ნაშრომში, რომელსაც თავად „ჭირნახულს“ უწოდებს, საუბრობს იმ ფაქტზე, თუ რა ხერხებით ცდილობდა ქალაქ თბილისის წინამძღვარი იობი საბას ნაშრომის მიტაცებას „ამა-სიტყვისა კონასა“ რა ხელი მიეყავ, მგმობდა და მეკიცხოდა. ოდეს გავასრულე, მნახა, მოეწონა და გადასაწერად ვათხოვე და გარდაწერა. სადაც ჩემი სახელი ეწერა აღმოხოცა თვის ნაწერთა შინა და თვისი სახელი და გარჯილობა დაწერა“. ამ ჩანაწერით რეალურად გამოააშკარავა სულხან საბამ ის პირი რომელსაც მისი ჭირნახულის (ინტელექტუალური შემოქმედების შედეგის) მისაკუთრება სურდა, თუმცა ყველა ავტორს მსგავსად არ უმართლებს და ხშირად საკუთარი უფლებების დასაცავად სასამართლოში უწევს დავა.

რაც შეეხება თანამედროვე სამყაროს, საერთაშორისო კონვენციებით, თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, შექმნას შიდასახელმწიფოებრივი საკანონმდებლო ბაზა, რაც გახდება ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევის თავიდან აღკვეთის გარანტი. საქართველოში შექმნილია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ასე თუ ისე უზრუნველყოფს ავტორთა დარღვეული უფლებების დაცვა/აღდგენას. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ საქართველოს კანონის მე-9-ე მუხლის თანახმად: “საავტორო უფლება მეცნიერების, ლიტერატურისა

და ხელოვნების ნაწარმოებებზე წარმოიშობა მათი შექმნის მომენტიდან. ნაწარმოები შექმნილად ითვლება, როდესაც იგი გამოხატულია რაიმე ობიექტური ფორმით, რაც მისი აღქმისა და რეპროდუქციების საშუალებას იძლევა. საავტორო უფლების წარმოშობისა და განხორციელებისათვის აუცილებელი არ არის ნაწარმოების რეგისტრაცია, სპეციალური გაფორმება ან სხვა ფორმალობათა დაცვა.

კანონი ასევე ადგენს საავტორო უფლების დაცვის ნიშანს, კერძოდ: განსაკუთრებული საავტორო უფლების მფლობელს თავისი უფლების განცხადებისათვის შეუძლია გამოიყენოს საავტორო უფლების დაცვის ნიშანი, რომელიც დაისმება ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარზე და შედგება სამი ელემენტისაგან: 1. ლათინური ასო C წრეწირში: ©; 2. განსაკუთრებული საავტორო უფლების მფლობელის სახელი (დასახელება); 3. ნაწარმოების პირველი გამოცემის წელი.

ავტორთა უფლებები დაცულია როგორც საქართველოს კანონით „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-თ, ასევე სისხლის სამართლის კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს სასამართლოს უფლებამოსილებას, გაატაროს წინასწარი ღონისძიებები, რათა უზრუნველყოფილ იქნას სასამართლოს გადაწყვეტილების სრული და სათანადო აღსრულება. საკანონმდებლო ნორმათა მიმოხილვა ცხადყოფს, რომ საქართველოს საერთაშორისო კონვენციებით ნაკისრი ვალდებულებები საკანონმდებლო დონეზე მკაცრად აქვს ასახული. თუმცა მხოლოდ კანონმდებლობის მოწოდების სიმაღლეზე ყოფნა რომ საკმარისი არ არის ამაზე მეტყველებს მსოფლიო პრაქტიკაც, რომლის მიხედვითაც, პლაგიატთან ბრძოლის ერთ ერთ ეფექტურ მეთოდად შესაბამისი პროგრამების შექმნა და ტექნიკური უზრუნველყოფით აღჭურვა განისაზღვრა. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში შექმნილია სხვადასხვა პროგრამა, რომლებიც დაახლოებით ერთი პრინციპით მუშაობს და მათი მთავარი ფუნქცია პლაგიატის ამოცნობაა. წარმოგიდგინთ რამოდენიმე მათგანის ჩამონათვალს: ა) Urkund, ბ) Plagscan, გ) Vericite, დ) Plagiarisma, ე) Plagiarism-detector, ვ) Wcopyfind, და ზ) Turnitin. საქართველომ სწორედ ამ უკანასკნელზე შეაჩერა არჩევანი,

2018 წლის სასწავლო წლისათვის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა პლაგიატის აღმომჩენი პროგრამის turnitini-ის პილოტირება დაიწყო. აღნიშნული პროგრამით პლაგიატის შემოწმების პრინციპი მარტივია, პროგრამა ნაშრომში მონიშნავს კონკრეტულ ადგილებს, სადაც დაკლიკების შემთხვევაში პროგრამა უწერს, რამდენი პროცენტია ამ აბზაცში პლაგიატი. საწყის ეტაპზე პროგრამაში მხოლოდ პირველკურსელების ჩართვა მოხდა, თუმცა პროგრამის განხორციელებისთანავე გამოიკვეთა გარკვეული ხარვეზები, როგორც აღმოჩნდა პროგრამა ვერ ახერხებს ნათარგმნი ტექსტების კოპირების ამოცნობას თუკი ეს ტექსტი არ არის ატვირთული, რაც უკვე მეტყველებს იმასზე, რომ პროგრამა სრულფასოვნად ვერ იმუშავებს.

<http://batumelebi.netgazeti.ge/news/159590/2018წ.>

ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება (შემდგომში ასოცირების შეთანხმება) მე-9-ე თავში, ფართოდ განიხილავს ინტელექტუალური საკუთრების უფლებას და მისი დაცვის გარანტიებს. აღნიშნული შეთანხმების 150-ე მუხლის თანახმად: მეცხრე თავის მიზნებია მხარეებს შორის ინოვაციური და შემოქმედებითი პროდუქტების წარმოებისა და კომერციალიზაციის ხელშეწყობა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვისა და აღსრულების ადეკვატური და ეფექტიანი დონის მიღწევა.

ასოცირების შეთანხმების 71-ე მუხლის “H” პუნქტში წერია, რომ მხარეები გაიზიარებენ საბაჟო ოპერაციებთან დაკავშირებულ საუკეთესო პრაქტიკას, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის მიმართულებით, განსაკუთრებით ფალსიფიცირებულ საქონელთან მიმართებაში; ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაში აღნიშნული დათქმის გაკეთება მოსალოდნელიც იყო, რადგან 2010 წლის მონაცემების თანახმად

<https://www.balcanicaucaso.org/eng/Areas/Georgia/Georgia-world-leader-in-pirating-111725> 2010წ.). საქართველოში გამოყენებული პროგრამების 93% იყო არა ორიგინალი, არამედ

პირატული ვერსია. საქართველოზე გაცილებით უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდა როგორც ზიმბაბვეს (91%) ასევე სომხეთსა (89%) და აზერბაიჯანს (88%).

თემის აქტიულობიდან გამომდინარე, გარდა საკანონმდებლო ნორმების მიმოხილვისა, ჩემს მიერ ჩატარებულ იქნა კვლევა.

კვლევის დროს გამოყენებული იქნა კვლევის რაოდენობრივი მეთოდები კერძოდ: ანკეტირების მეთოდი და გამოკითხვის მეთოდი.

ანკეტირების მეთოდის მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენდა ის სეგმენტი რომელთაც ხშირი შეხება აქვთ სხვადასხვა ავტორთა ნაშრომებთან. ეს სტუდენტების ჯგუფია.

გამოკითხვის მეთოდი კი გამოყენებულ იქნა ავტორებზე, აგრეთვე საქმიანობის სფეროს გათვალისწინებით გამოკითხულ იქნა მოქმედი გამომცემლობები.

აღნიშნული კვლევის მიზანს წარმოადგენდა, იმის იდენტიფიცირება, თუ რამდენად ხშირია ქართული სინამდვილისთვის სხვისი საავტორო უფლებების დარღვევა, და როგორია გამოვლენილ დარღვევაზე რეაგირება, იმ ფონზე, როდესაც საკანონმდებლო დონეზე საკითხი მოწესრიგებულია.

გამომცემელთა მიერ შევსებული კითხვარების დამუშავების შედეგად ირკვევა, რომ


- გამომცემლობებს არ აქვთ არავითარი ბერკეტი იმის მისახვედრად, დასაბეჭდად მიტანილი მასალა ინტელექტუალური შემოქმედების შედეგად შექმნილი მასალაა, თუ სხვისგან გადმონერილი, გამომცემლობები აცხადებენ, რომ მათთვის ავტორი არის პირი, რომელიც თავად წარდგენილ მასალაშია ავტორად მითითებული;
- დასაბეჭდად და გამოსაქვეყნებლად მასალის მიტანა ნებისმიერ პირს შეუძლია;
- დასაბეჭდად წარდგენილი მასალის შინაარსობრივი მხარის შემონიშნა არ ხდება;

გამოკითხული იქნენ ასევე სხვადასხვა საფეხურის სტუდენტები, რომელთა უმეტესობაც (66.7%) 30 წლამდე იყო.

სტუდენტთათვის დასმულ შეკითხვებსა და მათ მიერ გაცემულ პასუხებს წარმოგიდგინთ დიაგრამების სახით.

რეფერატების ან სადიპლომო ნაშრომის მომზადების დროს, თუ გამოიყენებთ მეცნიერთა ნაშრომები?


9 responses



აღნიშნული დიაგრამიდან ირკვევა, რომ სტუდენტთა თითქმის 90 %-ი იყენებს სხვის ნაშრომს. სხვისი ნაშრომის გამოყენებისა და სხვა ავტორის ან წყაროს მითითების ვალდებულების შესრულება სტუდენტის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული.

თუ გეონიათ შემთხვევა, რომ ლექტორი ვერ მიხვდა პლაგიატობის ფაქტს

8 responses



- რაც შეეხება ლექტორის მიერ პლაგიატობის ფაქტის გამოვლენას, როგორც დიაგრამიდან ირკვევა, ხშირ შემთხვევაში ხვდებიან თემის გამსწორებლები, რომ სტუდენტის მიერ წარმოდგენილ ნაშრომში გამოყენებულია სხვისი ნაშრომი ან ნაშრომის ნაწილი, წყაროს მითითების წესების დარღვევით, თუმცა თვალს ხუჭავენ ასეთ ფაქტებზე.

- მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო სადაც სტუდენტი უთითებდა, რომ დაარღვია სხვისი ნაშრომის გამოყენების წესები და ამის გამო ის მკაცრად დასაჯეს.

სამწუხაროდ როგორც ბათუმის ასევე თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში იქნა გამოვლენილი პროფესორების მიერ პლაგიატობის გამოვლენის ფაქტი. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს არცერთ შემთხვევაში არ მომხდარა გადაცდომის ჩამდენი პირების სათანადოდ დასჯა.

რაც შეეხება თავად ლექტორებს, ჩვენს მიერ გამოკითხული ლექტორებიდან არცერთი არ გამხდარა პლაგიატის მსხვერპლი და არც თავად გამოუყენებიათ სხვისი ნაშრომი, წყაროს მითითების გარეშე.

კვლევის მასალების მიხედვით პლაგიატის ფაქტების გამოვლინება ხდება, თუმცა არა იმ სიხშირით, რომ საკითხის სიმწვავეზე გავაკეთოთ აქცენტი. პლაგიატთან ბრძოლა და მისი აღმოფხვრა საჭიროა, ამისათვის კი სასურველია ქვემოთ ჩამოთვლილი, რიგი ღონისძიებების გატარება.

პრობლემის მოგვარებისთვის სასურველია განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

- სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებში განხორციელდეს მკაცრი კონტროლი და სტუდენტების მიერ პლაგიატობის გამოაშკარავების შემთხვევაში გატარდეს ისეთი მკაცრი ღონისძიება როგორც არის სტუდენტის სტატუსის შეჩერება მიმდინარე სემესტრში.
- გაკონტროლდეს ყველა სამეცნიერო ნაშრომი და ლექტორებსა და პროფესორ-მასწავლებლებს მკაცრად მოეთხოვოთ პასუხი პლაგიატობისათვის.
- მკაცრი კონტროლი დაწესდეს საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციაზე გატანილ მოხსენებებზე, პლაგიატობის აღმოჩენის შემთხვევაში მოიხსნას კონკრეტული მომხსენებელი კონფერენციიდან.
- სასურველია აღნიშნულ პროცესში ჩართული იქნენ გამომცემლობები. კერძოდ: ურთიერთდახმარების მემორანდუმის გაფორმების გზით შესაძლებელია საქართველოში მოქმედი გამომცემლობების გაერთიანება, რომლებიც გამოცემამდე შეისწავლიან ნარდგენილ

ნაშრომს და პლაგიატობის შემთხვევაში უარს ეტყვიან კონკრეტულ წარმდგენს ნაშრომის გამოცემაზე.

- ნაშრომი რომელშიც იქნება გამოვლენილი პლაგიატი და ამ ნაშრომის წარმდგენი პირი დარეგისტრირდება ერთიან ბაზაში ეგრეთ ნოდებული „შავი სია“.
- სასურველია „შავ სიაში“ დარეგისტრირებულ პირს გარკვეული ვადით აეკრძალოს ნაშრომის გამოცემა-გამოქვეყნება.

აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში, ავტორთა ინტელექტუალური შემოქმედების შედეგები მეტად დაცული იქნება ქურდობისა და მითვისებისაგან. რათქმაუნდა ვერ გვექნება იმის მოლოდინი, რომ აღნიშნული ნაბიჯების გადადგმით ან თუნდაც შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით უნივერსიტეტების აღჭურვილთაგან ავირიდებთ პლაგიატის პრობლემას, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ვიზრუნოთ იმ თაობაზე რომელიც ეხლა ინყებს წერას და ჩავუნერგოთ „სწორად“ წერის კულტურა. არ არსებობს უნივერსალური ფორმულა რომელიც სრულად დაგვიცავს პლაგიატისგან, გამოსავალი ორ მიმართულებაშია, ან მკაცრი მიდგომებით უნდა ვცადოთ დანაშაულის აღკვეთა, ან კიდევ ავტორთა კეთილსინდისიერების იმედი ვიქონიოთ.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. ორბელიანი ს.ს. სიტყვის კონა, თბილისი, 1966;
2. <http://intermedia.ge;>
3. batumelebi.netgazeti.ge;
4. <https://www.balcanicaucaso.org/eng/Areas/Georgia/Georgia-world-leader-in-pirating-111725;>
5. [http://www.urkund.com/;](http://www.urkund.com/)
6. [http://www.plagscan.com/;](http://www.plagscan.com/)
7. [https://www.vericite.com/;](https://www.vericite.com/)
8. [https://plagiarisma.net/;](https://plagiarisma.net/)
9. <http://www.plagiarism-detector.com/index.php;>

10. <http://plagiarism.bloomfieldmedia.com/wordpress/software/wcopyfind/>;
11. <http://turnitin.com/>;
12. <https://plagiarisma.net/>;
13. <http://www.plagiarism-detector.com/index.php>;

Lela Mzhavanadze

Plagiarism and legal methods of fighting against it

Summary

The article discusses legal methods of plagiarism and fight against it. Based on the research's goals, the author has conducted survey inquiries, which are presented in the present work.

ჩვენი ავტორები:

1. **ოთარ თურმანიძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, მეცნიერ-თანამშრომელი (საქართველო-ბათუმი);
2. **მაკა ალბაგაჩივა** – კუნსტ კამერის ინსტიტუტი, პროფესორი (რუსეთი, სანკტ-პეტერბურგი);
3. **ლიუბოვ სოლოვიოვა** – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიკლუხო-მაკლაის სახელობის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტი, პროფესორი (რუსეთი, მოსკოვი);
4. **ესმა მანია** – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერ სიძველეთა დაცვისა და აღრიცხვის დეპარტამენტი, მეცნიერ თანამშრომელი, დოქტორანტი (საქართველო, თბილისი);
5. **ალექსანდრე ზაქარიაძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, სტუდენტი (საქართველო, ბათუმი);
6. **მაია რურუა** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დანესებულება – საარქივო სამმართველო, განყოფილების უფროსი (საქართველო, ბათუმი);
7. **ეკატერინე მაისურაძე** – სსიპ ქ. გორის №12 საჯარო სკოლა, ისტორიის პედაგოგი; თსუს კულტურის კვლევების დოქტორანტი (საქართველო-გორი);
8. **ოთარ გოგოლიშვილი** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
9. **თამარ კუტალაძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი (საქართველო, ბათუმი);
10. **ქეთევან ხითარიშვილი** – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აკადემიური დოქტორი (საქართველო, თბილისი);

11. **მადონა გოგიტიძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისტორიის დოქტორი, (საქართველო, ბათუმი);
12. **ხათუნა თურმანიძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სტუდენტი (საქართველო, ბათუმი);
13. **რადი ჩიბურდანიძე** – ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
14. **იაგო ნულაძე** – ბათუმის საზღვაო აკადემია, აკადემიური დოქტორი (საქართველო, ბათუმი);
15. **მერაბ მეგრელიშვილი** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
16. **ნიკოლოზ მეგრელიშვილი** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მასწავლებელი (საქართველო, ბათუმი);
17. **თინათინ ჯაბადარი** – საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, უფროსი სპეციალისტი (საქართველო, თბილისი);
18. **თეა ქათამაძე** – ქუთაისის ცენტრალური არქივი, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფის, აღრიცხვისა და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი, განყოფილების უფროსი (საქართველო, ქუთაისი);
19. **საბა სალუაშვილი** – საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი (საქართველო, თბილისი);
20. **ჯულია ბენიძე** – საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი (საქართველო, თბილისი);
21. **მაია ჯაფარიძე** – მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე, ტურიზმის და მხარეთმცოდნეობის განყოფილების კოორდინატორი, ფოლკლორისტიკის წრის ხელმძღვანელი (საქართველო, ბათუმი);
22. **ნათია კალანდაძე** – მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (საქართველო, ჩოხატაური);

23. **ნანული ნოლაიდელი** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, მეცნიერ-თანამშრომელი (საქართველო-ბათუმი);
24. **თამილა ლომთათიძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, მეცნიერ-თანამშრომელი (საქართველო-ბათუმი);
25. **მირანდა თურმანიძე** – ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, მეცნიერ-თანამშრომელი (საქართველო, ბათუმი);
26. **ირინა ვარშალომიძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, მეცნიერ-თანამშრომელი (საქართველო-ბათუმი);
27. **ნინო ძნელაძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, მეცნიერ-თანამშრომელი (საქართველო-ბათუმი);
28. **კახაბერ ქამადაძე** – გონიო-ავსაროსის მუზეუმ-ნაკრძალი, მეცნიერ-თანამშრომელი (საქართველო, ბათუმი);
29. **გურამ ჩხატარაშვილი** – ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, მეცნიერ-მუშაკი (საქართველო, ბათუმი);
30. **მერი ყულეჯიშვილი** – ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, მეცნიერ-მუშაკი (საქართველო, ბათუმი);
31. **სულხან მამულაძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, მეცნიერ-თანამშრომელი (საქართველო-ბათუმი);
32. **ქეთევან გორგილაძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სტუდენტი (საქართველო, ბათუმი);
33. **აბესალომ ასლანიძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოსოფიის დოქტორი (საქართველო-ბათუმი);
34. **თენგიზ პარმაქსიზიშვილი** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუნყებო დანესებულება – საარქივო სამმართველო, უფროსი სპეციალისტი (საქართველო, ბათუმი);

35. **შოთა მამულაძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
36. **ემზარ კახიძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
37. **თორნიკე დიასამიძე** – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო, თბილისი);
38. **ნონა ქარიციძე** – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტი პროფესორი; ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმში, ადამიანური რესურსების მართვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი (საქართველო, ქუთაისი);
39. **ირინა უგრეხელიძე** – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტი პროფესორი; ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, მეცნიერ-თანამშრომელი (საქართველო, ქუთაისი);
40. **თამაზ ფუტყარაძე** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო, სამსახურის უფროსი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
41. **რეზო უზუნაძე** – ბათუმის სამედიცინო სასწავლებელი, დირექტორი (საქართველო, ბათუმი);
42. **იზო დუმბაძე** – ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, მეცნიერ-მუშაკი (საქართველო, ბათუმი);
43. **ირინა შერვაშიძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი (საქართველო, ბათუმი);
44. **ლანა ბურკაძე** – არქეოლოგიური მუზეუმი, მეცნიერ-თანამშრომელი (საქართველო, ბათუმი);
45. **ელგუჯა ჩაგანავა** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო

სამმართველო, სამსახურის უფროსი (საქართველო, ბათუმი);

46. **მარინა ჯინჭარაძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
47. **ალა სერიუკი** – ბედრიანსკის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, პროფესორი (უკრაინა, ბერდიანსკი);
48. **ნაილე მიქელაძე** – ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი
49. **ლელა მჟავანაძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგისტრანტი (საქართველო, ბათუმი).

OUR AUTHORS:

1. **Otar Turmanidze** – Batumi Shota Rustaveli State University, Niko Berdzenishvili scientific-research Institute, scientist worker (Georgia, Batumi);
2. **Maka Albagachieva** – Institute of Kunst-Kamera, professor (Russia, Saint-Petersburg);
3. **Liubov Soloviova** – N.N. Miklukho-Maklai Institute of Ethnology and Anthropology (Russia, Moscow);
4. **Esma Mania** – Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts, department of manuscript preservation and registration, scientific researcher (Georgia, Tbilisi);
5. **Alexander Zakariadze** – Batumi Shota Rustaveli State University, Niko Berdzenishvili scientific-research Institute, student (Georgia, Batumi);
6. **Maia Rurua** – Sub-department of Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration, head of department (Georgia, Batumi);
7. **Ekaterine Maisuradze** – Gori #12 Public School, teacher of history; Institute of cultural studies of TSU, doctoral student (Georgia, Gori);
8. **Otar Gogolishvili** – Batumi Shota Rustaveli State University, professor (Georgia, Batumi);
9. **Tamar Kutaladze** – Batumi Shota Rustaveli State University, doctoral student (Georgia, Batumi);
10. **Ketevan Khitarishvili** – Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts, doctor of history (Georgia, Tbilisi);
11. **Madona Gogitidze** – Batumi Shota Rustaveli State University, doctor of history (Georgia, Batumi);
12. **Khatuna Turmanidze** – Batumi Shota Rustaveli State University, student (Georgia, Batumi);
13. **Rati Chiburdanidze** – Batumi Art State Teaching University, associate professor (Georgia, Batumi);

14. **Iago Tsuladze** – Batumi Maritime Academy, Academic Doctor (Georgia, Batumi);
15. **Merab Megrelishvili** – Batumi Shota Rustaveli State University, professor (Georgia, Batumi);
16. **Nikoloz Megrelishvili** – Batumi Shota Rustaveli State University, teacher (Georgia, Batumi);
17. **Tinatini Jabadari** – National Archives of Georgia, contemporary history Archives, senior specialist (Georgia, Tbilisi);
18. **Tea Katamadze** – Kutaisi Central Archives, head of documents preservation, registration and scientific-informational department (Georgia, Kutaisi);
19. **Saba Saluashvili** – National Archives of Georgia, Central historical Archives (Georgia, Tbilisi);
20. **Julia Benidze** – National Archives of Georgia, Central historical Archives (Georgia, Tbilisi);
21. **Maia Japharidze** – Youth Art Palace; tourism and education department, coordinator; head of folklore circle (Georgia, Batumi);
22. **Natia Kalandadze** – Local History Museum, (Georgia, Chokhatauri);
23. **Nanuli Noghaideli** – Batumi Shota Rustaveli State University, Niko Berdzenishvili scientific-research Institute, scientist worker (Georgia, Batumi);
24. **Tamila Lomtadze** – Batumi Shota Rustaveli State University, Niko Berdzenishvili scientific-research Institute, scientist worker (Georgia, Batumi);
25. **Miranda Turmanidze** – Archaeological Museum of Batumi, scientist worker (Georgia, Batumi);
26. **Irina Varshalomidze** – Batumi Shota Rustaveli State University, Niko Berdzenishvili scientific-research Institute, scientist worker (Georgia, Batumi);
27. **Nino Dzeladze** – Batumi Shota Rustaveli State University, Niko Berdzenishvili scientific-research Institute, scientist worker (Georgia, Batumi);

28. **Kakhaber Kamadadze** – Gonio-aphsarus Archaeological – Architectural Museum, scientist worker (Georgia, Batumi);
29. **Guram Chkhatarashvili** – Archaeological Museum of Batumi, scientist worker (Georgia, Batumi);
30. **Meri Kulejishvili** – Archaeological Museum of Batumi, scientist worker (Georgia, Batumi);
31. **Sulkhan Mamuladze** – Batumi Shota Rustaveli State University, Niko Berdzenishvili scientific-research Institute, scientist worker (Georgia, Batumi);
32. **Ketevan Gorgiladze** – Batumi Shota Rustaveli State University, student (Georgia, Batumi);
33. **Abesalom Aslanidze** – Batumi Shota Rustaveli State University, Niko Berdzenishvili scientific-research Institute, scientist worker, doctor of philosophy (Georgia, Batumi);
34. **Tengiz Parmaksizishvili** – Sub-department of Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration, senior specialist (Georgia, Batumi);
35. **Shota Mamuladze** – Batumi Shota Rustaveli State University, professor (Georgia, Batumi);
36. **Emzar Kakhidze** – Batumi Shota Rustaveli State University, professor (Georgia, Batumi);
37. **Tornike Diasamidze** – Georgia Shota Rustaveli Theatre and Film State University, (Georgia, Tbilisi);
38. **Nona Kartsidze** – Head of the Department of Human Resources Management Kutaisi N. Berdzenishvili State Historical Museum; Kutaisi Akaki Tsereteli State University, Assistant Professor, Doctor of Historical (Georgia, Kutaisi);
39. **Irina Ugrehelidze** – Kutaisi N. Berdzenishvili State Historical Museum; Scientist-worker; Kutaisi Akaki Tsereteli State University, Associate Professor (Georgia, Kutaisi);
40. **Tamaz Phutkaradze** – Sub-department of Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration, head of department; Batumi Shota Rustaveli State University, professor (Georgia, Batumi);

41. **Rezo Uzunadze** – Batumi medical Institute, director (Georgia, Batumi);
42. **Izo Dumbadze** – Archaeological Museum of Batumi, scientist worker (Georgia, Batumi);
43. **Irina Shervashidze** – Batumi Shota Rustaveli State University, doctoral student (Georgia, Batumi);
44. **Lana Burkadze** – Archaeological Museum of Batumi, scientist worker (Georgia, Batumi);
45. **Elguja Chaganava** – Sub-department of Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration, head of department (Georgia, Batumi);
46. **Marina Jincharadze** – Batumi Shota Rustaveli State University, professor (Georgia, Batumi);
47. **Alla Serdiuk** – Berdiansk State pedagogical University, professor (Ukraine, Berdiansk);
- 48.
49. **Lela Mzhavanadze** – Batumi Shota Rustaveli State University, master (Georgia, Batumi).

სარჩევი:

1. **ოთარ თურმანიძე** – ქურთებისა და ჰემშილების ახალშენები საქართველოში5
2. **თამაზ ფუტყარაძე** – ეთნიკური ისტორიის, იდენტიფიკაციისა და კულტურული მემკვიდრეების საკითხები ცენტრალური ლაზეთის პოლიეთნიკურ საზოგადოებაში16
3. **მაკა ალბაგაჩივა** – სამხედრო-საზღვაო ფლოტის რუკები რუსეთის სახელმწიფო არქივში როგორც ინგუშების დაბლობში იძულებით გადასახლების პროცესების შესწავლის წყარო47
4. **ლიუბოვ სოლოვიოვა** – ღვთისმშობლის ხართული ხატი და მისი ქადაგების ტრადიციები რუსეთში.....75
5. **ალა სერდიუკი** – ლათინური პარემიის (ფოლკლორული ტექსტები) კონცეპტუალური ანალიზი რიცხოვრივი კომპონენტებით85
6. **ესმა მანია** – ბათუმი გალაქტიონ ტაბიძის პირად ჩანაწერებში94
7. **მაია რურუა** – ხსოვნაში გაცოცხლებული სახელები.106
8. **ეკატერინე მაისურაძე** – განათლება და კულტურა ბათუმის ოლქში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში.....122
9. **ოთარ გოგოლიშვილი** – საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმში XX საუკუნის დასაწყისში (1900-1902 წწ.) 131
10. **ალექსანდრე ზაქარიაძე** – პოლონელები ნაპოლეონის არმიისაში138
11. **თამარ კუტალაძე** – პირველი მსოფლიო ომი და საქართველო.....144
12. **ქეთევან ხითარიშვილი** – გურამ კახიძე – ბათუმელი კოლექციონერი (კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მასალების მიხედვით) 152
13. **ირინა შერვაშიძე** – საბჭოთა რესპრესიები აჭარაში და მისი საერთაშორისო პოლიტიკური ასპექტები..... 159
14. **მადონა გოგიტიძე** – ახლო აღმოსავლეთი და საქართველო (ისტორიული ქრონიკების თანამედროვე პარალელური რეგიონალურ და გეოპოლიტიკურ ჭრილში)180

15. **ხათუნა თურმანიძე** – პორტო ფრანკო და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა XIX საუკუნის მინირულს187
16. **რატი ჩიბურდანიძე** – აჭარის ხელოვნების მუზეუმი – 20195
17. **იაგო ნულაძე** – მე-19 საუკუნის ქართველი ინტელიგენციის როლი აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების საქმეში დღევანდელი გადასახედიდან211
18. **მერაბ მეგრელიშვილი/ნიკოლოზ მეგრელიშვილი** – ქრისტიანული ეკლესიები ბათუმში.....214
19. **თინათინ ჯაბადარი** – აჭარის მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობა XX საუკუნის 20-იან წწ, (ქობულეთის და ქედის რაიონების ჭრილში).....223
20. **თეა ქათამაძე** – ბათუმის ომბარდი 1910-1911 წწ.....235
21. **საბა სალუაშვილი/ჯულია ბენიძე** – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობა აჭარაში: ქართული სკოლის და განყოფილების დაასეების მასალები243
22. **მაია ჯაფარიძე** – ტრადიციების კვალდაკვალ.....265
23. **ნათია კალანდაძე** – მიცვალებულის დაკრძალვა ზემო გურაში (კომუნისტური რეჟიმის დროს)282
24. **ნანული ნოლაიძელი** – დარგობრივი ლექსიკის ეთნოლინგვისტური ასპექტები (აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკის მასალების მიხედვით)293
25. **თამილა ლომთათიძე** – ხის თაყვანისცემის ელემენტები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოკულტურაში303
26. **ნონა ქარციძე/ირინა უგრეხელიძე** – უძველესი ნაქარგობანი საქტიტრო წარწერები ქუთაისის ისტორიული მუზეუმიდან314
27. **ეთერ ქავთარაძე** – დიმიტრი მელვინეთუხუცესი და ტაოკლარჯეთის კვლევის საკითხი.....325
28. **შოთა მამულაძე/ემზარ კახიძე/კახაბერ ქამადაძე/სულხან მამულაძე** – ტრაპიზონიდან ბაიბურთ-ერზრუმისაკენ მიმავალი ძველი გზები და ზოგიერთი საფორტიფიკაციო ნაგებობანი330
29. **მირანდა თურმანიძე** – ძვ.წ. IV საუკუნის სამაროვანი 345

30. **ირინა ვარშალომიძე/ნინო ძნელაძე** – ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში დაცული გიორგი III-ის მონეტები360
31. **კახაბერ ქამადაძე/გურამ ჩხატარაშვილი/მერი ყულეჯიშვილი** – არქეოლოგიური გათხრები გვარას ციხეზე367
32. **სულხან მამულაძე** – ჭრაქები გონიო-აფსაროსიდან უახლესი აღმოჩენების მიხედვით373
33. **ქეთევან გორგილაძე/აბესალომ ასლანიძე** – ძმაგულის ამალღების სახელობის ეკლესიის შესახებ.....382
34. **გურამ ჩხატარაშვილი** – ექსპერიმენტულ-ტრასოლოგიური კვლევის მეთოდი და მისი გამოყენება თანამედროვე არქეოლოგიაში392
35. **თენგიზ პარმაქსიზიშვილი** – ზოგიერთი ტოპონიმის შესახებ აჭარაში.....400
36. **თორნიკე დიასამიძე** – სოფელ თლის ეკლესია.....405
37. **რეზო უზუნაძე** – წარმართული ხანის ძეგლი ჯოჭოს წყლის ხეობაში413
38. **იზო დუმბაძე** – ადრე შუასაუკუნეების ქვევრი თამარის დასახლებიდან430
39. **ლანა ბურკაძე** – რომაული სამხედრო დასახლებები კოლხეთში.....438
40. **ელგუჯა ჩაგანავა** – აჭარის ექიმები არქივში დაცული ფონდების საფუძველზე445
41. **მარინა ჯინჭარაძე** – XX საუკუნის I ნახევრის ქართული ხელოვნების სპეციფიკური თავისებურებანი და სწავლის მეთოდები464
42. **ნაილე მიქელაძე** – წმიდა მარიამ ღვთისმშობლის ხალხური საგალობლის შესახებ.....471
43. **ლელა მჟავანაძე** – პლაგიატი და მასთან ბრძოლის სამართლებრივი მეთოდები484



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტაოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com